

ВАХТАНГ ГУРУЛИ, МЕРАБ ВАЧНАДЗЕ

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОЙ СОЦИАЛ-ДЕМОКРАТИИ (1892-1918)

Издательство "Меридиани"

ТБИЛИСИ
1999

ვახტანგ ბურჯული, მერაბ ვაჩნაძე

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

1999

63.3 (2ქ)
947. 922
გ975

მონოგრაფია წარმოადგენს ქართული სოციალ-დემოკრატიის განვითარების ისტორიას მისი ჩასახვიდან საქართველოს საბჭოელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1892-1918 წ.წ.).

განკუთვნილია სპეციალისტების, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტების, ასპირანტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი პროფ. აპოლონ სილაგაძე

რეცენზენტები: პროფ. გერასიმე ფირცხალავა
პროფ. ვახტანგ ჯანჯღავა
პროფ. დიმიტრი შველიძე
დოც. ავთანდილ წოწკოლაური

© გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 1999
© ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, თბილისი, 1999

ISBN 99928-22-05-8

წინათქმა

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის (1892-1918) შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ყველა ეტაპზე აქტუალურ პრობლემად ითვლებოდა. აქტუალურია იგი დღესაც. 1892-1918 წლებში აღმოცენდა, იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცდა, ქვეყნის წამყვან პოლიტიკურ ძალად იქცა ქართული სოციალ-დემოკრატია. ამ პოლიტიკურმა მიმდინარეობამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში. სწორედ ამიტომ ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მეცნიერულ შესწავლაზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სრულყოფილად გააზრება.

1. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მეცნიერული შესწავლის გარეშე ვერ დაიწერება XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და, საერთოდ, ამ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორია.

2. ქართული სოციალ-დემოკრატიის 1892-1918 წლების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე გაძნელდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ისტორიის გააზრება.

3. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის (1892-1918 წწ.) ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის გარეშე ვერ შევიცნობთ ხანგრძლივი დროის მანძილზე (20-80-იანი წლები) უსამართლოდ უარყოფილ და ბოლო ხანებში (80-იანი წლების დასასრული – 90-იანი წლები) კვლავ დაფასებულ გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს: ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ვაჩნაძეს, ისიდორე რამიშვილს, ვლადიმერ დარჩიაშვილს, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს, ნოე რამიშვილს, ირაკლი წერეთელს, აკაკი ჩხენკელს და სხვებს. ობიექტურად ვერ შევაფასებთ წინათ გაღმერთებულ, ხოლო ბოლო წლებში უარყოფილ იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს), ვლადიმერ (ლადო) კეცხოველს, ფილიპე მახარაძეს, მიხა ცხაკაიას, ალექსანდრე (საშა) წულუკიძეს და სხვებს.

4. ქართული სოციალ-დემოკრატიის 1892-1918 წლების ისტორიის მეცნიერული შესწავლის გარეშე ასევე გაძნელდება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის გააზრება, დაწყებული 1921 წლიდან.

ამდენად, ცხადია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის (1892-1918 წწ.) მეცნიერული შესწავლის გარეშე ვერ დაიწერება საქართველოს ახალი ისტორია.

ყოველივე ზემოთ თქმულმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის იმ პერიოდით, რომელიც 1892-1918 წლებით შემოიფარგლება. ცხადია, ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები შემთხვევით არ არის აღებული. 1892 წელს მოხდა ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანება — შეიქმნა „მესამე დასი“. ჩვენი ნაშრომიც სწორედ ამ საკითხით იწყება. ნაშრომი 1918 წლით მთავრდება იმიტომ, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში დამთავრდა ერთი ეპოქა, 1918 წლის 26 მაისის შემდეგ კი დაიწყო თვისობრივად ახალი პერიოდი.

ჩვენი მიზანი სულაც არ არის საქართველოს ახალი ისტორიის დაყოფა პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების ისტორიად. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის შესწავლა მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ საბოლოო ჯამში ხელი შეგვეწყო საქართველოს ახალი ისტორიის ამ ურთულესი ეპოქის (XIX საუკუნის 90-იანი წლები — XX საუკუნის პირველი ოცეული) მეცნიერული შესწავლისათვის.

* * *

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის დაწერა არ იყო ადვილი საქმე. ეს ისტორია ათწლეულების მანძილზე ხომ დიდის გულმოდგინებით ფალბდებოდა, იჩქმალებოდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის გაყალბების პირველ ცდებს გაზეთ „ისკრის“ (1900-1903 წწ.) ფურცლებზე ვხვდებით. ამ სამარცხვინო საქმეს ვ. ლენინი ხელმძღვანელობდა. მომდევნო პერიოდში რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს ძალღონე არ დაუშურებიათ ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის გაყალბებისათვის. კერძოდ, ასეთ ცდებს ჰქონდა ადგილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II, III, IV (გამაერთიანებელ) და V (ლონდონის) ყრილობებზე (1903, 1905, 1906, 1907 წლები). რუსეთში 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებისა და 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის ფალსიფიკაცია საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იქცა. ასე გაგრძელდა საბჭოთა (კომუნისტური) სისტემის აღსასრულამდე და სსრ კავშირის დაშლამდე. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის

ფალსიფიკაციამ იმდენად გლობალური მასშტაბები მიიღო, რომ საქმეს ვერ შეელოდა ჭეშმარიტების აღდგენის მიზნით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის პერიოდში გამოცემული რამდენიმე ნაშრომი. ისევე როგორც ვერ შეელოდა საქმეს ქართველ ემიგრანტ ისტორიკოსთა მიერ განხორციელებული პუბლიკაციები. პოსტკომუნისტურ ეპოქაშიც ბევრი არაფერი გაკეთებულა ქართული სოციალ-დემოკრატიის ობიექტური ისტორიის შექმნის თვალსაზრისით. სადღესიოდ ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიისადმი მიძღვნილი ამ ნაშრომთა რიცხვმა, რომელთა ავტორები უხეშად აყალბებენ როგორც პოლიტიკური მიმდინარეობის მთლიან ისტორიას, ისე ცალკეულ ფაქტებსა და მოვლენებს ამ ისტორიიდან, ორი ათასს გადააჭარბა. და ეს მაშინ, როცა ყველასათვის ცხადია ერთი ჭეშმარიტება: ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მეცნიერული შესწავლის გარეშე ვერ დაიწერა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია. წინამდებარე ნაშრომის ავტორებს სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება ჰქონდათ მხედველობაში, როცა ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის შესწავლა გადაწყვიტეს. რამდენად გავართვით თავი ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია.

* * *

ნაშრომის წინათქმა და დასკვნა დაწერილია პროფესორ ვახტანგ გურულისა და პროფესორ მერაბ ვაჩნაძის მიერ, 1892-1904 წლები (პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე თავები) ეკუთვნის პროფ. ვ. გურულს, ხოლო 1905-1918 წლები (მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე თავები) — პროფ. მ. ვაჩნაძეს.

ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ მის რედაქტორს, პროფესორ აპოლონ სილაგაძეს, ასევე პროფესორებს: გერასიმე ფირცხალავას, ვახტანგ ჯანჯღავას, ფარნაოზ ლომაშვილსა და ალექსანდრე ბენდიანიშვილს. საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ აწ განსვენებული ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პროფესორ ლევან თოიძის ღვაწლი.

თავი პირველი
ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1897 წლებში

§1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელების პერიოდისათვის

სოციალისტური იდეების გავრცელება საქართველოში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ს. ხუნდაძის, ლ. გორგილაძის, ზ. გეგეშიძის და ფ. ლომაშვილის ნაშრომებში.[1] ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ სრულად დაუსაბუთებლად აუარა გვერდი საკითხის იმგვარად დაყენებას, რასაც ადგილი აქვს ნ. ჟორდანიას ნაშრომში „ქართული პრესა“.[2] ამავე დროს ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლოდ იქნა უარყოფილი ა. ჯორჯაძის მიერ ნაშრომებში — „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“, „მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის“ და სხვ. — წამოყენებული ზოგიერთი სავსებით სწორი დებულება.[3] 1900 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული პრესა“ ნ. ჟორდანია საკითხს ისე წარმოადგენს, რომ ცხადი ხდება: XIX საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოში სოციალისტური აზროვნების არსებობას რეალურად ვერ მივიჩნევთ.[4] რაც შეეხება ა. ჯორჯაძეს, იგი პირდაპირ მიუთითებს: „ჩვენ საკმარისი საბუთი მოვიყვანეთ იმისა, რომ მართლაც იყო სოციალისტური ელფერისა პირველ პერიოდის ნ. ნიკოლაძის აზროვნება, შინაარსაც და გარეგანაც... მაგრამ მკითხველი შესცდება, თუ იფიქრებს, რომ სოციალიზმი მესამოცე წლებიდან იკიდებს ფესვს ჩვენს მწერლობაში და რომ მასში უნდა ვეძებოთ მიზეზი ლიბერალ და დემოკრატ მესამოციანელთა დამარცხებისა. ნამდვილად კი სოციალისტური აზროვნება და მიმართულება ჩვენს მწერლობაში ოთხმოცდაათიან წლებამდე ანგარიშში ჩასათვალავ მოვლენად არ ჩაითვლება. არც ნ. ნიკოლაძე და არც სხვა ვინმე ამ მიმართულების ბელადად არ გამხდარა“.[5] მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენი აზრით, ნ. ჟორდანია და ა. ჯორჯაძე სავსებით სწორად აყენებდნენ საკითხს, ს. ხუნდაძე არ ეთანხმება მათ. თავის ცნობილ ნაშრომში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ მკვლევარი წერს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ 60-იანი და 70-იანი წლების სოციალისტური აზროვნების

შესახებ მართალი არ არის არც ნ. ჟორდანია თავისი „გულმავიწყობით“ და არც არჩ. ჯორჯაძე თავისი „ანგარიშიანობით“. ჯორჯაძის კონცეპციით, სოციალისტური აზროვნების ისტორიიდან უნდა ამოიშალოს 25-35 წლების მნიშვნელოვანი მანძილი, როდესაც ჩამოყალიბდა წვრილბურჟუაზიული უტოპიური სოციალიზმი საქართველოში, როდესაც ნაროდნიკული მიმდინარეობის ერთმა ნაწილმა (მაიაშვილი, ჯაბადარი, ჩიკოიძე, გამყრელიძე, ციციშვილი) მხურვალე მონაწილეობა მიიღო რუსეთის 70-იანი წლების რევოლუციონურ-სოციალისტურ მოძრაობაში“.[6] ცოტა ქვემოთ ს. ხუნდაძე აღნიშნავს: „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლა 60-იანი წლებიდან არ იქნება სრული, თუ ამ ისტორიიდან ამოვშლით იმ ნაკადს, რომელიც ნაროდნიკული და სოციალისტური მიმდინარეობის სახით შემომდინარეობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში“.[7] ლ. გორგილაძე 1961 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში წერს: „მარქსიზმი თავის გამომძახილს საქართველოშიც ადრიდანვე პოულობს. მოწინავე ქართული პუბლიცისტიკა ახალ მსოფლმხედველობას ეხმაურება. ქართული ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენლები ჯერ კიდევ 70-80-იან წლებში ეცნობიან მარქსისა და ენგელსის ცალკეულ შრომებს და იმოწმებენ მათ, როგორც აუცილებელ ავტორიტეტს“.[8] ცოტა ქვემოთ ლ. გორგილაძე აღნიშნავს: „პლეხანოვისა და მის თანამოაზრეთა შრომები საქართველოში 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ვრცელდება. ამ დროს გაეცნენ პლეხანოვის შრომებს, მაგალითად, მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე, მაგრამ ამ შრომების მარქსისტულ შინაარსს მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ ვერავინ ჩასწვდა“.[9] ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: „საქართველოში მარქსისტული მოძრაობა თავის სათავეს პლეხანოვის ჯგუფიდან იღებს“.[10] ზ. გეგეშიძე 1986 წელს ფ. ლომაშვილთან თანაავტორობით გამოცემულ მონოგრაფიაში წერს: „რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც მარქსიზმის, როგორც მთლიანი მსოფლმხედველობითისა და რევოლუციური მოძღვრების, გავრცელებას წინ უსწრებდა ცალკეული მარქსისტული იდეებისა და დებულებების შემოჭრა. ეს გამოიხატა საქართველოში მარქსისტული ლიტერატურის შემოტანით, ადგილობრივ ლეგალურ პრესაში მარქსისტული იდეების ასახვით. ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ოპოზიციურად განწყობილმა და სალხინურმა ინტელიგენციამ“.[11]

როგორც ვხედავთ, გარკვეული მიზეზების გამო, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთმანეთისაგან არ გამიჯნულა ცნებები: „სოციალისტური დოქტრინა“, „მარქსიზმი“, „რუსული ნაროდნიკული სოციალიზმი“ და „სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება“. ცხადია, მარქსიზმიც, რუსული ნაროდნიკული სოციალიზმიც, სოციალ-დემოკრატიული მოძღვრებაც (ევროპულიც და რუსულიც) სოციალისტური დოქტრინის (სოციალისტუ-

რი მოძღვრების) სხვადასხვა მიმდინარეობებია, თუმცა სოციალისტური ხასიათის მიუხედავად მათ შორის სერიოზული განსხვავება, დაპირისპირებაც კი არსებობს. ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებიდან მოტანილი ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ აუცილებელია ერთმანეთს გაემიჯნოს არა მარტო სოციალისტური დოქტრინის ცალკეული მიმდინარეობანი, არამედ სოციალისტური იდეების გავრცელების ეტაპები. კერძოდ, ქართულ სინამდვილეში სოციალისტური აზროვნების ჩამოყალიბების ისტორია რამდენიმე ეტაპად იყოფა: ა) სოციალისტური იდეების (მათ შორის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრების) გავრცელება და მისი ასახვა ლეგალურ პრესაში (XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან და 70-იანი წლების დამდეგიდან); ბ) რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის (ნ. ჩერნიშევსკი, ა. გერცენი, მ. ბაკუნინი, პ. ლავროვი, ნ. მიხაილოვსკი და სხვ.) იდეების გავრცელება და ასახვა ლეგალურ პრესაში (XIX საუკუნის 70-80-იანი წლები); გ) რუსული სოციალ-დემოკრატიის (გ. პლეხანოვი და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი) იდეების გავრცელება (XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან); დ) დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის (უპირატესად ე. ბერნშტაინი, კ. კაუცკი) იდეების გავრცელება (XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან).

სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების, როგორც რუსეთის, ისე ევროპულის, საქართველოში გავრცელებამდე სოციალისტური აზროვნების ელემენტები გვხვდება ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ს. მესხის, დ. მიქელაძის (ზურაბაშვილის), გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილის), ე. მჭედლიძის (ბოსლეველის), ნ. ხიზანიშვილის (ურჩნელის) ი. ჯაბადარის, რ. ფანცხავას (ხომლელის), გ. ლასხიშვილის (ლალის) და სხვათა ნაწერებში.[12] სწორედ ამ მოღვაწეთა ნაწერებით მომზადდა ნიადაგი საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების გავრცელებისათვის, რისი გამოხატულებაც იყო ეგ. ნინოშვილის, ნ. ჟორდანიას, ს. ჯიბლაძის, ფ. მახარაძის ნაშრომები (XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგი და შუა ხანები).

ამრიგად, XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან და 70-იანი წლების დამდეგიდან საქართველოში ვრცელდება და ლეგალურ პრესაში აისახება სოციალისტური დოქტრინის ცალკეული მიმდინარეობანი. მიუხედავად ამისა, 60-80-იან წლებში ქართულ სინამდვილეში სოციალისტური დოქტრინა არ დამკვიდრებულა და ამიტომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ ქართულ სოციალისტურ აზროვნებაზე, ქართველ სოციალისტ მოაზროვნეებზე. XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან საქართველოში ვრცელდება და დამკვიდრებას იწყებს სოციალ-დემოკ-

რატიული მოძღვრება. 90-იანი წლების დასასრულისათვის სოციალისტური აზროვნება ქართული სინამდვილის განუყოფელი ნაწილი ხდება.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების (საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიხედვით — მარქსიზმის) გავრცელებაზე ძალზე ბევრია დაწერილი. გამოჩენილი ქართველი მკვლევარები (ს. ხუნდაძე, ლ. გორგილაძე, ფ. ლომაშვილი) დიდი გულმოდგინებით სწავლობდნენ ამ უაღრესად რთულ პრობლემას,[13] თუმცა ზოგიერთი საკითხი მაინც მოითხოვს გარკვევასა და დაზუსტებას.

1. მემუარული ლიტერატურის გავლენით ჩვეულებრივ აღნიშნავენ ხოლმე, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება საქართველოში გავრცელდა დასავლეთ ევროპიდან ვარშავის გზით და რუსეთიდან. ეს დებულება მოითხოვს დაზუსტებას. სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება საქართველოში დასავლეთ ევროპიდან ერცელდებოდა პოლონეთის (ვარშავის) გზით ვარშავის ქართველ სტუდენტთა წრის მეშვეობით. ვარშავის ქართველ სტუდენტთა წრის (დაარსდა 1891 წელს) მეშვეობით საქართველოში გავრცელდა როგორც დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიული (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ე. ბერნშტაინი, კ. კაუცკი და სხვ.), ისე რუსული სოციალ-დემოკრატიის (გ. პლეხანოვი და საერთოდ „შრომის გათავისუფლების“ ჯგუფი) იდეები. ნ. ჟორდანია იგონებს, რომ ვარშავის წრეში ქართველი სტუდენტები კითხულობდნენ როგორც კ. კაუცკის, ისე გ. პლეხანოვის ნაშრომებს.[14] ცოტა ქვემოთ ნ. ჟორდანია ასეთ ფაქტს იხსენებს: „ხელში ჩამივარდა გ. პლეხანოვის ნაწერები. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა წიგნმა ტიხომიროვის წინააღმდეგ. ამ რუსულ ლიტერატურას ვაგზავნიდი საქართველოში, სადაც კავშირი და მიწერ-მოწერა მქონდა სამ პირთან: ეგნატე ნინოშვილთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან და დიმიტრი კალანდარიშვილთან“.[15] გ. პლეხანოვის ნაშრომებით გაეცნენ სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას ს. ჯიბლაძე, მ. ცხაკაია და სხვა მესამე დასელები. დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას, კერძოდ, კ. კაუცკის ნაწერებს, ნ. ჟორდანია ვარშავის წრეში გაეცნო[16] და შემდეგ კ. კაუცკის იდეებმა ფართო ასპარეზი ჰპოვა მის ნაშრომში „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“ (1894 წ.). ზემოთ თქმული დასტურდება ფ. მახარაძის მემუარებითაც. ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ ვარშავის წრეში იგი სწავლობდა კ. მარქსის, ფ. ენგელსის, კ. კაუცკის და გ. პლეხანოვის ნაშრომებს.[17] განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ნ. ჟორდანია სამშობლოში დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიის მიმდევრად დაბრუნდა, ხოლო ფ. მახარაძე — რუსული სოციალ-დემოკრატიისა.

2. ევროპაში ცხოვრების პერიოდში (1893-1897 წწ.) ნოე ჟორდანია ახლო ურთიერთობაში იყო გიორგი პლეხანოვთან, კარლ კაუცკისთან, ჟიულ გედთან, პოლ ლაფარგთან და სხვა სოციალისტებთან.[18] გიორგი პლეხანოვთან ახლო ურთიერთობის მიუხედავად, ნ. ჟორდანია მაინც დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიის მიმდევრად რჩება. რაც შეეხება ფ. მახარაძეს, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, იგი კიდევ უფრო მტკიცედ დგება რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე.

3. საქართველოში მოღვაწე სოციალ-დემოკრატები ს. ჯიბლაძე, მ. ცხაკაია, კ. ჩხეიძე, ის. რამიშვილი, ი. კაკაბაძე, დ. თოფურიძე და სხვ. სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას ეუფლებოდნენ როგორც გ. პლეხანოვის ნაშრომების მიხედვით, ისე დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა ნაწერებით. მათი ნაწილი (ს. ჯიბლაძე, მ. ცხაკაია) რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე დადგა, ხოლო ნაწილმა (ვლ. დარჩიაშვილი, ი. კაკაბაძე) დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიის იდეების გავლენა განიცადა.

4. საქართველოში დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიის იდეების დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა ვლადიმერ დარჩიაშვილმა, რომელიც ხანგრძლივი ვადით ცხოვრობდა ევროპაში და ახლო ურთიერთობაში იყო ცნობილ სოციალისტთან ემილ ვანდერველდესთან. ევროპაში ცხოვრების პერიოდში ვლ. დარჩიაშვილი საფუძვლიანად გაეცნო დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის თეორიასა და პრაქტიკას.

5. XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან, ძირითადად კი მეორე ნახევრიდან საქართველოში რუსული სოციალ-დემოკრატიის (გ. პლეხანოვი და საერთოდ „შრომის გათავისუფლების“ ჯგუფი) იდეებს ავრცელებენ რუსი და არარუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატები თ. აფანასიევი, ი. ლუზინი, ნ. კოზერენკო, გ. ფრანჩესკი, იპ. ფრანჩესკი, ო. კოგანი, ვ. კურნატოვსკი და სხვები. მათვე 90-იანი წლების ბოლოდან საქართველოში შემოიტანეს რუსული სოციალ-დემოკრატიის მეორე ცნობილი წარმომადგენლის ვ. ლენინის იდეები.

ამრიგად, XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება ვრცელდება ორი ნაკადის – დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიის (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ე. ბერნშტაინი, კ. კაუცკი და სხვ.) იდეებისა და რუსული სოციალ-დემოკრატიის (გ. პლეხანოვი, ვ. ლენინი) იდეების სახით. ამავე პერიოდიდან ქართული სოციალ-დემოკრატიის ნაწილი (ნ. ჟორდანია, ვლ. დარჩიაშვილი, ი. კაკაბაძე და სხვ.) დგება ევროპული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე, ხოლო ნაწილი (ფ. მახარაძე, ს. ჯიბლა-

ძე, მ. ცხაკაია და სხვ.) — რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე.

რას წარმოადგენდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის, ანუ იმ პერიოდისათვის, როცა საქართველოში დამკვიდრებას იწყებს სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება? XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ძირითადად სამ ბანაკად (მიმდინარეობად) იყო გაყოფილი:

1. გაზეთ „ივერიის“ ბანაკი, რომლის წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე ვერ შეგუებოდა ეროვნული მოძრაობის დაშლას ცალკე მიმდინარეობებად და ქართველი ერის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა მხოლოდ შემდეგი პრინციპებიდან გამომდინარე მიაჩნდა შესაძლებლად: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ის ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდპატარაობის გაურჩეველად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰსცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლბინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავისთავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან“.[19] იყო თუ არა ილიას „გულითადი რწმენა“ რეალური მისი განხორციელების თვალსაზრისით, სხვა საკითხია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ილია ჭავჭავაძეს ქართველი ერის უკეთესი მომავალი სწორედ ასე წარმოედგინა.

2. ჟურნალ „მოამბის“ ბანაკი, რომლის წინამძღოლი ნიკო ნიკოლაძე იყო, ქართველი ერის მომავალს მხოლოდ ბურჟუაზიული წყობილების დამყარებაში ხედავდა და ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ეს პროგრესის ერთადერთი გზა იყო.

3. გაზეთი „კვალის“ ბანაკი, რომელიც გიორგი წერეთლის გარშემო იყო შემოკრებული, უპირისპირდებოდა როგორც ილია ჭავჭავაძის, ისე ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებს. გ. წერეთლის მსოფლმხედველობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა სოციალისტურმა დოქტრინამ, მაგრამ სამოციანელთა თაობის ცნობილი წარმომადგენელი ვერც ეროვნულ ნიადაგს მოსწყდა. საბოლოოდ გ. წერეთელი ქართული ნაციონალ-სოციალიზმის მამამთავრად მოგვევლინა. ამ პოზიციაზე დარჩა გ. წერეთელი გარდაცვალებამდე (1900 წ.).

გარდა ზემოთ აღნიშნული სამი მთავარი მიმდინარეობისა, XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოში არსებობას განაგრძობდა რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის იდეოლოგია, მაგრამ იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე სერიოზულ გავლენას ვეღარ ახდენდა — ეს იდეოლოგია ევოლუციას განიცდიდა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებში ითქვიფებოდა. ამავე პერიოდში იკიდებს ფეხს ქართულ სინამდვილეში სოციალიზმის კიდევ ერთი მიმდინარეობა — ანარქიზმი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სუსტ მიმდინარეობას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს შეიქმნა მეტად საყურადღებო ორგანიზაცია „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ (1891-1892 წწ.). ზ. შველიძე „ლიგას“ ნაროდნიკულ ორგანიზაციად თვლიდა.[20] ა. ბენდიანიშვილი კი აღნიშნავს, რომ „ლიგამ“ „თავისებური ეტაპი შექმნა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში“.[21] ფ. ლომაშვილის აზრით, „ლიგა“ შეეცადა ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის თერგდალეულთა პროგრამაში გარკვეული კორექტივი შეეტანა და მან ეს შეძლო კიდეც“.[22] ჩვენ მიგვაჩნია, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ იყო ერთადერთი ორგანიზაცია (პოლიტიკური მიმდინარეობა), რომელიც ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ მემკვიდრედ შეიძლებოდა ქცეულიყო. ჩვენ არ ვიცით, როგორ შეაფასებდა ამ ორგანიზაციის პროგრამას ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ვფიქრობთ, „ლიგა“ ყველაზე უკეთ ჩაწვდა ილიას ეროვნული პროგრამის არსს, ყველაზე უკეთ გაიაზრა ეროვნული მოძრაობის მიღწევები და მისი კრიზისის მიზეზები. სწორედ ამიტომ „ლიგის“ პროგრამა ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისად უნდა ქცეულიყო. „ლიგის“ პროგრამის ხორცშესხმით ეროვნული მოძრაობა ორგანულად აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით სამოციანელთა დიდი თაობის მიერ დაწყებულ საქმეს. სამწუხაროდ, „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ მალე გაანადგურეს და ამდენად მან გავლენა ვერ მოახდინა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაზე.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სამი მთავარი მიმდინარეობის დამოკიდებულება ახლადჩასახულ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისადმი ბევრად განსაზღვრავდა არა მარტო ამ უკანასკნელის ბედს, არამედ მთელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შინაარსს.

ილია ჭავჭავაძის და საერთოდ „ივერიის“ ბანაკის დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისადმი აშკარად უარყოფითი იყო. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების გავრ-

ცელებამდე დიდი შემართებით აღუდგა წინ საქართველოში რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის იდეების გავრცელებას. ილიას ბრძოლა სოციალიზმის იდეების წინააღმდეგ უმთავრესად იმით აიხსნება, რომ სოციალისტური მოძღვრება იმ შინაარსით, რა შინაარსითაც იგი რუსეთსა და საქართველოში გავრცელდა, საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის ილიასეულ იდეას. ილია ჭავჭავაძეს ყველაზე მეტად სწორედ ეს აშინებდა რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმში. იგივე საფრთხე დაინახა ილიამ სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებაში.

სოციალურ საკითხზე ილია ჭავჭავაძესთან ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სერგეი მესხის დაპირისპირება თერგდალეულთა დასის („პირველი დასის“) განხეთქილებით დამთავრდა. „პირველ დასს“ გამოეყო „მეორე დასი“ (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი). „მეორე დასი“ ორგანიზაციულად, შეიძლება ითქვას, არც გაფორმებულა, იდეურად კი ძალზე არამყარი აღმოჩნდა. ს. მესხის გარდაცვალების (1883 წ.) შემდეგ წინააღმდეგობამ იჩინა თავი ნ. ნიკოლაძესა და გ. წერეთელს შორის, რაც 1893-1894 წლებში „კვალისა“ და „მოამბის“ ბანაკების ჩამოყალიბებით დამთავრდა. ნიკო ნიკოლაძეს ილია ჭავჭავაძისაგან განსხვავებით სოციალისტური მოძღვრების მიმართ უარყოფითი პოზიცია არ დაუკავებია. რაც შეეხება გიორგი წერეთელს, იგი აშკარა თანაგრძნობით შეხვდა სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველ სოციალ-დემოკრატთა გამოსვლას. გაზეთ „კვალში“ თითქმის შეუფერხებლად იბეჭდებოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა პუბლიცისტური წერილები და სხვა ნაშრომები. გ. წერეთლისა და ქართველ სოციალ-დემოკრატთა ახლო ურთიერთობა საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ 1897 წლის ბოლოს გ. წერეთელმა გაზეთი „კვალი“ სოციალ-დემოკრატებს გადასცა, რითაც დიდად შეუწყო ხელი სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების დამკვიდრებას საქართველოში.

გიორგი წერეთლის მიერ ქართველ სოციალ-დემოკრატთა მხარდაჭერა და წახალისება ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს შორის ურთიერთობის დაძაბვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. ილიას არ სწამდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა გზის სისწორე, ხოლო „მესამე დასის“ შექმნა ეროვნულ მოძრაობაზე მორიგ დარტყმად მიაჩნდა. მას შემდეგ, რაც მისთვის დამახასიათებელი სარკაზმით წარმოადგინა გაზეთი „კვალი“ და „მესამე დასი“ პამფლეტში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (1896 წ.) ილია ჭავჭავაძე წერდა: „იქნება გეგონოთ, ამით მინდოდეს თავი მოვაწონო გ. წერეთელს, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბედნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა. მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო, თუ ღმერთი შემეწევა და მე ჩემით მოგაწონეთ თავი, მე

მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები. ოთხი სამზე ერთიც წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო. ბ-ნ გ. წერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა: საქმე ეხლა თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს — მეექვსე და წავა ესე, მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპისა — კი რა მოგახსენოთ".[23] აშკარა იყო, რომ „ქართული პროგრესის" გაგებაში ილია ჭავჭავაბისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების შეთანხმება შეუძლებელი იქნებოდა.

ამრიგად, სრციალ-დემოკრატიული მოძღვრების გავრცელებამ და დამკვიდრებამ საქართველოში XIX საუკუნის 90-იან წლებში მკვეთრად შეცვალა ძალთა განლაგება ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე. იმთავითვე ცხადი შეიქნა, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ იყო ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის ჩვეულებრივ მიმდინარეობა. ისტორიული ეპოქა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარება ხელს უწყობდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობას დასავლეთ ევროპაშიც, რუსეთშიც და საქართველოშიც.

§2. ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანება. „მესამე დასის" შექმნა. პროგრამის მიღება

ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანება — „მესამე დასის" შექმნა აგერ უკვე სამოცდაათ წელზე მეტია იქცევს ქართველ მკვლევართა ყურადღებას. მრავალ ნაშრომთა შორის გამოირჩევა ს. ხუნდაძის, ლ. გორგილაძისა და ფ. ლომაშვილის გამოკვლევები.[24] სამწუხაროდ, საარქივო დოკუმენტები და მასალები „მესამე დასის" მოღვაწეობის საწყისის პერიოდის (1892-1893 წწ.) შესახებ ძალზე მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი და ისიც უმეტესწილად გვიან პერიოდს განეკუთვნება. გამოქვეყნებული მემუარებიდან აღსანიშნავია ნ. ჟორდანიას, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძისა და მ. მირიანაშვილის მოგონებები. ფ. მახარაძის მემუარები ფაქტობრივი თვალსაზრისით სანდო არ არის, რადგან ფ. მახარაძე „მესამე დასის" ზესტაფონისა და თბილისის კონფერენციებს არ ესწრებოდა. სამაგიეროდ, იგი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვარშავის ქართველ სტუდენტთა წრის შესახებ. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ფ. მახარაძის მემუარები ძალზე ტენდენციუ-

რია.[25] მართალია, მ. ცხაკაია მოვლენათა თვითმხილველია, მაგრამ მისი მემუარები კიდევ უფრო ტენდენციურია, ვიდრე ფ. მახარაძისა.[26] ფაქტობრივი თვალსაზრისით რამდენადმე საინტერესოა მ. ცხაკაიას გამოუქვეყნებელი მოგონებები, თუმცა იქ მოცემული შეფასებები და დასკვნები ძალზე ტენდენციურია.[27] მ. მარიანაშვილის მემუარები საყურადღებოა იმით, რომ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვარშავის ქართველ სტუდენტთა წრის შესახებ.[28] გამოუქვეყნებელი მემუარებიდან ყურადღებას იმსახურებს ი. კაკაბაძისა და რ. კალაძის მოგონებები.[29] როგორც ფაქტობრივი, ისე ობიექტურობის თვალსაზრისით ყველა მემუარზე მაღლა დგას ნ. ჟორდანიას მემუარები.[30] „მესამე დასის“ საწყისის პერიოდის ისტორიისათვის მათ წარმოადგენლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „მესამე დასის“ საწყისის პერიოდის ისტორიისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ამ ორგანიზაციის პროგრამას, რომელიც ნ. ჟორდანიამ დაწერა და თბილისის კონფერენციამ (1893 წლის თებერვალ-მარტი) დაამტკიცა.[31]

„მესამე დასის“ შექმნის ისტორიის გაშუქებისას ჩვენ ზემოთ ხსენებულ წყაროებსა და ლიტერატურას ვეყრდნობოდით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ შევეხეთ, ან მხოლოდ მოკლედ შევჩერდით იმ საკითხებზე, რომლებიც ვრცლად და საფუძვლიანადაა წარმოდგენილი ს. ხუნდაძის, ლ. გორგილაძისა და ფ. ლომაშვილის ნაშრომებში. ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რომელიც დღესაც საპოლემიკოა.

ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანების სათავეებთან იდგნენ: ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი), სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, ისიდორე რამიშვილი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, მიხა ცხაკაია, ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილი, რაჟდენ კალაძე, იოსებ კაკაბაძე, პეტრე გელეიშვილი, დიმიტრი კალანდარიშვილი, ევგენი ვაწაძე, არსენ წითლიძე, ისიდორე კვიცარიძე და სხვ.[32] „მესამე დასის“ შექმნის წინა პერიოდისათვის (1890-1892 წწ.), ცხადია, ყველა მათგანი ერთი მსოფლმხედველობის მატარებელი არ იქნებოდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალით ძნელდება „მესამე დასის“ დამაარსებელთა მსოფლაღქმის გარკვევა, თუმცა ზოგიერთი დასკვნის გაკეთება მაინც შესაძლებელია. იხსენებს რა 1890 წლის ამბებს, კერძოდ, ვარშავაში სასწავლებლად გამგზავრების წინა პერიოდს, ნ. ჟორდანია აღნიშნავს: „ამ დროს მარქსის მსოფლმხედველობას არ ვიცნობდით და არც გაგვეგონა ამის შესახებ, გარდა თვით სახელი მარქსისა და მისი წიგნის „კაპიტალ“-ისა, რაიც არ წაგვიკითხავს. მე ჩემდათავად უნდა ვთქვა, რომ გავემგზავრე (ვარშავაში — ვ. გ.) როგორც ნაროდნიკ ლავროვის შკოლისა და ვებრძოლი მიხაილოვსკის მიმართულებას“.[33] ნ. ჟორდანიამ სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების შესწავლა ვარშავაში

დაიწყო (1891 წ.). ვარშავაში ჩასვლის პერიოდში (1891 წ.) იყო თუ არ
ფ. მახარაძე რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის მიმდევარი, ძნელ
სათქმელია, მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას რომ არ იცნობ
და, ცხადი ხდება მისი მემუარებიდან.[34] ფ. მახარაძეს, როგორც თვითო
იგონებს, იმხანად არაფერი ჰქონდა გაგებული გ. პლეხანოვის „შრომის
გათავისუფლების“ იკგუფზეც კი.[35] ფ. მახარაძეც სოციალ-დემოკრატიულ
მოძღვრების შესწავლას ვარშავაში იწყებდა (1891 წ.). როგორც ნ. ჟორ
დანიას მემუარებიდან ირკვევა, 1890-1892 წლებისათვის ნაროდნიკულ
იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ის. რამიშვილი.[36] ნ.ჟორდანიას თ
ვერწმუნებით, 1892 წლისათვის მარქსიზმის კარგ მცოდნედ ითვლებოდ
კ. ჩხეიძე.[37] სხვადასხვა მასალის შეკრების საფუძველზე უნდა ვივარაუ
დოთ, რომ 1890-1892 წლებში სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების
შესწავლით სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი ეგ. ნინოშვილი დ
ს. ჯიბლაძე. მ. ცხაკაია სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების საფუძველია
ნი მცოდნე არასდროს ყოფილა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ 1890-
1892 წლებშიც მას ძალზე ზერელე წარმოდგენა ჰქონდა სოციალ-დემოკ
რატიულ მოძღვრებაზე. კიდევ უფრო ნაკლები, თითქმის არაფერი ვიცით
„მესამე დასის“ ზესტაფონისა და თბილისის კონფერენციების სხვა მონა
წილეთა მსოფლმხედველობის შესახებ, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ
ისინი სოციალ-დემოკრატიული დოქტრინას ღრმად და საფუძვლიანად არ
იცნობდნენ და ამ მხრივ ბევრად ჩამორჩებოდნენ ნ. ჟორდანიას, ეგ. ნინო
შვილს, ფ. მახარაძეს, კ. ჩხეიძესა და ს. ჯიბლაძეს.

1890-1892 წლებში სოციალ-დემოკრატიული მოძღვრებით დაინტე
რესებული ახალგაზრდობა ერთმანეთს ხვდება და იდეური და ორგანიზა
ციული გაერთიანებისაკენ პირველ ნაბიჯებს დგამს. გაერთიანებისათვის
ნიადაგის მომზადებაში დიდი როლი შეასრულა ვარშავის ქართველ სტუ
დენტთა წრემ (ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე და სხვ.) და ზესტაფონის წრემ
(ეგ. ნინოშვილი, მ. ცხაკაია, კ. ჩხეიძე, ი. კაკაბაძე და სხვ.). ამ ორი
წრის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებდათ პირადი მეგობრობა. ვარშავისა
და ზესტაფონის წრეებს შორის კავშირიც არსებობდა. მაგალითად,
ნ. ჟორდანია წერილებსა და ლიტერატურას უგზავნიდა ეგ. ნინოშვილს,
დ. კალანდარიშვილსა და ს. ჯიბლაძეს.[38] 1891-1892 წლები ორივე წრე
ში, როგორც ჩანს, დიდი ინტენსიობით სწავლობდნენ სოციალ-დემოკრა
ტიულ მოძღვრებას. იდეური და ორგანიზაციული გაერთიანებისაკენ პირ
ველი ნაბიჯები იდგმება 1892 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე
ნ. ჟორდანიას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.[39] რამდენჯერმე შეხვდნენ
ერთმანეთს ნ. ჟორდანია, ეგ. ნინოშვილი და ს. ჯიბლაძე. სოციალ-დემოკ

რატიული მოძღვრებით დაინტერესებული ახალგაზრდობის შეკრების მოწყობის ინიციატორად ეგ. ნინოშვილი გვევლინება.[40]

1892 წლის 25 დეკემბერს ზესტაფონში (ყვრილაში) იოსებ კაკაბაძის სახლში შეიკრიბნენ: ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, მიხა ცხაკაია, იოსებ კაკაბაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, რაჟდენ კალაძე, არსენ წითლიძე, ევგენი ვაწაძე. შეკრების დასასრულს ზესტაფონში ჩავიდა სილიბისტრო ჯიბლაძე.[41] ეს შეკრება, რომელზედაც დაარსდა პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“, მემუარულ და სამეცნიერო ლიტერატურაში იხსენიება „კრების“, „კონფერენციის“ და „ყრილობის“ სახელწოდებით. იმხანად კონფერენციის მონაწილენი მათ მიერ შექმნილ ორგანიზაციას „მესამე დასს“ არ უწოდებდნენ. სახელწოდება „მესამე დასი“ პირველად გვხვდება ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზე ს. ჯიბლაძის მიერ წარმოთქმული სიტყვის საგაზეთო ვარიანტში (1894 წლის მაისი), თუმცა სამოქალაქო უფლება მან გ. წერეთლის წერილის გამოქვეყნების შემდეგ მოიპოვა (1895 წლის იანვარი).[42] მას შემდეგ ეს სახელწოდება მტკიცედ დამკვიდრდა მემუარულ და სამეცნიერო ლიტერატურაში.

ზესტაფონის კონფერენცია ფაქტიურად მოუმზადებლად გაიმართა. წინასწარ არ შეუმუშავებიათ პროგრამის პროექტი, არ განუსაზღვრავთ მომავალი ორგანიზაციის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმა. კონფერენციის წინა პერიოდში ნ. ჟორდანიას დაუწერია და ვარშავაში ფ. მახარაძისათვის გაუგზანია „ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის“ პროექტი. პროექტი ფ. მახარაძეს უკან აღარ დაუბრუნებია. მან ვარშავიდან დ. კალანდარიშვილის სახელზე გამოგზავნილ წერილში ნ. ჟორდანიას აცნობა ვარშავის ქართველ სტუდენტთა წრეში პროგრამის პროექტის განხილვის შედეგები. თუ ფ. მახარაძესა და მ. მირიანაშვილს ვენდობით, ნ. ჟორდანიას მიერ შედგენილი პროგრამის პროექტი ვარშავის წრეს დაუწუნებია.[43] ცხადია, ფ. მახარაძის წერილის განხილვა ბევრს ვერაფერს მისცემდა ზესტაფონის კონფერენციას, რადგან ნ. ჟორდანიას მიერ შედგენილი პროგრამის პროექტი ხელთ არ ჰქონდათ. გარდა ამისა, კონფერენციის მუშაობაში ფ. მახარაძე არ მონაწილეობდა და ამდენად, ვარშავაში მომხდარ განხილვასთან დაკავშირებული ბევრი კითხვა უპასუხოდ დარჩებოდა. ნ. ჟორდანიას შეეძლო მის მიერ ვარშავაში გაგზავნილი პროგრამის პროექტის შესახებ ზეპირად მოეხსენებინა კონფერენციისათვის, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მას ეს არ გაუკეთებია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნ. ჟორდანიას თავშეკავების მიზეზი ფ. მახარაძის წერილიც იყო. ასეთ ვითარებაში კონფერენციაზე გაიმართა პოლემიკა

საპროგრამო პრინციპების შესახებ. ამ პოლემიკის შინაარსის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს „მესამე დასის“ ისტორიისათვის.

საბჭოთა ისტორიოგრაფია თვლიდა, რომ „მესამე დასის“ ზესტაფონის კონფერენციაზე ერთმანეთს შეეჯახა „რევოლუციური“ (მ. ცხაკაია და სხვ.) და „ოპორტუნისტული“ (ნ. ჟორდანია და სხვ.) მიმდინარეობდა.[44] ჩვენი აზრით, ზესტაფონის კონფერენციაზე ერთმანეთს შეეჯახნენ რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის იდეების გავლენის ქვეშ მყოფი და რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის იდეების გავლენას თავდაღწეული — სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას დაწაფებული — ახალგაზრდები. იგონებს რა ზესტაფონის კონფერენციაზე გამართული პოლემიკის შინაარსს, ნ. ჟორდანია აღნიშნავს: „ამ კამათის დროს ევ. ვაწაძემ იქვე რუსულად ჩამოწერა უმრავლესობის ტენდენციის პრინციპები, მსგავსად პროგრამისა, რაიცა შეიცავდა ათიოდე მუხლს; ეს იყო განმეორება უტოპიური სოციალიზმის მთავარი დებულებების: აჯანყება, რევოლუციონური მთავრობა, სოციალიზმის დამყარება, — სწორედ ის, რაც შემდეგ თვალწინ გადაიშალა ბოლშევიზმის სახით. პროგრამაში ადგილი არ დაურჩა არც ნაციას, არც დემოკრატიას“.[45] ნ. ჟორდანიას მეშუარების ეს ადგილი გაუგებრობას ბადებს. ჩვენი აზრით, „უტოპიური სოციალიზმში“ ნ. ჟორდანია ამ შემთხვევაში გულისხმობს რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს, რადგან „აჯანყება, რევოლუციონური მთავრობა, სოციალიზმის დამყარება“ სწორედ რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის სტრატეგიას წარმოადგენდა. რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის ძლიერ გავლენას განიცდიდა რუსული სოციალ-დემოკრატია (გ. პლეხანოვი და საერთოდ მთელი „შრომის გათავისუფლების“ ჯგუფი). ასე რომ, ზესტაფონის კონფერენციაზე ერთმანეთს რუსული ნაროდნიკული სოციალიზმისა და რუსული სოციალ-დემოკრატიისათვის საერთო აჯანყების, რევოლუციური მთავრობისა და სოციალიზმის დამყარების იდეა დაუპირისპირდა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეებს. ნ.ჟორდანიას სიტყვები — „აშკარა იყო მარქსიზმის დამარცხება ყვირილაში“[46] — უნდა გავიგოთ როგორც დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეების დამარცხება და რუსული ნაროდნიკული სოციალიზმისა და რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების გამარჯვება.

„მესამე დასის“ ზესტაფონის კონფერენციაზე 1892 წლის დეკემბერში მოხდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული გაერთიანება. მართალია, პროგრამის საკითხი საბოლოოდ გადაუჭრელი დარჩა, მაგრამ გაერთიანების გზაზე სრეიოზული გამარჯვება უკვე მოპოვებული იყო. იდეური უთანხმოების მიუხედავად პირველი საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შეიქმნა.

პროგრამულ საკითხებზე პრინციპული უთანხმოების პირობებში „მესამე დასი“ ვერ იარსებებდა. საჭირო იყო პროგრამის ახალი პროექტის შემუშავება, მისი განხილვა და დამტკიცება. ინიციატივას ამჯერად ნ. ჟორდანია და ს. ჯიბლაძე იჩენდნენ. მათ მხარს უჭერდა ეგ. ნინოშვილი. ნ. ჟორდანია იგონებს, რომ ზესტაფონის კონფერენციის შემდეგ იგი ს. ჯიბლაძესთან ერთად გურიაში გაემგზავრა. როგორც ჩანს, სწორედ აქ შეთანხმდნენ ისინი „მესამე დასის“ ახალი პროგრამის შემუშავების თაობაზე: „ჩვენ ორისათვის აშკარა იყო მარქსიზმის დამარცხება ყვირილაში და გადავწყვიტეთ საქმის შემობრუნება. მოგვემზრო ეგნატეც და მან ითავა კრების მოწვევა, როცა წარმოვადგენდი პროექტს განსხვავებულს ყვირილისაგან“.[47] ნ. ჟორდანიას „მესამე დასის“ პროგრამის პროექტი მზად ჰქონდა 1893 წლის იანვრის დამლევისათვის.[48]

1893 წლის თებერვლის ბოლოსა და მარტის დამდეგს თბილისში ჯერ ისიდორე კვიცარიძისა, ხოლო შემდეგ ვლადიმერ დარჩიაშვილის ძმის ბინაზე გაიმართა „მესამე დასის“ მეორე კონცერენცია.[49] კონფერენციას დაესწრნენ: ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე, მიხა ცხაკაია, იოსებ კაკაბაძე, ისიდორე კვიცარიძე და სტეფანე დანდურაოვი.[50] ნ. ჟორდანიამ კონფერენციას წარუდგინა მის მიერ დაწერილი პროგრამის პროექტი. პროექტი წარმოდგენილი იყო ერცელი მოხსენების სახით სათაურით „რა ვაკეთოთ“. განხილვის შედეგებს ნ. ჟორდანია ასე იგონებს: „ყვირილის პროგრამა არავის გაუხსენებია. მის დამცველად არავინ გამოსულა. ჩემი პროექტის დასკვნებს არავითარი კამათი არ გამოუწვევია, მხოლოდ დასაბუთება არ მიაჩნდათ საკმარისად და ითხოვდნენ გაძლიერებას ისტორიული მაგალითებით. განსაკუთრებით ამ მხარეს აწვებოდა კ. ჩხეიძე“[51]. ნ. ჟორდანიამ შენიშვნები გაითვალისწინა და შესწორებული პროექტი კონფერენციამ დაამტკიცა.[52]

ნ. ჟორდანიას „რა ვაკეთოთ“ „მესამე დასის“ თბილისის კონფერენციაზე წარდგენილი სახით დღეისათვის ცნობილი არ არის. „რა ვაკეთოთ“ ემიგრაციაში წასვლის წინ (1893 წ.) ნ. ჟორდანიამ დასაბეჭდად გადასცა გაზეთ „ივერიის“ რედაქციას. ილია ჭავჭავაძემ ნაშრომი არ დაბეჭდა. 1894 წელს „რა ვაკეთოთ“ შეცვლილი სათაურით — „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“ — გამოაქვეყნა ჟურნალმა „მოამბემ“.[53] ახლა ძნელი დასადგენია ნ. ჟორდანიას „რა ვაკეთოთ“, მოწონებული (დამტკიცებული) „მესამე დასის“ თბილისის კონფერენციის მიერ და ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებული „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“ ტექსტობრივი თვალსაზრისით რამდენად ემთხვეოდა ერთმანეთს. ნ. ჟორდანიას თხზულებათა პირველ ტომს, რომელიც 1920 წელს გამოიცა თბილისში, დართული აქვს „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“ და გრ. ყიფში-

ბის მოგონება „კარგა ხნის წინად“.[54] „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში“ ვკითხულობთ: „მაისში (1893 წ. — ვ. გ.) ის (ნ. ჟორდანია — ვ. გ.) წავიდა საზღვარგარეთ და რადგან „ივერიაში“ ეს წერილი („რა ვაკეთოთ“ — ვ. გ.) არ დაიბეჭდა — ავტორმა თან წაიღო ევროპაში. ამ დროს გამოცხადდა ჟურნალ „მოამბის“ გამოცემა 1894 წლიდან. ავტორმა ეს წერილი 1893 წელს ზაფხულში შვეიცარიიდან გამოუგზავნა „მოამბეს“ იმ სათაურით, რომელიც დღეს აქვს. „მოამბის“ რედაქციაში ალ. ჭყონიამ წერილს ვერაფერი გაუკვლია, ვერ მიხვდა რაში იყო საქმე, და მსჯავრის დასადებად გაუგზავნა ქუთაისში ზდანოვიჩს. მანაც დიდხანს ატრიალა და ბოლოს დასაბეჭდად მოიწონა, მხოლოდ მას რამდენიმე ადგილი გამოეკლო, მიმატებით კი ერთი სიტყვაც არ მიემატებია. ამოშლილი იყო განსაკუთრებით ეკონომიური არგუმენტები, დაახლოებით ერთი მეხუთედი... ახლა, რასაკვირველია, შემოკლებულის აღდგენა შეუძლებელია, რადგანაც არც დედანია და არც შავი“.[55] იგივე დასტურდება გრ. ყიფშიძის მოგონებიდანაც.[56] „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“ 1920 წელს, ე. ი. ნ. ჟორდანიას სიცოცხლეში, დაიბეჭდა და იქ მოტანილი ფაქტების სისწორეში დაეჭვება არ შეიძლება.

ამრიგად, ნ.ჟორდანიას „რა ვაკეთოთ“ და „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“ ტექსტობრივი თვალსაზრისით ერთმანეთს არ ემთხვევა, „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“ რამდენადმე შეკვეცილი ვარიანტია ნაშრომებისა „რა ვაკეთოთ“, თუმცა ორივე ნაშრომის განზოგადებანი და დასკვნები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს.

ნ. ჟორდანიამ „მესამე დასის“ პროგრამა წარმოადგინა თავისი მოხსენების დასკვნაში. მოვიტანთ ამ დასკვნას მთლიანად:

„1. ნივთიერი კეთილ-დღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2. თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, როგორც ხელ-შემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევად და რო გორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან, 3. ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თითოეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქნას ეკონომიურ ნიადაგზე“.[57] იმავე დასკვნებს ნ. ჟორდანია შემდეგნაირადაც აყალიბებს:

„I. ეკონომიური კეთილდღეობა — როგორც უმთავრესი პირობა ადამიანთა ბედნიერებისა; II. ვაჭრობა და წარმოება — როგორც ძველი კარჩაკეტილი ცხოვრების დამარღვეველი და ერის, კაცობრიობის გამაერთიანებელი ძალა (პროგრესიული მოვლენა). ა) ერის და თითოეულის პირის თავისუფლება — როგორც საუკეთესო საშუალება მეორე მუხლში მოხსენებულ სურვილის განსახორციელებლად; III. გაძლიერება ბურჟუაზიული

წეს-წყობილებისა და უმრავლესობის ნივთიერათ გაღარიბება, ადგილ-მამულის ხელიდან გაცლით და უმცირესობის ბატონობით (რეგრესიული მოვლენა); IV. გაღარიბებული ნაწილის შეკავშირება და პირველ მუხლში მოხსენებულ სურვილისკენ მიმართვა — როგორც პირ-და-პირი იარაღი კეთილდღეობის მოპოვებისა (პროგრესიული მოვლენა)".[58]

საბჭოთა ისტორიოგრაფია ნ. ჟორდანიას ამ დასკვნაში, ფაქტობრივად „მესამე დასის" პროგრამაში, მხოლოდ უმნიშვნელოსა და წვრილმან აქცევდა ყურადღებას, უმთავრესს კი ჩქმალავდა. სწორედ ამიტომ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: ნოე ჟორდანიას ნაშრომი „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა", როგორც მთლიანად ნაშრომი, ისე მისი დასკვნა, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ სინამდვილეში, ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.

6. ჟორდანიამ ჩამოაყალიბა ქართული სოციალ-დემოკრატიის სამოქმედო პროგრამა:

1. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიზანია ეკონომიური კეთილდღეობის მიღწევა, რადგან ეკონომიური კეთილდღეობა ადამიანთა ბედნიერების უმთავრესი პირობაა;

2. ბურჟუაზიული წყობილების მიერ ფეოდალური წყობილების მოსპობა და ახალი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური სისტემის დამყარება უაღრესად დიდი პროგრესული მოვლენა იყო;

3. ბურჟუაზიულ წყობილებას, მისი უცილობელი პროგრესულობის მიუხედავად, ახასიათებს სოციალური წინააღმდეგობანი სხვადასხვა კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის;

4. სოციალ-დემოკრატიის მიზანია დაიცვას მშრომელი მასების ინტერესები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში;

5. ეროვნული თავისუფლება წარმოადგენს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის აუცილებელ პირობას;

6. ადამიანის უფლება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თავისუფლების აუცილებელი პირობაა;

7. სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის სულაც არ გულისხმობდა ბურჟუაზიულ წყობილების რევოლუციის გზით მოსპობას.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს: ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული „მესამე დასის" პროგრამა, მისი ყველა მუხლი დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის გავლენითაა ჩამოყალიბებული. პროგრამა პრინციპულად ემიჯნება რუსული სოციალ-დემოკრატიის (გ. პლეხანოვი) პლატფორმას — ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა კლასთა ბრძოლისა და სოციალური რევოლუციის

გზით ბურჟუაზიული წყობილების მოსპობა არ მიიჩნიეს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთადერთ გზად.

„მესამე დასის“ პროგრამით ახალი ეტაპი დაიწყო ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში.

„მესამე დასის“ თბილისის კონფერენციამ, გარდა პროგრამის მიღებისა, იმსჯელა ორგანიზაციულ საკითხებზე. გადაწყდა „პრაქტიკული მუშაობის დაწყება: წერით, სიტყვით და ორგანიზაციების დაარსებით, პირველყოვლისა თბილისში“.[59]

„მესამე დასის“ პირველი საჯარო გამოსვლა მოხდა 1894 წლის 8 მაისს სოფელ ჩანჩეთში (ოზურგეთის მაზრა) ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე. ეგ. ნინოშვილის დაკრძალვას დაესწრნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, მიხა ცხაკაია, ვლადიმერ დარჩიაშვილი, რაჟდენ კალაძე, იოსებ კაკაბაძე, პეტრე გელეიშვილი, არსენ წითლიძე, ისიდორე კვიცარიძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, სტეფანე დანდუროვი და სხვ.[60] ნ. ჟორდანია ამ დროს ემიგრაციაში იმყოფებოდა. ამ დღეს სიტყვით გამოვიდნენ: ს. ჯიბლაძე, ვლ. დარჩიაშვილი, ი. კაკაბაძე, პ. გელეიშვილი.[61]

ეგ. ნინოშვილის დასაფლავების შემდეგ მესამე დასელები შეიკრიბნენ სოფელ ნიგოითში (ოზურგეთის მაზრა) დიმიტრი კალანდარიშვილთან. ი. კაკაბაძის მემუარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნიგოითის შეკრებაზე საუბარი იყო „საეგმო-სამუშაო კითხვებზე“.[62]

ამრიგად, ზესტაფონისა და თბილისის კონფერენციებზე, ასევე ნიგოითის შეკრებაზე მოხდა ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანება — შეიქმნა პირველი საერთოქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“, მიღებული იქნა ორგანიზაციის პროგრამა, განისაზღვრა იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

§3. „მესამე დასის“ მოღვაწეობის პირველი პერიოდი. სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამკვიდრება საქართველოში (1893-1897 წწ.)

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამკვიდრებაზე, მის შინაარსსა და ადგილზე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში შეიძლება ვიმსჯელოთ ეგნატე ნინოშვილის, სილიბისტრო ჯიბლაძის, ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძის ნაშრომების მიხედვით. ამ ნაშრომთა აბსოლუტური უმრავლესობა 1893-1897 წლებში გამოქვეყნ-

და, რამდენიმე მათგანი კი გვიან — ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, ე. ი. დაწერიდან კარგა ხნის შემდეგ. ზოგიერთი ნაშრომი დაკარგულია. მაგალითად, დღემდე მიუკვლეველია ნ. ჟორდანიას „ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის“ პროექტი (1892 წ.) და ეგ. ნინოშვილის „ძველი თუ ახალი?“ (1893 წ.). ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო ცდები ამ ნაშრომთა შინაარსის აღდგენისა, მაგრამ ჩვენ იგი სარწმუნოდ არ მიგვაჩნია.[63] სწორედ ამიტომ, ნ. ჟორდანიას „ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის“ პროექტი და ეგ. ნინოშვილის „ძველი თუ ახალი?“ გათვალისწინებული არ იქნება მათი ავტორების მსოფლმხედველობის შეფასებისას. ფ. მახარაძის ნაშრომები: „უთავბოლობის ნაყოფი“, „მწარე ფიქრები“, „ორიოდე სიტყვა დიალექტიური მატერიალიზმის შესახებ“, „წარსული და მომავალი ჩვენი ერისა“ და „ჰეგელი და მარქსი“ — დაწერილი XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგსა და შუა ხანებში, მხოლოდ 1924-1929 წლებში გამოქვეყნდა[64] და ამდენად, შესაძლებელია ფ. მახარაძემ პოლიტიკური მოსაზრებით მათში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხსენებულ ნაშრომებს ძირითადად შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი შინაარსი და ამდენად, მათი გათვალისწინება ფ. მახარაძის მსოფლმხედველობის შეფასებისას შესაძლებელია. „მესამე დასის“ მოღვაწეთა მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ მემუარულ ლიტერატურას, რადგან მიგვაჩნია, რომ გამარჯვებული პოლიტიკური მოღვაწეები (ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, რ. კალაძე და სხვ.) ბევრ რაიმეს მიაწერენ როგორც საკუთარ თავს, ისე მათ თანამებრძოლებს (მაგალითად, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძეს, რ. კალაძეს, ეგ. ნინოშვილს და ა. შ.), რომელთა დიდი ნაწილი არ დასტურდება სხვა, უფრო სანდო მასალით. ამავე დროს, ეს მემუარები შეიცავენ დამარცხებული პოლიტიკური მოღვაწეების ნააზრევის განქიქების ცდას (მაგალითად, ასე ეპყრობა მ. ცხაკაია ნ. ჟორდანიას ნააზრევს). რაც შეეხება დამარცხებული პოლიტიკური მოღვაწეების (მაგალითად, ნ. ჟორდანიას) მემუარებს, მათში შეიმჩნევა მისწრაფება თავის მართლებისა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ნ. ჟორდანიასათვის, ფ. მახარაძისა და მ. ცხაკაიასაგან განსხვავებით, მემუარების გამოქვეყნების პერიოდისათვის (30-იანი წლები) პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, თუ როგორი იყო მისი მსოფლმხედველობა XIX საუკუნის 90-იან წლებში, ან უფრო გვიან. რაც შეეხება ფ. მახარაძეს და მ. ცხაკაიას, მათთვის მარქსიზმთან ყოველი დაცილება, ყოველი ანტიმარქსისტული დებულება წამოყენებული, თუნდაც 30-40 წლის წინათ, ძალზე საშიში იყო პოლიტიკური კარიერისათვის და გარკვეული აზრით, სიცოცხლისათვისაც კი.

სწორედ ამის გამო ნოე ჟორდანიას მემუარები გაცილებით ობიექტურია, ვიდრე ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიასა და რ. კალაძისა.

მეტი გარკვეულობის მიზნით, ჩვენ თავიდანვე უნდა ჩამოვთვალოთ ის ნაშრომები, რომელთა მიხედვითაც ვაპირებთ ეგ. ნინოშვილის, ს. ჯიბლაძის, ნ. ჟორდანიასა და ფ. მახარაძის მსოფლმხედველობის შესახებ მსჯელობას. ესაა ეგ. ნინოშვილის „ძველი დავა ახალ ქურქში“ (1893 წ.), „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“ (1893 წ.), ეგ. ნინოშვილის კერძო წერილები გიორგი წერეთლისადმი (1893 წ. დეკემბერი) და ანასტასია წერეთლისადმი (1894 წ. 23 იანვარი); ს. ჯიბლაძის „ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გარდაცვალების გამო (სიტყვა თქმული სილ. ჯიბლაძის მიერ). „მესამე დასის“ პროგრამა“ (1894 წ.), „კვალი“ და მესამე დასის მწერლები“ (1895 წ.); ნ. ჟორდანიას „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“ (1894 წ.), „მოამბის“ პუბლიცისტიკა“ (1894 წ.), „კრიტიკის კრიტიკა“ (1895 წ.), „ფრიდრიხ ენგელსი“ (1895 წ.), „მოამბე“, „ივერია“ და ეროვნობა“ (1895 წ.), „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“ (1896 წ.), „გაზ. „ივერია“ და ეროვნობა“ (1897 წ.); ფ. მახარაძის „უთავბოლობის ნაყოფი“ (1892 წ.), „მწარე ფიქრები“ (1893 წ.), „წარსული და მომავალი ჩვენი ერისა“ (XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანები), „ორიოდე სიტყვა დიალექტიური მატერიალზმის შესახებ“ (XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანები), „ისტორიული განვითარება“ (XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანები), „გაკვრით პასუხი“ (1895 წ.), „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა“ (1896 წ.), „ეკონომიური მიმოხილვის გამო“ (1896 წ.), „შენიშვნები“ (1896 წ.), „რუსეთის შინაგანი ქრონიკა“ (1896 წ.), „პროვინციის ვითარება“ (1897 წ.).

როგორც დავინახეთ, ჩვენ არ ვაპირებთ ეგ. ნინოშვილის, ს. ჯიბლაძის, ნ. ჟორდანიასა და ფ. მახარაძის გვერდით განვიხილოთ კიდევ ერთი მესამე დასელის მ. ცხაკაიას შეხედულებები, რადგან ჩვენი ღრმა რწმენით, ამ შეხედულებებს არავითარი ღირებულება არა აქვს, თუმცა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია მ. ცხაკაიას საპატიო ადგილს მიუჩენდა ქართველი სოციალ-დემოკრატების როგორც ორგანიზაციულ, ისე თეორიულ მოღვაწეობაში.[65] მ. ცხაკაიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე საქართველოში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცალკე არ განვიხილავთ „მესამე დასის“ ცნობილი მოღვაწის — კ. ჩხეიძის ნაშრომებს. 1893-1897 წლებში, ანუ იმ პერიოდში, როცა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია დამკვიდრდა, მართალია, კ. ჩხეიძემ გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი, მაგრამ ეს წერილები არ შეიცავენ რასმე ორიგინალურს.[66] კ. ჩხეიძე ძირი-

თადად ნ. ჟორდანიას შეხედულებების დაცვას ისახავდა მიზნად. 1893-1897 წლებში რაიმე ღირსშესანიშნავი არც ის. რამიშვილს გამოუქვეყნებია.[67] რაც შეეხება პ. გელეიშვლს (ყარიბს), მის მიერ 1894 წელს გამოქვეყნებულ იქნა წერილი — „ივერია“, „მოამბე“ და „მესამე დასი“, მაგრამ მასში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს ვიპოვით, რის გამოც ამ ნაშრომს ცალკე არ განვიხილავთ. პ. გელეიშვილის ნაშრომი უფრო იმითაა საინტერესო, რომ მისმა ავტორმა ომი გამოუცხადა მთელ ქართულ ეროვნულ მოძრაობას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ყველა მიმდინარეობას.[68] პ. გელეიშვილის ნაშრომი ს. ჯიბლაძის ნაშრომთან ერთად[69] უნდა მივიჩნიოთ იმ მეტად უარყოფითი ტენდენციის დასაწყისად, რომელსაც სიკეთე არ მოუტანია ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის, ხოლო ქართველ ერს ძვირად დაუჯდა. და ბოლოს, ჩვენ ვერ განვიხილავთ 1893-1897 წლებში ნ. ჟორდანიას, ფ. მახარაძის, ს. ჯიბლაძისა და სხვა მესამე დასელების მიერ გამოქვეყნებულ მცირე შენიშვნებს, ასევე ისეთ ნაშრომებს, რომელთაც სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებასთან საერთო არაფერი ჰქონია და ამდენად, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამკვიდრებაზე გავლენა არ მოუხდენია.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩვენ ძირითადად ვიფარგლებით 1893-1897 წლებით, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ პერიოდში ხდება საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამკვიდრება. ამ თვალსაზრისით სავსებით ვეთანხმებით ნ. ჟორდანიას, რომელიც მიიჩნევს, რომ 1893-1897 წლები საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პირველი პერიოდია, 1898 წლიდან კი იწყება ახალი ხანა.[70] მართლაც, 1893-1897 წლებში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ძირითადად გამოხატა თავისი დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ, განსაზღვრა დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობასთან, ამასთან ერთად, გამოიმუშავა საკუთარი პოზიცია ქართველი ერის წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაში.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ შევეხოთ ქართველი სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობის საკითხს.

ეგნატე ნინოშვილი. თითქმის ბნელი არ უნდა ყოფილიყო ეგ. ნინოშვილის მსოფლმხედველობის შეფასება. მიუხედავად ამისა, ძალზე გაძნელდა მწერლის არც თუ ისე დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის ობიექტური აღქმა. თავად მოკრძალებულ, უპრეტენზიო მწერალს თავის დროზე დათვური სამსახური გაუწიეს მისმა მეგობრებმა — ქართველმა

სოციალ-დემოკრატებმა. ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა ს. ჯიბლაძემ, როცა ეგ. ნინოშვილის პიროვნება პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენა და ილია ჭავჭავაძეს დაუპირისპირა (ამის შესახებ ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი). 20-30-იან წლებში ეგ. ნინოშვილის ზღვარს გადასული განდიდებ მისი მეგობრების — ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას, რ. კალაძის მემუარებში რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებდა სამეცნიერო ლიტერატურაში ხელს უშლიდა მწერლის მსოფლმხედველობის ობიექტურ შეფასებას იგივე ტენდენცია თითქმის უცვლელად ბატონობდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიოგრაფიაში.

ეგ. ნინოშვილს, როგორც ირკვევა მისი ცნობილი პუბლიცისტური წერილიდან „ძველი დავა ახალ ქერქში", კარგად ესმის, რომ „იქ, სადაც კაპიტალიზმი და მრეწველობა ეხლანდელი ეკონომიური და სოციალური წესწყობილებით ფეხს გაიდგამს, ერის ერთი ნაწილი ღატაკდება და ვარდება მეორე ნაწილის ხელში ეკონომიურ მონად".[71] ეგ. ნინოშვილის ეს დასკვნა სოციალ-დემოკრატიისათვის სავსებით მისაღები და გასაგებია მაგრამ ახლა დავაკვირდეთ იმავე წერილის კიდევ რამდენიმე ადგილს „განათლებული ნაწილი ჩვენი ერისა იმაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, თუ როგორ ამოთხაროს ჩვენი ქვეყნის ნიადაგიდან ოქრო-ვერცხლი რამდენიმე კაცის გასამდიდრებლად, არამედ იმაზედ, რომ შექმნას ისეთი საპოლიტიკო-სოციალურ-ეკონომიური წესწყობილება, რომ ერის ყოველ ნაწილს გამოუკლებლად და თანასწორად შეეძლოს ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად გაუმჯობესობა".[72] იქვე ეგ. ნინოშვილი განაგრძობს: „ჩვენი ქვეყნისათვის საჭიროა ყველა განათლებული კაცი, რომელიც კი გულწრფელად და გონივრულად იღწვის ისეთი საშუალებების გამრავალებაზე, რომლის მოწყალებით ერის ყველა ნიწილს წილი ეჭნება წარმატებაში, როცა ყველას შეეძლება განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად. ის პირი, რომელიც არ ზრუნავს ამაებზე, რომლის მოღვაწეობას არ შეადგენს ერის ყველა ნაწილის წარმატება, რომელიც ამბობს: მაცათ, ჯერ ჩვენ, ერთი ნაწილი ერისა, გავდიდრდებით, განვითარდებით და შემდეგ ერის დაჩაგრულ ნაწილს მივაქცევთ ყურადღებასო, საზოგადო მოღვაწედ არ ჩაითვლება, რომელიც გინდა მეცნიერება ჰქონდეს შესწავლილი".[73] ამრიგად, ეგ. ნინოშვილის შეხედულება მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ: 1) კაპიტალიზმის განვითარებას თან სდევს ერის ერთი ნაწილის გამდიდრება და მეორის გაღატაკება, ანუ სოციალური დიფერენციაცია; 2) უნდა შეიქმნას ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წყობილება (სისტემა), სადაც ყოველ სოციალურ ფენას წილი ეჭნება წარმოებაში და ამრიგად, მიღწეული იქნება გარკვეული სოციალური თა-

ნასწორობა, 3) სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობს ერის განათლებული ნაწილი (ინტელიგენცია); 4) სოციალური თანასწორობის მიღწევა სხვადასხვა სოციალური ფენის შეთანხმებითა და კომპრომისით უნდა მოხდეს და არა ძალდატანებით (რევოლუციით). საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეგ. ნინოშვილი, რომელსაც კარგად ესმის ბურჟუაზიული წყობილების ძალდატანებით (რევოლუციით) მოსპობის ყველა უარყოფითი შედეგი, სოციალურ წინააღმდეგობათა გადაჭრის გზებს ისევ ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით ეძიებს. ყოველივე ამის გამო ვასკვნით, რომ ეგნატე ნინოშვილი ძალზე ახლოს იდგა მისი თანამედროვე დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის .საპროგრამო მოთხოვნებთან და პრინციპულად უპირისპირდებოდა რუსული სოციალ-დემოკრატიის შესედულებებს, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები სოციალური საკითხის გადაჭრის ერთადერთ გზად რევოლუციას სახავდნენ.

რას წარმოადგენს სოციალური შემადგენლობის მიხედვით ერის განათლებული ნაწილი, რომელსაც ეგ. ნინოშვილმა სოციალური თანასწორობისათვის ზრუნვა დააკისრა, ან რა გზით, რა საშუალებებით უნდა შეასრულოს მან ეს ფუნქცია? ამ კითხვებს, როგორც დავინახეთ, ეგ. ნინოშვილმა ნაწილობრივ უპასუხა წერილში „ძველი დავა ახალ ქერქში“, მაგრამ უფრო ცხადად და გარკვევით ამ საკითხებზე საუბარია ეგ. ნინოშვილის მეორე წერილში „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“. წერილში ვკითხულობთ: „აგერ-აგერ იჩენს თავს ჩვენშიაც მრეწველობა და კაპიტალისტური წყობილება. იმას არც ჩვენი ნებართვა ეჭირვება და არც ჩვენი ქება-დიდება. მოდის ჩვენთან დაუკითხავად. ინტელიგენციისა და მწერლობის მოვალეობა ამ შემთხვევაში ის არის, ისე მოუმზადოს ნიადაგი სიმდიდრეს, რომ მუშას თავისი ნაშრომი რჩებოდეს, ჭუჩაში ადამიანი შიმშილით არ კვდებოდეს და მდიდრის ძაღლს ამ დროს დღეში თუმანი არ ჰქონდეს. ამიტომ გვჭირია, მივმართოთ იმავე ევროპას, საიდანაც მრეწველობა მოდის და გავიცნოთ, რანაირ სოციალ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცვლილებას თვლიან იქ საჭიროდ „უმცროსთა“ ყოფამდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“.[74] ამრიგად, ეგ. ნინოშვილის აზრით: 1) ერის განათლებული ნაწილი, რომელმაც სოციალური თანასწორობისათვის უნდა იზრუნოს, მხოლოდ და მხოლოდ ინტელიგენციაა; 2) ეგ. ნინოშვილმა კონკრეტულად არ იცის, თუ როგორ იქნეს მიღწეული სოციალური თანასწორობა. ამ გზის ძიებაში ეგ. ნინოშვილი მიდის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალური საკითხის გადაჭრის გზების გამოცდილების გაცნობის აუცილებლობამდე.

ეგ. ნინოშვილის ორივე პუბლიცისტური წერილის — „ძველი დავა ახალ ქერქში“ და „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“ — ანალიზი გვარწმუნებს, რომ მათი ავტორისათვის მისაღები იყო დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის საპროგრამო მოთხოვნები. ეგ. ნინოშვილის სანიმუშოდ მიაჩნდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ის გზა, რომელსაც მისი თანამედროვე დასავლეთ ევროპის ქვეყნები ადგნენ.

ზემოთ განხილულ ორ პუბლიცისტურ წერილში არ ჩანს ეგ. ნინოშვილის დაპირისპირება ეროვნულ მოძრაობასთან, გამოკვეთილად არ იგრძნობა მისი დამოკიდებულება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობასთან. ყოველივე ამის გარკვევა შესაძლებელი ხდება ეგ. ნინოშვილის კერძო წერილებიდან. გიორგი წერეთლისადმი წერილში (1893 წ. 6 დეკემბერი) აშკარა ხდება, რომ ეგ. ნინოშვილი არ იზიარებს „ივერიის“ (ე. ი. ილია ჭავჭავაძის) მიმართულებას და აშკარა სიმპათიებს ამჟღავნებს „კვალის“ (ე. ი. გიორგი წერეთლის) მიმართულებისადმი.[75] ამასთან, ეგ. ნინოშვილი გარკვეულწილად წყენით აღნიშნავს, რომ ნ. ჟორდანიამ, რომელიც იმხანად შვეიცარიაში იმყოფებოდა, „კვალში“ თანამშრომლობაზე უარი თქვა და „ივერია“ არჩია: „შვეიცარიელმა ჟორდანიამ უარი გვითხრა. იმას და არაგვისპირელს მეტად მოსწონებია „ივერია“.[76] გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ანასტასია წერეთლისადმი წერილში (1894 წ. 23 იანვარი) ეგ. ნინოშვილმა სავსებით ცხადად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სამი მთავარი მიმდინარეობის — „ივერიის“, „მოამბისა“ და „კვალის“ — ბანაკების მიმართ. „ივერიის“ მიმართულებას ეგ. ნინოშვილი ასე ახასიათებს: „ივერია“ ხომ ადგია და ადგია რეაქციის გზას“.[77] რაც შეეხება „მოამბის“ მიმართულებას, მას ეგ. ნინოშვილი უფრო ერცლად ახასიათებს: „მე რომ „მოამბის“ პროგრამა და შინაური და უცხოეთის ქრონიკები წავიკითხე: ღმერთო ჩემო! ასე გეგონებათ, ამ კაცებს საფრანგეთის პირველ რევოლუციას აქეთ ფაქტების, მიმართულებანის, კლასების, დასების და სხვების, რომლებიც ევროპაში გაჩნდნენ და მომდინარეობენ, ამბათაც კი არა გაუგიათ რაო. პოლიტიკური ეკონომიის ხომ, მგონია, ადამ სმიტის გარდა, არა წაუკითხავთ რა ამ საგანზე“.[78] „კვალის“ მიმართულება ეგ. ნინოშვილს ყველაზე პროგრესულად მიაჩნია: „ საჭიროა რომელიმე სამწერლო ორგანომ ვალად ჩასთვალოს ჩვენს ქვეყანაში აზროვნობის გამოფხიზლება. შარშან ეტყობოდა, რომ „კვალი“ არ გაურბოდა შორს ასეთს მოვალეობას, ის არ უშინდებოდა კვაზიპატრიოტების საყვედურებს. წრეულსაც, იმედია, „კვალი“ არ უმუხთლებს ამ თავის ვალს“.[79] უნდა ვივარაუდოთ, რომ სწო-

რედ ამ პრინციპულ მოსაზრებას იცავდა ეგ. ნინოშვილი პუბლიცისტურ წერილში „ძველი და ახალი“?, რომელიც მან 1893 წლის დეკემბერში გაუგზავნა გაზეთ „კვალის“ რედაქციას. ეს წერილი „კვალში“ არ გამოქვეყნებულა, ხელნაწერი კი დაიკარგა.

ეგნატე ნინოშვილის ნააზრევში მთელი სიცხადით აისახა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამკვიდრების საწყისი პერიოდი. სამწუხაროდ, ეგ. ნინოშვილმა ვერ მოასწრო სისტემის სახე მიეცა თავისი შეხედულებებისათვის. მიუხედავად ამისა, მაინც დიდია მისი ღვაწლი საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამკვიდრების საქმეში.

სილიბისტრო ჯიბლაძე. პირველ ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის საბჭოთა ისტორიოგრაფია საპატიო ადგილს მიუჩენდა ს. ჯიბლაძეს. ს. ხუნდაძე თვლიდა, რომ ს. ჯიბლაძის წერილები, კერძოდ მისი სიტყვა ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზე და ვრცელი წერილი — „კვალი“ და მესამე დასის მწერლები“ იყო „რევოლუციონური მარქსიზმის ხაზის გამომხატველი“.[80] ს. ხუნდაძეს მიაჩნდა, რომ ამ წერილში ს. ჯიბლაძე „ერთის მხრით, არღვევს ძველი ნაროდნიკული აზროვნების საფუძვლებს, ხოლო მეორე მხრით, მარქსისტული მეთოდით ანალიზს უკეთებს ახალ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს და არკვევს ახალი დასის სამოღვაწეო პროგრამას“.[81] ლ. გორგილაძე ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ს. ჯიბლაძის სიტყვას გ. ნინოშვილის დაკრძალვაზე: „მან (ს. ჯიბლაძემ — ვ. გ.) თავის სიტყვაში ნათელყო ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები, მკაცრად გააკრიტიკა ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობანი და ჩამოაყალიბა ახალი, „მესამე დასის“ სამოქმედო პროგრამა“.[82] ჩვენ მიგვაჩნია, რომ ს. ჯიბლაძე, როგორც მოაზროვნე, არ იმსახურებს ასეთ მაღალ შეფასებას. ყოველ შემთხვევაში, იმ ორი ნაშრომის მიხედვით, რამაც მას, რატომღაც, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღიარება მოუტანა. საქმე ეხება ს. ჯიბლაძის ნაშრომებს: „ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გარდაცვალების გამო (სიტყვა თქმული სილ. ჯიბლაძის მიერ). მესამე დასის პროგრამა“ და „კვალი“ და მესამე დასის მწერლები“.

ს. ჯიბლაძის სიტყვა ეგ. ნინოშვილის დაკრძალვაზე, რომელიც „მესამე დასის“ პროგრამის სახელწოდებითაც არის ცნობილი, სინამდვილეში არც ფორმით და არც შინაარსით არ წარმოადგენს პროგრამას. ამ დოკუმენტს არ გააჩნია არც ერთი ნიშანი პროგრამისა: მასში ვერ შეხვდებით განზოგადებას, დასკვნებს, დებულებებს, განსაზღვრებებს. ს. ჯიბლაძის სიტყვაში ძირითადად მხოლოდ ეგ. ნინოშვილზეა საუბარი და თანაც იმ დონეზე, რომ მისი წამკითხველი, სხვა რომ არა იცოდეს რა, თვით ეგ. ნინოშვილის შესახებაც ვერ შეიქმნის მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდ-

გენას. საქართველოს აწმყოსა და მომავალზე აქა-იქ ჩართული მასალა იმდენად მცირეა, ისე უსისტემოდაა მოტანილი, ავტორის პოზიციის გარკვევაც კი ჭირს. წერილი არც კომპოზიციურად არის შეკრული. მაგალითად, გასაგებია, რატომ ცდილობს ს. ჯიბლაძე ჩირქი მოსცხოს ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ რა მიზანს ემსახურება ორი სრულიად განსხვავებული მიმართულებისა და დონის მწერლის — ალექსანდრე ყაზბეგისა და ეგნატე ნინოშვილის — შედარება, გაუგებარია. თანაც, ამ შედარებას თუ დაპირისპირებას ეთმობა არც თუ დიდი წერილის მნიშვნელოვანი ნაწილი. თუ რას წარმოადგენს ს. ჯიბლაძე, როგორც ქართული ლიტერატურის მცოდნე, კარგად ჩანს მისივე სიტყვებიდან „ ამ ორმა წელმა გამოაცალა ხელიდან ჩვენს სამშობლოს ორი სამაგალითო შვილი, ჩვენს მწერლობას — ორი უნიჭიერესი წარმომადგენელი. ეს ორი დანაკლისი — ალ. ყაზბეგი და ეგ. ინგოროყვა — ჩვენს ლარიბსა და გათახსიებულ მწერლობაში მეტად საგრძნობელი და უზღვეველია“.[83] იქვე ს. ჯიბლაძე ამჟღავნებს, თუ ვის მიიჩნევს იგი „გათახსირებულ მწერლობაში“ გათახსირებულად. წერილში ვკითხულობთ: „მოვიყვან ერთს მაგალითს ჩვენი ცხოვრებიდან ეგ. ინგოროყვას მიმართულების დასახასიათებლად. ეს მაგალითი ნათლად დაგვანახვებს აგრეთვე, როგორც ეფარება ძველი თაობის თვით უნიჭიერესი წარმომადგენლის გონებას ერთხელ თუმცა დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ აწ უკვე დახავსებული და უალაგოდ ცნობილი იდეა. დიდად პატივცემულმა ავტორმა „ოთარაანთ ქვრივისამ“ შეუქცია ზურგი აწინდელ ჟამთა ვითარებას და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში .გვითითებს უკვე გარდაცვლილ ჭეშმარიტებაზე: ხიდია ჩატეხილი, ხიდია ჩატეხილი თავადაზნაურთა და გლეხთა შორისო, გაიძახის ის. აქ დიდი სიმრუდეა. ცხოვრებაში ბევრი მოვლენაა, რომელიც ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, გაუგებარ საიდუმლოებად რჩება, მაგრამ კესო-არჩილების მსგავსი ტიპების შენიშვნა თვით გლეხთა წოდებაშიაც, როგორც „გიორგების“ თავად-აზნაურთა შორის — არავისათვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს“.[84] ასე ესმოდა ს. ჯიბლაძეს იმ უდიდესი პრობლემის არსი, ილია ჭავჭავაძემ რომ დააყენა „ოთარაანთ ქვრივში“. აგრძელებს რა ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძრაობის კონცეფციის კრიტიკას ს. ჯიბლაძე ასკვნის: „ამ ნაირად ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალ, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით — ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენლებში, მეორე მხრით — მუქთა-ხორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი — დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, რად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილიცაა; აი სად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგა ხანია გარღვეულიცაა; ამ უკუღმართობის დასა-

მარცხებლად არის, ერთის მეცნიერების სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ჟამთა-ვითარება. ამ მშობიერობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღწვიან და უნდა იღწვოდნენ კიდეცაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისა".[85] ს. ჯიბლაძის სიტყვის ეს ნაწილი, დაწერილი მარქსიზმის დოგმების მომარჯვებით, ერთადერთი ადგილია, რომელიც რაღაცათი წააგავს პროგრამას.

ამრიგად, ს. ჯიბლაძის სიტყვა ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე არ შეიძლება ჩაითვალოს „მესამე დასის" პროგრამად. ჩვენი მოსაზრების დასაცავად, ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება ასეთი არგუმენტის მოტანაც: დღეისათვის დაუდგენელია, ს. ჯიბლაძის სიტყვა ეგ. ნინოშვილის დაკრძალვაზე თავიდანვე პროგრამის სახით იწერებოდა, თუ დედანში მას სხვა სათაური ჰქონდა და სათაურის ის რედაქცია, რომელიც გაზეთ „კვალშია" წარმოდგენილი, ს. ჯიბლაძისეულია, თუ გ. წერეთელს ეკუთვნის. იქნებ ს. ჯიბლაძეს აზრადაც არ ჰქონია ეგ. ნინოშვილის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში „მესამე დასის" პროგრამა ჩამოეყალიბებინა?

გაცილებით მეტად წააგავს პროგრამას ს. ჯიბლაძის წერილი „კვალი" და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილუზია)". როგორც ჩანს, ავტორს ამჯერად მართლაც ჰქონია მიზანი დაეწერა საპროგრამო წერილი. ნაშრომის ბოლოს ს. ჯიბლაძე თავს უყრის, აზოგადებს ნათქვამს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე ს. ჯიბლაძე ასკვნის: „1) ჩვენს ცხოვრებაში ეს 25-30 წელია დაიწყო ახალი ხანა. მისი ნიშნობლივი თვისება გამოიხატება განსაკუთრებულ ეკონომიურ ურთიერთობაში, რაიცა მოასწავებს აღებ-მიცემობას, ვაჭრობას. აქ ძველი ბატონი უთმობს თავის ალაგს — ფულს. ფული არღვევს ძველს, აშენებს ახალს. ის ჰყოფს ხალხს ორ ნაწილად, ცხოვრებაში ჩნდება ორი კლასი: მდიდარი და ღარიბი. ძველი წოდებრივი განსხვავება — ფიქციაა. აღებ-მიცემობა გამოწვეულია შრომის განაწილებით, საქონლის წარმოებით. საქონლის წარმოება — ეს საზოგადოდ იგივე კაპიტალიზმია. 2) კაპიტალიზმის განვითარებას აქვს რამოდენიმე მომენტი, ანუ ფაზისი. კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ საფეხურს შეადგენს „მსხვილი წარმოება". ამ საფეხურზე ჩვენ შეეფორთხდით, მაგრამ ფეხი ვერ მოგვიმაგრებია. 3) თუ ჩვენში ჯერ საკმაოდ გარკვეული არ არის პროლეტარიატი და ბურჟუაზია, ეს იმას კი არ მოასწავებს, არ იყოს არც ერთი, არც მეორე. რამდენადაც ჩვენში დიდი შემამულეები მდიდრდებიან მიწის შემოსავლით — ისინი ბურჟუებია. ამას მიუმატეთ მექარხნე, მოვაჭრე და სხვა მწარმოებლები. ჩვენი პროლეტალიატი არეულ სხეულს წარმოადგენს. აქ უმე-

ტესობას მცირე მამული აქვს, რომელიც მხოლოდ მესაკუთრის სახელს აძლევს, ნამდვილად კი გაღატაკებული ბოგანოა. ესენი მუშა ხალხია, რომლის ბედ-ღბალი დამოკიდებულია, როგორც საქონლის, ისე მუშა ხელის ბაზარზე. ესენი სრულს გაპროლეტარების გზას დაადგნენ. 4) ჩვენს ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა ახალმა (მესამე) დასმა. ეს დასი წარმოადგენს სრულს წინააღმდეგობას ძველი, უნიადაგო დასისას. ის პროგრესულია, უკანასკნელი კი რეგრესული. ბურჟუაზიას ჯერ არა აქვს ჩვენს ლიტერატურაში თავისი ორგანიზაცია, არა ყავს იქ გამომთქმელი თავისი დასი, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მიმოხილვებს „მოამბეში“. ის ბურჟუაზია მუშაობს ცხოვრებაში. რამდენადაც მისი მოქმედება არღვევს ძველ პატრიარქალურ წეს-წყობილებას, ის პროგრესულია, რამდენადაც ალატაკებს ხალხს — რეგრესულია.· ·ახალი დასის დროშაზე წერია: „ცხოვრების ახალი მიმდინარეობის მეცნიერულად გამოკვლევა, და ბრძოლა, არა მისი ჭეშმარიტი ტენდენციის წინააღმდეგ — ეს უწვენოდ ხდება — არამედ იმ შედეგების წინააღმდეგ, რომელნიც ათახსირებენ ადამიანს. ბრძოლა ამ შემთხვევაში ნიშნავს დაჩაგრულთა გაცნობიერებას და მათი ინტერესებისათვის ბრძოლას. ამ ახალი მიმართულების მტერი, ამავე დროს, მტერია დაჩაგრულთა“.[86]

♦

ს. ჯიბლაძის წერილიდან „კვალი“ და მესამე დასის მწერლები“ აშკარა ხდება, რომ მის ავტორს სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა არ გააჩნდა. ს. ჯიბლაძე არ იცნობდა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის თეორიასა და პრაქტიკას, იგი ძირითადად გ. პლეხანოვის ნაწერებს ეყრდნობოდა. ამასთან, უდავოა, რომ ს. ჯიბლაძე საფუძვლიანად ერკვეოდა იმ ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (XIX საუკუნის 60-90-იან წლები).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ს. ჯიბლაძემ სოციალური პროგრესისათვის ბრძოლა აშკარად დაუპირისპირა ეროვნულ მოძრაობას, სოციალ-დემოკრატიასთან დაპირისპირებული ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა მშრომელი ხალხის მტრად გამოაცხადა. ეს იყო ძალზე უარყოფითი ტენდენცია, რომელიც, სამწუხაროდ, სულ უფრო ძლიერდებოდა ქართულ სოციალ-დემოკრატიაში.

სილიბისტრო ჯიბლაძის ნაშრომთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1) ს. ჯიბლაძე არ იყო სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების საფუძვლიანი მცოდნე. მისი მსოფლმხედველობა ძირითადად გ. პლეხანოვის შრომების გავლენით ჭალიბდებოდა;

2) ს. ჯიბლაძემ ქართული სოციალ-დემოკრატია მკვეთრად დაუპირისპირა ეროვნულ მოძრაობას, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ყველა მიმდინარეობას;

3) ს. ჯიბლაძემ სავსებით სწორად გააანალიზა საქართველოში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესები;

4) შეცდომაა ს. ჯიბლაძის „მესამე დასის" პირველი საპროგრამო გამოსვლის ავტორად გამოცხადება. „მესამე დასის" პროგრამად უნდა მივიჩნიოთ არა ს. ჯიბლაძის სიტყვა ეგ. ნინოშვილის დაკრძალვაზე, არამედ ნ. ჟორდანიას „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა", რომელიც მართალია, 1894 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ 1893 წელს უკვე დასრულებული და განხილულ-დამტკიცებულიც იყო.

ნოე ჟორდანია. 1892 წელს ნ. ჟორდანიას მიერ დაწერილი ე. წ. „ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის" პროექტი, როგორც აღვნიშნეთ, დაკარგულია. 1893 წლის დამდეგს ნ. ჟორდანია ამთავრებს ნაშრომს „რა ვაკეთოთ?", რომელიც „მესამე დასის" თბილისის კონფერენციამ განიხილა და დაამტკიცა როგორც „მესამე დასის" პროგრამა. ეს ნაშრომი, მცირე ცვლილებებით, სათაურით — „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა" — 1894 წელს გამოაქვეყნა ჟურნალმა „მოამბემ".[87] ამ ნაშრომის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

1895 წელს გაზეთ „კვალში" დაიბეჭდა ნ. ჟორდანიას „მოამბე", „ივერია" და „ეროვნობა".[88] ამ ნაშრომში გაკეთებული დასკვნა უცვლელად იქნა გამეორებული 1897 წელს „კვალშივე" გამოქვეყნებულ ნაშრომში „გაზ. „ივერია" და ეროვნობა",[89] რაც იმას ნიშნავს, რომ ნ. ჟორდანია მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე. ნ. ჟორდანიას ნაშრომი — „მოამბე", „ივერია" და „ეროვნობა" და „გაზ. „ივერია" და ეროვნობა" — წარმოადგენდა „მესამე დასის" პროგრამის სრულყოფას და შემდგომ განვითარებას. აი, რას წერდა ნ. ჟორდანია 1895 წელს:

„I. ცხოვრება წარმოადგენს ერთ დიდ პროცესს, განვითარებას, ყველა მისი მოვლენა უნდა განიხილოს ერთი-მეორის ურთი-ერთობაში და განვითარებაში.

II. ეროვნული განვითარება ნიშნავს — ეკონომიურ განვითარებას. ეს იხატება შემდეგში: ძველი პატრიარქალური წარმოება ირღვევა და მის ალაგს დგება კაპიტალისტური. კაპიტალი გროვდება ერის გულში სხვადა-სხვა ხერხით, მოტყუებით, ძალ-მომრეობით, უკანონო კანონიერებით, ეს ფული გადადის წარმოებაში და იზრდება მუშის ძალ-ღონით, სრულიად კანონიერათ. ამას წინ ეღობება ძველი პოლიტიკური წყობილება.

III. ეკონომიური განვითარება ერს ჰყოფს დასებათ და ახდენს პო
ლიტიკურ ცვლილებას. ახალი პოლიტიკური ფორმა თავის მხრივ აძლიე
რებს ეკონომიურ წარმატებას და ამწვავებს დასთა ბრძოლას.

შენიშ. — ვერც ერთი ხალხი ვერ ევროპიელდება გონებით, პოლი
ტიკურათ, თუ ის ვერ ევროპიელდება ცხოვრებით, ეკონომიურათ.

IV. მოწინავე ქვეყნებში (ინგლის-საფრანგეთში) ამ ცვლილებების
ინიციატორი იყო ბურჟუაზია. უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში კი მუშა ხალ
ხია, ხოლო ინტელიგენცია არასოდეს.

შენიშ. — ხალხის ცხოვრების შეცვლა-გაუმჯობესება შეუძლია მხო
ლოდ ხალხს და არა მის მაღლა მდგომ ინტელიგენციას.

V. ეს ახალი ხანა ერთიანათ აშენებულა ქალაქურ ცხოვრებაზე. ეს
მოქალაქეობრივი ხანაა. სოფელი ქალაქდება.

VI. ამისათვის ერის ყოველგვარ აღორძინებაში პირველ როლს ქა
ლაქი თამაშობს. რამდენათ რაიმე საერო საქმეს ქალაქი მეთაურობს, ის
ძირ-მომაგრებული და ცნობიერია. სოფელი ქალაქს მისდევს.

VII. ჩვენი ქვეყანა უკვე ჩადგა მოქალაქეობრივ ხანაში. ეს იხატება
პატრიარქალურ წყობილების რღვევაში და კაპიტალისტურის დამკვიდრე
ბაში. ქართველი ხალხის ცხოვრება ევროპიელდება.

VIII. გაევროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულ
ტურაზე, სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა
და ევროპიელობა — აი რა წერია ახალ დროშაზე. ამის ამოკითხვა და
ხალხის შეგნებაში გადატანა — ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა".[90]

ნ. ჟორდანიას დასკვნის პირველი პუნქტი, ცხადია, რაიმე აღმოჩენად
არ შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს სოციალისტისათვის. მეორე პუნქ
ტი აღებული კ. მარქსის ეკონომიური სისტემიდან, ასევე მიღებული იყო
XIX საუკუნის 90-იანი წლების დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრა
ტიაში (კ. კაუცკი). დასკვნის მესამე პუნქტიც კ. მარქსის ეკონომიური
სისტემიდან არის აღებული. რაც შეეხება დასკვნის მეოთხე პუნქტს, იგი
ჩვენი აზრით, შედარებით ვრცელ განხილვას იმსახურებს. ნ. ჟორდანია
დასკვნის მესამე პუნქტში წერს, რომ ეკონომიური განვითარება იწვევს
პოლიტიკურ ცვლილებებს, მეოთხე პუნქტში კი გვაუწყებს: „მოწინავე
ქვეყნებში (ინგლის-საფრანგეთში) ამ ცვლილებების ინიციატორი იყო
ბურჟუაზია. უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში კი მუშა ხალხია, ხოლო ინტე
ლიგენცია არასოდეს". რაღაც ამის მაგვარი გ. პლეხანოვსაც ჰქონდა ნა
ქვამი ნაშრომებში „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა" (1883 წ.)
და „ჩვენი უთანხმოებანი" (1885 წ.).[91] ცხადია, ნ. ჟორდანია ამ შემთხვე
ვაში გ. პლეხანოვის გავლენას განიცდის, რადგან მსგავსი აზრი ვ. ლე
ნინმა გაცილებით გვიან გამოთქვა. მუშათა კლასის („მუშა ხალხის") მი

სიის განსაზღვრისას ნ. ჟორდანია ისევ გ. პლეხანოვს დაეყრდნო. რაც შეეხება დასკვნის მეზუთე და მეშვიდე პუნქტებს, აქ ისეთი დებულებები იყო წამოყენებული, რომელიც სავსებით მიღებული იყო დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიაში. ამ დებულებებს ის მნიშვნელობაც ჰქონდა საქართველოსათვის, რომ კიდევ ერთ ძლიერ დარტყმას აყენებდა რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის იდეოლოგიას.

დასკვნის მეშვიდე პუნქტი — „გაევროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე", „საქართველო და ევროპა", „ქართველობა და ევროპიელობა" — არაეითარ ეჭვს არ ტოვებს ნ. ჟორდანიას პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევისას. ცხადია, ნოე ჟორდანიას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა მიაჩნია იდეალურად და საქართველოს ხსნას მსგავსი სისტემის დამკვიდრებაში ხედავს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნ. ჟორდანია „გაევროპიელების" აუცილებელ პირობად „ქართული ნიადაგის" შენარჩუნებას მიიჩნევს.

როგორც ვხედავთ, „მესამე დასის" პროგრამის სრულფოფისა და შემდგომი განვითარების, ახალი საპროგრამო მოთხოვნების შემუშავების პროცესში ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი სულაც არ დაპირისპირებია ეროვნულ მოძრაობას, პირიქით, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება საპროგრამო მოთხოვნად იქნა აღიარებული.

რუსეთის იმპერიაში შემავალი, ერთ დროს დაპყრობილი, მცირერიცხოვანი ერის სოციალ-დემოკრატიის ლიდერის მიერ დასავლეთ ევროპული ორიენტაციის აღიარება და მისი საზგასმა, რაც თავისთავად ნიშნავდა რუსული ორიენტაციის უარყოფას, უაღრესად დიდი მნიშვნელობის პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

სამწუხაროდ, ქართულ სოციალ-დემოკრატიას და მის ლიდერს ძალიან მალე მოუხდათ ამ პრინციპული პოზიციიდან უკან დახევა.

თუ რამდენად ჰქონდა ნ. ჟორდანიას შეთვისებული სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება, კონკრეტულად ფ. ენგელსის ნააზრევი, კარგად ჩანს 1895 წელს „კვალში" დაბეჭდილი წერილიდან „ფრიდრიხ ენგელსი".[92] წერილის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ნ. ჟორდანია კარგად იცნობდა ფრიდრიხ ენგელსის ნაწერებს. მართალია, ნაშრომში სწორად და გასაგებად არის გადმოცემული ფ. ენგელსის მსოფლმხედველობა, მაგრამ ნ. ჟორდანია ვერაფერს ამბობს, თუ რაში უნდა გამოდგომოდა ქართველ ერს ფ. ენგელსის მიერ წამოყენებული მთელი რიგი დებულებანი.

1896 წელს ნ. ჟორდანია „კვალში" აქვეყნებს ვრცელ წერილს: „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (თ. რ. ერისთავის

იუბილეს გამო)“.[93] საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა ნ. ჟორდა
ნიას ასე აქვს დახასიათებული: „ჩვენ, როგორც უკან-ჩამოჩენილი, კომი
კურ მდგომარეობაში ვართ. ცალი ფეხი დღევანდელ ევროპაში ჩავდგით
ცალი კი წარსულში გვიდგია. ვსარგებლობთ ყველა იმ იარაღებით, რო
მელნიც კი დღეს ევროპაშია, ხოლო ცხოვრების პროცესი ისეთია, რო
გორც გასულ საუკუნის ევროპაში იყო. აი, ეს დიდად საყურადღებო სა
განია, მხოლოდ ეს გარემოება აძლევს განსაკუთრებით ელფერს მთელ
ჩვენ აწმყოს და მომავალს. აქვე ჩვენ ერთი უპირატესობა გვაქვს. ის
რაც ევროპაში დიდი ხნის განმავლობაში იცვლებოდა, ჩვენში ახალ
იარაღების წყალობით მოკლე დროში იცვლება; ამისათვის წინააღმდეგობ
აზნაურს და ბურჟუაზს შორის ჩქარა განვითარდა, ამავე მიზეზით ჩქარ
ვითარდება წინააღმდეგობა ბურჟუასა და მუშას შორის“.[94] ნ. ჟორდანიას
ამ დასკვნაში არაფერია ნათქვამი იმ მიზეზებზე, თუ რატომ იყო ქართვე
ლი ერი ჩამორჩენილი, რამ განაპირობა ეს ჩამორჩენილობა. არაზუსტი
დასკვნის ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ ცხოვრების პროცესი სა
ქართველოში ისეთივე იყო, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში. სადაო არ
უნდა იყოს ის, რომ XIX საუკუნის მიწურულში საქართველო არც პო
ლიტიკური, არც ეკონომიური და არც სოციალური თვალსაზრისით არ
ჰგავდა XVIII საუკუნისას. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს
ნ. ჟორდანიას დასკვნის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია წინააღმდეგობაზე
„აზნაურსა და ბურჟუას“, „ბურჟუასა და მუშას“ შორის. აქ სამე გვაქვს
ისეთ დებულებასთან, რომელიც რუსული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერ
თი უმთავრესი დოგმა იყო. ნ. ჟორდანია წერს, რომ „ის, რაც ევროპაში
დიდი ხნის განმავლობაში იცვლებოდა, ჩვენში ახალი იარაღების წყალო
ბით მოკლე დროში იცვლება; ამისათვის, წინააღმდეგობა აზნაურსა და
ბურჟუას შორის ჩქარა განვითარდა, ამავე მიზეზით ჩქარა ვითარდება წი
ნააღმდეგობა ბურჟუასა და მუშას შორის“.[95] ე. ი. გამოდის, რომ საქართ
ველოში ერთად მომწიფდა ორი სოციალური წინააღმდეგობა — ერთის
მხრივ, თავადაზნაურობასა, ანუ ფეოდალურ კლასს და ბურჟუაზიას შო
რის და მეორე მხრივ, ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის. პირველი
წინააღდეგობის გადაჭრა შეადგენს ბურჟუაზიული (ბურჟუაზიულ-დემოკ
რატიული) რევოლუციის მიზანს, მეორისა — სოციალისტურის. შუალედი
მათ შორის მაქსიმალურად მცირდება, რადგან წინააღმდეგობა ფეოდალურ
კლასსა და ბურჟუაზიას შორის თუ „ჩქარა განვითარდა“, იმავდროულად
„ჩქარა ვითარდება წინააღმდეგობა“ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შო
რის. ფაქტიურად ნ. ჟორდანიამ წამოაყენა ისტორიული პროცესის ფორ
სირების იდეა: ბურჟუაზიულ რევოლუციასთან ერთად სოციალისტური
რევოლუციის მომწიფება, ამ ორი რევოლუციის მცირე ინტერვალით გან-

ხორციელების იდეა. ეს კი გ. პლეხანოვის შეხედულებათა გავლენის შედეგი იყო. ისტორიული პროცესის ფორსირების იდეას ნ. ჟორდანია დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალ-დემოკრატიის თეორიიდან და პრაქტიკიდან ვერ აიღებდა. მოგვიანებით, 1905-1907 წლებში, ნ. ჟორდანიამ უარყო ისტორიული პროცესის ფორსირების იდეა და პირიქით, პრინციპულად დაუპირისპირდა ვ. ლენინს, რომელმაც გ. პლეხანოვის შემდეგ ისტორიული პროცესის ფორსირების იდეა ბოლშევიზმის მთავარ სტრატეგიულ ხაზად აქცია.

ნ. ჟორდანიას „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“ სხვა ბევრი მიგნებითაც არის საინტერესო. წერილის დასკვნაში ვკითხულობთ: „მესამოცე წლების ცხოვრებამ წამოაყენა ორი კითხვა: ბატონ-ყმობის გაუქმება და სამშობლო ენის დაცვა. ეს ორი დედა-აზრი შეიქმნა მაშინდელ მოღვაწეთა სახელმძღვანელოთ. პირველი კითხვა აღარ არსებობს, ბატონ-ყმობის მოსპობას დღეს ყველა შეურიგდა, მეორე კითხვას გაცილებით ფართო ნიადაგი მიეცა. ეს ნიადაგი შეიცავს შემდეგ ორ კითხვას, რომელიც წამოაყენა დღევანდელმა ცხოვრებამ: ეკონომიური განვითარება მთელი ერის საერთოდ და ეკონომიური განვითარება თითოეული კლასის კერძოდ. პირველი ჩვენი ეროვნული, კულტურული კითხვაა, მეორე კი კლასიური, სოციალური; უკანასკნელი პირველის ერთად ერთი შინაარსია. ეროვნული ზრდა არ არის კლასთა ბრძოლის გარეშე. წინ-სვლის დედა ძარღვიც იქ არის დამარხული. ბურჟუაზია უარყოფს პატრიარქალურ ფეოდალურ ურთიერთობას და ამყარებს ბურჟუაზიულს; მუშა ხალხი უარყოფს ბურჟუაზიულს და ამყარებს კოლექტიურს“.[96] უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში ორი მთავარი საკითხის არსებობის შესახებ ნ. ჟორდანია სწორად მიუთითებს. მაგრამ გაუგებარია, ამ ორი საკითხიდან მეორეს („სამშობლო ენის დაცვა“) 90-იან წლებში როგორ მიეცა „გაცილებით ფართო ნიადაგი“ შემდეგ ორ საკითხად ქცევით: „ეკონომიური განვითარება მთელი ერის საერთოდ და ეკონომიური განვითარება თითოეული კლასის კერძოდ“. ან რატომ არის „პირველი ჩვენი ეროვნული, კულტურული კითხვა“ და „მეორე კი კლასიური, სოციალური“. თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ძნელი არ იქნება დავინახოთ, საით მიდის ნ. ჟორდანია. მან ერთი საკითხი — „სამშობლო ენის დაცვა“ — ე. ი. თავისი შინაარსით წმინდა ეროვნული, იმიტომ „დაშალა“ ორ ეკონომიკურ საკითხად („ეკონომიური განვითარება მთელი ერისა საერთოდ და ეკონომიური განვითარება თითოეული კლასის კერძოდ“), რომ ყურადღება გაემახვილებინა კლასობრივ, სოციალურ საკითხზე. აკი კიდევ გვარწმუნებს ნ. ჟორდანია, რომ „ეროვნული ზრდა არ არის კლასთა ბრძოლის გარეშე. წინ-სვლის დედა ძარღვი აქ არის და-

მარხული". რა გამოდის? ეროვნული საკითხის გადაჭრის გზა კლასობრძოლა ყოფილა, მხოლოდ კლასთა ბრძოლა წაიყვანს ქართველ ერს ეროვნული და სოციალური პროგრესისაკენ. ნ. ჟორდანიას შემთხვევით არ გაუკეთებია ასეთი დასკვნა. იგი ამ დასკვნით უპირისპირდება ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძრაობის კონცეფციას, წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის იდეას.

ნ. ჟორდანიას მსოფლმხედველობის ჩვენს მიერ მოცემული შეფასებების ბევრ დამამტკიცებელ მასალას იპოვის მკითხველი გაზეთ „კვალში" გამოქვეყნებულ კიდევ ორ ნაშრომში: „მოამბის პუბლიცისტიკა" (1894 წ.)[97] და „კრიტიკის კრიტიკა" (1894 წ.).[98]

ამრიგად, ნოე ჟორდანიას მიერ 1894-1897 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ნ. ჟორდანია სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლა. მას შესწავლილი ჰქონდა კ. მარქსის, ფ. ენგელსის, კ. კაუცკის, ნ. ბერნგტაინის, გ. პლეხანოვის შრომები. ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძრაობის კონცეფციასთან დაპირისპირებულმა ნ. ჟორდანია გ. პლეხანოვის ნაწერების დახმარებით თავისუფლდება რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის გავლენისაგან და ეუფლება სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას, ცდილობს დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის თეორიასა და პრაქტიკაში იპოვოს ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის გზა;

2. ნ. ჟორდანიამ გარკვევით მიუთითა, რომ მისი იდეალი იყო საქართველოში ისეთივე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის დამყარება, როგორიც იმხანად დასავლეთ ევროპაში არსებობდა. ამასთან ერთად, საქართველოს ევროპეიზაცია ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით უნდა მომხდარიყო;

3. ნ. ჟორდანიამ ამავე დროს ვერ დაინახა, რომ სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებაში არ იყო პასუხი იმაზე, თუ რა გზით, რა საშუალებებით უნდა გადაჭრილიყო საქართველოსათვის უმთავრესი საკითხი — ეროვნული საკითხი. ასეთ ვითარებაში, რადგან ილია ჭავჭავაძესთან დაბრუნება ნ. ჟორდანიას წარმოუდგენლად მიაჩნდა, მან პირდაპირ განაცხადა: ეროვნული პროგრესი და კლასობრივი ბრძოლა გაუყოფელიაო;

4. ნ. ჟორდანია, მართალია, რევოლუციის აუცილებლობაზე არ ლაპარაკობს, მაგრამ მიაჩნია, რომ მუშათა კლასი გარდუვალად დააყენებს ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტურით შეცვლის საკითხს;

5. ნ. ჟორდანია რუსული სოციალ-დემოკრატიის (გ. პლეხანოვი) გავლენის მიუხედავად, 1894-1897 წლებში ძირითადად მაინც დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეების მიმდევარია, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, დასავლეთ ევროპაზე ორიენტაციის მომხრეა.

ფილიპე მახარაძე. საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საქმეში ნ. ჟორდანიასთან ერთად გადამწყვეტი როლი ითამაშა ფ. მახარაძემ. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფ. მახარაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, ნ. ჟორდანიასგან განსხვავებით, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეებმა ძალზე მცირე გავლენა მოახდინა. ფ. მახარაძე ვერ გასცდა გ. პლეხანოვის იდეებს, საიდანაც საერთოდ ორი გზა არსებობდა: პირველი, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიისაკენ, და მეორე, რუსული სოციალ-დემოკრატიისაკენ, სადაც სხვადასხვა მიზეზის გამო XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის კვდომას ან გადაგვარებას განიცდიდა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეები. ფ. მახარაძე ამ უკანასკნელ გზას გაჰყვა. ამ არჩევანმა განსაზღვრა კიდეც ფ. მახარაძის პოლიტიკური ორიენტაცია.

დღეისათვის ძნელია ზუსტად განისაზღვროს ფ. მახარაძის მსოფლმხედველობა XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის. საქმე იმაშია, რომ ფ. მახარაძის ორი წერილი — „უთავბოლობის ნაყოფი“ (1892 წ.) და „მწარე ფიქრები“ (1893 წ.) — თავის დროზე არ გამოქვეყნებულა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამორიცხული არ არის, რომ გვიან, საბჭოთა წყობილების დროს, ეს ნაშრომები პირვანდელი სახით არ გამოქვეყნებულა. თავის დროზე, დაწერისთანავე, ან დაწერიდან ახლო ხანებში, არ გამოქვეყნებულა ფ. მახარაძის „წარსული და მომავალი ჩვენი ერისა“, „ჰეგელი და მარქსი“ (ორივე ნაშრომი მცირე ფრაგმენტის სახითაა შემორჩენილი), „ორიოდე სიტყვა დიალექტიური მატერიალიზმის შესახებ“, „ისტორიული განვითარება“ (ორივე ნაშრომი დაუმთავრებელია). ოთხივე ნაშრომი დაწერილი უნდა იყოს „უთავბოლობის ნაყოფისა“ და „მწარე ფიქრების“ შემდეგ, ვიდრე დაიწერებოდა ფ. მახარაძის „გაკვრით პასუხი“ (გამოქვეყნდა 1895 წელს), ე. ი. 1893-1895 წლებში. 1895 წელს გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილ ფ. მახარაძის ნაშრომს — „გაკვრით პასუხი“ მოჰყვა იმავე „კვალის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა“ (1896 წ.), „შენიშვნები“ (1896 წ.), „რუსეთის შინაგანი ქრონიკა“ (1897 წ.), „ეკონომიური მიმოხილვის გამო“ (1897 წ.) და „პროვინციის ვითარება“ (1897 წ.).

ფ. მახარაძის „უთავბოლობის ნაყოფი“ წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ როგორი დოგმატური სახით შემოდიოდა მარქსიზმი საქართველოში.

ფ. მახარაძე საკმაოდ ვრცელ წერილში ეპაექრება დ. მაჩხანელს 1892 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში — „ჩვენი უთავბოლობა“ — გამოთქმული მოსაზრებებისათვის.[99] პოლემიკაში ფ. მახარაძეს დ. მაჩხანელის წინააღმდეგ ერთადერთი არგუმენტი აქვს — კ. მარქსის ნაშრომები. დან ალებული ცალკეული დებულებები. მთელ წერილს წითელ ზოლად გასდევს ერთი აზრი: დ. მაჩხანელი კ. მარქსს არ ეთანხმება, ე. ი. მცდარ პოზიციაზე დგას! სწორედ ამიტომ, ფ. მახარაძე კი არ კამათობს, კი არ ამტკიცებს რაიმეს, არამედ დ. მაჩხანელის წერილში ეძებს მარქსიზმთან შეუსაბამო ადგილებს. თავის მემუარებში ფ. მახარაძე წერს: „ასე რომ ამ აკადემიური წლის (1891-1892) განმავლობაში ჩვენ იმის მეტი არაფერი გაგვიკეთებია, რომ ვზეპირობდით მარქსისა და ენგელსის თეორიას“.[100] სწორედ დაზეპირებული მარქსიზმის ნიმუშია ფ. მახარაძის წერილი „უთავბოლობის ნაყოფი“.

„მწარე ფიქრები“ ფ. მახარაძემ მიუძღვნა „ივერიის“ პუბლიცისტ სანოს (სტეფანე ჭრელაშვილის) კრიტიკას, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევდა წოდებათა თანამშრომლობას.[101] ფაქტობრივად, წერილი მიმართულია ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძრაობის კონცეფციის წინააღმდეგ, წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის იდეის წინააღმდეგ.

დღეს ძნელი დასადგენია, რა მიზნით წერდა ფ. მახარაძე წერილებს „ორიოდე სიტყვა დიალექტიური მატერიალიზმის შესახებ“ და „ისტორიული განვითარება“, მით უმეტეს, რომ ნაშრომები დაუმთავრებელია. არსებითად, ორივე წერილი წარმოადგენს მარქსიზმის ცალკეული საკითხების პოპულარული ენით გადმოცემის ცდას.[102] ფ. მახარაძისათვის მარქსიზმის ყოველი დებულება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

პირველი გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლითაც ფ. მახარაძე ქართველი მკითხველის წინაშე წარსდგა, იყო „გაკვრით პასუხი“. ფ. მახარაძე, რომელსაც ქართულ ენაზე ჯერ არ გამოექვეყნებინა რა, პირდაპირ კადნიერი განცხადებით იწყებს თავისი მიზნის გამხელას: „დიდი ხანია არ არის მას აქეთ (სულ ერთი წელიწადია), რაც ჩვენს მწერლობაში ჩამოვარდა საუბარი კარლ მარქსის შესახებ. მრავალი სენით დაავადებულმა ჩვენმა საზოგადოებამ და უმეტესად მწერლობამ აქაც გამოიჩინა ერთი თავისი ყველაზე უდიდესი სენი — უაზრობა“.[103] და ამას ამბობს არა ილია ჭავჭავაძე, არამედ ფილიპე მახარაძე! მიზეზი ასეთი განცხადების შემდეგია: „ჩვენმა ყოყოჩ-ყოყოჩა პუბლიცისტებმა მაშინვე მოიქციეს სანუგეშოდ და მის მაგიერ, რომ რამენაირი, ცოტათი თუ ბევრად, გამორკვეული და ნათლად დასახული აზრი გამოეთქვათ მარქსის საზოგადო თეორიის წინააღმდეგ, დაკმაყოფილდნენ დიდი ხნიდან სხვების მიერ წარმოთქმული დახავსებული და დამპალი სიტყვების განმეორებით“.[104]

ფ. მახარაძე ძალზე უკმაყოფილოა „იერიაში“ კლასთა ბრძოლის მარქსისტული გაგების წინააღმდეგ გამოქვეყნებული წერილებით.[105] იგი ალბათ თვლიდა, რომ მარქსიზმი უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე ჰქონდა შესწავლილი. სწორედ ამიტომ გადაუწყვეტია საქართველოში ამ არც თუ სტუმართმოყვარულად მიღებული მოძღვრების შუაზე განიხილოს ქართველი ერის წარსული, აწყმო და მომავალი. წერილში ვკითხულობთ: „რამოდენიმე ხანია, რაც ჩვენი დღევანდელი საზოგადოების ვითარებათა შესწავლას შევუდექი. მე მსურს გამოვიკვლიო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უძლურება წარსულში და აწმყოში, დავასახელო მისი უმთავრესი მიზეზები“.[106] თავისთავად, ამ მიზანში ცუდი არაფერია, მაგრამ ქვემოთ ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ მის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად „აუცილებლად საჭიროა დიალექტიური მატერიალიზმის განმარტება“.[107] ეს კი იმას ნიშნავს, რომ წერილის ავტორი იმ სავალალო კითხვას — „თუ რა გზას ადგას დღესა ჩვენი ქართველობა“ — არკვევს მარქსიზმის დებულებებზე დაყრდნობით. ცხადია, იმ შემთხვევაში, როცა ფ. მახარაძის მოწინააღმდეგენი, „ყოყოჩ-ყოყოჩა პუბლიცისტები“, „ყოყოჩ-ყოყოჩა მწერლები“ არ ეზიარებენ მარქსიზმს, ფ. მახარაძე, ალბათ, ახერხებს მათ „დამარცხებას“.

ყველაზე მეტად ფ. მახარაძეს აშინებს წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის მოსალოდნელი შედეგი. აშინებს ის, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების იდეამ არ დააზაროს, არ შეათანხმოს სხვადასხვა სოციალური ფენები. აშინებს ის, რომ ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა არ შეძლონ ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის წარმატებით წარმართვა. სწორედ ამიტომ, ფ. მახარაძე დაჟინებით ამტკიცებს: არა წოდებათა შერიგება, არა კლასთა თანამშრომლობა და ამ გზით ეროვნული და სოციალური საკითხის გადაჭრა, არა „საერთო ნიადაგის“ ძიება, არამედ მჭონებელთა და უქონელთა კლასების დაპირისპირების გაღრმავება, დაუნდობელი ბრძოლა საზოგადოების სხვადასხვა ფენათა შორის.[108] ფ. მახარაძეს ზედმიწევნით კარგად ესმით: წოდებათა შერიგება რომ არ მოხდეს, უქონელთა წოდებამ უნდა შეიგნოს, რომ მას მხოლოდ ბრძოლა გადაარჩენს. ბრძოლა და არა მჭონებელთა კლასთან შეთანხმება. ამიტომაც უსვამს ფ. მახარაძე ხაზს იმას, რომ „შრომის წარმომადგენლებმაც უნდა მოახერხონ“ „თავისი მდგომარეობის შეგნება“, რაც „უმთავრესი თავდებია“ „უმრავლესობის ბედ-იღბლის გაუმჯობესების საქმისა აწმყოსა და მომავალში“.[109] ფ. მახარაძე ქართველი სოციალ-დემოკრატების ამოცანებს ორ ეტაპად ჰყოფს: პირველი, მშრომელთა შეგნებიდან წოდებათა თანამშრომლობის, კლასთა შერიგების, ე. ი. „საერთო ნიადაგის“ იდეის ამოძირკვა; მეორე, ბრძოლა

ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ.[110] ფ. მახარაძემ ვერ გაიგო, რო
დაპყრობილი ერის ყველა კლასის, ყველა სოციალური ფენის ინტერესებ
არ შეიძლება დაექვემდებაროს იმ ზოგად კანონზომიერებებს, რომლის მი
ხედვითაც განვითარდა იმ ერების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოცია
ლური ცხოვრება, რომლთაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ჰქონ
დათ.

ფ. მახარაძის წერილი „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა?"
სავსეა სადღაც ამოკითხული ფრაზებით, ვილაცის აზრებით და ავტორის
აკვიატებული სურვილით — დაამტკიცოს მეტაფიზიკის გაკოტრება.[111] წე
რილიდან ცხადი ხდება, რომ ფ. მახარაძეს მეტაფიზიკის შესახებ ძალზე
ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, ისევე როგორც ბევრ სხვა საკითხზე,
რომელზეც წერილში საუბრობდა. ასეთი საკითხებია, მაგალითად, თუ რა
მდგომარეობაში იყო ასტრონომია, გეოლოგია, ქიმია, ზოოლოგია, ბოტანი
კა, ფიზიოლოგია და სხვა მეცნიერება.[112]

ავტორს სადღაც ამოუკითხია, რომ კ. მარქსი დიდ მნიშვნელობას
ანიჭებდა ისტორიული გმოცდილების გათვალისწინებას. კ. მარქსის აზრი
იმდენად მოსწონებია ფ. მახარაძეს, რომ სპეციალური წერილიც კი დაუ
წერია.[113] რა თქმა უნდა, ფ. მახარაძემ ქართველი ერის ისტორიის ა
კუთხით გააზრებაც სცადა: „ბევრი შეცდომა მოგვეშვიდა, ბევრი შეცდომა
ჩავიდინეთ მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვესმოდა იმის მნიშვნელობა, რაც
ჩვენ გარშემო ხდებოდა".[114] თუმცა, ფ. მახარაძე ქართველ მკითხველს
ამშვიდებდა: „მაგრამ ეს ხომ კანონია მთელი კაცობრიობის განვითარები
სა. კაცობრიობა მხოლოდ შემდეგ იგნებს და აფასებს თავის წინანდელ
შეცდომებს".[115] ამ თითქოს უწყინარი წერილის უწყინარი შესავლის შე
დეგ ფ. მახარაძე ამყარავნეს თავის ნამდვილ მიზანს. წერილში ვკითხუ
ლობთ: „თუ რომელიმე საზოგადოებას ანუ ხალხს წინ უდგას გასავლე
ლად დაახლოებით იმნაირივე მდგომარეობა, რაც წინათ გამოუვლია, მა
შინ მის მეთაურთ შეუძლიათ იხელმძღვანელონ, რამდენადაც არსებულ
პირობები ხელს შეუწყობენ, წინანდელი გამოცდილებით და ისე იმოქმე
დონ, რომ ის შეცდომები, რომელთა თავიდან აცდენა შესაძლებელია,
აღარ ჩაიდინონ".[116] როცა სხვა ერების გამოცდილების გათვალისწინებას
საუბრობს, ფ. მახარაძე იქიდან ამოდის, რომ „განვითარებული ერი საზო
გადოთ წარმოადგენს განუვითარებელის სურათს მისი საკუთარი განვით
რებისას".[117] ავტორი ამ შემთხვევაში იმ მოღვაწეებს ეკამათება, რომლე
ბიც დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ყოველი იდეა, შემოტანილი უცხო ქ
ვეყნიდან, არ გადმოინერგება ქართულ ნიადაგზე და თუ მისი ძალდატან
ბითი გადმონერგვა მოხერხდა, ამას მხოლოდ უარყოფითი შედეგები შე
ძლება მოჰყვეს.

ეკლექტური ხასიათის წერილში „რუსეთი შინაგანი ქრონიკა“, რომელიც 1896 წელს დაიბეჭდა „კვალში“ ფ. მახარაძე ცდილობს მარქსიზმის მსოფლმხედველობიდან ახსნას რუსეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი საკითხი.[118] იმდროინდელ გურიაში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესების მარქსიზმის მსოფლმხედველობიდან გაშუქებას ეძღვნება 1897 წელს „კვალში“ გამოქვეყნებული ფ. მახარაძის წერილი „პროვინციის ვითარება“.[119]

ცალკე უნდა განვიხილოთ ფ. მახარაძის წერილი „ეკონომიური მიმოხილვის გამო“, რომელიც 1897 წელს დაიბეჭდა „კვალში“.[120] ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ არ არსებობს XIX საუკუნის დასასრულის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვა: „თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოებამ შექმნა თავისებური საზოგადოებრივი ურთი-ერთობანი, დაბადა ახალი უფლება, ახალი ზნეობა, ახალი სქესობრივი განწყობილებანი და სხვა და სხვა. და ახლა ვიკითხოთ: როცა ყოველივე ეს სხვებს დაწერილებით შესწავლილი და გამოკვლეული აქვთ, ჩვენ რალა გაგვიკეთებია, ან რას ვაკეთებთ? სრულიად არაფერი და, ვგონებ, ჯერ-ჯერობით ამ მხრით არც არაფრის გაკეთებას ვაპირებთ“.[121] ერთი შეხედვით, ფ. მახარაძის მიერ დაყენებული საკითხების შესწავლა თითქოს თავისთავად არავითარ საფრთხეს არ შეიცავდა ეროვნული მოძრაობისათვის, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ყოველივე ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რა მსოფლმხედველობის საფუძველზე, რა პრინციპებიდან გამომდინარე აპირებდა ფ. მახარაძე ხსენებული საკითხების შესწავლას. აი, ეს პრინციპებიც: „არავისათვის დასამალავი არ არის, რომ ჩვენ, ქართველები, შეუდარებლად ჩამორჩენილი ვართ ჩვენი დროის დაწინაურებულ ხალხებზე ყოველი მხრით; მეორე მხრით, ყველამ უწყისს, რომ ბევრი რამ გვაქვს ამ ხალხებთან საერთო: როგორც იმათში, ისე ჩვენშიაც არსებობენ საზოგადოებრივი დაყოფანი: მაღალი და დაბალი, მდიდარი და ღარიბი, ერთი მხრით ფულისა და მამულის მეპატრონენი და მეორე მხრით უმიწაწყლოთ დარჩენილი ნაწილი საზოგადოებისა... როგორც დაწინაურებულ ერთა შორის, ისე ჩვენშიაც საზოგადოების ამ ორ მოწინააღმდეგე კლასთა შორის ერთნაირი განსხეთქილება, ანტაგონიზმი არსებობს“.[122] უკვე გასაგები ხდება ფ. მახარაძის მიზანი. მას სურს საზოგადოება დაარწმუნოს იმაში, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესი საქართველოში მხოლოდ კლასთა ბრძოლის გზით შეიძლება იქნეს მიღწეული.

ამრიგად, 1892-1897 წლებში ფ. მახარაძის მიერ დაწერილი ნაშრომების ანალიზი გვარწმუნებს შემდეგში:

1) ფ. მახარაძეს არ გააჩნდა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა საქართველოს ახალი ისტორიაში;

2) ცუდად იცნობდა მის თანამედროვე ქართულ მწერლობას და პუბლიცისტიკას;

3) ვერ ჩაწვდა, ხოლო ხშირ შემთხვევაში განგებ დააკნინა, გააუბრალოვა ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძრაობის კონცეფცია, წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის იდეა;

4) სოციალისტური მოძღვრებიდან ფ. მახარაძე ძირითადად გ. პლეხანოვის შრომების მეოხებით იცნობდა მხოლოდ მარქსიზმს, საკუთრივ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებიდან იცნობდა მხოლოდ ცალკეულ დებულებებს, ვერ ერკვეოდა მისი თანამედროვე დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის თეორიასა და პრაქტიკაში, იქ მიმდინარე იდეურ ბრძოლაში, ახალ მიმართულებებში;

5) მარქსიზმის დოგმატური გაგების დამკვიდრების მცდელობით უკვე XIX საუკუნის 90-იან წლებში ფ. მახარაძემ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქართულ სოციალ-დემოკრატიას, მთელ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას.

ამრიგად, 1893-1897 წლებში „მესამე დასის“ წევრთა ნაყოფიერი პუბლიცისტური მოღვაწეობის შედეგად საქართველოში დამკვიდრდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია. ამასთან ერთად ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ სრულყო და განავითარა ქართული სინამდვილის გარდაქმნის საკუთარი პროგრამა. დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფი ქართული სოციალ-დემოკრატია ქართველი ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზას ქვეყნის ევროპეიზაციაში ხედავდა. 1893-1897 წლებში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ და მისმა ლიდერმა ნოე ჟორდანიამ გაუძლეს რუსული სოციალ-დემოკრატიის შემოტევას — არ დათმეს დასავლეთ ევროპული ორიენტაცია. სულ უფრო ცხადი ხდებოდა რომ სოციალ-დემოკრატია იქცა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ძლიერ მიმდინარეობად.

§4. სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეების აღმოცენება საქართველოში (XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარი – 1901 წელი)

ზესტაფონისა (1892 წ. დეკემბერი) და თბილისის (1893 წ. თებერვალ-მარტი) კონფერენციებზე, როგორც აღვნიშნეთ, შეიქმნა პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი". თბილისის კონფერენციამ ახლად შექმნილი ორგანიზაციის პრაქტიკული სამოქმედო პროგრამა ასე განსაზღვრა: „პრაქტიკული მუშაობის დაწყება. წერით, სიტყვით და ორგანიზაციების დაარსებით, პირველყოფლისა თბილისში".[123] ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა „წერით" და „სიტყვით" მუშობას თავი წარმატებით გაართვეს – ნ. ჟორდანიამ, ეგ. ნინოშვილმა, ს. ჯიბლაძემ და სხვებმა 1894 წლიდან დაწყებული გამოაქვეყნეს მრავალი ნაშრომი. რაც შეეხება ორგანიზაციების შექმნას, მესამე დასელებმა ამ ამოცანის განხორციელება ვერ შეძლეს. ამის მიზეზი „მესამე დასის" ორგანიზაციულ სისუსტესა და იდეურ განხეთქილებაში კი არ უნდა ვეძებოთ, როგორც ამას აკეთებდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, არამედ რუსეთის დიდი სოციალ-დემოკრატიული ცენტრების – „შრომის გათავისუფლების" ჯგუფი (ჟენევა), „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი საზღვარგარეთ" (ჟენევა) და „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" (სანკტ-პეტერბურგი) – მიერ კარგად გააზრებულ ბრძოლაში ახლად შექმნილი ორგანიზაციის – „მესამე დასის" – წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მიზანი იყო დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფი „მესამე დასის" იდეური გადაგვარება და ორგანიზაციული დასუსტება. რუსულ სოციალ-დემოკრატიის ლიდერები – გ. პლეხანოვი და ვ. ლენინი – ვერ დაუშვებდნენ საქართველოში ისეთი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას და მოღვაწეობას, რომელიც არ იდგა რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე, აშკარად აღიარებდა დასავლურ ორიენტაციას. „მესამე დასი" საშიში პრეცენდენტი იყო რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის, რომლებიც უკვე შეუდგნენ სარუსეთო მასშტაბით სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებისათვის ბრძოლას.

საქართველოში პოზიციების ხელში ჩაგდების მიზნით ნიადაგის მომზადებას რუსული სოციალ-დემოკრატია XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან იწყებს. 90-იანი წლების დამდეგიდან თბილისში მანგლისელი ჯარისკაცის შვილმა თევდორე აფანასიევმა დააარსა წრე, რომელიც გარ-

კეული პერიოდის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას იწყებ
XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან საქართველოში უკ
მოღვაწეობდნენ რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები: გიორგ
ფრანჩესკი, იპოლიტე ფრანჩესკი, ოსიპ კოგანი, ივანე ლუზინი, ნიკოლო
კოზერენკო, ვიქტორ კურნატოვსკი, ივანე ლევაშკევიჩი, ნიკოლოზ პოლე
ტაევი, ნიკოლოზ ბოგარაზი და სხვ. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფი
მხოლოდ აღტაცებას გამოხატავდა მარქსიზმის გავრცელებისა და სო
ციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნის მიზნით საქართველოშ
რუსეთიდან სოციალ-დემოკრატების ჩამოსვლის გამო და დიდად აფასებდ
მათ ღვაწლს".[124] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რუსეთიდან სო
ციალ-დემოკრატების ჩამოსვლასა და მათ მოღვაწეობაზე ბევრია დაწერი
ლი, არავის დაუყენებია საკითხი: რუსეთის დიდი სოციალ-დემოკრატიუ
ლი ცენტრებიდან ამდენი უცხოტომელის საქართველოში ჩამოსვლ
შემთხვევითი მოვლენა იყო თუ ვინმეს მიერ ორგანიზებული კამპანია
დიდი სიბრძნე არ არის იმისთვის საჭირო, რომ რუსეთიდან საქართვე
ლოში ჩამოსული სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის შეფასებისას გა
კეთდეს ასეთი დასკვნები:

1) საქართველოში ჩამოსული რუსი და არარუსი ეროვნების სო
ციალ-დემოკრატები ჩამოყალიბდნენ რუსეთის სინამდვილეში, ქართულ სი
ნამდვილეს, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური
განვითარების თავისებურებებს, ქართველი ერის კულტურუ-ფსიქოლო
გიურ ფენომენს, ისტორიულ ტრადიციას ისინი ან საერთოდ რა იცნობდ
ნენ, ან ცუდად იცობდნენ;

2) რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობას დი
დად აფერხებდა ენობრივი ბარიერი. ქალაქის მოსახლეობის სიმცირის გა
მო საქართველოს ორი მთავარი სამრეწველო ცენტრის — თბილისისა და
ბათუმის — მუშათა რიგები ძირითადად სოფლის მოსახლეობით ივსებოდა,
რომელთა უმრავლესობაც, ცხადია, რუსული ენა არ იცოდა;

3) რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები დასავლეთ ევრო
პის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები არ იყვნენ, მათ რუსულ
სოციალ-დემოკრატიის სკოლა გაიარეს და, ბუნებრივია, საქართველოშიც
რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების დანერგვას შეეცდებოდნენ;

4) რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები (გ. პლეხანოვი
ვ. ლენინი) თავიდანვე ველიკოდერჟავულ პოზიციაზე დადგნენ. მათთვის
მიუღებელი იყო რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების სოციალ-დემოკრა
ტიის დასავლეთ ევროპული ორიენტაცია, ან ცალკეულ ერებში დამოუკი
დებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა. რუსეთიდან საქართვე
ლოში ჩამოსული სოციალ-დემოკრატები საქართველოს რუსეთის განუყო

ფელ ნაწილად, განაპირა მხარედ, გუბერნიად თვლიდნენ. აქედან გამომდინარე, რუსული სოციალ-დემოკრატია და მისი წარმომადგენლები საქართველოში უნდა დაპირისპირებოდნენ ქართულ ეროვნულ მოძრაობას, ებრძოლათ ქართულ სოციალ-დემოკრატიაში და მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში რუსული ორიენტაციის გამარჯვებისათვის, ქართველი მუშისა და გლეხის საერთო-საროსეთი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმისათვის;

5) რუსეთის დიდი სოციალ-დემოკრატიული ცენტრებიდან სოციალ-დემოკრატების მოვლენა, რომ არა, რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფი ქართველ სოციალ-დემოკრატთა მცირე ჯგუფი წინ ვერ აღუდგებოდა „მესამე დასის“ თბილისის კონფერენციის გადაწყვეტილებების განხორციელებას — საპროგრამო დებულებების პროპაგანდასა და ორგანიზაციების შექმნას;

6) რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულმა რუსი და არარუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატებმა, ეწობრივი ბარიერის მიუხედავად, გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის, უფრო ზუსტად, რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების გავრცელების, ასევე პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეების შექმნის საქმეში.

საინტერესოა, რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული სოციალ-დემოკრატები რუსეთის რომელ სოციალ-დემოკრატიულ ცენტრებთან იყვნენ კავშირში? მაგალითად, ო. კოგანი დაკავშირებული იყო როგორც „შრომის გათავისუფლების“ ჯგუფთან, ისე „ბრძოლის კავშირთან“; ი. ლუბინი მჭიდრო კავშირში იყო ვ. ლენინის მიერ სამარაში 1892 წელს შექმნილ მარქსისტულ წრესთან; ნ. კოზირენკო დაახლოებული იყო პირადად გ. პლეხანოვთან და „შრომის გათავისუფლების“ ჯგუფთან, რაც შეეხება ნ. პოლეტაევს, ი. ლევაშკევიჩს და ნ. ბოგორაზს, ისინი „ბრძოლის კავშირის“ მოღვაწეები იყვნენ.[125] რა თქმა უნდა, გ. პლეხანოვი და ვ. ლენინი პროპაგანდისტების ამ მცირე ჯგუფის ძალებით არ შეეცდებოდნენ რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეების დამკვიდრებას საქართველოში. სარწმუნო მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ უკვე ნაროდნიკული ორგანიზაციების რეპრესიებიდან დაწყებული (XIX საუკუნის 80-იანი წლებში) რევოლუციურ მებრძოლობაში მონაწილეობისათვის მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი პოლიციის ფარული ან აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ იგზავნებოდა საქართველოში, მეტწილად თბილისში, ცოტა მოგვიანებით (XIX საუკუნის 90-იან წლებში) მათ დაემატა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის მსჯავრდებულთა დიდი ნაკადი, ყოველ გადმოსახლებულს, პოლიტიკური მრწამსის არაერთგვაროვნების

მიუხედავად, აერთიანებდა ერთი მთავარი — არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი რამდენიმე რევოლუციონერის გარდა, თბილისში XIX საუკუნის 90-იან წლებსა და XX საუკუნის დამდეგს კიდევ მოღვაწეობდა რამდენიმე ათეული პოლიტიკური მოტივით გადმოსახლებული. მაგალითად, 1894 წლის აპრილში თბილისში ჩამოვიდა ალექსანდრე ლანგე-პოზდეევი, 1894 წლის აგვისტოში — ივან-სტანისლავ კიევსკი, 1894 წლის ოქტომბერში — ნიკოლოზ კრუტოვსკი, 1894 წლის დეკემბერში — პეტერ-მარიან რისლოვსკი, 1895 წლის თებერვალში — ივანე ზავრიევი და გიორგი ტუმიში.[126] თბილისში პოლიტიკური მოტივით გადმოსახლებულთა ჩამოსვლას განსაკუთრებით გაძლიერდა „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ განადგურებისა და ამ ორგანიზაციის წევრთა გასამართლების შემდეგ (1895-1896 წწ.). „ბრძოლის კავშირის“ ზემოთ ხსენებულ გადმოსახლებულ წევრთა გარდა, 1896 წლის მაისში თბილისში ჩამოვიდა ალექსანდრე ნიკიტინი, რომლის საქმე ნიკოლოზ ბოგორაზის საქმესთან ერთად ჯერ კიდევ ძიებაში იყო სანკტ-პეტერბურგის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში.[127]

ჯოველიევ ზემოთ თქმულის შუქზე სავსებით სწორად გვეჩვენება ფ. ლომაშვილის დასკვნა: „1895-1896 წწ. მუშათა მოძრაობის მძლავრმა აღმავლობამ დღის წესრიგში დააყენა მისი შემდგომი გაფართოების, კერძოდ, ამ მოძრაობის პერიფერიულ სამრეწველო ცენტრებში გადატანის საკითხი. ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მაშინდელი ცენტრების — „ბრძოლის კავშირის“ და „შრომის გათავისუფლების“ ჯგუფებთან დაკავშირებულ რუს ემიგრანტთა წრეებს უნდა ეკისრათ. ო. კოგანის, ი. ლუზინის, გ. ფრანჩესკისა და ნ. კოზერენკოს საქართველოშის მოღვაწეობაც სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ.“[128]

რუსეთის დიდი სოციალ-დემოკრატიული ცენტრები („შრომის გათავისუფლების“ ჯგუფი, „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი საზღვარგარეთ“) უკვე XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდითა და ორგანიზაციების შექმნით, ოღონდ იმხანად პირველი რიგის ამოცანას მაინც პროპაგანდისტული მუშაობა წარმოადგენდა. მოგვიანებით, ამავე მიზანს ისახავდა ვ. ლენინისა და ი. მარტოვის მიერ შექმნილი „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ (1895 წ.), იმ განსხვავებით, რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების პროპაგანდასთან ერთად უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნას საქართველოში. ასეთ

ვითარებაში 1892-1893 წლებში ყვირილისა და თბილისის კონფერენციებზე იქმნება ორგანიზაცია „მესამე დასი", რომელიც, თბილისის კონფერენციის მიერ მიღებული პროგრამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ იდგა რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე. „მესამე დასი" დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის ძლიერ იდეურ გავლენას განიცდიდა: პრინციპულად არ იზიარებდა კლასთა ბრძოლის, რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების იდეას, ე. ი. არ იზიარებდა იმას, რაც მთავარი იყო რუსულ სოციალ-დემოკრატიაში. სწორედ ამიტომ, ვ. ლენინისა და გ. პლეხანოვისათვის აუცილებელი იყო „მესამე დასის" იდეური და ორგანიზაციული განადგურება, უკიდურეს შემთხვევაში იდეური გადაგვარება და ორგანიზაციული დასუსტება, რათა ხელსაყრელი პირობები შექმნილიყო საქართველოში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების დამკვიდრებისათვის.

ვერ კიდევ ორგანიზაციულად სუსტმა „მესამე დასმა" ვერ გაუძლო რუსეთის დიდი სოციალ-დემოკრატიული ცენტრების დაწოლას. მისი პოზიციები იმანაც შეასუსტა, რომ ორგანიზაციის ლიდერი ნოე ჟორდანია ხანგრძლივად (1893-1897 წწ.) იმყოფებოდა ემიგრაციაში, სწორედ იმ პერიოდში, როცა აუცილებელი იყო ბრძოლა რუსული სოციალ-დემოკრატიის შემოტევის წინააღმდეგ, ორგანიზაციების შექმნა თბილისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში. რუსეთიდან ჩამოსულმა სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ ხელში აიღეს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა საქართველოს ორ მთავარ სამრეწველო ცენტრში — თბილისსა და ბათუმში. პირველ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებსა და წრეებში მათ რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეებს აზიარებს და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოიყვანეს რევოლუციონერთა მთელი პლეადა: ვ. ცაბაძე, დ. როსტომაშვილი, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ჩოდრიშვილი, კ. გოგუა, მ. ბოჭორიძე, გ. ჩხეიძე, გ. თხელიძე, ი. სტურუა, გ. თელია, ვ. მგელაძე, გ. რთველაძე, მ. შენგელია, ა. ოქუაშვილი, დ. სართიშვილი და სხვები, რომლებიც შემდეგში გახდნენ რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების პროპაგანდისტები საქართველოში. რუსეთიდან ჩამოსულმა რუსი და არარუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატებმა XIX საუკუნის დასასრულიდან მყარად მოიკიდეს ფეხი თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, განსაკუთრებით ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში და მათ მიერვე მომზადებულ ქართველ და არაქართველ მუშებთან ერთად სწორედ ისინი გახდნენ ტონის მიმცემნი XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის მუშათა დემონსტრაციებისა და გაფიცვებისა.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული (საბჭოთა ისტორიოგრაფიაში — მარქსისტული) ჯგუფებისა და წრეების შექმნისა და მოღვაწეო-

ბის ისტორია თითქოს საბჭოთა ისტორიკოსების მიერ კარგად უნდა ყოფილიყო შესწავლილი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. სამართლიანად შენიშნავს ფ. ლომაშვილი: „ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს მისწრაფება, რაც შეიძლება იქით, შორს, „ისტორიულ წარსულში გადაიტანოს ჩვენში მარქსისტული მუშათა წრეებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩასახვა-ჩამოყალიბების თარიღები“.[129] ამ არსებით ნაკლთან ერთად საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყიდევ მრავალი ნაკლი ჩანს: 1) მემუარებში მოტანილი მასალის ხელოვნური წყობა; 2) რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული სოციალ-დემოკრატების როლის გაზვიადება; 3) სოციალისტური მიმდინარეობის ფონზე სავსებით სწორად მიიჩნევა ზ. გეგეშიძე, როცა საქართველოში 1883-1894 წლებში არსებულ წრეებსა და ორგანიზაციებს უწოდა „მუშათა, მოსწავლეთა, ინტელიგენტთა თვითგანვითარების წრეები და მუშათა ორგანიზაციები“[130] და არა სოციალ-დემოკრატიული წრეები და ორგანიზაციები. ცნობილია, რომ სოციალისტურ იდეებს საქართველოში, და კერძოდ მუშათა კლასშიც XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქართველი ნაროდნიკებიც ავრცელებდნენ, მაგრამ ეს იყო რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის იდეოლოგია და არა სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება.[131] ქართველმა ნაროდნიკებმა, როგორც ეს საგანგებოდ ცხადად ჩანს ს. ხუნდაძის გამოკვლევიდან, დიდი როლი შეასრულეს საქართველოში სოციალისტური იდეების გავრცელების საქმეში.[132] მაგრამ, ცხადია, ნაროდნიკები სოციალ-დემოკრატიულ იდეებს არ ეწეოდნენ და არც მათ მიერ შექმნილი ორგანიზაციები იყო სოციალ-დემოკრატიული. უფრო მეტიც, როგორც სწორედ მართებულად დაასკვნის ს. ხუნდაძე, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქართულ პრესაში არც მარქსისა და მარქსიზმის შესახებ გამოქვეყნებული წერილები (გ. ლადანოვიჩი-მაიაშვილი, ე. მჭედლიძე-ბოსლელი, გ. ლასხიშვილი-ლალი, რ. ფანცხავა-ხომლელი) არ იყო სოციალ-დემოკრატიული ხასიათისა.[133]

ამრიგად, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში (1883-1894 წწ.) საქართველოში არც რუსეთიდან ჩამოსული სოციალისტები და არც ქართველი ნაროდნიკები სოციალ-დემოკრატიულ იდეებს არ ავრცელებდნენ და არც მათ მიერ შექმნილი ორგანიზაციები (ანუ წრეები) იყო სოციალ-დემოკრატიული. ეს იდეები საქართველოში უმეტეს შემთხვევაში, საფუძვლის მარქსისტულად ძირის დასმას ასაც კითხვა: თვითონ ალექსანდრე ცისკარიშვილის წრის დაარსების მომენტისათვის (1892 წ.) იგი სოციალ-დემოკრატი? ან ეს წრე ინტელიგენციასა და მუშებში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ავრცელებდა? იმაზე

თვალსაზრისით თუ შევაფასებთ მოსწავლეთა და ინტელიგენტთა თვითგანვითარების წრეებს, რომლებიც 1889-1892 წლებში შეიქმნა ბათუმში (1889 წ.), ქუთაისსა და ზესტაფონში (1890 წ.) ეგ. ნინოშვილის, მ. ცხაკაიასა და სხვ. ინიციატივით, დავრწმუნდებით, რომ ამ წრეების სოციალ-დემოკრატიულ წრეებად გამოცხადება არ შეიძლება.[134] რაც შეეხება თ. აფანასიევის წრეს, იგი შექმნიდან რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლებოდა გამხდარიყო სოციალ-დემოკრატიული. 1894 წლის აპრილში თბილისში ჩამოღის პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ალექსანდრე ლანგე-პოზდეევი, 1894 წლის აგვისტოში — პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ივანე-სტანისლავ კიევსკი, 1894 წლის ოქტომებრში — პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ნიკოლოზ კრუტოვსკი, 1894 წლის დეკემბერში — პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პეტერ-მარიან რიხლოვსკი, 1895 წლის თებერვალში — პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ივანე ზავრიევი, 1895 წლის თებერვალში — პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი გიორგი ტუმანი, 1896 წლის მაისში — პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ალექსანდრე ნიკიტინი, 1896 წლის მაისში — პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ნიკოლოზ ბოგორაზი, 1897 წლის აპრილში — ივანე ლევაშკევიჩი.[135] არც ზემოთ ჩამოთვლილი პირების გამოცხადება შეიძლება სოციალ-დემოკრატებად. მათი ნაწილი ან ნაროდნიკულ მოძრაობაში, ან სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის იყო მსჯავრდებული, ხოლო ნაწილი — სხვადასხვა „საიდუმლო“ საზოგადოებებში და ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის. გადმოსახლებულთა ნიწილი (ი. ლევაშკევიჩი, ნ. ბოგორაზი) შემდეგში მართლაც ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, მაგრამ ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით.

არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ იოსებ არონის ძე კაგანი (იგივე ოსიპ არკადის ძე კოგანი) სოციალ-დემოკრატი იყო. მისი ახლო ნათესავებიც — აბა-აბრამ ბენიამინის ძე კაგანი და ბენცელ აბრამის ძე კაგანი სოციალ-დემოკრატები იყვნენ.[136] იგივე ითქმის ნიკოლოზ კოზერენკოზე[137] და ვიქტორ კურნატოვსკიზე.[138] რაც შეეხება ივანე ლუზინს, თავიდან იგი სოციალიზმის ანარქისტული მიმდინარეობის წარმომადგენელი იყო.[139]

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და ზესტაფონში ნაროდნიკების მიერ დაარსებულმა თვითგანვითარების წრეებმა, რომლებშიც გაერთიანებულნი იყვნენ მუშები, ხელოსნები, მოსწავლეები და ინტელიგენცია, მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი სოციალური საკითხის პოპულარიზებას, მისი გადაჭრის გზების ძიებას

და ამდენად, მოამზადეს ნიადაგი სოციალ-დემოკრატიული იდეოლო
გიის შეთვისებისათვის.

თბილისის მუშა-ხელოსანთა თვითგანვითარების წრეებში მიიღეს გ
ნათლება შემდეგში ცნობილმა სოციალ-დემოკრატებმა: მ. ჩოდრიშვილმ
მ. დავითაშვილმა, მ. ბოჭორიძემ, ი. სტურუამ, ა. ოქუაშვილმა, დ. რო
ტომაშვილმა, ვ. ცაბაძემ და სხვ. ამ წრეებმა მუშები არა მარტო იდეუ
რად მოამზადეს, არამედ ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილებაც შე
ძინეს.[140]

თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა თვითგანვითარებ
წრეები ნაროდნიკული ხასიათისა იყო. ამ წრეებში სხვადასხვა დრო
გაერთიანებული იყვნენ ის. რამიშვილი, მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე, ფ. მა
რაძე, ნ. ურდანია და სხვ. მომავალი სოციალ-დემოკრატები სოციალის
ტურ დოქტრინას თავდაპირველად რუსული ნაროდნიკული სოციალიზმ
სახით გაეცვნენ.[141]

მუშათა კავშირი, რომელიც თბილისში 1887 წელს დააარს
თ. გუზენკომ, პ. შაფრამოვმა და ნ. ერმოლაევმა, ძირითადად რუსული ნ
როდნიკული სოციალიზმის იდეების პროპაგანდას ეწეოდა, მაგრამ სოცი
ლური საკითხის პოპულარიზაციით მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მუშ
თა დაინტერესებას სოციალ-დემოკრატიული იდეებით.[142]

თბილისის საკვირაო სკოლებმა, მათი ლეგალური ხასიათის მიუხ
დავად, ასევე შეუწყო ხელი მშრომელთა დაინტერესებას სოციალისტურ
დოქტრინით.[143]

„კრასნოგორსკაია კომუნა“, რომელიც 1892 წლის დამდეგს შეიქ
ნა, მართალია ჩვენ არ მიგვაჩნია „პირველ სოციალ-დემოკრატიულ არა
ლეგალურ ჯგუფად“, მაგრამ სოციალისტური იდეების პროპაგანდაში ამ
ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.[144]

თევდორე აფანასიევის წრემ (შეიქმნა 1892 წელს) ხელი შეუწყო
მუშათა თვითგანვითარების საქმეს, ნიადაგი მოამზადა მუშათა შორის სო
ციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდისათვის.[145]

ბათუმის მუშათა თვითგანვითარების წრის (შეიქმნა 1889 წელს)
ისევე როგორც ზესტაფონის თვითგანვითარების წრის (შეიქმნა 189
წელს) დაარსება და მოღვაწეობა ეგ. ნინოშვილის სახელს უკავშირდე
ამ წრეებში ინტელიგენციისა და მოსწავლეთა წარმომადგენლები იყვნ
გაერთიანებულნი. არც ეს წრეები (ისევ როგორც ქუთაისის თვითგანვი
რების წრე) არ ამაღლებულა სოციალ-დემოკრატიულ წრემდე, თუმც
სოციალისტური დოქტრინის პოპულარიზაციის საქმეში ამ წრეებმაც დ
დი როლი ითამაშეს.[146]

თვითგანვითარების წრეებიდან სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებსა და წრეებზე გადასვლა XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ხდება. ი. სტალინი ზუსტ თარიღსაც მიუთითებს – 1896 წელი. იგი აღნიშნავს, რომ იმ პერიოდისათვის (1896 წ.) „მუშაობა არ სცილდებოდა საიდუმლოების, კონსპირაციის საზღვარს".[147] ცხადია, ეს ასეც იქნებოდა. სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები მკაცრად კონსპირირებული უნდა ყოფილიყო. „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" განადგურების შემდეგ, 1896-1897 წლებში მთელს რუსეთის იმპერიაში უმკაცრესი რეპრესიული ღონისძიებანი გატარდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მიმართ.

XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, ვიდრე 1901 წლამდე, საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის პროპაგანდისა და წრეების შექმნის საქმეში დიდ აქტიურობას იჩენდნენ რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები: ივანე ლუზინი, ნიკოლოზ კოზერენკო, გიორგი ფრანჩესკი, ოსიპ კოგანი, ნიკოლოზ პოლეტაევი, ივანე ლევაშკევიჩი, ალექსანდრე ბოგორაზი, ნიკოლოზ ბოგორაზი, ვიქტორ კურნატოვსკი, კონსტანტინე (კონდრატი) გროზმანი, იპოლიტე ფრანჩესკი, კლავდია ფრანჩესკი (იპ. ფრანჩესკის მეულლე), თბილისელი თევდორე აფანასიევი და სხვ.[148]

თ. აფანასიევის წრე ჟანდარმერიამ აღმოაჩინა 1897 წლის ივნისში. ჟანდარმერიამ თ. აფანასიევის ბინა გაჩხრიკა 19 ივნისს, თვით თ. აფანასიევი კი 26 ივნისს დააპატიმრეს.[149] თ. აფანასიევის ბინის ჩხრეკისას ჟანდარმერიამ ამოიღო 301 წიგნი, 11 ჟურნალი, 14 ბროშურა,[150] რომელთაგან ძიების ყურადღება მიიპყრო რამდენიმემ, კერძოდ: 1) რუსული თავისუფალი პრესის 1894 წლის კატალოგი; 2) ბროშურა „განმარტება 1896 წლის 1 იანვრის უმაღლესი ბრძანებულებით დამტკიცებული მუშათა შესახებ ახალი კანონისა", გამოცემული ხერსონში კ. ნ. სუბოტინის სტამბაში; 3) 1896 წელს ჟენევაში გამოცემული ბროშურა „რას აკეთებენ რუსეთის მეფეები ხალხისათვის"; 4) ჟენევაში გამოცემული ბროშურა „როგორც ზრუნავს მინისტრი მუშებზე"; 5) ბროშურა „მუშათა რევოლუცია"; 6) ვ. კოროლენკოს სტატია „მოგონებები ჩერნიშევსკიზე".[151] როგორც, რა ფორმით და რომელ აუდიტორიაში ეწეოდა თ. აფანასიევი სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას, ძიების მასალებიდან არ დგინდება.

ო. კოგანის თბილისის მუშათა წრე, რომელიც 1899 წლის ბოლოს ო. კოგანმა ა. შატილოვს გადასცა, გამოკვეთილი სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო და დიდი როლიც შეასრულა რკინიგზის მუშებში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის შეტანის საქმეში.[152]

გ. ფრანჩესკისა და ი. ლუზინის მიერ 1897 წელს ბათუმში დაარსე
ბული წრე აგრეთვე გამოკვეთილი სოციალ-დემოკრატიული მიმართულე
ბისა იყო.[153] ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ წრესთან ახლო ურთიერ
თობაში იყო ნ. კოზერენკო.[154]

რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები, რა თქმა უნდა, ორგა
ნიზაციულ მოღვაწეობასთან ერთად (ჯგუფებისა და წრეების შექმნა)
იდეოლოგიურ მუშაობასაც ეწეოდნენ — პროპაგანდას უწევდნენ სოციალ-
დემოკრატიულ იდეებს. პრობლემის ეს მხარე კარგად აქვს შესაწვლილი
ფ. ლომაშვილს.[155] მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემული მკვლე
ვარის შემდეგ დასკვნას: „1896 წელს საქართველოში ერთმანეთს ხვდება
ერთი მხრივ, „მესამე დასის" შიგნით იმთავითვე ჩასახული და 90-იანი
წლების მეორე ნახევრიდან გაძლიერებული, ხოლო მეორე მხრივ, პეტერ-
ბურგის ლენინური „ბრძოლის კავშირიდან" და რუსეთის სოციალ-დემოკ
რატიის სხვა უმნიშვნელოვანესი კერებიდან მომდინარე რევოლუციურ-
მარქსისტული მიმდინარეობის ორი ნაკადი. ორივე ამ ნაკადმა საქართვე
ლოს მუშათა მოძრაობაში ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა და მალე ერთიან
მძლავრ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობად იქცა".[156] ჩვენი აზრით,
პეტერბურგის ლენინური „ბრძოლის კავშირიდან" და რუსეთის სხვა უმ-
ნიშვნელოვანესი სოციალ-დემოკრატიული კერებიდან მომდინარე რევოლუ
ციურ-მარქსისტული მიმდინარეობა „მესამე დასში" თავიდანვე ჩასახულ
ისეთსავე მიმდინარეობას კი არ შერწყმია („მესამე დასში" ასეთი მიმდი-
ნარეობა არც არსებულა), არამედ 1901 წლიდან სამოღვაწეო ასპარეზზე
გამოსულ ქართველ „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასს"
(ი. ჯუღაშვილი, ვლ. კეცხოველი, აბ. ენუქიძე და სხვ.). „მესამე დასს"
XIX საუკუნის 90-იან წლებში ორგანიზაციულად, და მით უმეტეს
იდეურად, არავითარი კავშირი არ ჰქონია არც რუსულ სოციალ-დემოკრა-
ტიასთან, არც მის წარმომადგენლებთან საქართველოში და, რაც მთავა-
რია, არც ქართველ „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასთან"
(გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი). ამ საკითხების შესახებ ჩვენ ქვემოთ უფრო
ვრცლად გვექნება საუბარი.

ყველაზე დიდი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია (წრე), რომე
ლიც წინ უსწრებდა თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგა-
ნიზაციის შექმნას, იყო „ქ. თბილისის ასოთამწყობთა (სტამბის მუშების)
სოციალ-დემოკრატიული წრე". ეს წრე 1900 წელს შეიქმნა. მანამდე
არსებულ ამ ხასიათის წრეებთან შედარებით, თბილისის ასოთამწყობთა
წრის შესახებ მასალები გაცილებით დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც ბიების მასალებში
იხსენიება სახელწოდებით: „ქ. თბილისის ასოთამწყობთა (სტამბის მუ

შების) სოციალ-დემოკრატიული წრე“ ჟანდარმერიამ აღმოაჩინა 1901 წელს. საქმე აღიძრა 13 სექტემბერს, ძიება დამთავრდა 1902 წლის 10 აპრილს, საქმე საპროკურორო ზედამხედველობას გადაეცა 1902 წლის 3 მაისს. ამ პერიოდისათვის პასუხისგებაში მიცემული იყო სულ 30 კაცი, რომელთაგან 3 პატიმრობაში იმყოფებოდა, ხოლო 27 განაჩენის გამოტანამდე თავისუფალი იყო.[157] თბილისის ასოთამწყობთა სოციალ-დემოკრატიული წრის საქმესთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცებული იქნენ: ტერენტი ლორთქიფანიძე, მაქსიმე ცეცხლაძე, ივანე სულხანიშვილი, გიორგი მაისურაძე, პავლე აბრამიშვილი, ვასილ ურუშაძე, აკოფ ნერსესიანცი, რომან ოლშევსკი, გიორგი შარაძე, ვალერიან ბილანიშვილი, ნიკოლოზ ფლეგენტოვი, ერასტი ჩანტლაძე, ვლადიმერ როძევიჩ-ბელევიჩი, ივანე პეტროვი, ნესტორ ცერცვაძე, თევდორე მენდრეცკი, კონსტანტინე ნესტეროვი, მათე ნესტეროვი, ნიკოლოზ პროსტოსერდოვი, აუსტინე ვადაჭკორია, სტანისლავ სარნოვსკი, ვლასა მგელაძე, მაკარ გოგუაძე, ვლადიმერ ივანოვი, კონსტანტინე სალუქვაძე, გიორგი ვარდოიანცი და სხვ.[158] ძიებამ დაადგინა, რომ ასოთამწყობთა ორგანიზება სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელობით დაიწყო 1900 წლის მაისიდან.[159] რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულ სოციალ-დემოკრატთაგან ასოთამწყობთა წრის აქტიური წევრი იყო ვლადიმერ როძევიჩ-ბელევიჩი.[160] ძიებამ ასევე დაადგინა, რომ ასოთამწყობთა წრესთან კავშირში იყვნენ ვიქტორ კურნატოვსკი და იპოლიტე ფრანჩესკი.[161] ძიების პროცესში მოპოვებული იქნა მასალა, რომელიც ცხადყოფდა, რომ იპ. ფრანჩესკი და ვ. კურნატოვსკი თბილისის ასოთამწყობთა სოციალ-დემოკრატიულ წრეში პროპაგანდისტის ფუნქციებს ასრულებდნენ. ისინი წრეს ამარაგებდნენ არალეგალური ლიტერატურით და ატარებდნენ წრის მეცადინეობებს.[162] იპ. ფრანჩესკისა და ვ. კურნატოვსკის დავალებით არალეგალურ ლიტერატურას ინახავდნენ ასოთამწყობები გიორგი მაისურაძე და ივანე ეგოროვი. მეცადინეობები ტარდებოდა ნიკოლოზ ფლეგენტოვის ბინაზე.[163]

ძიების მასალა, ასევე სხვა მასალა, ყოველგვარ ეჭვს გარეშე ამტკიცებს, რომ თბილისის ასოთამწყობთა (სტამბის მუშების) წრე ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული იყო და წრის ხელმძღვანელები (პროპაგანდისტები) იპ. ფრანჩესკი და ვ. კურნატოვსკი 1900-1901 წლებში სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ.

1900-1901 წლებში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები არსებობდა თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში. მათ შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

სოციალ-დემოკრატიული წრეების აღმოცენება საქართველოში XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში სოციალ-დემოკრა-

ტიული მოძრაობის აღმავლობის მაუწყებელი იყო. ამ მოვლენამ მოამზადა ნიადაგი თბილისსა და ბათუმის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1) XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან საქართველოში იქმნება მუშათა, ხელოსანთა, მოსწავლეთ და ინტელიგენტთა თვითგანვითარების წრეები. ეს წრეები თავისი ხასიათით არ იყო სოციალ-დემოკრატიული, მაგრამ სოციალურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებით, სოციალური საკითხის გადაჭრის გზების ძიებით ამ წრეების ხელმძღვანელებმა შეძლეს მსმენელთა მომზადება სოციალ-დემოკრატიული იდეების შეთვისებისათვის;

2) XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან (ი. სტალინის ცნობით 1896 წლიდან) საქართველოში აღმოცენებას იწყებს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები. ეს ჯგუფები და წრეები არც იდეურად და არც ორგანიზაციულად არ ყოფილან კავშირში „მესამე დასთან". ისინი რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

3) XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრისათვის საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში უკვე არსებობდა ორი მიმდინარეობა: ა) დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფი „მესამე დასი"; ბ) რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფი ჯგუფები და წრეები თბილისსა და ბათუმში.

თავი მეორე
ქართული სოციალ-დემოკრატია 1898-1903 წლებში

§1. „მესამე დასის“ მოღვაწეობის მეორე პერიოდი (1898-1903 წწ.). ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური ევოლუცია

1898 წლიდან ახალი პერიოდი იწყება ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. ეს განსაკუთრებით საცნაური გახდება, თუ თვალს გავადევნებთ ქართველი სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობის ევოლუციას.

1897 წლის ბოლოს გაზეთი „კვალი“ სოციალ-დემოკრატების ხელში გადავიდა. მართალია, გაზეთის რედაქტორ-გამომცემლად ფორმალურად კვლავ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა რჩებოდა, მაგრამ 1898 წლის იანვრიდან 1901 წლის შუა ხანებამდე „კვალი“ ნოე ჟორდანიას ფაქტიური რედაქტორობით გამოდიოდა. ამ პერიოდიდან მესამე დასელები „კვალის“ გარშემო იკრიბებიან.

1898 წელს „კვალის“ პირველ ოთხ ნომერში დაიბეჭდა ნ. ჟორდანიას წერილი „დღევანდელი კითხვები“.[1] ეს წერილი თავისი შინაარსით საპროგრამო იყო „მესამე დასისათვის“. ნ.ჟორდანია წერილის დასაწყისში აღნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში ყოველი ერის განვითარება, მისი ყოფნა-არყოფნა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აუწყობს ხელს კაპიტალიზმის განვითარებას, ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრებით გამოწვეულ ცვლილებებს. „თანამედროვე პირობებში ვერც ერთი ქვეყანა ვერ წაიწევს წინ ისე, რომ დანარჩენი თან არ გაიყოლოს. სხვა-და-სხვა ერთა დღევანდელი ცხოვრება ისეა ერთიმეორეზე გადაბმული, რომ ერთის ცვლილება იწვევს მეორის და მესამის ცვლილებას. ერთის განვითარებას უეჭველათ ასეთი თუ ისეთი გავლენა აქვს მეორეზე. ეს გავლენა ორ ნაირია: დამარღვეველი, ბეღელი სადა ურთიერთობის შემარყეველი, შემქმნელი, ახალი რთული ურთიერთობის ამაღორძინებელი. ასეთი გავლენის მატარებელი ხალხი მოწინავე ხალხია, ხოლო ამ გავლენის და მისი შედეგების შემთვისებელი უეჭველათ უკან ჩამორჩენილი ხალხია. ეს ორი კულტურის შეტაკებაა, ეს ორი წყობილების დაპირისპირებაა. ეს ერთნაირი ბრძოლაა, მარა ბრძოლა ახალმოდის, სისხლდაუთხეველათ, თოფ-უსროლელათ, ხმლის ამოულებლათ. მისი სარბიელი ეკონომიური სარბიელია, მისი ფარ-ხმალი ქარხანა და მანქანაა, მისი ძლიე-

რება ოქრო-ვერცხლია. ერი, რომელიც პირველად შედგა ამ გზაზე და უმაღლესად განვითარდა, არის ინგლისი. მას თან გაყვა მთელი ევროპა. ევროპა — ეს ის ვეშაპია, რომელიც ყველა არა ევროპიელ ქვეყანას ეშუქრება: მიცანით თორემ ჩაგყლაპამო. მისი ცოდნა მისი ეკონომიური წყობილების შეთვისებაა, გაევროპიელება — მოქალაქეობრივი ცხოვრების დაწყებაა და აი, ასეთი მუქარით შემოიარა მან მთელი ხმელეთი და ბოლოს, ამ ჩვენ უბადრუკ სამშობლოშიაც შემოიჭრა.[2] ყოველივე ეს ნ. ჟორდანიასთვის პროგრესის საფუძველია. თუმცა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრება ერთბაშად, უმტკივნეულად არ ხდება. მას თან სდევს დიდი სოციალური რყევები. სწორედ ასე მოხდა საქართველოშიც. ნ. ჟორდანია წერს: „მოხთა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ერი, პატრიარქალურ-იდილიურ მდგომარეობაში ჩაბმული, შეკრთა, შეინძრა და თავის გარშემო მიიხედ-მოიხედა. მან შეამჩნია ორი გზა, ორივე ერთი მეორის მოწინააღმდეგე და უარის მყოფელი: გზა უძრაობის, უმოქმედობის, ძველი დასავსებული ცხოვრების, და გზა მოძრაობის, მოქმედების, ახალი დროს შესაფერი ცხოვრების. პირველი მიექანება უკან, დაღუპვისაკენ, მეორე წინ, წარმატებისაკენ“.[3] ერი, რომელიც პირველ გზაზე შედგა, ნ. ჟორდანიას აზრით, „გზას უთმობს სხვა მასზე მოსულ და მის მეტოქე ერს და თვითონ გადაშენების გზაზე დგება“, ხოლო ერი, რომელიც მეორე გზას ირჩევს, „თვითონვე, თავის არსებაში ავითარებს ძალას, ენერგიას, შრომას და სხვ. ის ფხიზლობს, ფაცი-ფუცობს და მით თავის მოძრაობის უღელში თვითონვე ებმება“.[4] ნ. ჟორდანიას სჯერა, რომ „ქართველობა, ახალი ხმით შემკრთალი, ახალი საყვირით გამოღვიძებული, ამ მეორე გზას დაადგა. ის ხელ-ალებით გადაეშვა აბობოქრებულ მორევში, ღონიერათ შეებრძოლა ტალღებს და გასწია იქით, საითკენაც მოწინავე კაცობრიობა მიიმართება“.[5] შეიძლება ნ. ჟორდანიას განცხადება ქართველი ერის მიერ განვითარების გზის არჩევანთან დაკავშირებით ზედმეტად პოსიმისტური, საფუძველს მოკლებული, ემოციურიც კი ჩანდეს, მაგრამ იქვე ნ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ „აბობოქრებულ მორევში“ გადაშვებული ქართველი ერის „ნაპირზე გასვლა, ნავთ-სადგურამდის მიცურვა — ეს ერთობ გრძელი პროცესია, ეს მთელი ხანაა. ეს ახლანდელი პროცესის ბოლოა და მომავლის დასაწყისია“.[6]

ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრების, როგორც პროგრესის აუცილებელი პირობის დახასიათების შემდეგ ნ. ჟორდანია აღნიშნავს: „ისტორიული მოძრაობის ჩარხს ეკონომიური ურთი-ერთობა ატრიალებდა ამა თუ იმ ნივთიერ საბრკელის ზედნაშენობას შეადგენს ეს თუ ის პოლიტიკური და იურიდიული წყობილება“[7] გამომდინარე ამ ფუნდამენტალური დებულებიდან, ნ. ჟორდანია დასკვნის: „ერი, რომელიც ყველაზე

უფრო ადრე ეწყობა მოქალაქეობრივ პირობებს, მაგრდება და წელში იმართება, მსოფლიო მეტოქეობაშიაც გამარჯვებული რჩება. მაშასადამე, წარმატება არის წარმატება ეროვნული, მოქალაქეობრივი, აღორძინება არის აღორძინება კულტურული".[8] ამ დასკვნის შემდეგ ნ. ჟორდანია სვამს ისეთ კითხვებს, რომელზეც პასუხის გაცემა ფაქტობრივად ნიშნავდა პირადად ნ. ჟორდანიასა და „კვალის" გარშემო შემოკრებული ქართველი სოციალ-დემოკრატების — მესამე დასელების — სამოქმედო პროგრამის მოხაზვას. ნ. ჟორდანია წერს: „ვინ არის ამ აღორძინების მეთაური? რა ელემენტებისაგან შედგება მოქალაქეობრივი ურთიერთობა? ერის რომელი ნაწილი თამაშობს მოწინავე როლს?"[9] ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხით ნათელი ხდება ნ. ჟორდანიას პოზიცია 1898 წლისათვის, მისი დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობის ილია ჭავჭავაძისეულ პროგრამასთან, დასავლეთ ევროპულ და რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან. ნ. ჟორდანიას პასუხი სრულიად გარკვეულია:

1) „რაკი საზოგადოებაში ფული გაბატონდა, ცხადია, ერიც უნდა ყოფილიყო თანახმათ ამ ლითონის ჭონებისა. ფულიანი და უფულო, მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და მუშა — აი ერის ახალი შემადგენელი ნაწილები. ძველი წოდებები ითქვიფება ერთმანეთში და იძლევა ორ კლასს: ბურჟუაზია და მუშა ხალხი. აი ეს ორი ახალი კლასია თანამედროვე ცხოვრების მატარებელი, ესენი, როგორც ახალი პირობების შვილნი, პირდაპირ ებრძვიან ძველ წოდებრივ დამოკიდებულებას. მათ ინტერესები პირდაპირ ებრძვიან ძველ წოდებრივ დამოკიდებულებას. მათი ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის ინტერესებს. მათი განვითარება მოითხოვს მთელი ძველი მობერებული წყობილების დარღვევას და ახლის დამყარებას. რამდენადაც ისინი აწმყოს ნიადაგზე წარსულ ეკონომიურ და იურიდიულ დამოკიდებულებას ებრძვიან — იმდენად ისინი ერთად დგანან, იმდენად მათი ინტერესები ერთია. მეორე მხრით, რამდენადაც ისინი აწყმოს ნიადაგზე მაგრდებიან და მომავალს იმზადებენ — იმდენად ისინი ერთმანეთს ებრძვიან, იმდენად ისინი ერთი მეორის მტრებია".

2) „ბრძოლა ახალი კლასების ძველ წყობილებასთან და ბრძოლა მათი ერთმანეთთან — აი რა შეიცავს თანამედროვე ისტორიის ღერძს. მაშასადამე, დღევანდელი ეროვნული აღორძინება არის ამ ორ კლასთა აღორძინება, ეს კლასთა განხეთქილებაა, რაც ავითარებს მათში მეტ შრომას და ენერგიას, აუკეთესებს საბრძოლველ იარაღებს დაწყებული პოლიტიკით და გათავებული ხელოვნებით, რომ მითი ასე განახლებულ-გაახალგაზრდავებული ერთმანეთს შეებრძოლონ. მოშალეთ ეს ბრძოლა და მოიშლება ეკონომიური, პოლიტიკური, იურიდიული, ერთი სიტყვით,

ყოველ-მხრით წარმატება. აშკარაა, კლასთა ბრძოლა — ეს ისტორიი
უდიდესი ჩარხია. ჩვენ ამ გზაზე შევდექით და ჩვენ აქედან გადმოვარდნ
სხვა გზისაკენ გადასვლა, ადამიანის ყოველ ღონეს აღემატება...“.

3) „სანამ ერი პატრიარქალურ და თავად-აზნაურულ წყობილებაში
მანამ ის, განუვითარებელი, ეკონომიურათ, განუვითარებელია ნაციონალურ
რადაც. აქ მეფობს პროვინციალიზმი, სოფლური ნაციონალიზმი. მხოლო
მისი განათლებული ნაწილი, ანუ ინტელიგენცია, გამოდის სამშობლო
ბედ-იღბლის დამტირებლად და მებრძოლად. მარა მისი დროშა არის მხო
ლოდ უკვარო სარდალთა დროშა. მისი ლტოლვილება მისი საკუთარ
ლტოლვილებაა. ეს რომ შეიქმნეს მთელი ერის, ან ერთი რომელისამ
კლასის კუთვნილებათ, საჭიროა პირველ ყოველისა ღრმა ეკონომიური დ
სოციალური ცვლილება...“

4) „ქართველი ახალი ფეხ-ადგმული ბურჟუაზია შეეტაკა უცხო
ტომთა ბურჟუაზიას, განსაკუთრებით სომხობას და ორივე მხრით მორთო
ყვირილი: გვიშველეთ, სამშობლო იღუპებაო! აქაც უნდა მოხდეს ის, რაც
სხვაგან მომხდარა. ფიქრი იმაზე, რომ სომხის ბურჟუაზია ქართელ ბურ
ჟუაზიის განვითარებას შეაჩერებს და მით მთელი ერის აღორძინებას ერთ
წერტილზე გააყინვებს, ისეთივე ოცნებაა, როგორც ისტორიის ჩარხის
უკან დაბრუნება და ბოლოსი თავად გადაქცევა. როცა ერი კაპიტალიზმის
გზაზე შედგება, მისი იქიდან გადმოგდება ან და უკან დაბევა ყოველად
შეუძლებელია. მან უეჭველად მთელი გზა ბოლომდი უნდა გაიაროს“.

5) „ასეთ პირობებში, ასეთ ბრძოლაში და ნგრევა-რყევაში ვითარდე
ბა შრომა, მატულობს ენერგია, მრავლდება მოთხოვნილება და გროვდება
კაპიტალი. კაპიტალის განვითარება — ეს ბურჟუაზიის ძლევა-მოსილი
წინმსვლელობაა. ეს არღვევს ძველ ფეოდალურ და პატრიარქალურ ურ
თიერთობას, სპობს შთამომავლობით და მამა-პაპურ უპირატესობას, აქ
რობს ძველებურ იარაღებით წარმოებას, ეწინააღმდეგება უცხო ტომთა
ბურჟუაზიას და იწყებს ნაციონალურ ბრძოლას. ყველა ეს აუცილებელია
მისი ზრდის და წარმატებისათვის. ეს არის იმავე დროს ზრდა და წარ
მატება მთელი ერისა. ასე მყარდება ბურჟუაზიის ბატონობა. მარა ამასთა
ნავე მის არსებაში ვითარდება ერთი ისეთი კლასი, რომლის ეკონომიურ
ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს და რომელთა შო
რის იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა“.

6) „საითკენაც კი მივიხედავთ, სოფელია ეს თუ ქალაქი, მრეწვე
ლობა თუ მეურნეობა, ყოველგან ერთ და იმავე ძირითად მიდრეკილებას
ვხედავთ: შრომის განვითარებამ ერთ მხრით დააყენა კაპიტალისტ-მრეწვე
ლი და კაპიტალისტ-მეურნე, ხოლო მეორე მხრით პროლეტარი, მრეწვე
ლი და პროლეტარი-მეურნე. ეს პროცესი ჯერ კიდევ არსად არ არ

დასრულებული, ჩვენ მხოლოდ ახლა შევდექით ამ გზაზე და საშინელი სისწრაფით წინ მივექანებით. რამდენად ჩვენი ნაციონალური შრომა ვითარდება, ძალა და ენერგია მატულობს, იმდენად ჩვენ ამ პროცესს ჩქარა ვაკეთებთ, იმდენად ჩვენ ევროპიელდებით ეკონომიურად, იმდენად ჩვენი გონებრივად გაევროპიელება აუცილებელია. ხოლო ამ გაევროპიელების პირველი მცნებაა შრომის წარმომადგენელთა ერთად დგომა და თავის ინტერესებისათვის საკუთარი ძალ-ღონით ბრძოლა. ჩვენი ნაციონალური ზრდა-წარმატებაც ერთიანად ამ პროცესში მდგომარეობს, ამას გარეთ არ არის არავითარი მოძრაობა, არავითარი მოვლენა, ყოველივე ამასთან არის შეკავშირებული, ყოველივე ამით და ამაში იბადება, ამით და ამაში იხსნება“.[10]

ზემოთ მოტანილი ყოველი დასკვნა, ცალკე აღებული თუ მთლიანობაში, ნ. ჟორდანიასათვის აბსოლუტური ჭეშმარიტებაა: „ეს ის წერტილია, საიდანაც დაინახება უშორესი და ულრმესი მოვლენა, ეს ერთად ერთი მეცნიერული შეხედულებაა და ჩვენც ამით ვიხელმძღვანელებთ ჩვენი ცხოვრების კვლევა-ძიებაში და ყოველ დღიური კითხვების ახსნა-გადაწყვეტაში...“[11]

ამრიგად, ნ. ჟორდანიას აზრით: 1) ქართველი ერის პროგრესი დაკავშირებულია ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრებასთან; 2) ფეოდალური წყობილების მოსპობით ბურჟუაზია ასრულებს პროგრესულ როლს; 3) ბურჟუაზიამ ხელი შეუწყო ეროვნულ გრძნობათა გამოღვიძებასა და განვითარებას; 4) მართალია, ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა ერთობლივი როლი შეასრულეს ძველი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური წყობილები მსხვრევაში, ერთად იდგნენ ახალი, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, მაგრამ მომავალში მათი სამკვიდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება გარდაუვალია; 5) ახალი კლასების (ბურჟუაზია და პროლეტარიატი) ბრძოლა ძველ წყობილებასთან (ფეოდალიზმთან) და თვით ახალი კლასების ბრძოლა ერთმანეთთან განვითარების ღერძია; 5) საქართველო ვერ აცდება ბურჟუაზიული განვითარების გზას და აქედან გამომდინარე, ვერ აიცილებს თავიდან კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის; 7) არ არსებობს არავითარი გზა კლასობრივი ბრძოლის თავიდან აცილებისა, ეროვნული თანხმობის მიღწევისა.

ნ. ჟორდანიას წერილი „დღევანდელი კითხვები“ აშკარად მიგვანიშნებს მისი ავტორის გადასვლაზე რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე. ნ. ჟორდანია აშკარად დგება კლასობრივი ბრძოლის, როგორც ერის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესის ერთადერთი გზის აღიარების თვალსაზრისზე. კლასობ-

რივი ბრძოლის, როგორც პროგრესის ერთადერთი გზის გაფეტიშებას თან ერთად ნ. ჟორდანია, რა თქმა უნდა, გამორიცხავს ეროვნულ თანხმობის მიღწევას, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის, საერთოდ დაპირისპირებული სოციალური ფენების ინტერესთა შერიგების, სო ციალური აფეთქების თავიდან აცილების შესაძლებლობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნ. ჟორდანია მკვეთრად უპირისპირდებოდა ილია ჭავჭა ვაძის ეროვნულ პროგრამას, თუმცა ეროვნული ნიჰილიზმი წერილშ არ იგრძნობა.

ნ. ჟორდანიას გადასვლა რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიცია ზე დასტურდება „კვალის“ 1898 წლის მეთოთხმეტე, ოცდამესამე დ ოცდამეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ინტელიგენცია“.[12] ერის ცხოვრებაში ინტელიგენციის როლზე ნ.ჟორდანიას წინათაც არ ჰქონი პოზიტიური შეხედულება. ამჟამად მან უარყოფითი დამოკიდებულება ინ ტელიგენციისადმი უფრო ვრცლად და გამოკვეთილად ჩამოაყალიბა ნ. ჟორდანია წერს: „ინტელიგენტი დღეს ერთს გააკეთებს, ხვალ მეორეს მას გზაი, კვალი ისტორიული ლოღიკა არ უწერია“.[13] ეხება რა ინტელი გენციის როლს ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრებაში ნ. ჟორდანია ალნიშნავს: „ინტელიგენტი გრძნობს, იცის, მარა ვერაფერთა ცვლილებას ვერ ახდენს. აშკარაა, ეს უკანასკნელი ნაცარქექია უფრო ვიდრე ბუმბერაზი. ბუმბერაზობა მხოლოდ ლაპარაკში, ტრაბახობაში ეტყობა“.[14] მაგრამ, ნ. ჟორდანიას აზრით, ინტელიგენციის ყველაზე დიდ ცოდვა მდგომარეობს: 1) „იმათ გამოეპარათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება, რომელზედაც აღმოცენდა წინააღმდეგობა კლასთა და ერთა შორის. ამ ნაირად, ინტელიგენცია აბნელებს და ბურუსში ხვევს იმ არსე ბულ ანტაგონიზმს, რომელიც ნამდვილად არსებობს ცხოვრებაში, მაგრა ეს ჯერ კიდევ ვერ შესულა მთელ თავის ძალაში. ამით ის წინ ეღობე ცხოვრების წინ-მსვლელობას და ამ წინ-მსვლელობის შეგნებას. ინტელი გენცია თავის უნებურათ, რეაქციონურ როლს თამაშობს“; 2) „რა მხრი თაც უნდა შევხედოთ, ნასწავლი ხალხი იძულებულია ფულიან ხალხს დაემორჩილოს და ემსახუროს“.[15] ინტელიგენციას ნ. ჟორდანიამ ასეთი გ ნაჩენი გამოუტანა: „ის მკვდარია აწმყოსათვის და მკვდარი დარჩება მო მავლისათვისაც. და მას აქ ვერ უშველის ვერც დიპლომი და ვერც ინტე ლიგენტური მედიდურობა...“[16]

მეტად საინტერესოა ნ. ჟორდანიას წერილი „საზოგადო მოღვაწე ბა“, რომელიც „კვალის“ 1898 წლის ოცდამეცხრე და მეორმოცე ნო რებში გამოქვეყნდა.[17] ერის საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელსაც ხ ბედნიეროდ, ასაზრდოებდნენ ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და მათი მრავალი თანამებრძოლ

ნ. ჟორდანია ასეთ დიაგნოზს უსვამს: „არა მგონია საზოგადო ასპარეზი ისე დაცლილიყოს სადმე მოღვაწეთაგან, როგორც ეს დღეს ჩვენში არის. არა მგონია საზოგადო საქმეს ისე ერიდებოდნენ რომელიმე ქვეყანაში, როგორათაც მას დღეს ჩვენში ერიდებიან. ამ ნიადაგზე მოქმედებას, საქმიანობას, თავის ძალ-ღონის შეწირვას, ყველა გაურბის, ყველა უფრთხის, ყველა გან-განზე მიიწევა“[18] ნ. ჟორდანია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის სამ ჯგუფს გამოჰყოფს:

„პირველი ჯგუფი, რომელიც ამ „ქვეყნის მარილის“ დიდ უმრავლესობას შეიცავს, ყველაფერს, გარდა პირადი საქმისა, გულ-გრილათ, უცქერის. მისთვის არ არსებობს რაიმე „კითხვა“, მას არ აღელვებს რაიმე საზოგადო საგანი, ის ჩინებულად გრძნობს თავს ყოველნაირ წყობილებაში“;

„მეორე, ძალიან მცირე ჯგუფს, შეადგენენ ეგრეთ წოდებულნი „დაღალულნი“. ჩვენ ვიშრომეთ, ქვეყანას მსხარში ვუდექით, ახლა კი დავიღალეთ და დასვენება გვეჭირვებაო — ამბობენ ისინი. „დაღალულნი“ მოცილდნენ საზოგადო მოღვაწეობას და ამ სიბერის დროს თავ თავის საქმეებს შეუდგნენ. მარა ზოგ მათგანს ეს ერცხვინება, „საქვეყნო საქმის“ დატოვება ეთაკილება და ამიტომ თავის კერძო საქმე საზოგადო საქმეთ გამოაქვს, აი მე კიდევ თქვენ გემსახურებითო. და საზოგადოებასაც ეს ჯერა, ჯერა იმიტომ, რომ ამას „დაღალულნი“ ღაღადებენ, და ესენი, მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ძველი ღვაწლის პროცენტებს ღებულობენ. მაგრამ რამდენიც უნდა გვაჯერონ, რამდენიც უნდა ვიჯეროთ, ბოლოს მაინც აშკარა შეიქნება, რომ საზოგადო სარბიელი „დაღალულთაგან“ კაი ხანია დაცლილია“;

„მესამე ჯგუფს შეიცავენ ისინი, ვისაც პირველი ჯგუფობა რცხვენია და მეორე კი არ ეხერხება. ესენი არ იძახიან „ფეხებზე მკიდიაო“ და არც დაღალული ვართო, ვინაიდან ჯერ საამისო არა გაუკეთებიათ რა. მათ სურთ უნაყოფოდ არ ჩაატარონ თავისი ცხოვრება, საზოგადო სალაროში რაიმე წვლილი შეიტანოს, ცხოვრების სადავე ხელში დაიჭირონ. მარა ყოველივე ეს ცდა ჯერ-ჯერობით ამაოდ რჩება. საზოგადო კითხვებს ირგვლივ უტრიალებენ, ხან ერთი მხრიდან შეასტებიან, ხან ვითომ სათაოშიც მოექცევიან, ხან კი ბოლში ამოყოფენ თავს. — ერთი სიტყვით ერთ ალაგას ფეხს ვერ იკიდებენ, ერთ მდგომარეობას ვერ ირჩევენ, შესაფერ ძალ-ღონეს ვერ იჩენენ“.[19] საზოგადო მოღვაწეთა სამ ჯგუფს ნ.ჟორდანია ასე აფასებს: „საზოგადო მოღვაწეობა სამივე ჯგუფიდან მიტოვებულია, მას სამივე ჯგუფი გაურბის: პირველი განგებ, მეორე „დაღლილობით“, მესამე კი უვიცობით, უგზო-უკვლობით. ყველაზე უფრო უწყინარი ელემენტი პირველია, ყველაზე უფრო დამაბრმავებელი — მეორე, ყველაზე

უფრო სასაცილო — მესამე. პირველი უნდა შეიბრალო, მეორეს უნდა გა
მოეშველებინა, მესამეს კი — ასწავლო“.[20]

ცხადია, ნ. ჟორდანია მათში, ვისაც „საქვეყნო საქმის“ დატოვებ
ეთაკილება და ამიტომ „თავის კერძო საქმე საზოგადო საქმეთ გამოაქვს
პირველ რიგში ილია ჭავჭავაძესა და საერთოდ „ივერიის“ ბანაკს გუ
ლისხმობს, ხოლო მესამე ჯგუფში, რომელთაც „სურთ უნაყოფოთ ა
ჩაატარონ თავისი ცხოვრება, საზოგადო სალაროში რაიმე წვლილი შეი
ტანონ, ცხოვრების სადავე ხელში დაიჭირონ“ — ქართელ სოციალ-დე
მოკრატებს და საერთოდ „კვალის“ ბანაკს. თუ პირველი ჯგუფის მოღვა
წენი ნ. ჟორდანიას უკვე საშიშად არ მიაჩნია, ამას ვერ ვიტყვით მეორე
ჯგუფზე (ილია ჭავჭავაძე და „ივერიის“ ბანაკი), რომელიც მესამე ჯგუ
ფისათვის (ნ. ჟორდანია და მისი თანამოაზრე ქართველი სოციალ-დემოკ
რატები) საფრთხეს წარმოადგენს. ნ. ჟორდანია წერს: „ამ ორ უკანასკ
ნელთა შორის მჭიდრო კავშირია. მეორეს სხვისი წვდება მესამეს დ
ივალს უყენებს. და სანამდის ეს დაბრმავება გაგრძელდება, მანამდი მისი
საკუთარ გზაზე გამოსვლა ოცნებაა“.[21] როგორც ვხედავთ, ნ. ჟორდანიას
საზოგადო მოღვაწეთა მესამე ჯგუფის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვ
ლის აუცილებელ პირობად მიაჩნია საზოგადო მოღვაწეთა მეორე ჯგუფის
იძულებითი განადგურება, საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზიდან განდევნა.
საზოგადო მოღვაწეთა ამ ორი ჯგუფის — ილია ჭავჭავაძისა („ივერიის“
ბანაკისა) და სოციალ-დემოკრატებისა („კვალის“ ბანაკისა) — შერიგება
ნ. ჟორდანიას შეუძლებლად მიაჩნია, რადგან „პირველის სატრფიალო სა
განია წოდებრივი და ფეოდალურ-სოფლური ურთიერთობა; მეორისა —
ადამიანური და მოქალაქური განწყობილება. ამ ორ მიმართულებას შორის
არავითარი შემაერთებელი ხიდი არ არის და მათი ერთმანეთთან ბრძო
ლაც სამკვდრო-სასიცოცხლოა“.[22] ამ შეხედულების ერთგულნი დარჩნენ
ნ. ჟორდანია და ქართველი სოციალ-დემოკრატები ილია ჭავჭავაძესთან,
„ივერიის“ ბანაკთან იდეურ ბრძოლაში, ილიას მკვლელობამდე, ილიას
მკვლელობის შემდეგაც.

ამრიგად, უკვე 1898 წელსვე ნოე ჟორდანიამ სავსებით გარკვე
ვით უპასუხა იმ კითხვებს, რომელიც თვითონვე წამოჭრა 1898 წლის
იანვარში გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილში „დღევანდელ
კითხვები“. ნ. ჟორდანიას დასკვნები, რომელიც რუსული სოციალ-დე
მოკრატიის ძლიერი იდეური გავლენითაა გაკეთებული, დიდ საფრთხეს
შეიცავდა ეროვნული მოძრაობისათვის. ნ. ჟორდანია დაუფარავად ქად
აგებდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, სოციალურ წინააღმდეგობ
ათა გაღრმავების აუცილებლობას, მათ იდეურ განადგურებას, ვინც ხ

ქართველოს მომავალს ეროვნულ შერიგებაში, სოციალური კონფლიქტების მშვიდობიან მორიგებაში ხედავდა.

ნ. ჟორდანიას შეხედულებას კაპიტალიზმის განვითარების შედეგების შესახებ იცავდა ფ. მახარაძე „კვალის“ 1898 წლის პირველ, მეორე და მეოთხე ნომრებში გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა“,[23] „კვალის“ 1898 წლის მესამე ნომერში მ. იესეშვილის ფსევდონიმით დაბეჭდილი „ჩვენი ქვეყნის ვითარებაც“ ამ პრობლემას ეხება.[24] ამ უკანასკნელში ფ. მახარაძე წერს: „ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობა წარმოადგენს იმ გვარ საზოგადო აზროვნების მსვლელობას, როდესაც ხალხში მყარდება თვითცნობიერება, შეგნება თავისი მდგომარეობისა და იძრება იმისი განკარგების სურვილი. ამ გვარ შემთხვევაში ადამიანი კრიტიკული თვალით შეჰყურებს თავის წარსულ და აწინდელ მდგომარეობას, უფრო სიფრთხილით ეპყრობა თავის მოთაველებს და კერძო პირთა ყოველ გვარ მოღვაწეობას“.[25] წერილიდან ცხადდება, რომ ამ „მოთაველებში“ და „კერძო პირთა“ მოღვაწეობაში ფ. მახარაძე უპირველეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს გულისხმობს. სწორედ მათ მიმართაა ნათქვამი ქვემოთ: „ირღვევა ძველი მიმართულება აზრისა და მოღვაწეობისა და მზადდება ნიადაგი ახლისათვის“.[26]

ფ. მახარაძე ილია ჭავჭავაძის არც აშკარა კრიტიკას ერიდებოდა. 1898 წელს ფსევდონიმით „მე გახლავარ“ გამოვიდა საიუბილეო ბროშურა „თ. ილ. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდები“, რომლის საპასუხოდაც 1898 წელსვე „კვალის“ ოცდამეერთმეტე ნომერში დაიბეჭდა ფ. მახარაძის რეცენზია „საიუბილეო ბროშურა (მცირე შენიშვნა ბ-ნ მე გახლავარის წიგნაკის გამო)“.[27] აღშფოთებული იმით, რომ ილია ჭავჭავაძეს ბროშურის ავტორი ქება-დიდებას ასხამს როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ფ. მახარაძე წერს: „დროა ზღაპრებს დავანებოთ თავი, ლათაიები უკუვაგდოთ და მართალი სიტყვა ვუთხრათ საზოგადოებას ჩვენი წასრულის შესახებ. აგერ მეოცე საუკუნე კარზე მოგვადგა და ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რას აკეთებდნენ ჩვენი მამები ამ ოცი თუ ორმოცი წლის წინეთ. სად არიან მაშინდელი ამბების მცოდნე პირები? დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი მათგანი კიდევ ცოცხალია და გადმოცემის ნიჭიც აქვთ. მაშ, რას უყურებენ? ხომ ხედავენ რომ მე გახლავარები ათასგვარ უვიცობასა და ჭორს თესენ და ავრცელებენ საზოგადოებაში“.[28]

დიდი პოლიტიკური მიზანდასახულობით არ გამოირჩევა, მაგრამ საერთოდ ნ. ჟორდანიასა და ფ. მახარაძის შეხედულებებს ემთხვევა „კვალის“ 1898 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ნომრებში გამოქვეყნებული ალექსანდრე წულუკიძის წერილის „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ — მთა-

ვარი იდეა.[29] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე დგომის მიუხედავად, არც იმჟამად და არც შემდგომ წლებში ა. წულუკიძეს არ ახასიათებდა ის ექსტრემიზმი, რომელიც ჩასახვისთანავე გაჩნდა ქართულ სოციალ-დემოკრატიაში.

1899-1900 წლები საყურადღებოა იმით, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის ძირითად მიმართულებად იქცა ეროვნული ნიჰილიზმი, ბრძოლა ილია ჭავჭავაძისა და „ივერიის“ ბანაკის წინააღმდეგ, ფაქტობრივად, ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელი მასალა მრავლად მოიპოვება გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ ნ. ჟორდანიას წერილებში: „ადგილობრივი პრესა გასულ წელს“ (1899 წ.), „თავად-აზნაურთა საქმეები“ (1899 წ.), „შუათანა თაობა“ (1899 წ.), „რომანტიზმი“ (1899 წ.), „ივანე მაჩაბელი“ (1899 წ.), „საგულისხმო მოვლენა“ (1900 წ.), „პრესა“ (1900 წ.), „გზა-და-გზა“ (1900 წ.), „ინგლის-ტრანსვაალის ომი“ (1900 წ.), „ჩვენი უთანხმოება“ (1900 წ.).

ნ. ჟორდანიას წერილის „ადგილობრივი პრესა წასულ წელს“ მიზანია აჩვენოს გაზეთების „ივერია“, „კავკაზი“ და „ნოვოე ობოზრენიე“ იდეური მიმართულება, შეაფასოს მათი ნაღვაწი. ნ. ჟორდანიას დასკვნა „ივერიის“ შესახებ ასეთია:

1) „ივერიის სახელმძღვანელო დედა-აზრია შემდეგი: ჩვენი საჭირბოროტო კითხვა არის კითხვა ეკონომიური, ჩვენი სიმდიდრე, და მიწა-ადგილი. მიწა-ადგილი მის პატრონს, თავად-აზნაურობას, ხელიდან ეცლება და სუსტდება და მით სუსტდება მთელი ერი. მოწინავე წოდების დაცემა — ეს მთელი ქართველობის დაცემაა. აქედან ჩვენი მოვალეობაა ამ წოდების აღდგენა და მასთან ერთად აღდგება მთელი ქართველობაც, და ეს მოხდება, სხვათა შორის, სამეურნეო სწავლა ცოდნით“.

2) „ივერია“ ხედავს, რომ მოწინავე წოდება — ეს, მისი აზრით, ერთად ერთი ჩვენი მხსნელი — თან-და-თან ძირს ეშვება, ხოლო ახალ ძალებს კი ვერსათ ამჩნევს და გაზეთიც უიმედობას ეძლევა. ის მოთქვამს გლოვის ზარს რეჯს, აწმყოს წყევლის და წარსულს, ფეოდალურ წარსულს უგალობს“.

3) „ივერია“ დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი: არც მის საყვარელ წოდებას ეშვება და არც მისი დიდი იმედი აქვს; არც ახალი კლასები სწყალ და არც მათგან რაიმეს გამოელის, არც მომავალზე ხელს იღებს და არც მის საძირკველს ცნობილობს. ერთი სიტყვით, რა ქნას, როგორ იაზროვნოს არ იცის და ისევ უაზრობას და უშინაარსობას არჩევს“.[30]

ნ. ჟორდანია პირდაპირ აცხადებს, რომ „ივერიის“ მიზანია „ძველ დროის დაბრუნება, ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება და მით მთელ

ერის გადაშენება".[31] მას შემდეგ, რაც „ივერიას" ასეთი მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა, ნ. ჟორდანიამ არც „კავკაზი" დაინდო. „თუ კი დროშა, „ივერიის" მიერ აფრიალებული, არის დროშა ფეოდალიზმის, სამაგიეროდ დროშა ბ. ველიჩკოს „კავკაზის" მიერ აფრიალებული, არის დროშა ბიუროკრატიზმის".[32] ნ.ჟორდანია „ნოვოე ობოზრენიეს" უმთავრეს ნაკლად მიიჩნევს საჭირბოროტო საკითხებისადმი გვერდის ავლას, საიდანაც, მისი აზრით, წარმოსდგება გაზეთის „საოცარი უფერულობა, და ამ მხრით, ის მეორე „ივერია" იქნებოდა, რომ ცოცხალი ამბები, რიგიანი კორესპონდენციები და პოლიტიკური მიმოხილვები არ ჰქონდეს. ერთი სიტყვით, ის არის ამბავის გაზეთი და არა პრინციპის და იდეის".[33] საბოლოოდ ნ. ჟორდანიას დასკვნა ასეთია: „ივერია" აღიარებს ფეოდალურ-სოფლურ მიმართულებას, „კავკაზი" — ბიუროკრატიულ-ფეოდალურს, ხოლო „ახალი მიმოხილვა" — ლიბერალურ-ბურჟუაზიულს".[34]

„ივერიის", „კავკაზის", და „ნოვოე ობოზრენიეს" მიმართულებების შეფასებით ნოე ჟორდანიამ ფაქტობრივად შეაფასა სამი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა საქართველოში, შეაფასა და პრინციპულად დაუპირისპირდა სამივეს, ამით კი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მის უარყოფით დამოკიდებულებას ეროვნული შერიგებისადმი, ერთიანი ეროვნული მოძრაობისადმი.

წერილში „შუათანა თაობა" ნ.ჟორდანიამ შეაფასა მთელი საზოგადოებრივი მოძრაობა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე. ამ ორმოცწლიან მონაკვეთში ნ. ჟორდანია გამოჰყოფს „სამ ხანას, ანუ სამ საფეხურს: „1) ცხოვრების ზედა-პირის შენძრევა-ცვლილება გარეგანი, 2) ცხოვრების შინაგანი დულილი-ცვლილება ნაწილ-ნაწილი და დამალული, 3) ცხოვრების დულილის გარეთ გადმოხეთქა-ცვლილება აშკარა და ერთიანი".[35] იქვე ნ. ჟორდანია მიუთითებს, რომ „პირველი ხანის მებაირახტრეობა წილათ ხვდა ძველ თაობას, მეორის — მის მომდევნო შუათანა თაობას, ხოლო მესამის — ახალ თაობას".[36] თაობების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა კი ნ. ჟორდანიას ასე წარმოუდგენია: „ძველი თაობა შეიცავს იმ მოღვაწეებს, რომელნიც ასპარეზზე გამოვიდნენ მესამოცე და მესამოცდაათე წლებში, შუათანა თაობა იმათ, რომელნიც მეოთხმოცე წლებში გამოვიდნენ, ხოლო ახალი თაობის მოღვაწენი — მეოთხმოცდაათე წლების შემდეგ გამოსულნი".[37] წერილიდან ჩანს, რომ პირველ თაობაში ნ. ჟორდანია გულისხმობს ილია ჭავჭავაძესა და საერთოდ თერგდალეულებს, „ივერიის" ბანაკს, მეორე თაობაში — ქართველ ნაროდნიკებს, გლეხური სოციალიზმის იდეოლოგებს, მესამეში — სოციალ-დემოკრატებს. ნ. ჟორდანია წინასწარვე აცხადებს, რომ სამ თაობა-

ში „ყველაზე უფრო შესაბრალისი და საცოდავი შუათანა თაობაა“.[38] წერილში ვერსად ვერ ვხვდებით ნაროდნიკობის სერიოზულ კრიტიკას. ნ. ჟორდანიას ეს საკითხები არც აინტერესებდა. მისთვის შუათანა თაობის (ნაროდნიკების) ყველაზე დიდი ცოდვა ის არის, რომ მისი წარმომდგენლები „თან-და-თან დაუახლოვდნენ ძველი თაობის წარმომადგენლებს და ბოლოს მთელი თავისი ავლა-დიდებით გადაბარგდნენ „ივერიაში“. ასე და ამნაირად, „გლეხური“ მიმართულება შუათანა თაობისა თან-და-თან შეიცვალა თავად-აზნაურულ მიმართულებად ძველი თაობისა. შუათანა თაობამ ხელი აიღო თავის თავის დამოუკიდებლობაზე და ძველი თაობის ამალად გადაიქცა“.[39] აშკარაა ნ. ჟორდანიას გაღიზიანება შუათანა თაობით, მისი ფერისცვალებით, არა იმდენად საკუთარ იდეალებზე ხელის აღების გამო, არამედ ილია ჭავჭავაძის იდეების შეთვისების გამო. ნ. ჟორდანია წერს: „შუათანა თაობამ ყველზე თოკი მოიბა და ძველ თაობის წინ დაიჩოქა. მის სამსახურს მან შეალია მთელი თავისი გონებრივი ძალ-ღონე და მერე წვრილ პრაქტიკულ საქმეებში გაიხლართა. და ასე მთელი თაობა დაქუცმაცდა, დაძაბუნდა და წვრილ გროშებზე დახურდავდა“.[40]

ამრიგად, ნოე ჟორდანიას არც ილია ჭავჭავაძე და „ივერიის“ ბანაკი მოსწონდა არც ნიკო ნიკოლაძე და „ნოვოე ობოზრენიეს“ მიმართულება, არც ქართველი ნაროდნიკები და მათი დაახლოება ილია ჭავჭავაძესთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნ. ჟორდანია დაუპირისპირდა მთელ ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობას.

ილია ჭავჭავაძის, „ივერიის“ ბანაკის დაუფარავი კრიტიკაა მოცემული ნ. ჟორდანიას ნაშრომებში „ივანე მაჩაბელი“ და „საგულისხმო მოვლენა“. პირველ მათგანში ნ. ჟორდანია ცდილობს ივანე მაჩაბლის განდიდებით როგორმე დაამციროს ილია ჭავჭავაძე,[41] ხოლო მეორეში იმავე მიზნის მიღწევას ცდილობს ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის დაპირისპირებით.[42] აი, რას წერს ნ. ჟორდანია ივანე მაჩაბლის შესახებ: „ასე გაშინჯეთ, 1895 წ. მაჩაბელი სამეურნეო ბანკის უბრალო წევრათაც კი არ მიიღეს, ისეთ წევრად, როგორათაც ყველა ბაყალი და ყასაბი რით უნდა აიხსნას ეს, თუ არა იმავე შურის ძიებით! ნუ თუ აქ არის რაიმე პარტიობა, რაიმე ზნეობა და რიგიანობა? არა და ათასჯერ არა, აქ არის მხოლოდ ერთი პირის ამოჩემება, მისი მტრობა და დევნა; ეს არის აზიური მტარვალობა, საშუალო საუკუნეების მიუკარებლობა და ინკვიზიტორული მსაჯულობა“.[43] დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ის „ერთი პირი“ ილია ჭავჭავაძეა, ხოლო ივანე მაჩაბლის „მტრობა“ და „დევნა“, ასევე „აზიური მტარვალობა“ და „ინკვიზიტორული მსაჯულობა“ პირადად ილია ჭავჭავაძესა და მის უახლოეს თანამებრძოლებს მიეწერებათ.

გიორგი წერეთლის დასაფლავებაზე ხალხის დიდი რაოდენობით მისვლით ნ. ჟორდანიამ დაასკვნა, რომ ხალხმა დაგმო ქართული „ჟურნალ-გაზეთების ერთ ნაწილში გამეფებული ზნეობა, ზნეობა შენ-ჩემობის, პირადი ამოჩემობის და უსაბუთო ლანძღვა-გინების. ხალხმა პირველად შეახო ხელი ამ საზიზღარ ხელობას და ის საუკუნოთ დასამარა".[44] ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე გიორგი წერეთლის დაკრძალვას არ დასწრებია. ცნობილია ისიც, რომ კარგა ხნის მანძილზე ამ ორ მოღვაწეს შორის ურთიერთობა ძალზე დაძაბული იყო. ამით გაღიზიანებული ნ. ჟორდანია თვლის, რომ გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე ხალხის დიდი რაოდენობის მისვლა ილიას გზის, „ივერიის" მიმართულების დაგმობას ნიშნავდა.

ცალკე უნდა შევეხოთ ნ. ჟორდანიას „პრესას". წერილების სერია ამ სათაურით იბეჭდებოდა „კვალში" 1900 წელს.[45] იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა სათაურით „ქართული პრესა".[46] ნაშრომის სათაურის („პრესა", „ქართული პრესა") მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი უნდა მიძღვნოდა მთელ ქართულ პრესას. სინამდვილეში, ნაშრომის ორ ფურცელზე მეტი მხოლოდ გაზეთ „ივერიის" მიმართულების დახასიათებას ეძღვნება.[47] მცირე ადგილი ეთმობა გაზეთ „დროებას".[48] რაც შეეხება სხვა გამოცემებს, ისინი, სხვათა შორის, აქა-იქ მოიხსენიება. ვთქვათ, თავიდანვე შევნიშნავთ, რომ 1866 წელს დაფუძნებული „დროება" (რედაქტორი გიორგი წერეთელი) ნ. ჟორდანიას ძალიან მოსწონს: „კრიტიკა" ჩვენი შინაური ცხოვრების და მოღვაწეობის და მითი ბევრი ურთიერთობის დარღვევა და ახალის დამყარება — აი „დროების" გზა და ხიდი, აი მისი მანათობელი ლამპარი. ყოველივე სასიკეთო, ცოცხალი და შინ მიმავალი შემოიკრიბა ამ ლამპრის გარშემო. ამით შემუშავდა პირველი ევროპული გაზეთი ქართულ ენაზე, გაზეთი მხნე და მტკიცე მიმართულების".[49]

ნ. ჟორდანია „ივერიისა" და მისი რედაქტორის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი და ამას თავიდანვე არ მალავს. იხსენებს რა 1863 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ „საქართველოს მოამბის" გამოცემას და შემდეგ მალევე შეწყვეტას, ნ. ჟორდანია წერს: „თ. ი. ჭავჭავაძე, შემდეგ პირველი დამარცხებისა, ხელ-მეორედ გამოვიდა პრესის ასპარეზზე. ის 1863 წ. დამარცხდა, როგორც პროგრესისტი, სამაგიეროდ 1877 წლიდან ის უნდა გამოსულიყო გამარჯვებული, როგორც კონსერვატორი.[50] „კონსერვატორ" ილია ჭავჭავაძის გამარჯვებად ნ. ჟორდანია თვლის „ივერიის" გამოცემას: „დროების" პირუთვნელმა მიმართულებამ დაჰბადა შიში და მოუსვენრობა არა მარტო ძველ თაობაში, არამედ ახალ მოღვაწეთა შორისაც. ეს ორივე უკმაყოფილონი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, შეკავშირდნენ და მათ შეადგინეს ახალი ჯგუფი მოღვაწეებისა, ჯგუფი „დროების" მოპირდაპირე და მასთან მებრძოლი. ამ ჯგუფის მეთაურად შეიქმნა

თ. ილია ჭავჭავაძე, ხოლო მის ორგანოთ „ივერია“.[51] ცხადია, ასეთი შეხედულების შემდეგ ნ. ჟორდანია კარგს არაფერს იტყოდა „ივერიის“ მიმართულებაზე, გაზეთის რედაქტორზე.

ილია ჭავჭავაძისა და კონკრეტულად „ივერიის“ ტენდენციურ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ, დაუსაბუთებელ კრიტიკას ნ. ჟორდანია ამთავრებს შემდეგი დასკვნით:

1) „ჩვენ განვიხილეთ ქართული პრესის მთავარი მიმდინარეობა დღიდან მისი დაარსებისა და აღმოვაჩინეთ შემდეგი: პირველ ხანაში ის არის პირდაპირი, უშიშარი და მებრძოლი. მეორე ხანაში ის ჰკარგავს ყველა იმ თვისებას და ხდება პირმოთნე, მოშიშარი და გულ-ჩახვეული. პირველი მიმდინარეობა არის ახალგაზრდა, სიცოცხლით და ძალ-ღონით სავსე, ამისათვის მისი სიტყვა მჭრელი, რიხიანი და მძლავრია; მეორე არის მიმდინარეობა მოხუცებული, ცოცხალ-მკვდარი და დახავსებული, ამისათვის მისი სიტყვა ჩლუნგი, გაუბედავი და უძლურია. ის ხვდება სულს და გულს, აფიქრებს და ავარჯიშებს ჭკუა-გონებას, აფხიზლებს და ამოძრავებს ადამიანს; ეს კი, პირიქით, აცარიელებს სულს და გულს, აძინებს და აზანტებს ჭკუა-გონებას, ბორკავს და ატყვევებს ადამიანს. პირველს მეთაურობს „დროება“, მეორეს „ივერია“;

2) „მეფობა „დროებისა“ არის მეფობა პროგრესისა; მეფობა „ივერიისა“ არის მეფობა რეაქციისა“;

3) „დღეს ჩვენს მწერლობაში „ივერიის“ წინამძღოლათ ყოველმხრივი რეაქციაა, რეაქცია აზრის, ზნეობის, მოქალაქეობის, ქართული სიტყვიერების, ქართული სიტყვა სუსტი, აზრი ძველი, ზნეობა მახინჯი, მოქალაქეობა სულ არა — აი, თვისება „გაივერიებული“ პრესის“;

4) „ივერიას“, მართალია ნიჭიერი პუბლიცისტები არ ჰყოლია, მაგრამ სამაგიეროდ თავისი მიმართულებით „დროებაზე“ უფრო რეალურ ნიადაგზე იდგა. მან დაინახა ის, რაც დაინახა „დროებამ“ — თავად-აზნაურული მკითხველი საზოგადოება და უცებ მოაბრუნა პრესის ბორბალი. მან თქვა: თუ კი ჩვენი ნიადაგი თავად-აზნაურობაა, აზროვნებაც თავად-აზნაურული უნდა გვქონდესო“.[52]

ნ. ჟორდანიას საერთო დასკვნა ასეთია: „ქართულმა პრესამ განიცადა შემდეგი ცვლილება: პირველად ეს იყო პროგრესული თავისი მისწრაფებით, კონსერვატიული თავისი ნიადაგით („დროება“); შემდეგ ის გახდა მისწრაფებით კონსერვატიული და კონსერვატიული ნიადაგითაც („ივერია“). აღორძინებას მოჰყვა დაცემა, წინმსვლელობას უკან ჩამორჩენა. და აი, ახლა ვდგევართ ჩვენ პრესის მესამე ხანის საზღვართან და რამდენიმეთ კიდევაც ჩავაბიჯეთ ფეხი... ეს ხანა არის ხანა ხელახლათ აღორძინების და განახლებისა“.[53] ცხადია, ნ. ჟორდანია „პრესის მესამე ხანის“ და

საწყისად თვლის გაზეთ „კვალის“ გამოსვლას (1893 წ.), უფრო ზუსტად კი მის გადასვლას სოციალ-დემოკრატების ხელში (1897 წლის დასასრული).

ნ. ჟორდანია „ივერიის“ მიმართულების კრიტიკისას, ისევე როგორც საერთოდ, რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე დგას, ე. ი. მისთვის მიუღებელია ყოველგვარი აზრი, ყოველგვარი მიმართულება, რომელიც არ აფეტიშებს კლასთა ბრძოლას, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის ერთადერთ გზას.

ნ. ჟორდანიას „პრესას“ მოჰყვა ილია ჭავჭავაძის „უმეცრობის ფართი-ფურთი“, რომელიც „ახალმოსულის“ ფსევდონიმით იმავე 1900 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“.[54] პოლემიკურ წერილს ილია ჭავჭავაძე ასე იწყებს: „უმეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია“.[55] ცხადია, ილია ჭავჭავაძეს ნ. ჟორდანია ჰყავს მხედველობაში. ილია წერს: „ამგვარ უვიცთა და უმეცართა შორის მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენში ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ. მან სწორედ ამისთანა კაცად გამოიჩინა თავი, თუმცა — კი თავი ბრძენად და მეცნიერად მოაქვს და რაღაც უზომო დიადობით განგებ გაბრუებულია თავისის-თავის ქებითა. იმას რომ ჰკითხოთ, იგი მოვლინებულია, რომ წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავისის ბრძანებასა და ნებისმიერ ატრიალოს ცა და ქვეყანა“.[56] ილია დარწმუნებული იყო, რომ ნ. ჟორდანიას მოღვაწეობა მწერლობასა და მეცნიერებაში ასე დამთავრდებოდა „ბაქიობა, კვეხნა, თავს-თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავის ადგილას არ არის დალაგებული. თავისის-თავის მაქებარი შორის მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. ამის დრო, როცა იქნება, მოვა, და იგი ბალღები, რომელთ წინაშე დღეს ბ-ნი ჟორდანია უმეცრობისა და უვიცობის მალაყს ტაშისცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი, ყოვლისფრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა, თუ ჭკუა“.[57] ილია ჭავჭავაძემ იცოდა, თუ ვისთანაც ჰქონდა საქმე, ამიტომ იყო, რომ დაეჭვებით წერდა: „მე არ ვიცი, ამ ჩემი წერილისაგან ბ-ნი ნოე ჟორდანია ჭკუას მოვა თუ არა. ვაი, თუ მგლის თავზე სახარების კითხვა დამემართოს და გადარეული უფრო გადაირიოს. ესეც-კი შესაძლოა: იქნება, იმის ქედმაღლობის ამბავი რომ ვიცი, მე და ჩემი წერილი ცხვირ-ზევით აიცდინოს, ვითომდა არა გვკადრულობსო, თავს არ გვიყადრებს“.[58] ნ. ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძეს თავი „გაუყადრა“ და პასუხი „იკადრა“. „კვალის“ 1900 წლის მარტ-აპრილის ნომრებში დაიბეჭდა მისი „გზა-და-

გზა“.[59] ნ. ჟორდანია, რა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ სადაო საკითხების ღრმად და საფუძვლიანად გარჩევა მას ხელს არ აძლევდა, ამიტომ მოპაექრეს დასამარცხებლად სხვა გზა აირჩია. საპასუხო წერილში ვკითხულობთ: „ახლა ყველასათვის აშკარაა, თუ რა ალაპარაკებს ბ. ახალმოსულს. ეს არის არა საგნის გამორკვევა, არა საქმის სიფხარული, აზრთა შეჯახება და მწერლობის გაფაქიზება, არამედ პირადი ამოჩემება, ლანძღვა-გინება და დამცირება. და რომ ეს თავისი საწადელი განახორციელოს — არავითარ საშუალებას არ ერიდება, არავითარ უწესობას გვერდს ვერ უვლის, არავითარი ოინების ჩადენა არ ეზარება“[60] და ამას ეუბნება ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძეს! ეუბნება არა ერთხელ, არამედ იმეორებს რამდენჯერმე.

ნ. ჟორდანიას პასუხს მოჰყვა ილია ჭავჭავაძის „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრისა“, „ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაკეცა-უკუკეცობანი“.[61] ერთ-ერთ წერილში ილია ჭავჭავაძე ასე ამთავრებს: „ვერც ეხლა მიხვდებით, რა კაცი ყოფილა ეს ყოვლად უმეცარი, ქარაფშუტა, ორთავა და ორპირა პროგრესისტი, ეს ვითომდა ახალ მოძღვრების მქადაგებელი! განა მართალი არ ვთქვი წინანდელ ფელეტონში, რომ ამისთანა უმეცარი, უნიჭო, უგემური მწერალი, როგორიც ბ-ნი ჟორდანიაა, და ამასთან ასე თავმოწონებული, სხვა არავინ გამოჩენილა-თქო ჩვენში“.[62]

ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკამ ვერ შეაცვლევინა ნ. ჟორდანიას აზრი. იმავე 1900 წლის ოქტომბერში „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი უთანხმოება“ ნ. ჟორდანია კვლავ იმეორებს წინა წლებში გამოთქმულ აზრებს. კერძოდ, იგი აღნიშნავს: „ჩვენი უთანხმოება არის უთანხმოება ახალი დროის, წამოყენებული ახალი ცხოვრების განვითარებით და მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მისი ცნობით და მის-დროშის ქვეშ მუშაობა, მისი გამარჯვება არის, გამარჯვება კულტურის უკულტუროზაზე, ევროპიელობის აზიელობაზე, ამასთან ერთად მთელი ქართველობის როგორც ერის და როგორც ხალხის...“[63]

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ნოე ჟორდანიას მიერ კლასობრივი ბრძოლის გაფეტიშებას და ბრძოლას ეროვნული მოძრაობის ილია ჭავჭავაძისეული კონცეფციის წინააღმდეგ თან სდევდა ეროვნული ნიჰილიზმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნ. ჟორდანიას „ინგლის-ტრანსვალიის ომი“. საოცარია, რომ ნ. ჟორდანიამ, თვითონ პატარა, დიდი იმპერიისაგან დაპყრობილი ერის შვილმა, ინგლის-ბურების ომში ინგლისელი დამპყრობლების მხარე დაიჭირა: „ატყდა ომი, ინგლისის ძალა და გაელენა ბეწვზე ეკიდა, პატარა ხალხმა კინაღამ დაარწმუნა ქვეყანა, რომ დიდი ბრიტანეთის უფროსობა ირლვევაო. და აი, ამას ქვეყანაც ტაშ

უკრავდა, განსაკუთრებით კი დიდი სახელმწიფოები გამოჩნდა, რომ ყველა ამათ სულით და გულით სძულთ თავისი მეტოქე ინგლისი და თუმცა თითოეული მასთან შებმას ვერ ბედავს, მაგრამ თუ ვინმე სხვა დასცემს, იმათ სიხარულს საზღვარი არ ეჭნება. ამ ფერხულმა ჩაითრია ქართველებიც და ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა შეუდგა ინგლისელების სიძულვილის ქადაგებას. ჩვენ თავიდან არ ვიყავით ამ აზრის და არც ახლა ვართ. კანტის თქმულება, ოღონდ ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოს, თუნდაც ამან ქვეყნის დანგრევა მოითხოვოსო, შემცდარათ მიგვაჩნია, ვინაიდან ვის რათ უნდა ჭეშმარიტება, თუკი ქვეყანა აღარ იქნება, თუკი ბურების გამარჯვება ინგლისის დაცემას ნიშნავს (და ეს ასე უნდა ყოფილიყო) — ნება მომეცით ამ გამარჯვების მომხრე არ ვიყო და ინგლისის დაუძლურებას არ ვნატრობდე“.[64] ცოტა უფრო ადრე, „კვალის“ 1900 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა აკაკი ჩხენკელი „ებრაელთა ეროვნული მოძრაობა“.[65] „კვალის“ რედაქციამ აკ. ჩხენკელის წერილს ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „ჩვენი აზრით, „ებრაელთა სახელმწიფოს“ დაარსება პალესტინაში — ეს მხოლოდ უნაღდაგო ოცნებაა და მეტი არაფერი. ეროვნული სახელმწიფოს და სამშობლოს შეძენა არის ნაყოფი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების და არა უბრალო სურვილი და ხელოვნურად შექმნილი. „სიონიზმი“ — ეს იდეოლოგ-ინტელიგენტთა და გაჭირვებულ ებრაელთა გზიდან დროებითი გადახვევაა, მაგრამ რაც უფრო ადრე შეიგნებენ მიზეზს მათი და მასთან ერთად უმრავლესობის გაჭირვებისას, მით უფრო ადრე დაადგებიან ნამდვილ და უტყუარ გზას“.[66] ამ მძიმე შთაბეჭდილებას ერთგვარად ანელებს ნ. ჟორდანიას წერილი „პატარა პასუხი დიდ კითხვაზე“, რომელიც 1900 წელს დაიბეჭდა „კვალის“ ორმოცდამეთხუთმეტე ნომერში. ნ. ჟორდანია წერს:

„მეტყვიან: კაცობრიობის ბედნიერება მოითხოვს ყველა იმ ათასნაირი ენის არსებობას, რაიცა დღეს არის? უმჯობესი არ იქნება ქვეყანაზე ორი-სამი ენა იყოს და მათი საშუალებით წინ წავიდეთ?

ჯერ ერთი, საქმე უმჯობეს-უარესობაში კი არ არის, საქმე სინამდვილეშია. ხოლო სინამდვილე გვეუბნება: სხვა-და-სხვა ენები და ერები არსებობს და მათი აღმოფხვრა, როგორც ზემოთ ვთქვით, შეუძლებელია. მეორედ, განა ბედნიერება თუ უბედურება მრავალი ენებისაგან გამომდინარეობს? შეიძლება ასი მილიონი ხალხი ერთ ენაზე საუბრობდეს, მაგრამ მაინც უბედური იყოს, შეიძლება აგრეთვე ასი მილიონი ხალხი ას ენაზე საუბრობდეს, ხოლო ბედნიერი კი იყოს“.[67] ამ უთუოდ სწორ დასკვნასთან ერთად, ნ. ჟორდანია შემთხვევას არ უშვებს ხელიდან კვლავ შეეპაექროს ილია ჭავჭავაძეს, ასმეერთედ გაიმეორო ასჯერ ნათქვამი: „ისტორიაში არა ერთხელ მომხდარა ერის რომელიმე წოდების გადაგვარება, მაგრამ

ეს ყოველთვის ხორც-მეტი წოდება ყოფილა და ერის საზოგადო მსჯელობა ოდნავაც ვერ შეუჩერებია".[68] ამ „ხორც-მეტ წოდებაში", რა თქმა უნდა, ნ. ჟორდანია ქართველ თავად-აზნაურობას გულისხმობს.

1899-1900 წლებში ნოე ჟორდანიასთან ერთად სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფორმირებისა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ალექსანდრე წულუკიძე. საინტერესოა აგრეთვე დიომიდე თოფურიძისა და ვლადიმერ დარჩიაშვილის ნაშრომები.

ალექსანდე წულუკიძე 1899 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს გაზეთ „კვალში", სადაც აქვეყნებს ნაშრომებს: „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს" (1899 წ.), „საუბარი მკითხველთან" (1899 წ.), „ოცნება და სინამდვილე" (1899 წ.), „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან" (1899 წ.), „ჩვენი უთანხმოება (1900 წ.) და „ახირებული პრეტენზია" (1900 წ.).

ა. წულუკიძის ღია წერილიდან გ. წერეთლისადმი აშკარა ხდება, რომ იგი, ისევე როგორც ნ. ჟორდანია, კლასთა ბრძოლას სოციალური პროგრესის და საერთოდ პროგრესის აუცილებელ პირობად მიიჩნევს. თუმცა ნ. ჟორდანიასა და ფ. მახარაძისაგან განსხვავებით, ჯერ-ჯერობით შორს დგას კლასთა ბრძოლის იდეის გაფეტიშებისაგან.[69] კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებების აშკარა გავლენითაა დაწერილი ა. წულუკიძის „საუბარი მკითხველთან".[70] უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი, ისევე როგორც ა. წულუკიძის „ოცნება და სინამდვილე", თითქმის არ განიცდის რუსული მარქსიზმის გავლენას,[71] რაც ჭარბად იგრძნობა ნ.ჟორდანიასა და ფ. მახარაძის ამავე პერიოდის ნაშრომებში. ხსენებულ ნაშრომებში ვერც ეროვნული ნიჰილიზმის ნიშნებს ვპოულობთ. რაც შეეხება ა. წულუკიძის ნაშრომს „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან", იგი მთლიანად მარქსისტული პოლიტეკონომიის გავლენითაა დაწერილი.[72] მარქსის მის დაცვას ეძღვნება ა. წულუკიძის წერილი „ჩვენი უთანხმოება"[73] და „ახირებული პრეტენზია".[74]

მართალია, დიომიდე თოფურიძე უშუალოდ სოციალ-დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს არ შეხებია, მაგრამ მისი ნაშრომები, რომლებიც გაზეთ „კვალში" 1898 წლიდან იბეჭდებოდა, არ ავლენენ რუსული სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა გაფეტიშების მისწრაფებას. დ. თოფურიძე ყურადღებას ამახვილებს ევროპაში მიმდინარე პროცესებზე, ევროპის ქვეყნების ცხოვრების ბევრ საინტერესო საკითხზე. მხედველობაში გვაქვს დ. თოფურიძის „ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა დასავლეთ ევროპაში" (1898 წ.), „წერილები შვეიცარიიდან" (1898 წ.), „ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა. ინგლის-ტრანსვაალი" (1900 წ.), „მეცნერება და მეცნიერები" (1901 წ.).[75] ამ მხრივ კიდევ

უფრო საინტერესოა ვლადიმერ დარჩიაშვილის „წერილი ბელგიიდან“ (1899 წ.), „ბელგიიდან“ (1899 წ.), „წერილები საფრანგეთიდან. დღევანდელი პარტიები და მიმდინარე პოლიტიკა“ (1900 წ.), „წერილი საფრანგეთიდან“ (1900 წ.), „მსოფლიო გამოფენა პარიჟში (ერთი თვალის გადავლებით) (1900 წ.), „მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე (წერილი ბრიუსელიდან)“ (1901 წ.) და სხვ.[76] თუ დ. თოფურიძისა და ვლ. დარჩიაშვილის წერილებს შევადარებთ „კვალში“ გამოქვეყნებულ ფ. მახარაძის ნაშრომებს „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება“ (1898 წ.), „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში“ (1900 წ.), „საქართველოს შინაური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში“ (1900 წ.) და „საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე“ (1901-1902 წწ.)[77] – აშკარა გახდება ორი განსხვავებული შეხედულება პროგრესზე, მისი მიღწევის გზებზე. დ. თოფურიძე და ვლ. დარჩიაშვილი სოციალური პროგრესის უმთავრეს პირობად სულაც არ სახავენ კლასთა ბრძოლასა და სოციალურ კონფლიქტს, მათთვის სანიმუშოა ევროპის ქვეყნების იმდროინდელი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური სისტემა. რაც შეეხება ფ. მახარაძეს, იგი აშკარად იმ გზისაკენ იხრება, რომელიც კლასთა ბრძოლის აუცილებლობას ალიარებდა.

1901-1903 წლებში ნოე ჟორდანიას ნაშრომები გაცილებით ნაკლებად ჩნდება გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე. ეს ალბათ დაკავშირებული იყო ნ. ჟორდანიას ჯერ დაპატიმრებასთან, ხოლო შემდეგ იძულებით ემიგრაციასთან. 1901 წლიდან საყურადღებოა ნ. ჟორდანიას ნაშრომი „ჩვენი დღევანდელი პრესა“.[78] ეს წერილი არჩილ ჯორჯაძესთან პოლემიკას ეძღვნება და მით არის საინტერესო, რომ ნ. ჟორდანიამ მოგვცა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მიმართულებათა დახასიათება XX საუკუნის დამდეგისათვის. ნ. ჟორდანია წერს: „ჩვენი დღევანდელი პრესის მდგომარეობა ასეთია: „ორ უკვე არსებულ მიმართულებას კონსერვატიულ („ივერია“) და დემოკრატიულს („კვალს“) ემატება მესამე მიმართულება – მიმართულება ბურჟუაზიული („ცნ. ფურც.“). პირველი ორი ორგანო თავ-თავის მიმართულებას ჯერ-ჯერობით მტკიცედ ადგანან, ხოლო მესამე კი რყევებია: აქ ბ. არჩ. ბურჟუაზიულ პროგრამას თან დასდევს კონსერვატიული მიდრეკილება ბ. კ. აბაშიძისა და ზოგი რადიკალურ-ლიბერალური მოსაზრებანი“.[79] სოციალ-დემოკრატიის („კვალის“) პოზიციას ნ. ჟორდანია ასე განსაზღვრავს: „ჩვენი პროგრამა მოკლე და ნათელია: ქართული ენის, ლიტერატურის და, საზოგადოდ, კულტურის საშუალებით, ქართველი „მშრომელი ხალხის“ თანდათან გაცნობიერება, გამძლავრება და თანამედროვე ცხოვრების შეგნებულ რაზმად გადაქცევა – ერთი მხრით; მისი თვით-მოქმედების და, დამოუკიდებელი მოძრაობისათვის

ხელის-შეწყობა — მეორე მხრით, აი ჩვენი იდეალი, აი ჩვენი პროგრამა".[80]

1902 წელს ნ. ჟორდანიას „კვალში" სოციალ-დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით საყურადღებო არაფერი გამოუქვეყნებია. რაც შეეხება 1903 წელს, აღსანიშნავია ნ. ჟორდანიას მიერ გ. მარმალაძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „ჩვენი ბურჟუა-ინტელიგენცია და მისი იდეოლოგები". წერილში ნ. ჟორდანია კიდევ ერთხელ დაესხა თავის ინტელიგენციას.[81] აქვე აუცილებელია მოვიხსენიოთ ვლ. დარჩიაშვილის წერილი „ინტელიგენცია", გამოქვეყნებული „კვალში" იმავე 1903 წელს,[82] ნ. ჟორდანიას წერილის შემდეგ. ვლ. დარჩიაშვილი ცდილობს გაიაზროს ინტელიგენციის როლი კაპიტალიზმის ეპოქაში. ავტორს სწამს, რომ „საზოგადოება დღითი-დღე უფრო მეტსა და მეტს ინტელიგენტურ შრომას თხოულობს".[83] სწორედ ამ აუცილებლობიდან გამომდინარე აფასებს ვლ. დარჩიაშვილი ინტელიგენციის როლს ერის ცხოვრებაში.

1904 წელს „კვალის" იმ ხუთ ნომერში, რომელიც გაზეთის აკრძალვამდე გამოვიდა, ნ. ჟორდანიას არაფერი დაუბეჭდია.

1901-1903 წლებში გაზეთი „კვალი" და მასთან ერთად მის გარშემო შემოკრებული ქართველი სოციალ-დემოკრატები საბოლოოდ გადადიან რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე. ეს პროცესი 1901 წელს არ დაწყებულა, იგი 1898-1900 წლებში მზადდებოდა, რასაც ადასტურებს ნ. ჟორდანიასა და ფ. მახარაძის ნაშრომები.

1901 წლიდან ქართული სოციალ-დემოკრატიის მეტამორფოზა უფრო გარკვევით გამოიკვეთა. ეს კარგად ჩანს ა. წულუკიძის, ასევე „ერთ ამბის", „ყვირილელის", „ლ. ნ."-ს, და „რ. ა."-ს ფსევდონიმებით გამოქვეყნებულ წერილებში.

ა. წულუკიძის გადასვლა რუსული მარქსიზმის პოზიციაზე აშკარად იგრძნობა მის ნაშრომში „ნაციონალიზმი და სოციალიზმი", რომელიც 1901 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ბრძოლაში". ა. წულუკიძის მიერ გაკეთებული დასკვნები ასეთია:

1) „რამდენადაც ნაციონალური ბრძოლა მიმართულია წინააღმდეგ ნაციონალური შეჯგუფებისა, წინააღმდეგ ძალად გაგერმანელებისა, გარუსებისა და სხვ. სოციალიზმი თანაუგრძნობს მას. ნაციონალური თავისუფლება არის ერთი მხარეთაგანი პიროვნული და საზოგადოებრივი თავისუფლებისა და ამიტომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში".

2) „უცნაურად უნდა გვეჩვენოს ის მოვლენა, რომ ხშირად სოციალისტური პარტია არ თანაუგრძნობს ნაციონალურ ბრძოლას, რომ სი-

ციალიზმი და ნაციონალიზმი ერთი მეორის მოქიშპედ გამოდიან? გასაკვირველი არ არის, როცა სოციალისტური პარტია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უწევს შემავიწროებელთა ნაციონალიზმს. მაგრამ რატომ სოციალისტური პარტია აუცილებლად არ უშერს ხმარს მებრძოლ შევიწროებულ ერებს? ჩვენ ვთქვით, რომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში. ეს სიტყვებივე გვაძლევენ გადაჭრილ პასუხს ჩვენ კითხვებზედ: ნაციონალური თავისუფლება გამოდის როგორც ნაწილი საერთო დემოკრატიული თავისუფლებისა და მაშასადამე მას, ნაციონალურ თავისუფლებას, არ შეიძლება დაემორჩილოს მთელი საერთო-დემოკრატიული თავისუფლება. და ამიტომ ყოველთვის, როდესაც კი ნაციონალური და საერთო-დემოკრატიული ინტერესები ერთმანეთს უკავშირდებიან, ნაციონალურმა ინტერესებმა უნდა დაუთმონ. აი ის შეხედულება, რომელზედაც დგას შეგნებული პროლეტარიატი და რომელსაც არასოდეს არ თანაუგრძნობს ბურჟუაზია";

3) „ნაციონალური იდეა თავისთავად რომ ავიღოთ ბურჟუაზიული იდეაა, დემოკრატიზმთან კი მას მხოლოდ დროებითი კავშირი აქვს შეკრული და შეუძლია ყოველ წუთს გაწყვიტოს ეს კავშირი";

4) „ნაციონალური იდეა ბურჟუაზიისათვის შესანიშნავი იარაღია პროლეტარიატის წინააღმდეგ";

5) „ნაციონალიზმია ეხლა უმთავრესი მტერი წინმსვლელობისა და ამ მტერთან ბრძოლაც უმთავრესი უნდა იყოს".[84]

ასეთი დასკვნა იმას ნიშნავდა, რომ ალექსანდრე წულუკიძემ აღიარა რუსული სოციალ-დემოკრატიის პრინციპები და ეროვნულ ნიჰილიზმში ფილიპე მახარაძესაც კი გაუსწრო.

რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან არის დაწერილი ა. წულუკიძის ნაშრომი „ბრძოლა — სოციალ-დემოკრატიული", რომელიც 1902 წელს ხელმოწერის გარეშე დაიბეჭდა „ბრძოლაში". ა. წულუკიძე წერს: „ქართველ მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია ერთი რაზმთაგანია რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა".[85]

კიდევ უფრო ხაზგასმულად წარმოჩნდა რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან ა. წულუკიძის იდეური კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის ფურცლებში, რომელიც 1902 წელსაა შედგენილი ა. წულუკიძის მიერ.[86] რსდმპ ბათუმის კომიტეტის ფურცლების ანალიზი გვარწმუნებს, რომ იგი იწერებოდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს გამოქვეყნებული ვ. ლენინის ნაშრომების ძლიერი გავლენით. რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან არის დაწერილი ა. წულუკიძის „სხვაგან და ჩვენში" (1902 წ.), რომელიც გაზეთ „კვალში" დაიბეჭდა. წერილი ეძღვნება ბურჟუაზიის როლის

გარკვევას დასავლეთ ეროპის ქვეყნებისა და ქართველი ერის ცხოვრებაში. მისი დასკვნები ასეთია:

1) „თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში მატერიალურად ხელმოკლე გონებრივად ახლად ალორძინებული მშრომელი ხალხია“;

2) „ჩვენში ბურჟუაზიის როლი ეროვნული თვითცნობიერების განსამტკიცებლად სრულიად უმნიშვნელოა“;

3) „თუ ევროპაში ბურჟუაზია უდგა მეთაურად ეროვნულ ზრდას, ჩვენში ერის მეორე ნაწილი მეთაურობს“.[87]

ა. წულუკიძე გამონაკლისი არ ყოფილა. 1901 წლიდან ქართული სოციალ-დემოკრატია აშკარად დგება რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე. ამის დამადასტურებელი მასალა უხვად გვხვდება გაზეთების „კვალისა“ და „ბრძოლის“, აგრეთვე „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლებზე.

1901 წლის იანვარში გაზეთ „კვალში“ დაიწყო გამოქვეყნება ვრცელი წერილისა „ისტორიული მეცნიერებიდან“, რომლიც დასრულდა იმავე წლის ივნისში. წერილის ოთხი ნაწილი ავტორის მითითების გარეშე გამოქვეყნდა, მეხუთე ნაწილს აქვს ხელმოწერა "Un ami", ხოლო ბოლო, მეშვიდე ნაწილს — "Ami". წერილის ავტორის მიზანია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დაცვა „კრიტიკოსებისაგან“.[88] "Un ami", ცდილობს დაიცვას კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სოციალური ფილოსოფია, განსაკუთრებით კი „მარქსისა და ენგელსის აზრები კლასთა ბრძოლაზე, პოლიტიკის მნიშვნელობაზე ამ ბრძოლაში და სახელმწიფო მმართველობის გაბატონებულ კლასების დამოკიდებულებაზე“.[89] იხილავს რა კლასთა ბრძოლის შესახებ გიზოს, ტიერის, მინიეს შეხედულებებს, "Un ami", დაასკვნის: „მანიფესტის ავტორისათვის (ე. ი. კ. მარქსისა და ფ. ენგელსისათვის - ვ. გ.) კლასთა ბრძოლა მწყობრი ისტორიული თეორიის ერთი შემადგენელი ნაწილია, როცა რომ გიზოს, ტიერს, მინიეს და სხვა თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგთ ისტორიულ თეორიაში ჯერ კიდევ თავი და ბოლო ერთმანეთთან ვერ მოუწყვიათ. სწორედ ეს არის მარქსისა და ენგელსის „სოციალური ფილოსოფიის“ დიდი უპირატესობა“.[90] ეს არც ბუნტი, არც ნაკლები, რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან დანახული კ. მარქსია, ანუ ის უმთავრესია, რაც მარქსიზმში გ. პლეხანოვსა და ვ. ლენინს აინტერესებდათ.

1901 წლიდან რუსული მარქსიზმის გავლენა დაეტყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის ყველაზე უფრო „ეროვნულად“ მოაზროვნე ივანე გომართელს. მისი წერილი „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება შუშინ და ღღეს“, რომელიც „კვალში“ გამოქვეყნდა 1901 წლის სექტემბერ

ში, ბევრ აქტუალურ საკითხს ნ. ჟორდანიასა და ფ. მახარაძის პოზიციიდან აშუქებს.[91]

„ყვირილელის“ ფსევდონიმით 1903 წელს გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილი ირაკლი წერეთლის „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“, ბევრი რაიმეთი არის საინტერესო.[92] ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა, აგრეთვე არჩილ ჯორჯაძის პოზიცია საქართველოს ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით ირ. წერეთელმა ასე დაახასიათა: „ძველი წყობილების დამანგრეველი ძალა, ფული, პირველ ხანებში მაინც, თითქმის სულ უცხო ხალხის, სომხობის ხელში ტრიალებდა, რადგან სომხის ბურჟუაზიამ ისტორიული პირობების გამო ადრე მოიდგა ჩვენში ფეხი. აი აქედან მოევლინათ უბედურება ჩვენს „მამებს“ და ამიტომაც უფრო გაშმაგებით მორთეს ყვირილი — „სამშობლო განსაცდელშია, უცხო ხალხმა გაგვანადგურა, ვიხსნათ თავი სომხებიდანო“. ვინც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თავის თავს ქვეყნის მამათ სთვლიდა, ვისაც ენის, კულტურის, ზნე-ჩვევების დამცველი და მატარებელი მხოლოდ თავისი თავი ეგონა, — მას თავის დამარცხებასთან ერთად ყველა ამაების გაჭრობა და მოსპობა ეჩვენება. და სწორედ აქ იბადება ის უარმყოფლობა აწმყოთი, უიმედობა მომავლით და მხოლოდ წარსულის მადლიერად მოგონება, რომელიც ასე ახასიათებს ჩვენს მამულიშვილობას“.[93] ავითარებს რა იმავე აზრს, ცოტა ქვემოთ ირ. წერეთელი აღნიშნავს: „დღევანდელი „მამულიშვილობა“ იხედება უკან, და არა წინ, მის იდეალი მკვდარია და წარსულს ეკუთვნის. მომავალში მას სიკვდილის გარდა არა ელის რა“.[94] ასეთი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის განაჩენი ილია ჭავჭავაძის მიმართ და საერთოდ მათ მიმართ, ვინც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვიდრე XX საუკუნის დამდეგამდე ეწეოდა მამულიშვილის მძიმე ულელს, იყო სამოციანელთა თაობის წარმომადგენელი თუ მომდევნო ეპოქის მოღვაწე — არა სოციალ-დემოკრატი. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეჩვენებოდათ, რომ მათთან ყველა ტყუოდა, ყველას გზა მცდარი იყო. ირ. წერეთელი წერილს ასეთი დასკვნით ამთავრებს: „ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს სამი მიმართულება — „მამულიშვილობა“, „ეროვნება“ და „ხალხის სამსახური“. ჩვენ ვნახეთ რა ნიადაგზეა ისინი ამოსული. სამივე არის კლასობრივი მოძრაობა იმ მხრივ, რომ სამივე გამოხატავს სხვადასხვა ეკონომიურ ჯგუფს, კლასების ინტერესებს. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მათ ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვთ. ჩვენი ცხოვრების მატერიალური პირობების და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების გამო პირველი ორი მოძღვრება აფერხებს პროგრესს, ეწინააღმდეგება საზოგადო ინტერესებს, ვერ პოვებს თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობაში მკვიდრ საფუძველს მაშინ,

როცა მესამე ერთიანად აშენებულია ერის დიდი უმრავლესობის ინტერე
სებზე, მოასწავებს ცხოვრების შეუჩერებელ წინსვლას და განახლებას
და მაგრად აქვს დღეს ჩვენში გადგმული მზარდი და ცოცხალი ფესვ
ბი“.[95] როცა „ივერიამ“ და „ცნობის ფურცელმა“ ირ. წერეთლის უსუსრ
კლასიფიკაცია და დებულებები სწორად არ ჩათვალეს (თავიანთი პოზიცი
„ცნობის ფურცელმა“ და „ივერიამ“ ჯერ კიდევ წერილის ბოლო, მესამ
ნაწილის გამოქვეყნებამდე გამოთქვეს — ვ. გ.), ირ. წერეთელმა ჰასუხ
არ დააყოვნა და „კვალში“ დაბეჭდა წერილი სათაურით: „აკაკანებულ
მამულიშვილობა“.[96] ამ წერილში, ისევე როგორც „კვალის“ მომდევნ
ნომერში გამოქვეყნებულ, ამჯერად მხოლოდ „ცნობის ფურცლის“ სპა
სუხო წერილში — „თქვა და გაიქცა“,[97] და „კიდევ „ცნობის ფურ
ცელს“[98] ირ. წერეთელი იცავს თავის შეხედულებას ქართული საზოგა
დოებრივი მოძრაობის მიმდინარეობებისა და შინაარსის შესახებ, თუმც
რაიმე ახალი არგუმენტი საპასუხო წერილებში არ წამოუყენებია.

რუსული სოციალ-დემოკრატიი პოზიციაზე გადასვლას, რაც გა
ზეთ „კვალში“ 1898-1900 წლებში მზადდებოდა, ხოლო 1901 წლიდან
განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება, თან სდევდა ევროპული სო
ციალ-დემოკრატიის იდეებზე ხელის აღება.

1903 წლის 22 ივნისს „კვალის“ ოცდამეერთე ნომერში ფსევდონი
მით „ლ. ნ.“ დაიბეჭდა წერილი „ოპორტუნიზმი და მისი ქართველ
მოტრფიალე“.[99] წერილი დაიწერა იმ მიზნით, რომ ჟურნალ „მოამბის“
მიმომხილველის საწინააღმდეგოდ, ქართველი მკითხველისთვის განემარტ
ოპორტუნიზმის (ფაქტობრივად ე. ბერნშტაინის მოძღვრების) არსი. წერი
ლის ავტორს არ მოსწონს, რომ დასახული მიზნის მიღწევისათვის
ბრძოლაში პოპრტუნიზმს აქვს მეტად „მშვიდობიანი ხასიათი“ და „მეტის
მეტი შიში ენერგიული ზომებისა“.[100] ლ. ნ.-ს მიერ ოპორტუნიზმის აო
ვალწუნების მიზეზი შემდეგია: „ოპორტუნიზმის აზრით, საბოლოო მიზ
ნის მიღწევა შეიძლება ჩუმი და მშვიდობიანი მოქმედებით კანონიერების
ნიადაგზე. კაპიტალისტური წყობილების ძირითადი გადაბრუნება ისეთ
შიშს გვრის ოპორტუნისტს, რომ ის თანახმაა ხელი აიღოს მთავარ სა
შუალებაზე, რომლითაც მუშათა პარტია ფიქრობს მიაღწიოს თავის მი
ზანს — პროლეტარიატის დიქტატურაზე. პროლეტარიატის დიქტატურა
ოპორტუნისტის აზრით, არც მისაღწევია და არც სასურველია ჩვენს
დროში. არ არის სასურველი იმიტომ, რომ მშრომელი ხალხი ძალიან
ცოტათი არის მომზადებული მაგისთანა დიდი როლისათვის: მშრომელთა
უმრავლესობა ისე დაბალ საფეხურზე დგას, განათლების მხრივ, სოლიდა
რობა მათ შორის ისე ცოტად არის განვითარებული, რომ ვაი თუ თავ
შეირცხვინოს, როდესაც სახელმწიფოს სათავეში დაუდგება, ვაი თ

უცოდინრობით საქმე უკან დაატრიალოს".[101] განსაკუთრებით მიუღებლად წერილის ავტორს მიაჩნია ის, რომ ოპორტუნიზმის მიხედვით „პროლეტარიატის დიქტატურა შესაძლებელია მხოლოდ შორეულ მომავალში", ხოლო თანამედროვე ეტაპზე (XIX საუკუნის დასასრული — XX საუკუნის დამდეგი) „მუშათა პარტიის მოთავენი მხოლოდ იმას უნდა სცდილობდნენ, რომ როგორმე გაუმჯობესონ მუშათა მდგომარეობა წყნარი და მოფიქრებული მოქმედებით. სრულებით საჭირო არ არის უკიდურესი ზომების ხმარება, საქმე შეიძლება ბურჟუაზიასთან მოლაპარაკებით გაკეთდეს".[102] ლ. ნ.-ს დასკვნა ასეთია: 1) „ოპორტუნისტი მიზნით — სოციალ-დემოკრატია, საშუალებით კი, რომლითაც უნდა ამ მიზანს მიაღწიოს, ნამდვილი ბურჟუა-ლიბერალია"; 2) „ოპორტუნისტებს საზოგადოდ კიდევ ერთი თვისება სჭირთ: მათ ვერ მოურიგებიათ ყოველ-დღიური პარტიული მოქმედება და პარტიის უმთავრესი მიზანი. მათი ყოველდღიური. მოქმედება სრულიად ფლაპავს უმთავრეს მიზანს".[103]

თუ ლ. ნ.-ს წერილებს ღრმად გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ოპორტუნიზმის (ფაქტობრივად ე. ბერნშტაინის) კრიტიკა ძირითადად ვ. ლენინის მიხედვითაა მოცემული. ცხადია, რომ ავტორი პირველი წყაროებიდან ე. ბერნშტაინს არ იცნობს.

ლ. ნ.-ს წერილი გაზეთ „კვალის" 1903 წლის ოცდამეერთე ნომერში დაიბეჭდა. ოცდამეორე ნორმეში კი ინფორმაციაში „საზღვარ-გარეთ" ასეთ რიმეს ვკითხულობთ: „საზოგადოდ ოპპორტუნიზმი, როგორც ორაზროვანი, ორჭოფი პოლიტიკა, მაგრამ კრიზისში იქნება, სანამ უარს არ იტყვის შეურიგებლის მორიგებაზე, შეუთანხმებლის შეთანხმებაზე, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფრაქციათა და სოციალ-დემოკრატთა პარტიის საერთო სამოქმედო აპარეზის ძებნაზე. ასეთი აპარეზი არ არსებობს და მაშასადამე, მისი მოძებნა არ შეიძლება".[104] ინოფრმაციას ავტორზე მინიშნება არ აქვს, მაგრამ ოპორტუნიზმზე მსჯელობა იქ მთლიანად ლ. ნ.-ს წერილის მიხედვითაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ავტორი შეიძლება იყოს ლ. ნ., როცა ოპორტუნიზმის შესახებ „კვალის" ოცდამეორე ნომერში გამოთქმულ აზრს ჟურნალმა „მოამბემ" უპასუხა, ლ. ნ.-მ გაზეთ „კვალის" პოზიციის დასაცავად გამოაქვეყნა წერილი „კიდევ ოპპორტუნიზმის მოტრფიალეს".[105]

„კვალში" 1903 წლის ოცდამეორე ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ოპორტუნიზმის შესახებ გამოთქმულ აზრს, ჟურნალ „მოამბის" გარდა, გაზეთი „ცნობის ფურცელიც" გამოეხმაურა. „კვალის" პოზიცია ამჯერად მომდევნო ოცდამესამე ნომერში დაიცვა რაღაც არსენიძემ „რ. ა."-ს ფსევდონიმით დაბეჭდილ წერილში „მცირე განმარტება".[106] ლ. ნ.-ს მსგავსად, რ. არსენიძეც ოპორტუნიზმზე აშკარად უარყოფითი

შეხედულებისაა. წერილის დასკვნაში ვკითხულობთ: „ამ ნაირად, პირველნი (ბურჟუაზია) იცავენ თავის კლასიურ ინტერესებს, რომელიც ამ შეთხვევაში სრულიად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს და სასარგებლოა მხოლოდ და მხოლოდ მათი კლასისათვის. მშრომელთა კლასი კი იცავს ისეთ ინტერესებს, რომელნიც მთელ კულტურულ წინსვლისათვის საჭიროა, რადგან მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას მიაღწიოს თავისი კლასიკურ ინტერესების გახორციელებას — ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობისაგან მთლად განთავისუფლებას“.[107] როგორც ვხედავთ, არც რ. არსენიძის თეორიული მომზადების დონე სცილდებოდა რუსული მარქსიზმის ფარგლებს.

კლასობრივი ზავის, კლასთა შეთანხმების იდეის წინააღმდეგია რ. არსენიძის წერილი „თანხმობის“ მჭადაგებელს“, რომელიც „კვალის“ 1903 წლის ოცდამეშვიდე ნომერში გამოქვეყნდა.[108] ავტორის აზრით, კლასთა შეთანხმება საერთო და განსაკუთრებით კი საქართველოში არ შეიძლება: „ჩვენში ასეთი „თანხმობით მოქმედება“ შეუძლებელია“.[109] რა თქმა უნდა, კონკრეტულ შემთხვევაში რ. არსენიძე არჩილ ჯორჯაძესაც უტევს. შემდეგ რ. არსენიძე მცირე ცვლილებებით იმეორებს ვ. ლენინის მიერ ოპორტუნიზმის შესახებ უკვე მრავალგზის ნათქვამს: „ბურჟუაზიული დემოკრატები“ „თანხმობით მოქმედების“ სარგებლობას იმ მცირე, უმნიშვნელო რეფორმებით ზომავენ, რომელნიც ასეთ თანხმობას მოჰყვება, და მუშათა მდგომარებასაც გაუმჯობესებს. მაგრამ ვისაც შეგნებული აქვს მუშათა კლასობრივი ინტერესები, მათი როლი მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისა ყოველგვარ მონობისა და დაჩაგვრისაგან, ვერასოდეს ვერ დათანხმდება ბურჟუაზიულ ფრაქციებთან კავშირის დადებაზე“.[110]

დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეების წინააღმდეგ ბრძოლა, ბრძოლა რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების დამკვიდრებისათვის ქართველ სოციალ-დემოკრატებს ერთი წუთითაც არ ავიწყდებ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლის „აუცილებლობას“. ილიას წინააღმდეგ ბრძოლის ინტენსიურობას ხელი ვერ შეუშალა არჩილ ჯორჯაძის წინააღმდეგ მიმართულმა ცხარე პოლემიკამ. ილია ჭავჭავაძის იდეებთან ბრძოლა, სამწუხაროდ, ქართველი სოციალ-დემოკრატების უმთავრეს ამოცანად რჩებოდა. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა იმით დაიწყეს, რომ ილიას ჯერ საერთოდ იდეური მიმართულება დაუწუნეს,[111] შემდეგ — პოეტური გენია,[112] ბოლოს ცილი დასწამეს, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ეგნატე ნინოშვილს ჰონორარს არ აძლევდაო.[113] თითქმის ათწლიანი ბრძოლის მანძილზე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა რა ბრალდება ალარ წაუყენეს ილია ჭავჭავაძეს. ამ ტრადიციას აგრძელებს ივანე გო-

მართელის წერილი „თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი პოეზია“.[114] წერილში ვკითხულობთ: „ისეთი მოღვაწეები, როგორიც ილ. ჭავჭავაძეა უმთავრესად წარსულს ეკუთვნიან: ამით იმის თქმა კი არ მინდა, ვითომც ის, რაც ილ. ჭავჭავაძემა სთქვა და გააკეთა, დღეს სრულებით უმნიშვნელო იყოს, არამედ მხოლოდ ის, რომ უმთავრესი და უმეტესი ძალღონე მან უკვე დახარჯა, უმეტესი ნაწილი თავისი ასპარეზისა მან უკვე განელო, მხოლოდ უმცირესი დარჩა“.[115] აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ივ. გომართელის წერილი, მთლიანობაში აღებული, არ გამოირჩევა აგრესიული ტონით, რაც ასე დამახასიათებელი იყო გაზეთ „კვალისათვის“.

1898 წლიდან გაზეთ „კვალის“ და მის გარშემო შემოკრებილი ქართველი სოციალ-დემოკრატების (ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ფ. მახარაძე, კ. ჩხეიძე, ა. წულუკიძე, ირ. წერეთელი და სხვ.) აშკარა დაპირისპირებამ, ხოლო შემდეგ შეურიგებელმა ბრძოლამ ილია ჭავჭავაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან, არჩილ ჯორჯაძესთან, თანდათან გამოიწვია „კვალის“ რეპუტაციის შერყევა საზოგადოების თვალში. ეს პროცესი კიდევ უფრო გაამწვავა გამუდმებულმა პოლემიკამ ისეთ პოპულარულ გამოცემებთან, როგორიც იყო გაზეთი „ივერია“, ჟურნალი „მოამბე“, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, რასაც დაემატა 1901 წლიდან ეროვნული ნიჰილიზმის პოზიციაზე აშკარა გადასვლა, რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების პოპულარიზაცია... „კვალის“ მესვეურებმა ეს იგრძნეს და მრავალგზის სცადეს თავის მართლება. ერთ-ერთი ასეთი ცდა ეკუთვნის დ. კოლხიდელს (დ. თოფურიძეს). 1902 წელს „კვალის“ ორმოცდამეოთხე ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი „კიდევ ერთხელ“.[116] წერილში ვკითხულობთ: „როდის, რით ჰყო „კვალმა“ ერი?! არასოდეს, არაფრით. „კვალს“ უყვარს ქართველი ერი, წმინდა, უანგარო სიყვარულით; ის მუდამ მზადაა და თავის დანიშნულებითაც რაცხს ქართველ ხალხს ემსახუროს“.[117] ცხადია, ყოველივე ამაში ბნელი იყო ქართველი საზოგადოების დარწმუნება. თუმცა, ქართველი სოციალ-დემოკრატები და კერძოდ, დ. თოფურიძე თავისას არ იშლიდნენ. 1903 წელს „კვალში“ გამოქვეყნდა დ. თოფურიძის წერილი „ინსინუაციათა ავტორებს“.[118] ამჯერად დ. თოფურიძე „ცნობის ფურცლისა“ და კონკრეტულად გ. ზდანოვიჩის შემოტევისაგან „იცავდა“ თავს. გ. ზდანოვიჩთან პოლემიკა დ. თოფურიძემ იმავე ხანებში გამოქვეყნებულ მეორე წერილში — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ — განაგრძო.[119] დ. თოფურიძის ასეთი პატრიოტული ტონით გაჟღენთილი წერილები იწერებოდა მაშინ, როცა მის ავტორს მარქსიზმის დოგმების გარეშე ერთი შეხედვით პოლიტიკისაგან შორს მდგომ პრობლემებზეც არ შეეძლო მსჯელობა. ამაზე მეტყვე-

ლებს დ. თოფურიძის წერილები: „ეკონომიური განვითარება XIX საუკუნეში“[120] და „არ ვარგა, მარა მაინც კარგია“.[121]

ქართულ სოციალ-დემოკრატიაში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების დამკვიდრება განუყოფლად უკავშირდება იოსებ ჯუღაშვილის სახელს. რა მსოფლმხედველობაზე იდგა ი. ჯუღაშვილი 1894 წლისათვის, როცა იგი გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიაში შევიდა, ძნელი დასადგენია. სულ მალე, 1895 წლისათვის, ი. ჯუღაშვილი გაზეთ „ივერიაში“ ხუთ ლექსს აქვეყნებს,[122] რაც საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ მისი მსოფლმხედველობა. ამ პერიოდისათვის ი. ჯუღაშვილი ალბათ „ივერიის“ მიმართულებას იზიარებდა, ყოველ შემთხვევაში გაზეთისა და მისი რედაქტორის მიმართ სიმპატიები აუცილებლად ექნებოდა. პირველი ლექსი „ივერიაში“ ი. ჯუღაშვილმა 1895 წლის 14 ივნისს გამოაქვეყნა, მეხუთე — 1895 წლის 25 დეკემბერს. ამის შემდეგ მას „ივერიაში“ აღარაფერი დაუბეჭდია. სათანადო მასალის არ არსებობის გამო ძნელდება „ივერიიდან“ ი.ჯუღაშვილის წასვლის მიზეზის დადგენა. ამ მხრივ არაფერს გვეუბნება 1896 წლის 28 ივლისს „კვალში“ გამოქვეყნებული ლექსი,[123] თუმცა თვით ის ფაქტი, რომ „ივერიიდან“ წასვლის შემდეგ ი. ჯუღაშვილი სწორედ „ივერიასთან“ მკვეთრად დაპირისპირებულ „კვალში“ აქვეყნებს ლექსს, მთლად უმნიშვნელო არ უნდა იყოს. არც ის უნდა იყოს უმნიშვნელო, რომ ერთი ლექსის გარდა „კვალში“ ი. ჯუღაშვილს არაფერი გამოუქვეყნებია.

1896 წლის ივლისის შემდეგ (გაზეთ „კვალში“ ლექსის გამოქვეყნების შემდეგ) ვიდრე 1901 წლის სექტემბრამდე (გაზეთ „ბრძოლაში“ მოწინავეს დაბეჭდვამდე). ი. ჯუღაშვილის სახელით არაფერი გამოსულა. თუმცა ი. სტალინის თხზულებათა პირველი ტომის ბოლოს დართულ ავტორის „ბიოგრაფიულ ქრონიკაში აღნიშნულია, რომ 1898 წელს „ი. ს. სტალინი ადგენს მარქსისტულ მუშათა წრეებში მეცადინეობის პროგრამას“.[124] ეს პროგრამა ი. სტალინის თხზულებათა კრებულში არ შესულა, არც ცალკე გამოცემად დაბეჭდილა. რადგან ცნობა „პროგრამის“ შესახებ ი. სტალინის ბიოგრაფიულ ქრონიკაში შევიდა, ჩანს ი. სტალინის თხზულებათა კრებულის შემდგენლებმა ნაშრომის არსებობის შესახებ იცოდნენ. მიუხედავად ამისა, „პროგრამა“ ი. სტალინის თხზულებათა კრებულის პირველ ტომში და არც პირველი ტომის მაკეტში არ შეუტანიათ. დღესათვის ძნელი დასადგენია: ი. სტალინის თხზულებათა კრებულის შემდგენლებს „პროგრამის“ ტექსტი ხელთ არ ჰქონდათ, თუ ტექსტს იცნობდნენ, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებით მისი დაბეჭდვა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. ი. ჯუღაშვილის მიერ შედგენილი „პროგრამა“ ჩვენს მიერ

მიკვლეულ იქნა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. აღმოჩნდა, რომ „პროგრამა“ 1898 წელს კი არა, 1899 წელსაა შედგენილი. გარდა ამისა, იგი თავისი შინაარსით სოციალ-დემოკრატიული და არა მარქსისტული. ი. ჯუღაშვილის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა წრეებში მეცადინეობის პროგრამა ხუთ თემად გაუყვია. შესასწავლი ლიტერატურის სიაში ყველაზე ხშირად ფიგურირებენ შემდეგ ავტორები: მ. ტუგან-ბარანოვსკი, პ. სტრუვე, კ. კაუცკი. შემდეგ მოდიან: კ. მარქსი, პ. ლაფარგი, ფ. ენგელსი, ვ. ლენინი, გ. პლეხანოვი, ე. ბერნშტაინი და ე. ვანდერველდე. გარდა ხსენებული ავტორებისა, ი. ჯუღაშვილი უთითებს რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ფართოდ ცნობილი ფილოსოფოსების, ეკონომისტების, იურისტების, ისტორიკოსების ნაშრომებს.[125]

იოსებ ჯუღაშვილის მიერ შედგენილი „პროგრამის“ ანალიზი გვარწმუნებს, რომ 1899 წლისათვის მისი ავტორი არ იდგა რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე. ი. ჯუღაშვილი სოციალისტი იყო ამ სიტყვის ფართო გაგებით და არ აფეტიშებდა სოციალ-დემოკრატიის რომელიმე მიმდინარეობას.

1899 წლიდან 1901 წლამდე ი. ჯუღაშვილის მსოფლმხედველობაში ცვლილებები ხდება. იგი რუსული სოციალ-დემოკრატიის მიმდევარი გახდა. 1901 წელს გაზეთ „ბრძოლისათვის“ დაწერილ მოწინავეში — „რედაქციისაგან“ — ი. ჯუღაშვილმა სავსებით ცხადად მიანიშნა, რომ იგი რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე იდგა, იზიარებდა გაზეთ „ისკრის“ მიმართულებას.[126] 1901 წელს გაზეთ „ბრძოლის“ №2-3 ხელმოწერის გარეშე დაიბეჭდა ი. ჯუღაშვილის ნაშრომი „რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი უმახლობლესი ამოცანები“.[127] ეს ნაშრომი ბევრი რამითაა საინტერესო არა მარტო ქართული სოციალ-დემოკრატიის, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაშიც. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანების განსაზღვრას იმხანად ბევრი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ცდილობდა, მათ შორის გ. პლეხანოვი, ვ. ლენინი, ლ. მარტოვი, პ. აქსელროდი, ა. პოტრესოვი და სხვ. გაზეთ „ისკრაში“ ამ საკითხზე დიდი რაოდენობით მასალა ქვეყნდებოდა. ამავე საკითხებს მიეძღვნა ვ. ლენინის ნაშრომი „რა ვაკეთოთ?“, რომელიც 1902 წელს გამოქვეყნდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1900-1903 წლებში ი. ჯუღაშვილის გარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანები ასე სრულად, ლოგიკურად და გასაგებად არავის ჩამოუყალიბებია. ვინც ამ საკითხის გაშუქებაში ბედი სცადა, ვერავინ ი. ჯუღაშვილს ვერ მიუახლოვდა. ი. ჯუღაშვილს, რა თქმა უნდა, აღმოჩენები არ გაუკეთებია, მაგრამ მან შეძლო დახვეწილი პროგრამის სახე მიეცა იმ ამოცანებისათვის, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე იდგა. ი. ჯუღაშვილმა

უკვე 1901 წლის დეკემბრისათვის მოხაზა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმა.

იოსებ ჯუღაშვილმა ნაშრომით „რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი უახლოესი ამოცანები“ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსთა შორის.

ვლადიმერ (ლადო) კეცხოველი მეტწილად ცნობილია როგორც გამოჩენილი ორგანიზატორი. მართალია, მას დიდი რაოდენობით შრომები არ დარჩენია, მაგრამ რაც დარჩა, საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ვლ. კეცხოველი ღრმად ერუდირებული და თეორიულად შესანიშნავად მომზადებული სოციალ-დემოკრატი იყო. 1901 წელს გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერში ხელმოწერის გარეშე გამოქვეყნებული წერილის — „პოლიტიკური ბრძოლა“ — ავტორი, ჩვენი აზრით, ვლ. კეცხოველი უნდა იყოს.[128] ამ წერილის ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში შექმნილ მდგომარეობას, იქ მიმდინარე იდეურ ბრძოლებს. პოლიტიკურ და სოციალურ ძალთა განლაგების დახასიათებასაც ვლ. კეცხოველი „ისკრის“ მიმართულებიდან გამომდინარე ახდენს.[129] რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმა ვლ. კეცხოველს აბსოლუტურად მისაღებად მიაჩნია. რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან არის დაწერილი „ბრძოლის“ პირველსავე ნომერში ხელმწერის გარეშე გამოქვეყნებული ვლ. კეცხოველის წერილი „ასი წლის იუბილეს გამო (წერილი ქართველ მუშებთან)“.[130] ეს წერილი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ასი წლისთავის ეძღვნება. წერილში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ანალიზი ზუსტად ისეა წარმოდგენილი, როგორც ამას აკეთებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები (გ. პლეხანოვი, ვ. ლენინი), როცა რუსეთის ისტორიის შესაბამისი პერიოდის ანალიზს ახდენდნენ.[131] რაც შეეხება ვლ. კეცხოველის კიდევ ერთ ნაშრომს „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899-1901 წწ.“, რომელიც გაზეთ „ბრძოლის“ 1901 წლის №2-3 დაიბეჭდა,[132] საინტერესოა იმით, რომ მასში პირველადაა განზოგადებული საქართველოში სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით დაწყებული მუშათა მოძრაობის ისტორია. ვლ. კეცხოველის ამ წერილსაც აშკარად ახსის რუსული სოციალ-დემოკრატიის ძლიერი იდეური გავლენის დაღი. ზოგადი მიმართულებით წერილი ძალიან ჰგავს გაზეთ „ისკრაში“ გამოქვეყნებულ მსგავს წერილებს.[133]

ამრიგად, ვლადიმერ კეცხოველმა თავისი წერილებით მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საქართველოში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების დამკვიდრებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, თუ როდის შეწყვიტა არსებობა „მესამე დასმა“. ეს საკმაოდ რთული საკითხია, არა და, მისი გადაჭრის გარეშე შეუძლებელია დასრულებულად ჩაითვალოს „მესამე დასის“ ისტორიის შესწავლა.

მართალია, მესამე დასელთა შორის 1901 წლიდან განსაკუთრებით ძლიერდება რუსული სოციალ-დემოკრატიის გავლენა, მაგრამ საკმაოდ ცხადია, რომ არ მომხდარა „მესამე დასისა“ (გაზეთ „კვალის“ ბანაკი) და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის“ (გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი) შერწყმა – ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილის მიმართულებები 1901-1903 წლებშიც შეურიგებელნი რჩებიან, ე. ი. „მესამე დასი“ ამ წლებში დამოუკიდებელ იდეურ მიმართულებას მაინც ინარჩუნებს.

გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი (ი. ჯუღაშვილი, ვლ. კეცხოველი, აბ. ენუქიძე და სხვ.) მომხრე იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პარტიაში გაერთიანებისა, ხოლო გაზეთ „კვალის“ ბანაკი (ნ. ჟორდანია, ის. რამიშვილი, კ. ჩხეიძე, ვლ. დარჩიაშვილი და სხვ.) ცდილობს შეინარჩუნოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია – „მესამე დასი“. ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრეები რომ აუცილებლად თვლიდნენ საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის – „მესამე დასის“ შენარჩუნებას, ცხადი ხდება თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში 1901 წლის ივლისის ბოლოს (27 ივლისამდე) შედგენილი დოკუმენტიდან, რომელიც ასე დასათაურებული: „სოციალ-დემოკრატიულ წრესთან კავშირში მყოფ პირებზე თვალთვალის მასალების მიმოხილვა“.[134] „მიმოხილვაში“ აღნიშნულია, რომ „ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თბილისში გამომავალი ქართული გაზეთი „კვალი“, რომლის წარმომადგენელია ამ გაზეთის რედაქციის გამგე, მისი ფაქტიური რედაქტორი, ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია“.[135] ნ. ჟორდანიას გარდა ჟანდარმერია გამოჰყოფდა „კვალის“ გარშემო შემოკრებული შემდეგ სოციალ-დემოკრატებს: ექიმ ალექსანდრე შატილოვის, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მოხელეს თავად გრიგოლ წულუკიძეს, პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ფილიპე მახარაძეს, პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ვარლამ ჭიჭინაძეს, გაზეთ „კვალის“ რედაქციის მდივანს იროდიონ ევდოშვილს (ხოსიტაშვილს), გაზეთ „კვალის“ რედაქტორის მოადგილეს ნიკოლოზ ელიავას, გარკვეული პროფესიის არმქონეს იასონ მეგრელიძეს, უკვე პატიმრობაში მყოფ პავლე კალანდაძეს, ასევე პატიმრობაში მყოფ სილიბისტრო ჯიბლაძეს, მასწავლებელ სურგულაძეს, ყო-

ფილ სტუდენტს აბულაძეს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მოხელეს იზრაელოვიჩს, თბილისის ქალაქის თვითმართველობის ბუღალტერს ნიკოლაძეს, თავად მუხრანსკის მამულის მოურავს ბილანიშვილს, სავაჭრო პოლიციის აგენტის თანაშემწეს კლიმიაშვილს.[136] ეს იყო ბირთვი, რომელიც გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკთან კავშირში არ ყოფილა და ნოე ჟორდანიას დაპატიმრების მიუხედავად (1901 წლის 6 ივლისი) კვლავ აგრძელებდა საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის — „მესამე დასის“ — შენარჩუნებისათვის ბრძოლას. სოციალ-დემოკრატთა ამ ჯგუფს მხარს უჭერდნენ ბათუმში მოღვაწე ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე.

ამრიგად, „მესამე დასი“ ანუ გაზეთი „კვალის“ ბანაკი არ მონაწილეობს 1900 წლიდან დაწყებულ იმ ფართომასშტაბიან მუშაობაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ ანუ გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი.

დადგენილია, რომ 1901 წელს „მესამე დასი“ კვლავ ცდილობს კავშირი დაამყაროს დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიასთან. კერძოდ, 1901 წლის 14 იანვარს ს. ჯიბლაძემ ნიურნბერგში კონსპირაციული წერილი გაუგზავნა ლეოპოლდ კაცს. ეს წერილი ჟანდარმერიას ჩაუვარდა ხელში და ამდენად, კონსპირაციული მიმოწერის არხი გადაიკეტა.[137]

ცხადია, ნოე ჟორდანიასა და სილიბისტრო ჯიბლაძის დაპატიმრებამ (1901 წ.) შეასუსტა „მესამე დასის“ იდეური და ორგანიზაციული მოღვაწეობა, თუმცა 1901-1903 წლებში „მესამე დასი“ კვლავ რჩება დამოუკიდებელ საერთო-ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად.

თავისთავად ცხადია, რომ „მესამე დასსა“ და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასს“ შორის უთანხმოება საბოლოო ჯამში პოლიტიკური ორიენტაციის საკითხით იყო განსაზღვრული. როცა ნოე ჟორდანია დამოუკიდებელი საერთო ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შენარჩუნებისათვის იბრძოდა, ე. ი. წინააღმდეგი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის საერთო სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებისა, ამით იგი სრულიად გარკვეულ ანტირუსულ პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდა; როცა იოსებ ჯუღაშვილის საქართველოს სოციალ-დემოკრატიის საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებისათვის იბრძოდა, ამით ისიც სრულიად გარკვეულ პროპუსულ პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდა. ასე გრძელდებოდა 1903-1904 წლამდე, სანამ ნ. ჟორდანიამ საბოლოოდ არ აღიარა პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია.

მაინც როდის შეწყვიტა „მესამე დასმა“ არსებობა?

ჩვენი აზრით, „მესამე დასი“ იდეური და ორგანიზაციული თვალსაზრისით არსებობას წყვეტს მას შემდეგ, რაც მესამე დასელებმა მონაწილეობა მიიღეს რსდმპ კავკასიის კავშირის დაარსებაში (1903 წლის მარტი) და რსდმპ II ყრილობის მუშაობაში (1903 წლის ივლის-აგვისტო) და ამდენად შეურიგდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანებას. თუმცა გაზეთი „კვალი“ 1904 წლის დამდეგამდე აგრძელებს გამოსვლას და ცნებები „მესამე დასი“ და „მესამე დასელები“ კიდევ დიდ ხანს რჩება ქართულ სინამდვილეში, ოღონდ არა მისი პირვანდელი მნიშვნელობით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ „მესამე დასში“ არსებობდა ორი მიმდინარეობა: „ლეგალურ-დემოკრატიული“ (ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ის. რამიშვილი, კ. ჩხეიძე და სხვ.) და „არალეგალურ-რევოლუციური“ (მ. ცხაკაია, ვლ. კეცხოველი, ი. ჯუღაშვილი და სხვ.).[138] ჩვენი აზრი ამ საკითხზე მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1) „ლეგალურობისა“ და „რევოლუციურობის“ თვალსაზრისით „მესამე დასი“ ორად არ ყოფილა გაყოფილი. ამ მხრივ იგი ერთიანი იყო 1892 წლიდან 1903 წლამდე ე. ი. არსებობის მთელს მანძილზე.

2) იოსებ ჯუღაშვილი და ვლადიმერ კეცხოველი „მესამე დასში“ არასოდეს ყოფილან და ამ ორგანიზაციიდან არ გამოსულან სამოღვაწეო ასპარეზზე;

3) არც ერთი ცნობილი მესამე დასელი არ მიმხრობია „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასს“ (გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკს);

4) „მესამე დასი“ (გაზეთ „კვალის“ ბანაკი) და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ (გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი) თავიდანვე შეურიგებელი მიმდინარეობანი იყვნენ და ასეთად დარჩნენ ბოლომდე;

5) მესამე დასელებს, მომავალ ცნობილ ქართველ ბოლშევიკებს მიხა ცხაკაიასა და. ფილიპე მახარაძს არავითარი როლი არ შეუსრულებიათ „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის“ შექმნასა და მოღვაწეობაში. 1901-1903 წლებში ფ. მახარაძე „კვალის“ მოღვაწეა. ამ პერიოდში ნ. ჟორდანიასა და მას შორის რაიმე სერიოზული იდეურ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია;

6) ალექსანდრე წულუკიძე არ ყოფილა „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის“ აქტიური მონაწილე. მართალია, ა. წულუკიძე გაზეთ „ბრძოლაშიც“ თანამშრომლობს, მაგრამ იგი ძირითადად მაინც

„კვალის“ მოღვაწეა. 1901-1903 წლებში ა. წულუკიძესა და ნ. ჟორდანიას შორის რაიმე სერიოზულ იდეურ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია.

ამრიგად, 1898-1903 წლებში ქართულ სოციალ-დემოკრატიაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. ერთის მხრივ, იდეური ევოლუცია განიცადა „მესამე დასმა“ — დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეების უგულებელყოფის ხარჯზე „მესამე დასში“ გაძლიერდა რუსული სოციალ-დემოკრატიის გავლენა; მეორე მხრივ, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა სოციალ-დემოკრატთა ახალი მიმდინარეობა — „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“, რომელმაც „მესამე დასთან“ იდეური ბრძოლა გააჩაღა და ამით გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართულ სოციალ-დემოკრატიაში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების დამკვიდრების საქმეში.

§2. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა და მოღვაწეობა (1901-1902 წწ.)

თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს ქართული სოციალ-დემოკრატიის ჩასახვისა და განმტკიცების პერიოდის (1892-1904 წწ.) შესწავლისას. „მესამე დასის“ შემდეგ სწორედ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იყო მთელი ქართული სოციალ-დემოკრატიის ტონის მიმცემი.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ისტორიის შესწავლისას ათწლეულების მანძილზე დიდ აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი. აზრთა სხვადასხვაობა თვით ორგანიზაციის შექმნის თარიღის შესახებაც კი იყო. თავიანთი აზრი ამ საკითხზე გამოთქვეს: ფ. მახარაძემ, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ (თავმჯდომარე ი. სტურუა), მ. ცხაკაიამ, ს. თალაკვაძემ, რ. კალაძემ, გ. გიორგაძემ, ვ. ესაიაშვილმა, ლ. გორგილაძემ, ნ. მახარაძემ, ნ. სტურუამ და სხვ. მიუხედავად ამისა, 20-იანი წლების დამდეგიდან 80-იანი წლების შუა ხანებამდე ერთიანი აზრი შემუშავებული ვერ იქნა. თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის თარიღი მერყეობდა 1894 წლიდან 1901 წლამდე.[139] ამასთან ერთად, ერთმანეთში იქნა აღრეული თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, თბილისის გაერთიანებული კომიტეტი, თბილისის მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების გაერთიანებული კომიტეტი, თბილისის მუშათა სოციალ-დემოკრატიული

წრეების გამაერთიანებელი ცენტრი, თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯგუფი, მუშათა და ინტელიგენტთა თბილისის გაერთიანებული კომიტეტი, რსდმპ თბილისის კომიტეტი და სხვ.[140] ათწლეულების მანძილზე გამოქვეყნებული სხვადასხვა სახის წყაროები (საარქივო დოკუმენტები და მასალები, პროკლამაციები, ფურცლები, მემუარები) და სამეცნიერო ლიტერატურა კრიტიკულად გაანალიზა და მეცნიერული შეფასება მისცა ფ. ლომაშვილმა 1986 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში. ფ. ლომაშვილი აღნიშნავს: „საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების პირველი გამაერთიანებელი ცენტრი, ანუ ის ჯგუფი, რომელიც მუშათა პირველ სოციალ-დემოკრატიულ წრეებს ქმნის და ხელმძღვანელობს, მეორეს მხრივ, მუშათა და ინტელიგენტთა წრეების საერთო ცენტრი, რომელშიც მუშებთან ერთად ინტელიგენტებიც შედიან, ანუ თბილისის პირველი კომიტეტი, ხოლო მესამე მხრივ, რსდმპ თბილისის კომიტეტი, რომელიც საერთო-სარუსეთო პარტიის ერთ-ერთ აღიარებულ ადგილობრივ კომიტეტს წარმოადგენდა“.[141] ავტორი კვლევას ამ საკითხებით სწორი დებულების შეშვე წარმართავს. ფ. ლომაშვილის აზრით: 1) 1896 წელს საქართველოში საფუძველი ეყრება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას; 2) 1898-1899 წლებში იქმნება თბილისის მუშათა და ინტელიგენტთა გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი; 3) 1901 წლის დასაწყისში იქმნება რსდმპ თბილისის კომიტეტი.[142] 1986 წელს გამოცემულ „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში“ (ნაწილი პირველი) საკითხი ასეა წარმოდგენილი: 1) 1896 წლის დამდეგს თბილისში შეიქმნა „პროპაგანდისტთა კოლექტივი“ — ქალაქის მარქსისტული მუშათა წრეების ხელმძღვანელი ცენტრი; 2) 1897 წლის ბოლოს თბილისში შეიქმნა პირველი ხელმძღვანელი ცენტრი — „თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი“; იგივე „ხელმძღვანელი კოლექტივი“, იგივე „პროპაგანდისტთა კოლექტივი“, 3) 1901 წლის 11 ნოემბერს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველ კონფერენციაზე არჩეულ იქნა რსდმპ თბილისის კომიტეტი.[143]

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის თარიღის შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობა, ჩვენი აზრით, ძირითადად გაპირობებულია მემუარისტების (ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ვ. ცაბაძე, ი. სტურუა, ა. ოქუაშვილი, ვ. ყიასაშვილი, გ. ჩხეიძე, გ. სოგორაშვილი, დ. როსტომაშვილი და სხვ.) მიერ დაშვებული ფაქტობრივი უზუსტობებითა და შეცდომებით. ცხადია, 20-25 წლის შემდეგ მემუარისტებს არ შეეძლოთ ზუსტად აღედგინათ მეხსიერებაში ყველა დეტალი. საქმეს ვერც საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ უშველა, რადგან ისიც ძირითადად ისევ მემუარისტებს დაეყრდნო.

ვერსიები თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის თარიღის შესახებ მემუარებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში გადავიდა, რომელიც ათწლეულების მანძილზე იცემოდა ქართულ და რუსულ ენებზე. ამ სამეცნიერო ლიტერატურის შეფასებაში ჩვენ სავსებით თეთანხმებით ფ. ლომაშვილის,[144] ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ცხადია, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ისტორია მარტო მისი შექმნის თარიღის დადგენით არ ამოიწურება. დასადგენია მრავალი სოციალ-დემოკრატიის ვინაობა, მათი როლი და ადგილი ორგანიზაციის შექმნასა და მოღვაწეობაში, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მოღვაწეობის ცალკეული ეტაპები, ორგანიზაციის როლი თბილისის მუშათა მოძრაობაში და ა. შ.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ისტორიისადმი მიძღვნილი გამოკვლევების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკმარისი არ იყო პრობლემის სრულფასოვანი შესწავლისათვის. საჭიროა იყო დამატებითი მასალის, განსაკუთრებით კი საარქივო დოკუმენტებისა და მასალების ძიება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და პირველ რიგში ფ. ლომაშვილის გამოკვლევა სწორად არ აშუქებდეს პრობლემის ამა თუ იმ საკითხს. ჩვენს მიერ გამოვლენილმა საარქივო დოკუმენტებმა და მასალებმა სხვაგვარად წარმოაჩინა პრობლემის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

* * *

1900 წლის ივლის-აგვისტოში თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში მომხდარმა გაფიცვებმა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო დაარწმუნა იმაში, რომ მუშათა მოძრაობას სათავეში სოციალ-დემოკრატები ედგნენ. 1900 წელი ემიგრაციაში აღინიშნა რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების — გ. პლეხანოვის, ვ. ლენინის, ლ. მარტოვის, პ. აქსელროდის, ა. პოტრესოვის და სხვათა დიდი აქტიურობით. გაზეთ „ისკრის“ გამოცემის დაწყება (1900 წ. დეკემბერი — 1901 წ. იანვარი) უკვე სერიოზული მონაპოვარი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის გზაზე. ცხადია, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი და საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის განყოფილება (ოხრანკა) თბილისში მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებს ავალებდნენ ყოველი ღონე ეხმარათ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღსაკვეთად. სწორედ ამიტომ 1900 წლის და-

სასრულიდან და 1901 წლის დამდეგიდან თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო დიდ მუშაობას აწარმოებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეთა გამოსავლენად. 1901 წლის იანვრიდან მარტამდე ჟანდარმერიამ აგენტურული და სხვა მონაცემების საფუძველზე დაადგინა, რომ თბილისში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია (წრე). ჟანდარმერიის მონაცემებით, ამ წრეში გაერთიანებული უნდა ყოფილიყო 22 ინტელიგენტი და 7 მუშა. კონკრეტულად ჟანდარმერიას ცნობები ჰქონდა შემდეგ ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებზე: სილიბისტრო ჯიბლაძე, იოსებ ჯუღაშვილი, ნიკოლოზ დომოსტროევი, ვლადიმერ მეშჩერინი, ვიქტორ კურნატოვსკი, მიხეილ გოგლიძე, პავლე პუშკარევი, აკოფ სტეფანიანც-ზარგარიანცი, გიორგი ყარაჯევი (ყარაჯიანი), არშაკ კაზარიანცი, ფილიპე მახარაძე, ვასილ ცაბაძე, ნესტორ (ან რაჟდენ) კალაძე, სევერიან ჯუღელი, პოლიევქტ კალანდაძე, ბესარიონ კალანდაძე, პაველ კალანდაძე, ნიკოლოზ სოკოლოვსკი, გიორგი მეფერტი, ანა კრასნოვა, იპოლიტე ფრანჩესკი და ბორის პერესი. ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებთან კავშირში იმყოფებოდნენ მუშები: ივანე ეგოროვი, ვლადიმერ ჯიბლაძე, კუზმა კრილოვი, ალექსი ნიკონოროვი, გიორგი ჩხეიძე, თევდორე შმიკოვი და რომან ოლშევსკი.[145] აგენტურული მონაცემების დაგროვების შემდეგ 1901 წლის 21-22 და 22-23 მარტს ღამით ჟანდარმერიამ დააპატიმრა 15 კაცი: ს. ჯიბლაძე, ნ. დომოსტროევი, ვ. მეშჩერინი, პ. პუშკარევი, ა. სტეპანიანც-ზარგარიანცი, ვ. კურნატოვსკი, ბ. პერესი, ფ. მახარაძე, პოლ. კალანდაძე, მ. გოგლიძე, ი. ეგოროვი, ვ. ჯიბლაძე, კ. კრილოვი და ა. ნიკონოროვი.[146] 21-22 მარტს ღამით გაჩხრიკეს ი. ჯუღაშვილის ბინა ფიზიკურ ობსერვატორიაში. ი. ჯუღაშვილი შინ არ აღმოჩნდა, მაგრამ იგი იმავე ღამეს დააკავეს და გაჩხრიკეს გზაში შინისაკენ მიმავალი. ი. ჯუღაშვილს სამხილი ვერ უპოვეს და ამიტომ არ დაუპატიმრებიათ.[147] ცოტა მოგვიანებით ძიების პროცესში, მოპოვებული მასალის საფუძველზე გადაწყდა იოსებ ჯუღაშვილის პასუხისგებაში მიცემა. გადაწყდა ასევე, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ წრესთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიეცათ ვლადიმერ კეცხოველი და გიორგი თელია.[148] თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის წევრობა წაუყენეს ბრალდებად 1901 წლის 6 ივლისს დაპატიმრებულ ნოე ჟორდანიას, რომელიც თბილისში საპყრობილეში თავისუფალი ადგილის უქონლობის გამო ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა.[149]

დაპატიმრების მომენტისათვის (1901 წ. 21-23 მარტი), ცხადია, ჟანდარმერიას ყველაფერი არ ეცოდინებოდა დაპატიმრებულთა მოღვაწეობის შესახებ, ან იმ ორგანიზაციის შესახებ, რომლის წევრობაც მათ ედებოდათ ბრალად. 1901 წლის 21 მარტისათვის თბილისის გუბერნიის ჟან-

დარშერიის სამმართველოში უკვე შედგენილი იყო ვრცელი დოკუმენტი – „სოციალ-დემოკრატიულ წრეზე თვალთვალის მასალების მიმოხილვა“[15(
და თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს 1901 წლის 28
მარტის მოხსენება პოლიციის დეპარტამენტს.[151] ეს დოკუმენტები საშუა-
ლებას გვაძლევს დავადგინოთ თუ რა როლს თამაშობდა სოციალ-დემოკ-
რატიული წრის თითოეული წევრი ორგანიზაციის საქმიანობაში:
1) გაზეთ „კვალის“ რედაქციის თანამშრომელი სილიბისტრო ჯიბლაძე
სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას ეწეოდა ახალგაზრდებში, აწარმოებ-
და კონსპირაციულ მიმოწერას; 2) ფიზიკური ობსერვატორიის დამკვირ-
ვებელი იოსებ ჯულაშვილი სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას ეწეოდა
მუშებში; 3) ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის ყოფილი მოს-
წავლე ნიკოლოზ დომოსტროევი ხელმძღვანელობდა რკინიგზის მუშების
სოციალ-დემოკრატიულ წრეს; 4) ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტი-
ტუტის ყოფილი მოსწავლე ვლადიმერ მეშჩერინი ეხმარებოდა 6. დო-
მოსტროევს წრის მეცადინეობაში; 5) ქიმიკოსი ინჟინერი ვიქტორ კურ-
ნატოვსკი ესწრებოდა როგორც ასოთამწყობთა, ისე რკინიგზის მუშების
სოციალ-დემოკრატიული წრის მეცადინეობებს; 6) გარკვეული პროფე-
სიის არმქონე მიხეილ გოგლიძეს კონსპირაციული კავშირი ჰქონდა სხვა
ქალაქებთან; 7) ყოფილი სტუდენტი პავლე პუშკარევი ესწრებოდა კონს-
პირაციულ შეკრებებს; 8) პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ
მყოფი აკოფ სტეპანიანც-ზარგარიანცი ერთ დროს თავის ბინაზე ინახავ-
და სტამბის ნაწილს, კონსპირაციული კავშირი ჰქონდა დაუდგენელ პი-
რებთან; 9) კომერციული ბანკის მოხელე გიორგი ყარაჯეევი (ყარაჯიანი)
ლექციებს კითხულობდა ერთ-ერთ სოციალ-დემოკრატიულ წრეში;
10) №1 ღამის გასათევი სახლის გამგის არშაკ კაზარიანცის მოღვაწეო-
ბის სფერო დადგენილი არ იყო; 11) პოლიციის ფარული მეთვალყურეო-
ბის ქვეშ მყოფი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტროლის
სამსახურის მოხელე ფილიპე მახარაძე კავშირში იმყოფებოდა თითქმის
ყველა ცნობილ სოციალ-დემოკრატთან; 12) ამიერკავკასიის რკინიგზის
სამმართველოს კონტროლის სამსახურის მოხელე ვასილ ცაბაძე კავშირ-
ში იმყოფებოდა თითქმის ყველა ცნობილ ინტელიგენტ სოციალ-დემოკ-
რატთან; 13) ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტროლის სამ-
სახურის მოხელე ნესტორ (ან რაჟდენ) კალაძე ესწრებოდა კონსპირა-
ციულ შეკრებებს; 14) ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტ-
როლის სამსახურის მოხელე სევერიან ჯუღელი კავშირში იმყოფებოდა
თითქმის ყველა ცნობილ ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატთან; 15) ამიერ-
კავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტროლის სამსახურის მოხელე
პოლიეევქტ კალანდაძე ესწრებოდა კონსპირაციულ შეკრებებს; 16) გარ-

კეული პროფესიის არმქონე ბესარიონ კალანდაძე ესწრებოდა კონსპირაციულ შეკრებებს; 17) მასწავლებლის წოდების მაძიებელი პავლე კალანდაძე კავშირში იმყოფებოდა ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებთან; 18) კერძო მიწისმზომელი ნიკოლოზ სოკოლოვსკი კავშირში იმყოფებოდა ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებთან; 19) ყოფილი სტუდენტი გიორგი მეფერტი კავშირში იმყოფებოდა ორ სოციალ-დემოკრატიულ წრესთან; 20) ბებიაქალი ანა კრასნოვა კავშირში იყოფებოდა ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებთან; 21) გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ყოფილი თანამშრომელი იპოლიტე ფრანჩესკი ესწრებოდა კონსპირაციულ შეკრებებს; 22) მასწავლებელი ბორის პერესი კავშირში იმყოფებოდა რუსეთიდან ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებთან.[152]

ჟანდარმერიას დადგენილი ჰქონდა, რომ ძალზე ახლო ურთიერთობაში იყვნენ ი. ჯულაშვილი, ვ. ცაბაძე და სევ. ჯუღელი, ი. ჯულაშვილთან ფიზიკურ ობსერვატორიაში ხშირად მიდიოდა ს. ჯიბლაძე. ამ ჯგუფთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ გ. ყარაჯევსა და ფ. მახარაძეს.[153] ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ია. ფრანჩესკი და ვ. კურნატოვსკი, საერთოდ რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები.[154]

ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა თბილისის მუშების კონსპირაციულ შეკრებებში ჟანდარმერიის აგენტურამ დაფიქსირა, მაგრამ თვით ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების კონსპირაციული შეკრების დაფიქსირება მხოლოდ ერთხელ შეძლო. 1901 წლის 19 თებერვალს პოლიეექტ კალანდაძის ბინაზე შეიკრიბა '15 სოციალ-დემოკრატი (11 კაცი და 4 ქალი). აგენტურამ მათი ვინაობის დადგენა ვერ შეძლო.[155]

თბილისის სოციალ-დემოკრატიულ წრესთან დაკავშირებულნი იყვნენ: ასოთამწყობები ი. ეგოროვი და რ. ოლშევსკი, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების სავაგონო საამქროს მუშები: ვლ. ჯიბლაძე, კ. კრილოვი, ა. ნიკონოროვი; თბილისის რკინიგზის მუშები: გ. ჩხეიძე, ი. შმიკოვი, ასევე თადარიგის პორუჩიკი, სახელმწიფო ბანკის მოხელე ნ. ლინევიჩი. ყველა ისინი ესწრებოდნენ ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების მიერ გამართულ კონსპირაციულ შეკრებებს.[156]

1901 წლის 21-23 მარტის დაპატიმრებების შემდეგ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო კვლავ განაგრძობდა აგენტურული მონაცემების შეგროვებას. 1901 წლის ივლისის ბოლოს ჟანდარმერიას ხელთ ჰქონდა დიდი რაოდენობით სამხილი. ამ მასალის საფუძველზე 1901 წლის 27-28 ივლისს ღამით ჟანდარმერიამ დააპატიმრა „თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის“ წევრები: გლეხი კალისტრატე გოგუა, პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ლუკა ტერპილო, მემამულე ირაკლი მამულაიშვილი და გლეხი ნიკოლოზ ციბაძე.[157] დაიწყო გა-

მოძიება, რომლის დროსაც დაპატიმრებული იქნენ: პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ლეონიდე სკვორნიაკოვი, პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ვალენტინ ბატირევი, მარიამ ბორისოვა, ანატოლი რიაბინინი, თავად ანდრონიკაშვილის ღვინის სარდაფის ბუღალტერი მიხეილ ბოჭორიძე, ევგენია უსპენსკაია, გლეხი ვლასა მგელაძე და სხვ.[158] თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის საქმესთან დაკავშირებით ეჭვმიტანილნი იქნენ: გიორგი თელია, ივანე კიასოვი, კლავდია ფრანჩესკი, დავით ხართიშვილი, გიორგი ჩხეიძე, სოლომონ ვადაჭკორია, დიმიტრი კალანდარიშვილი და მიხეილ კალინინი.[159] 1901 წლის 30 დეკემბერს თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის საქმესთან დაკავშირებით ძიების მასალებში პირველად ჩნდება ძიებაში მყოფი ორგანიზაციის ახალი დასახელება: „ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე ქ. თბილისში“.[160] მალე თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრის საქმესთან დაკავშირებით ძიების მასალებში ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის სახით ფიგურირებენ: ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ლევ ბეკი, გლაფირა ჟილინა, იპოლიტე ფრანჩესკი, ვიქტორ კურნატოვსკი და სხვ.[161]

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრის წევრები სოციალისტური იდეების გავრცელების მიზნით აქტიურად მოღვაწეობდნენ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებსა და სხვა საწარმოებში არსებულ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. იპ. ფრანჩესკი და ვ. კურნატოვსკი პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ თბილისის სტამბის მუშების (ასოთამწყობების) წრეში, ნ. დომოსტროევი პროპაგანდისტად მუშაობდა რკინიგზის მუშების სოციალ-დემოკრატიულ წრეში, მუშათა ერთ-ერთ სოციალ-დემოკრატიულ წრეში მეცადინეობას ატარებდა ვ. მეშჩერინი. მუშებს არალეგალური ლიტერატურით ამარაგებენ ს. ჯიბლაძე, ფ. მახარაძე და სხვ.[162] ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები ესწრებოდნენ მუშათა კონსპირაციულ შეკრებებს. ასეთი შეკრებები გაიმართა 1901 წლის 24 თებერვალს ასოთამწყობი ი. ეგოროვის ბინაზე, 25 თებერვალს — რკინიგზის მუშის ა. ნიკონოროვის ბინაზე, 27 თებერვალს — რკინიგზის მუშის ა. ბერეზნიაკის ბინაზე, 10 მარტს — რკინიგზის მუშის გ. ჩხეიძის ბინაზე, 11 მარტს — ორთაჭალაში, 17 მარტს — გ. ჩხეიძის ბინაზე, 18 მარტს — მადათოვის მთაზე.[163]

ძიების მასალებიდან დგინდება, რომ „ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე ქ. თბილისში“ სულ მცირე 1901 წლის იანვრიდან მაინც არსებობდა, თუმცა სავსებით დასაშვებია, რომ იგი 1900 წელსაც შექმნილიყო.

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე მართალია ძიების მასალებში ნამდვილად წრის სახელწოდებით იხსენიება, მაგრამ

იგი გაცილებით დიდი ორგანიზაცია იყო, ვიდრე ჩვეულებრივი წრე. დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიულ წრეს თავისუფლად შეეძლო იდეურადაც და ორგანიზაციულადაც ეხელმძღვანელა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეებისათვის მთელი ქალაქის მასშტაბით. თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე რომ მართლაც რამდენიმე სოციალ-დემოკრატიულ წრეს ხელმძღვანელობდა, ეს ძიების მასალებიდანაც დასტურდება. იგივე მასალებიდან არ დგინდება, ხელმძღვანელობდა თუ არა თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე ქალაქის ყველა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფსა და წრეს, ან მათ უმრავლესობას მაინც. ცხადია, ძიების პროცესში ს. ჯიბლაძე, ი. ჯუღაშვილი, სევ. ჯუღელი, ფ. მახარაძე, იპ. ფრანჩესკი, გ. ყარაჯეევი და სხვები შეეცდებოდნენ ძიებისათვის დაემალათ ყველაფერი, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხიც — ხელმძღვანელობდა თუ არა თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მთელი თბილისის მასშტაბით. სამაგიეროდ, ამ საკითხზე შეიძლება ვიმსჯელოთ სხვა მასალებით.

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრის საქმის მასალებში აღმოჩნდა საიდუმლო სალაროს ანგარიში შედგენილი რუსულ ენაზე კონსტანტინე ხომერიკის მიერ. თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიულ წრეს ალბათ საკუთარი საიდუმლო სალარო არ უნდა ჰქონოდა. სავარაუდოა, რომ ფულადი სახსრებით წრეს ის მუშები ამარაგებდნენ, რომელთა შორისაც თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე პროპაგანდას აწარმოებდა. ცხადია, მუშათა ჯგუფებსა და წრეებში მეცადინეობის ჩატარება არალეგალური ლიტერატურის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ არალეგალურ ლიტერატურას იძენდნენ და მუშათა შორის ავრცელებდნენ პროპაგანდისტები (ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები). არალეგალური ლიტერატურის შეძენა და შემოტანა ძალზე ძვირი ჯდებოდა. მაგალითად, მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში 1901 წლის აგვისტოში შეტანილი იქნა 176 მანეთის ლიტერატურა, მაშინ როცა იმავე თვეში ციხეში მყოფი მუშებისათვის საიდუმლო სალარომ გაიღო 29 მანეთი, მათი ოჯახის წევრებისათვის 79 მანეთი, წვრილმანი ხარჯებისათვის 4 მანეთი.[164] თუ საიდუმლო სალაროს ანგარიშის მიხედვით ვიმსჯელებთ, თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე პროპაგანდას აწარმოებდა იმ მუშათა წრეებში, რომლებიც არსებობდნენ: ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების ამწყობ, სახარატო, სავაგონო, სადურგლო, სამჭედლო, საჩამომსხველო, სამღებრო და საქვაბე საამქროებში, თბილისის რკინიგზის დეპოში, კარა-

პეტიანის, იარალოვის და რუსაკის ქარხნებში, თბილისის ხელოსნებში. როგორც დავინახეთ, თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიულ წრე პროპაგანდას ეწეოდა ქალაქის ყველაზე დიდ საწარმოებში — ამიერ კავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში, ასევე რამდენ მე დიდ ფაბრიკა-ქარხანასა და საწარმოში. დღეისათვის ჩვენს ხელთ არ სებული მასალები მხოლოდ შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალება იძლევა: „ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე ქ. თბილისში იყო დიდი ინტელექტუალური ძალების მქონე სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია, რომლის სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენდა თბილისი ქალაქის ფაბრიკა-ქარხნები და სხვა საწარმოები. ეს ორგანიზაცია თბი ლისში არსებული მუშათა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრე ბის ოფიციალურად არჩეული ხელმძღვანელი ორგანო არ ყოფილა, მაგ რამ კოორდინატორის ფუნქციას იგი აშკარად ასრულებდა. სხვა სოციალ დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც ქალაქის მასშტაბით სოციალ დემოკრატიულ მოძრაობის კოორდინირებას მოახდენდა, მაშინ თბილისში არ არსებულა. მიუხედავად ამისა, თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე არ შეიძლება განვიხილოთ როგორც თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, როგორც თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. „ინტელიგენტთა სოციალ-დემოკ რატიული წრე ქ. თბილისში“ წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან თბილისში არსებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებიდან და წრეებიდან თბილისის საქა ლაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაკენ (კომიტეტისაკენ).

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე, მართალია, თითქმის მთლიანად ჩავარდა, მაგრამ მან თავისი მოღვაწეობით იდეურად და ორგანიზაციულად მოამზადა თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრა ტიული ორგანიზაციის შექმნა.

1901 წლის მარტისა და აპრილის დაპატიმრებებმა ვერ შეაფერხა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა თბილისში. ამას კარგად გრძნობდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ხელმძღვა ნელობა. 1901 წლის 8 ოქტომბერს თბილისიდან რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრი გის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) უფროსს ს. ზუბატოვს გაუგზავნეს თხოვნა თბილისში ფილერების მფრინავი რაზმისა და განყოფილების უფ როსი მოხელის მოვლინების შესახებ. საპასუხო წერილში 19 ოქტომბერს ს. ზუბატოვი აღნიშნავდა, რომ მას ეჭვი არ ეპარებოდა თბილისში ენერ გიულად მოქმედი რევოლუციური წრეების არსებობაში, მაგრამ სამხრე რუსეთში დიდი სამხებრო სამუშაოების მიმდინარეობის გამო განყოფილე

ბას თავისუფალი კადრები არ გააჩნდა.[166] არც თბილისში და არც სანკტ-პეტერბურგში არ შემცდარან: თბილისში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ალმავლობას განიცდიდა, რისი კანონზომიერი შედეგი იყო თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა დამოუკიდებლად არც მუშებს შეეძლოთ და არც ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებს. ამ ორი ძალის ერთობლივ, შეთანხმებულ მოქმედებას თბილისში უკვე გარკვეული ტრადიცია ჰქონდა. მოწინავე მუშებმა და ინტელიგენტებმა ერთად აღნიშნეს მაისობები 1899, 1900 და 1901 წლებში. თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიულ წრეში ინტელიგენციის გვერდით მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მუშები. მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებსა და წრეებში პროპაგანდისტებად ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები მუშაობდნენ. გარდა ამისა, რომ წრეების მუშაობას იდეურად ხელმძღვანელობდნენ, ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები ამარაგებდნენ წრეებში გაერთიანებულ მუშებს არალეგალური ლიტერატურით, ეხმარებოდნენ მუშებს პროკლამაციებისა და მოწოდებების შედგენაში, მონაწილეობას იღებდნენ გაფიცული მუშების მოთხოვნათა შემუშავებაში. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციაც ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატებისა და მოწინავე მუშების ერთობლივი მოქმედებით იქმნებოდა. ხელმძღვანელ როლს, რა თქმა უნდა, ინტელიგენცია ასრულებდა.

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრის ჩავარდნის შემდეგ (1901 წლის მარტი-ივლისი) თბილისის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები კოორდინატორის გარეშე დარჩნენ, რამაც გარკვეულწილად შეაფერხა სოციალ-დემოკრატიული მუშაობა. სწორედ ამიტომ დადგა საკითხი საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის შესახებ. მათ შორის, ვინც თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნისათვის იწყებდა ბრძოლას, იყვნენ: იოსებ ჯუღაშვილი, ვასილ ცაბაძე, სევერიან ჯუღელი, სიმონ ჯუღელი, ზაქარია ჩოდრიშვილი, მოსე შენგელია, პეტრე სკორობოგატკო, ალექსი ნიკონოროვი, ლეონტი ზოლოტარევი, გიორგი ყარაჯევი, ნიკიფორე სემენოვი და სხვ. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მასალები, ასევე სხვა მასალა (კერძოდ, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის მასალები) საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის ისტორიას.

ჩვენთვის ცნობილი ერთ-ერთი კონსპირაციული შეკრება, რომელიც წინ უძღოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას,

ჟანდარმერიამ დააფიქსირა 1901 წლის 27 ოქტომბერს. შეკრებას ესწრე ბოდნენ: მოსე შენგელია, პეტრე სოკრობოგადკო, ალექსი ნიკონოროვი ლეონტი ზოლოტარევი, ნიკიფორე სემენოვი და სერგეი სტაროსტენკო შეკრებას ხელმძღვანელობდა იოსებ ჯუღაშვილი.[167] ჟანდარმერიის აგენ ტურის მიერ შეგროვილი მასალების მიხედვით კონსპირაციული შეკრება ასე წარმართულა: ი. ჯუღაშვილმა ისაუბრა მუშათა მოძრაობის ამოცანებ ზე. მან აღნიშნა, რომ თბილისში რუსი მუშები სულით დაეცნენ, საჭირო იყო მათი განწყობილების აწევა აგიტაციითა და არალეგალური ლიტერა ტურის გავრცელებით. ი. ჯუღაშვილმა მიუთითა ყველა ეროვნების წარ მომადგენელთა გაერთიანების აუცილებლობაზე, მანვე დააყენა საკითხი კა პიტალიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მუშათა საიდუმლო სალაროს შექმნის აუცილებლობაზე. ნ. სემენოვი, ა. ნიკონოროვი და ს. სტაროსტენკო არ დაეთანხმნენ ი. ჯუღაშვილს. ნ. სემენოვმა აღნიშნა, რომ მუშები არ იბრძვიან თვითმპყრობელობის წი ნააღმდეგ და ამიტომ თვითგანვითარების მიზნით მათ შეუძლიათ გამოიყე ნონ ლეგალური ლიტერატურა. ნ. ნიკონოროვმა და ს. სტაროსტენკომ განაცხადეს, რომ მათ არ სურთ მონაწილეობა მიიღონ სოციალ-დემოკრა ტიულ მოძრაობაში. ლ. ზოლოტარევმა, პ. სკორობოგადკომ და მ. შენგე ლიამ მხარი დაუჭირეს ი. ჯუღაშვილს. ი. ჯუღაშვილს მხარი დაუჭირა აგრეთვე შეკრებაზე გვიან მისულმა იაკობ კოჩეტკოვმა. შეკრების ბოლოს ი. ჯუღაშვილმა განაცხადა, რომ შემდეგ შეკრებაზე შეიმუშავებდნენ ინ სტრუქციას.[168]

1901 წლის 4 ნოემბერს იოსებ ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა მეორე შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ: ლეონტი ზოლოტა რევი, პეტრე სკორობოგატკო, მიხეილ გურეშიძე, სერგეი სტაროსტენ კო.[169] ი. ჯუღაშვილმა ილაპარაკა იმავე საკითხზე, რაზეც საუბრობდა 27 ოქტომბერს. მ. გურეშიძემ აღნიშნა, რომ აგიტაციის დაწყებამდე საჭირო იყო მოწინავე მუშების მომზადება. ი. ჯუღაშვილს წინა შეკრებაზე დაპი რებული ინსტრუქცია არ მოუტანია, რის მიზეზად დაასახელა დროის უქონლობა. მანვე აღნიშნა, რომ გამოყოფილი იქნებოდა ინტელიგენტი მო წინავე მუშათა შორის აგიტაციისათვის.[170]

1901 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დამდეგს შეიძლება კიდევ გაიმართა კონსპირაციული შეკრებები, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. 1901 წლის ოქტომბერში და ნოემბრის დამდეგს მომ ზადდა ნიადაგი თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნისათვის. მოსამზადებელი პერიოდის მთელს მუშაობას იოსებ ჯუ ღაშვილი ხელმძღვანელობდა.

1901 წლის 11 ნოემბერს, კვირა დღეს, აგლაბარში, ყუბის ქუჩაზე მდებარე კონსპირაციულ ბინაზე, შეიკრიბა 25 სოციალ-დემოკრატი, ინტელიგენტები: იოსებ ჯუღაშვილი, ვასილ ცაბაძე, სევერიან ჯუღელი, სიმონ ჯუღელი, გიორგი ყარაჯეევი; მუშები: ზაქარია ჩოდრიშვილი, პოლიკარპე მაჭარაძე, გიორგი ნინუა, მიხეილ გურეშიძე, პეტრე სკორობოგატკო, სერგეი სტაროსტენკო, ოვანეს უანოვი და სხვ.[171] ამ კონსპირაციულ შეკრებას კონფერენციის მნიშვნელობა ჰქონდა. კონსპირაციული შეკრების მიზანი იყო თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის არჩევა.

კონსპირაციული შეკრება დაიწყო რევოლუციური მოძრაობის ამოცანებზე მსჯელობით. შემდეგ გ. ყარაჯეევის წინადადებით არჩეულ იქნა თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე — ვასილ ცაბაძე, კომიტეტის წევრები: ინტელიგენტები — იოსებ ჯუღაშვილი, სევერიან ჯუღელი, გიორგი ყარაჯეევი; მუშები — ზაქარია ჩოდრიშვილი, გიორგი ჩხეიძე; კომიტეტის წევრობის კანდიდატები — კალისტრატე გოგუა, მიხეილ გურეშიძე, პოლიკარპე მაჭარაძე და იუსტინე ვადაჭკორია.[172]

1901 წლის 11 ნოემბერს არჩეულ ორგანოს ოფიციალურად ეწოდებოდა „ცენტრალური კომიტეტი“, იგივე ორგანო იწოდებოდა „საორგანიზაციო კომიტეტად“ და „კომიტეტად“. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია სახელწოდება: „თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი“.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის (იგივე „ცენტრალური კომიტეტის“, იგივე „საორგანიზაციო კომიტეტის“) ფუნქციები ასე განისაზღვრა: 1) მოწინავე მუშების განვითარებაზე ზრუნვა იმ მიზნით, რომ მათ შესძლონ თვითონ, ინტელიგენტებისაგან დამოუკიდებლად, შექმნან სოციალ-დემოკრატიული წრეები; 2) ინტელიგენტების საშუალებით მუშებისათვის არალეგალური ლიტერატურის მიწოდება; 3) საიდუმლო სალაროდან სახსრების განაწილება; 4) თბილისიდან ახლოს რომელიმე სოფელში საიდუმლო სტამბის ორგანიზების მიზნით სახსრების გამონახვა.[173]

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის არჩევნების გარდა, 11 ნოემბერს გამართულ კონსპირაციულ შეკრებაზე (კონფერენციაზე) იმსჯელეს შემდეგ საკითხებზე: 1) სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიზნები. ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების აზრით, მოძრაობის მიზანი იყო რევოლუცია და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება; მუშათა უმრავლესობა კი მოძრაობის მიზნად მიიჩნევდა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. 2) პროკლამაციების გამოცემის საკითხი. მუშებმა მოი-

თხოვეს განმარტება, თუ რატომ არ გამოდიოდა ბოლო დროს პროკლამაციები; ინტელიგენტმა სოციალ-დემოკრატებმა აღნიშნეს, რომ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ბეჭდვა, პროკლამაციების გამოშვება განსაკუთრებით კი საკუთარი სტამბა ამოქმედდებოდა. 3) რუსი ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების გამოუცხადებლობის მიზეზი. მუშებმა მოითხოვეს განმარტება, თუ რატომ არ ესწრებოდნენ კონსპირაციულ შეკრებას რუსი ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები. ინტელიგენტმა სოციალ-დემოკრატებმა უპასუხეს, რომ რუსი ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები ყველანი დაპატიმრებულნი იყვნენ, მათი შემცვლელი კანდიდატები კი არ შეურჩევიათ. 4) მუშათა საიდუმლო სალაროს შესახებ. ერთ-ერთმა მუშამ განაცხადა, რომ გავრცელებული ხმების მიხედვით, საიდუმლო სალაროს ხაზინადარი (ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი) გაიქცა და ფული თან გაიტაცა. ინტელიგენტმა სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ყოველივე ეს ჭორი იყო.[174]

უნდა ვივარაუდოთ, რომ 1901 წლის 11 ნოემბერს გამართულ კონსპირაციულ შეკრებაზე (კონფერენციაზე) სხვა საკითხებიც იყო განხილული, მაგრამ ჟანდარმერიის აგენტურის მასალებში ეგი არ დაფიქსირებულა. საკმაოდ ვრცელ მეშუარულ ლიტერატურასაც არ შემოუნახია დამატებითი ცნობები.

ამრიგად, 1901 წლის 11 ნოემბერს ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატთა და მუშა სოციალ-დემოკრატთა კონსპირაციულ შეკრებაზე (კონფერენციაზე), რომელსაც თბილისში არსებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების და წრეების წარმომადგენლები, სულ 25 კაცი დაესწრო, არჩეულ იქნა თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი (იგივე „ცენტრალური კომიტეტი", იგივე „საორგანიზაციო კომიტეტი"). თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ჟყო საერთო-საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არჩევითი ხელმძღვანელი ორგანო და ამდენად, ეგი როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით უძღვებოდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მთელი ქალაქის მასშტაბით.

1901 წლის 11 ნოემბერს კონსპირაციულ შეკრებაზე (კონფერენციაზე), ბუნებრივია, ყველა საკითხი არ გადაიჭრებოდა. 11 ნოემბრის შემდეგ ახლად არჩეული თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი რეგულარულად იკრიბებოდა და იხილავდა ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობის სხვადასხვა საკითხს.

1901 წლის 18 ნოემბერს, კვირა დღეს, ავლაბარში ყუბის ქუჩაზე მდებარე კონსპირაციულ ბინაში გაიმართა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ვასილ

ცაბაძე, იოსებ ჯუღაშვილი, სევერიან ჯუღელი და გიორგი ყარაჯევი.[175] კომიტეტის სხდომამ განიხილა გაფიცული კონსტანტინე აფანასიევის თხოვნა ფულადი დახმარების შესახებ. კომიტეტმა დაადგინა, რომ კ. აფანასიევისათვის დახმარება არ გაეწიათ ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, კ. აფანასიევს თვითონ შეეძლო ეშოვა არსებობისათვის საჭირო სახსარი და მეორე, კ. აფანასიევი იმუქრებოდა: თუ დახმარებას არ აღმომიჩენთ, კომიტეტს გავცემო.[176]

ამ დროიდან თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრები (ინტელიგენტები) კონსპირაციულ ბინებში ცხოვრობდნენ.

1901 წლის 25 ნოემბერს, კვირა დღეს ნაძალადევში ახალ კონსპირაციულ ბიაზე (მუშა ნ. ერმოლაევის სახლში) გაიმართა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის მორიგი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: კომიტეტის თავმჯდომარე ვასილ ცაბაძე, კომიტეტის წევრები: სევერიან ჯუღელი, გიორგი ყარაჯევი, ზაქარია ჩოდრიშვილი, ასევე ბინის პატრონი მუშა ნიკოლოზ ერმოლაევი და მუშა სერგეი სტაროსტენკო, სულ 9 კაცი. სხდომას არ ესწრებოდა იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც კომიტეტის ადვილებით ბათუმში იყო მივლინებული.[177] ჟანდარმერიის აგენტურის მიერ შეგროვილი მასალა კომიტეტის სხდომის შესახებ საკმაოდ სრულ ინფორმაციას იძლევა.

კომიტეტის სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) საიდუმლო სტამბის მოწყობის შესახებ. ვ. ცაბაძის წინადადებით საიდუმლო სალაროს ხაზინადარმა ზ. ჩოდრიშვილმა კომიტეტს მოახსენა შემდეგი: კომიტეტს უკვე აქვს საბეჭდი მოწყობილობა (დაზგა), შრიფტი, სამ ენაზე და ქალალდი. წინა კვირაში სცადეს დაბეჭდვა, მაგრამ ტექნიკური მიზეზის გამო ბეჭდვა შეფერხდა, გარდა ამისა, დაკავებული იყო ასოთამწყობიც. განზრახული იყო ბეჭდვის დაწყება მომავალ კვირაში. კომიტეტის წევრებმა წამოაყენეს წინადადება სტამბისათვის დაექირავებინათ ბინა, მაგრამ გ. ყარაჯევმა და ზ. ჩოდრიშვილმა განაცხადეს, რომ ბინის დაქირავება მოითხოვდა თვეში დამატებით 5-6 მანეთს, გარდა ამისა, ბინის შერჩევაც არ იყო ადვილის საქმე. საბოლოოდ გადაწყდა: ჯერ-ჯერობით ბეჭდვა ეწარმოებინათ იქ, სადაც შეძლებდნენ. 2) საკუთარი არალეგალური ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემის შესახებ. კომიტეტმა დაადგინა: გამოიცეს საკუთარი მფრინავი ფურცლები, რისთვისაც შეიქმნა სარედაქციო კომისია. საიდუმლო სალაროს ხაზინადარმა ზ. ჩოდრიშვილმა და კომიტეტის ბიბლიოთეკარმა პ. მაჭარაძემ გამოთქვეს აზრი, რომ სარედაქციო კომისიას და კომიტეტს ცალ-ცალკე ემუშავათ. ამასთან დაკავშირებით გ. ყარაჯევმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში კომიტეტს საქმე არაფერი ექნებაო. გ. ყარაჯევმა განაცხადა, რომ მფრინავი ფურცლების გამოცემი-

სათვის საჭირო ოთხი თანამშრომელი (თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუ
თაისში) მას უკვე შერჩეული ჰყავდა. ზ. ჩოდრიშვილმა განაცხადა, რო
სამი ლეგალურად მოღვაწე მწერალი თანახმა იყო ეთანამშრომლა კომი
ტეტთან. გ. ყარაჯკევმა სახიფათოდ მიიჩნია გარეშე პირების მოწვევა სა
მუშაოდ. საბოლოოდ კომიტეტმა მფრინავი ფურცლების რედაქტორად
აირჩია გ. ყარაჯკევი. გ. ყარაჯკევმა წამოაყენა წინადადება შეერჩიათ ერთ
მუშა მწერალი, რომელსაც მუშები მიაწვდიდნენ მასალას თავიანთ
ცხოვრებიდან, ხოლო მწერალი ამ მასალებიდან შეადგენდა ღღიურს
ვ. ცაბაძემ განაცხადა, რომ მფრინავ ფურცლებთან ერთად საიდუმლო სა
ლაროს სასარგებლოდ გამოშვებული იქნებოდა კარიკატურული გამოცემა
მეფის ოჯახის, სამღვდელოების, მოხელეების, ვაჭრებისა და მუშების გა
მოსახულებით. 3) მოწინავე მუშების განცხადება არალეგალური ლიტე
რატურის უკმარისობის შესახებ. ზ. ჩოდრიშვილმა განაცხადა, რომ სა
წყობში ინახებოდა არალეგალური ლიტერატურა: 25 ეგზემპლარი მუშე
ბისათვის და იმდენივე ინტელიგენტებისათვის. კომიტეტმა დაადგინა: მთე
ლი არალეგალური ლიტერატურა გაეცათ დაუყოვნებლივ. 4) საიდუმლო
სალაროს მდგომარეობის შესახებ. საიდუმლო სალაროს ხაზინადარმა
ზ. ჩოდრიშვილმა აღნიშნა, რომ წინა ხაზინადარის დაპატიმრების შემდეგ
შემოწმებით დადგინდა ზოგიერთი დარღვევა. ანგარიშის მიხედვით სალა
როში უნდა ყოფილიყო 800 მანეთი, ხელზე გატანილი უნდა ჰქონოდა
137 მანეთი. სინამდვილეში სალაროში აღმოჩნდა 700 მანეთი. მუშათა
შორის ავტორიტეტის შელახვის თავიდან აცილების მიზნით კომიტეტმა
დაადგინა არ გაეხმარებინათ მომხდარი ამბავი და 100 მანეთის დანაკლი
სი შეევსოთ ოთხი თვის მანძილზე — თვეში 25 მანეთის შეტანით. გ. ყა
რაჯკევის შეკითხვაზე, თუ სად ინახებოდა საიდუმლო სალარო, ზ. ჩოდ
რიშვილმა უპასუხა, რომ საიდუმლო სალარო ინახებოდა ერთ-ერთ ბან
კში. გ. ყარაჯკევის წინადადებით, კომიტეტმა ვ. ცაბაძისა და გ. ყარაჯკევის
შემადგენლობით შექმნა კომისია, რომელსაც ყოველთვიურად უნდა შე
მოწმებინა საიდუმლო სალარო. მუშათა შორის საიდუმლო სალაროსა
ვის ფულის შეგროვების კონტროლის მიზნით კომიტეტის წევრებისაგან
გამოყოფილი იქნა ორი კონტროლიორი. 5) ინტელიგენციის ნაკლებობის
გამო „მუშათა ინტელიგენციის“ შექმნის აუცილებლობის შესახებ.
ვ. ცაბაძემ და გ. ყარაჯკევმა აღნიშნეს, რომ დაპატიმრებების შემდეგ ინ
ტელიგენტი სოციალ-დემოკრატების რაოდენობა ძალიან შემცირდა. დანა
ლისის შევსების მიზნით კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა რსდმპ
ხარკოვის კომიტეტს, საიდანაც ასეთი პასუხი მოვიდა: ინტელიგენტ სო
ციალ-დემოკრატთა თბილისში გამოგზავნა შეუძლებელი იყო, რადგან ჯერ
ჯერობით არავინ არის, ვინც შეიძლებოდა თბილისში გამოგზავნილიყო, ცნობილი იყო

პოლიციისათვის, ასე რომ, თბილისში გამოგზავნის შემთხვევაში მათ აუცილებლად აედევნებოდნენ აგენტები. გამომდინარე შექმნილი სიტუაციდან, კომიტეტმა გადაწყვიტა თბილისის სკოლებისა და სასწავლებლების უფროსი კლასელებისაგან მოემზადებინათ კადრები. გარდა ამისა, თვით მუშათა შორის ეწარმოებინათ შესაბამისი მუშაობა და შეექმნათ „მუშათა ინტელიგენცია“, რის შემდეგაც მუშებს ექნებოდათ შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეექმნათ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები. მუშათა ინტელიგენციის მომზადების მიზნით მოწინავე მუშებისათვის უნდა შექმნილიყო 3-4 თვიანი კურსები. ვ. ცაბაძისა და გ. ყარაჯანის წინადადება მიღებული იქნა. ამასთან გ. ყარაჯანმა განაცხადა, რომ მას არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო კურსების მუშაობაში. ვ. ცაბაძემაც აღნიშნა, რომ მას უკვე ჰყავდა სამი სოციალ-დემოკრატიული წრე (რეალურ სასწავლებელში, სახელოსნო სასწავლებელში და ერთ-ერთ გიმნაზიაში), ასე რომ დამატებითი მეცადინეობას ვერარ ჩაატარებდა. იგივე მიზეზით სევ. ჯუღელმაც უარი განაცხადა კურსების მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. ვ. ცაბაძემ და გ. ყარაჯანმა ერთმანეთს შორის მოილაპარაკეს და კომიტეტს მოახსენეს, რომ ისინი მოწინავე მუშებთან მეცადინეობის ჩასატარებლად შეარჩევდნენ ერთ ინტელიგენტს.[178]

ამრიგად, 1901 წლის 25 ნოემბერს სხდომამ განსაზღვრა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის მიმართულებანი.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა 1902 წლის 12 იანვარს ნაძალადევში ზ. ჩოდრიშვილის ბინაზე. ამ სხდომას ესწრებოდნენ: ვასილ ცაბაძე, სევერიან ჯუღელი, გიორგი ყარაჯანი, კალისტრატე გოგუა (იგი კომიტეტის წევრად ი. ჯუღაშვილის ნაცვლად იქნა არჩეული), ზაქარია ჩოდრიშვილი, სერგეი სტაროსტენკო.[179] კომიტეტის სხდომამ დაადგინა ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთ „ბრძოლასთან“ ერთად გამოეცათ გაზეთი რუსულ და სომხურ ენებზე. კ. გოგუამ წამოაყენა წინადადება პროპაგანდის გაუმჯობესების მიზნით მუშები გაეერითიანებინათ 5-6 კაციან ჯგუფებში. კონსპირაციის მიზნით ჯგუფის თითოეული წევრისათვის უნდა ეწოდებინათ „რიგითი“, ხოლო ჯგუფის ხელმძღვანელისათვის, რომელსაც მუშები აირჩევდნენ თავიანთ ჯგუფში — „უნტერ-ოფიცერი“. ყოველ ჯგუფს ეყოლებოდა წამყვანი, რომელსაც ასევე კონსპირაციის მიზნით ეწოდებოდა „ოფიცერი“. კომიტეტთან კავშირი სწორედ ამ ოფიცერს უნდა ჰქონოდა. კ. გოგუას წინადადება მიღებულ იქნა. ზ. ჩოდრიშვილმა კომიტეტს მოახსენა, რომ ბათუმში მივლინებული იოსებ ჯუღაშვილი ითხოვდა არალეგალური ლიტერატურის მიწოდებას. კომიტეტმა ი. ჯუღაშვილის თხოვნა

დააკმაყოფილა. გ. ყარაჯეევმა კომიტეტის სხდომას მოახსენა, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენელი მიწვეული ყ. კიშინიოვში რსდმპ ორგანიზაციების ყრილობაზე (ჩანს, საქმე ეხება რსდმპ კომიტეტების თათბირს. ასეთი თათბირები 1902 წლის იანვარ-თებერვალში გაიმართა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში — ვ. გ.). ამ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტმა დაადგინა: კიშინიოვში ყრილობაზე თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლები არ გაიგზავნოს. პირიქით, ეთხოვოს კიშინიოვის ყრილობას ადგილობრივი მუშაობის გასაცნობად თავისი წარმომადგენელი გამოგზავნოს თბილისში. ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონსპირაციული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.[180]

1902 წლის 24 იანვარს ისევ ნაბალაძეში ზ. ჩოდრიშვილის ბინაზე შედგა თბილისის სოციალ-დემოკატიული კომიტეტის სხდომა. კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე პროკლამაციების გამოშვების შესახებ. გ. ყარაჯეემა პროკლამაციის სომხური ტექსტი გაანადგურა, ხოლო ქართული და რასული ტექსტების რედაქტირება თავის თავზე აიღო. ზ. ჩოდრიშვილმა კომიტეტის სხდომას მოახსენა, რომ ძალზე გაძნელდა კომიტეტის შტემპელის დამზადება, რადგან ვერავინ გარისკა საიდუმლო ორგანიზაციის შტემპელის დამზადება. ამის გამო კომიტეტის ოვალური შტემპელი სხვა (გამოგონილი) წარწერით მაინც შეუკვეთეს.[181]

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეების შექმნა და მათი იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. ამ მიზანს ემსახურება 1902 წლის 4 თებერვალს კომიტეტის წევრის კალისტრატე გოგუას ხელმძღვანელობით გამართული მოწინავე მუშების თათბირი. სხდომას ესწრებოდნენ: მოსე შენგელაია, პეტრე სკორობოგატკო, ვაცლავ პულავსკი, პეტრე მონტინი, სერგეი სტაროსტენკო, სულ ათ კაცამდე. თათბირმა განიხილა მუშათა ჯგუფებისა და წრეების შექმნის საკითხი. გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ კონსპირაციული მოსაზრებით უმჯობესი იყო როცა ერთი წრე არ იცნობდა მეორეს. კ. გოგუამ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელი იყო მუშათა კლასში რევოლუციური იდეების შეტანა.[182]

1902 წლის 15 თებერვალს შედგა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის სხდომა. ეს სხდომა საინტერესოა იმით, რომ მისი მასალები წარმოდგენას გვაძლევს კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებსა და წრეებზე. სულ 15 თებერვლისათვის კომიტეტის დაქვემდებარებაში იყო მუშათა 6 სოციალ-დემოკრატიული წრე: 1) პეტრე სკორობოგატკოს წრე (ინტე

ლიგენტი ხელმძღვანელი — იასონ მეგრელიძე, წევრები: პეტრე სკორობოგატკო, მიხეილ გურეშიძე, ლეონტი ზოლოტარევი, ალექსი ზაკომოლდინი,[1] სერგეი სტაროსტენკო); 2) იაკობ კოჩეტკოვის წრე (ინტელიგენტი ხელმძღვანელი — ანა კრასნოვა, წევრები: იაკობ კოჩეტკოვი, თევდორე შმიკოვი, დიმიტრი რომანოვი, გიორგი ლელაშვილი, ირაკლი წულაძე, პოლიკარპე მაჭარაძე, ანდრეი კარნიეცკი); 3) გიორგი თხელიძის წრე (ინტელიგენტი ხელმძღვანელი — კალისტრატე გოგუა, წევრები: გიორგი თხელიძე, გიორგი ნინუა, ზაქარია ჩოდრიშვილი, დავით ხართიშვილი); 4) ალექსანდრე მერაბიშვილის წრე (ჟანდარმერიის აგენტურისათვის წრის შემადგენლობა უცნობი დარჩა — ვ. გ.); 5) გიორგი ვარდოიანცის წრე (წრეში გაერთიანებულნი იყვნენ სტამბის მუშები. წრის შემადგენლობა ჟანდარმერიის აგენტურისათვის უცნობი დარჩა — ვ. გ.); 6) საქალაქო წრე (წრის შემადგენლობა ჟანდარმერიის აგენტურისათვის უცნობი დარჩა — ვ. გ.).[183] უნდა ვივარაუდოთ, რომ კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი წრეების რიცხვი ამით არ ამოიწურებოდა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1901 წლის 25 ნოემბერისათვის ვ. ცაბაძე, როგორც ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი, ხელმძღვანელობას უწევდა სამ წრეს (რეალურ სასწავლებელში, საოსტატო სასწავლებელში და ერთ-ერთ გიმნაზიაში). სოციალ-დემოკრატიულ წრეს ხელმძღვანელობდა სევ. ჯუღელი.[184] ამ წრეების შემადგენლობა ჩვენთვის უცნობია.

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეს ჰყავდა ერთი ხელმძღვანელი თვით მსმენელებიდან (მუშებიდან) და წრეც მის სახელს ატარებდა. გარდა ამისა, წრეს ჰყავდა ხელმძღვანელად ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი. მის ფუნქციას არ შეადგენდა ორგანიზაციული საქმიანობა, იგი მხოლოდ მეცადინეობებს ატარებდა. ამ ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატის წოდება პროპაგანდისტი იყო. ე. ი. კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეს ჰყავდა თვით მსმენელთაგან არჩეული მუშა ხელმძღვანელი, რომელიც ორგანიზაციულ მხარეს განაგებდა და კომიტეტის მიერ დანიშნული პროპაგანდისტი — ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი, რომელიც წარმართავდა წრის მეცადინეობას.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის საიდუმლო სალაროს განაგებდა ზაქარია ჩოდრიშვილი. საიდუმლო სალარო 1901 წლის 11 ნოემბერს არ შეუქმნიათ, კომიტეტის არჩევის მომენტისათვის იგი უკვე არსებობდა (საიდუმლო სალაროს ერთ-ერთი ანგარიში 1901 წლის აგვისტოშია შედგენილი. ასე რომ, კომიტეტმა უკვე შექმნილი საიდუმლო სალარო გადაიბარა). ფულს საიდუმლო სალაროსათვის აგროვებდნენ: იაკობ კოჩეტკოვი, დავით ლორთქიფანიძე, ოვანეს უნანოვი, კირილე კა-

ხათელიძე, ათანასე ტორონჯაძე და მოსე შენგელია.[185] მართალია, საიდუმლო სალაროს ხაზინადარი ზ. ჩოდრიშვილი იყო, მაგრამ სალაროს ანგარიშები ვლადიმერ იაშვილს ეკუთვნის.[186]

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ რა სახსრები გააჩნდა თბილისის კომიტეტს, მოვიტანთ ასეთ მონაცემებს: 1902 წლის იანვარში საიდუმლო სალაროს შემოსავალი შეადგენდა 379 მანეთს, გასავალი 179 მანეთს. 1902 წლის 1 თებერვლისათვის სულ საიდუმლო სალაროში იყო 1646 მანეთი.[187]

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში ზემოთ ხსენებულთა გარდა აქტიურად მონაწილეობდნენ: ვლადიმერ იაშვილი, ამონ ჩხაიძე, დიმიტრი ბილანიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, დავით კაპანაძე, სიმონ ჯუღელი, ლუარსაბ ჯანელიძე, იონა გოგიჩაიშვილი, კონსტანტინე ლეჟავა, გიორგი კოკოშვილი, კონსტანტინე დოლიძე, გიორგი არობელიძე და სხვ.[188]

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას თავიდანვე გარკვეული სირთულეები შეექმნა საიდუმლო სტამბის ორგანიზების საქმეში. თავდაპირველად, 1901 წლის ბოლოსა და 1902 წლის დამდეგს გაზეთი „ბრძოლა“, ასევე კომიტეტის ყველა გამოცემა, იბეჭდებოდა ბაქოში, ვლადიმერ კეცხოველისა და აბელ ენუქიძის მიერ მოწყობილ საიდუმლო სტამბაში.[189] ბაქოში არალეგალური გამოცემების ბეჭდვასა და შეშდეგ გავრცელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ვლადიმერ კეცხოველი, აბელ ენუქიძე, ლავრენტი სამჭკუაშვილი, ივანე (ვანო) სტურუა, ვიქტორ ბაქრაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ევსევი გიორგობიანი, გიორგი სოგორაშვილი, ზინოვი ლავროვი, ნიკოლოზ პროსტოსერდოვი.[190]

თბილისის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს ჰქონდა საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელსაც განაგებდა პოლიკარპე მაჭარაძე.[191]

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოსა და პოლიციის დეპარტამენტის მასალებში არაფერია ნათქვამი, რა დამოკიდებულებაში იყო თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და მისი კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან. კომიტეტის 1901 წლის 11 ნოემბერისა და 18 ნოემბრის სხდომების მასალებიდან ვერაფერს ვეგებულობთ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტისა და რსდმპ დამოკიდებულების შესახებ.[192] 1902 წლის 12 იანვარს კომიტეტის სხდომამ უარი თქვა ქ. კიშინიოვში რსდმპ კომიტეტების (ორგანიზაციების) ყრილობაზე (თათბირზე) წარმომადგენლის გაგზავნაზე.[193] ძნელი დასადგენია, 1902 წლის 12 იანვრისათვის თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი იყო თუ არა რსდმპ კომიტეტი. ქ. კიშინიოვში წარმომადგენლის გაგზავნაზე უარის თქმა არ გამოდგება იმის სა-

ბუთად, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ჯერ კიდევ არ შედიოდა რსდმპ შემადგენლობაში, თუმცა თვით ფაქტი არ არის უმნიშვნელო. 12 იანვრის სხდომაზე გ. ყარაჯუკევმა განაცხადა, რომ მიღებულია დაშიფრული წერილი, რომელშიც თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას სხოთვენ თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს ქ. კიშინიოვში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობაზე. 1902 წლის იანვარ-თებერვალში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რეგიონალური ყრილობები და თათბირები მართლაც გაიმართა ვორონეჟში, სამარაში, დონის როსტოვში, ელისავეტგრადში და სხვ.[194] ამ ყრილობებსა და თათბირებზე იწვევდნენ ისეთ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს (კომიტეტებს), რომლებიც უკვე რსდმპ შემადგენლობაში იყვნენ გაერთიანებულნი, ან აპირებდნენ გაერთიანებას. უფრო ადრე, 1901 წლის 25 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის სხდომაზე გ. ყარაჯუკევმა განაცხადა, რომ თბილისში ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების დაპატიმრების შემდეგ თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა თხოვნით მიმართ რსდმპ ხარკოვის კომიტეტს პროპაგანდისტთა კადრებით დახმარების თაობაზე.[195] ეს ფაქტიც მეტად საყურადღებოა, მაგრამ არც ის გამოდგება იმის დამასმტკიცებლად, რომ ამ პერიოდისათვის თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი რსდმპ კომიტეტად ითვლებოდა. თუმცა, როგორც ხარკოვის, ისე კიშინიოვის მაგალითი ადასტურებს, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა რსდმპ კომიტეტებთან.

1901 წელს გამოვიდა გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი. გაზეთი დათარიღებულია ასე: „სექტემბერი 1901 წ.“ გაზეთი „ბრძოლა“ არ გამოსულა როგორც რსდმპ გაზეთი. მას სათაურის ქვეშ აქვს გამოცემის კუთვნილების აღმნიშვნელი წარწერა: „პერიოდული გამოცემა რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასისა“.[196] 1901 წლის ბოლოს გამოვიდა გაზეთ „ბრძოლის“ მორიგი (№2-3) ნომერი. გაზეთი დათარიღებულია ასე: „ნოემბერი-დეკემბერი 1901 წ.“ სათაურის ქვეშ გაზეთის კუთვნილების აღმნიშვნელი წარწერა უცვლელია: „პერიოდული გამოცემა რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასისა“.[197] ე. ი. 1901 წლის ნოემბერ-დეკემბრისათვის გაზეთი „ბრძოლა“ ჯერ კიდევ არ იყო რსდმპ ორგანო. 1902 წლის ბოლოს გამოვიდა გაზეთ „ბრძოლის“ მეოთხე ნომერი. იგი დათარიღებულია ასე: „1902 — დეკემბერი“. ამჯერად გაზეთის კუთვნილების აღმნიშვნელ წარწერა შეცვლილა: „ორგანო ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირისა“. გაზეთს სათაურის ზემოთ დამატებული აქვს ახალი წარწერა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“.[198] ე. ი. 1902 წლის დეკემბრისათვის „ბრძოლა“ უკვე რსდმპ გაზე-

ის იყო. ცნობილია, რომ „ბრძოლა“ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის გაზეთი იყო. აქედან კი შეიძლება დავასკვნათ: 1902 წლის დეკემბრისათვის თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი რსდმპ კომიტეტთან იყო, ე. ი. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რსდმპ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესვლა რსდმპ შემადგენლობაში მომხდარა 1901 წლის დეკემბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე პერიოდში. უფრო ზუსტი თარიღის დადგენა არ ხერხდება, რადგან 1901 წლის დეკემბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე გაზეთი „ბრძოლა“ არ გამოსულა. სამაგიეროდ თარიღის დაზუსტება შეიძლება სხვა მასალით. 1902 წლის თებერვალ-მარტ-აპრილში ჯანდარმერიის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად თითქმის სრულიად ჩავარდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი, თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში არსებული მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები, დააპატიმრეს ბევრი ცნობილი სოციალ-დემოკრატი, ორგანიზაციის წინამძღოლი მუშები. ჟანდარმერიამ ხელთ იგდო დიდი რაოდენობით ნივთმტკიცება, მათ შორის კომიტეტის საიდუმლო სალაროს ანგარიში შედგენილი 1901 წლის დეკემბერში და დამოწმებული კომიტეტის ბეჭდით. საიდუმლო სალაროს ანგარიშიდან დგინდება, რომ კომიტეტის ბეჭედს უკვე 1901 წლის დეკემბერში ჰქონდა წარწერა: „ტ.კ.რ.ს.დ.მ.პ.“ ე. ი. „ტფილისის კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა“.[199] ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გაზეთ „ბრძოლის“ №2-3, რომელსაც გამოსვლის თარიღად 1901 წლის ნოემბერ-დეკემბერი უზის, ასევე აქვს იმის აღმნიშვნელი წარწერა, რომ გაზეთი რსდმპ ორგანოს წარმოადგენდა. ჩანს, თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი რსდმპ კომიტეტად გამოცხადდა მოხდა ან გაზეთის ბეჭდვის პროცესში („ბრძოლა“ ბაქოში იბეჭდებოდა), რის გამოც შესაბამისი ცვლილება (გაზეთის სათაურის ზემოთ წარწერის გაკეთება) ვერალ მოასწრეს, ან მას შემდეგ, რაც „ბრძოლის“ №2-3 უკვე დაბეჭდილი იყო, ე. ი. 1901 წლის დეკემბრის ბოლოს. ამ ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ, როგორც ჩვენი, საიდუმლო სალაროს ანგარიში წლის ბოლოს დგებოდა და ანგარიშზე ბეჭედსაც 1901 წლის დეკემბრის ბოლოს დაუსვამდნენ. ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელი მასალა დაცულია ნ. ჟორდანიას მემუარებში. ნ. ჟორდანია იგონებს: „1902 წლის დამდეგს ციხეში მივიღეთ თფილისის კომიტეტის ფურცელი, რამაც განგვაცვიფრა იმით, რომ თავზე ეწერა: – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. გამიკვირდა, რა მუშა რუსეთის პარტია, როდის შეერთდით, რა პირობით — არაფერი არავინ იცოდა“.[200] როგორც ვხედავთ, ნ. ჟორდანიას 1902 წლის იანვარში

პროკლამაციის (ფურცლის) საშუალებით შეუტყვია, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი რსდმპ კომიტეტად გამოუცხადებიათ.

ამრიგად, 1901 წლის დეკემბრის ბოლოდან თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტია, ე. ი. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რსდმპ შემადგენლობაშია გაერთიანებული.

დღეისათვის ცნობილი მასალის საფუძველზე არ დგინდება, რომელ პარტიულ ფორუმზე გადაწყდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესვლა რსდმპ შემადგენლობაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას ისევ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი გამოიტანდა. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს კომიტეტის გვერდის ავლითაც გაკეთდა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ნ. ჟორდანიას მემუარების ზემოთ მოტანილი ადგილიც.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიეღო სამ ძალას: 1) „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასს“ (გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკს), 2) რუსეთიდან ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებს, 3) „მესამე დასს“ (გაზეთ „კვალის“ ბანაკს). თუ რატომ არ მონაწილეობდნენ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შექმნაში რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები, ამაზე პასუხი გაეცა კომიტეტის სხდომაზე 1901 წლის 11 ნოემბერს: რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები თითქმის ყველანი დაპატიმრებულნი იყვნენ.[201] თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შექმნაში და მის მოღვაწეობაში ჩავარდნამდე (1902 წლის თებერვალ-მარტ-აპრილი) არ მონაწილეობდნენ მესამე დასელები (კვალელები). დღეისათვის ცნობილი არ არის სანდო მასალა, რომელიც ადასტურებდეს, რომ „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ და „მესამე დასი“ შეთანხმებულად მოქმედებდნენ. პირიქით, დიდი რაოდენობით საარქივო დოკუმენტები და მასალები ამტკიცებენ, რომ 1901-1902 წლებში „მესამე დასი“ ჯერ კიდევ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და ცდილობს შეასრულოს საერთოქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ფუნქცია. ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

ამრიგად, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა და მისი კომიტეტის შექმნა ძირითადად განხორციელდა „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის“ (გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი) ძალებით. თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს: იოსებ ჯუღაშვილმა, ვასილ ცაბაძემ, გიორგი ფარაჯევმა, სევერიან ჯუღელმა, ზაქარია ჩოდრიშვილმა, კალისტრატე

გოგუამ და სხვებმა, ასევე ბაქოს არალეგალური სტამბის ორგანიზატორებმა ვლადიმერ კეცხოველმა და აბელ ენუქიძემ.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე მდგომმა სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს, არ იყო უმნიშვნელო ფაქტი: თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია თავის მოღვაწეობაში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ბედისათვის.

1902 წლის თებერვალში რუსეთის იმპერიის ბევრ დიდ ქალაქში (ეკატერინოსლავში, ელისავეტპოლში, კიევში, კიშინიოვში, მოსკოვში, ოდესაში, სანკტ-პეტერბურგში, პოლტავაში, დონის როსტოვში) ჩავარდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.[202] ჩავარდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და მისი კომიტეტიც. თბილისში დაპატიმრებები მიმდინარეობდა 1902 წლის თებერვალ-მარტ-აპრილში. 15-16 თებერვალს ღამით დააპატიმრეს ვასილ ცაბაძე, გიორგი ყარაჯევი, სიმონ ჯუღელი, სევერიან ჯუღელი, იასონ მეგრელიძე, კონსტანტინე ლეჟავა, დიმიტრი ბილანიშვილი, დავით კაპანაძე, გიორგი კოკოშვილი.[203] მოგვიანებით დააპატიმრეს: გიორგი არობელიძე, ზაქარია ჩოდრიშვილი, მიხეილ გურეშიძე, კალისტრატე გოგუა, გიორგი ჩხეიძე, არაქელა ოქუაშვილი, ირაკლი წულაძე, პეტრე სკორობოგატკო, იაკობ კოჩეტკოვი, ანა კრასნოვა, პოლიკარპე მაჭარაძე, ბართლომე ბიბინეიშვილი, ნიკოლოზ ერიკოვი, ოვანეს უნანოვი, ვლადიმერ იაშვილი; დაპატიმრებას გადაურჩნენ: ლუარსაბ ჯანელიძე, ამონ ჩხაიძე, მოსე შენგელია, ლეონტი ზოლატარევი, თევდორე შმიკოვი, გიორგი თხელიძე და ვინმე ფარჯანაძე.[204] ჟანდარმერიამ ხელთ იგდო დიდი რაოდენობით სამხილი (ნივთმტკიცება): არალეგალური გამოცემები (გაზეთების „ბრძოლის“ და „ისკრის“ ნომრები და სხვ.), ასაკინძი დაზგა, საიდუმლო სალაროს ანგარიში, კომიტეტის შტემპელი.[205]

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმის ძიება დიდხანს გრძელდებოდა. 1903 წლის 9 ივლისის უმაღლესი ბრძანებულების საფუძველზე თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებს შემდეგი სასჯელი დაედოთ:

1. აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება სამი წლის ვადით: ვასილ ცაბაძეს, გიორგი ყარაჯევს, ზაქარია ჩოდრიშვილს, გიორგი ჩხეიძეს, კალისტრატე გოგუას, იოსებ ჯუღაშვილს, არაქელა ოქუაშვილს, მიხეილ გურეშიძეს, პოლიკარპე მაჭარაძეს, სევერიან ჯუღელს, იასონ მეგრელიძეს;

2. არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლება სამი წლის ვადით: იაკობ კოჩეტკოვს, გიორგი ლელაშვილს, ლეონტი ზოლოტარევს, ნიკოლოზ ერიკოვს, ოვანეს უნანოვს (უნანიანცს), კირილე კახეთელიძეს, ვლადიმერ იაშვილს, გიორგი არობელიძეს, ვაცლავ პულავსკის;

3. ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლება სამი წლის ვადით: ანა კრასნოვას.

4. დანარჩენ ბრალდებულებს დაუწესდათ სხვადასხვა ვადით მეთვალყურეობა, ან დაედოთ შედარებით მცირე სასჯელი.[206]

1902 წლის თებერვალ-მარტ-აპრილის დაპატიმრებებმა მძიმე დარტყმა მიაყენეს თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელ ორგანოს — კომიტეტს. მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია მაინც განაგრძობდა არსებობას.

ამრიგად, 1901-1902 წლებში აღმოცენდა და განმტკიცდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ორგანო კომიტეტი. ეს მოვლენა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ადგილობრივი, ლოკალური ხასიათვის მოვლენა. იგი სულ მცირე სამი ასპექტით მაინც არის საინტერესო: პირველი, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა წარმოადგენდა ქართული სოციალ-დემოკრატიის განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის განვითარების მიმართულება; მეორე, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა და მოღვაწეობა გახდა ტონის მიმცემი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა მთელი კავკასიის მასშტაბით; მესამე, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა იყო რუსული სოციალ-დემოკრატიის დიდი გამარჯვება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის გზაზე.

§3. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა და მოღვაწეობა (1901-1903 წწ.)

ბათუმში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები, როგორც აღვნიშნეთ, იქმნებოდა 1897 წლიდან. საქალაქო ორგანიზაციის შექმნა კი იწყება 1901 წლის ნოემბრიდან, როდესაც თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დავალებით ბათუმში სამუშაოდ ჩავიდა იოსებ ჯუღაშვილი. როდის ჩავიდა ი. ჯუღაშვილი ბათუმში, ზუსტად დადგენილი არ არის. ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს მასალების მიხედვით,

ი. ჯუღაშვილი ბათუმში უნდა ჩასულიყო 1901 წლის შემოდგომაზე.[20] დოკუმენტურადაა დადგენილი, რომ ი. ჯუღაშვილი 1901 წლის 11 და 1[illegible] ნოემბერს ესწრებოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის სხდომებს, 25 ნოემბერს კი იგი კომიტეტის სხდომას ალ[illegible] დასწრებია. სხდომაზე აღინიშნა, რომ იგი ამ დროს (25 ნოემბერს) ბა თუმში იყო.[208] ე. ი. ი. ჯუღაშვილი ბათუმში უნდა ჩასულიყო 1901 წლის 18 ნოემბერის შემდეგ, 25 ნოემბრამდე.

იოსებ ჯუღაშვილის ჩასვლის შემდეგ ბათუმში სოციალ-დემოკრატიული მუშაობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა. რსდმპ II ყრილობისადმი წარდგენილ დოკუმენტში „რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენება“ აღნიშნულია, რომ ბათუმში „პირველად სოციალ-დემოკრატიული წრე დაარსდა 1901 წელს“.[209] იმავე დოკუმენტში ამ წრის დაარსების ისტორია ასეა აღწერილი: „ერთმა პროპაგანდისტმა, სოციალ-დემოკრატმა, ისარგებლა რა თბილისიდან მოწინააღმდეგე მუშების ჩამოსვლით, დააარსა მოწინავე მუშათა წრე, რომელმაც ფერმენტის როლი შეასრულა მუშათა შორის სოციალისტური იდეების გავრცელებაში“.[210] ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოში შედგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ი. ლუზინს, გ. ფრანჩესკისა და პ. კალანდაძის დაპატიმრების შემდეგ (1898 წ.) ბათუმში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა მინელდა, მაგრამ მოძრაობამ „დიდ წარმატებას მიაღწია მას შემდეგ, როცა 1901 წლის შემოდგომაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტმა ქ. ბათუმის ქარხნის მუშებში პროპაგანდის წარმოების მიზნით მიავლინა თავისი ერთ-ერთი წევრი იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი, თბილისის სასულიერო სემინარიის მე-6 კლასის (მე-5 კლასის — ვ. გ.) ყოფილი მოწაფე. ჯუღაშვილის მოღვაწეობისა და თბილისიდან დროდადრო ჩამოსული პროპაგანდისტების წყალობით მალე ბათუმის ყველა ქარხანაში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა, რომელთა სათავეში თავიდან თბილისის კომიტეტი იდგა“.[211] ცხადია, ბათუმის კომიტეტის მოხსენებაში მითითებული „ერთი პროპაგანდისტი, სოციალ-დემოკრატი“ იოსებ ჯუღაშვილი უნდა იყოს, რომელსაც ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო პირდაპირ მიაწერს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლებას ბათუმში.

იოსებ ჯუღაშვილის ბათუმში ჩასვლამდე, 1901 წლის ოქტომბრისათვის, ქალაქში მოქმედებდა სოციალ-დემოკრატიული წრე. ამ წრეში პროპაგანდისტებად მუშაობდნენ ქალაქის საავადმყოფოს ფერშალი ჩიჩუა და ჟანდარმერიისათვის დაუდგენელი პირი — ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის მოხელე, რომელიც გურიიდან უნდა ყოფილიყო. მუშებიდან სოციალ-დემოკრატიული წრის მსმენელები იყვნენ თავართქილაძის

სტამბის ასოთამწყობი სილიბისტრო თოდრია და პასეკის ქარხნის მუშა კონსტანტინე კანდელაკი.[212] უნდა ვივარაუდოთ, რომ ი. ჯუღაშვილი ბათუმში ჩასვლის შემდეგ ამ წრესთან დაამყარებდა კავშირს.

როგორც ჩანს, ბათუმში განიცდიდნენ არალეგალური ლიტერატურის ნაკლებობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის სხდომას 1902 წლის 12 იანვარს ზ. ჩოდრიშვილმა მოახსენა, რომ ი. ჯუღაშვილი ითხოვდა არალეგალური ლიტერატურის გაგზავნას. კომიტეტის სხდომამ ი. ჯუღაშვილის თხოვნა დააკმაყოფილა.[213]

იოსებ ჯუღაშვილმა ორ-სამ თვეში შეძლო ბათუმის მუშების დარაზმვა. ი. ჯუღაშვილის ორგანიზებული იყო 1902 წლის 27 თებერვალს როტშილდის ქარხანაში დაწყებული გაფიცვა, 9 მარტს — მუშების შეჯახება პოლიციასთან და ჯართან. ამ შეჯახებაში 13 მუშა დაიღუპა.[214] 9 მარტის ამბებმა, ხოლო შემდეგ, 12 მარტს, დაღუპული მუშების დაკრძალვის დროს მოწყობილმა დიდმა პოლიტიკურმა დემონსტრაციამ აშკარა გახადა, რომ ბათუმში სოციალ-დემოკრატებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს.

დაახლოებით 1902 წლის მარტის ამბების ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის (იგი 1901 წლის ბოლოს დააარსა ი. ჯუღაშვილმა) გარდაქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტად. ამას ადასტურებს ბათუმის კომიტეტის მოხსენებაც რსდმპ II ყრილობისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „თავიდან ბათუმში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. 1902 წ. იგი გარდაიქმნა რსდმპ კომიტეტად“.[215] რსდმპ ბათუმის კომიტეტის პირველ შემადგენლობაში არჩეულ იქნა 3 ინტელიგენტი და 3 მუშა.[216] დღეისათვის ცნობილი საარქივო დოკუმენტებითა და მასალებით არ დგინდება რსდმპ ბათუმის კომიტეტის პერსონალური შემადგენლობა, თუმცა ყველაფრიდან ჩანს, რომ კომიტეტის ხელმძღვანელი (თავმჯდომარე) დაპატიმრებამდე იოსებ ჯუღაშვილი იყო.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის ინტელიგენტი წევრების მოვალეობას შეადგენდა სარედაქციო სამუშაოები (პროკლამაციების, მოწოდებებისა და ფურცლების შედგენა), სოციალ-დემოკრატიული წრეების სამუშაო გეგმების შედგენა და სხვ.[217]

რსდმპ ბათუმის კომიტეტთან არსებობდა სოფლის მუშების კომისია, რომელიც გურიის გლეხთა მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა.[218]

ისევე, როგორც თბილისში, რსდმპ ბათუმის კომიტეტსაც ჰყავდა პროპაგანდისტები. თითოეულ სოციალ-დემოკრატიულ წრეზე მიმაგრებული იყო პროპაგანდისტი, რომელიც წარმართავდა წრის მეცადინეობას. პროპაგანდისტი გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებდა კომი-

ტეტს. 1903 წ. შუა ხანებისათვის რსდმპ ბათუმის კომიტეტს ჰყავდა 11 პროპაგანდისტი.[219]

ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია სიდიდით ჩამოუვარდებოდა თბილისის ორგანიზაციას, თუმცა ორგანიზაციის წევრთა რიცხვი ბათუმშიც საკმაოდ დიდი იყო. ამაზე მეტყველებს კომიტეტის საიდუმლო სალაროს შემოსავალი. 1903 წლის შუა ხანებისათვის საიდუმლო სალაროში ყოველთვიურად შედიოდა 600-700 მანეთი.[220]

1903 წლის შუა ხანებისათვის რსდმპ ბათუმის კომიტეტის დაქვემდებარებაში იყო დაახლოებით 40 სოციალ-დემოკრატიული წრე. მოწინავე მუშებისაგან შემდგარ წრეებში მეცადინეობა ტარდებოდა კვირაში ორჯერ, ხოლო დანარჩენ წრეებში — კვირაში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ. რსდმპ ბათუმის კომიტეტის პროპაგანდისტები აგიტაციას ეწეოდნენ გურია-აჭარის სოფლებში. 1900 წელს ძირითადად ეკონომიკური ხასიათის აგიტაცია წარმოებდა, 1901 წელს კი იწყება პოლიტიკური აგიტაცია. 1903 წლის შუა ხანებისათვის გურიის თითქმის ყველა სოფელში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული წრე, ყველა წრეს ჰქონდა საიდუმლო სალარო. რსდმპ ბათუმის კომიტეტი ქალაქსა და მის მახლობელ სოფლებში აერცელებდა პროკლამაციებსა და არალეგალურ ლიტერატურას.[221] საერთოდ, გურიის სოფლებში სოციალ-დემოკრატიული იდეების შეტანაში დიდი როლი შეასრულეს ბათუმის მუშებმა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სოფლებიდან ახლად ჩამოსული იყო.[222]

თავდაპირველად რსდმპ ბათუმის კომიტეტს საკუთარი სტამბა არა ჰქონია. პროკლამაციები, ფურცლები და სხვ. იბეჭდებოდა ბაქოსა და თბილისში. 1903 წლის შუა ხანებისათვის ბათუმის კომიტეტს უკვე ჰქონდა საკუთარი სტამბა.[223] როდის შეიქმნა ეს სტამბა, ზუსტად არ დგინდება. 1902 წლის 7 დეკემბერს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი წერდა, რომ ბათუმში გავრცელებული პროკლამაციები თვით ბათუმში ლეგალურად არსებულ სტამბებში არ იყო დაბეჭდილი. პროკლამაციები იბეჭდებოდა საიდუმლო სტამბაში ქალაქგარეთ.[224]

რსდმპ ბათუმის კომიტეტის მუშაობაში 1903 წლის გაზაფხულიდან უხეშად ჩაერია რსდმპ კავკასიის კავშირი: რსდმპ ბათუმის კომიტეტიდან რსდმპ II ყრილობის წინ გამოყვანილ იქნა ერთი წევრი (ინტელიგენტი),[225] რომელიც, როგორც ჩანს, არასასურველი პირი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისათვის. მიუხედავად ამისა, რსდმპ ბათუმის კომიტეტი მაინც არ დაემორჩილა კავკასიის კავშირის დიქტატს და რსდმპ II ყრილობის წინ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც რსდმპ II ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტს სთხოვდა არ ეცნო კავკასიის კავშირი კავკასიის სოციალ-დემოკრა-

ტიულ მოძრაობის წარმომადგენლად.[226] უნდა ვივარაუდოთ, რომ რსდმპ ბათუმის კომიტეტის ასეთი პრინციპული პოზიცია ისიდორე რამიშვილისა და კარლო ჩხეიძის დამსახურება იყო, რომლებიც იმ პერიოდში დიდ როლს ასრულებდნენ ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში.

და ბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ბათუმში იოსებ ჯუღაშვილის მოღვაწეობას ეხება. ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ი. ჯუღაშვილი ბათუმში 18-25 ნოემბერს შორის უნდა ჩამოსულიყო.[227] იოსებ სტალინის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ იგი ბათუმში 1901 წლის ნოემბრის დამლევს ჩავიდა,[228] რაც დასტურდება კიდეც საარქივო მასალებით. იმავე ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1902 წლის 5 აპრილს სტალინს აპატიმრებენ. მაგრამ საპყრობილეშიც (ჯერ ბათუმის, შემდეგ კი 1903 წლის 19 აპრილიდან — ქუთაისის საპყრობილეში, რომელიც ცნობილი იყო თავისი მძიმე რეჟიმით, შემდეგ კვლავ ბათუმის საპყრობილეში) სტალინი კავშირს არ სწყვეტს რევოლუციურ მუშაობასთან".[229] ი. სტალინის ბიოგრაფიაში მოტანილ მასალას ეწინააღმდეგება საარქივო დოკუმენტები და მასალები. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს სამძებრო განყოფილების უფროსის როტმისტრ ლავროვის მიერ 1903 წლის 29 იანვარს პოლიციის დეპარტამენტში გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1903 წლის იანვარში რსდმპ ბათუმის კომიტეტს ხელმძღვანელობდა პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი იოსებ ჯუღაშვილი.[230] ი. სტალინის ბიოგრაფიის მიხედვით კი, ამ დროს იგი ციხეში უნდა ყოფილიყო და არა პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ. უნდა ვივარაუოთ, რომ 1902 წლის 5 აპრილიდან (დაპატიმრების შემდეგ) 1903 წლის შემოდგომამდე (გადასახლებაში გაგზავნამდე) იოსებ ჯუღაშვილი რაღაც პერიოდში, კერძოდ 1903 წლის იანვრისათვის, პატიმრობიდან გათავისუფლებული იყო პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ და მოღვაწეობას აგრძელებდა ბათუმში. რატომ აუარეს ამ ფაქტს გვერდი ი. სტალინის ბიოგრაფებმა, ჩვენთვის უცნობია.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა 1901 წელს მიანიშნებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ აღმავლობაზე საქართველოში. XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს მეორე სამრეწველო ქალაქი ბათუმში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ ცენტრად იქცა.

§4. რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა და მოღვაწეობა (1903 წ.)

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის შექმნამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების დამკვიდრებაში. რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნით (1903 წლის მარტი) ფაქტობრივად დაიწყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შერწყმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან, რაც საბოლოოდ დასრულდა და იურიდიულად გაფორმდა რსდმპ II ყრილობა (1903 წ. ივლის-აგვისტო). სწორედ ამიტომ რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა და მისი მოღვაწეობა რსდმპ II ყრილობამდე მრავალმხრივაა საყურადღებო.

რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს (გ. პლეხანოვი, ვ. ლენინი, ლ. მარტოვი, პ. აქსელროდი, ა. პოტრესოვი და სხვ.) მიაჩნდათ, რომ მთელს რუსეთის იმპერიაში (როგორც ველიკოროსიაში, ისე კოლონიურ მხარეებში) არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები აუცილებლად უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთ საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რაც თავისთავად ნიშნავდა ველიკოდერჟავული პოლიტიკის გადმოტანას სოციალ-დემოკრატიული მოძრაობაში. ცხადი იყო, რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს იმდენად ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვა კი არ ამოძრავებდათ, არამედ მისწრაფება იმისა, რომ ერით პარტიული ცენტრის ქვეშ გაეერთიანებინათ ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიის ინტელექტუალური პოტენციალი და რევოლუციური მასები, რის გარეშეც, როგორც შემდეგ გაირკვა, მართალც არ შეეძლო არსებობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ამ შემთხვევაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს სულაც არ აინტერესებდათ რამდენად შეესაბამებოდა ამა თუ იმ ერის სოციალ-დემოკრატიის ინტერესები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ინტერესებს, ან ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიის შერწყმა რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან როგორ ძაბავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციას კოლონიურ ქვეყნებში.

რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების ჩანაფიქრის განხორციელება არც ისე მტკივნეული იყო უკრაინისა და ბელორუსიის სოციალ-დემოკრატიისათვის, მაგრამ მას ძალზე მტკივნეულად განიცდიდა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, სრულიად ებრალეთა მუშათა კავშირი (ბუნდი), ლატვიის სოციალ-დემოკრატია. საბოლოოდ ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიის ლიდერები უარს არ ამბობდნენ

საერთო-სარუსეთო პარტიაში გაერთიანებაზე, მაგრამ ითხოვდნენ გარკვეული ავტონომიის შენარჩუნებას და პარტიის აგებას ფედერალურ პრინციპებზე, ე. ი. ითხოვდნენ ეროვნული სოციალ-დემოკრატია არ გაეთანაბრებინათ ველიკოროსიის საგუბერნიო და სამხარეო სოციალ-დემოკრატიულ ორაგანიზაციებთან. ამ მოთხოვნას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა და უპირველეს ყოვლისა, ვ. ლენინმა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის ბრძოლა რომ დაიწყო (1900 წ.) „მესამე დასი" წარმოადგენდა საერთო-ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. „მესამე დასი" და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია არ ჩაბმულან რსდმპ შექმნისათვის დაწყებულ მოძრაობაში. ნ. ჟორდანია წინააღმდეგი იყო არა მარტო მთელი ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან გაერთიანებისა, არამედ მიუღებლად მიაჩნდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის რსდმპ კომიტეტად გამოცხადება.[231] „მესამე დასისა" და კერძოდ ნოე ჟორდანიას პოზიცია ხელს უშლიდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს განეხორციელებინათ თავიანთი გეგმა — ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიის საერთო-სარუსეთო პარტიაში გაერთიანება.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა გეგმები საქართველოში უშუალოდ რსდმპ II ყრილობის წინ და მის შემდგომ ხანებში ზედმიწევნით კარგად განახორციელა რსდმპ კავკასიის კავშირმა.

რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნისა და მოღვაწეობის ისტორიას საბჭოთა ისტორიოგრაფია პოლიტიკური სისტემის მიზნებიდან გამომდინარე აშუქებდა — კავკასიის კავშირის შექმნას დიდმნიშვნელოვან პროგრესულ მოვლენად განიხილავდა.[232] შეიძლებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის ისტორია აღგვედგინა დოკუმენტებისა და მასალების საშუალებით, მაგრამ გამოქვეყნებული დოკუმენტების უმრავლესობაც ტენდენციურადაა შერჩეული და ძირითადად ვ. ლენინის (ბოლშევიკების) პოზიციის დაცვას ისახავს მიზნად. 1905 წელს ლონდონში რსდმპ III ყრილობას წარედგინა ოფიციალური დოკუმენტი „მოხსენება რსდმპ III ყრილობას კავკასიის კავშირის მოღვაწეობის შესახებ 1903-1905 წწ."[233] ეს დოკუმენტი მხოლოდ ქართველი ბოლშევიკების თვალსაზრისს გამოხატავს და ამდენად ობიექტური სურათის აღსადგენად არ გამოდგება. ამასთან მოხსენება მთლიანად არ არის შემონახული, მისი ნაწილი დაკარგულია. ბოლშევიკური (ვ. ლენინის) თვალსაზრისის დაცვის მიზნითაა განხორციელებული დოკუმენტების პუბლიკაციები, რომლებიც ეხება ვ. ლენინისა და გაზეთ „ისკრის" რედაქციის მიმოწერას სოციალ-დემოკრატულ ორგანიზაციებთან

რუსეთში 1900-1903 წლებში, ასევე ვ. ლენინისა და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი რსდმპ ორგანიზაციების მიმოწერა პარტიულ ორგანიზაციებთან.[234] ტენდენციურია ასევე გაზეთ „ისკრაში“ 1903-1904 წლებში რსდმპ კავკასიის კავშირის მოღვაწეობის შესახებ გამოქვეყნებული მასალა. განსხვავებით ზემოთ აღნიშნულისაგან, სანდო დოკუმენტებს წარმოადგენს რსდმპ კავკასიის კავშირის წესდების პროექტი[235] და კავკასიის კავშირის III ყრილობის სტენოგრამა.[236] საკითხის გაშუქებაში გარკვეული დახმარების აღმოჩენა შეუძლია ნ. ჟორდანიას მემუარებს.[237]

მას შემდეგ, რაც თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კომიტეტები რსდმპ კომიტეტებად გამოცხადდა, ძნელი აღარ იყო რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა. ამგვარი კავშირის შექმნას მხარს უჭერდა „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირი“ (გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი) და „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი“ (სომხური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „პროლეტარიატის“ ბანაკი), სოციალ-დემოკრატები: მ. ცხაკაია, ა. ზურაბოვი, ბ. კნუნიანცი, პატიმრობაში მყოფი ი. ჯუღაშვილი და ვლ. კეცხოველი, ასევე რუსეთიდან ხანგრძლივი ვადით თუ დროებით ჩამოსული სოციალ-დემოკრატები. რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნისათვის მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინირება ხდებოდა გაზეთ „ისკრის“ რედაქციაში.

„მესამე დასი“ და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია, როგორც აღვნიშნეთ, წინააღმდეგნი იყვნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან შერწყმისა. თბილისის კომიტეტის რსდმპ კომიტეტად გამოცხადების ამბავს რომ იხსენებს, ნ. ჟორდანია წერს: „ცხადი იყო, რომ ჩვენ (თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია – ვ. გ.) მოვხვდით რუსეთის პარტიაში, არა როგორც რაიონული ორგანიზაცია, არამედ როგორ ადგილობრივი ორგანიზაცია. დამაფიქრა, შემეშინდა იდეოლოგიურათაც არ მიგველო რუსების მთელი პოზიცია, სადაც არ იდგა არც გლეხის საკითხი, არც ნაციონალური, არც ორგანიზაციულ ჩვენის მნიშვნელობით და სხვ. საჭიროა ამ უკანასკნელის აზსნა. ჩვენში ორგანიზაცია შესდგებოდა მხოლოდ მუშებისაგან, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ისინი. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეტებში და რაიონებში. ნივთიერი მხარე მთლიანად აწვათ თავზე მუშებს, რომელნიც „პალუჩკაზე“ იხდიდნენ დადგენილ პარტიულ გადასახადს. რუსეთში კი იყო პირუკუღმა: ორგანიზაცია შედგებოდა ინტელიგენტ-პროპაგანდისტებისაგან. მასა მათ მისდევდა, ფულს შოულობდნენ ინტელიგენტები და მათ ქონდათ ორგანიზაციაში. მუშა არას იხდიდა. ერთი სიტყვით, პარტია იყო ს.-დემ. ინტელიგენტების იმ მიზნით, რომ მუშა ხალხისათვის მიეცა პო-

ლიტიკური შეგნება ცარიზმთან საბრძოლველად. ეს იყო, მაშასადამე, პარტია არა მუშების, არამედ მუშების სასარგებლო, დიამეტრალურად წინააღმდეგი ჩვენი პარტიული წყობისა. ამ მხრით, რუსების სოც.-დემ. აღიარებდა მარქსიზმს, მაგრამ სინამდვილეში, პარტიის წყობაში და მუშაობაში ისინი იყვნენ ნაროდნიკები".[238] ეს არ იყო მარტო ნ. ჟორდანიას პოზიცია, ეს იყო „მესამე დასის" პოზიციაც. ცხადია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ქართული სოციალ-დემოკრატიის ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციის — „მესამე დასის" შერწყმა საფრთხეს უქმნიდა ამ უკანასკნელს. „მესამე დასს" უარი უნდა ეთქვა იდეურ და ორგანიზაციულ პლატფორმაზე. ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები დასთმობდნენ რასმე. მრავლისმეტყველია ისიც, რომ წმინდა ორგანიზაციული საკითხების გარდა, ნ. ჟორდანიას აფიქრებდა საპროგრამო საკითხებიც, კერძოდ, ის, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამაში „არ იდგა გლეხის საკითხი და არც ნაციონალური". ნ. ჟორდანია კარგად ხედავდა, რომ ძალთა განლაგება ქართული სოციალ-დემოკრატიის სასარგებლოდ არ იყო, არც მომავალში შეიცვლებოდა სასიკეთოდ. ამიტომაცმან ჩათრევას ჩაყოლა არჩია: თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის რსდმპ კომიტეტად გამოცხადებას შეეგუა და მოქმედების ახალი ტაქტიკა შეიმუშავა. ნ. ჟორდანიას მემუარებში ვკითხულობთ: „რაკი ასეთი დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და რუსებს შორის, სახიფათოთ მიმაჩნდა ასე ხელაღებით მათ პარტიაში გათქვეფა. მაგრამ რაკი მოხდა, საიჭრო იყო თავისი ხასიათის შენარჩუნება და ცდა ამ მხრით გავლენის მოხდენა თვით რუსებზე".[239] გამოსავალი ნ. ჟორდანიამ იმაში დაინახა, რომ დაუყოვნებლივ შექმნილიყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო: „ამ მიზნის მისაღწევად (რუსეთის სოციალ-დემოკრატიაზე გავლენის მოხდენა — ვ. გ.) საჭირო იყო, პირველყოვლისა, შექმნა საქართველოს ცენტრალურ ორგანოს".[240] ცხადია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანოს შექმნა პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების გეგმებს, საერთოსარუსეთო პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში. ნ. ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებს გ. პლეხანოვმა და ვ. ლენინმა დაასწრეს — წამოაყენეს რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნის იდეა. ამ იდეას მხარი დაუჭირა ქართული სოციალ-დემოკრატიის ნაწილმა, კერძოდ „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირმა". ნ. ჟორდანიას იდეის განხორციელება უპერსპექტივო ჩანდა, ამიტომ მან ჩათრევას ჩაყოლა არჩია და მონაწილეობა მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის დაარსებაში. იქნებ ნ. ჟორდანიას ეგონა, რომ კავკასიის კავშირის შექმნით ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული.

სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო: რსდმპ კავკასიის კავშირში გაერთიანებ „მესამე დასის“ ლიკვიდაციის ტოლფასი აღმოჩნდა. ამ მარცხში ნ. ჟორდანიას ბრალს ვერ დავდებთ. შექმნილ სიტუაციაში „მესამე დასის“ შენარჩუნება მის ძალებს აღემატებოდა.

რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნის ინიციატივა ეკუთვნოდათ რსდმპ თბილისისა და ბაქოს კომიტეტებს. 1903 წლის იანვარში ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ თბილისში და ქართული სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ბრძოლასა“ და სომხურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „პროლეტარიატთან“ შექმნეს კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა I ყრილობის მომწვევი ბიურო. ყრილობის მომწვევი ბიურო დაუკავშირდა რსდმპ ბათუმის კომიტეტს, რომლისაგანაც ყრილობის მოწვევის თაობაზე თანხმობა მიიღო. ყრილობა დაინიშნა 1903 წლის მარტის შუა ან ოციანი რიცხვებისათვის.[241]

რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობა გაიმართა არალეგალურად თბილისში 1903 წლის მარტის შუა რიცხვებში. მას დაესწრო 15 დელეგატი რსდმპ თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტებიდან, ასევე ჭიათურის, ოზურგეთის, გორის, ბიხაილოვის (ხაშურის) სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებიდან, გაზეთების „ბრძოლისა“ და „პროლეტარიატის“ რედაქციებისაგან, აგრეთვე მთელი რიგი აქტიური სოციალ-დემოკრატები.[242] რსდმპ ბაქოს კომიტეტის დელეგატი ყრილობის გახსნის დღეს თბილისში ვერ ჩამოვიდა, ყრილობა მის გარეშე შეუდგა მუშაობას. პირველსავე დღეს გადაწყდა, რომ ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით მოწვეული დელეგატების (რსდმპ თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტები) გარდა, გადამწყვეტი ხმა მიეცათ სათათბირო ხმით მოწვეული დელეგატებისათვის. ბაქოს დელეგატებმა ბაქოდან მხოლოდ ყრილობის ბოლოს წინა სხდომას მიუსწრო. მან სცნო ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და მონაწილეობა მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არჩევნებში.[243]

ამრიგად, რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობის მუშაობაში აღგილი ჰქონდა მთელ რიგ უხეშ დარღვევებს: 1) რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობა შეიკრიბა სამი რეალურად არსებული და აღიარებული კომიტეტის (თბილისის, ბათუმის, ბაქოს) გაერთიანების მიზნით. ამ კომიტეტებს ყრილობის მომწვევი ბიუროდან მინიჭებული ჰქონდათ თითო დელეგატის არჩევის უფლება ერთი გადამწყვეტი ხმით, ე. ი. სულ ყრილობაზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 3 დელეგატი 3 გადამწყვეტი ხმით. ბაქოდან დელეგატი ვერ ჩამოვიდა და ამდენად ყრილობა მუშაობას უნდა შედგომოდა 2 დელეგატით (2 გადამწყვეტი ხმა). რა თქმა უნდა, ამ შემ-

თბილისში ყრილობაზე ლაპარაკიც კი ალარ შეიძლებოდა — იგი უნდა გადადებულიყო. ამ სიტუაციაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ყრილობაზე სათათბირო ხმით მოწვეული 12 დელეგატისათვის მიენიჭებინათ გადამწყვეტი ხმის უფლება. ასე შეგროვდა 14 დელეგატის 14 გადამწყვეტი ხმა. ამრიგად, ფაქტობრივად არსებული და ოფიციალურად აღიარებული რსდმპ ორ კომიტეტს (თბილისას და ბათუმისას) ყრილობაზე ჰქონდა 2 გადამწყვეტი ხმა, ხოლო რამდენიმე სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს (ჭიათურა, ოზურგეთი, გორი, ხაშური), რომელთა არსებობისა და მოღვაწეობის შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცოდა, ყრილობაზე მოწვეულ სოციალ-დემოკრატებთან ერთად — 12 ხმა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რსდმპ ბაქოს კომიტეტის დელეგატი მეორე დღესვე რომ გამოცხადებულიყო ყრილობაზე, ხმების თანაფარდობას იგი ვერ შეცვლიდა: რსდმპ თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტები სულ აგროვებდნენ 3 ხმას, ხოლო დანარჩენი დელეგატები — 12 ხმას. ასე რომ, თეორიულად დასაშვები იყო შემდეგი: რსდმპ თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტების დელეგატები კავკასიის კავშირის შექმნის წინააღმდეგნიც რომ გამოსულიყვნენ, ეს კავშირი მაინც შეიქმნებოდა 12 ხმით 3 ხმის წინააღმდეგ; 2) დელეგატს რსდმპ ბაქოს კომიტეტიდან ყრილობის მუშაობაში ფაქტიურად მონაწილეობა არ მიუღია. იგი დაეთანხმა ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ყრილობის უმთავრესი საკითხი იყო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანების საკითხი. ყრილობამ მიზანშეწონილად სცნო გაერთიანების ფორმად მიეღოთ რუსეთში უკვე არსებული, პრაქტიკულად დანერგილი ფორმა — კომიტეტების კავშირი. ამ პერიოდისათვის უკვე არსებობდა რსდმპ ჩრდილოეთის კავშირი, რსდმპ ურალის კავშირი, რსდმპ ციმბირის კავშირი.[244] ამჯერად ვ. ლენინი და გ. პლეხანოვი ახალ ექსპერიმენტს ატარებდნენ: ველიკორუსული რეგიონების გამოცდილება გადაჰქონდათ კოლონიურ ქვეყნებში.

ყრილობაზე დიდი პოლემიკა გამოიწვია რსდმპ კავკასიის კავშირის საორგანიზაციო წესდებამ. ვ. ლენინის მიერ წამოყენებული პარტიის აგების ე. წ. „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპის წინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანია. იგი მოითხოვდა, რსდმპ კავკასიის კავშირი შექმნილიყო „ფართო დემოკრატიული პრინციპის“ საფუძველზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ რსდმპ ადგილობრივ ორგანიზაციებს (კომიტეტებს) უნდა ჰქონოდათ აუტონომია.[245] ყრილობამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით უარყო ნ. ჟორდანიას წინადადება და მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის საორგანიზაციო წესდება, რომელიც ვ. ლენინის „დემოკრატიული ცენტ-

რალიზმის“ პრინციპის მიხედვით იყო შემუშავებული. ეს წესდება რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა 1903 წლის შემოდგომაზე.[246]

რსდმპ კავკასიის კავშირის წესდების (საორგანიზაციო წესდების) მიღება რუსული სოციალ-დემოკრატიის მიმდევართა დიდი გამარჯვება იყო. ეს გამარჯვება განმტკიცდა პროგრამასთან დაკავშირებით ყრილობის გადაწყვეტილებით. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ რსდმპ ყრილობის მიერ პროგრამის მიღებამდე რსდმპ კავკასიის კავშირი იხელმძღვანელებდა „ისკრისა“ და „ზარიას“ მიერ შემუშავებული რსდმპ პროგრამის პროექტით.[247]

ყრილობამ მიიღო რსდმპ II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის წინადადება ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესახებ. რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ თუ რსდმპ II ყრილობაზე დელეგატებს აირჩევდა რსდმპ კავკასიის კავშირი, მაშინ მას ექმნებოდა 2 გადამწყვეტი ხმა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დელეგატებს აირჩევდნენ კავშირში შემავალი კომიტეტები, მაშინ თითოეულ კომიტეტს ექნებოდა 2 გადამწყვეტი ხმა. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, რსდმპ II ყრილობის დელეგატები აირჩიეს თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტებმა — თითო დელეგატი ორ-ორი გადამწყვეტი ხმით.[248]

რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობამ მიიღო დადგენილება სოციალ-დემოკრატიული გაზეთები „ბრძოლა“ და სომხური „პროლეტარიატი“ გაერთიანებინათ საერთო სახელწოდებით. ქართულ ენაზე გაზეთი გამოვიდოდა „პროლეტარიატის ბრძოლის“ სახელით, სომხურ ენაზე კი – „პროლეტარიატი კრივ“. შემდეგში რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო რუსულ ენაზეც გამოვიდა — გაზეთი „ბორბა პროლეტარიატა“.[249]

რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობამ აირჩია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი 9 წევრის შემადგენლობით: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე წულუკიძე, მიხა ცხაკაია, დიომიდე თოფურიძე, მიხეილ ბოჭორიძე, არშაკ ზურაბოვი, ბოგდან კნუნიანცი.[250] რსდმპ კავკასიის კავშირის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ი. ჯუღაშვილი, მ. დავითაშვილი, ნ. ალაყვალოვა, ვ. ბობროვსკი, დ. პოსტოლოვსკი, ს. შაუმიანი, ა. ზუმარიანი, ს. ხანონიანი, პ. ჯაფარიძე.[251]

ყრილობის დადგენილებით, კომიტეტის 9 წევრიდან სამი მაინც თბილისში უნდა ყოფილიყო, როგორც კომიტეტის ბეჭდვითი ორგანოს რედაქციის ბიურო. ბიუროს მოვალეობას შეადგენდა ურთიერთობა კავშირში შემავალ კომიტეტებთან (ორგანიზაციებთან), რსდმპ II ყრილობის

მომწვეც საორგანიზაციო კომიტეტთან და საერთოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან.[252]

ნოე ჟორდანიას დამსახურებას წარმოადგენდა ის, რომ რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობამ მიიღო დადგენილება შეემუშავებინათ რსდმპ კავკასიის კავშირის პროგრამის პროექტი და განსახილველად წარედგინათ კავშირის უახლოესი ყრილობისათვის.[253] ნ. ჟორდანია გამოდიოდა იქიდან, რომ საკუთარი პროგრამა ავტონომიის შენარჩუნების ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტი იყო, თუმცა პროგრამისა და წესდების ფორმალური არსებობა კი არ იყო მთავარი, არამედ მათი შინაარსი. თუ რსდმპ ლიდერები კავკასიის კავშირის წესდების არსებობას მაინც შეურიგდნენ, ვერაფრით ვერ შეირგებოდნენ კავშირის პროგრამის არსებობას. ეს ეწინააღმდეგებოდა მათ გეგმებს. ნ. ჟორდანიას მეორე მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენდა ის, რომ ყრილობამ კავკასიის კავშირის პროგრამის პროექტის შემუშავება მასვე მიანდო. ნ. ჟორდანია იგონებს: „მომანდვეს დამეწერა პარტიული პროგრამის პროექტი, როგორც ადგილობრივი, ისე სარუსეთო მასშტაბით“.[254]

ნ. ჟორდანიამ გადაწყვიტა ესარგებლა ამ შემთხვევით და სწრაფად შეუდგა პროგრამის პროექტის შემუშავებას: „განჯაში დაბრუნებისას (აქ იმყოფებოდა ნ. ჟორდანია გადასახლებაში — ვ. გ.) შევუდექი ამ მუშაობას და რამდენიმე კვირაში დავამთავრე. პროგრამა იყო გვარიან ვრცელი — დემოკრატიული რესპუბლიკა, დემოკრატიის ბატონობა, მთელი პროგრამის მინიმუმი მუხლებად დაყოფილი. ნაციონალურ საკითხში მჭონდა წამოყენებული ასეთი მუხლი: „ამიერკავკასიის თვითმართველობა პარლამენტით თფილისში“. შემდეგ ეს მუხლი დაყოფილია მისი კომპეტენციის და მუშაობის განსაზღვრით“.[255] ნ. ჟორდანიას მიერ შემუშავებული პროგრამა ყოვლად მიუღებელი იქნებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის. იგი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა გაზეთ „ისკრის“ მიმართულებას და პირადად ვ. ლენინისა და გ. პლეხანოვის შეხედულებებს.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ისარგებლა იმით, რომ ნ. ჟორდანია ემიგრაციაში წავიდა და პროგრამის პროექტი მის გარეშე განიხილეს. პროექტი უარყოფილ იქნა.[256] სამაგიეროდ, შემუშავდა კავკასიის კავშირის პროგრამის ახალი პროექტი, რომელიც „ისკრისა“ და „ზარიას“ პროექტების მიხედვით იყო შედგენილი.[257] თუმცა რსდმპ კავკასიის კავშირს ეს პროგრამა არ წარუდგენია რსდმპ II ყრილობაზე — უფრო მეტიც, იგი არც რსდმპ კავკასიის კავშირის მომდევნო ყრილობას დაუმტკიცებია.[258]

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ინიციატივის 1903 წლის მაისის დამდეგს ქუთაისში გაიმართა დასავლეთ საქართველოს სოციალ-

დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელსაც კავშირის კომიტეტის ორი წევრიც დაესწრო.[259] კონფერენციაზე გადაწყდა ქუთაისში შექმნათ ორი კომიტეტი: ქუთაისის კომიტეტი (ქალაქის მუშათა და ხელოსანთა, ასევე ჭიათურისა და ტყიბულის მუშათა შორის სამუშაოდ) და იმერეთის კომიტეტი (იმერეთის სოფლის მოსახლეობაში სამუშაოდ). კონფერენციაზე გადაწყდა: რსდმპ ბათუმის კომიტეტის გვერდით შეექმნათ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი გურიის სოფლების მოსახლეობაში სამუშაოდ. ბათუმში რსდმპ გურიის კომიტეტი დარსდა კონფერენციის დამთავრებამდე ერთი კვირის შემდეგ. რაც შეეხება ქუთაისისა და იმერეთის კომიტეტებს, ისინი ერთი თვის შემდეგ მთელი რიგი მიზეზების გამო (უმთავრესად კონსპირაციული მოსაზრებით), გაერთიანდა ერთ კომიტეტად. ასე შეიქმნა რსდმპ იმერეთის კომიტეტი. ორი თვის შემდეგ, როცა სამეგრელოში გლეხთა მოძრაობა გაძლიერდა და რსდმპ იმერეთის კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ სამეგრელოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, იმერეთის კომიტეტს ეწოდა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი.[260]

რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტმა (იგივე რსდმპ გურიის კომიტეტი) იმთავითვე ენერგიული მოღვაწეობა გააჩაღა. 1903 წელს შემუშავებულ იქნა რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტის წესდება.[261]

უკვე 1903 წლის შუა ხანებისათვის, რსდმპ II ყრილობის წინ, საქართველოში არსებობდა რსდმპ თბილისის, ბათუმის, გურიის სოფლის მუშათა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტები.

რსდმპ კავკასიის კავშირმა რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისაგან დაკისრებული მისია წარმატებით შეასრულა — საქართველოში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რაიმე სერიოზული გართულების გარეშე შეერწყნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

§5. სოციალ-დემოკრატია და მუშათა მოძრაობა XIX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულიდან 1903 წლის შუა ხანებამდე

ქართული სოციალ-დემოკრატია იდეური და ორგანიზაციული გაერთიანებიდან კარგა ხნის შემდეგ დაუკავშირდა მუშათა მოძრაობას. ამაში არაბუნებრივი არაფერი ყოფილა: სოციალ-დემოკრატია ალმოცენებისთანავე ვერ დაუკავშირდა მუშათა მოძრაობას თუნდაც კონსპირაციული მოსაზრე-

ბების გამო. კავშირი ნელ-ნელა, მრავალი სირთულის გადალახვის შემდეგ უნდა დამყარებულიყო.

„მესამე დასის“ მეორე კონფერენციამ დაადგინა: „პრაქტიკული მუშაობის დაწყება“, რაც გამოიხატებოდა იდეოლოგიურ მუშაობასთან ერთად ორგანიზაციების დაარსებაში, პირველ ყოვლისა, თბილისში“.[262] მიუხედავად ამ დადგენილებისა, არც 1893 წელს და არც მომდევნო წლებში კავშირი სოციალ-დემოკრატიასა და მუშათა მოძრაობას შორის არ ჩანს.

1894 წლის 19 თებერვალს, თბილისში ცხენის რკინიგზაზე (კონკა) მუშებმა პავლე ბადალოვმა და გიორგი დუბინოვმა (ჩიბინაშვილი ან ჩუბინიძე — ვ. გ.), ასევე ყოფილმა კონდუქტორმა სიმონ სიმონიანცმა მოაწყვეს გაფიცვა.[263] მართალია, თბილისის პოლიცმეისტერმა გამოძიებით დაადგინა, რომ ცხენის რკინიგზის კონდუქტორებს ჰქონდათ თავიანთი ორგანიზაცია ე. წ. „ანონიმური საზოგადოება“, მაგრამ როგორც ძიების მასალებიდან ჩანს, გაფიცვა წმინდა ეკონომიური ხასიათისა იყო, მისი ორგანიზატორები მუშები იყვნენ, რომელთაც კავშირი სოციალ-დემოკრატებთან არ ჰქონდათ.[264]

1894 წლის თებერვალში თბილისის ცხენის რკინიგზაზე მომხდარი გაფიცვის შემდეგ ჟანდარმერია მკაცრად ადევნებდა თვალყურს თბილისში გადმოსახლებულ პოლიტიკურებს: ვ. კურნატოვსკის, ი.-ს კიევსკის, პ-მ. რიხლოვსკის, ა. ლანგე-პოზდეევს, ი. ზავრიევს, გ. ტუმიმს, ა. ნიკიტინს, ო. კოგანს, ი. ლუზინს, ი. ლევაშკევიჩს და სხვ. მიუხედავად ამისა, თბილისის ბოზარჯიანცის თამბაქოს მუშების გაფიცვაში (1894 წ. 18 ივლისი), ისევე როგორც ენფინჯიანცის თამბაქოს მუშების გაფიცვასა (1897 წ. 28 ივნისი), საფაროვის, ბოზარჯიანცის და „მირის“ თამბაქოს ფაბრიკების მუშების გაფიცვებში (1897 წ. სექტემბერი) და ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშების გაფიცვაში (1898 წ. 14-21 დეკემბერი) ჟანდარმერიამ სოციალ-დემოკრატების რაიმე ფორმით მონაწილეობა ვერ დაადასტურა. ჟანდარმერიამ დაწერილებით გამოიკვლია 1899 წლის 21 მარტს თბილისში ცხენის რკინიგზაზე მომხდარი გაფიცვა, მაგრამ სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის კვალს ვერც ამჯერად მიაკვლია. გაფიცვა წმინდა ეკონომიურ ხასიათს ატარებდა და თვით მუშების მიერ იყო ორგანიზებული.[265]

ცხადია, ამ პერიოდში (1894-1899 წწ.) სოციალ-დემოკრატები თბილისში აქტიურად მოღვაწეობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში არსებულ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, მიმდინარეობდა მუშათა მოწინავე ნაწილის პოლიტიკური დონის ამაღლება, მაგრამ სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ ვერ გეევლინებიან გაფიცვების ორგანიზატორებად. გაფიცვები წმინდა მუშური ხასიათისა იყო.

მუშათა მოძრაობასთან სოციალ-დემოკრატების კავშირი, სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელი როლი უეჭველად დასტურდება 1899 წლის მაისობის დროს. ამ პოლიტიკურ აქციაში, რომელიც 1899 წლის 19 აპრილს გაიმართა, თბილისიდან ცოტა მოშორებით, სამოცდაათი მუშა მონაწილეობდა. 1900 წლის 23 აპრილს თბილისიდან მოშორებით, მლაშე ტბების რაიონში მაისობაზე შეიკრიბა 400 კაცამდე. შეკრებილებს თან ჰქონდათ წითელი დროშა, ასევე კ. მარქსის, ფ. ლასალის და ფ. ენგელსის პორტრეტები. ტრანსფარანტებზე ქართულად, რუსულად და სომხურად ეწერა: „გაუმარჯოს 8 საათიან სამუშაო დღეს!“ მიტინგზე მთავარი აგიტატორის (მომხსენებლის) როლში გამოვიდა გიორგი ყარაჯევი. ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატიებიდან მიტინგს ასევე ესწრებოდა სეკერიან ჯულელი, მუშებიდან – ზაქარია ჩოდრიშვილი, გიორგი ნინუა და გიორგი თხელიძე.[266] 1901 წლის 22 აპრილს ორი ათასამდე მუშა უკვე არა ქალაქგარეთ, არამედ თბილისში აწყობს პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციას – მაისობას. ეს იყო სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით მოწყობილი ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ღონისძიება.[267] ცხადია, სოციალ-დემოკრატების დამსახურება იყო ის, რომ დემონსტრაციაზე მუშებს მოჰქონდათ ფ. ლასალის, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის პორტრეტები. 22 აპრილის დემონსტრაციის საქმე ჟანდარმერიამ დიდი გულმოდგინებით გამოიძია. ძიების მასალებიდან აშკარა ხდება, რომ დემონსტრაციას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, მას სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ.[268] საპირველმაისო დემონსტრაციამ თბილისში 1901 წელს აშკარა გახადა როგორც მუშათა პოლიტიკური შეგნების ზრდა, ისე სოციალ-დემოკრატთა გავლენის გაძლიერება მუშათა კლასში.[269]

ერთ-ერთი პირველი სოციალ-დემოკრატი, ვინც მუშათა გაფიცვების ორგანიზებას ცდილობდა, იყო ვლადიმერ (ლადო) კეცხოველი. 1900 წლის 1 იანვარს დაიწყო თბილისის ცხენის რკინიგზის (კონკის) მუშების გაფიცვა. გაფიცვის ორგანიზატორი იყო ვლ. კეცხოველი. ამ გაფიცვის შემდეგ ვლ. კეცხოველი იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო.[270]

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის იდეური და ორგანიზაციული განმტკიცების პარალელურად იზრდება სოციალ-დემოკრატების გავლენა საზოგადოებაში, განსაკუთრებით მუშათა კლასში. სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ სათავეში ჩაუდგომოდნენ მუშათა მოძრაობას, მიეცათ მისთვის ორგანიზებული ხასიათი. 1900 წლის ივლის-აგვისტოში თბილისს გადაუარა გაფიცვების ტალღამ. 1900 წლის 20 ივლისს გაფიცა დაიწყო ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, 26 ივლისს გაიფიცნენ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშები, 2 აგვისტოს – კა-

რაპეტოვის მექანიკური ქარხნისა, 9 აგვიტოს — საფაროვის ფეხსაცმლის ფაბრიკისა.[271] 4 აგვიტოს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უკვე ხელთ ჰქონდა სია იმ პირებისა, რომელთაც ბრალი ედებოდათ იარალოვის ქარხანაში აგიტაციასა და გაფიცვის ორგანიზებაში.[272] 10 აგვიტოს კი უკვე დადგენილი იყო ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკასა და საფაროვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში გაფიცვის ორგანიზატორთა ვინაობა.[273] ბოზარჯიანცის ფაბრიკაში გაფიცვის ორგანიზება ბრალად ედებოდა: ვანო მანჯავიძეს, დავით არხიმანდრიტოვს, ბაგრატ ვართანოვს, ეგორ გიორგაშვილს, დათა ალდგომელაშვილს, მიხეილ პოპოვს, ბაგრატ მამასახლისოვს, ვანო მამულაშვილს, არტემ ლითანოვს; საფაროვის ფაბრიკაში — მნაცაკან ახნაზაროვს, შაქრო ნასყიდაშვილს, დათიკო ჭუთათელაძეს, გიგო აკოპოვს.[274] გაფიცვის ორგანიზატორთაგან ვ. მანჯავიძე და ვ. მამულაშვილი სოციალ-დემოკრატები იყვნენ.

1900 წლის ივლისში ჟანდარმერიას შეუტყვია, რომ გამოსვლა მზადდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. 20 ივლისს ჟანდარმერიას დადგენილი ჰქონდა გამოსვლის მზადებაში შემჩნეული შვიდი პიროვნება: სერგო ალილუევი, ლავრენტი სამჭკუაშვილი, ვასილ ბაჟანოვი, ნიკოლოზ ვიბორგინი, ტატარინოვი, მაჩაბელი და სამუელ რაბინოვიჩი.[275] ს. ალილუევი იმხანად უკვე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მოღვაწე იყო. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშების გაფიცვა ორგანიზებულად დაიწყო. 1900 წლის 3 აგვიტოს 2265 მუშიდან სამუშაოდ გამოცხადდა 257. გაფიცვა გაგრძელდა შემდეგ დღეებშიც.[276] 6 აგვისტოს დაიწყო გაფიცული მუშების დაპატიმრება, სულ დააპატიმრეს 400 კაცამდე.[277] ცხადია, დაპატიმრებულები გაფიცვის ყველაზე აქტიური მონაწილენი იყვნენ. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ სოციალ-დემოკრატი მუშები: რაჟდენ სტურუა, სოლომონ ესაკია, სერგო ალილუევი, ნიკოლოზ ერიკოვი, პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე, მიხეილ გურეშიძე, მარკოზ თხელიძე, მიხეილ ვაშაკიძე და სხვ. 9 აგვისტოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან ჟანდარმერიას აცნობეს, რომ მემანქანეთა თანაშემწეების გაფიცვის ორგანიზებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ავგუსტ მალინოვსკიმ და კალისტრატე გოგუამ.[278] კალისტრატე გოგუა ქართველი სოციალ-დემოკრატების პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1901 წლის 22 აპრილს თბილისის ქუჩებში გაიმართა მუშათა დემონსტრაცია. დემონსტრაციის მონაწილენი დააპატიმრეს. ჟანდარმერიამ დაადგინა, რომ მუშათა გამოსვლის ორგანიზატორები იყვნენ არტემ ფირცხალავა, ლევან გოგიბერიძე, ილარიონ კოპალეიშვილი, თევდორე შმიკოვი, სარდიონ შენგელია, დავით ხართიშვი-

ლი, რომან ალშვესკი და გიორგი ჩხეიძე.[279] ი. კოპალეიშვილი, ს. შენგელია, დ. ხართიშვილი, გ. ჩხეიძე ასევე ქართველ სოციალ-დემოკრატ მუშათა პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. 1901 წლის 22 აგვისტოს თბილისის ქუჩებში კვლავ გაიმართა მუშათა დემონსტრაცია. დააპატიმრეს 36 კაცი, მათ შორის სოციალ-დემოკრატები: სარა ფილკენშტეინი, ნინა ნოსარი, ალექსანდრე შაკოლი, არაქელა ოქუაშვილი.[280] 1901 წლის 6 აგვისტოს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს დადგენილი ჰქონდა, რომ რკინიგზის მუშებში აგიტაციას ეწეოდნენ სოციალ-დემოკრატები კალისტრატე გოგუა და ლუკა ტერპილო.[281] ჟანდარმერიას დადგენილი ჰქონდა აგრეთვე, რომ პროკლამაციებს ავრცელებდა და ბეჭდავდა სოციალ-დემოკრატი მიხეილ ბოჭორიძე.[282] პროკლამაციების შეძენა და დაბეჭდვა ედებოდა ბრალად კალისტრატე გოგუასა და დავით ხართიშვილსაც.[283]

დიდი ხნის ძიების შემდეგ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს 1901 წლის 3 ოქტომბრისათვის დადგენილი ჰქონდა, რომ 1900-1901 წლებში თბილისის სტამბის მუშების გამოსვლების ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატები: ნესტორ ცერცვაძე, ვლასა მგელაძე, ერასტი ჩანტლაძე, ვლადიმერ რომეიჩ-ბელეიჩი, ნიკოლოზ ფლეგენტოვი, რომან ალშვესკი და სხვ.[284]

სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობამ მალე გამოიღო შედეგი. მუშები უკვე აშკარად თანაუგრძნობდნენ სოციალ-დემოკრატებს, არ ერიდებოდნენ პოლიციასთან და ჯართან შეტაკებასაც კი. 1903 წლის 7 ივნისს გადასახლებაში აგზავნიდნენ ცნობილ სოციალ-დემოკრატებს სილიბისტრო ჯიბლაძესა და ვასილ (ვასო) ცაბაძეს. ამ დღეს თბილისის რკინიგზის სადგურზე მსჯავრდებულთა თანაგრძნობის გამოცხადების მიზნით შეკრიბნენ თბილისელი მუშები.[285] მიუხედავად იმისა, რომ 1903 წლის 7 ივნისს თბილისის რკინიგზის სადგურზე მისული მუშები დააპატიმრეს, სულ მალე 1 ივლისს თბილისის სადგურზე ამჯერად უკვე ციმბირის გადასახლებაში მიმავალი ვლასა მგელაძის, ერასტი ჩანტლაძის, გიორგი ვარდოიანცისა და გიორგი ყარაჯევისათვის თანაგრძნობის მიზნით მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელშიც 1500-2000 კაცი მონაწილეობდა. მუშების ნაწილი შეიარაღებული იყო. სადგურის ბაქანი ჟანდარმებმა და გოროდოვოებმა ძალის გამოყენებით გაწმინდეს. მუშებმა აღმართეს ორი წითელი დროშა, დაახლოებით ორმოცდაათჯერ გაისროლეს ჰაერში და ქვები დაუშინეს პატიმართა ბაღრაგს.[286]

1903 წლის 14 ივლისს თბილისში დაიწყო მუშათა გაფიცვა. მუშაობა შეწყვიტეს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების, ასევე თოთქმის ყველა დიდი ფაბრიკისა და ქარხნის მუშებ-

შა.[287] ჟანდარმერიამ დაადგინა, რომ გაფიცვა სოციალ-დემოკრატების ორგანიზებული იყო. კერძოდ, გაფიცვა რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. კონკრეტული პირებიდან ბრალი ედებოდათ ივანე ნოსოვს, სოლომონ ვადაჭკორიასა და პროკოფი ჭელიძეს.[288] ჟანდარმერიას ჰქონდა ცნობები, რომ ყოფილი მუშები, საგარეჯოსა და ხაშმის მცხოვრებლები, სოფლებში დადიოდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ გლეხებში, .რათა ისინი თბილისში წასულიყვნენ და 1901 წლის 14-15 ივლისს შეერთებოდნენ მუშებს. აგიტაციისათვის დაპატიმრებულთა შორის იყო სოციალ-დემოკრატი მუშა სარდიონ ჭელიძე.[289]

თბილისის გარდა, სოციალ-დემოკრატები მუშათა მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ბათუმშიც.

მუშათა პირველი მღელვარება ბათუმში, რომელმაც ჟანდარმერიის ყურადღება მიიპყრო, 1898 წლის აგვისტოში აღინიშნა. კასპია-შაჲი ზღვის ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობისა და სავაჭრო კომპანიის (იგივე როტშილდის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის) მუშებმა ხელფასთან დაკავშირებით მოთხოვნები წაუყენეს ქარხნის ადმინისტრაციას. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ როტშილდის ქარხანაში მომხდარი ინცინდენტი დაწვრილებით გამოიძია. ძიების მასალებიდან დგინდება: 1) მუშათა გამოსვლა წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე დაიწყო; 2) პოლიტიკური ძალა, მათ შორის სოციალ-დემოკრატები, გაფიცვასთან კავშირში არ ყოფილან.[290]

1899 წლის აგვისტოსში ქარხნის მუშებმა ისევ წაუყენეს მოთხოვნები ადმინისტრაციას. ამჯერად მუშებმა თხოვნა გადასცეს კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს.[291] მუშათა მოთხოვნების შემუშავების მოთავე იყო მუშა ნესტორ ქავთარაძე. ჟანდარმერიამ დაადგინა იმ მუშების ვინაობა, რომლებიც მოთხოვნების შემუშავებისას აქტიურობდნენ. ესენი იყვნენ: პავლე კილასონია, ნესტორ ანთელავა, კოსტა ოსიფაშვილი, ონისიმე გაბედავა, ტაგუ კილასონია და მიხო ჩილაჩავა.[292] ძიების მასალებიდან ჩანს, რომ გაფიცვა ამჯერადაც წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე დაიწყო და სოციალ-დემოკრატები რაიმე როლს არც ამ შემთხვევაში თამაშობდნენ.[293]

1902 წელს ბათუმის მუშათა მოძრაობის დიდი აღმავლობა დაკავშირებულია იოსებ ჯუღაშვილის სახელთან. 1901 წლის დამლევიდან ი. ჯუღაშვილი ბათუმშია და კავშირს ამყარებს მოწინავე მუშებთან: მ. გაბუნიასთან, ი. დარახველიძესთან, ს. თოდრიასთან, კ. კალანტაროვთან, პ. ლომჯარიასთან, ს. ლომჯარიასთან, პ. ჭურიძესთან და სხვებთან. სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ბათუმში ფართო მასშტაბებს იღებს. სულ მალე სოციალ-დემოკრატები სათავეში უდგებიან მუშათა მოძრაობას.

იოსებ ჯუღაშვილთან ერთად ბათუმში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობასა და მუშათა გამოსვლების ორგანიზებაში დიდი დამსახურება მიუძღვით კარლო ჩხეიძესა და ისიდორე რამიშვილს.[294]

1901 წლის 26 თებერვალს როტშილდის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ორი კვირის შემდეგ ე. ი. 12 მარტს დაითხოვდა 389 მუშას. ამის საპასუხოდ 27 თებერვალს ქარხანაში დაიწყო გაფიცვა. 28 თებერვალს, 1 და 2 მარტს ქარხნის ადმინისტრაციამ სცადა მუშებთან მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. 3 მარტს გაფიცული მუშების ნაწილი შეხვდა ჭუთაისის სამხედრო გუბერნატორს გენერალ-მაიორ სმაგინს, მაგრამ 4 მარტს მუშაობა მაინც არ იქნა განახლებული. ამის საპასუხოდ გენერალ-მაიორმა სმაგინმა გაფიცული მუშების მოთავეები დააპატიმრებინა. 8 მარტს ღამით დაპატიმრებული იქნა 30 მუშა. 8 მარტს შუადღით ბათუმის პოლიციის სამმართველოსთან თავი მოიყარა დახლოებით 300 მუშამ და მოითხოვა დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლება. უარის შემდეგ 9 მარტს მათ ძალის გამოყენებით სცადეს დაპატიმრებულთა (400 კაცამდე) გათავისუფლება. ჯარსა და პოლიციასთან შეჯახების დროს დაიღუპა 13 მუშა, დაიჭრა 19, მათ შორის 3 სასიკვდილოდ, დაიჭრა ერთი დაბალი ჩინის სამხედრო და ერთი პოლიციელი. ხელისუფლებამ ბათუმში სასწრაფოდ გაგზავნა კაზაკთა ორი ასეული და ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი.[295] ბათუმის მუშათა გამოსვლას 1902 წლის მარტში სოციალ-დემოკრატები ედგნენ სათავეში. ხელმძღვანელ როლს ასრულებდა იოსებ ჯუღაშვილი. როგორც დგინდება, ი. ჯუღაშვილის ხელმძღვანელი როლი მარტო მუშათა მოთხოვნების შედგენით არ ამოიწურებოდა. იგი პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა მუშათა გამოსვლებს 1902 წლის 8 და 9 მარტს. გამოიძიებამ დაადგინა, რომ 9 მარტს დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლების მიზნით ბათუმის პოლიციის სამმართველოსთან მისულ მუშებს იოსებ ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა.[296] რეპრესიებმა ვერ შეაფერხა საგაფიცვო მოძრაობა. 11 მარტს როტშილდის ქარხანაში გაფიცული იყო 900 მუშა, ხაჩატრიანცის ქარხანაში — 2, სიდერიდის ქარხანაში — 200.[297] 12 მარტს მოეწყო 9 მარტს დალუპული მუშების დაკრძალვა. სოციალ-დემოკრატების თაოსნობით ამ დღეს ბათუმში მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც 5 ათასი კაცი მონაწილეობდა.[298] 1902 წლის მარტის გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაცია ბათუმში მუშათა მასებში სოციალ-დემოკრატთა ზრდის მაჩვენებელი იყო.[299]

1902 წლის მარტის ამბების შემდეგ ხელისუფლებამ ბათუმის ბევრი აქტიური მუშა დააპატიმრა, ძლიერი დარტყმა განიცადა რსდმპ ბათუმის ორგანიზაციამ. მიუხედავად ამისა, მუშათა გამოსვლები დიდი ხნით

არ შეწყვეტილა. 1902 წლის 15-17 ოქტომბერს კასპია-შავი ზღვის ამხანაგობის ქარხნის მუშებმა მოთხოვნები წაუყენეს ქარხნის ადმინისტრაციას. 28 ოქტომბერს მუშებმა უარი მიიღეს მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. 29 ოქტომბერს ქარხანაში გაფიცვა დაიწყო. ქარხნის ადმინისტრაციამ სცადა დაეყოლიებინა მუშები, მაგრამ ამაოდ — 30 ოქტომბერს გაფიცულთა რიცხვი გაიზარდა. გაფიცვასთან დაკავშირებით 31 ოქტომბერს ბათუმში ჩავიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და საოლქო სასამართლოს პროკურორი.[300] 1902 წლის 10 და 11 დეკემბერს როტშილდის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშებმა აიძულეს მუშაობა შეეწყვიტათ მანთაშევის, ხაჩატრიანცისა და სხვ. ქარხნების მუშებს.[301] 1902 წლის აპრილიდან 1903 წლის აპრილამდე ბათუმში მუშათა 30 გაფიცვას ჰქონდა ადგილი.[302]

1903 წლის იანვარი ბათუმში აღინიშნა ახალი გაფიცვით. 25 იანვარს ბუნიატ-ოღლის თამბაქოს ქარხნის მუშებმა უარი თქვეს მუშაობის დაწყებაზე. 27 იანვარს გაფიცული მუშები გამოიძახეს პოლიციის სამმართველოში, მაგრამ მუშაობის განახლებაზე ვერ დაიყოლიეს.[303] 1903 წლის 7 მარტს გაფიცვა დაიწყეს მანთაშევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშებმა. გაფიცული მუშები დანარჩენ მუშებსაც მრუწოდებდნენ შეერთებოდნენ გაფიცვას.[304] 8 მარტისათვის ხელისუფლებას ბათუმში გაძლიერებულ მზადყოფნაში ჰყავდა პოლიცია და ჯარი.[305] გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერა მუშათა მოძრაობის აღმავლობა. 9 მარტს ბათუმის ცენტრში გაიმართა მუშათა დიდი დემონსტრაცია ლოზუნგით „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ პოლიციამ დემონსტრანტების დაპატიმრება ვერ შეძლო.[306] როგორც ჩანს, ჟანდარმერიას ჰქონდა ცნობები იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი იყო მუშთა გამოსვლების გაძლიერება. 10 მარტს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე ბათუმის ოლქში გენერალ-მაიორი დრიაგინი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სთხოვდა ბათუმში კაზაკთა ნაწილის გაგზავნას.[307] ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა გაფიცვების აღკვეთის მიზნით, მაგრამ უშედეგოდ. პირიქით, 14 მარტს გაიფიცა მანთაშევის ნავთობგადამამუშავებელი ორი ქარხანა, რომლებშიც 1500 კაცი მუშაობდა. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების გაფიცვის გამო სამუშაოები შეწყდა ბათუმის პორტში, უმუშევარი დარჩა 800 მუშა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ითხოვდა ბათუმში კაზაკთა ასეულის გაგზავნას.[308] 14 მარტს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე ბათუმის ოლქში გენერალ-მაიორი დრიაგინი კვლავ ითხოვდა ბათუმში კაზაკთა ასეულის გაგზავნას.[309] გენერალ დრიაგინს შეშფოთების მიზეზი ჰქონდა: 15 მარტს გაიფიცნენ ხაჩატრიანცის ქარხნის მუშები.[310] 1903 წლის მარტის მეორე ნახევარსა და

აპრილის პირველ ნახევარში ბათუმში მუშათა გაფიცვები არ შეწყვეტილა. 14 აპრილს ქალაქის ცენტრში დემონსტრაცია მოაწყო 600-700 მუშამ. დემონსტრაციები კაზაკთა ძალებით დაშალეს.[311] 21 აპრილს შეკახება ჰქონდა ბათუმის პორტის დღიურ მუშებსა და კაზაკებს.[312]

ბათუმის მუშათა გაფიცვები გრძელდებოდა შემდგომ თვეებშიც. 1903 წლის 17 ივლისს სოციალ-დემოკრატების, კერძოდ რსდმპ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიწყო ქალაქის თითქმის ყველა საწარმოს გაფიცვა. 17 ივლისსავე ქალაქში ჯარის ნაწილები იქნა შეყვანილი. 18 ივლისს დაიწყო საყოველთაო გაფიცვა.[313] 1903 წლის 17-21 ივლისის გაფიცვის საქმის ძიებისას ხელისუფლება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაფიცვა პოლიტიკური ხასიათისა იყო და გარეშე ძალის მიერ იყო ორგანიზებული.[314] დადგენილი იქნა გაფიცვის ორგანიზატორთა ვინაობა. მათ შორის თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი იყო. კერძოდ, ძიება გაფიცვის ორგანიზებას ბრალად სდებდა სოციალ-დემოკრატებს: იროდიონ თხელიძეს, ანთიმოზ რამიშვილს, ივანე ჭანჭალეიშვილს, კონსტანტინე ჭანჭალეიშვილს, იოსებ კაკაბაძეს, დიომიდე მამფორიას, რომან ივანოვს, მიხეილ კალანდაძეს და სხვ.[315]

მუშათა მოძრაობის აღმავლობა საქართველოში 1899-1903 წლებში გამოწვეული იყო ფაბრიკა-ქარხნებში შექმნილი ვითარებით, მუშათა კლასის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობით. ამასთან ერთად მუშათა მოძრაობისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა, გამოსვლების მაღალ დონეზე ორგანიზება, მუშათა ერთი მიზნისათვის დარაზმვა სოციალ-დემოკრატთა უდავო დამსახურებას წარმოადგენდა.

თავი მესამე.
ქართული სოციალ-დემოკრატია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის პერიოდში. რსდმპ II ყრილობა (1903 წ.)

§1. დამოკიდებულება საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის იდეისადმი. რსდმპ II ყრილობის დელეგატთა არჩევნები

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობა თავიდანვე მზადდებოდა როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა. ყრილობისათვის მზადების წინა პერიოდში (1900-1903 წწ.) მისმა ორგანიზატორებმა (გ. პლეხანოვი, ლ. მარტოვი, ვ. ლენინი, ვ. ზასულიჩი, პ. აქსელროდი, ა. პოტრესოვი და სხვ.) რსდმპ II ყრილობის წინაშე შემდეგი ამოცანები დასახეს: 1) რსდმპ პროგრამისა და წესდების მიღება; 2) რუსეთის იმპერიაში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ორივე საკითხის მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის, მისი მომავლისათვის.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობაზე (1898 წლის 1-3 მარტი) ქართული სოციალ-დემოკრატია წარმოდგენილი არ ყოფილა და ამდენად, ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ გაურკვევიათ თავისი დამოკიდებულება საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის იდეისადმი.[1] ქართული სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები არც რსდმპ II ყრილობის მოწვევის მიზნით შექმნილ საორგანიზაციო ჯგუფში შედიოდნენ.[2]

1901-1903 წლებში რსდმპ შექმნის გზაზე დიდი წარმატება იქნა მოპოვებული. გაზეთი „ისკრა“ დიდი გულმოდგინებით ამზადებდა ნიადაგს საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის. ამ პროცესში ჩართული იყო საქართველოც.[3] კერძოდ, გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი (ი. ჯუღაშვილი და მისი მიმდევრები) თითქმის მთლიანად აღიარებდა გაზეთ „ისკრის“ პლატფორმას.

რსდმპ II ყრილობის წინა ხანებში (1903 წ. გაზაფხულსა და ზაფხულში) თბილისში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, არჩილ დოლიძე, დავით კაპანაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, სიმონ

ჯაფარიძე, ვლადიმერ ბურკაძე, გედეონ ჩიჩუა, სიმონ ტოროშელიძე გრიგოლ პარკაძე, ნოე რამიშვილი, არშაკ ზურაბოვი და სხვ.[4] ჟანდარმერიას ჰქონდა ცნობები, რომ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას თბილისში ხელმძღვანელობდა ს. ჯიბლაძე, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ბათუმელ სოციალ-დემოკრატთა შორისაც. ს. ჯიბლაძესთან ერთად რსდმპ თბილისის კომიტეტის საქმიანობაში წამყვან როლს ასრულებდნენ: ა. დოლიძე, დ. კალანდარიშვილი, ს. ჯაფარიძე და ნ. რამიშვილი.[5] მოწინავე მუშებიდან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და თბილისის დეპოს მუშები: გიორგი მარსაგიშვილი, ივანე დურგლიშვილი, ალექსანდრე საღერიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ესტატე ოკუჯავა, ბიკენტი დავნისოვი, მიხეილ სერგაჩი, ლეონტი ზოლოტარევი, ეგნატე ლუნევსკი, ალფეს ყიფიანი, აბრამ მიქაძე და სხვ.[6] 1903 წლის დამდეგიდან რუსეთიდან საქართველოში ჩამოდი სოციალ-დემოკრატთა ახალი ნაკადი. 1903 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში თბილისში აქტიურად მოღვაწეობდნენ: კლავდია ფრანჩესკი და კიდევ რამდენიმე იმხანად ნაკლებად ცნობილი სოციალ-დემოკრატი.[7] მათთან მჭიდრო კავშირში იყვნენ ევგენია გოლოვჩენკო, ლიდია ლოიკი, დიმიტრი ბლოკი, ილია იუანოვი და სხვ.[8] 1903 წლის 12 მარტს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში შედგა თბილისში მოღვაწე სოციალ-დემოკრატების სია, რომელთა დაპატიმრება ჟანდარმერიას გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა. ამ სიაში შეტანილი იქნენ ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები: ს. ჯიბლაძე, კ. ფრანჩესკი, ა. დოლიძე, დ. კაპანაძე, დ. კალანდარიშვილი, სიმ. ჯაფარიძე, ვ. ბურკაძე, გ. ჩიჩუა, ს. ტოროშელიძე, გ. კაპანაძე, ა. ზურაბოვი, ნ. რამიშვილი, პრ. ჯულელი, სიმ. ჯულელი, დ. ბლოკი, ს. მათეშვილი და სხვები, სულ 35 კაცი; მუშა სოციალ-დემოკრატები: გ. მარსაგიშვილი, ი. დურგლიშვილი, ე. ოკუჯავა, ლ. ზოლოტარევი, მ. სერგაჩი, ა. ყიფიანი, ა. მიქაძე და სხვები, სულ 18 კაცი.[9] 1903 წლის 24-25 მარტს ღამით ჟანდარმერიამ დააპატიმრა 14 სოციალ-დემოკრატი: ს. ჯიბლაძე, ა. დოლიძე, სიმ. ჯაფარიძე, პრ. ჯულელი, სევ. ჯულელი, სიმ. ჯულელი, ს. ახმეტელაშვილი, გ. მარსაგიშვილი, თ. ჩიჩუა, ს. მათეშვილი, ი. ბოლქვაძე, მ. ლიაპინი, ი. იაკიმოვი, ა. ლუნევსკი.[10]

1903 წლის გაზაფხულისათვის, როგორც ჩანს, რსდმპ თბილისის კომიტეტს ფაბრიკა-ქარხნებში და საწარმოებში ორგანიზაციების ფართო ქსელი უნდა ჰქონოდა. ამის შესახებ ცნობები ჟანდარმერიას საკმაოზე მეტი ჰქონდა. თბილისში არსებულ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რაოდენობაზე წარმოდგენას გვაძლევს რსდმპ თბილისის კომიტეტის

საიდუმლო სალაროს 1903 წლის აპრილის ანგარიში. 1903 წლის აპრილის თვეში სალაროს შემოსავალი შეადგენდა 1024 მანეთს და 14 კაპიკს, სულ კი მარტის თვის ნაშთთან ერთად სალაროში იყო 2576 მანეთი და 38 კაპიკი. აპრილის თვის გასავალმა შეადგინა 748 მანეთი და 19 კაპიკი.[11] ეს საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენდა.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის მუშაობას 1903 წლის იანვრიდან კვლავ ხელმძღვანელობდა პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი იოსებ ჯუღაშვილი. 1903 წლის იანვარში რსდმპ ბათუმის კომიტეტში მოხდა განხეთქილება: ი. ჯუღაშვილს ოპოზიციაში ჩაუდგნენ კომიტეტის წევრები. ამ ფაქტთან დაკავშირებით თბილისიდან ბათუმში ჩავიდა სილიბისტრო ჯიბლაძე და დაპირისპირებული მხარეები შეარიგა.[12]

1902-1903 წლებში ჟანდარმერია ყოველ. ღონეს ხმარობდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის კვალის მიგნების მიზნით, მაგრამ ამაოდ. 1903 წლის 27 აპრილს თბილისიდან მიღებული მითითების თანახმად, ბათუმში გაჩხრიკეს სოციალ-დემოკრატების — ალექსანდრე შატილოვისა და ევგენი სოგორაშვილის ბინები, მაგრამ დაპატიმრებისათვის აუცილებელი ნივთმტკიცება ჟანდარმერიამ ვერ იპოვა.[13]

1903 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ბათუმში აქტიურ მუშაობას ეწევიან ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე. მათი როლი განსაკუთრებით გაიზარდა ი. ჯუღაშვილის დაპატიმრებისა და გადასახლების შემდეგ. სწორე ის. რამიშვილისა და კ. ჩხეიძის დამსახურება იყო ის, რომ 1903 წლის მაისში რსდმპ ბათუმის კომიტეტმა რსდმპ II ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „ბათუმის კომიტეტი ამით აცნობებს საორგანიზაციო კომიტეტს, რომ რსდმპ კავკასიის კავშირი შეიქმნა სულ ცოტა ხნის წინ, მას არა აქვს შემუშავებული წესდება, იმყოფება ფორმირების სტადიაში და ამდენად არა აქვს რწმუნება ყრილობაზე წარმოადგენდეს კავკასიის მოძრაობას. მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტიდან კავკასიის კავშირს მინიჭებული აქვს უფლება იყოს წარმომადგენელი მორიგ ყრილობაზე. კავშირის კომიტეტი ჯერჯერობით ტექნიკურ სამუშაოს ხელმძღვანელობს და ამდენად იგი, როგორც პარტიულ საქმეში ოფიციალური წარმომადგენელი, არ არსებობს“.[14]

რსდმპ II ყრილობის მოწვევის იდეისადმი საქართველოში სამი ძალა გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას: პირველი, „მესამე დასი“ ანუ გაზეთ „კვალის“ ბანაკი (ნ. ჟორდანია, ის. რამიშვილი, კ. ჩხეიძე, ს. ჯიბლაძე და სხვ.); მეორე, რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები (ვ. კურნატოვსკი, იპ. ფრანჩესკი და სხვ.); მესამე, „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ — „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავში-

რი", ანუ გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი (ი. ჯუღაშვილი, ვლ. კეცხოველი, ბ. ენუქიძე, გ. თელია და სხვ.).

„მესამე დასი" და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანებისა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები თავდაპირველად არ აღმოცენებულან როგორც რსდმპ ორგანიზაციები. სართალია, „მესამე დასი" ვერ ამაღლდა საერთო-ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიამდე, მაგრამ ეს ორგანიზაცია 1898-1903 წლებში (რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნამდე) ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მთელი საქართველოს მასშტაბით. ართული სოციალ-დემოკრატია ვითარდებოდა როგორც რუსული სოციალ-დემოკრატიისაგან იდეურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი ერთიანობა. ეს იყო „მესამე დასის" პრინციპული ხაზი. ნ. ჟორდანიას სურვილი რომ ჰქონოდა, მას ჯერ კიდევ 1893-1897 წლებში შეეძლო „მესამე დასი" დაეკავშირებინა გ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფთან და ლენინ-მარტოვის „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირთან". ნ. ჟორდანიას ასევე შეეძლო „მესამე დასი" დაეკავშირებინა გაზეთ „ისკრის" რედაქციასთან და აქტიური მონაწილეობა მიეღო რუსეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის დაწყებულ მუშაობაში. ყოველივე ეს ნ. ჟორდანიამ არ გააკეთა იმიტომ, რომ ჯერ ერთი, „მესამე დასი" არ იზიარებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის (გ. პლეხანოვი, ვ. ლენინი, ლ. მარტოვი და სხვ.) თეორიასა და პრაქტიკას, და მეორე, „მესამე დასს" არ სურდა ათქვეფილიყო რუსულ სოციალ-დემოკრატიაში, დაკარგა დამოუკიდებელი ორგანიზაციის სტატუსი. ცხადია, ასეთ ვითარებაში ნ. ჟორდანია და საერთოდ „მესამე დასი" მხარს ვერ დაუჭერდა რსდმპ II ყრილობის მოწვევას, რომლის მიზანი რუსეთის იმპერიაში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორაგანიზაციების გაერთიანება იყო. „მესამე დასის" პოზიცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. სწორედ ამიტომ გ. პლეხანოვი, ვ. ლენინი, ლ. მარტოვი და სხვები არ ცდილან კავშირი დაემყარებინათ „მესამე დასთან". რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა საქართველოში სხვა ძალებზე აიღეს ორიენტაცია.

რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები (ვ. კურნატოვსკი, ია. ფრანჩესკი და სხვ.) ერთმნიშვნელოვნად უჭერდნენ მხარს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანების იდეას. ეს არც იყო მოულოდნელი. XIX

საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან საქართველოში მოღვაწე რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები, ან გ. პლეხანოვის „შრომის გათავისუფლების“ ჯგუფის, ან ვ. ლენინისა და ლ. მარტოვის „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის გათავისუფლების ბრძოლის კავშირის „პლატფორმას იზიარებდნენ და ამდენად, გაზეთ „ისკრის“ მიერ პროპაგანდირებული იდეები მათთვის სავსებით მისაღები იყო.

„რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ —„ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირი“ ანუ გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც გაზეთ „ისკრის“ პლატფორმაზე მდგარი მიმდინარეობა და 1901 წლის სექტემბრიდან დაწყებული ვიდრე რსდმპ II ყრილობის მოწვევამდე (1903 წლის ივლისი) ამ პლატფორმისათვის არ უღალატია. სწორედ ეს მიმდინარეობა თვლიდა აუცილებლად ქართული სოციალ-დემოკრატიის შესვლას რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შემადგენლობაში. მანვე შეასრულა გადამწყვეტი როლი ამ იდეის ხორცშესხმაში. ქართული სოციალ-დემოკრატია რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი უნდა გამხდარიყო, ამის შესახებ სავსებით გარკვევით მიუთითა იოსებ ჯუღაშვილმა გაზეთ „ბრძოლის“ 1901 წლის პირველი ნომრის მოწინავეში — „რედაქციისაგან“ და იმავე წელს „ბრძოლის“ №2-3 გამოქვეყნებულ წერილში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“.[15] ეხება რა გაზეთ „ბრძოლის“ დანიშნულებას, ი. ჯუღაშვილი წერს: „გაზეთი ამავე დროს უნდა იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და თავის დროზე აუწყოს მკითხველებს ყველა ის ტაქტიკური მოსაზრებანი, რასაც ადგია რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტია“.[16] ნაშრომში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ ი. ჯუღაშვილი არც კი გამოჰყოფს ქართული სოციალ-დემოკრატიას რუსეთის სოციალ-დემოკრატიისაგან. ნაშრომის ერთერთ დასკვნაში ვკითხულობთ: „ სოციალ-დემოკრატიას სჭირდება ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, სახელდობრ, სჭირდება ორგანიზაცია პარტიისა, რომელიც შეკავშირებული იქნება მარტო სახელით კი არა, თვით ძირითადი პრინციპებით და ტაქტიკური შეხედულებებით. ჩვენი ამოცანაა ვიმუშაოთ იმ ძლიერი პარტიის შესაქმნელად, რომელიც იქნება აღჭურვილი მტკიცე პრინციპებით და გაუტეხელი კონსპირაციით“.[17]

ზემოთ დასახელებული სამი პოლიტიკური ძალიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „მესამე დასისა“ (გაზეთ „კვალის“ ბანაკის) და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის“ — „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირის“ (გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკის) პოზიციას.

სწორედ მათ იდეურ დაპირისპირებაში უნდა გარკვეულიყო ქართული სოციალ-დემოკრატიის მომავალი.

„მესამე დასისა" (ნ. ჟორდანიას) და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის" — „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირის" (ი. ჯუღაშვილის) დაპირისპირება 1901-1903 წლებში მარტო სოციალ-დემოკრატიის შიგნით არსებული წინააღმდეგობაზით ვერ აიხსნება. არ შეიძლება მისი დაყვანა არც ისკრელებისა და ანტიისკრელების დაპირისპირებამდე, არც მომავალ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის იმთავითვე (1901-1903 წწ.) არსებულ უთანხმოებამდე. ნ. ჟორდანიასა და ი. ჯუღაშვილს შორის არსებული უთანხმოება ძირითადად გაპირობებელი იყო ქართველი ერის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხით.[18] როცა ნ. ჟორდანია „მესამე დასის", როგორც დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, შენარჩუნების იდეას იცავდა და წინააღმდეგი იყო თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რსდმპ ორგანიზაციად გამოცხადებისა, ამით იგი გარკვეულ პოლიტიკურ ორიენტაციას ემხრობოდა. როცა ი. ჯუღაშვილი ქართული სოციალ-დემოკრატიას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და თავგამოდებით იბრძოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანებისათვის, ამით ისიც სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდა. ნ. ჟორდანია და ი. ჯუღაშვილი ქართველი ერის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე მხოლოდ რსდმპ II ყრილობის შემდეგ, კერძოდ, 1904 წელს შეთანხმდნენ. თუ გულდასმით შევადარებთ ერთმანეთს ი. ჯუღაშვილის ნაშრომს „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" (1904 წ.) და ნ. ჟორდანიას „ქართველი ნაციონალისტები" (1904 წ.), აშკარა გახდება ნ. ჟორდანიას მიერ იმ პოლიტიკური ორიენტაციის აღიარება, რომელსაც 1901-1903 წლებში თავგამოდებით იცავდა ი. ჯუღაშვილი.[19] ორივე ქართველი სოციალ-დემოკრატი 1904 წლიდან აშკარად გამოკვეთილ პრორუსულ პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებს. ნ. ჟორდანიასა და ი. ჯუღაშვილის უთანხმოებამ რსდმპ II ყრილობის შემდეგ უკვე სხვა შინაარსი შეიძინა. ეს უთანხმოება მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციათა შორის არსებული დაპირისპირებით იყო გაპირობებული.

1901-1903 წლებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანების მომხრეებმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვეს: პირველი, გაზეთ „ბრძოლის" გამოცემა; მეორე, თბილისისა და ბათუმის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გამოცხადება რსდმპ ორგანიზაციებად; მესამე, რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა. სამივე მო-

ლენა ამავე დროს „მესამე დასისათვის“ ძლიერ დარტყმას წარმოადგენდა. ამ საკითხებზე ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი და ამიტომ აქ სიტყვას ალარ გავაგრძელებთ.

„მესამე დასს“ სხვა ალარა დარჩენოდა რა: საკუთარი იდეური და ორგანიზაციული პლატფორმის მარცხს ვერ შეგუებოდა და შექმნილი სიტუაციის მიხედვით ვერ გმოქმედა. რსდმპ II ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლას 1903 წლის მარტიდან სათაეში ჩაუდგა რსდმპ კავკასიის კავშირი და მისი ორგანო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“. „მესამე დასი“ და მისი ორგანო გაზეთი „კვალი“ უკვე ალარ განსაზღვრავდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის სახეს. უფრო ზუსტად, გაზეთი „კვალი“ ჯერ კიდევ გამოდის, ხოლო „მესამე დასი“ ვეღარ ასრულებდა საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ფუნქციას.

როგორც აღვნიშნეთ, რსდმპ II ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. რსდმპ II ყრილობის მოწვევის მიზნით შექმნილ საორგანიზაციო კომიტეტს და საერთოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს, რა თქმა უნდა, სურდათ ქართული სოციალ-დემოკრატიიდან ყრილობაზე მათთვის სასურველი დელეგატები მოხვედრილიყვნენ. ცხადია, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ამის თაობაზე სათანადო მითითებასაც მიიღებდა. გაზეთ „ისკრის“ პლატფორმის ყველაზე აქტიური დამცველები, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის ყოველმხრივ სასურველი ორი გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი — იოსებ ჯუღაშვილი და ვლადიმერ კეცხოველი — ყრილობის დელეგატების არჩევნების დროისათვის ციხეში იმყოფებოდა. ეს ძალზე ართულებდა მდგომარეობას. ადვილი არ იყო სასურველი დელეგატების შერჩევა. საქართველოდან რსდმპ II ყრილობის დელეგატების არჩევის უფლება რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტს მიენიჭათ. რსდმპ თბილისის კომიტეტის მანდატი დიომიდე თოფურიძემ, ხოლო რსდმპ ბათუმის კომიტეტისა — არშაკ ზურაბოვმა მიიღო.[20] ეს იყო სრულიად მოულოდნელი რამ. დ. თოფურიძე, მართალია, მესამე დასელი იყო და გაზეთ „კვალში“ აქტიურად თანამშრომლობდა, მაგრამ იგი ქართული სოციალ-დემოკრატიის ელიტას არ მიეკუთვნებოდა, არც თეორიული და არც პრაქტიკული მოღვაწეობით თავი არასოდეს გამოუჩენია. დ. თოფურიძე არაოფიციალური პარტიული რეიტინგით პირველ ათეულშიც კი ვერ მიიღებდა ადგილს და ამდენად მას არ შეეძლო წარმოეჩინა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული სოციალ-დემოკრატია, დაეცვა „მესამე დასის“ სტრატეგია და ტაქტიკა. რაც შეეხება ა. ზურაბოვს, მას როგორც სოციალ-დემოკრატს, არავითარი კავშირი არ ჰქონდა ბათუმის ორგანიზაციასთან, ბათუმის მუშათა მოძრაობასთან. ა. ზურაბოვი იმ-

დენად ჩაუხედავი იყო რსდმპ ბათუმის კომიტეტის საქმიანობაში, რომ ყრილობისადმი წარდგენილი „რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენება“ ისიდორე რამიშვილმა და კარლო ჩხეიძემ დაწერეს.[21] ცხადია, ა. ზურაბოვი ყრილობაზე ქართულ სოციალ-დემოკრატიას ვერ წარმოაჩენდა, მის ინტერესებს ვერ დაიცავდა. სწორედ ასეთი დელეგატი იყო სასურველი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისათვის, უფრო ზუსტად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის. რსდმპ II ყრილობის დელეგატების არჩევნებისას აშკარა გახდა, თუ რა წინდახედულად მოქმედებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, როცა რსდმპ კავკასიის კავშირს ქმნიდნენ. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი რომ არ არსებულიყო და ყრილობის დელეგატები რსდმპ თბილისისა და ბათუმის ორგანიზაციებში (კომიტეტებში) აერჩიათ, ცხადია, ა. ზურაბოვს ბათუმში დელეგატად არავინ აირჩევდა. საეჭვოა თბილისშიც დელეგატად დ. თოფურიძე აერჩიათ. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა კი დელეგატები ფაქტიურად დანიშნა, ამრჩევი კომიტეტების აზრი არც კი გაუთვალისწინებია. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს სამართლიანად რომ ეშინოდა და ყრილობის დელეგატების შერჩევისას ობიექტურობა გამოიჩინა, რსდმპ II ყრილობის დელეგატის მანდატი უნდა მიეღოთ ისეთ ცნობილ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, როგორებიც იყვნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე წულუკიძე და სხვ.

მართალია, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს ზურგს უმაგრებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, გაზეთი „ისკრა“, მაგრამ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ მაინც მიაღწია იმას, რომ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ზოგიერთ დათმობაზე წავიდა. კერძოდ, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ნოე ჟორდანიას დაავალა დაეწერა „პარტიული პროგრამის პროექტი, როგორც ადგილობრივი, ისე მთელი სარუსეთო მასშტაბით“.[22] ეს უკვე აღარ შედიოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა გეგმებში. მათ სულაც არ სურდათ ყრილობაზე ზედმეტ თავსატეხი გასჩენოდათ. საკუთარი პროგრამის პროექტი საშუალებას მისცემდა ქართული სოციალ-დემოკრატია ჯეროვნად წარმდგარიყო ყრილობაზე, თავისი აზრი გამოეთქვა პარტიის პროგრამის შესახებ. ნ. ჟორდანიამ პარტიის პროგრამის პროექტი მართლაც შეადგინა. ეს იყო უაღრესად საინტერესო დოკუმენტი, რომელმაც სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია. მისი შინაარსი ჩვენთვის მხოლოდ ნ. ჟორდანიას მემუარებითა ცნობილი: „პროგრამა იყო გვარიან ვრცელი — დემოკრატიული რესპუბლიკა, დემოკრატიის ბატონობა, მთელი პროგრამის მინიმუმი მუხლებად დაყოფილი. ნაციონალურ საკითხში მქონდა წამოყენებული ასეთი მუხლი:

„ამიერკავკასიის თვითმართველობა პარლამენტით თბილისში“. შემდეგ ეს მუხლი დაყოფილია მისი კომპეტენციის და მუშაობის განსაზღვრით“.[23] რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ისარგებლა იმით, რომ მალე ნ. ჟორდანია სასჯელის თავიდან აცილების მიზნით (სამი წლით გადასახლება ვიატკის გუბერნიაში) ემიგრაციაში წავიდა და მის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი უარყო. ნ. ჟორდანიას მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტის ნაცვლად მიღებული ახალი ვარიანტი ძირითადად ეთანხმებოდა გაზეთ „ისკრის“ მიერ შემუშავებულ პროგრამის პროექტს.[24]

შემთხვევის წყალობით, ნოე ჟორდანიამ მაინც მოახერხა მონაწილეობა მიეღო რსდმპ II ყრილობის მუშაობაში. ქართულ სოციალ-დემოკრატიას საშუალება მიეცა შეძლებისდაგვარად გამოეთქვა თავისი შეხედულება ყრილობის მიერ განხილულ საკითხებზე.

ამრიგად, ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ II ყრილობაზე წარსდგა და მონაწილეობა მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამისა და წესდების განხილვასა და დამტკიცებაში.

§2. ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ II ყრილობაზე

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობა გაიხსნა 1903 წლის 17 (30) ივლისს. ყრილობა 24 ივლისამდე (6 აგვისტომდე) მუშაობა ბრიუსელში, შემდეგ ბელგიის პოლიციის მოთხოვნით დატოვა ბრიუსელი და გადავიდა ლონდონში. ყრილობამ ლონდონში მუშაობა განაახლა 29 ივლისს (11 აგვისტოს) და გასტანა 10 (23) აგვისტომდე. ყრილობას ესწრებოდა 43 დელეგატი 51 ხმით 26 სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან. აქედან 33 ხმა ეკუთვნოდათ გაზეთ „ისკრის“ მიმართულების მომხრეებს (24 ხმა ვ. ლენინის მიმდევრებს, 9 ხმა ლ. მარტოვის მიმდევრებს), 8 ხმა – „ისკრის“ მიმართულების მოწინააღმდეგეებს (5 ხმა ჰქონდათ ბუნდელებს, 3 ხმა – „ეკონომისტებს“). დანარჩენი 10 ხმა ცენტრისტულ პოზიციაზე მდგარ დელეგატებს ეკუთვნოდათ. ყრილობის დღის წესრიგში იდგა ოცი საკითხი, რომელთაგან უმთავრესი იყო: ბუნდის ადგილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, პარტიის პროგრამა, პარტიის ორგანიზაცია, ეროვნული საკითხი, ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციის არჩევნები, პარტიის საბჭოს არჩევნები.[25]

საქართველოდან (რსდმპ თბილისისა და ბათუმის ორგანიზაციებიდან), როგორც აღვნიშნეთ, ყრილობაზე დელეგატებად იყვნენ დიომიდე თოფურიძე და არშაკ ზურაბოვი. მათ 1903 წლის 23 ივლისს, ყრილობის მეთორმეტე სხდომაზე, სათათბირო ხმით დაემატა ნოე ჟორდანია. ამრიგად, საბოლოოდ ქართული სოციალ-დემოკრატია ყრილობაზე წარმოდგენილი იყო სამი დელეგატით: დ. თოფურიძე (კარსკი), ა. ზურაბოვი (ბეკოვი) და ნ. ჟორდანია (კოსტროვი). დ. თოფურიძესა და ა. ზურაბოვს გადამწყვეტი ხმა ჰქონდათ, ნ. ჟორდანიას — სათათბირო ხმა.[26]

ყრილობაზე ნ. ჟორდანიას მიწვევა შემდეგ ვითარებაში მოხდა. ყრილობის გახნის მომენტისათვის ნ. ჟორდანია ემიგრაციაში (შვეიცარიაში) იმყოფებოდა. ჟენევაში მან გ. პლეხანოვის მეულლისაგან შეიტყო, რომ ბრიუსელში მიმდინარეობდა რსდმპ II ყრილობა, სადაც იგი სათათბირო ხმით მიუწვევიათ დელეგატად.[27] ნ. ჟორდანიას მიწვევის საკითხი ყრილობის მეოთხე სხდომაზე, 19 ივლისს, დააყენეს რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ არჩეულმა დელეგატებმა. ლ. მარტოვმა (ი. ი. ცედერბაუმმა) შეიტანა წინადადება, რომ ნ. ჟორდანიას მიწვევის საკითხი განეხილა საორგანიზაციო კომიტეტს. ვ. პოპოვმა (როზანოვმა) ყრილობას მოახსენა, რომ საორგანიზაციო კომიტეტს ყრილობის შემადგენლობის დადგენის შემდეგ უფლება არ ჰქონდა შეეცვალა იგი.[28] ამის საპასუხოდ დ. თოფურიძემ, ითვალისწინებდა რა ნ. ჟორდანიას დიდ დამსახურებას საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმოცენებისა და განვითარების საქმეში, ყრილობაზე განაცხადა: თუ საორგანიზაციო კომიტეტს უფლება არა აქვს მოახდინოს ყრილობის შემადგენლობის ცვლილება, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მან (ყრილობამ — ვ. გ.) დაკარგოს მეხსიერება“.[29] დ. თოფურიძის ასეთი მწვავე გამოსვლის შემდეგ ყრილობამ მხარი დაუჭირა ყრილობაზე სათათბირო ხმით ნ. ჟორდანიას მიწვევას. ნ. ჟორდანია, როგორც აღვნიშნეთ, ყრილობაზე გამოცხადდა მეთორმეტე სხდომაზე, 1903 წლის 23 ივლისს.[30]

ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ რსდმპ II ყრილობაზე რუსული სოციალ-დემოკრატიის წინაშე სრული კაპიტულაცია გამოაცხადა. ნ. ჟორდანია იგონებს: „გაიხსნა ყრილობა. გამოჩნდა ისეთი ატმოსფერა, რომ თფილისელებმა ვერ გაბედეს თავისი პროგრამის არამც თუ წარდგენა, გამოჩენაც კი“.[31] ნ. ჟორდანიას მხედველობაში ჰქონდა რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი, რომელიც ნ. ჟორდანიას პროექტის დაწუნების შემდეგ იქნა მიღებული. მიუხედავად ამისა, ყრილობის მთელ მუშაობაში ქართველმა დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

1903 წლის 17 ივლისს, ყრილობის პირველსავე სხდომაზე, დ. თოფურიძე ლ. მარტოვის წინადადებით არჩეულ იქნა იმ კომისიაში, რომელსაც უნდა დაენიშნა მომხსენებლები განსახილველ საკითხებზე. კომისიაში დ. თოფურიძის გარდა არჩეულ იქნენ: ლ. ტროცკი (ბრონშტეინი), ა. მარტინოვი (პიკერი), ლ. მარტოვი (ცედერბაუმი), პ. აქსელროდი, მ. ფრანკი (გალბერშტადტი), მ. ლიბერი (გოლდმანი).[32]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიის პირველი ღირსშესანიშნავი გამოსვლა ყრილობაზე შედგა ბუნდის საკითხთან დაკავშირებით. მომხსენებელი ამ საკითხზე იყო მ. ლიბერი. ბუნდს არ სურდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ჩვეულებრივი ტერიტორიული ორგანიზაციის უფლებით შესვლა და ითხოვდა ავტონომიას პარტიის შიგნით. არ დაეთანხმა რა მ. ლიბერის მოხსენების არსს, დ. თოფურიძემ ყრილობაზე განაცხადა: „ბუნდს სურს იყოს წარმომადგენილი არა მარტო ებრაელი პროლეტარიატის იმ ნაწილისა, რომელიც ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე და ლაპარაკობს ჟარგონზე, არამედ სურს იყოს ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ებრაელი პროლეტარიატისა, მთლიანობაში აღებული. ამრიგად, ბუნდის მოღვაწეობის რაიონია ყველგან, სადაც კი ცხოვრობენ მუშები, რომლებიც მიეკუთვნებიან ებრაელ ეროვნებას“.[33] დ. თოფურიძის ასეთი შეხედულება მთლიანად ეთანხმებოდა რუსული სოციალ-დემოკრატიის (ვ. ლენინის) შეხედულებას. რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური სალაროდან იყო აღებული დ. თოფურიძის სიტყვები, თქმული მ. ლიბერის პოზიციის შეფასების მიზნით: „ასეთი შეხედულება არის ნაციონალისტური და არა ინტერნაციონალისტური“.[34] დ. თოფურიძემ, როცა მის შენიშვნაზე მ. ლიბერის დასაბუთებული პასუხი მოისმინა, ორგზის აიღო სიტყვა და კვლავ გაიმეორე პირველ გამოსვლაში ბუნდისადმი წაყენებული ბრალდება — ნაციონალიზმისკენ მიბარდაჭერა.[35] განსაკუთრებით დიდი სამსახური რუსული სოციალ-დემოკრატიის მესვეურთ დ. თოფურიძემ გაუწია თავისი გამოსვლის ბოლოს გაკეთებული დასკვნით: „მე მაკვირვებს ბუნდის მოთხოვნა — შეადგენდეს სახელმწიფოს სახელმწიფოში, ხომ არ ვთხოულობთ ჩვენ, ქართველები, სომხები და ა. შ. განსაკუთრებულ ქართულ, სომხურ და სხვ. ორგანიზაციებს. ეს ჩვენ სელს არ გვიშლის ვიმუშაოთ რსდმპ რიგებში, ვიმუშაოთ წარმატებით“.[36] დ. თოფურიძემ თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით: „ყოველნაირი ნაციონალისტური ცრურწმენა ჩვენთან კავკასიაში ძირშივე აღმოიფხვრება“.[37] აღსანიშნავია, რომ ამ სხდომას ნ. ჟორდანია არ ესწრებოდა. რაც შეეხება ა. ზურაბოვს და ბ. კნუნიანცს (დელეგატს ბაქოს ორგანიზაციიდან), მათაც მიულებლად მიიჩნიეს და რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან გააკრიტიკეს მ. ლიბერის მოხსენებაში წარმოდგენილი დას-

კენები.[38] ბუნდელებმა ა. ზურაბოვს მიუთითეს, რომ მან თბილისში სომეხი ეროვნების სხვა სოციალ-დემოკრატებთან ერთად შექმნა ორგანიზაცია „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი“, რომელიც ბუნდის ტიპის ორგანიზაციას წარმოადგენდა. ა. ზურაბოვმა თავის დასწინის მიზნით ყრილობა შეცდომაში შეიყვანა, როცა განაცხადა: „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი არც არსებულა და არც არსებობს“.[39] ცხარე პოლემიკის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „ბუნდის ადგილის შესახებ პარტიაში“, სადაც აღნიშნულია: „რსდმპ II ყრილობა გამოთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ ებრაელ და რუს პროლეტარიატს შორის ორგანიზაციული ურთიერთობის ფედერაციის საწყისებზე გარდაქმნა არსებითი დაბრკოლება იქნებოდა სხვადასხვა რასის შეგნებულ პროლეტართა უფრო სრული ორგანიზაციული დაახლოებისათვის და აუცილებლად უდიდეს ზიანს მიაყენებდა საერთოდ მთელი რუსეთის და.. კერძოდ ებრაელი პროლეტარიატის ინტერესებს, და ამიტომ, გადაჭრით უარყოფს რა, როგორც პრინციპულად უდავოდ შეუწყნარებელს, ფედერაციული ურთიერთობის ყოველგვარ შესაძლებლობას რსდმპ და ბუნდს, როგორც მის შემადგენელ ნაწილს შორის“.[40] ასეთი რეზოლუციის მიღება რუსული სოციალ-დემოკრატიის სრულ გამარჯვებას ნიშნავდა, ამავე დროს ეს იყო „მესამე დასის“ მიმართულების დამარცხება. რუსული სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებას, სამწუხაროდ, რსდმპ კავკასიის კავშირის დელეგატებმაც და კერძოდ დ. თოფურიძემაც შეუწყვეს ხელი.

მნიშვნელოვანია დ. თოფურიძის გამოსვლა ყრილობის მეცხრე სხდომაზე პარტიის პროგრამის შესახებ დისკუსიის დროს.[41] დ. თოფურიძე თავის გამსვლაში ორ საკითხს შეეხო: 1) სტიქიურობისა და შეგნებულობის შესახებ მუშათა მოძრაობაში; 2) პარტიის დამოკიდებულება მუშათა კლასთან. პირველ საკითხში დ. თოფურიძემ მთლიანად დაუჭირა მხარი იმ დასკვნას, რომელიც ვ. ლენინს მოცემული ჰქონდა ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ (1902 წ.) და რომელსაც იგი თავგამოდებით იცავდა ყრილობაზე. დ. თოფურიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ მუშათა კლასი თავისთავად, სტიქიურად ვერასოდეს ვერ მივა მეცნიერული სოციალიზმის შეთვისებამდე, რომ მეცნიერულ სოციალიზმს მუშათა კლასი ეზიარება ინტელიგენციის მეშვეობით.[42] დ. თოფურიძე არ დაეთანხმა ვ. აკიმოვს (მახნოვეცს), რომლის აზრითაც პარტია არ უნდა დაეყენებინათ მუშათა კლასზე მაღლა. დ. თოფურიძემ აღნიშნა: „საკითხის ასე დაყენება მე მგონია არა სწორად და უადგილოდ. მუშათა კლასიდან გამოიყოფა მებრძოლი, შეგნებული ნაწილი — პარტია, რომელიც წარმოადგენს, სოციალისტური იდეალების მატერებელსა და მეგზურს, და როგორც ასეთი, პარტია არ შეიძლება არ იდგეს „მუშათა კლასზე“ მაღლა იმდენად, რამ-

დენადაც შეგნებული ნაწილი ითვლება შეუგნებელი ნაწილის ხელმძღვანელად".[43] ეს დასკვნა ვ. ლენინის ერთ-ერთი ძირითადი დებულება გახლდათ.

ყრილობაზე რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციის დაცვისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა გაზეთ „ისკრის" როლის შეფასების საკითხი. „ისკრა" ხომ პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეურ და ორგანიზაციულ პრინციპებს იცავდა, თუმცა ეს პრინციპები ხშირად მიუღებელი იყო არარუსი ერების სოციალ-დემოკრატიისათვის. დელეგატებმა „რუნიი რაბოჩის" ჯგუფიდან, ასევე დელეგატებმა სხვა ორგანიზაციებიდან, მათ შორის დ. თოფურიძემ, ბ. კნუნიანცმა და ა. ზურაბოვმა ყრილობაზე შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ალიარებდა:

„ა) „ისკრის" დამსახურებას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეური გაერთიანებისათვის, მისი პრინციპების განვითარებისა და დაცვის საქმეში და ამ პრინციპების ნიადაგზე ჩვენს პარტიაში ყოველგვარ ოპორტუნისტულ მიმდინარეობასთან; აგრეთვე იმ მიმდინარეობებთან ბრძოლის საქმეში, რომლებიც ესწრაფვიან ააცდინონ მუშათა კლასის მოძრაობა ერთადერთ სწორ გზას;

ბ) „ისკრის" როლს პრაქტიკული პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში და

გ) „ისკრის" ხელმძღვანელ როლს გამაერთიანებელ მუშაობაში.

რსდმპ II ყრილობა აცხადებს „ისკრას" თავის ცენტრალურ ორგანოდ".[44] ამ რეზოლუციამ, რომლის მიღებაც რუსული სოციალ-დემოკრატიის პრინციპების განმტკიცებას ნიშნავდა, მიიღო 36 ხმა, წინააღმდეგი აღმოჩნდა 2, თავი შეიკავა 9 დელეგატმა.[45]

ნ. ჟორდანია, მართალია, ყრილობის მუშაობაში მეთორმეტე სხდომიდან (23 ივლისიდან) მონაწილეობდა, მაგრამ პირველად ყრილობაზე მხოლოდ მეთექვსმეტე სხდომაზე გამოვიდა. იხილებოდა საკითხი პარტიის პროგრამის, კონკრეტულად კი მისი საერთო პოლიტიკური ნაწილის შესახებ. პროგრამის ამ ნაწილის განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიისათვის საოლქო თვითმმართველობის უფლების მინიჭების საკითხმა. ლ. მარტოვმა თავისი პოზიცია ასე ჩამოაყალიბა: „თემების თვითნებურ კავშირს ჩვენ ვერ დავიცავთ. მაგრამ რუსეთი უზარმაზარი სივრცეა და ჩვენი ცენტრალიზებული მართვის გამოცდილება გვაძლევს საბაბს იმისათვის, რომ აუცილებლად და მიზანშეწონილად მივიჩნიოთ საოლქო თვითმმართველობის არსებობა ისეთი მსხვილი ერთეულებისათვის, როგორიცაა ფინეთი, პოლონეთი, ლიტვა და კავკასია".[46] გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ლ. მარტოვი

საჭიროდ თვლიდა პარტიის პროგრამის მესამე პარაგრაფი ჩამოეყალიბებინათ შემდეგი რედაქციით: „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო თვითმმართველობა იმ განაპირა მხარეებისათვის, რომლებიც თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით განსხვავდებიან საკუთრივ რუსული ტერიტორიისაგან“.[47] ეს ის პოზიცია იყო, რომელიც ნაწილობრივ ეხმიანებოდა „მესამე დასის“ მიმართულებას, კერძოდ, ნ. ჟორდანიას შეხედულებებს. ლ. მარტოვი ამ შემთხვევაში აშკარად დაუპირისპირდა როგორც გ. პლეხანოვს, ისე ვ. ლენინს, რაც მაშინვე გახდა ამ უკანასკნელთა რეაქციის საბაბი. მიუხედავად ამისა, ნ. ჟორდანიამ უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ლ. მარტოვის ფორმულირებას. ნ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ საოლქო თვითმართველობის მოთხოვნის პარტიის პროგრამაში შეტანას „ექნება ფართო სააგიტაციო მნიშვნელობა და პარტიაში მოიზიდავს ახალ ძალებს. ზოგიერთ ადგილას, მათ შორის ჩვენთან, კავკასიაში, საოლქო თვითმართველობის იდეა ძალზე პოპულარულია“.[48] ნ. ჟორდანიას კვალდაკვალ ლ. მარტოვის წინადადებას მხარი დაუჭირა დ. თოფურიძემ.[49] ბ. კნუნიანცმაც მხარი დაუჭირა ლ. მარტოვს. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა: საოლქო თვითმართველობის შემოღება „მოგვცემს იარაღს ისეთი ნაციონალისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიც, მაგალითად, ცოტა ხნის წინ იყო „საქართველო“. იგი საქართველოს ავტონომიას ითხოვდა ეროვნული კულტურის განვითარების მიზნით. მათ სურთ ყველა საზოგადოებრივი კლასის ეროვნული დროშის ქვეშ ორგანიზება. ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე მითითება, რომ ეროვნული კულტურის უზრუნველყოფა არ ეწინააღმდეგება მთელი რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებს“.[50] როგორც ვხედავთ, ბ. კნუნიანცი სოციალ-დემოკრატიის ამოცანად თვლიდა არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლას, თვლიდა რა ამ შეხედულებებს მუშათა კლასისათვის საზიანოდ. საბოლოოდ, ლ. მარტოვის მიერ შემოთავაზებული პარტიის პროგრამის მესამე პარაგრაფის რედაქციამ ლ. ტროცკის, გ. პლეხანოვის, ვ. მედემის (გრინბერგის) და სხვათა შესწორებათა გათვალისწინებით, ასეთი სახე მიიღო: „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო თვითმმართველობა იმ ტერიტორიისათვის, რომლებიც თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობებით და მოსახლეობის შემადგენლობით განსხვავდებიან რუსულისაგან“.[51] კენჭისყრის დროს პარტიის პროგრამის მესამე პარაგრაფის ზემოთ მოტანილმა რედაქციამ მიიღო 29 ხმა, წინააღმდეგი იყო სულ რამდენიმე დელეგატი.[52] ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გ. პლეხანოვმა და ვ. ლენინმა სერიოზული მარცხი განიცადეს, რაშიც ქართველი სოციალ-დემოკრატების ნ. ჟორდანიასა და დ. თოფურიძის წვლილიც იყო.

ეროვნულის სოციალ-დემოკრატიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის პროგრამის პროექტის მეხუთე პარაგრაფის განხილვას. ეს პარაგრაფი პროექტში ასეთი სახით იყო ჩამოყალიბებული: „სინდისის, სიტყვის, პრესის, კრების, გაფიცვების და კავშირების შეუზღუდავი თავისუფლება“.[53] მ. ლიბერმა შეიტანა წინადადება სიტყვა „პრესის“ შემდეგ დაემატებინათ სიტყვები „და ენების“. ამ წინადადებას დელეგატების ნაწილის სიცილი მოჰყვა. მ. ლიბერმა განაგრძო: „თუმცა ამან (ე. ი. მ. ლიბერის წინადადებამ — ვ. გ.) მხიარული განწყობილება შექმნა, მაგრამ მე იგი პრინციპულად მნიშვნელოვნად მიმაჩნია. კომისიაში ამხ. ლენინმა წინადადება შემოიტანა „ენებზე“ მითითება მეექვსე პუნქტში გადაგვეტანა. ასეთი გადატანა უადგილოდ გვეჩვენება, რადგან იდევნება არა მოქალაქე ენის გამოყენებისათვის, არამედ იდევნება თვით უფლება ენის გამოყენებისა, თითოეული მოქალაქის უფლება, ყოველ დაწესებულებაში ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე, სახელმწიფო ენისაგან განსხვავებით, შევიწროვებულია. მაგალითად, პოლონელები გერმანიაში სარგებლობენ სამოქალაქო თანასწორუფლებიანობით, მაგრამ ამავე დროს მათი ენა იდევნება“.[54] ლ. მარტოვის აზრით, „ენების თავისუფლება“ ბუნდოვანი ცნება იყო, ხოლო რაც შეეხება „ყველა მოქალაქის თანასწორობას, ეს გულისხმობდა რომელიც გნებავს ენაზე თავისუფალი ლაპარაკის უფლებას“.[55] ლ. მარტოვს არ დაეთანხმა დ. თოფურიძე. მან აღნიშნა: „მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლება ძალზე აუცილებელია. ეს მნიშვნელოვანი უფლებაა და არა წვრილმანი. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალწარმოებაში და ადგილობრივ დაწესებულებებში“.[56] მ. ლიბერის შესწორება რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების მოშხრეების მიერ დიდი უმრავლესობით იქნა უარყოფილი.[57] საბოლოოდ მეხუთე პარაგრაფი ასეთი რედაქციით შევიდა პარტიის პროგრამაში: „სინდისის, პრესის, კრებების, გაფიცვებისა და კავშირების შეუზღუდავი თავისულება“.[58] ამრიგად, ენების საკითხმა პარტიის პროგრამის მეხუთე პარაგრაფში ასახვა ვერ ჰპოვა, რაც რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირერიცხოვანი ერების უფლებათა შელახვას მოასწავებდა.

ენების საკითხი კვლავ დადგა ყრილობის, მეთექვსმეტე სხდომაზე, როცა იხილებოდა საკითხი პარტიის პროგრამის პროექტის მეშვიდე პარაგრაფის შესახებ. პროექტი ამ პარაგრაფის ასეთ ფორმულირებას იძლეოდა: „წოდებათა მოსპობა და ყოველი მოქალაქის სრული თანასწრობა, დამოუკიდებლად სქესისა, რელიგიისა, რასისა, ეროვნებისა, ენისა“.[59] მ. ლიბერმა მიულებლად მიაჩნია სიტყვა „ენისა“, მოხსენება ამ პარაგრაფში და მოითხოვა ენის შესახებ ცალკე პარაგრაფის გამოყოფა.[60] მ. ლიბერს მხარი დაუჭირეს ვ. მედემმა და სხვებმა. ლ. მარტოვი კი ფაქტობ-

რივად ვ. მედემის შესწორების წინააღმდეგ წავიდა.[61] მ. ლიბერის წინადადების დაცვის მიზნით ი. ლეოვმა (მოშინსკიმ) ყრილობაზე განაცხადა: „მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ჩვენს პროგრამაში დავსვით საკითხი ენის შესახებ, მოვიშორეთ ყოველგვარი ვარაუდი რუსიფიკატორობაზე, რაშიც შეიძლებოდა სოციალ-დემოკრატები ეჭვმიტანილნი ყოფილიყვნენ“.[62] მ. ლიბერის შესწორებამ მიიღო 17 ხმა, წინააღმდეგი იყო 23. შემდეგ კენჭი უყარეს ლ. ლენსკის (ვილენსკის) შესწორებას. ლ. ლენსკი ყრილობას მეშვიდე პარაგრაფის ასეთ რედაქციას სთავაზობდა: „უფლება ყოველი მოქალაქისა თავის ენაზე მისცეს ახსნა-განმარტება ყველგან: სახელმწიფო დაწესებულებაში, სკოლებში...“ ლ. ლენსკის შესწორება უარყოფილ იქნა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. ე. ეგოროვმა (ლევინმა) ასეთი შესწორება წარმოადგინა: „ყველა ენის თანასწორობა, რომელიც არ გამორიცხავს სახელმწიფო ენის არსებობას“. ე. ეგოროვის შესწორებამ მიიღო 22 ხმა, წინააღმდეგი იყო 24.[63] სულ ბოლოს კენჭი უყარეს ნ. ჟორდანიას წინადადებას, იგი ასეთ შესწორებას სთავაზობდა ყრილობას: „ენების თანასწორობა ყველა სკოლაში, დაწესებულებასა და კრებებზე“. ნ. ჟორდანიას შესწორებამ მიიღო 24 ხმა, წინააღმდეგი იყო 23. ამრიგად, საბოლოოდ ნ. ჟორდანიას შესწორება იქნა მიღებული.[64] აღსანიშნავია, რომ ნ. ჟორდანიას შესწორების წინააღმდეგ ხმა მისცეს გ. პლეხანოვმა, ვ. ლენინმა, ლ. მარტოვმა, რ. ზემლიაჩკამ (ნალკინდმა), მ. სოროკინმა (ბაუმანმა), მ. ლიადოვმა (მანდელშტამმა).[65] ყრილობის შემდეგ, მეჩვიდმეტე სხდომაზე კენჭი უყარეს მთლიანად პარტიის პროგრამის პროექტის მეშვიდე პარაგრაფს. ნ. ჟორდანიას შესწორებამ საბოლოოდ 24 ხმა მიიღო, წინააღმდეგ გამოვიდა 24.[66] დაისვა საკითხი: რა მოემოქმედათ? ვ. ლენინმა წინადადება შეიტანა მეშვიდე პარაგრაფი მთლიანად გადაეცათ კომისიისათვის და თუ კომისია კვლავ ვერ დააკმაყოფილებდა ორივე მხარეს, საკითხი გადაეღოთ მომავალი ყრილობისათვის.[67] მ. ლიბერი წინააღმდეგი იყო მეშვიდე პარაგრაფის კომისიისათვის გადაცემისა და თვლიდა, რომ, რადგან პარაგრაფის ცალკეული ნაწილები უკვე მიღებული იყო, მიღებულად ჩაეთვალათ მთელი პარაგრაფი.[68] გ. პლეხანოვმა, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, განაცხადა, რომ პარაგრაფის ცალკეული ნაწილებისათვის კენჭისყრის შემდეგ აუცილებელია მთელი პარაგრაფისათვის კენჭისყრა.[69] დ. თოფურიძემ მიუღებლად ჩათვალა პარაგრაფის კომისიისათვის გადაცემა და მოითხოვა მისი მთლიანად ამოღება პროგრამის პროექტიდან.[70] დ. თოფურიძის ასეთი პოზიცია საბოლოოდ მაინც ვ. ლენინისათვის მხარის დაჭერას ნიშნავდა. გ. პლეხანოვმა მოითხოვა მეშვიდე პარაგრაფი დაეტოვებინათ პარტიის პროგრამაში, ხოლო ენის საკითხის გადაწყვეტა გადაეღოთ შემდეგ ყრი-

ლობამდე. გ. პლეხანოვმა აღნიშნა: „ეს საკითხი ჯერ არასაკმარისადაა მომწიფებული და საჭიროებს გამორკვევას პარტიულ პრესაში“.[71] ამრიგად, გ. პლეხანოვმაც ფაქტობრივად ვ. ლენინს დაუჭირა მხარი. გ. პლეხანოვის გამოსვლის საპასუხოდ დ. თოფურიძემ განაცხადა, რომ იგი „შეურაცხმყოფლად თვლის თვით წინადადებას, რომ ისეთი მწვავე საკითხი, როგორიცაა საკითხი ენის შესახებ, ითვლება მოუმწიფებლად და შეუძლებელია მისი განმარტება ყრილობაზე“.[72] ვ. მედემმა და ვ. პოპოვმა მოითხოვეს ხელახალი კენჭისყრა. ნ. ჟორდანიას შესწორებით მთლიანად მეშვიდე პარაგრაფმა ხელახალი კენჭისყრის დროს მიიღო 24 ხმა, წინააღმდეგი იყო 25.[73] მეშვიდე პარაგრაფი პროგრამის პროექტის შემმუშავებელ კომისიას დაუბრუნდა, რასაც მხარი დაუჭირეს დ. თოფურიძემ, ა. ზურაბოვმა და ბ. კნუნიანცმა.[74] საბოლოოდ მეშვიდე პარაგრაფი პარტიის პროგრამაში ამ სახით შევიდა: „წოდებათა მოსპობა და ყველა მოქალაქის სრული თანასწორუფლებიანობა, მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა“.[75] ამრიგად, გ. პლეხანოვმა, ვ. ლენინმა და მათმა მომხრეებმა მიაღწიეს იმას, რომ რსდმპ პროგრამის მეშვიდე პარაგრაფიდან ამოიღეს საკითხი ენის შესახებ.

მეტად საინტერესოა ნ. ჟორდანიას გამოსვლები აგრარულ საკითხთან დაკავშირებით. ყრილობის მეცხრამეტე სხდომაე 31 ივლისს, ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „მე სრულიად ვეთანხმები აგრარული პროგრამის პროექტის ძირითად ნაწილებს. ჩვენთვის უდაოდ აუცილებელია ბატონყმური წყობილების გადმონაშთების მოსპობა, რა ფორმითაც არ უნდა არსებობდნენ ისინი. ასე რომ, მე ამაზე კამათი არ მომიწევს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გლეხურმა ცხოვრებამ წამოსწია საკითხები, რომელიც ეხება არა მარტო ძველ წყობილებას, არამედ ახალსაც. ჩვენთან გლეხთა მოძრაობა დაიწყო არა იქ, სადაც ძლიერია ბატონყმობის გადმონაშთები, არამედ იქ, სადაც ისინი ძალიან სუსტია. მაგალითად, გურიაში. ცხადია, იგი შედეგია არა მარტო ძველი ცხოვრებისა, არამედ ახლისაც. ესენი — თუ შეიძლება ასე ითქვას — მოდერნიზებული გლეხები არიან, რომლებიც დგანან გლეხობის სათავეში და უბიძგებენ მათ ახალი გზისაკენ. მაშასადამე, უთხრა მათ, რომ რევოლუციამ უნდა აღმოფხვრას მხოლოდ გადმონაშთი, — ეს ნიშნავს არაფერი უთხრა მათ. ისინი მოითხოვენ უფრო დიდს, ვიდრე ესაა და ალბათ რევოლუციის დროს მიიტაცებენ მიწას. როგორ მოვიქცეთ ჩვენ ასეთ შემთხვევაში? ორიდან ერთი: ჩვენი ისინი არ უნდა დავაწყნაროთ, ან გამოვაცხადოთ: ჩემი ქოხი სულ განაპირაა. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვითამაშებთ რეაქციონერის როლს, მეორე შემთხვევაში — უბრალო მაყურებლის როლს, რევოლუცია კი მოხდა ჩვენი გვერდის ავლით“.[76] მეორე გამოსვლისას ნ. ჟორდანიამ მხარი დაუჭირა

რა გ. პლეხანოვს, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მეტად მნიშვნელოვან საკითხს: „გლეხთა მოძრაობა არა ძველი წყობილების გადმონაშთია, არამედ შედეგია ახალი სიოს ქროლვისა“.[77] ვ. ლენინი, რომლის ინიციატივითაც იყო შედგენილი პარტიის პროგრამის აგრარული ნაწილი, არ დაეთანხმა ნ. ჟორდანიას: „ ... უსუსურია ამხ. კოსტროვის საწინააღმდეგო აზრი. ჩვენ გვეუბნებიან, რომ გლეხობა არ დაკმაყოფილდება ჩვენი პროგრამით, რომ იგი წავა წინ. მაგრამ ჩვენ ამის არ გვეშინია, ამისათვის ჩვენ გვაქვს ჩვენი სოციალისტური პროგრამა. სწორედ ამიტომ ჩვენ არ გვეშინია მიწის განაწილებისა, ასე რომ აშინებს ამხანაგებს მახოვსა და კოსტროვს“.[78] თავისი პოზიცია აგრარულ საკითხში ნ. ჟორდანიამ კიდევ უფრო დააკონკრეტა ვ. გორინის (ვალკინის) გამოსვლის საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში. ნ. ჟორდანიამ აღნიშნა: „ჩვენთან გლეხთა მოძრაობის სათავეში დგას ქვეყნის ყველაზე უფრო კულტურული ნაწილი, სახელდობრ დასავლეთ საქართველო და კერძოდ, გურია. აქ არ არის საკითხი ჩამონაჭრების შესახებ; აქ სუსტია ბატონყმური გადმონაშთები, ეს მოძრაობა, გაფიცვების გამო ბათუმიდან გადმოსახლებული მუშების წყალობით, უახლესი იდეების ნიადაგზე აღმოცენდა. მოძრაობის სათავეში იდგნენ ჩვენი ამხანაგები. მათ დაიწყეს პროპაგანდა არა მარტო ბატონყმური გადმონაშთების მოსპობისათვის, არამედ მიწის სოციალიზაციისათვის. მე ვიცი, მაგალითად, შემთხვევა, როცა ერთ თავყრილობაზე ერთმა უბრალო გლეხმა წარმოთქვა სიტყვა მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობისა და მისი სოციალიზაციის შესახებ. ერთი სიტყვით, ჩვენთან ბატონყმური წყობილების ყველა გადმონაშთის მოსპობის პროპაგანდასთან ერთად, მიმდინარეობს სოციალიზაციის პროპაგანდა“.[79]

პარტიის პროგრამის აგრარული ნაწილი საბოლოოდ ყრილობამ მაინც რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმიდან გამომდინარე მიიღო, რაც გამოიხატა ბატონყმური გადმონაშთების მოსპობის მოთხოვნაში.

როგორც ვხედავთ, პარტიის აგრარული პროგრამა არ ითვალისწინებდა მემამულური მიწათმფლობელის გაუქმებას. მემამულური მიწათმფლობელობა კი აგრარული საკითხის გადაჭრის ქვაკუთხედი იყო. ასევე არ გამოხატავდა პარტია თავის პოზიციას რუსეთის მიწის სავარგულების რაოდენობით მეორე მფლობელობის ფორმისადმი — სახელმწიფო მიწისადმი. ვ. ლენინი და მისი მიმდევრები ამას ტაქტიკური მოსაზრებით აკეთებდნენ. მემამულური მოწათმფლობელობის ლიკვიდაცია და მისი გლეხობისათვის გადაცემა, ასევე სახელმწიფო მიწების გლეხობისათვის გადაცემა ძლიერ დააჩქარებდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას. სოფლად შეიქმნებოდა ფერმერთა ძლიერი სოციალური ფენა. ეს მოვ-

ლენა სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა ვ. ლენინის მისწრაფებას — უმოკლეს ვადაში პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას. ყოველივე ეს ცხადი გახდა რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე 1906 წელს.

ნ. ჟორდანიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის გარშემო ყრილობაზე გამართულ პოლემიკაში. წესდების პირველი პარაგრაფი ყრილობაზე წარმოდგენილ იქნა ლ. მარტოვისა და ვ. ლენინის მიერ შემუშავებული რედაქციებით. ლ. მარტოვის ფორმულირება ასეთი იყო: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც ღებულობს მის პროგრამას, მხარს უჭერს პარტიას მატერიალური საშუალებით და რეგულარული პირადი დახმარებით მისი ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით“.[80] ვ. ლენინის აზრით, პარტიის წესდების პირველი პარაგრაფი ასეთი რედაქციით უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული: „პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას და ეხმარება პარტიას როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში“.[81] ნ. ჟორდანიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა: „წესდება არსებობს ცხოვრებისათვის და არა ცხოვრება წესდებისათვის. ვნახოთ, წესდების პროექტი ლენინისა რამდენად ეთანხმება სინამდვილეს. ჩვენთან არსებობს სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები, რომლებიც შედგებიან რამდენიმე მოწინავე რევოლუციონერისაგან. ეს კომიტეტები დგანან ადგილობრივი მუშათა მოძრაობის სათავეში. ამ კომიტეტების, ამ მეთაურთა უკან დგას მებრძოლთა მთელი მასა, მუშა-რევოლუციონერები, რომლებიც წარმოადგენენ პროკლამაციების გამავრცელებლებს, აგროვებენ ფულს, აწყობენ მანიფესტაციებს ქუჩაში, მიდიან ციხეებსა და გადასახლებებში, მაგრამ ისინი არ შედიან კომიტეტებში ან სხვა რომელიმე ორგანიზაციებში. ნუთუ ეს მებრძოლები, ეს ჩვენი ჯარისკაცები პარტიის წევრები არ არიან? ნუთუ ჩვენ ისინი უნდა გამოვთიშოთ პარტიიდან? ვინღა რჩება პარტიაში? მარტო გენერლები არმიის გარეშე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელს რუსეთში მოვახდინოთ ჩვენი საქმის დეზორგანიზაცია, ეს ნიშნავს, რომ პარტიის წინააღმდეგ ავაჯანყოთ ჩვენივე ამხანაგები... ჩვენი პარტია მასების პარტიაა. მასა კი არ შეიძლება ჩავრიოთ ორგანიზაციაში, ეს წარმოუდგენელია რუსეთის დღევანდელი წყობილების პირობებში. მაშასადამე, ჩვენი პარტია უნდა შედგებოდეს ორგანიზაციებიდან, რომლებიც წარმოადგენენ პარტიის მოტორებს მებრძოლთა მასიდან, რომლებიც დგანან ორგანიზაციის გარეთ, მაგრამ რჩებიან პარტიის წევრებად. ამიტომ ლენინის პროექტის მიღება ნიშნავს მთელი პარტიის დეზორგანიზებას. მე გთავაზობთ უარყოთ იგი“.[82] ნ. ჟორდანიამ ყრილობას წარუდგინა პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის საკუთარი ფორმუ-

ლირება: „რსდმპ წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას, პარტიას უჭერს მხარს პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, ან ეხმარება პარტიას ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობით“. ეს ფორმულირება ყრილობამ უარყო.[83] პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინისეული ფორმულირების წინააღმდეგ ნ. ჟორდანიას გამოსვლის მსგავსი დასაბუთებული გამოსვლა, თუ არ ჩავთვლით ლ. ტროცკის უაღრესად საინტერესო სიტყვას, ყრილობაზე არ ყოფილა.[84] საბოლოოდ, კენჭისყრის დროს ვ. ლენინის ფორმულირებამ მიიღო 23 ხმა, წინააღმდეგი იყო 28, ლ. მარტოვის ფორმულირებამ მიიღო 28 ხმა, წინააღმდეგი იყო 22. ა. ზურაბოვმა ხმა მისცა ვ. ლენინს, დ. თოფურიძემ — ლ. მარტოვს.[85]

ნ. ჟორდანიამ თავისი აზრი გამოთქვა ყრილობაზე პარტიაში შექმნილი ორცენტრიანობის (ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანოს — „ისკრის“ რედაქცია) და მათ შორის უთანხმოების მოგვარების მიზნით შექმნილი ორგანოს — პარტიის საბჭოს შესახებ. როგორც ყრილობის შემდგომმა მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, უაღრესად სწორი იყო ნ. ჟორდანიას წინადადება აერჩიათ პარტიის ერთი ცენტრი. ნ. ჟორდანიამ ყრილობაზე განაცხადა: „მე მინდა ამხანაგების ყურადღება გავამახვილოთ ერთ კურიოზულ მოვლენაზე: ჩვენ ყველა თავს ვიდებთ ერთი მუდმივი ცენტრისათვის, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენ მაინც არა გვაქვს. ჩვენ გვაქვს ერთი ცენტრი — ესაა საბჭო, მაგრამ იგი არ არის მუდმივი, იგი შემთხვევითი ხასიათისაა. რჩება ორი მუდმივი ცენტრალური ორგანო, რომლებიც შეიძლება ერთმანეთში წაკინკლავდნენ, სხვადასხვა მხარეს გაიწიონ. მაშინ ჩვენ მივიღებთ პარტიას არა ერთი დირექციით, არამედ ორით. ორიდან ერთია: ან ჩვენ გვჭირდება ერთი მუდმივი ცენტრი, როგორიც უნდა იყოს საბჭო, ან ჩვენ არ გვჭირდება ასეთი ცენტრი და მაშინ საბჭო ზედმეტი ხდება. მე პირველ დებულებაზე ვდგავარ და გთავაზობთ შესწორებას მეოთხე პუნქტისათვის: „პარტიის საბჭო ითვლება მუდმივ უმაღლეს დაწესებულებად“.[86]

საინტერესოა ნ. ჟორდანიას გამოსვლა პარტიის წესდების პროექტის ერთ-ერთ საკითხზე — რაიონული და ეროვნული ორგანიზაციის შესახებ. ნ. ჟორდანიამ ყრილობაზე განაცხადა: „რაიონული და ეროვნული ორგანიზაციების საკითხზე მე უნდა ვთქვა შემდეგი: რაიონული ორგანიზაციების არსებობა აუცილებელია ჩვენი პარტიის განვითარებისათვის. რუსეთი ხომ დიდია, მასში შედიან ვრცელი განაპირა მხარეები, რომლებიც თავიანთი მოსახლეობითა და კულტურის ნიშნებით მკვეთრად განსხვავდებიან რუსეთის ცენტრისაგან. ჩვენ ცენტრალურ კომიტეტს ფიზიკურად არ შეუძლია იყოს ყველგან, მას უფრო გაუადვილდება საქმის დაჭე-

რა კომიტეტების კავშირთან, ვიდრე მრავალრიცხოვან კომიტეტებთან, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ენებზე. ასეთი კავშირის შექმნა უკვე წამოაყენა ცხოვრებამ, რაც იქიდან ჩანს, რომ ისინი უკვე აღმოცენდნენ იმპერიის სხვადასხვა ადგილას. მე არა ვარ იმის მომხრე, რომ კავშირები არსებობდნენ ყველგან. არა, მე მომხრე ვარ მხოლოდ იმისა, რომ კავშირები არსებობდნენ მხოლოდ იმ ადგილებში, რომლებიც მოსახლეობის შემადგენლობით და ეროვნული თავისებურებებით განსხვავდებიან საკუთრივ რუსული ტერიტორიისაგან. ასეთები არიან განაპირა მხარეები. ჩვენ კავკასიაში გვაქვს კომიტეტების კავშირი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „კავკასიის კავშირი". მის გამგებლობაში შედის არა მარტო ადგილობრივი მუშათა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობა, არამედ ლიტერატურის შექმნა ქართულ, სომხურ და შეიძლება თათრულ ენაზე. ვინ გააკეთებს ამას ჩვენთვის, თუ კავშირი მოვსპეთ? ცენტრალური კომიტეტი? მაგრამ იგი ხომ უძლურია, მის წევრებს არ ეცოდინებათ არც ჩვენი ენები, არც ჩვენი ლიტერატურა და არც ადგილობრივი მოთხოვნილებანი. ამის გაკეთება ცალ-ცალკე არ შეუძლიათ არც ჩვენს ადგილობრივ კომიტეტებს: პირველი, ეს იქნება მატერიალური და ლიტერატურული რესურსების დაჭუცმაცება; მეორე, ერთს არ ეცოდინება რას აკეთებს მეორე, და ვიღებთ ლიტერატურულ ქაოსს. ჩვენ კი ეს არ გვსურს. როგორც რუს სოციალ-დემოკრატებს ამჟამად აქვთ თავიანთი ცენტრალური ორგანო, ჩვენც ასევე გვსურს, რომ ქართველ და სომეხ სოციალ-დემოკრატებსაც ჰქონდეთ თავიანთი ცენტრალური ორგანოები: ასეთები უკვე გვაქვს და ისინი კავშირის ხელში არიან. ამ კავშირის არცნობა გარდაუვალად მიგვიყვანს ჩვენი ძალების დასუსტებასთან და ჩვენი მოძრაობის დეზორგანიზაციასთან".[87] დელეგატების ნაწილმა მხარი არ დაუჭირა განაპირა მხარეებში ისეთი ორგანოს შენარჩუნებას, როგორიც იყო მაგალითად, რსდმპ კავკასიის კავშირი. ნ. ჟორდანიას მხარი დაუჭირა დ. თოფურიძემ.[88] იმ დელეგატების სახელით, რომლებიც მოითხოვდნენ განაპირა (ეროვნული) მხარეების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ცენტრალური რუსეთის (ველიკოროსიის) ორგანიზაციების რანგში ჩაყენებას, ნ. ჟორდანიამ მეორედ გამოსვლისას განაცხადა: „ამხ. ეგოროვი კავკასიის კავშირის დაცვაში ხედავს ბუნდიზმის ახალ სახეობას. ცხადია, იგი არ იცნობს არც ჩვენ მხარეს და არც ჩვენ კომიტეტებს. პირველი, ჩვენ გვაქვს არა ნაციონალური, არამედ საერთო-კავკასიური ორგანიზაცია, სადაც შედიან ქართველები, სომხები და კავკასიის სხვა ერები. ამით ჩვენ ძირეულად განვსხვავდებით ბუნდისაგან, რომელიც განაგებს მხოლოდ ებრაელ პროლეტარიატს, ხოლო დანარჩენები არც კი უნდა იცოდეს. მეორე, ჩვენ გვიკავია სავსებით გარკვეული ტერიტორია, რომელიც საყოფაცხოვრებო თავისებურებებით

მკვეთრად განსხვავდება რუსეთისაგან და მოითხოვს განსაკუთრებულ მოლაპარაკებას. თუ ეგოროვი და სხვა რუსი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ისინი უკეთ იმოქმედებენ ჩვენთან, ვიდრე ჩვენ კავკასიელი ამხანაგები, – მობრძანდით, კარი ღიაა, ჩვენ მივცემთ მას ასპარეზს".[89] ნ. ჟორდანიას გამოსვლას თითქოს ეროვნული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მისმა მეორე გამოსვლამ ნათელი გახადა, რომ იგი სულაც არ გამოდიოდა ეროვნული პოზიციიდან, მისი მოთხოვნა – რსდმპ კავკასიის კავშირის შენარჩუნება – სულაც არ უქმნიდა საფრთხეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, არავითარ განსაკუთრებულ უფლებას არ აძლევდა დამოუკიდებლობის თვალსაზრისით არც რსდმპ კავკასიის კავშირს და არც მასში შემავალ ორგანიზაციებს. პირიქით, რსდმპ კავკასიის კავშირი ზღუდავდა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუნქციებს სწორედ ეროვნულ თავისებურებათა მიხედვით განვითარების თვალსაზრისით, საერთოდ შლიდა ადამიანთა ცნობიერებიდან ცნებას „საქართველოს სოციალ-დემოკრატია" და მის ნაცვლად ამკვიდრებდა ცნებას „კავკასიის სოციალ-დემოკრატია". ამის დამადასტურებელი მაგალითები ნ. ჟორდანიას მრავალი ჰქონდა. ქართველი დელეგატები რუს სოციალ-დემოკრატებთან წინააღმდეგობაში მხოლოდ იმიტომ მოვიდნენ, რომ ისინი ერთი ხელის დაკვრით ცდილობდნენ მოესპოთ ეროვნული სოციალ-დემოკრატიის (მათ შორის ქართული სოციალ-დემოკრატიის) ცნება და ეროვნული ორგანიზაციები გაეთანაბრებინათ ველიკოროსიის რეგიონალურ (საგუბერნიო, საქალაქო) ორგანიზაციებთან, ხოლო ნ. ჟორდანია რუს სოციალ-დემოკრატებს ამ განზრახვის განხორციელების გზაზე სთავაზობდა შუალედურ რგოლს – რსდმპ კავკასიის კავშირს. აღსანიშნავია ის, რომ რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ნ. ჟორდანიას მეორე გამოსვლა სწორედ ასე გაიგეს – რსდმპ კავკასიის კავშირი ბუნდოვანიის საფრთხეს სულაც არ ქმნიდა. ამის შედეგი იყო ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია „რაიონული ორგანიზაციების შესახებ". რეზოლუციაში ეკითხულობთ: „ყრილობა დასაშვებად თვლის რაიონული ორგანიზაციების დაარსებას, კომიტეტების სახით, რუსეთის იმ ოლქებში, რომლებიც განირჩევიან დიდი თავისებურებით ენის, მოსახლეობის შემადგენლობისა და სხვ. მხრივ. ასეთი ორგანიზაციების წესდების დამტკიცება ევალება პარტიის ცენტრალურ კომიტეტს".[90] „რაიონული ორგანიზაციების შესახებ" რეზოლუციის პროექტი ყრილობაზე დ. თოფურიძემ შეიტანა. ამავე საკითხზე, გარდ დ. თოფურიძისა, კიდევ ოთხმა დელეგატმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი. ყველა ისინი უარყოფილი იქნა. რაც შეეხება დ. თოფურიძის პროექტს, მან მიიღო 28 ხმა, წინააღმდეგი იყო 2, თავი შეიკავა 7.[91]

ამრიგად, რსდმპ კავკასიის კავშირის არსებობა დაკანონებულ იქნა რსდმპ II ყრილობის მიერ.

რაიონული ორგანიზაციების თაობაზე რეზოლუციის მიღების შემდეგ ყრილობა შეუდგა პარტიის ცალკეული ორგანიზაციების შესახებ საკითხის განხილვას. ლ. ბელოვის (ცეიტლინის) აზრით, საჭირო იყო პარტიის ყველა ორგანიზაციის (მათ შორის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი და „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი საზღვარგარეთ") შესახებ მიღებული ყოფილიყო საგანგებო რეზოლუცია.[92] ლ. ბრუკერმა (მახნოვეცმა) საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა. მან აღნიშნა, რომ საჭირო იყო ზოგადი ხასიათის რეზოლუციის მიღება, რადგან არსებობდა ბევრი ისეთი ორგანიზაცია, რომელთა შესახებ ყრილობას ცნობები არ ჰქონდა, ამიტომ აუცილებელი იყო ყრილობას გამოეხატა ზოგადი დამოკიდებულება ისეთი ორგანიზაციების მიმართ, რომელნიც არ შედიოდნენ პარტიაში.[93] დ. თოფურიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო შეედგინათ სია იმ ორგანიზაციებისა, რომელნიც უნდა დაემტკიცებინათ ან დაეშალათ.[94] ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ნ. ჟორდანიამ და მოითხოვა სიაში შეეტანათ სომხურ და ქართულ ენებზე გამომავალი „პროლეტარიატის ბრძოლა".[95] ნ. ჟორდანიას წინადადება მიუღებლად მიიჩნია ვ. გორინმა. მან აღნიშნა, რომ დასამტკიცებელი ორგანიზაციების სიაში არ შეეტანათ „პროლეტარიატის ბრძოლის" რედაქცია, ვინაიდან ასეთი ორგანიზაცია არ არსებობდა, გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლას" სცემდა რსდმპ კავკასიის კავშირი და ამდენად, მისი გამომცემლები არ შეიძლებოდა ჩათლილიყო ცალკე ორგანიზაციად.[96] ლ. მარტოვმა მოითხოვა „კავკასიის საქმეში" გარკვეულიყო ცენტრალური კომიტეტი, რადგან პირადად მას კავკასიელი დელეგატების გამოსვლიდან ვერ დაუდგენია — კავკასიაში სამი ორგანიზაცია არსებობს, თუ საერთოდ არ არსებობს ორგანიზაცია. მეორე გამოსვლისას კი ლ. მარტოვმა მოითხოვა კავკასიის შესახებ ცალკე რეზოლუციის მიღება.[97] ვ. გორინმა მოითხოვა დასამტკიცებელი ორგანიზაციების სიიდან საერთოდ ამოეღოთ კავკასიის ორგანიზაცია.[98] ამასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ ყრილობას გაუკეთა განმარტება: „აქ საუბარია არა კავკასიის კომიტეტებზე, არამედ „პროლეტარიატის ბრძოლის" რედაქციაზე, რომელიც აუცილებელია შეტანილ იქნას სიაში".[99]

საკმაოდ ცხარე დისკუსიის შემდეგ შემუშავებულ იქნა რეზოლუციის პროექტი, შემდეგ ორგანიზაციათა შესახებ: 1) „ბორბას" ჯგუფი; 2) „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი საზღვარგარეთ"; 3) კუკლინის საგამომცემლო ჯგუფი (ყოფილი „ჟიზნი"); 4) „იუჟნი რაბოჩის" ჯგუფი; 5) რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „ვოლია".[100] ამრიგად, გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა" სიაში ვერ მოხვ-

და. დ. თოფურიძემ მოითხოვა „პროლეტარიატის ბრძოლა“ შეეტანათ სიაში. ბ. კნუნიანცმა კი — პირიქით, მხარი დაუჭირა „პროლეტარიატის ბრძოლის“ სიიდან ამოღებას, რასაც მაშინვე მოჰყვა დ. თოფურიძის პროტესტი.[101] ყრილობამ მხარი დაუჭირა ბ. კნუნიანცის წინადადებას. დ. თოფურიძემ მოითხოვა კენჭი ეყარათ მისი წინადადებისათვის „პროლეტარიატის ბრძოლის“ რსდმპ კავკასიის კავშირის პარტიულ ორგანოდ ცნობის შესახებ. ვ. ლენინმა, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, უარი განაცხადა დ. თოფურიძის წინადადებისათვის კენჭის ყრაზე იმ მოტივით, რომ გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ უკვე ამოღებული იყო სიიდან.[102] ყრილობას რეზოლუცია გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ შესახებ არ მიუღია, თუმცა განხილულ საკითხზე რამდენიმე ცალკე რეზოლუცია მიიღო.[103] მიუხედავად ამისა, ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებამდე იყო ცდები შეერბილებინათ, უფრო ზუსტად, არასწორად წარმოადგინათ ვ. ლენინის პოზიცია გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ პარტიულ ორგანოდ ცნობასთან დაკავშირებით. უაღრესად სანდო და საკმაოდ არაორაზროვანი დოკუმენტების (ყრილობის ოქმების) საწინააღმდეგოდ, ქართული ისტორიოგრაფია დაჟინებით ამტკიცებდა: „რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ პარტიის II ყრილობაზე არ გაუუქმებიათ“.[104] ამის დამამტკიცებლად კი მოჰყავდათ ფაქტი იმის შესახებ, რომ „პროლეტარიატის ბრძოლა“ 1905 წლის ოქტომბრამდე გამოდიოდა,[105] თუმცა დიდი მისვედრა არ უნდა იმას, რომ ერთია ფაქტი იმის შესახებ, ცნო თუ არა რსდმპ II ყრილობამ გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ პარტიულ ორგანოდ და მეორე — როდის შეწყვიტა გაზეთმა არსებობა.

რსდმპ II ყრილობაზე ვ. ლენინისა და ლ. მარტოვის მომხრეთა შორის არსებული იდეური და ორგანიზაციული ხასიათის წინააღმდეგობა დამთავრდა იმით, რომ ცენტრალური კომიტეტის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო ლ. მარტოვის მომხრე 15 დელეგატმა (19 ხმა). მათ მხარი დაუჭირეს ყრილობაზე სათათბირო ხმის უფლების მოწვეულმა დელეგატებმა ვ. ზასულიჩმა, პ. აქსელროდმა, ა. პოტრესოვმა (სტაროვერმა), ე. ალექსანდროვმა (შტეინმა), რ. გალბერშტადტმა (ფიშერმა), ბ. გინზბურგმა (კოლცოვმა) და ნ. ჟორდანიამ (კოსტროვმა).[106]

რსდმპ II ყრილობის მუშაობის დღეებში აშკარა გახდა რომ ნოე ჟორდანია ვ. ლენინისა და მის მიმდევრების (ბოლშევიკებს) ვერ შეურიგდებოდა. ნ. ჟორდანია ყველაფერში არც ლ. მარტოვსა და მის თანამოაზრეებს (მენშევიკებს) ეთანხმებოდა, მაგრამ როცა დგებოდა საკითხი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორი მიმდინარეობიდან რომელიმეს არჩევისა, ნ. ჟორდანია, საუსებით სწორად, მომავალი მენშევი-

პარტიის მხარეზე დგებოდა. ამასთან, ყრილობაზე და შემდეგაც ნ. ჟორდანია ამხელდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ორიენტაციის მიმდინარეობათა ხასიათის დამახასიათებელ ელიკოდერფასულ შეხედულებებს.

თავი მეოთხე
ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ II ყრილობის შემდეგ (1903-1904 წწ.)

§1. ვითარება ქართულ სოციალ-დემოკრატიაში რსდმპ II ყრილობის შემდეგ

ქართული სოციალ-დემოკრატიის ბედისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ შეხვდებოდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, გაიზიარებდნენ თუ არა იმ იდეურ და ორგანიზაციულ პლატფორმას, რომელიც სწორად სცნო ყრილობამ. ყოველივე ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომაც, რომ რსდმპ II ყრილობა ფაქტიურად განხეთქილებით დამთავრდა – მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ ყრილობის შემდეგომ პერიოდზე.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ძველი ხელმძღვანელი ბირთვი დაიშალა – „მესამე დასმა“ როგორც საერთო-ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ფუნქციონირება შეწყვიტა. 1904 წლის მეხუთე ნომრის შემდეგ აღარ გამოსულა გაზეთი „კვალი“. იგი ხელისუფლებამ აკრძალა. რსდმპ II ყრილობიდან ნოე ჟორდანია საქართველოში აღარ დაბრუნებულა. იგი თბილისში მხოლოდ 1905 წლის თებერვალში ჩამოვიდა.[1] ვლადიმერ დარჩიაშვილიც ემიგრაციაში იმყოფებოდა.[2] 1903 წლის 26 ივლისს თბილისიდან გადასახლების ადგილებში (აღმოსავლეთ ციმბირში) გაგზავნეს სილიბისტრო ჯიბლაძე და ვასილ ცაბაძე.[3] 1903 წლის 9 ივლისს აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება მიესაჯა სევერიან ჯუღელს,[4] 19 ივლისს არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლების განაჩენი გამოუტანეს ვლადიმერ ჯიბლაძეს.[5] 1903 წლის 19 ივლისს სხვადასხვა სასჯელი დაედოთ ფილიპე მახარაძეს, ბართლომე (ბარონ) ბიბინეიშვილს, პოლიევქტ კალანდაძეს, რაჟდენ კალაძეს, ნესტორ კალაძეს, კონსტანტინე ხომერიკს, პავლე კალანდაძეს, მიხეილ გოგლიძეს, იოსებ კაკაბაძეს, გრიგოლ წულუკიძეს,[6] ასევე კუზმა კრილოვს, თევდორე შმიკოვს, სერგეი ალილუევს, ვაცლავ პულავსკის.[7] 1902 წლის 28 სექტემბერს დაპატიმრებული ვლადიმერ კეცხოველი

1903 წლის 17 აგვისტოს მეტეხის საპყრობილეში მოკლეს.[8] 1903 წლის 9 ივლისის უმაღლესი ბრძანებულებით იოსებ ჯუღაშვილი გადასახლებაში გაგზავნეს 1903 წლის სექტემბერში, იგი გადასახლების ადგილზე ჩავიდა 27 ნოემბერს, საიდანაც 1904 წლის 5 იანვარს გაიქცა.[9]

ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან რსდმპ II ყრილობის შემდგომ პერიოდში მოღვაწეობას აგრძელებდნენ ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, დიომიდე თოფურიძე, მიხა ცხაკაია და იმხანად ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი რამდენიმე მოღვაწე (კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ელიავა, არჩილ ჯაფარიძე, შალვა შარაშიძე და სხვ.).[10] სამაგიეროდ საქართველოში, და კერძოდ, თბილისში დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან სომეხი სოციალ-დემოკრატები არშაკ ზურაბოვი და ბოგდან კნუნიანცი, რომელთაც 1904 წლის აპრილიდან დაემატა გერმანიიდან დაბრუნებული სტეფანე შაუმიანი.[11] სამივე სომეხი სოციალ-დემოკრატი მიხა ცხაკაიასთან, აგრეთვე რუსეთიდან ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებთან (დიმიტრი პოსტოლოვსკი და სხვ.) ერთად უსიტყვოდ უჭერდა მხარს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ პერიოდში დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი და ნოე ხომერიკი. რაც შეეხება ირაკლი წერეთელს, იგი 1904 წლის თებერვლამდე კვლავ აგრძელებდა გაზეთ „კვალის“ გამოცემას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ რსდმპ II ყრილობის შემდეგ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სათავეში რსდმპ კავკასიის კავშირი აღმოჩნდა. ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ პოზიციები დასთმო.

მაინც როგორ შეხვდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რსდმპ II ყრილობის შედეგებს? რსდმპ II ყრილობა არალეგალურად ჩატარდა. ყრილობის ოქმების სრული ტექსტი მხოლოდ 1904 წელს გამოიცა ჟენევაში.[12] ყრილობის მსვლელობა სოციალ-დემოკრატიული პრესით არ შუქდებოდა. ასე რომ, საქართველოში ინფორმაცია შეიძლებოდა გავრცელებინათ მხოლოდ ყრილობის დელეგატებს — ნ. ჟორდანიას, დ. თოფურიძეს, ა. ზურაბოვსა და ბ. კნუნიანცს. როგორც აღვნიშნეთ, ნ. ჟორდანია ყრილობის შემდეგ საქართველოში არ დაბრუნებულა. ამან საშუალება მისცა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის დაემალათ ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების ამბავი, განსაკუთრებით კი ის დარღვევები, რომლის მეოხებით ვ. ლენინმა შეძლო ყრილობაზე გამარჯვება მოეპოვებინა ცენტრალური ორგანოების არჩევნებისას. რსდმპ კავკასიის კავშირის პოზიციას მხარი დაუჭირეს ა. ზურაბოვმა და ბ. კნუნიანცმა. ასე რომ, რსდმპ II

ყრილობის შედეგები საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მსჯელობის საგნად არ ქცეულა. ნ. ჟორდანია იგონებს: „ყრილობა დასრულდა. მე, როგორც ემიგრანტი, დავბრუნდი ჟენევაში. დელეგატები დაბრუნდნენ სამშობლოში. სომხები (ა. ზურაბოვი და ბ. კნუნიანცი – ვ. გ.) მიემხრნენ ლენინს, თოფურიძე ყოყმანობდა. ერთი თუ ორი თვის შემდეგ გავიგე თფილისიდან, რომ დელეგატებს დაუმალავთ განხეთქილება ორგანიზაციებისათვის. მოხსენება გაუკეთებიათ მხოლოდ საკ. კომიტეტისათვის (რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი – ვ. გ.), რომელიც მთლად მიმხრობია ლენინს და მის ცეკას. გადაუწყვეტიათ განხეთქილება დამალონ და ორგანიზაციული წესით მუშათა მასა გადაიყვანონ ლენინის დოქტრინის ბაზზე. გავიგე თუ არა ეს, მე დავსწერე ვრცელი წერილი ლონდონის ყრილობის და იქ მომხდარი ამბების შესახებ და გადავუგზავნე თფილისის კომიტეტს. შემდეგ გავიგე, რომ ეს წერილი მიეღო საკ. კომიტეტს და დაემალა. ასე რომ მუშათა ორგანიზაციები დარჩა სიყრუეში“.[13] რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა არა მარტო ნ. ჟორდანის წერილი დაუმალა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, არამედ 1903 წლის ოქტომბერში დ. თოფურიძე „დეზორგანიზატორული საქმიანობის“ გამო (ე. ი. რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების გახმაურების გამო – ვ. გ.) ჩამოაშორა პარტიულ მუშაობას და მისი საკითხი დააყენა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილება მოიწონეს ვ. ლენინმა და გ. პლეხანოვმა.[14]

ამრიგად, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წყალობით საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ვერ მიიღეს ობიექტური ინფორმაცია რსდმპ II ყრილობის შესახებ. ამას არ შეეძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე, ფრაქციული ბრძოლის ხასიათზე.

§2. ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური ევოლუცია 1903-1904 წლებში

რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნითა (1903 წლის მარტი) და რსდმპ II ყრილობით (1903 წლის ივლის-აგვისტო) ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო – ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ შემადგენელი ნაწილი გახდა. თუ რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნით ქართული სოციალ-დემოკრატიის შესვლა რსდმპ შემადგენლობაში ფაქტობრივად მოხდა, რსდმპ II ყრილობაზე გაერთიანება

იურიდიულადაც გაფორმდა. გაერთიანების პროცესს თან სდევდა ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური ევოლუცია.

ქართულ სოციალ-დემოკრატიაზე რუსული სოციალ-დემოკრატიის გავლენა, როგორც აღვნიშნეთ, რსდმპ II ყრილობის წინა პერიოდში (1901-1903 წწ.) ძლიერდება. ყრილობის შემდეგ უფრო აშკარა ხდება ევროპული სოციალ-დემოკრატიის იდეების უგულებელყოფა და რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების ძლიერი გავლენა.

ნოე ჟორდანიას მსოფლმხედველობის ევოლუცია აშკარა გახდა უკვე რსდმპ II ყრილობის შემდგომ თვეებში. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი არ ჩარეულა 1901-1903 წლებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შიგნით მიმდინარე იდეურ ბრძოლაში. თავისი პოზიცია მან პირველად რსდმპ II ყრილობაზე წარმოადგინა, რაც ლ. მარტოვის მიმდინარეობის მხარდაჭერაში გამოიხატა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნ. ჟორდანია მენშევიკურ მიმდინარეობას მიემხრო. ყრილობის შემდეგ იგი გარკვევით დგება მენშევიზმის პლატფორმაზე და იწყებს უკომპრომისო ბრძოლას ვ. ლენინისა და მის მიმდევრებს (ბოლშევიკების) წინააღმდეგ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა რსდმპ II ყრილობაზე მომზდარი განხეთქილების ამბავი და პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების დროს დაშვებული დარღვევები დაემალა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის. ა. ზურაბოვი და ბ. კნუნიანცი დაჰყვნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ნებას. რაც შეეხება დ. თოფურიძეს, იგი შეეცადა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის ეცნობებინა ყრილობაზე მომზდარი განხეთქილებისა და დარღვევების შესახებ, რისთვისაც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დ. თოფურიძე ჩამოაცილა პარტიულ მუშაობას. შექმნილი ვითარება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილი გახდა ნ. ჟორდანიასათვის, რომელიც მაშინ ჟენევაში იმყოფებოდა. ეს უკანასკნელი სასწრაფოდ წერს უაღრესად საინტერესო ნაშრომს „წერილი კავკასიის კომიტეტებს“ (იგულისხმებოდა რსდმპ კავკასიის კომიტეტები — ვ. გ.) და უგზავნის მას თბილისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს. როგორც ნ. ჟორდანია მემუარებში აღნიშნავს, წერილი მას ყრილობის დამთავრებიდან ერთი თუ ორი თვის შემდეგ ე. ი. 1903 წლის სექტემბერში ან ოქტომბერში დაუწერია.[15] ნ. ჟორდანია წერილის დაწერის თარიღს ზუსტად ვერ იხსენებს. თვით წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი 1904 წლის 15 მაისის შემდეგაა დასრულებული. ნ. ჟორდანიას წერილი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დამალა, სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტებს არ გააცნო. წერილი არც იმჟამად და არც შემდგომ არ გამოქვეყნებულა. წერილის ქართული ვარიანტი დღეს მიკვლეული არ არის. სკკპ ცენტრა-

ლური კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცული იყო წერილის რუსული თარგმანი, რომლის ფოტოპირი ინახება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არქივში.[16] წერილი დიდი მოცულობის არ არის. ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით „მიხაელიდისი“. ნ. ჟორდანიას ეს წერილი დღემდე არ მოხვედრილა მკვლევართა ყურადღების ცენტრში.

ნოე ჟორდანიას „წერილი კავკასიის კომიტეტებს“ დაიწერა თანადროულად ლ. მარტოვის ცნობილი წერილისა — „ჩვენი ყრილობა“,[17] აგრეთვე პ. აქსელროდის ცნობილი წერილებისა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გაერთიანება და მისი ამოცანები“ და „ჩვენი ორგანიზაციული უთანხმოების წყაროებისა და მნიშვნელობის საკითხისათვის“.[18] ნ. ჟორდანიას, პ. აქსელროდისა და ლ. მარტოვის ნაშრომებით დაიწყო ბოლშევიზმის თეორიისა და პრაქტიკის კრიტიკა. სამწუხაროდ, ნ. ჟორდანიას ნაშრომი არც იმხანად და არც შემდეგ არ გამოქვეყნებულა და ამდენად, შესაბამისად ვერ დაფასდა. მთავარი მაინც ეს არაა. მთავარი ისაა, რომ ლ. მარტოვსა და პ. აქსელროდს რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში მომხდარი განხეთქილება მაინც ჩვეულებრივ განხეთქილებად მიაჩნდათ, ე. ი. შერიგება-შეთანხმების იმედი ჰქონდათ. ნ. ჟორდანიას კი უკვე 1904 წელს შეუძლებლად მიაჩნდა მენშევიზმისა და ბოლშევიზმის შერიგება, ხოლო ვ. ლენინის შეხედულებებს (ბოლშევიზმს) რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის დამღუპველად მიიჩნევდა. ამ დასკვნით ნ. ჟორდანიამ დაადასტურა, რომ იგი სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილი თეორეტიკოსი იყო. ნ. ჟორდანიამ მოგვცა ლენინიზმის იდეური და ორგანიზაციული საფუძვლების ღრმად დასაბუთებული, მეცნიერული კრიტიკა. ნ. ჟორდანია სათანადო ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე დაასკვნიდა: 1) ლენინიზმი და ე. ი. ბოლშევიზმი არ იყო სოციალისტური იდეოლოგია; 2) ლენინიზმი (ბოლშევიზმი) არ იყო პროლეტარიატის გათავისუფლების იდეოლოგია; 3) ლენინიზმი (ბოლშევიზმი) იყო ტოტალიტარული, ანტიხალხური, ანტიპროლეტარული იდეოლოგია; 4) ლენინიზმის (ბოლშევიზმის) ორგანიზაციული პრინციპები ითვალისწინებდა არა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნას, არამედ შეთქმულთა ვიწრო ორგანიზაციის, სექტის შექმნას, სადაც უსიტყვოდ უნდა შეესრულებინათ ხელმძღვანელის (შეფის) ბრძანება; 5) რსდმპ II ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში, ვ. ლენინის მოღვაწეობის წყალობით, პარტია ძლიერ დაქვეითდა თეორიული, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით.[19]

ასეთ შეფასებას აძლევდა ნ. ჟორდანია ლენინიზმს (ბოლშევიზმს) ჯერ კიდევ 1904 წლის მაისში. მსოფლიოში ცნობილი სოციალისტოლოგები მსგავს დასკვნებამდე რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მივიდნენ.

ფრილობის შემდეგ ემიგრაციაში ყოფნისას ნ. ჟორდანია თანამშრომლობდა არჩილ ჯორჯაძესთან და მის თანამოაზრეებთან. გაზეთ „საქართველოში", რომელსაც 1903 წლიდან საზღვარგარეთ ქართულ და ფრანგულ ენებზე სცემდა ა. ჯორჯაძე, ნ. ჟორდანია რამდენიმე წერილსაც კი ათავსებს. საბოლოოდ მან ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებთან საერთო ენა ვერ გამონახა. პროტესტის ნიშნად ნ. ჟორდანიამ დასტოვა ქართველ სოციალ-ფედერალისტთა კონფერენცია (კონგრესი), რომელიც 1904 წლის აპრილში შედგა ჟენევაში. კონფერენცია ნ. ჟორდანიამ, რა თქმა უნდა, იდეური მოსაზრებით დასტოვა. ნ. ჟორდანიას მემუარებში ვკითხულობთ: „კონფერენციამ გამოაცხადა დაარსებულად სოც.-ფედერალისტური პარტია, რომლის ძირითად დოქტრინად აღიარა ორი ახალი დებულება: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ ყველა რევოლიუციური და პროგრესიული ძალების დადგომა. ეს უნდა გამხდარიყო „საერთო ნიადაგი" ყველა კლასის და წოდების შორის და სხვ. აი ეს „საერთო ნიადაგი" გახდა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი. ეს იყო აღდგენა ილ. ჭავჭავაძის ძველი დებულების — ყველა ერთ ტაფაში ვიწვით, ყველა შევერთდეთ ვინაობის დაცვაშიო, რის წინააღმდეგ მეოთხმოცე წლებში ილაშქრებდნენ ქართველი ნაროდნიკები. თუ ეს მიუღებელი იყო იმ ძველ დროს, გაცილებით უფრო მიუღებელი იყო ამ მოძრაობის ხანაში".[20] „საერთო ნიადაგის" იდეას ნ. ჟორდანია არც წინათ იზიარებდა, ამიტომაც 1904 წელს მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ეს არ იყო მოულოდნელი. ახალი ნ. ჟორდანიას მსოფლმხედველობაში სხვა რამ იყო. ნ. ჟორდანია სვამს კითხვას, თუ რატომ იყო მიუღებელი ახალ ეპოქაში „საერთო ნიადაგის" იდეა: „იმიტომ რომ მუშათა მოძრაობა გადავაბით გლეხთა მოძრაობას. პირველი თუ დაპირისპირებული იყო უმთავრესად არაქართული კაპიტალის წინააღმდეგ და აქ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი საერთო ნიადაგზე, მეორე კი მიმართული იყო ქართველების, ქართველი მემამულეების წინააღმდეგ და აქ ამ ორ წოდებათა შორის საერთო ენა შეუძლებელი იყო".[21] ნ. ჟორდანიას ეს მოსაზრება რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური სალაროდან იყო აღებული და უკვე აშკარად წარმოაჩენდა მისი ავტორის მსოფლმხედველობაში ეროვნული ნიჰილიზმის ნიშნებს. აქვე ნ. ჟორდანია წმინდა ფრაქციული მოსაზრებით ერთ მეტად საინტერესო აზრს ავითარებს. მას შემდეგ, რაც დასკვნის, რომ საქართველოში მემამულეთა და გლეხთა შერიგება, მათ შორის საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი იყო, ნ. ჟორდანია აგრძელებს:

„ჩვენ მიერ ასეთი ენის ძიება დაბოლოვდებოდა ერთი შედეგით — გლეხობა ჩამოგვშორდებოდა. გლეხთა საკითხი მოიხსნებოდა და ჩავარდებოდით რუსის სოც.-დემ. მდგომარეობაში. გლეხობის ჩამოშორება გასტეხდა მცირე რიცხოვან, მაგრამ მეტად აქტიურ მუშათა კლასს და გზას გაუხსნიდ ბოლშევიკების გეგემონიას. ქართული მარქსისტული სოციალიზმი სამუდამოდ დაიმარხებოდა“.[22] ეს იყო მოვლენათა შესაძლო განვითარების მენშევიკური პროგნოზი.

ამრიგად, ნოე ჟორდანიასათვის ა. ჯორჯაძის მიერ წამოყენებული „საერთო ნიადაგის“ იდეა მიუღებელი იყო როგორც ზოგადად რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან, ისე მისი მენშევიკური მიმდინარეობის თვალსაზრისით.

ნოე ჟორდანიას იდეური ევოლუცია მთელი სისრულით გამოვლინდა 1904 წელს ჟენევაში დაწერილ ნაშრომში „ქართველი ნაციონალისტები“.[23] ეს ნაშრომი ნოე ჟორდანიამ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებების და საერთოდ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საპროგრამო დებულებების კრიტიკას მიუძღვნა, რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან შეაფასა გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული დიდძალი მასალა. ნ. ჟორდანიას აზრით, სოციალისტ-ფედერალისტებს სოციალიზმთან საერთო არაფერი ჰქონდათ: „საქართველოს“ ჯგუფი მუშათა მოძრაობის მიერ გამორიყული ჯგუფია. მისი მიზანია თავისი ნაციონალისტური აზრები მუშებში შეიტანოს და მით მუშათა მოძრაობა ვიწრო კალაპოტში მოამწყვდიოს, და რომ ეს მოახერხოს თავის თავს მუშათა მომხრეებს აცხადებს, ვითომ კიდევაც თანაგვიგრძნობს, კიდევაც „დემოკრატობს“, ხან და ხან „სოციალისტობასაც“ წყებულობს, რომ ამით მუშათა წრეებში შესავალი მოიპოვოს და თავისი ძველი აზრები კონტრაბანდათ შეასროს“.[24] ნ. ჟორდანია სოციალისტ-ფედერალისტებს დიდ ცოდვად უთვლის იმას, რომ ისინი არ აყენებენ ბურჟუაზიული საზოგადოების მოსპობის საკითხს: „ის (გაზეთი „საქართველო“ — ვ. გ.) თხოულობს მხოლოდ ეროვნულ თვითმართველობას და ზოგ დემოკრატიულ რეფორმებს. ეს არის მისი უმთავრესი მიზანი, რაიცა უნდა შესრულდეს კაპიტალისტური წარმოების საზღვრებში მუშათა და გლეხთა ცარცვა-გლეჯის და გაბატონებულ კლასთა უფროსობის საძირკველზე“.[25] როგორც ვხედავთ, ნ. ჟორდანიასათვის მიუღებელია სოციალ-ფედერალისტთა როგორც ეროვნული, ისე სოციალური პროგრამა. ნ. ჟორდანიასათვის ერთადერთი ჭეშმარიტება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საპროგრამო მოთხოვნები იყო. მას ღრმად სწამდა, რომ რუსეთის „გადასხვაფერება“ სწორედ ამ პროგრამის მიხედვით უნდა მომხდარიყო. ნაშრომში ვკითხულობთ: „თავისთავად ცხადია, რომ რუსეთის ამგვარი ძირითადი გადასხვაფერება და მისი ჩვენი

პროგრამის თანახმად მოწყობა დიდ ძალას, დიდ ორგანიზაციას მოითხოვს. ამ ძალის მთავარი მატარებელია რუსის პროლეტარიატი, როგორც სიმრავლით, ისე თავისი ბინადრობით. მთავრობის უმთავრესი ძალა სატახტო ქალაქებშია, მისი შემუსვრა იქ უნდა მოხდეს. მაშასადამე, რუსეთის რევოლუციის მეთაური, თვითმპყრობელობის სამარის ამომთხრელი პირველ ყოვლისა რუსის მუშა ხალხია. მარა, რომ თვითმპყრობელობის რეჟიმი ყველგან, სახელმწიფოს ყველა კუთხეში ძირიანად ამოვარდეს — საჭიროა ყველა ამ კუთხეთა პროლეტარიატის აჯანყება და აღგილობრივ მტრებთან შებრძოლება. ცხადია, თვითმპყრობელობის დაცემაში დაინტერესებულია არა მარტო რუსის, არამედ ქართველის, სომხის, ურიის, პოლონელი და სხვა ერთა პროლეტარიატი. არც ერთ მათგანს ცალ-ცალკე არ ძალუძს რუსეთის წყობილების დანგრევა, შეცვლა და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება. ისინი ჯალაუნებურად შეკავშირებულია რუსეთთან და მხოლოდ საერთო ძალ-ღონით საერთო პროგრამის განხორციელება შეეძლებათ. ამიტომ ყველა ერის და კუთხის მუშათა მოძრაობის შეერთება, შეკავშირება და რუსის პროლეტარიატის მეთაურობით მტერზე იერიშით მისვლა ერთად ერთი თავდებია გამარჯვებისა. კავკასიის პროლეტარიატი კარგა ხანია ამ გზას დადგა. ის კარგა ხანია შეუერთდა თავის მომძე რუსის პროლეტარიატს და მასთან ერთად ლამობს თვითმპყრობელობის დამხობას და მის ნანგრევებზე ახალი წყობილების აგებას"[26] ამ ამონაწერში მოკლედ, მაგრამ სრულიად გასაგებად, მთელი სიცხადით არის გადმოცემული ნოე ჟორდანიას მრწამსი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სოციალური და ეროვნული პროგრამა, ამ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სტრატეგია, ტაქტიკა. 1903 წლისათვის, კონკრეტულად რსდმპ II ყრილობაზე, ნოე ჟორდანია ჯერ კიდევ მერყეობდა, აქა-იქ მის გამოსვლებში გაიელვებდა როგორც ქართველი ერის დიდი სატკივარი, ისე. დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეები. 1904 წლისათვის ნ. ჟორდანია მტკიცედ დადგა რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე. მისთვის მიუღებელი გახდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ნებისმიერი მიმდინარეობის საპროგრამო მოთხოვნები. ნ. ჟორდანიას მსოფლმხედველობაში სოციალურმა თითქმის მთლიანად დათრგუნა ეროვნული და „მესამე დასის" უპირველესი იდეოლოგი, ქართული სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ლიდერი ეროვნული ნიჰილიზმის აპოლოგეტად მოგვევლინა.

ალექსანდრე წულუკიძის მსოფლმხედველობის ევოლუცია, ნ. ჟორდანიასაგან განსხვავებით, არც თუ ის თვალში საცემია. ა. წულუკიძეს რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების გავლენა ნ. ჟორდანიაზე გაცილებით ადრე დაეტყო. უფრო ზუსტად, ა. წულუკიძე როგორც სოციალ-

დემოკრატი, რუსული სოციალ-დემოკრატიის ტრადიციებზე ალიზარდა. 1903 წლიდან აშკარა ხდება ა. წულუკიძის მკვეთრი დაპირისპირება ეროვნულ მოძრაობასთან და კერძოდ არჩილ ჯორჯაძესთან. თვით ა. ჯორჯაძის შეხედულებების კრიტიკა არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულს, მთავარი აქ ის იყო, რომ ა. წულუკიძე, ნ. ჟორდანიას მსგავსად, ა. ჯორჯაძესა და საერთოდ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა საპროგრამო მოთხოვნებს რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმიდან აკრიტიკებდა..

1903 წელს ქუთაისში ცალკე ბროშურად გამოიცა ალექსანდრე წულუკიძის „ოცნება და სინამდვილე" (კრიტიკული შენიშვნები ბ. არჩილ ჯორჯაძის „პროგრამის" გამო).[27] ა. ჯორჯაძის შეხედულებების განხილვის შემდეგ ა. წულუკიძე ასეთ დასკვნას აკეთებს:

1) „ბ. არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც ობიექტური ცხოვრების მიმდინარეობას სუბიექტის აზრსა და ლტოლვილებას უპირისპირებს — ოცნებაა, რადგან ობიექტური პროცესი სუბიექტის აზრსა და ლტოლვილებას შეიცავს და განსაზღვრავს...

2) ინტელიგენცია არ წარმოადგენს ერთ მთლიანს, განუყოფელ ჯგუფს, რადგან თანამედროვე ცხოვრების ინტერესების წინააღმდეგობა რამდენიმე შეუთანხმებელ იდეოლოგიურ მიმართულებას ბადებს, და ყოველი აზრი, საზოგადოებრივი კითხვის გამოსარკვევად წარმოთქმული, რომელიმე ამ მიმართულების გამოსარჩლება იქნება...

3) ბ. არჩილ ჯორჯაძის „დემოკრატიული ინტერესები" — ბურჟუაზიაა; კლასთა ბრძოლის გადაფუჩეჩება მისთვის საერთო ინტერესს წარმოადგენს, რომელსაც „მშრომელმა ხალხმა" თავის კერძო ინტერესები უნდა უმსხვერპლოს; რადგან ეს „ხალხი" უმეტესობას შეადგენს და საერთო ინტერესებს მისი ინტერესები წარმოადგენენ, ამიტომ ბ. არჩილ ჯორჯაძე ეროვნული ინტერესების სახით უმცირესობის, არა მწარმოებელთა ინტერესებს იცავს...

4) მოპირდაპირე დასების საერთო მოქმედების ნიადაგი: ა) ქართული ენის დაცვა; ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა, საიმედო ნიადაგი ვერ ყოფილა, როგორც ბ. არჩილ ჯორჯაძეს ეგონა. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება კლასთა ბრძოლის ნიადაგს თვითონვე ქმნის; ქართული ენა, როგორც იარაღი სულიერი ურთიერთობისა და, მაშასადამე, მატერიალური წინააღმდეგობის გამომხატველი, არ არის ის ნიადაგი, რომელზედაც მებრძოლნი თავის საბრძოლველ საგანს დაივიწყებენ, არსებით კითხვას გადააფუჩეჩებენ..."[28]

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე წულუკიძე ვერ ურიგდება „საერთო ნიადაგის“ იდეას და მას „ოცნებად“ თვლის. ა. წულუკიძის მსოფლმხედველობაში ეს არ არის მთავარი. „საერთო ნიადაგის“ იდეას ებრძოდა თითქმის მთელი ქართული სოციალ-დემოკრატია (ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ირ. წერეთელი, რ. არსენიძე და სხვ.). მთავარი აქ ისაა, რომ სოციალური და ეროვნული პროგრესის, ანუ სოციალური და ეროვნული საკითხის გადაჭრის ერთადერთ გზად ა. წულუკიძემ კლასთა ბრძოლა და რევოლუცია არ გამოაცხადა. იქნებ ავტორი რევოლუციაზე საუბრისაგან თავს იმიტომაც იკავებს, რომ ნაშრომი ლეგალურად გამოდიოდა, ხოლო ლეგალურად გამოცემულ ნაშრომში არსებული წყობილების მოსპობაზე საუბარი არ შეიძლებოდა. თუმცა, ნაშრომის დასკვნაში არის ერთი ადგილი, სადაც ა. წულუკიძე რაღაცას მიგვანიშნებს, რაღაც სურს მიახვედროს მკითხველს. აი, ეს ადგილიც: „პროგრამის უმთავრესი მუხლები ავტორს (ე. ი. ა. ჯორჯაძეს — ვ. გ.) შეუგნებელი ჰქონია და ამიტომ მისი მსჯელობა ოცნებას წარმოადგენს; სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს. თანამედროვე ცხოვრების ვითარება მთლად ეწინააღმდეგება მის „აზრსა და ლტოლვილებას“, ევროპის წარსული ცხოვრების მაგალითები მოწმობენ მისი „პროგრამის“ უვარგისობას და სინამდვილე ისეთ ერთგვარ ელემენტებზე გვითითებს აწმყოში, რომლის „საერთო მოქმედების ნიადაგია“ მხოლოდ საფუძვლიანი! ყველა მის მომხრეს სამართლიანი იმედი ექნება, რომ მის მოქმედებას მიაშურებს ის ბედნიერი მნათობი, რომელმაც მაშვრალთ სიფარულის მოციქულისაკენ გზა გაუნათა!“[29] შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამ სიტყვებით ა. წულუკიძე რევოლუციაზე მიგვანიშნებს, შეიძლება საწინააღმდეგო აზრიც განვავითაროთ. ამ საკითხში თითქმის გარკვეულობა შეაქვს ა. წულუკიძის ნაშრომს „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, რომელიც 1903 წლის ნოემბრიდან 1904 წლის იანვრამდე გაზეთ „კვალში“ იბეჭდებოდა გაგრძელებებით, ხოლო 1904 წელს თბილისში ცალკე გამოცემის სახითაც გამოვიდა.[30] მას შემდეგ, რაც ა. წულუკიძე ახასიათებს ბურჟუაზიული წყობილების ეკონომიკას, დაასკვნის: „ერთი სიტყვით, ხალხის უმრავლესობა დღითი დღე ღარიბდება და ქვეყნის სიმდიდრის განაწილების დროს მისი მონაწილება შედარებით მცირდება. ესეც შეუსაბამობაა არსებული კაპიტალისტური წარმოების“.[31] ამ დასკვნის შემდეგ ა. წულუკიძე ასეთ აზრს ავითარებს: „ეს შეუსაბამობა, წინააღმდეგობა ბადებს საზოგადოებრივი ჯგუფების შეტაკებას, ამწვავებს განწყობილებას, აჩენს სასტიკ ბრძოლას... ამ ბრძოლის გადამწყვეტი საბოლოო ცნობიერად მოხმარებული ძალაა...“[32] ნაშრომს ა. წულუკიძე ამ სიტყვებით ამთავრებს: „არსებული წინააღმდეგობისაგან გამოსავალ გზას თვით ცხოვრება უთითებს:

წარმოების მოუწესრიგებლობა მოწესრიგებას საჭიროებს, საერთო საქმე საერთო პატრონს მოითხოვს...“[33] ცხადია, ამ შემთხვევაში ა. წულუკიძე საზოგადოებრივი პროგრესის გზად კლასთა ბრძოლას მიიჩნევს, რომელიც, მისი აზრით, მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. მიუხედავად ამისა, ნაშრომში რევოლუციაზე საუბარი მაინც არ არის,[34] თუმცა, ჩვენი აზრით, ლეგალურად გამოცემული ნაშრომის კვალობაზე, ავტორმა მაინც გარკვევით მიანიშნა რევოლუციის გარდაუვალობაზე.[35]

ალექსანდრე წულუკიძე ევროპული სოციალ-დემოკრატიის მიმდევარი არასდროს ყოფილა, იგი ყოველთვის რუსული სოციალ-დემოკრატიის აშკარა გავლენას განიცდიდა. ეს გავლენა 1903-1904 წლებში კიდევ უფრო ძლიერდება, რაც განაპირობებდა კიდეც ა. წულუკიძის დაპირისპირებას ეროვნულ მოძრაობასთან და კერძოდ არჩილ ჯორჯაძესთან — „საერთო ნიადაგის“ იდეასთან. წოდებათა თანამშრომლობის, კლასთა შერიგების იდეის უარყოფიდან, ბუნებრივია, რომ ა. წულუკიძე კლასთა ბრძოლის და რევოლუციის აუცილებლობის აღიარებამდე მივიდა. ამასთან ა. წულუკიძე უკიდურეს ეროვნულ ნიჰილიზმამდე არ დაშვებულა, როგორც ეს დაემართა ქართული სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთ წარმომადგენელს.

იოსებ ჯუღაშვილის მსოფლმხედველობას რსდმპ II ყრილობის შემდგომ ხანებში (1903-1904 წწ.) თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. ი. ჯუღაშვილი მტკიცედ იდგა იმ პლატფორმაზე, რომელსაც თავგამოდებით იცავდა ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში: „რედაქციისგან“ (1901 წ.) და „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ (1901 წ.).[36] 1904 წელს ი. ჯუღაშვილი გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ აქვეყნებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაშრომს „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“[37] იმავე წელს წერს ორ წერილს, რომელიც იმწანად არ გამოქვეყნებულა.[38] ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უკვე 1901 წელს დაბეჭდილი ნაშრომებიდან აშკარა გახდა, რომ იოსებ ჯუღაშვილი არაორდინალურად მოაზროვნე, სრულიად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. ეს კიდევ უფრო ცხადად გამოვლინდა შემდგომ წლებში. თუ 1901 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი უახლოესი ამოცანები“ ი. ჯუღაშვილმა ვ. ლენინზე გაცილებით ადრე ზუსტად და გასაგებად ჩამოაყალიბა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამოცანები, 1904 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ — მან პარტიის ეროვნული პროგრამის პირველი მონახაზი მოგვცა. ორივე ნაშრო-

მით ი. ჯუღაშვილმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თეორეტიკოსობაზე განაცხადა სერიოზული პრეტენზია.

იოსებ ჯუღაშვილის არჩევანმა — ჩამდგარიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სამსახურში — განსაზღვრა არა მარტო მისი პირადი ცხოვრება, არამედ უდიდესი გავლენა იქონია რუსეთისა და საქართველოს ახალი ისტორიის დიდ ეპოქაზე. როცა ი. ჯუღაშვილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე დადგა, იგი კარგად იცნობდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს, საერთაშორისო და რუსულ ანარქიზმს, ევროპულ სოციალ-დემოკრატიას, რუსულ სოციალ-დემოკრატიას, ქართულ სოციალ-დემოკრატიას. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ განაპირობა იოსებ ჯუღაშვილის არჩევანი? ჩვენი აზრით, ეს არჩევანი შემდეგი მიზეზებით უნდა ყოფილიყო განპირობებული:

1. იოსებ ჯუღაშვილმა სწორად განჭვრიტა, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სერიოზული კრიზისის სტადიაში შევიდა. ეს მოძრაობა უკვე იმაზე მეტს ველარ მიაღწევდა, რაც მიაღწია წინა ათწლეულებში. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგისათვის ქართული ეროვნული მოძრაობა ცალკეულ მიმდინარეობებად დაიშალა. ილია ჭავჭავაძის იდეების საფუძველზე ეროვნული მოძრაობის გამთლიანება უპერსპექტივოდ მოჩანდა.

2. იოსებ ჯუღაშვილმა ზუსტად გააანალიზა რუსეთის იმპერიაში შექმნილი ვითარება. რუსეთის დეცენტრალიზაცია, ქვეყნის ფედერალიზაცია და ავტონომიზაცია სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა უზარმაზარ იმპერიას, ამიტომ ველიკორუსები იმპერიის ნგრევას არ დაუშვებდნენ. ქართველ ხალხს, სურდა თუ არა სურდა, იმპერიის შემადგენლობაში უნდა ეცხოვრა და თავისი უახლოესი მომავალიც ამ რეალობიდან გამომდინარე განესაზღვრა.

3. იოსებ ჯუღაშვილი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ევროპეიზაცია შეუძლებელი იქნებოდა. რუსეთი ჯერ კიდევ დიდხანს დარჩებოდა თვითმყოფად, მხოლოდ რუსულ სახელმწიფოდ. რუსეთისათვის მიუღებელი იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის განახლების ნებისმიერი თეორია, მათ შორის ევროპაში ძალზე პოპულარული სოციალისტური დოქტრინა. რუსეთს განახლების საკუთარი, ორიგინალური გზა უნდა ეპოვა.

ამ დასკვნებამდე მივიდა იოსებ ჯუღაშვილი 1901-1904 წლებში, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი პოლიტიკური არჩევანი.

ქართველი სოციალ-დემოკრატების (ნ. ჟორდანია, ა. წულუკიძე, ირ. წერეთელი) ნაწერებში 1903-1904 წლებში ძლიერდება ეროვნული ნიჰილიზმი. იგივე მოვლენა შეიმჩნევა ი. ჯუღაშვილის ნაშრომში „როგორ

ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჯუღაშვილი დაუნდობლად აკრიტიკებს „ყველა-ლურ მონარქიულ ნაციონალიზმს“, ქართველი ნაციონალისტების „ბატონ-ყმურ-მონარქიულ სურვილებს“, „ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს“ და ა. შ. არც სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნულ პროგრამას ინდობს და მასაც კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს. ამასთან იოსებ ჯუღაშვილი სიტყვასაც არ ძრავს პირადად ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, თავს იკავებს ილიას უდიერად მოხსენიებისაგან, თუმცა, ცხადი იყო, რომ ი. ჯუღაშვილი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამას არ იზიარებდა.[39] ამითაც განსხვავდებოდა იოსებ ჯუღაშვილი სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან.

ი. ჯუღაშვილის მიერ 1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ქუთაისში დაწერილი ორი წერილიდან აშკარა ხდება, რომ იგი ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმის თავგამოდებული დამცველი იყო.[40] მეორე წირილიდან ჩანს, რომ 1904 წელს ნ. ჟორდანიასა და ი. ჯუღაშვილს შორის მიმოწერაც ყოფილა. მართალია, წერილში ი. ჯუღაშვილი არ იძლევა ნ. ჟორდანიას შეხედულებების შეფასებას, მაგრამ წერილის ტონით და ნ. ჟორდანიას უდიერად მოხსენიება არავითარ ეჭვს არ ტოვებს ი. ჯუღაშვილის შეხედულებების გარკვევის თვალსაზრისით. წერილში ვკითხულობთ: „კოსტროვმა გამოგვიზავნა კიდევ ერთი წერილი, სადაც ლაპარაკობს სულსა და მატერიაზე (მგონია, ლაპარაკია ჩითის მატერიაზე). ამ ვირს კიდევ არ ესმის, რომ მის წინაშე გაზეთ „კვალის“ აუდიტორია როდია. რა ესაქმება მას ორგანიზაციულ საკითხებთან?“[41]

იოსებ ჯუღაშვილის სახით 1903-1904 წლებში საქართველოში ბოლშევიზმის ძლიერი დამცველი გამოუჩნდა, ხოლო ქართველ ბოლშევიკებს — იდეური ბელადი, ღრმად ერუდირებული თეორეტიკოსი.

ამრიგად, 1903-1904 წლებში ქართული სოციალ-დემოკრატიის ევოლუცია დამთავრდა რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეურ და ორგანიზაციულ პლატფორმაზე გადასვლით. დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეები თითქმის დავიწყებულ იქნა. ამიერიდან ქართული სოციალ-დემოკრატია რუსული სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებით ცხოვრობდა.

§3. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები 1903-1904 წლებში

რსდმპ II ყრილობის შემდეგ, ბუნებრივია, ჟანდარმერია და ოხრანკა ახალი ძალით ამოქმედდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. მართალია, დიდ დაპატიმრებებს უშუალოდ ყრილობის შემდეგ ხანებში საქართველოში ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ჟანდარმერია და ოხრანკა გამალებით აგროვებდა ცნობებს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ცალკეული სოციალ-დემოკრატების შესახებ. უკვე 1903 წლის აგვისტოში თბილისის ოხრანკის განყოფილებას ჰქონდა აგენტურული მასალა თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში აქტიურად მოქმედი სოციალ-დემოკრატების შესახებ.[42] თბილისში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის უმთავრეს საყრდენად კვლავ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები რჩებოდა. 1903 წლის 17 აგვისტოს თბილისის ოხრანკის განყოფილების უფროსი თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს აცნობებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილე მუშების ვინაობას. ესენი იყვნენ: ივანე კომახიძე, გერასიმე კაჭახიძე, შაქრო (ზაქარია) ინაშვილი, დავით კერესელიძე, ბაბილონ ლეკვეიშვილი, გრიგოლ ვარდანაშვილი, სიმონ ჩიკმაშვილი, პავლე მიატელოვი, დავით სუხიშვილი, პარნო სართანია, გიორგი ნიკოლაიშვილი, გიორგი ზუბაშვილი, სტანისლავ ლენჩევსკი, ანდრია ჭიაბრიშვილი, მელქისედეკ ფრანგიშვილი, გიორგი თელია, მაქსიმე ლეჟავა და სხვ.[43]

1903 წლის აგვისტოსათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ამაზე მეტყველებს რსდმპ თბილისის კომიტეტის საიდუმლო სალაროს აგვისტოს თვის ანგარიში. აგვისტოს თვეში საიდუმლო სალაროში ფული შეიტანა 27 ორგანიზაციამ (ქარხანა, ფაბრიკა, საამქრო, სახელოსნო და ა. შ.). აგვისტოში სალაროს შემოსავალმა შეადგინა 842 მანეთი და 88 კაპიკი, სალაროს ნაშთი 1 აგვისტოსათვის შეადგენდა 2769 მანეთსა და 99 კაპიკს. აგვისტოში საიდუმლო სალაროდან დაიხარჯა: პატიმრობაში მყოფი სოციალ-დემოკრატებისათვის — 700 მანეთი და 75 კაპიკი, გადასახლებულთათვის — 250 მანეთი, არალეგალური ლიტერატურის შესაძენად — 105 მანეთი, წვრილმანი ხარჯებისათვის — 4 მანეთი და 20 კაპიკი, სულ 1059 მანეთი და 95 კაპიკი.[44] 1903 წლის სექტემბერში რსდმპ თბილისის კომიტეტის საიდუმლო სალაროში ფული შეიტანა 20 ორგანიზაციამ. მთელმა შენატანმა 482 მანეთი და 3 კაპიკი შეადგინა. 1 სექტემბრისათვის სალაროს ნაშთი 2552 მანეთსა და 92 კაპიკს შეადგენდა. სექტემბრის თვეში საიდუმლო სალაროდან დაიხარჯა: პატიმრობაში მყოფი სოციალ-დემოკრატებისათვის — 682

მანეთი და 50 კაპიკი, გადასახლებულთათვის — 250 მანეთი. არალეგალური ლიტერატურის შესაძენად — 226 მანეთი და 32 კაპიკი. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხარჯების დასაფარავად — 50 მანეთი, წვრილმანი ხარჯებისათვის — 6 მანეთი და 95 კაპიკი.[45]

ჟანდარმერია და ოხრანკა დიდ სამძებრო სამუშაოებს ატარებდა ბათუმში. სწორედ ამის შედეგი იყო ბათუმის არალეგალური სტამბის ჩავარდნა. სტამბის საქმესთან დაკავშირებით 1903 წლის 1 სექტემბერს დააპატიმრეს გიორგი თელია, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე და ვასილ თიბილაშვილი.[46]

კ. ჩხეიძისა და გ. თელიას დაპატიმრება დიდი დანაკლისი იყო, მით უფრო, რომ უკვე დაპატიმრებული იყვნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატები თბილისშიც და ბათუმშიც, ემიგრაციაში იმყოფებოდა ნ. ჟორდანია. სამაგიეროდ, 1903 წლის მეორე ნახევარში დიდ აქტიურობას იჩენს ირაკლი წერეთელი, რომელიც პარალელურად გაზეთ „კვალსაც“ ხელმძღვანელობდა.[47]

ბათუმში საიდუმლო სტამბის ჩავარდნის შემდეგ ახალი ძალით იშლება სამძებრო სამუშაოები თბილისში. 1903 წლის 15 ნოემბერს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების ერთ-ერთ საწყობში ოხრანკამ იპოვა: 1) „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლის“ 1903 წლის მესამე ნომერი; 2) ბროშურა „როგორ ზრუნავს მინისტრი ხალხისათვის“ (სომხურ ენაზე); 3) ბროშურა „რა უნდა იცოდეს და ესმოდეს ყოველ მუშას“ (სომხურ ენაზე); 4) რსდმპ კავკასიის კავშირის გამოცემები (ხუთი დასახელების), დაბეჭდილი ჟენევაში და სხვ.[48]

1903 წლის ნოემბრის ბოლოსათვის თბილისის ოხრანკის განყოფილებას უკვე ხელთ ჰქონდა უამრავი მასალა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის შესახებ. ამ მასალების საფუძველზე შედგენილი იქნა ვრცელი მოხსენება, რომელიც 1903 წლის 30 ნოემბერს გაიგზავნა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტში.[49] ეს მოხსენება უაღრესად საყურადღებო დოკუმენტია რსდმპ თბილისის ორგანიზაციის ისტორიისათვის.

1903 წლის 30 ნოემბრისათვის რსდმპ თბილისის კომიტეტის მოღვაწეობის არეალში შედიოდა: 1) ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები, 2) ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ თბილისის დეპო, 3) თბილისის სტამბები, 4) ადელხანოვის ტყავის ფაბრიკა, 5) სხვადასხვა ქარხნები. თბილისის საერთო-საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ოთხ რაიონულ ორგანიზაციად იყო გაყოფილი. თითოეულ რაიონში არსებობდა რამდენიმე მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. თითოეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია

შედგებოდა წრეებისაგან, რომლებშიც 6-10 კაცი იყო გაერთიანებული. სოციალ-დემოკრატიული წრის სათავეში იდგა მუშა, რომელსაც „ოფიცერს“ უწოდებდნენ. „ოფიცერს“ კავშირი ჰქონდა პროპაგანდისტთან, რომელიც ჩვეულებრივ ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი იყო.[50]

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებიდან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაბმულნი იყვნენ: ვლადიმერ სანაძე, პავლე დანილინი, ისაკ ცინელაძე, ივანე ავსაჯანიშვილი, გერასიმე შევჩუკი, ალფეს ყიფიანი, ვიქტორ სტოლიანოვი, სტეფანე ზახაროვი, კონსტანტინე ვაშაკიძე, დავით კერესელიძე, ზაქარია ინაშვილი, მიხეილ ოზალაშვილი, თევდორე კალაძე, დიმიტრი გოგინაშვილი, ასატურ გრიკუროვი, მიხეილ ბახტაძე, გიორგი ხეთაგური, ივანე როსტოაშვილი, ვლადიმერ თურქესტანიშვილი და სხვ.[51] ოხრანკას დადგენილი ჰქონდა სოციალ-დემოკრატი მუშების კონსპირაციული შეკრების ადგილები. ასეთი შეკრებები შედგა: 1903 წლის 8 სექტემბერს დიდუბეში მ. ბახტაძის ბინაზე, 24 სექტემბერს — ნაძალადევის ბიბლიოთეკაში, 9 ოქტომბერს — ვ. სანაძის ბინაზე და სხვ.[52]

თბილისის სტამბების მუშებიდან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაბმულნი იყვნენ: ალექსანდრე (სანდრო) იაშვილი (კულტიბერგის სტამბა), ვიქტორ წულაძე (შარაძის სტამბა), მაკარ გოგუაძე („ცნობის ფურცლის“ სტამბა), პლატონ ხუციშვილი (ხელაძის სტამბა), ვასილ ხუციშვილი (ლიბერმანის სტამბა), ილია დარჩია (თავართქილაძის სტამბა), სოლომონ ვადაჭკორია (დიასამიძის სტამბა), ივანე ბოლქვაძე (ქართული საგამომცემლო ამხანაგების სტამბა), ლავრენტი ხელაძე (ჩარკეიანის სტამბა), თეოფილე ბაბილოძე (კულტიბერგის სტამბა), ალექსანდრე როხვაძე (გადავიდა ქუთაისში კილაძის სტამბაში), ივანე ბიბილური (ხელაძის სტამბა), დიმიტრი ჯაში (დიასამიძის სტამბა), იუსტინე ვადაჭკორია, იოსებ ბაბილოძე, ვასილ ბოლქვაძე, გაბრიელ ურუშაძე, მიხეილ ცერცვაძე, ერასტი ტოროტაძე და სხვ.[53] სტამბის მუშებმა კონსპირაციული კრებები მოაწყვეს: 1903 წლის 24 აგვისტოს გადასახლებაში მყოფი ვ. ურუშაძის ბინაზე, 25 სექტემბერს — ი. ბიბილურის ბინაზე, 28 სექტემბერს — ვ. წულაძის ბინაზე, 12 ოქტომბერს — ვ. წულაძის ბინაზე, 9 ნოემბერს — თხინვალის ქუჩაზე და სხვ.[54]

ადელხანოვის ტყავის აბრიკიდან, ასევე ქალაქის სხვა ფაბრიკა-ქარხნებიდან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მონაწილეობდნენ მუშები: იგორ ნოზაძე, არტემ დონდიევი, ილია კეშიშევი, სიმონ ბარათაშვილი, ტატოს ბატანოვი, იოსებ ველაშაკი, მოვსეს ვარტაზაროვი, ვასილ ბაჟანოვი, მიხეილ კიკნაძე და სხვ.[55] ოხრანკამ დაადგინა, რომ ადელხანოვის ტყავის ფაბრიკისა და ასევე ქალაქის სხვა ქარხნებისა და ფაბრიკების

მუშებმა 1903 წლის სექტემბერ-ნოემბერში რამდენჯერმე მოაწყვეს კონსპირაციული შეკრება.[56]

ოხრანკას დადგენილი ჰქონდა აქტიურად მოღვაწე ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების ვინაობა. მათ შორის იყვნენ: ირაკლი წერეთელი, რაჟდენ არსენიძე, ნოე თითიბაძე, ოლღა გაბუნია, არჩილ დოლიძე, ბესარიონ კალანდაძე, შიო დავითაშვილი, მსახიობი გამყრელიძე და სხვ. ოხრანკის მონაცემებით, ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატებიდან პროპაგანდისტებად მუშაობდნენ: ნიკოლოზ აგლაძე, იროდიონ ევდოშვილი, რაჟდენ კალაძე, კაპიტონ გოგოლაძე, მიხეილ გობრონიძე, ილია ზურაბიშვილი, ალექსანდრე წულუკიძე, ვიტალი ბლოკი.[57] ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატებიდან ყველაზე აქტიურად მუშაობდნენ ირაკლი წერეთელი და არჩილ დოლიძე, ასევე მათთან კავშირში მყოფი ვიქტორ ნანეიშვილი და არშაკ ზურაბოვი.[58] რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატებიდან აქტიურ მოღვაწეობაში შემჩნეული იყვნენ: ვიტალი ბლოკი, ალექსანდრე ლანგე-პოზდეევი, დიმიტრი პოსტოლოვსკი, ლევ როზენფელდი (კამენევი) და სხვ.[59]

ოხრანკამ ვერ დაადგინა ზოგიერთი სოციალ-დემოკრატის ვინაობა. ცნობილი იყო მხოლოდ მათი პარტიული ფსევდონიმები: „იაშჩიკი“, „მალჩიკ“, „არაბკა“, „ხუდოჟნიკ“, „ტიურკი“, „ავჩალსკი“, „ბრიუნეტი“, „პერენოსნაია“, „ვიალი“ და „ვორკუნ“.[60]

სულ 1903 წლის 30 ნოემბრისათვის თბილისის ოხრანკის განყოფილებას ცნობები ჰქონდა 126 სოციალ-დემოკრატზე. აქედან თბილისის ოხრანკის განყოფილების უფროსი აუცილებლად თვლიდა 19 კაცის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას. ესენი იყვნენ: რ. არსენიძე, ირ. წერეთელი, ა. დოლიძე, ვ. ბლოკი, ვ. ნანეიშვილი, ს. ასმეტელაშვილი, პ. დანილინი, ი. ცინელაძე, ვ. სანაძე, ი. ავსაჯანიშვილი, გ. შევჩუკი, ა. ყიფიანი, ა. გრიკუროვი, ნ. სემენოვი, ა. იაშვილი, ვ. წულაძე, დ. კაპანაძე, ი. ნოზაძე, ა. დონდიევი.[61] დანარჩენი 42 კაცის საქმე უნდა გადაწყვეტილიყო ჩხრეკის შედეგების მიხედვით. დასაპატიმრებელთა შორის იყვნენ: შ. დავითაშვილი, ირ. ევდოშვილი, რ. კალაძე, ა. წულუკიძე, ა. ზურაბოვი, დ. პოსტოლოვსკი, ა. ლანგე-პოზდეევი, ლ. როზენფელდი (კამენევი), ა. კალიუჟნი, ზ. ჩოდრიშვილი.[62]

როგორც ვხედავთ, ოხრანკის საკმაოდ სრული წარმოდგენა ჰქონდა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის შესახებ. ოხრანკის მონაცემებზე დაყრდნობით 1904 წლის 5-6 იანვრის ღამით განხორციელდა თბილისის ორგანიზაციის წევრთა დაპატიმრება.[63] 5-6 იანვარს ღამით დააპატიმრეს: ირაკლი წერეთელი, ვიქტორ ნანეიშვილი, არჩილ დოლიძე, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ხუდადოვი, ალექსანდრე ლანგე-პოზდეევი, დი-

მიტრი პოსტოლოვსკი, დავით კაპანაძე, მარია ბორისოვა, ზაქარია იაშვილი, გალაქტიონ შავდია, არშაკ ზურაბოვი, ნოე თითიბაძე, ვიტალი ბლოკი, პავლე დანილინი, ნიკოფორე სემენოვი, ალექსანდრე იაშვილი, რაფიელ რამიშვილი, იოსებ ირემაშვილი და მრავალი სხვა.[64] დაპატიმრებები გრძელდებოდა შემდეგ დღეებშიც.[65] ჟანდარმერიამ და ოხრანკამ ხელთ იგდო დიდი რაოდენობით ნივთმტკიცება: რსდმპ თბილისის კომიტეტის საიდუმლო სალაროს 1903 წლის სექტემბრის ანგარიში, პროკლამაციებისა და მოწოდებების ტექსტები, გაზეთ „ისკრის“ რამდენიმე ნომერი, არალეგალურად გამოცემული ბროშურები (ქართულ და რუსულ ენებზე), „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლის“ ერთი ნომერი და მრავალი სხვა.[66]

1904 წლის იანვარში განხორციელებული დიდი დაპატიმრებების შემდეგ რსდმპ თბილისის კომიტეტის მოქმედება ფაქტობრივად შეჩერებულ იქნა. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მუშაობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით. რსდმპ თბილისის ახლად არჩეულმა კომიტეტმა თავისი საქმიანობა დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომის საწინააღმდეგო აგიტაციით. საგიტაციო ღონისძიებებს საერთო ჯამში დაესწრო 1500 მუშა. საგიტაციო მუშაობის წარმატების შემდეგ გადაწყდა საშობაოდ დემონსტრაციის მოწყობა, მაგრამ დემონსტრაციის ორგანიზება შეუძლებელი აღმოჩნდა – მოწინავე მუშებმა უარი თქვეს დემონსტრაციაში მონაწილეობაზე.[67]

რეპრესიებმა შეანელა არალეგალური გამოცემების ბეჭდვა. სულ 1904 წლის იანვრიდან მაისის დამდეგამდე რსდმპ თბილისის კომიტეტმა გამოუშვა 10 თუ 14 პროკლამაცია. ქართულ ენაზე დაბეჭდილი პროკლამაციების ტირაჟი შეადგენდა 2000 ეგზემპლარს, რუსული და სომხური ენებისა – 1500 ეგზემპლარს. არალეგალური გამოცემების ბეჭდვა შეჩერდა იმის გამო, რომ ამ პერიოდში რსდმპ თბილისის კომიტეტს არ ჰქონდა საკუთარი სტამბა.[68]

1904 წლისათვის რსდმპ თბილისის კომიტეტი განიცდიდა მოწინავე მუშების ნაკლებობას. მოწინავე მუშების მცირე ფენა იკარგებოდა მუშათა მასაში, რაც, რა თქმა უნდა, აბნელებდა სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას.[69]

რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში, როგორც წესი, 1904 წლის იანვრამდე მოქმედებდა ყველა პარტიული თანამდებობის არჩევის წესი. შემდეგში რსდმპ თბილისის კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა მოითხოვა არჩევნების შეცვლა დანიშვნით. რსდმპ თბილისის კომიტეტმა გააუქმა პარტიულ თანამდებობებზე არჩევნების ჩატარება თბილისის ოთხსავე რიაონში. ამ ცვლილების გატარება ადვილი არ გამოდგა. 1904 წლის

მაისის დამდეგისათვის თბილისის ოთხი რაიონიდან მესამე რაიონში არჩევნები გაუქმდა ფორმალურად, მეორეში და მეოთხეში — ფაქტიურად, პირველ რაიონში პარტიული ორგანოების არჩევნები კვლავ ტარდებოდა.[70]

1904 წლის მაისის დამდეგისათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში უკვე მოქმედებდა მოწინავე მუშების ექვსი წრე, რომელშიც გაერთიანებული იყო დაახლოებით 70 კაცი.[71] ამავე პერიოდისათვის თბილისის მუშათა კლასი, მთლიანობაში, თავისი პოლიტიკური შეგნებით, არაერთგვაროვანი იყო. 1900 წლამდე, როცა თბილისელი მუშები ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ზოგიერთ წარმატებას აღწევდა, მუშათა საერთო განწყობილება ოპტიმისტური, საბრძოლო იყო. 1900 წლის მოვლენების შემდეგ, როცა თბილისიდან გაასახლეს გაფიცვების მონაწილე 800 მუშა, მუშებში საბრძოლო განწყობამ იკლო. ამავე დროს რუსი ეროვნების მუშები თავს იკავებდნენ გაფიცვებში მონაწილეობაში, ხოლო ხშირად ხელს უშლიდნენ ქართველ მუშებს გაფიცვების ორგანიზებაში. პროვოკატორთა უმრავლესობაც რუსი მუშებიდან იყო.[72] ყოველივე ამის შედეგად თბილისის მუშათა კლასის საერთო პოლიტიკური შეგნების დონე და ორგანიზების უნარი 1903-1904 წლებისათვის გაცილებით ნაკლები იყო წინა წლებთან შედარებით.

1904 წლის იანვარში განხორციელებულმა დაპატიმრებებმა, როგორც აღვნიშნეთ, დაასუსტა რსდმპ თბილისის ორგანიზაცია, თუმცა ორგანიზაციის მუშაობა დიდხანს არ შეფერხებულა. 1904 წლის ოქტომბრის დამდეგისათვის თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოსა და თბილისის ოხრანკის განყოფილებას კვლავ ჰქონდათ ცნობები იმის შესახებ, რომ რსდმპ თბილისის კომიტეტი აქტიურ მუშაობას ეწეოდა ქალაქში. 1904 წლი 3 ოქტომბერს ღამით დააპატიმრეს თბილისში მოღვაწე სოციალ-დემოკრატები: ივანე ბოლქვაძე, აბრამ მიქაძე, სპირიდონ ჯენტი, ოლღა რუბცოვა, ვარვარა ხოჯაშვილი, სტეფანე ფარქოსაძე, ივანე ჭორიძე, პეტრე ლომაძე, დვოსია ასი, სულ 9 კაცი.[73] თბილისის ოხრანკის განყოფილების უფროსის აზრით, უნდა გაეჩხრიკათ და ჩხრეკის შედეგების მიხედვით გადაეწყვიტათ ქვემოთ ჩამოთვლილი სოციალ-დემოკრატების დაპატიმრების საკითხი: მიხა ცხაკაია, თევდორე შტამბურგი, ევტიხი ჩხარტიშვილი, გერასიმე ლომჯარია და სხვები, სულ 14 კაცი.[74] მიუხედავად ამ დაპატიმრებებისა, 1904 წლის ნოემბრისათვის რსდმპ თბილისის კომიტეტი აგრძელებდა აქტიურ მოღვაწეობას. სამხებრო სამუშაოებს აძლიერებდა ოხრანკა და ჟანდარმერიაც. 1904 წლის 30 ნოემბერს თბილისში ტატო კაკალაშვილის ბინიდან ჟანდარმერიამ ამოიღო: 1) 14 ათასი ეგზემპლარი ბროშურა და პროკლამაცია ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე; 2) 4,5 ფუთი შრიფტი; 3) 0,5 ფუთი თეთრი ქაღალდი;

4) წითელი დროშები და ტანსფარანტები; 5) რსდმპ თბილისის კომიტეტის სამი ბეჭედი; 6) საიდუმლო სალაროს დოკუმენტები; 7) სხვადასხვა ხელნაწერი ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.[75]

მიუხედავად დიდი რეპრესიებისა, 1904 წლის ბოლოსათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაცია უწყვეტად ფუნქციონირებდა და სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ქალაქის მასშტაბით.

1903 წელს განხორციელებული რეპრესიების შემდეგ კვლავ გაიმართა წელში რსდმპ ბათუმის ორგანიზაცია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1903 წლის მეორე ნახევარსა და 1904 წელს ბათუმში, თბილისისაგან განსხვავებით, შეიმჩნევა მუშათა მოძრაობის სერიოზული აღმავლობა. ეს სოციალ-დემოკრატების დამსახურება იყო. 1904 წლის დამდეგიდან ბათუმის ქარხნებსა და საწარმოებში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ სოციალ-დემოკრატები: ალექსანდრე ჩხენკელი, გიორგი ფილია, ალისტრო ბერძენიშვილი, მიხაკო ლომათიძე, გიორგი ჭკუასელი, ბესარიონ კაშია, ანტონ კალანდაძე, ვლადიმერ ჯიბლაძე, პაველ გაბუნია, სერაპიონ ბერიძე და სხვ.[76]

1903 წელს საიდუმლო სტამბის ჩავარდნის შემდეგ მალე ბათუმში მოქმედებას იწყებს ახალი სტამბა. 1904 წლის აპრილში ეს სტამბაც ჩავარდა. სტამბის ორგანიზებასა და არალეგალური პროდუქციის ბეჭდვაში მონაწილეობდნენ: გიორგი შილაკაძე და ისიდორე თალაკვაძე.[77] საიდუმლო სტამბის ძიების მასალებიდან ჩანს, რომ ბათუმში სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის წევრი, პოლიციის განსხვავებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ნოე რამიშვილი.[78]

რსდმპ ბათუმის კომიტეტი 1904 წლისათვის განიცდიდა მოწინავე მუშების ნაკლებობას. სულ 1904 წლის მაისის დამდეგისათვის ბათუმის ქარხნებში მომუშავე 4 ათასი მუშიდან მეტნაკლებად ორგანიზებული იყო 2 ათასი მუშა. აქედან დახლოებით 200 მუშას შეეძლო სერიოზული კლასობრივი ბრძოლის მონაწილე ყოფილიყო.[79] რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოღვაწეობას ართულებდა ისიც, რომ ძალზე ჭრელი იყო მუშათა კლასის ეროვნული შემადგენლობა. 1904 წლის მაისის დამდეგისათვის ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებსა და საწარმოებში დასაქმებული მუშებიდან ქართველთა რაოდენობა უდრიდა 2000 კაცს, სომეხთა — 1500 კაცს, რუსებისა — 500 კაცს.[80]

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების შემდეგ რსდმპ ბათუმის კომიტეტმა დიდი ადგილი დაუთმო ომის საწინააღმდეგო აგიტაციას. ერთი თვის მანძილზე გაიმართა 48 საagიტაციო ღონისძიება, რომელშიც 1600 კაცმა მიიღო მონაწილეობა. 1904 წელს საპირველმაისოდ გაიმართა 30 საagი-

ტაციო ღონისძიება, რომელშიც დაახლოებით 1000 კაცი მონაწილეობდა.[81]

რსდმპ ბათუმის კომიტეტი, სტამბის ორჯერ ჩავარდნის მიუხედავად, ახერხებდა არალეგალური გამოცემების ბეჭდვას. 1903 წლის ოქტომბრიდან 1904 წლის მაისის დამდეგამდე კომიტეტმა გამოსცა დაახლოებით 25 პროკლამაცია.[82]

რეპრესიების მიუხედავად, რსდმპ ბათუმის კომიტეტი ინარჩუნებდა ბრძოლის უნარს. 1904 წლის მაისის დამდეგისათვის კომიტეტი მოქმედებდა ექვსი წევრის (სამი მუშა, სამი ინტელიგენტი) შემადგენლობით.[83]

რსდმპ ბათუმის კომიტეტი ბათუმს გარდა, პროპაგანდას ეწეოდა აჭარის სოფლებში. 1904 წლის 4 ივნისს ბათუმის სამხედრო გუბერნატორი შეშფოთებას გამოთქვამდა სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის გაძლიერებით ზემო და ქვემო აჭარაში.[84]

რსდმპ ბათუმის კომიტეტი ხელმძღვანელობდა გაფიცვას, რომელაც ადგილი ჰქონდა ბათუმის ქარხნებში 1904 წლის აგვისტოში.[85] აგვისტოს გაფიცვების ორგანიზებასა და ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღოდათ სოციალ-დემოკრატებს: ივანე შეყარდნაძეს, სელივან ივანიძეს, პარნონინუას, ანდრო ზარქუას, ანტონ რურუას, მიხეილ ცერაძეს, დავით ვაჩეიშვილს, ვლადიმერ ჯიბუტს, ბებურ სიმონიშვილს, ალექსი კუპრეიშვილს, სილიბისტრო გაგუას.[86]

მართალია, 1903 წლის გაზაფხულზე რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი (გურიის კომიტეტი) შეიქმნა, მაგრამ მალე იგი შეერწყა რსდმპ ბათუმის კომიტეტს. როდის მოხდა ეს შერწყმა, ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ 1904 წლის მაისის დამდეგისათვის რსდმპ ბათუმის კომიტეტი უკვე დამოუკიდებლად აღარ ფუნქციონირებდა.[87] მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიული მუშაობა გურიაში არ შეფერხებულა. 1904 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე ჟანდარმერიამ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის კერები დაფიქსირა დვაბზუს, ლიხაურის, შემოქმედის, გურიანთის, ბაზვის, ხვარბეთის, მიქელ გაბრიელის, ლანჩხუთის, ბიმითის, ჯუმუჯეთის, ჩიბათის, ჩოხატაურის სასოფლო საზოგადოებებში.[88] 1904 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ზემოთ ჩამოთვლილ სასოფლო საზოგადოებებში ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლებს.[89]

შედარებით სუსტი იყო გლეხთა გამოსვლები იმერეთსა და სამეგრელოში. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. 1903-1904 წლებში ქუთაისში სამრეწველო პროლეტარიატი ფაქტიურად არ არსებობდა. სულ 60 კაცი მუშაობდა თამბაქოს ფაბრიკაში. ამას ემატებოდნენ ხელოსნები (თერძები და სხვ.) და სხვადასხვა სახელოსნოების მუშები.[90] რსდმპ იმერეთ-სამეგ-

რელოს კომიტეტი, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იძულებული იყო პროპაგანდისტთა კადრები ქალაქის მოსწავლეთა რიგებიდან მოემზადებინა. მოსწავლეთა მასა აშკარად ამჟღავნებდა დაინტერესებას სოციალ-დემოკრატიული იდეებით. 1904 წლის მაისის დამდეგისათვის ქუთაისში არსებობდა 10 სოციალ-დემოკრატიული წრე.[91]

ამრიგად, 1903-1904 წლებში საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, მიუხედავად მრავალგზის რეპრესიებისა, ალმავლობას განიცდიდნენ. 1904 წლის ბოლოსათვის სოციალ-დემოკრატია წარმოადგენდა ქვეყანაში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალას.

§4. ფრაქციული ბრძოლები ქართულ სოციალ-დემოკრატიაში 1903-1904 წლებში

ფრაქციული ბრძოლები, ანუ ბრძოლები მენშევიკურ და ბოლშევიკურ მიმდინარეობებს შორის, 1903-1904 წლებში საქართველოში არ გამწვავებულა და ფაქტიურად რსდმპ III ყრილობის მოწვევის გარშემო პოლემიკით შემოიფარგლა. მენშევიზმისა და ბოლშევიზმის სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის დაპირისპირება, დისკუსია ამ საკითხებზე არც პარტიულ პრესაში და არც სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში არ წარმოებულა. ფრაქციული ბრძოლის საკითხებს არ შეხებიან თავიანთ ნაშრომებში ისეთი ცნობილი სოციალ-დემოკრატები, როგორებიც იყვნენ: იოსებ ჯუღაშვილი, ალექსანდრე წულუკიძე, ფილიპე მახარაძე, ირაკლი წერეთელი. ცნობილია, რომ ფრაქციული ბრძოლებისადმი მიძღვნილი პირველი ნაშრომი — „პაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე“ — ა. წულუკიძემ 1905 წლის 20 თებერვალს გამოაქვეყნა ჟურნალ „მოგზაურში“,[92] ხოლო ი. ჯუღაშვილის ნაშრომი „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ 1905 წლის მაისში გამოიცა ბროშურის სახით.[93] საერთოდ, პარტიულ პრესაშიც და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ფრაქციული ბრძოლები მწვავე დისკუსიის საგნად იქცა 1905 წლის იანვარ-თებერვლიდან. რა იყო ამის მიზეზი? უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ბოლშევიკებმა, რომელთაც ვ. ლენინის მეთაურობით მრავალი დარღვევის წყალობით რსდმპ II ყრილობაზე გამარჯვება მოიპოვეს, გადაწყვიტეს პარტიული მასებისათვის დაემალათ ყრილობაზე მომხდარი განხეთქილება, არ ექციათ იგი დისკუსიის საგნად. ვ. ლენინს მხარს უჭერდა რსდმპ ცენტრა-

ლური კომიტეტი და პარტიის საბჭო გ. პლეხანოვის თავმჯდომარეობით პარტიაში მომხდარი განხეთქილების დაფარვა მიულებლად მიიჩნიეს გა- ზეთ „ისკრის“ რედაქციის წევრებმა (რედაქტორებმა): ლ. მარტოვმა და პ. აქსელროდმა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლ. მარტოვმა და პ. აქსელროდმა კიდეც გამოაქვეყნეს პარტიული განხეთქილებისადმი მიძღვნილი ნაშრომები „ისკრაში“,[94] მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ნაშრომები არც განხილული საკითხების სიღრმით და არც გულახდილობით არ გა- მოდგებოდა განხეთქილების არსში გასარკვევად და მეორე, „ისკ- რა“,როგორც მთელს რუსეთში, ისე საქართველოშიც კონსპირაციულად ვრცელდებოდა, რაც ვ. ლენინის პოზიციაზე მდგარ რსდმპ კავკასიის კავ- შირის კომიტეტს საშუალებას აძლევდა მისთვის არასასურველი „ისკ- რის“ ნომრები საერთოდ დაემალა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცი- ებისათვის, პარტიული მასებისათვის. სწორედ ვ. ლენინის მითითებიდან გამოდიოდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, როცა ყოველ ღონეს ხმარობდა პარტიული განხეთქილების მისაჩქმალავად. ამ თვალსაზრისით რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს დიდი სამსახური გაუწიეს რსდმპ II ყრილობის დელეგატებმა ბოგდან კნუნიანცმა და არშაკ ზურაბოვმა, რომელთაც პარტიულ მასებს დაუმალეს რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების ამბავი. რაც შეეხება კიდევ ერთი დელეგატის — დიომიდე თოფურიძის — ცდას სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის ეთქ- ვა სიმართლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მკაცრი პარტიული სანქციებით უპასუხა, რაც მოწონებული იქნა ვ. ლენინისა და გ. პლეხანოვის მიერ.[95] ჟენევაში მყოფი ნოე ჟორდა- ნია შეეცადა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ჩაეყენებინა მომხდარი განხეთქილების კურსში, მაგრამ მისი „წერილი კავკასიის კომიტეტებს“, როგორც აღვნიშნეთ, რსდმპ კავკასიის კავშირის კომი- ტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს დაუმალა. რსდმპ II ყრილობაზე მომხ- დარი განხეთქილება რომ ფაქტიურად უცნობი დარჩა პარტიული მასები- სათვის, ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ნოე ჟორდანია 1905 წლის დამდეგამდე საქართველოში არ დაბრუნებულა, ხოლო რსდმპ II ყრილო- ბის შემდეგ ხანებში ზედიზედ დააპატიმრეს კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვი- ლი, ირაკლი წერეთელი... გადასახლებაში იმყოფებოდნენ სილიბისტრო ჯიბლაძე, ვასილ ცაბაძე და სხვა ცნობილი სოციალ-დემოკრატი მენშევი- კები. რა თქმა უნდა, აპატიმრებდნენ ბოლშევიკებსაც, მაგრამ რსდმპ II ყრილობის შემდგომ პერიოდში (1903-1904 წლებში) თბილისში აქტიუ- რად მოღვაწეობდნენ ვ. ლენინის პლატფორმაზე მდგარი სოციალ-დემოკ- რატები: ბ. კნუნიანცი, ა. ზურაბოვი, ს. შაუმიანი, მ. ცხაკაია, რუსეთიდან სპეციალური მისიით ჩამოსული ვ. ლენინის მოსმხრეები: ვ. ბობროვსკი,

დ. პოსტოლოვსკი, ლ. როზენფელდი (კამენევი) და სხვები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ ვ. ლენინის მითითება — ყოველგვარი საშუალებით დაემალათ რსდმპ ორგანიზაციებისათვის II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების ამბავი, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ძირითადად წარმატებით შეასრულა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, მაინც შეუძლებელი იყო პარტიული განხეთქილების საერთოდ დამალვა. ამ განხეთქილების შესახებ იცოდნენ რსდმპ II ყრილობის დელეგატებმა კავკასიიდან, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრებმა, ცალკეულმა სოციალ-დემოკრატებმა და ა. შ. ამრიგად, ფრაქციული უთანხმოება საქართველოში პრაქტიკულად არ სცილდებოდა პარტიულ ელიტას. იყო თუ არა ფრაქციული უთანხმოების ნიადაგზე პოლემიკა რსდმპ თბილისის, ბათუმის, გურიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტებში, სანდო დოკუმენტური მასალით არ დასტურდება. სამაგიეროდ, დადგენილია, რომ ფრაქციული უთანხმოება, ცხარე პოლემიკა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში, კავკასიის კავშირის II და III ყრილობაზე იყო, თუმცა, ვიმეორებთ, ეს პოლემიკა პარტიულ ელიტას არ გასცილებია და ფართო პარტიულ დისკუსიაში 1903-1904 წლებში არ გადაზრდილა.

რსდმპ კავკასიის კავშირმა თავისი მორიგი ყრილობა ჩაატარა 1903 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში თბილისში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის, რსდმპ თბილისის, ბათუმის, ბაქოს, გურიის და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების დელეგატები. ყრილობის მთავარი საკითხი იყო რსდმპ II ყრილობის შედეგების განხილვა და აქედან გამომდინარე სამოქმედო გეგმის დასახვა.[96]

რსდმპ კავკასიის კავშირის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ყრილობაზე მოეწვიათ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, მაგრამ ვ. ლენინის მიერ შერჩეული წარმომადგენელი თბილისში ვერ ჩამოვიდა. რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობას უნდა მოესმინა რსდმპ II ყრილობის დელეგატთა ანგარიშები. თავის გამოსვლაში დიომიდე თოფურიძემ სცადა დელეგატებისათვის ეუწყებინა სიმართლე პარტიული ყრილობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ რსდმპ II ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური ორგანოები უკანონოა და მოითხოვა კავკასიის კავშირის II ყრილობას ბოიკოტი გამოეცხადებინა რსდმპ ცენტრალური ორგანოებისათვის.[97] ყრილობის ბოლშევიკმა დელეგატებმა დაგმეს დ. თოფურიძის გამოსვლა. მენშევიკებთან ცხარე პოლემიკაში ყრილობის ბოლშევიკურმა უმრავლესობამ მოახერხა სასურველი რეზოლუციის მიღება. რეზოლუცია იწონებდა ვ. ლენინისა და მისი მომხრეების პოზიციას რსდმპ II ყრილობაზე, გმობდა მენშევიკების პლატფორმას.[98]

რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობამ განიხილა რსდმპ კავკასიის კავშირის წესდების პროექტი, რომელიც ვ. ლენინის მიერ ჩამოყალიბებულ რსდმპ წესდების პროექტს ემყარებოდა. კერძოდ, წესდებაში ნათქვამი იყო:

„1. კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების კავშირი, როგორც რაიონული ორგანიზაცია, რსდმპ განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

2. კავშირი მთლიანად იღებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, რომლებიც შემუშავებულია პარტიის II ყრილობაზე, და თავის საქმიანობაში ემორჩილება პარტიის ცენტრალურ კომიტეტს“.[99]

რსდმპ კავკასიის კავშირის წესდების პირველი და მეორე პარაგრაფი მიულებელი იყო სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისათვის ორი მიზეზის გამო: პირველი, წესდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, უფრო მეტიც, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავშირს — კავკასიის კავშირს აყენებდა ველიკოროსიის სამხარეო (სოლქო) ორგანიზაციების რანგში და არ აძლევდა მას შეზღუდულ ავტონომიასაც კი; მეორე, წესდება ფაქტიურად კრძალავდა პოლემიკას პარტიული განხეთქილების შესახებ და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს აიძულებდა, სურდათ თუ არ სურდათ, უსტყვოდ დამორჩილებოდნენ რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებებს, ეცნოთ ვ. ლენინის მომხრეების მიერ მრავალი დარღვევის წყალობით მოპოვებული გამარჯვება.

სამწუხაროდ, რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობის ბოლშევიკურმა უმრავლესობამ წესდების საკითხშიაც გაიმარჯვა, ისევე როგორც გაიმარჯვეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არჩევნებში — კომიტეტის წევრთა უმრავლესობა ბოლშევიკები იყვნენ.[100]

ჭეშმარიტებას არ შეეფერება საბჭოთა ისტორიოგრაფიის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობის შემდეგ „დეზორგანიზატორული საქმიანობა ქართველმა მენშევიკებმა მალე ადგილობრივ ორგანიზაციებში გადაიტანეს და ცდილობდნენ ბოლშევიკებზე საზიზღარი ცილისწამებით გათიშვა გამოეწვიათ“.[101] სინამდვილეში ფრაქციული ბრძოლები, დისკუსია პარტიული უთანხმოების საკითხებზე ქართველ სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში არ გადაუტანიათ. ფრაქციულმა ბრძოლებმა ახალი ძალით იფეთქა რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობაზე.

რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობა გაიმართა თბილისში 1904 წლის მაისის პირველ რიცხვებში. ყრილობას დაესწრნენ: რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტე-

ტის წევრები, დელეგატები თბილისის, ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტებიდან, ასევე ხუთი დელეგატი სათათბირო ხმით, რომლებიც წარმოადგენდნენ რსდმპ კავკასიის კავშირს.[102] რსდმპ ბაქოს ორგანიზაცია ყრილობაზე წარმოდგენილი არ ყოფილა.[103] ყრილობის დღის წესრიგში იდგა თორმეტი საკითხი: 1) ადგილობრივი კომიტეტების მოხსენებები, 2) რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოხსენება, 3) რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება და მასთან დაკავშირებული დებატები, 4) მომავალი დემონსტრაციების ხასიათის შესახებ, 5) ხიდისთავის დემონსტრაციის შესახებ, 6) აგიტაციის და პროპაგანდის შესახებ მუშებში, გლეხებში, ჯარში და მოსწავლეებში, 7) შეიარაღების შესახებ, 8) ლიტერატურის შესახებ, 9) პროფესიონალი რევოლუციონერების შესახებ, 10) კავკასიის კავშირის წესდების გადასინჯვა, 11) რეზოლუციები, 12) ბიუჯეტი.[104]

ფრაქციული ბრძოლები გაიმართა ყრილობაზე განხილული თითქმის ყველა საკითხის ირგვლივ, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე დისკუსია მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გამოიწვია ორმა საკითხმა: რსდმპ კავკასიის კავშირის მოხსენება და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოხსენებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი შედიოდა.[105] ცალკე იყო გამოყოფილი „უმრავლესობისა და უმცირესობის საკითხი“, რომელსაც მოხსენების უდიდესი ნაწილი ეკავა.[106] ბუნებრივია, ახალს რსდმპ II ყრილობის შესახებ, იქ მომხდარი განხეთქილების შესახებ ვერავინ იტყოდა — ფაქტები ძირითადად უკვე ცნობილი იყო. გამართული პოლემიკის დროს გაირკვა, რომ მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციათა შორის ურთიერთობა საქართველოში უკიდურესად დაძაბული იყო, არც ერთი მხარე არ აპირებდა დათმობას.[107] სწორედ ამის გამოხატულება იყო ფრაქციული ბრძოლების მწვავე ხასიათი საქართველოში 1905 წელს.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ხაზი გაესვა იმას, რომ ფრაქციული დაპირისპირების მიუხედავად, მენშევიკები და ბოლშევიკები რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში და ადგილობრივ კომიტეტებში მაინც ახერხებდნენ ერთად მუშაობას, რუსეთის მთელ რიგ რაიონებში კი ეს არ ხერხდებოდა.[108] ეს განცხადება ჭეშმარიტებას შეეფერებოდა. 1904 წლის მაისისათვის საქართველოს ყველა კომიტეტში მენშევიკები და ბოლშევიკები ერთად მუშაობდნენ. განხეთქილების გზას პირველად ბოლშევიკები დაადგნენ. მათ 1904 წლის ნოემბერში ვ. ლენინის მითითებით მოიწვიეს რსდმპ კავკასიის კავშირში შემავალი კომიტეტების

კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მხოლოდ ბოლშევიკებმა მიიღეს.[109]

1904 წლის ბოლომდე საქართველოში მენშევიკები და ბოლშევიკები ვერ შეთანხმდნენ ვერც ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო რსდმპ III ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით გაშლილმა დისკუსიამ.[110]

ფრაქციულმა დაპირისპირებამ, რომელიც რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების შედეგად დაიწყო, გარკვეულწილად დაასუსტა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. კარსმომდგარი რევოლუციის წინა ხანებში დიდი ენერგია სწორედ შიდაპარტიულმა ბრძოლებმა შეიწირა.

თავი მეხუთე
ქართული სოციალ-დემოკრატია 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში

§1. ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის საწყის ეტაპზე

1905-1907 წლების რევოლუცია ისე დაიწყო, რომ ღრმა იატაკქვეშეთში მყოფი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დაკავებული იყო ბოლშევიკურ და მენშევიკურ ფრაქციათა შორის ორგანიზაციულ და იდეურ ნიადაგზე აღმოცენებული შიდაპარტიული უთანხმოების გარკვევით. ისევე როგორც რუსეთის სხვა პოლიტიკური პარტიებისათვის, სოციალ-დემოკრატიისათვისაც სრულიად მოულოდნელი იყო რევოლუციის დაწყება. უფრო მეტიც, რსდმპ 1905 წლის 9 იანვრის შემდეგაც რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა რევოლუციის მსვლელობაზე, რევოლუციურ ბრძოლებს ვერ აძლევდა მისთვის სასურველ მიმართულებას. მოგვიანებით აღმოცენებული საგაფიცვო კომიტეტები და ბიუროები, ასევე მუშათა, ჯარისკაცთა, მატროსთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოები, ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა მცდელობის მიუხედავად, მაინც ზეპარტიულ ორგანოებად რჩებოდნენ, მთლიანობაში აღებული გამოხატავდნენ არა რომელიმე პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის ინტერესებს, არამედ რევოლუციაში მონაწილე მასების, ცალკეული სოციალური ჯგუფების მისწრაფებებს. რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე გამორიცხავდა ორგანიზებული რევოლუციური ძალის არსებობას ქვეყანაში, ზრდიდა სტიქიურობის ხვედრით წილს. სწორედ ამიტომ პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები თითქმის ვერსად ვერ გამოვიდნენ რევოლუციური ბრძოლების ხელმძღვანელის როლში. რუსეთის რევოლუციამ წინ წამოსწია სრულიად შემთხვევითი პიროვნებები: მღვდელი გ. გაპონი (9 იანვრის მსვლელობის ორგანიზატორი), პოლიტიკაში სრულიად გაუთვითცნობიერებელი გ. ხრუსტალევ-ნოსარი (სანკტ-პეტერბურგის მუშათა დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე) და ლეიტენანტი პ. შმიდტი (სევასტოპოლში მატროსების აჯანყების მოთავე). მარტო ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს, თუ რა ზუსტ შეფასებას აძლევდა პ. სტრუვე რუსეთში შექმ-

ნილ ვითარებას, როცა 1905 წლის 7 იანვარს, რევოლუციის დაწყებამდე ორი დღით ადრე, საზღვარგარეთ გამომავალ „ოსვობოჟდენიეში“ წერდა: „რევოლუციური ხალხი რუსეთში ჯერ კიდევ არ არის“.[2] 1905-1907 წლების რევოლუცია რუსეთში დაიწყო და განვითარდა როგორც უდიდესი მასშტაბის, მაგრამ სტიქიური მოძრაობა. რუსეთში არ აღმოჩნდა ის ძალა, რომელიც შეძლებდა ამ მოძრაობის კოორდინირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, მისცემდა მას მეტნაკლებად ორგანიზებულ ხასიათს. ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა ლიდერები კი იმ როლსაც ვერ თამაშობდნენ რევოლუციაში, რა როლიც შეასრულეს გ. გაპონმა, გ. ხრუსტალევ-ნოსარმა და პ. შმიდტმა. რუსეთის რევოლუცია რომ ასე წარიმართებოდა, მასში რომ დამანგრეველი ფაქტორი უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე აღმშენებლობითი და, რაც მთავარია, მისი მარცხი რომ გარდაუვალი იყო, წინასწარ განჭვრიტეს პ. სტრუვემ, მ. ტუგან-ბარანოვსკიმ, პ. მილიუკოვმა და სხვებმა. 1905 წლამდე რუსეთში ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ერთადერთი ორგანიზებული ძალა იყო ბურჟუაზია და არა მუშათა კლასი, ან მუშათა კლასი და გლეხობა ერთად აღებული. რუსეთის ბურჟუაზიის ნაწილი ცდილობდა ჯერ კიდევ რევოლუციის დაწყების წინ გამოენახა საერთო ენა სოციალისტურ პარტიებთან და მუშათა კლასთან, რადგან ხედავდა მუშათა კლასში პოპულარული სოციალისტური პარტიების (სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების) მზარდ როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამგვარი კავშირი იქნებოდა იმისი წინაპირობა, რომ რუსეთი თავიდან აიცილებდა დიდ სოციალურ კონფლიქტებს, რევოლუციას, დასაბამი მიეცემობა ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სისტემების ევოლუციურ გარდაქმნას. სოციალისტურმა პარტიებმა ბურჟუაზიასთან კომპრომისის ტაქტიკა უარყვეს. შედეგი არ გამოიღო ლონდონში ვ. ლენინთან სპეციალური მისიით პ. მილიუკოვის ჩასვლამაც.[3] სოციალისტური პარტიები, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატები გ. პლეხანოვისა და ვ. ლენინის ხელმძღვანელობით ერთგულნი დარჩნენ პროლეტარული რევოლუციის იდეისა, იმ რევოლუციისა, რომლისთვისაც რუსეთი მზად არ იყო. ცარიზმის მოსპობა ცალკ-ცალკე არც რუსეთის ბურჟუაზიას და არც მუშათა კლასს არ შეეძლო, მათი შეკავშირება კი არ მოხერხდა. ასეთ პირობებში დაიწყო რევოლუცია რუსეთში.

რევოლუციის დასაწყისისათვის ქართული სოციალ-დემოკრატიაც ფრაქციულ ბრძოლებში იყო გართული. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში გაცილებით ძლიერი იყო მენშევიკური მიმდინარეობა, რომელსაც ჰყავდა ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ

(კარლო) ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, ვლადიმერ დარჩიაშვილი, ირაკლი წერეთელი, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი და სხვები. ბოლშევიკური მიმდინარეობის ინტელექტუალური და ორგანიზაციული შესაძლებლობები გაცილებით სუსტი იყო, იგი თითქმის იოსებ სტალინის პიროვნებით ამოიწურებოდა. სერიოზულ ძალას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი ფილიპე მახარაძე, მაგრამ წინააღმდეგობამ მასსა და ი. სტალინს შორის, რამაც იმხანად უკვე მწვავე ხასიათი მიიღო, დაასუსტა ბოლშევიკური ფრაქციის ძალები საქართველოში. არაქართველი ეროვნების სოციალ-დემოკრატები (სტეფანე შაუმიანი, არშაკ ზურაბოვი, ბოგდან კნუნიანცი და სხვ.) ბევრს ვერაფერს მატებდნენ ბოლშევიკური ფრაქციის ძლიერებას. დანარჩენი ბოლშევიკები, ძირითადად დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე მუშები, ასევე სხვა სოციალური ფენებიდან გამოსული პარტიული მუშაკები, რუსეთიდან საგანგებო მისიით ჩამოსული ბოლშევიკი რევოლუციონერებიც კი არ წარმოადგენდნენ სერიოზულ ძალას, თუმცა ამას გავლენა არ მოუხდენია ფრაქციული ბრძოლების სიმწვავეზე. შიდაპარტიული ბრძოლები საქართველოში ძალზე მძაფრად მიმდინარეობდა.

რევოლუციის დასაწყისისათვის საქართველოს მუშათა კლასის აბსოლუტური უმრავლესობა მენშევიკური ფრაქციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო მენშევიზმის გავლენა თბილისის ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, თბილისის რკინიგზის დეპოსა და საერთოდ რკინიგზის მუშებში, ასევე ბათუმის მუშებში. მენშევიზმის გავლენა ძლიერი იყო გურია-იმერთის გლეხობაში, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების მოხელეთა შორის, მოსწავლე-ახალგაზრდობაში, წვრილ ვაჭართა და ხელოსანთა შორის. ძლიერი იყო მენშევიზმის გავლენა ქართულ ინტელიგენციაში (მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები და სხვ.). ბოლშევიზმის პოზიციაზე იდგა რსდმპ კავკასიის კავშირი, რომელიც ცდილობდა თბილისის მუშათა კლასში გავლენის მოპოვებას.[4] რსდმპ კავკასიის კავშირის პოზიცია იმდენად გამთიშველური იყო, რომ რევოლუციის დაწყებისთანავე, 1905 წლის იანვარში, ჯერ კიდევ თბილისში ნოე ჟორდანიას დაბრუნებამდე, ქართველმა მენშევიკებმა მიიღეს გადაწყვეტილება რსდმპ კავკასიის კავშირიდან გამოსვლის შესახებ.[5] ამის შემდეგ ფრაქციული ბრძოლები ახალ, უფრო მწვავე ფაზაში შევიდა.

რევოლუციის დაწყების შემდეგ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ახალი პირობების შესაბამისად გარდაქმნა უკავშირდება ნოე ჟორდანიას სახელს. ნ. ჟორდანია ჟენევიდან პეტერბურგისა და ბაქოს გავლით 1905 წლის თებერვალში თბილისში დაბრუნდა.[6] ნ. ჟორდანია

ხდება რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი მენშევიკური ფრაქციიდან. 1905 წლის აპრილიდან მისი რედაქტორობით გამოსვლას იწყებს მენშევიკური მიმართულების გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“.[7] ნ. ჟორდანიას საქართველოში დაბრუნების მომენტისათვის საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში სრული ორგანიზაციული და იდეური დაბნეულობა სუფევდა. 1905 წლის 16 იანვრიდან ფ. მახარაძის ფაქტიური რედაქტორობითა და იდეული ხელმძღვანელობით გამომავალი ყოველკვირეული ჟურნალი „მოგზაური“ 1904 წელს დახურული „კვალის“ მემკვიდრედ იყო გამოცხადებული, სინამდვილეში „მოგზაური“ ვერ ახერხებდა „კვალის“ ტრადიციების შენარჩუნებას. დამკვიდრებული შეხედულების წინააღმდეგ უნდა აღინიშნოს, რომ 1905 წლის დასაწყისისათვის, რსდმპ III ყრილობამდე მაინც, ჟურნალი „მოგზაური“ არ იდგა ბოლშევიზმის პლატფორმაზე. „მოგზაურში“ ქვეყნდებოდა როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური მიმართულების წერილები და სტატიები. ჟურნალში თბილისში დაბრუნების შემდეგ აქტიურად თანამშრომლობდა ნ. ჟორდანია. 1905 წლის 6 მარტს „მოგზაურში“ ხელმოწერით „გ. ქ.“ დაიბეჭდა წერილი „კლასობრივი წინააღმდეგობა ჩვენში და უცხოეთში“. წერილის ავტორი რსდმპ III ყრილობამდე კარგა ხნით ადრე ავითარებს ბოლშევიკურ შეხედულებას რევოლუციის მიზეზების, მამოძრავებელი ძალებისა და პერსპექტივების შესახებ.[8] უფრო ადრე, 1905 წლის 20 თებერვალს „მოგზაურში“ დაიბეჭდა ნ. ჟორდანიას თეორიული წერილი „რა არის პარტია“. ნ. ჟორდანია იცავდა პარტიაზე მენშევიკურ შეხედულებას.[9] ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ ჟურნალის იმავე ნომერში მოთავსებული იქნა ალ. წულუკიძის წერილი „პაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე“, რომელიც ბოლშევიკური პოზიციიდან იყო დაწერილი.[10] მიმდინარე მომენტის მენშევიკური შეფასება მოცემული იყო 1905 წლის თებერვალ-მარტში ნ. ჟორდანის მიერ „მოგზაურში“ დაბეჭდილ ორ „შინაური მიმოხილვაში“.[11] რუსეთში დაწყებულ რევოლუციას ეხმიანებოდა 1905 წლის აპრილ-ივნისში „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ნ. ჟორდანის ნაშრომი „საფრანგეთის ისტორიიდან“, რომელიც 1906 წელს ცალკე გამოცემადაც გამოვიდა.[12]

გამოკვეთილ ბოლშევიკურ პლატფორმაზე იდგა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომლის იდეური ხელმძღვანელი იოსებ სტალინი იყო. ნოე ჟორდანიასაგან განსხვავებით, ი. სტალინი რევოლუციის დაწყების შემდეგ დიდ აქტიურობას არ იჩენდა. ცნობილია, რომ მან შეადგინა რამდენიმე პროკლამაცია.[13] ი. სტალინი ნაყოფიერ თეორიულ მოღვაწეობას იწყებს რსდმპ III ყრილობის შემდეგ.

რევოლუციის დაწყების მომენტისათვის თბილისში შექმნილ ვითარებას ნ. ჟორდანია ასე ახასიათებს: „მუშათა მასებში რევოლუციური სული

ლვივოდა; ორგანიზაციებსა და კომიტეტში მითქმა-მოთქმა და ჯანი პარტიულ საკითხებზე, თუმცა არავინ იცოდა დავის შინაარსი".[14] ცხადია, ნ. ჟორდანია ფართო პარტიულ მასებს გულისხმობდა, რომელთათვისაც მართლაც გაურკვეველი იყო ფრაქციული ბრძოლების არსი, ისევე როგორც დაწყებული რევოლუციის ბევრი სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხი. სწორედ ამ საკითხების გარკვევას ისახავდა მიზნად გაზეთი „სოციალ-დემოკრატი". გარდა „სოციალ-დემოკრატისა", ქართველი მენშევიკები რევოლუციის წლებში სცემდნენ გაზეთებს: „სხივი" (1905 წ.), „გზა" (1906 წ.), „გრიგალი" (1906 წ.), „ლამპარი" (1906 წ.), „სიმართლე" (1906 წ.), „შიკრიში" (1906 წ.), „წინ" (1906 წ.), „გზა" (1907 წ.), „დილა" (1907 წ.), „ლახვარი" (1907 წ.), „საყვირი" (1907 წ.), „სინათლე" (1907 წ.) და სხვ. პარალელურად გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები: „პროლეტარიატის ბრძოლა" (1905 წ.), „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ" (1905 წ.), „ახალი ცხოვრება" (1906 წ.), „ჩვენი ცხოვრება" (1907 წ.) და სხვ. გამოდიოდა გაერთიანებული (ბოლშევიკურ-მენშევიკური) გამოცემებიც. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა მაგალითად, გაზეთები „განთიადი" (1906 წ.) და „ელვა" (1906 წ.).

ნოე ჟორდანიას დაბრუნება თბილისში, მისი რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრად გახდომა და გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" დაარსება კიდევ უფრო აძლიერებდა ქართველ მენშევიკთა პოზიციებს. ასეთ ვითარებაში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომელიც ბოლშევიკურ პოზიციაზე იდგა, დასწრება არჩია. რსდმპ თბილისის კომიტეტმა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისაგან მიიღო მოწერილობა, რომელიც ითვალისწინებდა თბილისის კომიტეტის ძველი, წინათ არჩეული შემადგენლობის გადადგომას და მის ადგილზე ახალი კომიტეტის დანიშვნას. საკითხი ძალზე მნიშვნელოვანი იყო. გადაწყდა მისი გარჩევა რსდმპ თბილისის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებაზე. თბილისის კომიტეტის წევრთა თანდასწრებით ნ. ჟორდანიამ შეძლო კრების უმრავლესობის მიმხრობა — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოთხოვნა ერთხმად იქნა უარყოფილი. რსდმპ თბილისის კომიტეტმა ძველი, ფაქტობრივად მენშევიკური შემადგენლობით განაგრძო მუშაობა. მიუხედავად ამისა, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მაინც დანიშნა რსდმპ თბილისის კომიტეტის ახალი, ბოლშევიკური შემადგენლობა, რასაც მხარი არ დაუჭირეს თბილისის რაიონულმა ორგანიზაციებმა. განხეთქილება თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ფორმალურადაც დასრულდა.[15] მალე ნ. ჟორდანია ბათუმს გაემგზავრა, სადაც ორი კვირა დაჰყო. ბათუმში ნ. ჟორდანიას მოლაპარაკების შედეგი ის იყო, რომ ქალაქის

სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ უარყო ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპები და მენშევიზმის პლატფორმაზე დადგა.[16]

ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლით ნ. ჟორდანია, ცხადია, ხელს უწყობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში ექსტრემიზმის დაძლევას. ბოლშევიზმთან ბრძოლაში ნ. ჟორდანია არ გვევლინება რუსული მენშევიზმის დოგმების უბრალო მიმდევრად. ნოე ჟორდანიას ღრმად სწამდა, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიას ბრძოლის თავისი გზა ჰქონდა, რომელიც სულაც არ ამოიწურებოდა რუსული მენშევიზმის ქართულ სინამდვილეში გადმოტანით. საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობები განსხვავდებოდა რუსეთისაგან, რაც განაპირობებდა იმას, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიას შესაბამისი სტრატეგია და ტაქტიკა უნდა შეემუშავებინა.[17] ყოველივე ეს კარგად ჩანს 1905 წლის გაზაფხულზე ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის მიერ გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ გამოქვეყნებული წერილებიდან. ნ. ჟორდანია თვლიდა, რომ რევოლუციის დასაწყისისათვის „საქართველოში მხოლოდ დამკვიდრდა და გაბატონდა მარქსიზმის ძირითადი დებულება: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა“.[18] ფორმალურად ამასვე აღიარებდნენ რუსი მენშევიკები (გ. პლეხანოვი) და ბოლშევიკები (ვ. ლენინი). მაშ, რაში მდგომარეობდა ქართული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმის თავისებურება? ნ. ჟორდანია აღნიშნავს: „ჩვენ გამოვეყავით როგორც რუსულს, ისე ევროპულ სოციალიზმს. რუსების ლოზუნგი და პრაქტიკა იყო: „მუშათა განთავისუფლება თავდადებულ ინტელიგენციის საქმეა“, ლოზუნგი წმინდა ნაროდნიკული, და ახლა ს.-დ. მიერ მითვისებული. ორივე შემთხვევაში, ევროპასა და რუსეთში, მუშათა მასათ გულისხმობდენ მხოლოდ ქარხნის მუშებს, სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც შეიყვანს აღთქმულ ქვეყანაში დანარჩენ მშრომელთა მასას (გლეხი, ხელოსანი და სხ.). ჩვენ კი გადავაბით მუშას გლეხი და მათაგან შევქენით ერთი რაზმი, ერთი ჯარი, რასაც უნდა განეახლებინა ერის მობერებული, დრომოჭმული სოციალ-პოლიტიკური შენობა“.[19] რაც შეეხება ქართველ ბოლშევიკებს, და უპირველეს ყოვლისა ი. სტალინს, ისინი აშკარად დოგმატიზმისაკენ იხრებოდნენ – ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იღებდნენ და განუხრელად იცავდნენ რუსი ბოლშევიკების, პირველ რიგში, ვ. ლენინის შეხედულებებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა რსდმპ III ყრილობის შემდეგ (1905 წლის აპრილი), როცა ქართული ბოლშევიკური პრესა და პირადად ი. სტალინი მთლიანად დოგმატურ პოზიციაზე დადგნენ. ეს მთელი სიცხადით დადასტურდა ი. სტალინის ნაშრომებში: „გაკრით პარტიულ უთანხმოებაზე“ (1905 წ. მაისი), „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“ (1905 წ.

ივლისი), „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“ (1905 წ. აგვისტო) და სხვ.

მას შემდეგ, რაც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა რსდმპ თბილისის კომიტეტის ძველი, ძირითადად მენშევიკური შემადგენლობის გვერდით დანიშნა კომიტეტის ახალი, ბოლშევიკური შემადგენლობა, ვითარება ძალზე დაიძაბა. 1905 წლის 12 თებერვალს თბილისში მუშა სოლომონ ქორიძის ბინაზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიმართა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენელთა (მენშევიკთა და ბოლშევიკთა) კრება. კრებამ განიხილა საკითხი ბოლშევიკების მიერ იმ ტექნიკის მიტაცების შესახებ, რომელიც განხეთქილებამდე თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ეკუთვნოდა.[20] კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. განხეთქილება სულ უფრო ღრმავდებოდა.

დაწყებული რევოლუცია აუცილებელს ხდიდა განსაზღვრულიყო მოქმედების სტრატეგიული ხაზი და შეემუშავებინათ ერთიანი ტაქტიკა საქართველოსა და მთელი კავკასიის მასშტაბით. ამ მიზნით რსდმპ თბილისის მენშევიკური კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა კავკასიის ყველა მთავარი და გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენცია გაიმართა მცხეთაში 1905 წლის 14-15 აპრილს. კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობდა ნოე ჟორდანია. კონფერენციამ იმსჯელა იმ პრაქტიკული საკითხების შესახებ, რომლებიც დღის წესრიგში დააყენა რევოლუციამ. განხილული იქნა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანების საკითხი.[21] კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მცხეთის კონფერენციაზე ერთიანი ცენტრის შექმნის საკითხის დაყენება ფაქტობრივად ნიშნავდა ბოიკოტს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი, რომელიც სულ უფრო კარგავდა ავტორიტეტს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს შორის. მცხეთის კონფერენციაზე შეიქმნა რსდმპ კავკასიის ბიურო, რომელმაც გააერთიანა მენშევიკურ პლატფორმაზე მდგარი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.[22] ამრიგად, 1905 წლის აპრილიდან პარალელურად არსებობდა ორი სამხარეო ორგანო: ბოლშევიკური — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი და მენშევიკური — რსდმპ კავკასიის ბიურო.

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მცხეთის კონფერენციის მუშაობის პერიოდისათვის უკვე ცხადი იყო, რომ ცარიზმთან შეიარაღებული შეტაკება გარდაუვალი იქნებოდა. ეს რომ გაითვალისწინა, კონფერენციამ შექმნა სამხედრო-ტექნიკური კომისია, რომელსაც უნდა გამოენახა საშუალებანი პროლეტარული რაზმეულების შესაიარაღებლად. თავის მხრივ, რსდმპ თბილისის მენშევიკურმა კომიტეტმა შექმნა სამხედრო-ტექნიკური კომისია და მის თავმჯდომარედ დაამტკიცა ნოე რამიშვი-

ლი.[23] 1905 წლის 26 აპრილს რსდმპ თბილისის სამხედრო საბჭო სხდომაზე ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის მონაწილეობით განხილულ იქნა საკითხი თბილისის შემოგარენში ასაფეთქებელი ნივთიერებისა დ ყუმბარების დამამზადებელი ლაბორატორიის მოწყობის შესახებ.[24] მალ ასეთი ლაბორატორია ამოქმედდა კიდეც.

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მცხეთის კონ ფერენციის შემდეგ 1905 წლის 5 მაისს თბილისში მუშა კალისტრატ დოლიძის ბინაზე ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით შედგა ქალაქის სო ციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ყველა პროპაგანდისტის კრება. კრე ბაზე ნოე რამიშვილმა წაიკითხა რეფერატი „მოქმედების ახლად შემუშა ვებული სისტემა“.[25] საქმე იმაშია, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ქართველ მენშევიკები რუსული მენშევიზმის ტაქტიკას დოგმად არ თვლიდნენ, ქარ თული სოციალ-დემოკრატია თვითონ განსაზღვრავდა ტაქტიკურ ხაზს. ა მხრივ 1905 წლის გაზაფხულზე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ნოე ჟორ დანია და ნოე რამიშვილი. ტაქტიკის საკითხებიდან ძალზე საინტერესო ქართველი მენშევიკების დამოკიდებულება წვრილ ბურჟუაზიასთან და ტე რორის საკითხი. ნ. ჟორდანიას წინადადებით, რსდმპ თბილისის ორგანი ზაციაში ცალკე ორგანიზაციად გაერთიანდა წვრილი ბურჟუაზია (ზოგი ერთი ცნობით, რსდმპ თბილისის კომიტეტთან არსებობდა წვრილი ბურ ჟუაზიის კომისია). ამ ორგანიზაციას (კომისიას) ხელმძღვანელობდ ზაქარია ჩიჩუა. თბილისის წვრილი ბურჟუაზიის სოციალ-დემოკრატიულ მა ორგანიზაციამ აქტიური როლი ითამაშა მრავალი დემონსტრაციისა და გაფიცვის მოწყობაში. ფაქტობრივად რევოლუციურ ბრძოლაში თბილისის მუშათა კლასი და წვრილი ბურჟუაზია ერთი ფრონტით გამოდიოდა, რაც წარმატების საწინდარი იყო.[26]

ქართველ სოციალ-დემოკრატებს განსხვავებული პოზიცია ეკავათ ტერორის საკითხშიც. ნ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ რუსი სოციალ-დე მოკრატების მსგავსად, ქართველებიც „უარვყოფდით ტერორს როგორც საშუალებას თვითმპყრობელობის ჩამოგდების, როგორც ამას ფიქრობდნენ ნაროდნიკები, მაგრამ უარს არ ვყოფდით მას, როგორც იარაღს თავის დაცვისას“.[27] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ბოლშევიკები და მენ შევიკები ტერორის საკითხშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ქართველი ბოლშევიკები ტერორს ტოტალიტარულ ხასიათს აძლევდნენ და ერთნაი რი სიძლიერით იყენებდნენ მას როგორც ჟანდარმერიის, ოხრანკისა და დამსჯელი ექსპედიციის წინააღმდეგ, ისე პოლიტიკურ და იდეურ მოწი ნააღმდეგეთა მიმართ. ქართველი მენშევიკებისათვის ეს აბსოლუტურად მიუღებელი იყო.[28] ქართველი მენშევიკები მუდამ შეურიგებლად იბრძოდ ნენ არა მარტო ტერორის, არამედ ყოველგვარი ექსტრემიზმის წინააღმ-

დეგ.[29] ასე იყო 1905 წელსაც, როცა ქართველი მენშევიკები ტერორს მიმართავდნენ „როგორც იარაღს თავის დაცვისას“. მენშევიკების მიერ ჟანდარმერიის, ოხრანკისა და პოლიციის წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა თავისი შედეგები გამოიღო. ნ. ჟორდანია აღნიშნავს: „მთელი აპარატი მოეშალა მთავრობას, შიში და ძრწოლა გამეფდა „ოხრანკაში“, ყველა მათგანი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. დამკვიდრდა ფაქტიური თავისუფლება მიტინგის, გაფიცვის და დემონსტრაციის“.[30] ამ პერიოდიდან (1905 წლის ზაფხული) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები საქართველოში ფაქტობრივად ლეგალურად მოქმედებენ.

ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც ვ. ლენინისაგან რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საშუალებით ყოველმხრივ დახმარებას ღებულობდნენ, ძირითადად ქართველი მენშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის კრიტიკით იყვნენ დაკავებულნი. უკვე 1905 წლის თებერვალ-მარტიდან ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებს აშკარად დაუპირისპირდნენ: იოსებ სტალინი, მიხა ცხაკაია, ალექსანდრე წულუკიძე, ფილიპე მახარაძე, ასევე არშაკ ზურაბოვი.[31] თბილისში ბოლშევიკებმა ბრძოლა წააგეს, დამარცხდნენ ბათუმშიც, თუმცა იარაღი არ დაუყრიათ და მთელი ძალით გააჩაღეს ბრძოლა რსდმპ III ყრილობის მოწვევისათვის. როგორც ცნობილია, რსდმპ III ყრილობის მოწვევას პარტიის წესდების დარღვევით ესწრაფოდნენ ბოლშევიკები ვ. ლენინის მეთაურობით. მენშევიკებმა და მათმა ლიდერმა გ. პლეხანოვმა უარი განაცხადეს ყრილობის მოწვევაზე და მის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. რუსი მენშევიკების ტაქტიკას მხარი დაუჭირეს ქართველმა მენშევიკებმაც. საქართველოში რსდმპ III ყრილობის დელეგატების არჩევას და საერთოდ მთელ წინა საყრილობო მუშაობას ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. ყრილობისათვის მზადების მომენტში კიდევ უფრო გაღრმავდა განსხვავება მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციათა შორის.

რსდმპ III ყრილობა მიმდინარეობდა 1905 წლის 12-27 აპრილს (25 აპრილს-10 მაისს) ლონდონში. ყრილობას ესწრებოდა 23 დელეგატი 46 ხმით. მეცხრამეტე სხდომიდან ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა კიდევ ერთი დელეგატი — პ. ჯაფარიძე (გოლუბინი). 24 დელეგატი არჩეული იყო 20 ადგილობრივი კომიტეტიდან, ასევე პარტიის საბჭოდან, ცენტრალური კომიტეტიდან და რსდმპ კავკასიის კავშირიდან. სათათბირო ხმით ყრილობას ესწრებოდა 14 დელეგატი.[32] ყრილობის დღის წესრიგში იყო შემდეგ საკითხები: ტაქტიკური საკითხები (შეიარაღებული აჯანყება, დამოკიდებულება მთავრობის პოლიტიკასთან გადატრიალების წინ და გადატრიალების მომენტში, გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულება),

საორგანიზაციო საკითხები (მუშებისა და ინტელიგენციის დამოკიდებულება პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის წესდება), დამოკიდებულება სხვა პარტიებსა და მიმდინარეობებთან (რსდმპ გამოთიშულ ნაწილთან, ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, ლიბერალებთან, სოციალისტ-რევოლუციონერებთან), არჩევნები და სხვ.[33]

რსდმპ III ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა ორი ქართველი დელეგატი — მ. ცხაკაია (ბარსოვი) და პ. ჯაფარიძე (გოლუბინი). მ. ცხაკაია დელეგატად არჩეული იყო რსდმპ ცენტრალური კომიტეტიდან ორი გადამწყვეტი ხმით, ხოლო პ. ჯაფარიძე — რსდმპ კავკასიის კავშირიდან ერთი გადამწყვეტი ხმით. კავკასიის კავშირიდან ყრილობის დელეგატებად არჩეულნი იყვნენ: მ. ლემანი (ნევსკი) ორი გადამწყვეტი ხმით, რიბკინი (ლეტუჩი) ერთი გადამწყვეტი ხმით და პ. ჯაფარიძე (გოლუბინი) ერთი გადამწყვეტი ხმით. პ. ჯაფარიძის ხმით მეცხრამეტე სხდომამდე სარგებლობდა დელეგატი რიბკინი (ლეტუჩი).[34] ამრიგად, ყრილობაზე ორ ქართველ დელეგატს ჰქონდა 3 გადამწყვეტი ხმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პ. ჯაფარიძე ყრილობის 26 სხდომიდან 18 სხდომას არ დასწრებია. საერთოდ კი, იგი ყრილობაზე რსდმპ ბაქოს კომიტეტს წარმოადგენდა და ამდენად, რსდმპ III ყრილობაზე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რსდმპ არც ერთ კომიტეტს წარმომადგენელი, ქართველი დელეგატი, არ ჰყოლია, არც გადამწყვეტი და არც სათათბირო ხმით.[35]

ყრილობის პირველსავე სხდომაზე მოისმინეს ორი მოხსენება: ყრილობის მოწვევის მიზნით უმრავლესობის ბიუროს საორგანიზაციო კომიტეტისა და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობის შესახებ. პირველ საკითხზე მომხსენებელი იყო ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი), ხოლო მეორეზე — ლ. კრასინი (ზიმინი). ლ. კრასინმა სხვა საკითხებთან ერთად ყრილობას მოახსენა, რომ წინა დღით, საორგანიზაციო კომიტეტის ბოლო სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ყრილობაზე რსდმპ კავკასიის კავშირის წარმომადგენლობის შესახებ და მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

„საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა რა საკითხი კავკასიის დელეგაციის შესახებ ლიტერატურის მონაცემებისა და მოწმეთა, კავკასიელი ამხანაგების ჩვენების საფუძველზე ერთხმად მივიდა შემდეგ გადაწყვეტილებამდე:

1. აუცილებელი და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებით ყრილობაზე გადამწყვეტ ხმებში უნდა ჩაითვალოს კავკასიის დელეგაციის 8 ხმა, რადგანაც ჯერ კიდევ 1903 წლის შემოდგომაზე ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული კავკასიის საკავშირო კომიტეტის წესდებით

კავკასიის საკავშირო კომიტეტს, როგორც საკავშირო კომიტეტს, ყრილობაზე მიეცა 8 გადამწყვეტი ხმა.

2. რაც შეეხება ამის საწინააღმდეგოდ ამხ. გლებოვის* მიერ პარტიის საბჭოში გაკეთებულ განცხადებას და პარტიის საბჭოს 1904 წლის მაისის გადაწყვეტილებას — დროებით, საკითხის გამორკვევამდე კავკასიის ოთხი კომიტეტის (ბაქოს, ბათუმის, თბილისის, იმერეთ-სამეგრელოს) ხმების გადამწყვეტ ხმებად ჩათვლის შესახებ — საორგანიზაციო კომიტეტს არ შეუძლია გლებოვის ეს განცხადება და პარტიის საბჭოს გადაწყვეტილება ჩათვალოს დაბრკოლებად პირველ პუნქტში გაკეთებული დასკვნისათვის, რადგან ამხ. გლებოვი აშკარად საქმეში ჩაუხედავი აღმოჩნდა და ამიტომაც პარტიის საბჭო შეცდომაში შეიყვანა.

3. უეჭველად ჩაითვლოს ის, რომ ამჟამად სახეზეა სამი დელეგატი კავკასიის კავშირიდან ექვსი გადამწყვეტი ხმით. საორგანიზაციო კომიტეტი ადასტურებს, რომ კავკასიის საკავშირო კომიტეტის წევრი ამხ. ბარსოვი გადამწყვეტი ხმის მქონე მეოთხე დელეგატის შესახებ აცხადებს შემდეგს: კავკასიის საკავშირო კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონდა ბათუმის კომიტეტისათვის მიეცა მეოთხე დელეგატის დამტკიცების უფლება. როცა ბათუმის კომიტეტისაგან გაურკვეველი და მიკიბულ-მოკიბული პასუხი მიიღო, საკავშირო კომიტეტმა თავის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ბარსოვი, გამოთქმა სურვილი ყრილობაზე ბათუმიდან სპეციალური დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მეოთხე დელეგატის გადამწყვეტი ხმა გადაეცა ამხ. გრადოვისათვის.

4. ადასტურებს რა ამას, საორგანიზაციო კომიტეტი, კავკასიის საკავშირო კომიტეტიდან მეოთხე დელეგატის საკითხს გადასაწყვეტად გადასცემს თვით ყრილობას".[36]

ყრილობამ ვ. ლენინის ინიციატივით საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების გამო მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ყრილობა საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშს განიხილავს მხოლოდ ყრილობის კანონიერების თვალსაზრისით.[37] ვ. ლენინის ტაქტიკური სვლა რომ არა, აუცილებლად გამომჟღავნდებოდა ის დარღვევები, რომელიც თან ახლდა რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ დელეგატების არჩევნებს.

რსდმპ კავკასიის კავშირიდან დელეგატების არჩევის კანონიერების საკითხი კიდევ ერთხელ დადგა ყრილობაზე, როცა ყრილობის სამანდატო

---

* ვ. პ. ნოსკოვი (გლებოვი) რსდმპ II ყრილობაზე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. მენშევიკი, გამოდიოდა რსდმპ III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ.

** ლ. ბ. როზენფელდი (კამენევი, გრადოვი) — რსდმპ III ყრილობის დელეგატი რსდმპ კავკასიის კავშირიდან, ბოლშევიკი.

კომისიამ შეამოწმა დელეგატთა მანდატები კავკასიის კავშირიდან. სამანდატო კომისია, როგორც ჩანს, მთლიანად ეყრდნობოდა მ. ცხაკაიას ინფორმაციას. ეს, როგორც ვნახეთ, გამოჩნდა ჯერ კიდევ საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების დროს. ამჟამადაც სამანდატო კომისიამ კანონიერად ცნო რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ დელეგატთა არჩევნები და კავშირს მიენიჭა 8 გადამწყვეტი ხმა. რაც შეეხება მეოთხე დელეგატის ადგილსა და 2 გადამწყვეტ ხმას, მ. ცხაკაიას მოთხოვნის შესაბამისად, ისინი გადაეცა ლ. კამენევს.[38] სამანდატო კომისიის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა დელეგატი რიბკინი კავკასიის კავშირიდან, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა: „მე არ მესმის, ჩემი განცხადების მიუხედავად, სამანდატო კომისიამ რატომ არ გამომიძახა მოწმედ. ამბ. ნევსკის ბაქოში ყოფნისას არ უთქვამს,. რომ საკავშირო კომიტეტი მოითხოვდა 8 გადამწყვეტ ხმას. არ ვიცი, რას ეყრდნობა ამბ. ბარსოვის მტკიცება. მე წინააღმდეგი ვარ სამანდატო კომისიის წინადადებისა და ვფიქრობ, რომ ბათუმში სხვა ხალხი იქნებოდა არჩეული, მაგრამ ამბ. გრადოვს ბათუმში არ უმუშავია და პერიფერიას არ იცნობს.“[39] ამის საპასუხოდ მ. ცხაკაიამ ლ. კამენევს ბრწყინვალე დახასიათება მისცა და მოითხოვა მისთვის გადამწყვეტი ხმის მიცემა.[40] ასეთ ვითარებაში ვ. ლენინმა სცადა ვითარების განმუხტვა და განაცხადა, როა ბათუმის კომიტეტს ჯერ საბოლოოდ უარი არ უთქვამს დელეგატის გამოგზავნაზე და თუ დელეგატი ბათუმიდან ჩამოვა, ის მიიღებს გადამწყვეტ ხმას, ლ. კამენევი კი დარჩებოდა დელეგატად სათათბირო ხმით.[41] დელეგატის ჩამოსვლა ბათუმიდან ნაკლებად სავარაუდო იყო, რაც აღიარა თვით მ. ცხაკაიამ.[42] ეს კარგად იცოდა ვ. ლენინმაც, ამიტომ საკითხის გადაჭრის ის გზა, რომელიც მან დასახა, ფაქტობრივად სამანდატო კომისიის გადაწყვეტილებას ტოვებდა ძალაში. ყრილობა საბოლოოდ ვ. ლენინის წინადადებას დაეთანხმა.[43] ასე მიიჩქმალა მეორედაც ყრილობაზე ის დარღვევები, რაც თან ახლდა დელეგატების არჩევნებს კავკასიაში.

დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხზე — გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ — ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდნენ ვ. ლენინი და მ. ცხაკაია. ვ. ლენინმა მოხსენების დასაწყისში აღნიშნა, რომ „გლეხთა მოძრაობისადმი მხარდაჭერის საკითხი ორად იყოფა: 1) თეორიული საფუძვლები და 2) პარტიის პრაქტიკული გამოცდილება. უკანასკნელ საკითხზე პასუხს გასცემს მეორე მომხსენებელი, ამბ. ბარსოვი, რომელიც კარგად იცნობს გლეხთა ყველაზე უფრო მოწინავე მოძრაობას გურიაში“.[44] ამრიგად, საკითხის თეორიული მხარის წარმოდგენა ვ. ლენინმა თვითონ იკისრა. მოხსენებაში ძირითადად გამეორებული იყო მის მიერვე წინა ხანებში შემუშავებული შეხედულება აგრარული მოძრაობისა

და ამ მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ.[45] მ. ცხაკაიამ ვ. ლენინზე გაცილებით მეტი ილაპარაკა, მოიყვანა უამრავი მაგალითი საქართველოს (განსაკუთრებით გურიის) ცხოვრებიდან, შეეცადა ეჩვენებინა, რომ გლეხთა მოძრაობა უკვე მიდიოდა იმ გზით, რომლის შესახებაც ლაპარაკი იყო ვ. ლენინის მოხსენებაში. მ. ცხაკაიას სერიოზული ოპონენტი არ ჰყავდა. ყრილობაზე არ იყო დელეგატი, რომელიც იცნობდა გლეხთა მოძრაობას საქართველოში და კერძოდ გურიაში. ამით ისარგებლა მ. ცხაკაიამ და ყრილობას სწორედ ისეთი სურათი დაუხატა, რომელიც ხელს აძლევდა ვ. ლენინის მის მიერ ჩაფიქრებული რეზოლუციის მისაღებად.[46]

ყრილობის მეთვრამეტე სხდომაზე (22 აპრილი) წაკითხული იქნა 1905 წლის 7 აპრილით დათარიღებული „თბილისის კომიტეტის წერილი III ყრილობის თავმჯდომარის სახელზე“.[47] წერილი, როგორც ჩანს, შედგენილი იყო თბილისელი მენშევიკების მიერ და ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა ვ. ლენინს, რსდმპ კავკასიის კავშირს და საერთოდ მთელ ყრილობას. წერილში მითითებული იყო: 1) რსდმპ III ყრილობის არაკანონიერებაზე, 2) დელეგატების არჩევნების დროს დაშვებულ უხეშ დარღვევებზე, 3) ყრილობის ჩატარების ფაქტით პარტიაში იმ ხანად არსებული უმრავლესობის (მენშევიკების) აზრის უგულებელყოფაზე, 4) ყრილობის ჩატარებისათვის შესაფერისი დროის ცუდად შერჩევაზე და სხვ.[48] ყრილობის დადგენილებით, წერილი შეტანილ იქნა ყრილობის ოქმებში.[49] აღნიშნული წერილის შესახებ, ჩანს, წინასწარ იცოდნენ მ. ცხაკაიამ და მისმა თანამოაზრეებმა. სწორედ მათი ძალისხმევით იქნა შედგენილი ყრილობაზე წაკითხულის საპასუხო წერილი, რომელიც ასევე გააცნეს ყრილობას რსდმპ თბილისის კომიტეტის ოფიციალური წერილის შემდეგ.[50] თბილისელი ბოლშევიკების წერილი, რომელიც დათარიღებული იყო 1905 წლის 19 მარტით, ნაწილობრივ აკარწყლებდა წინა წერილით შექმნილ შთაბეჭდილებას და ამდენად, ამაგრებდა ვ. ლენინის პოზიციას. კერძოდ, წერილში უარყოფითად იყო დახასიათებული თბილისელი მენშევიკების მოღვაწეობა. მათ ბრალი ედებოდათ პარტიული მუშაობის ჩაშლაში, სხვადასხვა ხასიათის დემაგოგიურ ქმედებაში და ა. შ.[51] ლ. კრასინმა, როგორც ჩანს, წერილის ობიექტურობაში დაეჭვებულმა, მოითხოვა წერილი არ შეეტანათ ყრილობით ოქმებში. მ. მანდელშტამმა (ლიადოვმა) მხარი დაუჭირა წერილის ოქმებში შეტანას. იმავეს ითხოვდა მ. ცხაკაია. ასეთ ვითარებაში ვ. ლენინმა წინადადება შეიტანა რსდმპ კავკასიის კავშირის დელეგატებს გამოეთქვათ აზრი წერილის ობიექტურობის შესახებ. დელეგატებმა რსდმპ კავკასიის კავშირიდან, რომლებიც ბოლშევიკურ ფრაქციას მიეკუთვნებოდნენ, რაღა თქმა უნდა დაადასტურეს წერილის

ობიექტურობა. ამრიგად, თბილისელი ბოლშევიკების წერილი, ვ. ლენინის მოწონება პოზიციის შედეგად, შეტანილ იქნა ყრილობის ოქმებში.[52]

ქართველი დელეგატებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო საკითხი ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომლის განხილვა დაიწყო ყრილობის ოცდამეერთე სხდომაზე (23 აპრილს). რეზოლუციის პროექტი ამ საკითხზე ყრილობას წარუდგინა ვ. ვოროვსკიმ (ორლოვსკიმ).[53] რეზოლუცია აუცილებლად თვლიდა რუსეთის იმპერიაში არსებული ყველა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ორგანიზაციის) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიაში გაერთიანებას.[54] პ. ჯაფარიძემ რეზოლუციის პროექტის განხილვისას განაცხადა: „ეროვნული ორგანიზაციები ჩვენთან სხვადასხვაგვარია. მაგალითად, კავკასიაში არის პარტიები „დროშაკისტებისა“ და „საქართველო“. სხვა საქმეა „გნჩაკისტების“ პარტია, რომელმაც მიიღო ჩვენი პროგრამა და თავის მუშაობას ათანხმებს ჩვენთან. „საქართველოელები“ სარგებლობენ რა კავკასიაში საერთო გამოღვიძებითა და რევოლუციური განწყობილებით, გამოდიან არენაზე და ცდილობენ გლეხთა მოძრაობის თავიანთ ხელში ჩაგდებას. მათ უნდა ებრძოლო, შეთანხმებაზე კი, ჯერ-ჯერობით მაინც, ლაპარაკიც არ შეიძლება“.[55] ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან დამოკიდებულების შესახებ ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „III ყრილობა, ადასტურებს რა II ყრილობის დამოკიდებულებას ფედერალიზმის საკითხისადმი, აკალებს როგორც ცენტრალურ კომიტეტს, ისე ადგილობრივ კომიტეტებს, ყოველი ღონე იხმარონ ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებისათვის იმ მიზნით, რომ მოხდეს ადგილობრივი მუშაობის შეთანაწყობა და ამრიგად მომზადდეს ნიადაგი ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებისა ერთ რსდმ პარტიად“.[56]

ყრილობის ოცდამეხუთე სხდომაზე (26 აპრილს) მ. ცხაკაიამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი კავკასიის ამბების გამო, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა. თავი შეიკავა მხოლოდ ერთმა დელეგატმა.[57] რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო“ მალალ შეფასებას აძლევდა რევოლუციურ მოძრაობას კავკასიაში, ასევე კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოღვაწეობას. რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

„ილებს რა მხედველობაში:

1) რომ კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2) რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უკვე მიეცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე;

3) რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარებსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად დაუნდობელ განადგურებას;

4) რომ კავკასიაში სახალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვებას, რასაც იქაური მოსახლეობის სხვადასხვაგვაროვანი შემადგენლობა აადვილებს, უაღრესად მავნე შედეგი ექნება აჯანყების წარმატებისათვის მთელ რუსეთში."[58]

ქართველი დელეგატები ყრილობაზე კიდევ რამდენიმე საკითხის ირგვლივ გამოვიდნენ, მაგრამ ამ გამოსვლებს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ისტორიისათვის.

რსდმპ III ყრილობის შემდეგ ქართველი ბოლშევიკები შეუდგნენ ყრილობის გადაწყვეტილებების პროპაგანდას. ქართველი მენშევიკები, რომლებიც კანონიერად არ თვლიდნენ რსდმპ III ყრილობის მოწვევის ფაქტსაც კი, პროპაგანდას უწევდნენ მენშევიკების ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. ყრილობის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო გამწვავდა ფრაქციული ბრძოლა, რაც უმთავრესად ნოე ჟორდანიასა და იოსებ სტალინის ცხარე პოლემიკით გამოიხატა. მენშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის კრიტიკას ეძღვნება რსდმპ III ყრილობის შემდეგ გამოქვეყნებული ი. სტალინის ნაშრომები: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" (1905 წ. მაისი), „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენ ტაქტიკა" (1905 წ. ივლისი), „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია" (1905 წ. აგვისტო), „პასუხად „სოციალ-დემოკრატს" (1905 წ. აგვისტოს),[59] ასევე გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში" დაბეჭდილი სტატია „მესამე კრება კავკასიელ „მეუმცირესეთა" სამსჯავროს წინაშე".[60] მენშევიზმის პლატფორმის დაცვას მიეძღვნა ნ. ჟორდანიას „პასუხი კავშირის კომიტეტს", რომელიც 1905 წლის 1 ივლისს გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" მესამე ნომრის დამატების სახით დაიბეჭდა. ი. სტალინისა და ნ. ჟორდანიას პოლემიკის მნიშვნელობა სცილდებოდა საქართველოსა და კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ფარგლებს, იგი საერთოდ სარუსეთო მნიშვნელობას იძენდა. აშკარა იყო, რომ ორივე მოლვაწე განსაკუთრებულ ადგილს იჭერდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში.

რევოლუციაში ყველა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა საკუთარი პროგრამით გამოდიოდა. უფრო მეტიც, ბოლშევიკების ლონდონის ყრილობისა და მენშევიკების ჟენევის კონფერენციის შემდეგ ფაქტობრივად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ორი სტრატე-

გიული ხაზი დაისახა, გამომუშავებულ იქნა შესაბამისი ტაქტიკაც. ასეთ ვითარებაში რევოლუციაში მონაწილე სოციალურ ძალებს უჭირდათ საკუთარი პოზიციის განსაზღვრა. რაღა თქმა უნდა, ყოველი პოლიტიკური პარტია ცდილობდა მასებზე მეტი გავლენის მოპოვებას. ამ მხრივ ქართველ სოციალ-დემოკრატებს დიდი დახმარება გაუწია ნ. ჟორდანიას ნაშრომმა „სოციალ-დემოკრატია და სოციალისტ-რევოლუციონერები", რომელიც 1907 წელს გამოიცა ჟუთაისში, მანამდე კი ცალკეული ნაწილების სახით გამოქვეყნდა სოციალ-დემოკრატიულ პრესაში.[61] ნაშრომში პოპულარული ენით დახასიათებული იყო სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმის არსი, დამოკიდებულება სხვა სოციალისტურ მიმდინარეობებთან. ნ. ჟორდანია დიდ ადგილს უთმობდა ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამის კრიტიკას. 1907 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ნ. ჟორდანიას ნაშრომი „ანარქიზმი".[62] ნაშრომში ღრმად და საფუძვლიანად არის დახასიათებული ანარქიზმი, მოცემულია ამ მიმდინარეობის სტრატეგიისა და ტაქტიკის კრიტიკა. რევოლუციაში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა პროგრამების კრიტიკა დიდად უწყობდა ხელს მასებში სოციალ-დემოკრატების გავლენის განმტკიცებას.

§2. ქართული სოციალ-დემოკრატია და ეროვნული მოძრაობა

ქართული სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ 1898-1901 წლებში მკვეთრად დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძესა და საერთოდ „ივერიის" ბანაკს, ეროვნული მოძრაობის ილიასეულ კონცეფციას. ცოტა მოგვიანებით 1901-1902 წლებიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები დაუპირისპირდნენ არჩილ ჯორჯაძის იდეური ხელმძღვანელობით გაზეთ „ცნობის ფურცლის" გარშემო შემოკრებილ მომავალ სოციალისტურ-ფედერალისტებს და მათ მიერ წამოყენებულ საქართველოს ავტონომიის იდეას. 1900 წელს ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის წარმოებული ცხარე პოლემიკის შემდეგ ილიას წინააღმდეგ ბრძოლამ თანდათან მეორე რიგში გადაინაცვლა. სამაგიეროდ, წინა პლანზე წამოიწია არჩილ ჯორჯაძის საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ ბრძოლამ. გაზეთები „კვალი", „ბრძოლა", „პროლეტარიატის ბრძოლა" 1901-1904 წლებში დიდ ადგილს უთმობდნენ ავტონომიის იდეის კრიტიკას. ამ მხრივ ძალზე აქტუ-

რობდნენ ირ. წერეთელი, ი. სტალინი, ფ. მახარაძე, ალ. წულუკიძე. ავტონომიის იდეის წინააღმდეგ მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის ავტონომიურად მოწყობა პატარა ერების სოციალ-დემოკრატიას და პროლეტარიატს მოწყვეტდა ველიკოროსიის სოციალ-დემოკრატიისა და პროლეტარიატისაგან, რაც იმას მოასწავებდა, რომ დაიქსაქსებოდა, დასუსტდებოდა ის ძალები, რომელსაც არსებული წყობილება უნდა დაემხო. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ღრმად სწამდათ, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლა, რომლის პირველ ეტაპად ისინი თვითმპყრობელობის დამხობას თვლიდნენ, აუცილებლად მოითხოვდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ერის პროლეტარიატის, საერთოდ მშრომელი მასებისა და სოციალ-დემოკრატიის მჭიდროდ დარაზმვას და არა მის დანაწილებას ეროვნულ ავტონომიებში.

1901-1903 წლებში, რსდმპ II ყრილობამდე, ნოე ჟორდანია არ იზიარებდა ავტონომიის წინაალმდეგ მებრძოლთა შეხედულებას. რსდმპ II ყრილობის წინ რსდმპ კავკასიის კავშირმა დაავალა ნ. ჟორდანიას დაეწერა „პარტიული პროგრამის პროექტი, როგორც ადგილობრივი, ისე მთელი სარუსეთო მასშტაბით“.[63] ნ. ჟორდანია აღნიშნავს: საკმაოდ ვრცელ პროგრამის პროექტში „ნაციონალურ საკითხში მჭონდა წამოყენებული ასეთი მუხლი: „ამიერ-კავკასიის თვითმართველობა პარლამენტით თფილისში.“ შემდეგ ეს მუხლი დაყოფილია მისი კომპეტენციის და მუშაობის განსაზღვრით“.[64] როგორც აღვნიშნეთ, ნ. ჟორდანიას მის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი რსდმპ II ყრილობისათვის არ წარუდგენია. ყრილობაზე მიღებული პროგრამის ის ნაწილი, რომელიც ეროვნულ საკითხს ეხებოდა, ძალზე კონსერვატიული იყო. დაზუსტებულიც კი არ იყო, თუ რას ნიშნავდა ცნება „ერთა თვითგამორკვევა“. ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ ყრილობაზე მრავალი საყურადღებო შენიშვნა გააკეთა, მაგრამ ერთა თვითგამორკვევის ცნების დაზუსტება არც მას უცდია. ყრილობის შემდეგ, 1904 წელს, ნ. ჟორდანია წერს ნაშრომს „ქართველი ნაციონალისტები“.[65] ნაშრომში ნ. ჟორდანიამ გაატარა აზრი იმის შესახებ, რომ ერთა თვითგამორკვევა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასაც ნიშნავდა. ეს აზრი შემდეგ, 1906 წელს, დაადასტურა რსდმპ IV (გაერთიანებელმა) ყრილობამ. ამ უაღრესად პროგრესული დებულების წამოყენებასთან ერთად ნ. ჟორდანიამ აშკარად გამოკვეთილი უარყოფითი პოზიცია დაიკავა საქართველოს ავტონომიის იდეის მიმართ, უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა სოციალიზმ-ფედერალიზმს, მის მთავარ იდეოლოგს არჩილ ჯორჯაძეს, ფედერალისტთა ბეჭდვით ორგანოებს „ცნობის ფურცელსა“ და „საქართველოს“.

ნ. ჟორდანია სავსებით გამოხატავდა ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობის შეხედულებას. საქართველოს ავტონომიის იდეა, საერთო ნიადაგის თეორია ი. სტალინისათვისაც მიუღებელი იყო. თავისი პოზიცია ი. სტალინმა ვრცლად ჩამოაყალიბა 1904 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „როგორც ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“[66] ი. სტალინისათვისაც, ისევე როგორც ნ. ჟორდანიასათვის, მიუღებელი იყო ის იდეები, რომელსაც ქადაგებდა არჩილ ჯორჯაძე და სოციალისტ-ფედერალისტთა ბეჭდვითი ორგანოები. ა. ჯორჯაძის ეროვნული პროგრამა, ვერ კიდევ სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური და ბოლშევიკურ ფრაქციებად გაყოფამდე, მიუღებლად მიიჩნია ქართული სოციალ-დემოკრატიის ისეთმა ცნობილმა წარმომადგენელმა, როგორიც ალექსანდრე წულუკიძე იყო. თავისი შეხედულება მან ვრცლად ჩამოაყალიბა 1903 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ოცნება და სინამდვილე“.[67]

ამრიგად, 1905-1907 წლების რევოლუციის წინა ხანებში ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციას, მისი გამოჩენილი მოღვაწეების ნოე ჟორდანიასა და იოსებ სტალინის სახით, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია ეკავათ საქართველოს ავტონომიის იდეის მიმართ, მიუღებლად მიაჩნდათ ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის ეროვნული პროგრამა.

1905-1907 წლების რევოლუციაში ქართველი სოციალ-დემოკრატების ბრძოლას საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ მჭიდროდ გადაეჯაჭვა კლასთა თანამშრომლობის, წოდებათა შერიგების, საერთო ნიადაგის იდეის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმცა ავტონომიის იდეის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით აქტუალური გახდა, რადგან რევოლუციამ ავტონომიისათვის ბრძოლა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ერებში თეორიული მსჯელობიდან პრაქტიკულ სიბრტყეზე გადაიყვანა, ხოლო წოდებათა შერიგების და საერთო ნიადაგის გამონახვის იდეის ხორცშესხმას ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დაუპირისპირდა. როცა ქართველი სოციალ-დემოკრატები, მისი ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქცია 1905-1907 წლებში საქართველოს ავტონომიის, კლასთა თანამშრომლობის, წოდებათა შერიგების, საერთო ნიადაგის იდეას უპირისპირდებოდნენ, ფაქტობრივად ისინი უპირისპირდებოდნენ არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც იმხანად განასახიერებდა როგორც ავტონომიის, ისე საერთო ნიადაგისათვის ბრძოლის მთავარ იდეოლოგს. ილია ჭავჭავაძესთან ქართველი სოციალ-დემოკრატების უთანხმოებამ რევოლუციის წლებში უკვე სხვა ხასიათი მიიღო.

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მენშევიკები და ბოლშევიკები აშკარად დასცილდნენ ერთმანეთს, მათ შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. აქ ი. სტალინის თავშეკავებას ენაცვლებოდა ნ. ჟორდანიას ზომიერი კრიტიკა, ამ უკანასკნელს აგრძელებდა ფ. მახარაძის აშკარად აგრესიული გამოხტომები ილია ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნისა და როგორც საზოგადო მოღვაწის, წინაალმდეგ, და ბოლოს, ყურადღების გარეშე არ შეიძლება იქნეს დატოვებული ვლ. დარჩიაშვილის უაღრესად საყურადღებო წერილები — ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასების ცდა.

რევოლუციის დაწყების შემდეგ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ პირველმა ფ. მახარაძემ გაილაშქრა. 1905 წლის 10 აპრილს ფ. მახარაძის ჟურნალმა ფსევდონიმით ვ. ნ. გამოაქვეყნა ცილისმწამებლური მასალა სათაურით „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“.[68] ილია ჭავჭავაძის პასუხს — „ნუთუ“ — მოჰყვა „მოგზაურში“ დაბეჭდილი კიდევ უფრო ცილისმწამებლური და თავხედური ტონით დაწერილი ფ. მახარაძის „თავის გამართლებაც ასეთი უნდა!“[69] და ვ. ნ.-ს „პასუხი ილია ჭავჭავაძეს“.[70] ჟურნალი „მოგზაური“ რევოლუციის პირველი ხანებიდანვე დიდ ადგილს უთმობდა ე. წ. თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც უპირველესად ილია ჭავჭავაძისა და არჩ. ჯორჯაძის ეროვნული პრგრამის წინააღმდეგ ლაშქრობას მოასწავებდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ფ. მახარაძე. აღსანიშნავია მისი წერილები: „კიდევ ნაციონალიზმის შესახებ“, „ძმობა-ერთობაზე ღალადი ჩვენში“, „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება“, „მცირე შენიშვნა“, „ნორვეგიის ავტონომია და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“, „ეროვნული განხეთქილება და საერთაშორისო პროლეტარიატი“, „ეროვნული ავტონომია და მუშათა კლასი“.[71] წერილში „კიდევ ნაციონალიზმის შესახებ“ ფ. მახარაძემ უნიადაგოდ გამოაცხადა წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის ილია ჭავჭავაძისეული იდეა. ფ. მახარაძე ირონიულად აღნიშნავდა: „თუ რანაირი სიყვარულია ქართველ მუშებსა და ქართველ კაპიტალისტებს შორის, ან ქართველ მემამულეებსა და ქართველ გლეხებს შორის, ეს ყველამ კარგად უწყის“.[72] საქართველოს ავტონომიზაციის იდეის წინააღმდეგაა მიმართული ფ. მახარაძის წერილი „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება“, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენი ნაციონალისტების აზრით ეროვნულ საკითხს გადაწყვეტს ავტონომია; ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეროვნულ კითხვის გადაწყვეტა ამით არა თუ გაადვილდება, არამედ კიდევ უფრო გამწვავდება“.[73] ფ. მახარაძეს უჭვიც არ ეპარება, რომ ეროვნული საკითხი სოციალურის გარეშე არ გადაიჭრება, რადგანაც „ეროვნული კითხვა ბოლოს და ბოლოს იგივე სოციალური კითხვაა, მხო-

ლოდ ქურქში გახვეული. ამიტომ მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იგნებს მშრომელი ხალხი თავის კლასობრივ მდგომარეობას“.[74] 1905 წლის 6 ნოემბერს,. როცა ცარიზმის პოზიციები შერყეული იყო, ხოლო რევოლუცია კვლავ აღმავლობის გზით ვითარდებოდა, ფ. მახარაძე გამარჯვებული პოლიტიკოსის პოზიციიდან წერდა: „თითოეული ერის პროლეტარიატს რომ ცალკე დაეწყო მოქმედება, რომ მას კარი ჩაეკეტა და ეროვნული ავტონომიის მოპოვებისათვის დაეწყო ზრუნვა, როგორც ამას ავტონომიის მომხრენი ქადაგებენ, რუსეთის თვითმყრობელობა ჯერ კიდევ უცნებელი იქნებოდა“.[75] ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ფ. მახარაძე ასკვნიდა: „ჩვენ დღეს ვეწინააღმდეგებით იმ პარტიების მეცადინეობას, რომლებიც ცდილობენ ახლავე ეროვნული ავტონომიის მოპოვებას. ჩვენი აზრით, ასეთი მეცადინეობა მხოლოდ ხელს შეუწყობს რეაქციონულ ძალებს კონტრ-რევოლუცია გააძლიერონ და რუსეთში შეაფერხონ ფართო დემოკრატიული წეს-წყობილების დაფუძნების საქმე“.[76] ასე გამოაცხადა ფ. მახარაძემ საქართველოს ავტონომია დემოკრატიის მტრად.

საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული მასალიდან ყურადღებას იმსახურებს კიდევ რამდენიმე წერილი. მათ შორისაა „ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი“, რომელიც დაიბეჭდა ფსევდონიმით „ს-დ“.[77] წერილის დედაარსი გამოხატულია სიტყვებში: „ბურჟუაზია — აი ვის უხდება და იფარავს ავტონომია“.[78] საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგაა მიმართული „მოგზაურში“ „გ-ს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი ორი წერილი: „როგორ წარმოიშვა ავტონომიის იდეა“ და „უტოპიური ელემენტები ფედერალისტების აზროვნებაში“.[79] აღსანიშნავია, რომ ნოე ჟორდანიას, რომელიც „მოგზაურში“ აქტიურად თანამშრომლობდა, საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ არაფერი დაუბეჭდავს, თუმცა ცნობილი იყო, რომ ამ იდეას მაშინ იგი მხარს არ უჭერდა. სამაგიეროდ, ძალზე აქტიურობდა ირაკლი წერეთელი. იგი ერთნაირად მიუღებლად თვლიდა როგორც საქართველოს ავტონომიის, ისე საერთო ნიადაგის იდეას.[80] საქართველოს ავტონომიის არჩილ ჯორჯაძისეულ იდეას რომ ეხებოდა, ირ. წერეთელი აღნიშნავდა: „რას წარმოადგენს ეს ნანატრი ავტონომია? არის ეს მოთხოვნა ყველა რუსეთში მცხოვრებ ერის სრულ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ გათანასწორებისა? მოთხოვნა ყველა ერისთვის (და მაშასადამე, ქართველებისათვისაც) სამშობლო ენის თავისუფლად ხმარების უფლებისა ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამოსამართლო დაწესებულებებში და სამშობლო ენაზე განათლების მიღების უფლება? არა... ფედერალისტების ავტონომია სულ სხვა ჯურის რამ

არის და სულ სხვა მიზნისათვის არის დანიშნული. „საქართველო ქართველებისათვის“ — აი მოკლეთ მათი ეროვნული მოთხოვნილების შინაარსი... მათ სურთ ქართული ენა, ქართული სასამართლო, ქართული კანონი გაამეფონ ყველა მცხოვრებლებისათვის. ეროვნული თანასწორობა კი არა, ეროვნული პირველობა სურთ მათ ქართველებისათვის საქართველოს საზღვრებში“.[81] როგორც ვხედავთ, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნაში ირ. წერეთელი მხოლოდ ნაციონალიზმის გაძლიერების საფრთხეს ხედავდა, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ იყო. არჩილ ჯორჯაძისათვის საქართველოში მცხოვრები სხვა ერების ჩაგვრა მიუღებელი იყო.

თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება კლასთა შერიგების, წოდებათა თანამშრომლობის, საერთო ნიადაგის იდეისა და საქართველოს ავტონომიის მიმართ ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციამ მთელი სიცხადით დაადასტურა რსდმპ IV და V ყრილობებზე გამოსვლების დროს. ამ საკითხმა ახალი შინაარსი შეიძინა, უფრო ყოვლისმომცველი გახდა 1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომ პერიოდში. აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი თვით ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის. ეროვნული საკითხი სულ უფრო ცხარე დისკუსიის საგანი ხდებოდა.

§3. ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის აღმავლობის პერიოდში

ბოლშევიკების ლონდონის ყრილობისა და მენშევიკების ჟენევის კონფერენციის შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში უკვე საბოლოოდ გამოიკვეთა ორი ტაქტიკური ბანაკი. ორად გაიყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც. მთავარი წინააღმდეგობა ორ ტაქტიკურ ბანაკს შორის მოკლედ ასე გამოიხატებოდა: მენშევიკები ელოდნენ მომენტს, როცა რევოლუციურ მასებში შეიარაღებული აჯანყების იდეა მომწიფდებოდა და აჯანყება დაიწყებოდა. ისინი მხოლოდ ამის შემდეგ თვლიდნენ შესაძლებლად ხალხის მასების სათავეში ჩადგომას. ე. ი. მენშევიკები არ აპირებდნენ შეიარაღებული აჯანყების დაგეგმვას პარტიულ ზედა ფენებში, არამედ ელოდნენ ინიციატივას მასებიდან, მასების შეგნებაში აჯანყების იდეის მომწიფებას. ბოლშევიკები კი გამუდმებული აგიტაციითა და სხვა საშუალებებით ცდილობდნენ რევოლუციური მასების შეგნებაში შეიარაღებული აჯანყების იდეის დანერგვას, აჯანყების დაგეგმვას პარტიის ზედა ფენებში

და მასების მობილიზებას ამ გეგმის განსახორციელებლად. როგორც ვხე-
დავთ, მენშევიკები გამოდიოდნენ იქიდან, რომ სოციალ-დემოკრატია
უნდა ეყრდნობოდეს მოვლენათა განვითარების რეალურ, ბუნებრივ სუ-
რათს და მისი გათვალისწინებით ცდილობდეს პარტიის მიზნების გან-
ხორციელებას. ბოლშევიკები კი ხელაღებით დაადგნენ პროცესის ხე-
ლოვნურად დაჩქარების, ფორსირების ტაქტიკას პარტიის მიზნებიდან
გამომდინარე. ბოლშევიკები მოვლენათა განვითარებას გეგმავდნენ პარ-
ტიულ ზედა ფენებში და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რეალურ ვი-
თარებას, სხვადასხვა სოციალური ფენების მზადყოფნას, რთულ სოცია-
ლურ კონფლიქტებში მათი ორიენტირების უნარს. ტაქტიკის საკითხებში
იყო მეორე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაც. დაწყებული რევოლუციის
პირობებში, შეიარაღებულ აჯანყებასთან ერთად, მენშევიკები ცნობდნენ
ბრძოლის პარლამენტურ გზასაც, ბოლშევიკებს მიეულებლად მიაჩნდათ სო-
ციალ-დემოკრატიის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება პარლა-
მენტის საშუალებით.

ცნობილია, რომ 1905 წლის გაზაფხულ-ზაფხულის საგაფიცვო მოძრაობამ, მიტინგებმა და დემონსტრაციებმა, რევოლუციურმა გამოსვლებმა არმიასა და ფლოტში რუსეთის მმართველი წრეები და პირველ რიგში იმპერატორი ნიკოლოზ II იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქვეყანაში პარლამენტარული წყობილების შემოღება აუცილებელი იყო. პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით 1905 წლის აგვისტოში გადაიდგა. 6 აგვისტოს ნიკოლოზ II ხელი მოაწერა „უმაღლეს მანიფესტს“, რომლითაც მან რუსეთის ხალხს სათათბირო უბოძა.[82] ეს მანიფესტი ცნობილია როგორც მანიფესტი ა. გ. ბულიგინის სათათბიროს შესახებ. პირველი ჰუმანური, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან გადადგმული იყო. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ მხარდაჭერას პოვებდა პარლამენტარიზმის იდეა საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა შორის.

1905 წლის 6 აგვისტოს „უმაღლესი მანიფესტისადმი“ საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ იყო. ბოლშევიკებმა ვ. ლენინის მეთაურობით „უმაღლეს მანიფესტს“ ბოიკოტი გამოუცხადეს. იგივე მოიმოქმედეს ქართველმა ბოლშევიკებმაც. ჟურნალ „მოგზაურში“ დაიბეჭდა ფ. მახარაძის წერილი „ა. გ. ბულიგინის პროექტი“, რომელშიც ავტორი სათათბიროს მიმართ ბოიკოტის ტაქტიკას იცავდა.[83] ქართველმა მენშევიკებმაც, რუსი მენშევიკების მსგავსად, მხარი დაუჭირეს სათათბიროს მოწვევის იდეას. ნ. ჟორდანია იგონებს: „მთავრობამ გამოსცა ბრძანება შესახებ სათათბირო დუმის მოწვევის (ბულიგინის დუმა). ჩვენმა ორგანიზაციებმა დადგინეს მის არჩევნებში მონაწილეობის

მილება, რის დასაცავად დაიბეჭდა წერილები „სოციალ დემოკრატში“. ეს იყო გაგრძელება „კვალის“ ტაქტიკის, ვიყოთ ერთად, სადაც კი მოვახერხებთ მისვლას, გადავაბათ არალეგალურ მუშაობას ლეგალური მუშაობა“.[84] როგორც ნოე ჟორდანიას სიტყვებიდან ჩანს, ქართველმა მენშევიკებმა სწორად აღიქვეს 1905 წლის 6 აგვისტოს „უმაღლესი მანიფესტის“ დიდი მნიშვნელობა — დასახეს იგი რუსეთში პარლამენტარიზმის დამკვიდრების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად. 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისში ქალაქის გამგეობის დარბაზში ქართველი მენშევიკების ინიციატივით 1905 წლის 6 აგვისტოს „უმაღლესი მანიფესტის“ მხარდაჭერის მიზნით დაინიშნა კრება. კრებაზე მენშევიკებმა სცადეს ხალხისათვის განემარტათ რუსეთში სათათბიროს მოწვევის დიდი მნიშვნელობა.[85] ბოლშევიკებმა პროვოკატორების მეშვეობით კრება ჩაშალეს, გამოიწვიეს შეჯახება ჯართან და პოლიციასთან. სროლის დროს მოკლეს 60 კაცი, 200-ზე მეტი დაიჭრა.[86] მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, რომ რუსეთი მზად არ აღმოჩნდა სათათბიროს იდეის განხორციელებისათვის. ამას დაერთო ისიც, რომ რევოლუციური მოძრაობის წარმატება აძლიერებდა მასების საბრძოლო სულისკვეთებას. მოსალოდნელი იყო ხალხსა და ხელისუფლებას შორის ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფრონტაცია. ამის ნიშნები აშკარად გამოჩნდა მთელს რუსეთში 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დროს. უაღრესად რთულ სიტუაციაში ისევ იმპერატორმა ნიკოლოზ II და რუსეთის მმართველმა წრეებმა გამოიჩინეს პოლიტიკური სიბრძნე. 1905 წლის 17 ოქტომბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა ახალ „უმაღლეს მანიფესტს“, რომელიც უფრო აფართოებდა 6 აგვისტოს მანიფესტით ბოძებულ უფლებებს. 17 ოქტომბრის მანიფესტის არსი მდგომარეობდა შემდეგში: 1) რუსეთის მოსახლეობას ებოძა სამოქალაქო უფლებები: პიროვნების ხელშეუხებლობა, სინდისის, სიტყვის, კრებისა და კავშირების თავისუფლება; 2) უნდა განხორციელებულიყო 6 აგვისტოს მანიფესტით გათვალისწინებული სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, ამასთან მასში მონაწილეობა უნდა მიეღო მოსახლეობის იმ ფენებსაც, რომელნიც ადრე მოკლებულნი იყვნენ საარჩევნო უფლებას; 3) არც ერთი კანონი ქვეყანაში არ დამტკიცდებოდა, თუ იგი მოწონებული არ იქნებოდა სახელმწიფო სათათბიროს მიერ.[87] ბოლშევიკები ვ. ლენინის მეთაურობით სახელმწიფო სათათბიროს მიმართ კვლავ ბიოკოტის ტაქტიკას დაადგნენ. ქართველმა ბოლშევიკებმაც იგივე მოიმოქმედეს. ტაქტიკა არ შეუცვლიათ არც ქართველ მენშევიკებს — ისინი კვლავ მხარს უჭერდნენ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის იდეას.

1905 წლის ზაფხულისა და შემოდგომის რევოლუციურმა ბრძოლებმა ნათელი გაბადა მენშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის პოპუ-

ლარობა საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობაში, საერთო საზოგადოების ყველა ფენაში. მიტინგები, დემონსტრაციები და გაფიცვები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში ქართველი მენშევიკების იდეური და უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. გლეხთა მოძრაობას დასავლეთ საქართველოში (გურია, იმერეთი, სამეგრელო) ასევე მენშევიკები ედგნენ სათავეში. საერთო სახალხო მოძრაობის დიდი აღმავლობის პერიოდში (1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერი) დიდ ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას ეწეოდნენ ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, არჩილ ჯაფარიძე, სევერიან ჯუღელი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვლასა მგელაძე, გრიგოლ ურატაძე და სხვ. მათ გარშემო დარაზმული იყვნენ მენშევიკი მუშები ძირითადად ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებიდან. ქართველი ბოლშევიკებიდან აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწეოდნენ იოსებ სტალინი, ფილიპე მახარაძე, ვიქტორ ნანეიშვილი, ასევე სტეფანე შაუმიანი. მათ მხარს უჭერდნენ გაცილებით ნაკლები რაოდენობის, მაგრამ დიდი გამოცდილების მქონე, კარგად ორგანიზებული ბოლშევიკი მუშები. თუ ამ პერიოდში ქართველმა ბოლშევიკებმა რაიმე წარმატებას მიაღწიეს, ეს ძირითადად ი. სტალინის დამსახურება იყო. საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში შექმნილი, ბოლშევიკთათვის აშკარად არახელსაყრელ ძალთა თანაფარდობის მიუხედავად, ი. სტალინი ცდილობდა განუხრელად გაეტარებინა ბოლშევიზმის სტრატეგია და ტაქტიკა, ყველგან შეურიგებლად ებრძოლა ქართველ მენშევიკებს, იქმნებოდა ეს პარტიული დისკუსიები, მიტინგები თუ სახელმწიფო სათათბიროების საარჩევნო კამპანია.

მოვლენათა მსვლელობამ ნათელი გახადა, რომ სახელმწიფო სათათბიროსადმი ბოიკოტის ტაქტიკას ბოლშევიკები საქართველოში ვერ გაატარებდნენ. ასეთ ვითარებაში რსდმპ კავკასიის კავშირმა სცადა ბოლშევიკთა ძალების ორგანიზება მთელი კავკასიის მასშტაბით. გადაწყდა რსდმპ კავკასიის კავშირის IV ყრილობის მოწვევა. რსდმპ კავკასიის კავშირმა ყრილობის მოწვევა ვერ შეძლო, სამაგიეროდ, 1905 წლის ნოემბრის ბოლოს მოიწვიეს რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენცია.* კონფერენციას დაესწრო 24 დელეგატი (14 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 10 — სათათბირო ხმით). კონფერენციას ესწრებოდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი. კონფერენციის დელეგატები შემდეგ ბოლშევიკურ ცენტრებს წარმოადგენდნენ: რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტიდან — 1 დელეგატი, ბაქოს კომიტეტიდან რაიონებთან ერთად — 5,

* იმხანად და შემდგომშიც იწოდებოდა IV კონფერენციად.

თბილისის კომიტეტიდან — 2, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტიდან — 3, ბათუმის კომიტეტიდან — 1. თითო დელეგატით იყვნენ წარმოდგენილნი გურია და ქ. გროზნო. რსდმპ კავკასიის კავშირის II კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ამიერკავკასიის ბოლშევიკური კომიტეტების ანგარიშები; კავკასიის პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების ფორმები; რსდმპ გაერთიანება; კავკასიის წარმომადგენლობა რსდმპ IV ყრილობაზე; გამომცემლობა; რსდმპ კავკასიის კავშირის მუშაობის გაფართოება; შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება; ეროვნული საკითხი; მუშათა დეპუტატების საბჭო; პროფესიული კავშირები და სხვ. ყველა განხილულ საკითხზე კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები, რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში". ორ საკითხზე — შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისა და ჯარისკაცთა შორის მუშაობის შესახებ — რეზოლუციები კონსპირაციული მოსაზრებით არ დაბეჭდილა. კონფერენციამ რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოდ დაამტკიცა გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ" და კავშირის კომიტეტს დაევალა ეს გაზეთი გამოეცა სომხურ და ქართულ ენებზე, ამასთან ერთად, ბაქოში უნდა გამოსულიყო ყოველკვირეული ორგანო აზერბაიჯანულ ენაზე.[88]

რსდმპ კავკასიის კავშირის II კონფერენციის მიერ მიღებული ყველა რეზოლუცია მთლიანად გამომდინარეობდა რსდმპ III ყრილობის რეზოლუციებიდან და ყრილობის შემდეგ ვ. ლენინის მიერ დაწერილი ნაშრომებიდან. რსდმპ ორი ფრაქციის გაერთიანების საკითხშიც კონფერენცია მთლიანად ვ. ლენინის შეხედულებიდან ამოდიოდა.[89] ყოველივე ეს, ცხადია, ხელს არ უწყობდა ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციების შერიგებას საქართველოში.

1905-1907 წლების რევოლუციის კულმინაცია იყო 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში. ბოლშევიკების დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთში საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა შეუძლებელი გახდა. უფრო მეტიც, აჯანყება ქვეყნის დიდ პროლეტარულ ცენტრებშიც კი ვერ განხორციელდა, ხოლო მოსკოვში ბოლშევიკებისა და ესერების ძალებით დაწყებული აჯანყება მარცხით დამთავრდა. თბილისში და საერთოდ საქართველოში შეიარაღებულ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. თბილისში, ნაძალადევსა და დიდუბეში აღინიშნა მხოლოდ ცალკეული შეჯახებები ჯარსა და მუშებს შორის. სამაგიეროდ, საყოველთაო ხასიათი მიიღო გრანდიოზულმა პოლიტიკურმა გაფიცვამ თბილისში, რომელიც წინ უძღოდა მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყებას. გაფიცვას თბილისში ხელმძღვანელობდა საგაფიცვო ბიურო, რომელსაც სათავეში ედგა ისიდორე რამიშვილი.[90]

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, ისევე როგორც რუსეთის ბევრ ქალაქში, თბილისშიც სამხედრო მდგომარეობა იქნა შემოღებული. დაიწყო მასიური დაპატიმრებები. მძიმე დარტყმა განიცადა თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ. სოციალ-დემოკრატები მასიურად დააპატიმრეს ბათუმში, ქუთაისსა და საქართველოს სხვა ადგილებში.

1905 წლის დეკემბერსა და 1906 წლის იანვარში განხორციელებულმა დაპატიმრებებმა მანამდე თითქმის ლეგალურ მდგომარეობაში მყოფი თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ძლიერ დაასუსტა, ძალები დაიქსაქსა. ორგანიზაცია დარჩა გამოჩენილი სოციალ-დემოკრატებისა და მოწინავე მუშების გარეშე.[91] ისიდორე რამიშვილი იძულებული გახდა თბილისიდან გადახვეწილიყო, გურიაში გაემგზავრა ვლასა მგელაძე, არჩილ ჯაფარიძე ემიგრაციაში წავიდა, ნოე რამიშვილი დააპატიმრეს.[92] ასეთ მძიმე ვითარებაში ქართველმა მენშევიკებმა და ბოლშევიკებმა დროებით დაივიწყეს ფრაქციული უთანხმოებანი და თბილისში ორი კომიტეტის ნაცვლად ერთი — გაერთიანებული კომიტეტი შექმნეს.[93] უპირველეს ამოცანად იქნა მიჩნეული ძველი კონსპირაციული წესით ორგანიზაციების აღდგენა. 1906 წლის იანვრის შუა რიცხვებში თბილისში ფ. გ. სემენჩენკოს ბინაზე გაიმართა რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის განახლებული შემადგენლობის სხდომა. სხდომას დაესწრო ქალაქის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბირთვი. კომიტეტის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა ნოე ჟორდანია. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იატაკქვეშეთში გადასვლისა და პარტიული მუშაობის კონსპირაციის ყველა წესის დაცვით წარმართვის შესახებ. ამავე სხდომაზე გადაწყდა: კონსპირაციის დაცვის მიზნით პარტიული მუშაკების რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გაგზავნა და მთელი მუშაობის იქედან წარმართვა. ბევრი ქართველი სოციალ-დემოკრატი გადავიდა ბაქოში.[94]

სამხედრო მდგომარეობის შემოღებამ თბილისში, დიდმა დაპატიმრებებმა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სოციალ-დემოკრატისათვის ეს მოულოდნელი არ იყო, დამთრგუნველი გავლენა მოახდინა თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაზე. ეს განსაკუთრებით ეხებოდა იმ პარტიულ მუშაკებს, რომელთაც ირწმუნეს, რომ ძველი დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ოპტიმისტები ძალზე ცოტანი დარჩნენ. მათ ღრმად სწამდათ, რომ 1906 წლის მარტისათვის მაინც მოხდებოდა ახალი დიდი აჯანყება.[95]

თბილისში სამხედრო მდგომარეობის შემოღების შემდეგ, თუ არ ჩავთვლით იატაკქვეშეთში გადასვლას, სოციალ-დემოკრატიული ორაგანიზაციის ტაქტიკა არ შეცვლილა. ძირითად საკითხად დარჩა სახელმწიფო

სათათბიროს არჩევნები, ე. ი. მთელი ყურადღება დაეთმო პოლიტიკურ მუშაობას. მენშევიკების ტაქტიკა ძველებურად სახელმწიფო სათათბიროსადმი მხარდაჭერაში გამოიხატებოდა. რსდმპ ტამერფოსის კონფერენციის (1905 წლის დეკემბერი) შემდეგ ცვლილება განიცადა ბოლშევიკების ტაქტიკამ. რსდმპ ორივე ფრაქცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ საკითხის განხილვისას ტამერფოსის კონფერენციაზე შეთანხმდა შემდეგზე: „აჯანყება დაუყოვნებლივ უნდა მომზადდეს და მოეწყოს ყველგან, ვინაიდან მხოლოდ მისი გამარჯვება მოგვცემს შესაძლებლობას მოწვეულ იქნას ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა, ე. ი. საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე თავისუფლად არჩეული დამფუძნებელი კრება“.[96] გამომდინარე აქედან, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაადგა შემდეგ ტაქტიკას: „არსებითი მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში. წამოაყენონ ლოზუნგი დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნით, ხმები მისცენ სხვა პარტიების მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც პირობას დადებენ, რომ იბრძოლებენ დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო კანონის საფუძველზე. საკუთარი კანდიდატები სრულებით არ წამოაყენონ, ბოიკოტი გამოუცხადონ სახელმწიფო სათათბიროს“.[97] მალე სახელმწიფო სათათბიროს მიმართ ტაქტიკამ კვლავ ცვლილება განიცადა.

1906 წლის იანვრისათვის თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ასეთი სტრუქტურით მუშაობდა: თბილისი დაყოფილი იყო ოთხ რაიონად. თუ წინათ ხდებოდა რაიონული კრების არჩევა, ამჯერად ირჩევდნენ რაიონულ კომიტეტს, რომელიც ყოველგვარ გადაწყვეტილებას იღებდა დამოუკიდებლად. ყოველ რაიონში არსებობდა ტერორისტული რაზმეული და საბრძოლო რაზმეული. ყოველი რაიონული კომიტეტისაგან ხდებოდა სამი წევრის არჩევა ხელმძღვანელ კოლექტივში, რომელიც განაგებდა მთელი ქალაქის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. ხელმძღვანელ კოლექტივში, ისევე როგორც რაიონულ კომიტეტებში, იყვნენ მხოლოდ მუშები. ხელმძღვანელ კოლექტივს ჰქონდა უფლება სამუშაოდ მოეწვია პროპაგანდისტი ინტელიგენთა წრიდან.[98]

იმ პერიოდისათვის (1906 წლის იანვრისათვის), როცა თბილისში თითქმის არც ერთი ცნობილი სოციალ-დემოკრატი მენშევიკი (ნ. ჟორდანია, ი. რამიშვილი, ა. ჯაფარიძე, ნ. რამიშვილი და სხვ.) აღარ მოღვაწეობდა, რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც მხოლოდ მუშებისაგან შედგებოდა, ნებსით თუ უნებლიედ, ექცეოდა ბოლშევიკების გავლენის ქვეშ. დღის წესრიგში დგება შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების საკითხი. 1906 წლის იანვრის პირველ რიცხვებში რსდმპ

თბილისის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას თბილისში აჯანყების მომზადებისა და განხორციელების გაადვილების მიზნით პროვინციებში გამოსვლების ორგანიზების შესახებ.[99] თბილისის პროლეტარიატი კი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებიდან თავს იკავებდა. უფრო მეტიც, 1906 წლის იანვრის პირველ რიცხვებში რსდმპ თბილისის კომიტეტს მუშებმა უარი უთხრეს გაფიცვის დაწყებაზეც კი, ხოლო უკვე დაწყებული გაფიცვები მუშების მოთხოვნით საგაფიცვო კომიტეტებმა შეწყვიტეს.[100] ცხადი გახდა, რომ რევოლუცია დალმავლობის გზით მიდიოდა.

§4. ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე

რევოლუციამ აუცილებელი გახადა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორიეე ფრაქციის გაერთიანება. გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევა განზრახული იყო 1905 წლის დეკემბერში. რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტისაგან ყრილობის დელეგატად არჩეული იქნა ი. სტალინი, რსდმპ ბაქოს კომიტეტისაგან — პ. მონტინი,* რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტისაგან — გ. თელია. 1905 წლის მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების გამო შეუძლებელი გახდა ყრილობის ჩატარება. მის ნაცვლად 1905 წლის 12-17 დეკემბერს ტამერფოსში (ფინეთში) შედგა რსდმპ პირველი კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევის შესახებ.[101] ტამერფოსის კონფერენციის შემდეგ დაიწყო მზადება მორიგი, გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევისათვის. ამჯერად ორივე ფრაქცია დაინტერესებული იყო ყრილობის მოწვევით. მწვავედ ჩაიარა დელეგატების არჩევნებმა. ეს გაპირობებული იყო იმით, რომ რიგ ქალაქებსა და რეგიონებში პარალელურად არსებობდა მენშევიკური და ბოლშევიკური კომიტეტები, ზოგან მოქმედებდა გაერთიანებული კომიტეტები. ცხადია, ორივე ფრაქცია ცდილობდა სასურველი კანდიდატის გაყვანას, არ ერიდებოდნენ დელეგატთა არჩევის დადგენილი წესის დარღვევასაც კი. გამონაკლისს არ შეადგენდა თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები.

რსდმპ IV ყრილობის წინ, 1906 წლის იანვარ-თებერვალში თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მენშევიკური და ბოლშევიკუ-

* პ. მონტინი მოკლეს ბაქოში ყრილობაზე გამგზავრების წინ.

რი ფრაქციების გაერთიანების კვალდაკვალ გაერთიანდნენ ქუთაისის, ბათუმისა და სხვ. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ამ მოვლენის შემდეგ რსდმპ კავკასიის კავშირმა არსებობა შეწყვიტა.[102]

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობა მიმდინარეობდა 1906 წლის 10(23) აპრილიდან 25 აპრილამდე (8 მაისამდე) სტოკჰოლმში. ყრილობას ესწრებოდა 112 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 22 დელეგატი სათათბირო ხმით, 12 წარმომადგენელი ეროვნულ სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ბუნდი, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, უკრაინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია). ფრაქციების მიხედვით, დაახლოებით 62 ხმა ეკუთვნოდა მენშევიკებს, 46 კი — ბოლშევიკებს. რამდენიმე გადამწყვეტი ხმა ჰქონდათ შემრიგებლებს (ე. წ. „ცენტრი“), რომლებიც ძირითად საკითხებში მენშევიკებს ემხრობოდნენ. ქართული სოციალ-დემოკრატია ყრილობაზე შემდეგი დელეგატებით იყო წარმოდგენილი: თბილისის ორგანიზაცია: ნ. ჟორდანია (კოსტროვი), კ. გოგუა (დავიდოვი), გრ. ურატაძე (გრიშინი), გარინი, ე. ერაძე (ბრადინი), ბაჩიძე, ვ. მგელაძე (ტრიაძე), ის. რამიშვილი (ბერიევი), ივანოვი, სოლომონოვი, ი. ჯუღაშვილი (ივანოვიჩი); ქუთაისის ორგანიზაცია: ნ. ჭიჭინაძე (ქართველოვი), ვლ. ჯიბლაძე (პეტროვი); გურიის ორგანიზაცია: ჟაკოვი, ბ. ლომთათიძე (ვორობიოვი), შაითანოვი; ბათუმის ორგანიზაცია: თურმანიძე (ბაჟანოვი); ფოთის ორგანიზაცია: იორდანოვი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიიდან არჩეული 18 დელეგატიდან 17 მენშევიკი იყო, ბოლშევიკების წარმომადგენელი მხოლოდ ერთი დელეგატი — ი. ჯუღაშვილი. ყრილობის მუშაობაში გადამწყვეტი ხმით მონაწილეობდა 2 ქართველი დელეგატი ბაქოს ორგანიზაციიდან — მენშევიკი ს. დევდარიანი (დიანოვი) და ბოლშევიკი პ. საყვარელიძე (საქარელოვი). კიდევ ერთი დელეგატი, მენშევიკი დ. ლამბაშიძე (სიმონოვი), სათათბირო ხმით არჩეული იყო ბაქოს ორგანიზაციიდან.[103] სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში დადგენილი არ არის ზუსტი ვინაობა საქართველოდან არჩეული დელეგატებისა, რომლებიც ყრილობის ოქმების ყველა გამოცემაში იხსენიებიან შემდეგი გვარებითა თუ ფსევდონიმებით: გარინი, ბაჩიძე, ჟაკოვი, შაითანოვი, თურმანიძე, იორდანოვი. კავკასიის ოხრანკის მონაცემებით, რსდმპ IV ყრილობაზე შაითანოვის ფსევდონიმით მყოფი დელეგატი იყო გრიგოლ ურატაძე, ხოლო ჟაკოვისა — რაფიელ ჩიხლაძე ან ნოე რამიშვილი.[104] ოხრანკის ეს ცნობა მთლად სწორი არ უნდა იყოს, რადგან ცნობილია, რომ გრიგოლ ურატაძე ყრილობაზე გამოდიოდა „გრიშინის“ ფსევდონიმით.[105] რაც შეეხება ჟაკოვს, იგი მართლაც შეიძლებოდა ყოფი-

ლიყო რაფიელ ჩიხლაძე ან ნოე რამიშვილი, თუმცა გადაჭრით ამის მტკიცება არ შეიძლება.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა 15 საკითხი: აგრარული პროგრამის გადასინჯვა, თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისა და თვით სათათბიროსადმი დამოკიდებულების ტაქტიკა, შეიარაღებული აჯანყება, პარტიზანული გამოსვლები, დროებითი რევოლუციური მთავრობა და რევოლუციური თვითმმართველობა, მუშათა დეპუტატების საბჭოსადმი დამოკიდებულება, პროფესიული კავშირები, დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი, დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებთან (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ბუნდი), გაერთიანება და სხვ.

ყრილობის პირველ სხდომაზე ნ. ჟორდანია არჩეულ იქნა სამანდატო კომისიაში.[106] პარტიის ყრილობებზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამანდატო კომისიას ძალზე დიდი საპასუხისმგებლო საქმე ევალებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ დელეგატების არჩევნები რუსეთში არალეგალურად ხდებოდა, დელეგატთა ყრილობაზე გამგზავრებაც, რა თქმა უნდა, არალეგალურად მიმდინარეობდა. დელეგატთა არჩევნებს ხშირად თან ახლდა სერიოზული დარღვევები, რაც სწორედ სამანდატო კომისიას უნდა დაედგინა. განსაკუთრებით ძნელი იყო სამანდატო კომისიის მუშაობა რსდმპ IV ყრილობაზე, რადგან დელეგატები ზოგან აირჩიეს მენშევიკურმა ან ბოლშევიკურმა კომიტეტებმა, ზოგან კი — გაერთიანებულმა კომიტეტებმა. ყრილობაზე დაფიქსირდა ბევრი შემთხვევა დელეგატების დადგენილი წესის დარღვევით არჩევისა. ყოველ ასეთ შემთხვევაზე საგანგებოდ მსჯელობდა სამანდატო კომისია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა ყრილობა.

ყრილობის მესამე სხდომაზე იხილებოდა საკითხი პოლონეთის საგანგებო დამფუძნებელი კრების მოთხოვნასთან დამოკიდებულების შესახებ. მის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით ნ. ჭიჭინაძემ (ქართველოვმა) წამოაყენა წინადადება: ეს საკითხი გაეფართოვებინათ და დაეკავშირებინათ პარტიის პროგრამაში ეროვნულ საკითხთან.[107] ნ. ჟორდანიამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ეროვნული საკითხი ჩვენს წინაშე ამჟამად დგას არა როგორც პარქტიკული, არამედ როგორც ტაქტიკური. ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ჩვენი პროგრამის ესა თუ ის პუნქტი“.[108] მანვე წამოაყენა წინადადება პოლონეთის საგანგებო დამფუძნებელი კრების მოთხოვნასთან დამოკიდებულების შესახებ საკითხის ნაცვლად დღის წესრიგში შეეტანათ ასეთი პუნქტი: „ეროვნული

საკითხი“.[109] ს. შაუმიანმა (სურენინმა) ნ. ჭიჭინაძის წინადადებასთან დაკავშირებით პირდაპირ განაცხადა: თუ ნ. ჭიჭინაძეს აინტერესებს ამიერკავკასიის ავტონომიის საკითხი, მაშინ ეს პირდაპირ უნდა ეთქვა, რადგან „ეროვნულ საკითხს ჩვენს პროგრამაში არასოდეს არ ალუძრავს ეჭვი კავკასიაში ჩვენი ამხანაგების რიგებში. არასოდეს არც კავკასიის ორგანიზაციების მიერ გამოცემულ ლიტერატურაში, არც კონფერენციებზე, არც ცალკეულ ორგანიზაციებში, რამდენადაც მე ვიცი, არ აღძრულა საკითხი ამიერკავკასიის ავტონომიის შესახებ“.[110] ს. შაუმიანს არ დაეთანხმა ის. რამიშვილი (ბერიევი). მან განაცხადა: „ამბობენ, რომ ამ ყრილობაზე არ არის საჭირო ეროვნული საკითხის დაყენება იმის გამო, რომ მისი გადაწყვეტა ჯერ-თითქმის არ დაუყენებია ცხოვრებას. პირიქით, მე მგონია, რომ მოცემულ ისტორიულ მომენტში, როცა რევოლუციამ ირგვლივ ყველაფერი შეარყია, ეროვნული საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ მწვავე საკითხს, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი უყურადღებოდ დატოვება“.[111] ს. შაუმიანის საპასუხოდ ის. რამიშვილმა აღნიშნა: „ახლა აქ ამხ. სურენინი ამბობდა, რომ კავკასიაში ვერც ერთი დემოკრატის პირიდან ვერაფერს გაიგონებ ეროვნული საკითხის შესახებ. მე ვუპასუხებ ამხანაგს, რომ მით უარესი ასეთი სოციალ-დემოკრატისათვის, თუ ის კავკასიის ყველა ეროვნებათა შორის ვერ ამჩნევს ძლიერ ეროვნულ მოძრაობას, რომლის მომხრეები ეკგუფდებიან, ორგანიზდებიან და ცდილობენ მასების გამოგლეჯვას სოციალ-დემოკრატიის გავლენიდან. ასეთ მძაფრ დროში ჩვენ დუმილი არ შეგვიძლია. ამიტომ ყრილობას ვთავაზობ გადასინჯოს II ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება ეროვნებთა ადგილობრივი და საოლქო თვითმმართველობის შესახებ და მოხდენილ იქნას ცვლილებანი და დამატებანი დროის შესაბამისად“.[112] ს. შაუმიანს არ დაეთანხმა აგრეთვე დელეგატი გურიის ორგანიზაციიდან — ჟაკოვი. მან აუცილებლად მიიჩნია დღის წესრიგში ეროვნული საკითხის შეტანა, თანაც ხაზი გაუსვა იმას, რომ კავკასიაში სწორედ ეროვნული საკითხის სიმწვავის გამო ჭირდა პარტიული მუშაობა.[113] საბოლოოდ ყრილობამ დღის წესრიგის დამტკიცებისას მიიღო ნ. ჭიჭინაძის შესწორება, ხოლო ნ. ჟორდანიას შესწორება უარყოფილი იქნა.[114]

აგრარულ საკითხზე ყრილობამ ორი მოხსენება მოისმინა: ვ. ლენინისა და პ. მასლოვისა (ჯონი). ვ. ლენინის მოხსენება დღემდე აღმოჩენილი არ არის. ცნობილია, რომ მან ყრილობაზე დაიცვა და განავითარა შესედულება, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მის მიერ 1906 წლის მარტში დაწერილ ბროშურაში „ჩვენი პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა“.[115]

პ. მასლოვის მოხსენება მოკლე, მაგრამ ძალზე ტევადი იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მან ყურადღება გაამახვილა გლეხთა მოძრაობაზე გურიაში, საქართველოს მასალა გამოიყენა მტკიცებისათვის. მოხსენების არსი პ. მასლოვმა ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენი პროგრამა უნდა ისახავდეს სამ მიზანს: 1) იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პროლეტარიატის ინტერესებს, ამისათვის კი აუცილებელია მისი მონაწილეობა კონფისკაციაქმნილი მიწების გამგებლობაში; 2) მან არ უნდა შეაჩეროს მწარმოებელი ძალების განვითარება. ამისათვის კი არასასურველია მთელი კონფისკაციაქმნილი მიწების დანაწილება და 3) პროგრამის განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს კონტრრევოლუცია“.[116] პ. მასლოვის შემდეგ სიტყვა აიღო გ. პლეხანოვმა. მან არ გაიზიარა მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა, რომელსაც დიდი თავგანწირვით იცავდა ვ. ლენინი.[117] გ. პლეხანოვმა განაცხადა: „ჩვენმა პროგრამამ უნდა მოსპოს ცარიზმის ეკონომიკური საფუძვლები; რევოლუციის პერიოდში მიწის ნაციონალიზაცია კი არ სპობს ამ საფუძვლებს. ამიტომ მე მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნას ვთვლი ანტირევოლუციურ მოთხოვნად“.[118]

ბოლშევიკების ფრაქციიდან პ. მასლოვისა და გ. პლეხანოვის წინააღმდეგ ყველაზე სერიოზული არგუმენტაციით ი. სტალინი გამოვიდა. სიტყვის დასწყისში მან გ. პლეხანოვს შეუტია: „უწინარეს ყოვლისა ვიტყვი ზოგიერთი ამხანაგის არგუმენტაციის მეთოდების შესახებ. ამხ. პლეხანოვმა ძალიან ბევრი ილაპარაკა ამხ. ლენინის „ანარქიზმულ ჩვეულებზე“, „ლენინიზმის დამღუპველობაზე“ და სხვ. და სხვ., მაგრამ აგრარულ საკითხზე არსებითად ძალიან ცოტა გვითხრა. ამავე დროს კი იგი წამოყენებულია ერთ-ერთ მომხსენებლად აგრარულ საკითხზე. ვფიქრობ, რომ არგუმენტაციის ასეთი წესი, რომელსაც გაღიზიანების ატმოსფერო შემოაქვს, გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება ხასიათს ჩვენი ფრილობისას, რომელსაც გამაერთიანებელი ეწოდება, — სრულებით არაფერს არკვევს აგრარული საკითხის დაყენებაში. ჩვენც შეგვეძლო გვეთქვა ზოგი რამ ამხ. პლეხანოვის კადეტურ ჩვეულებაზე, მაგრამ ამით ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწევდით წინ აგრარული საკითხის გადაწყვეტაში“.[119] თუ გ. პლეხანოვს ი. სტალინი მაინც ზოგადად ეკამათებოდა, უფრო კონკრეტული იყო მისი შენიშვნები პ. მასლოვის მიმართ. ი. სტალინი აღნიშნავდა: „ჯონი, ემყარება რა ზოგიერთ ცნობას გურიის, ლატვიის მხარის და სხვ. ცხოვრებიდან, დაასკვნის, რომ მთელი რუსეთისათვის მისაღებია მუნიციპალიზაცია. უნდა მოგახსენოთ, რომ საერთოდ პროგრამას ასე არ აღგენენ. პროგრამის შედგენისას უნდა ვემყარებოდეთ არა ზოგიერთი განაპირა მხარის ზოგიერთი ნაწილის სპეციფიკურ ნიშნებს, არამედ რუსეთის აღგილთა უმრავლესობის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს: პროგრამა, რო-

მელშიც მთავარი ხაზი არ არის, პროგრამა კი არა, სხვადასხვა დებულებათა მექანიკური შეერთებაა. სწორედ ასეთია ჯონის პროექტი".[120] აგრარული პროგრამის საკუთარი ვარიანტი ი. სტალინმა ასე წარმოადგინა: „ჩვენი პროგრამის გამოსავალი პუნქტი უნდა იყოს შემდეგი დებულება: ვინაიდან ჩვენ ვდებთ დროებით რევოლუციურ კავშირს მებრძოლ გლეხობასთან, ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია, მაშასადამე, ანგარიში არ გაუწიოთ ამ გლეხობის მოთხოვნას, — ამიტომ მზარი უნდა დავუჭიროთ ამ მოთხოვნებს, თუ ისინი საერთოდ და მთლიანად არ ეწინააღმდეგებიან ეკონომიური განვითარების ტენდენციებს და რევოლუციის მსვლელობას. გლეხები მიწის განაწილებას მოითხოვენ; განაწილება არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ მოვლენებს, — მაშასადამე, ჩვენ მზარი უნდა დავუჭიროთ სრულ კონფისკაციასა და განაწილებას. ამ თვალსაზრისით ნაციონალიზაციაც და მუნიციპალიზაციაც ერთნაირად მიუღებელია. მუნიციპალიზაციის ან ნაციონალიზაციის ლოზუნგის წამოყენებით ჩვენ არაფერს არ ვიგებთ და შეუძლებელს ვხდით პროლეტარიატთან რევოლუციური გლეხობის კავშირს. ვინც ლაპარაკობს განაწილების რეაქციულობაზე, ერთმანეთში ურევს განვითარების ორ სტადიას: კაპიტალისტურსა და წინაკაპიტალისტურს. უეჭველია, რომ კაპიტალისტურ სტადიაში განაწილება რეაქციულია, მაგრამ წინაკაპიტალისტურ პირობებში (მაგალითად, რუსეთის სოფლის პირობებში) განაწილება საერთოდ და მთლიანად რევოლუციურია".[121]

აგრარულ საკითხზე პ. მასლოვის პროგრამის დაცვის მიზნით საყურადღებო სიტყვით გამოვიდა ის. რამიშვილი. მან აზრი გამოთქვა ყრილობაზე წარმოდგენილი სამი ვარიანტის (ნაციონალიზაციის, მუნიციპალიზაციის, დაყოფის) შესახებ: „საზოგადოებრივი განვითარების იმ პირობებისათვის, რომელშიაც ახლა იმყოფება რუსეთი, ნაციონალიზაცია არა მარტო სასარგებლო არ არის, არამედ შეიძლება ითქვას, სავსებით საზიანოა. ფლობისა და სარგებლობის ამ ფორმის მომხრეები მისი განხორციელების შესაძლებლობას უშვებენ არა ამჟამად, არამედ მაშინ, როცა ჩვენთან დამყარდება სრული დემოკრატიული რესპუბლიკა. მანამდე კი მიწის ნაციონალიზაცია გლეხობისათვის იქნება მხოლოდ ლოზუნგი: ამდენად, საკითხი წყდება ასე: თავდაპირველად უნდა უზრუნველყო პოლიტიკური ძალაუფლება, ხოლო შემდეგ მოჰკიდო ხელი აგრარულ საკითხს. როგორც ყველაფერი, ამ ამხანაგებს, ეს საკითხიც დაჰყავთ შემდეგზე: ან ყველაფერი ერთად, ან საერთოდ არაფერი: დემოკრატიული რესპუბლიკა და მასთან ერთად გლეხობის განთავისუფლება, ანდა საერთოდ არაფერი არ უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით".[122] ის. რამიშვილმა თვით დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც გაუმართლებლად მიიჩნია მიწის ნაციონალიზაცია:

„მიწის გადაცემა დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშიც კი აძლიერებს ცენტრალურ მთავრობას. ეს კი ყოველთვის არ აზდენს კეთილიმყოფელ გავლენას ხალხის ინტერესებზე, რომელიც მიწის ნაციონალიზაციის წყალობით კარგავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობას“.[123] აგრარული პროგრამის სამი ვარიანტიდან, ის. რამიშვილის აზრით, ყველაზე უფრო მისაღები იყო „კონფისკაციაქმნილი მიწების მუნიციპალიზაცია“, რადგან მიწისმფლობელობის ეს ფორმა „გლეხობას აღვიძებს დამოუკიდებლობისათვის, საკუთარი საქმის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის“, რასაც, ქართველი დელეგატის აზრით, პოლიტიკური გაგებით აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ექნებოდა.[124]

ვ. ლენინის აგრარული პროგრამის პროექტის დასაბუთებული კრიტიკა წარმოადგინა ნ. ჟორდანიამ. მან განაცხადა: „ნაციონალიზაცია წარმოადგენს მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას და მიწის სახელმწიფოსათვის გადაცემას. ამრიგად, ამ რევოლუციაში ჩვენ გლეხობას უნდა წავართვათ კერძო საკუთრება და გამოვაცხადოთ მისი ნაციონალიზაცია. შესაძლებელია ეს თუ არა? გლეხთა მოძრაობა — ეს ერთი შტოა ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი მოძრაობისა; გლეხობა იბრძვის მემამულური საკუთრების წინააღმდეგ ბურჟუაზიული საკუთრებისათვის. რა გზით შეიძლება ბრძოლა საკუთრებისათვის გადაიქცეს საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლად? რა გზით შეიძლება გლეხმა, წვრილმა მესაკუთრემ, შეწყვიტოს წვრილი ბურჟუად ყოფნა? ფანტაზია არ არის ეს, ამხანაგებო? ცხადია, ნაციონალიზაცია ეწინააღმდეგება მოვლენათა მთელ მსვლელობას და ამიტომაც იგი უტოპიაა. უტოპიაც არის და უტოპიაც. ზოგიერთი მათგანი სასარგებლოა, ზოგიერთი — საზიანოა. ნაციონალიზაცია კი ყველაზე საზიანოა. გლეხობასთან ნაციონალიზაციით მისვლა ეს იმას ნიშნავს, რომ თავი გარიყო მათგან. გლეხთა მოძრაობა წავა ჩვენი გვერდის აცლით, ან ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენ რევოლუციისაგან მოშორებულნი აღმოვჩნდებით. ნაციონალიზაცია აუბლურებს სოციალ-დემოკრატიას, მოჰკვეთს მას გლეხობისაგან და ამრიგად, დააუბლურებს რევოლუციასაც“.[125] მხარი დაუჭირა რა მუნიციპალიზაციას, ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „კონფისკაციაქმნილი მიწები, რა თქმა უნდა, მუნიციპალიზირებული უნდა იქნეს. გლეხური მეურნეობისათვის ბევრი მიწაა აუცილებელი (ჩამონაჭრები, სიზნების და სხვ.), ამიტომ კონფისკაციაქმნილი მიწების ნაწილი უნდა დაუბრუნდეს გლეხობას, ნაწილი უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმმართველობას. ჩვენი მიზანია — დავიცვათ გლეხობა არა, როგორც მესაკუთრე, არამედ როგორც მოქალაქე“.[126]

ბ. ლომთათიძემ (ვორობიოვმა) ძირითადად მხარი დაუჭირა პ. მასლოვს, თუმცა მიულებლად მიიჩნია ზოგიერთი დასკვნა როგორც პ. მასლოვის, ისე ვ. ლენინის პროგრამის პროექტებში. ბ. ლომთათიძემ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა ამოდის ერთი და იმავე დასკვნიდან: „გლეხობა არ ისურვებს მიტაცებული მიწის გადაცემას არც სახელმწიფოსათვის და არც მუნიციპალიტეტებისათვის“. საკითხის ასე დაყენება ქართველმა დელეგატმა არ მიიჩნია სწორად. მან აღნიშნა: „ნუთუ გლეხობის სურვილი ჩვენთვის კანონია? ჩვენ უნდა გამოვიდეთ პროლეტარიატის ინტერესებიდან. მიიღებს თუ არა გლეხობა ჩვენს რჩევას, ეს სხვა საკითხია“.[127] შემდეგ ბ. ლომთათიძე შეეხო გურიის გლეხთა მოძრაობას. მან კერძოდ აღნიშნა: „ამტკიცებდა რა მისი პროექტის განხორციელების შესაძლებლობას, ამხ. ჯონმა, როგორც მაგალითი, მოიყვანა გურია. ამ დამოწმებამ ამხ. ივანოვიჩს (ი. სტალინი — მ. ვ.) მისცა საბაბი გურიის შესახებ გაეკეთებინა რამდენიმე შენიშვნა. გურიის შესახებ — თქვა მან — ავრცელებენ უამრავ ზღაპარს. ერთი ასეთი ზაალპარი, ჩანს, დაიბეჭდა „ნოვაია ჟიზნში“, ხოლო მეორე ზღაპარს გურიის შესახებ თვითონ ივანოვიჩი ჰყვება. პირველ შემთხვევაში დამნაშავეა ბოლშევიკური გაზეთი, მეორეში — ამხანაგი ბოლშევიკი. რა შუაშია აქ ირონია გურიის მისამართით? ივანოვიჩი ამბობს, რომ გურიაში რევოლუციური თვითმმართველობა არ იყო, არამედ იყო რევოლუციური თვითმმართველობები. მერე რა — ესე იგი იყვნენ? იყო ოზურგეთის საქალაქო რევოლუციური თვითმმართველობა, არჩეული ოთხწევრიანი ფორმულის საფუძველზე, იყო თვითმმართველობები სოფლებში“.[128] ბ. ლომთათიძის მიერ ი. სტალინის ამ ფორმულით მოხსენიებამ გამოიწვია ამ უკანასკნელის რეპლიკა: „მე გიპასუხებთ თქვენ თავის დროზე“.[129] განმარტა რა გურიაში გლეხთა მოძრაობის ზოგიერთი დეტალი, ბ. ლომთათიძემ დასკვნა: „რაც შეეხება საერთოდ რუსეთს მთლიანობაში ალებულს, მე შემიძლია დავადასტურო ერთი რამ: გლეხობას სურს მიწის მიღება და იგი მიაღწევს ამას. რა იქნება შემდეგ, დაეთანხმება იგი მიწის სახელმწიფოსათვის გადაცემას თუ მუნიციპალიზაციას, ძნელი სათქმელია. მე პირადად მხარს ვუჭერ მუნიციპალიზაციას დანაწილებით. შემიძლია დავუმატო ერთი რამ. თუ ჩვენ სოფლად ვამარცხებდით სოციალისტ-რევოლუციონერებს, ეს ძირითადად ხდებოდა იმის გამო, რომ ჩვენ გლეხობას აზრი სოციალიზაციის სიკეთის საერთო მოხმარების შესახებ მიაჩნია ველურად“.[130]

აგრარულ საკითხზე თავის დასკვნით სიტყვაში ვ. ლენინმა მიულებლად მიიჩნია მიწის მუნიციპალიზაცია და შეეცადა დაეცვა ნაციონალიზაციის მოთხოვნა. თავისი პოზიცია არ შეუცვლია არც პ. მასლოვს, გ. პლეხანოვიც მტკიცედ იდგა თავის შეხედულებაზე. საბოლოოდ ყრი-

ლობამ აგრარულ საკითხზე სამი დოკუმენტი მიიღო: „აგრარული პროგრამა“, „ტაქტიკური რეზოლუცია აგრარულ საკითხზე“ და „გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ“. შემოთავაზებული სამი პროექტიდან (ნაციონალიზაცია, მუნიციპალიზაცია, დანაწილება) ყრილობამ მხარი დაუჭირა მუნიციპალიზაციას.[131]

თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ა. პიკერმა (ა. მარტინოვმა). ა. მარტინოვმა ყრილობას წარუდგინა მიმდინარე მომენტის შეფასებისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების განსაზღვრის ბოლშევიკური (ვ. ლენინის) კონცეფციის დასაბუთებული კრიტიკა. „დროებითი რევოლუციური მთავრობა — რესპუბლიკა — აი, ბოლშევიკების მთელი პოლიტიკური სისტემა. როგორი უბრალო, ნათელი, მკაცრი და მიმზიდველია იგი. ვინ არ მოისურვებს ამას? მაგრამ, სამწუხაროდ, მოგვევლინა სათათბირო და მთელი სურათი წაახდინა. სურათი რომ სუფთად შეინარჩუნონ, სათათბირო წინასწარ ცხადდება შავრაზმელურად და ხდება არჩევნების ბოიკოტირება. სინამდვილეში, ყოველივე ამას რა მნიშვნელობა აქვს — არჩევნებს, სათათბიროს, კადეტებს და ამის მსგავსს პოლიტიკურ მოვლენებს, — ამხანაგი ბოლშევიკებისათვის, რომელთაც ჯიბეში შეუვალი რევოლუციური რეცეპტი უდევთ. ისინი მხოლოდ თავიანთ სქემას ხედავენ: ავჯანყება, რევოლუციური მთავრობა და ა. შ., ყოველივე დანარჩენი — მაზაკვალისაგანაა. ესენი რევოლუციონერი რომანტიკოსები არიან. მათ წარმოდგენას რევოლუციაზე არავითარი საერთო არა აქვს ნამდვილ რევოლუციასთან“.[132]

მიმდინარე მომენტის ბოლშევიკური შეფასების დასაბუთებული კრიტიკა წარმოადგინა ნ. ჟორდანიამ. ბოლშევიკური ტაქტიკის შეცდომის არსი ნ. ჟორდანიამ ასე ახსნა: „ისინი (ბოლშევიკები — მ. ვ.) რევოლუციის მსვლელობას წარმოადგენენ ძალზე მარტივად: ერთ დღეში ან ერთ კვირაში მოხდება სრულიად რუსეთის ავჯანყება, თვითმპყრობელობა დაემხობა, მის ადგილზე მოგვევლინება დროებითი რევოლუციური მთავრობა და დაფუძნდება რესპუბლიკა.

ყრილობის მეოცე სხდომაზე თავმჯდომარემ დელეგატებს გააცნო წერილი თბილისიდან, რომელსაც ხელს აწერდა პარტიის 200 წევრი. წერილში აღნიშნული იყო, რომ რსდმპ IV ყრილობის არჩევნები თბილისში ჩატარდა დარღვევებით, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: 1) შეგნებულად მოხდა პარტიის წევრთა რიცხვის გაზრდა 3000-ზე მეტ წევრამდე, პარტიის წევრებად ისეთი პიროვნებების ჩათვლით, რომელნიც არა თუ აღიარებდნენ პარტიის პროგრამას, არამედ წარმოდგენა არ ჰქონდათ მასზე; 2) პარტიის წევრთა სიების შედგენა ბევრგან მოხდა უშუალოდ

ყრილობის დელეგატების არჩევის წინ; 3) პარტიის წევრების დიდი ნაწილი არ გაცნობია მომავალი ყრილობის დღის წესრიგს და ამრიგად, ადგილებზე ერთი აზრიც არ შემუშავებულა. წერილის შემდგენელთა აზრით, ყოველივე ეს გაკეთდა იმის გამო, რომ თბილისის ორგანიზაციას დელეგატთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ჰყოლოდა ყრილობაზე.[133] ნ. ჟორდანიამ მოითხოვა ყრილობაზე დაწყებულიყო დებატები თბილისის წერილის თაობაზე. დელეგატთა ნაწილმა მოითხოვა თბილისის წერილის განხილვა მოეხსნათ დღის წესრიგიდან. ვ. მგელაძემ მოითხოვა, დელეგატებს მოესმინათ ნ. ჟორდანიასათვის, რათა გაეგოთ, თუ რატომ იქნა არჩეული 11 დელეგატი თბილისიდან. საბოლოოდ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ემსჯელათ თბილისის წერილზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 42 ხმით 34 ხმის წინააღმდეგ.[134] ნ. ჟორდანიამ ყრილობას გააცნო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის აღმოცენების მოკლე ისტორია, მისი სტრუქტურა. მან აღნიშნა, რომ 1905 წლის დამდეგს თბილისში იყო პარტიის დახლოებით 4000 წევრი, ხოლო რეაქციის დაწყების შემდეგ, რსდმპ IV ყრილობის წინა პერიოდში ჩატარებულმა აღრიცხვამ დაადგინა 3300 წევრი. ნ. ჟორდანიას განცხადების თანახმად, თბილისში იმჟამად სულ 300 ბოლშევიკი იყო.[135] ამრიგად, რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში, თუ ნ. ჟორდანიას მიერ მოტანილ მასალას ვენდობით, სწორად იყო განსაზღვრული მენშევიკთა და ბოლშევიკთა შეფარდება (10:1). ნ. ჟორდანიას შემდეგ გამოსვლა ითხოვა ი. სტალინმა, მაგრამ დელეგატთა უმრავლესობის მოთხოვნით დებატები შეწყდა.[136]

შეიარაღებული აჯანყების შესახებ საკითხის განხილვა დაიწყო იმით, რომ გ. პლეხანოვმა დელეგატებს წარუდგინა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი. შემდეგ გადაწყდა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე სიტყვა მიეცათ ვ. მახნოვეცისათვის (აკიმოვისათვის), რის შემდეგაც მოხსენებით გამოვიდოდა თითო-თითო წარმომადგენელი მენშევიკური და ბოლშევიკური ფრაქციებიდან. ვ. აკიმოვმა გააკეთა შექმნილი სიტუაციის ღრმა ანალიზი. მისი აზრით, შეცდომა იყო შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკისათვის მხარდაჭერა, თუმცა პროლეტარიატი მოითხოვს ამ უკანასკნელს.[137]

ქართველი დელეგატებიდან სიტყვა პირველმა აიღო ბ. ლომთათიძემ. მან თავისი სიტყვის დასაწყისში აღნიშნა, რომ ბოლშევიკების გამოსვლებში აშკარად გამოიყოფა ერთი თავისებურება. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკები „სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას აიგივებენ მენაღმეთა ბატალიონთან და ცხადია, პარტიის წევრებს — მენაღმეებთან. ბოლშევიკები პარტიის წევრებს უმასპინძლდებოდნენ იმით, რომ უკითხავდნენ ლექციებს საბარიკადო ბრძოლების, ბარიკადების აგები-

სა და იმის შესახებ, თუ როგორ დაენიშნათ აჯანყება ღამის 2 საათზე. და როცა ჩვენ, რსდმპ გზადაბნეული შვილები, ამაში დავეჭვდით, როცა გამოვთქვით აზრი იმის შესახებ, რომ პარტია განსხვავდება მენალმეთა ბატალიონიდან, მაშინ ჩვენ თავს დაგვესხნენ განსაკუთრებული თავგანწირვით, ჩვენ გამოგვაცხადეს არარევოლუციონერებად, კადეტებად და ა. შ.“[138] ბ. ლომთათიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არსებული უთანხმოების გამო ან ბოლშევიკებმა უნდა დასტოვონ პარტია, ან მენშევიკებმა: „გამაერთიანებელმა ყრილობამ გვიჩვენა, რომ ერთ პარტიაში ვერ ვიმუშავებთ“.[139]

საინტერესოა ქართველ დელეგატთა გამოსვლები ღლის წესრიგის იმ საკითხზე, რომელიც ეხებოდა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ბუნდი) გაერთიანებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან. ნ. ჯიჯინაძემ, მიულებლად მიიჩნია რა ბუნდის მიერ შემოთავაზებული გაერთიანების პრინციპი, აღნიშნა: „ამხ. ლიბერის ორგანიზაციული პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარებს ვუთხრათ: „ორგანიზაციები შექმენით ეროვნებათა მიხედვით!“ თუ ჩვენ დავდგებით ბუნდის შეხედულებაზე, მაშინ სხვა ეროვნებებიც დაადგებიან იმავე გზას. ამ გზას პროლეტარიატი მიჰყავს გათიშვისაკენ“.[140] ნ. ჟორდანიაც ასევე არ დაეთანხმა ბუნდის მიერ შემოთავაზებულ გაერთიანების პრინციპს. მან განაცხადა: „თუ ჩვენ ბუნდთან გავერთიანდებით ამ პირობით, მაშინ შეიძენთ რა ბუნდს, თქვენ დაკარგავთ კავკასიას, სადაც ჩვენ ძლიერნი ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს ორგანიზაციებს ვაშენებთ სხვა საწყისებზე“.[141] ცოტა ქვემოთ ნ. ჟორდანიამ მთელი კატეგორიულობით აღნიშნა: „მე ვაცხადებ, რომ კავკასიის ორგანიზაციები დაინგრევა, თუკი ბუნდი პარტიაში შევა წინასწარ თავის ორგანიზაციულ პრინციპებზე უარის უთქმელად“.[142]

რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ ცხადად წარმოაჩინა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ინტელექტუალური შესაძლებლობანი. აშკარად გამოიკვეთა ორივე — მენშევიკური და ბოლშევიკური — მიმდინარეობის სტრატეგიული ხაზი რუსეთის წინაშე მდგარი როგორც უახლესი, ისე შორეული პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაში. რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე ქართული სოციალ-დემოკრატია წარმოსდგა როგორც ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ინტელექტი სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობაზე.

§5. ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დაღმავლობის წლებში

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე ზოგიერთი დელეგატის მიერ გამოთქმული მოსაზრება რევოლუციის აღმავლობის გზით განვითარების შესახებ არ გამართლდა. აშკარა იყო, რომ 1906 წლის გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე რევოლუციას აღმავლობა არ განუცდია. დიდ პროლეტარულ ცენტრებშიც კი რევოლუციური გამოსვლები აშკარად შენელდა ან საერთოდ შეწყდა. ამის ფონზე სულ უფრო პოპულარული ხდება სახელმწიფო სათათბირო. მეტი აქტივობა შეინიშნებოდა გლეხთა მოძრაობაში, თუმცა გამოსვლების ტემპმა იქაც შესამჩნევად იკლო.

არალეგალურ პირობებში მომუშავე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ნელ-ნელა იკრებდნენ ძალას. ამ პერიოდის პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტის შემუშავება და განხილვა. წესდების პროექტი 1906 წლის ივნისში გამოქვეყნდა გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“.[143] რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტი სულ 22 პარაგრაფისაგან შედგებოდა. წესდების პროექტში ვკითხულობთ: „პარტიის წევრები თბილისში შეადგენდნენ ერთათ თბილისის ს. დ. მუშათა ორგანიზაციას“ (§1); წესდების პროექტის მიხედვით, „პარტიის ახალ წევრებს იღებენ ძირითადი ორგანიზაციები, თანასმად იმ წესდებისა, რომლებსაც შეიმუშავებს თბილისის კომიტეტი და დაამტკიცებს მთელი თბილისის ორგანიზაცია“ (§2); წესდების პროექტი პარტიის წევრის მოვალეობას ასე განსაზღვრავდა: „ორგანიზაციის ყოველი წევრი მოვალეა დაემორჩილოს როგორც პარტიის ყოველ დადგენილებას, ისე ადგილობრივი ორგანიზაციის უმეტესობას; მოვალეა აგრეთვე მოიზიდოს ახალი წევრები სოციალ-დემოკრატიული აზრების გავრცელებით და საერთოდ იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები“ (§3); წესდების პროექტში აღნიშნული იყო, რომ „ძირითად ორგანიზაციათ ითვლება ორგანიზაცია, შემდგარი პარტიის ოც და ხუთი წევრისაგან“ (§4); რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტის მიხედვით ორგანიზაციის სტრუქტურა ასეთი იყო: ძირითადი ორგანიზაციის წევრები ირჩევდნენ ერთ წარმომადგენელს რაიონულ კომიტეტში (§5); ძირითადი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეადგენდნენ რაიონულ კომიტეტს (§7); რაიონული კომიტეტი ავტომატიურად განაგებდა რაიონული ორგანიზაციის საორგანიზაციო მუშაობას, პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებს (§8);

რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად ითვლებოდა რსდმპ თბილისის კომიტეტი, რომელიც შედგებოდა რაიონულ ორგანიზაციებში არჩეული წევრებისაგან (§13); რსდმპ თბილისის კომიტეტი ხელმძღვანელობდა პარტიულ მუშაობას ქალაქის მასშტაბით (§14); მიმდინარე (ყოველდღიურ) საქმეების გაძღოლის მიზნით რსდმპ თბილისის კომიტეტი ირჩევდა აღმასრულებელ კომისიას, რომლის ფუნქციებსაც თვითონვე საზღვრავდა (§18). წესდების პროექტით დადგენილი იყო, რომ ძირითადი ორგანიზაცია უნდა შეკრებილიყო კვირაში ერთხელ მაინც (§6). რაიონული კომიტეტი ჩვეულებრივ ერთხელ იკრიბებოდა, საგანგებო შეკრება ინიშნებოდა ან რსდმპ თბილისის კომიტეტის მიერ ან რსდმპ თბილისის რაიონული კომიტეტის წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნით (§11). რსდმპ თბილისის კომიტეტი იკრიბებოდა კვირაში ერთხელ, საგანგებო შეკრება ინიშნებოდა ან აღმასრულებელი კომისიის მიერ, ან თბილისის კომიტეტის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევრის მოთხოვნით (§19). რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტით ქალაქის ყოველი პარტიული ორგანო ირჩეოდა ექვსი თვით. ამასთან, ყოველ ამომრჩევ ორგანიზაციას უფლება ჰქონდა არჩეული პირის გამოწვევისა (§21), ხოლო თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა უკმაყოფილო იყო არჩეული ორგანოთი, ეს უკანასკნელი გაუქმებულად ითვლებოდა (§22). კოოპტაცია უქმდებოდა, თუმცა ყოველი ორგანიზაციის კრებას უფლება ჰქონდა არჩევით ორგანოში სათათბირო ხმით წევრის მოწვევისა (§20).

რსდმპ თბილისის ორგანიზაციას წესდების პროექტის მიხედვით უნდა აერჩია: ერთი წარმომადგენელი რაიონულ კომიტეტში, ერთი ორგანიზატორი, ერთი ამკრები („სბორშჩიკი“) და ერთი კონსპირატორი. ამკრების მოვალეობა იყო ფულადი სახსრების (საწევროს) აკრება პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა შორის; ორგანიზატორის მოვალეობას შეადგენდა კრებების ორგანიზება; ტრანსპორტიორის ფუნქცია განისაზღვრებოდა პარტიული ლიტერატურის გავრცელებით; წარმომადგენელს ევალებოდა პარტიულ-პოლიტიკური კითხვების დამუშავება პარტიის წევრთა შორის (§5). რაიონულ კომიტეტს ჰქონდა საკუთარი სალარო, სადაც რჩებოდა გარკვეული პროცენტი პარტიის წევრთა და თანამგრძნობთ შორის აკრეფილი თანხისა (საწევროსი), დანარჩენი თანხა კი გადაეცემოდა რსდმპ თბილისის კომიტეტის სალაროს (§10). რაიონული კომიტეტი ყოველთვიურად ადგენდა პარტიული სახსრების შემოსავალ-გასავლის ანგარიშს (§12). რსდმპ თბილისის კომიტეტის სტრუქტურა (აპარატი) წესდების მიხედვით ასე წარმოგვიდგება. რსდმპ თბილისის კომიტეტი ირჩევდა: მომწესრიგებელს რაიონული კომიტეტებისათვის, ერთ ტექნიკოსს, ერთ ორგანიზატორს, ერთ ორგანიზატორს წითელი რაზმებისათვის, ერთ

ორგანიზატორს ჯარისკაცთა კომისიისათვის და ერთ ორგანიზატორს გლეხთა კომისიისათვის (§14).

რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტის განხილვა დაიწყო მისი გამოქვეყნებისთანავე. 1906 წლის 25 ივნისს გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“ „კობას“ ფსევდონიმით დაიბეჭდა იოსებ სტალინის წერილი „რეორგანიზაცია თბილისში“.[144] რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტი ძირითადად შემუშავებული იყო ქართველი მენშევიკების მიერ. სწორედ ამიტომ მას ბევრი „ნაკლი“ მოუძებნა ი. სტალინმა. ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად ი. სტალინი მიიჩნევდა იმას, რომ წესდების პროექტი ერთმანეთისაგან არ გამოყოფდა წევრთა „პროფესიონალურ“ და „პარტიულ“ ფუნქციებს. გარდა ამისა, ი. სტალინის აზრით, წესდების პროექტში სრულიად არ იყო დაცული დემოკრატიზმის პრინციპები.[145]

1906 წლის ზაფხულშივე რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტი ზოგიერთი ცვლილებით დამტკიცებულ იქნა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ ხდება თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სტრუქტურის სრულყოფა, მიმდინარეობს ახალი რაიონული ორგანიზაციების შექმნა. 1906 წლის სექტემბრისათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაციის სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა: რსდმპ 25 შეგნებული წევრი ქმნიდა უჯრედს, რომელიც ირჩევდა ერთ წარმომადგენელს რაიონულ კომიტეტში. თბილისში არსებობდა შვიდი რაიონული კომიტეტი: 1) დიდუბის, 2) ვაგზლის (ნაძალადევი და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები), 3) ჩუღურეთის, 4) ცენტრალური, 5) ორთაჭალის (მასში შედიოდა ხარფუხი), 6) ავლაბრის, 7) ვერის. რაიონული კომიტეტები ირჩევდნენ თითო წარმომადგენელს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ კოლექტივში, რომელიც შედგებოდა შვიდი წევრისაგან. ხელმძღვანელი კოლექტივი სათავეში ედგა მთელ პარტიულ მუშაობას ქალაქის მასშტაბით. ხელმძღვანელი კოლექტივის გვერდით არსებობდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტი. მასში შედიოდა ყველა უჯრედის წარმომადგენელი. აღმასრულებელი კომიტეტი თავისი რიგებიდან გამოჰყოფდა ტექნიკოსს, სამხედრო შტაბს და სარედაქციო კომისიას. ტექნიკოსი განაგებდა პარტიულ ლიტერატურას, სტამბას და ნაწილობრივ შეიარაღების საქმეს. ფაქტობრივად ტექნიკოსს ემორჩილებოდა სამხედრო შტაბი, რომელსაც ჰყავდა სამი კომისია: 1) სამხედრო კომისია, რომელიც განაგებდა საბრძოლო რაზმეულების შეიარაღებას; 2) დევნილთა კომისია, რომელიც განაგებდა პოლიტიკური მოტივით დევნილების დაცვის საქმეს; 3) ციხის კომისია, რომელიც დახმარებას უწევდა პოლიტიკურ პატიმრებს.[146]

რსდმპ თბილისის კომიტეტს ჰყავდა ძლიერი საბრძოლო რაზმეულები, რომელთა შექმნა მიმდინარეობდა რეგულარული არმიის პრინციპით, ე. ი. იქმნებოდა ათეულები, ოცეულები, ასეულები და ა. შ.[147]

დღეისათვის შემორჩენილი საარქივო და სხვა ხასიათის დოკუმენტური მასალა არ იძლევა იმის საშუალებას, ზუსტად დადგინდეს სხვა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების (ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს) სტრუქტურა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი სტრუქტურა დაახლოებით იგივე იყო, რაც თბილისის ორგანიზაციისა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ მწვავე ფრაქციული უთანხმოების პირობებში დაიწყო მზადება რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობისათვის.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობა გაიმართა 1906 წლის სექტემბერში. ყრილობამ მუშაობა დაიწყო თბილისში, შემდეგ სხდომები გადატანილ იქნა ბაქოში. ყრილობას ესწრებოდა 58 დელეგატი (43 გადამწყვეტი ხმით, 15 — სათათბირო ხმით). დელეგატები არჩეულნი იყვნენ თბილისის, ბაქოს, ერევნის, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, სოხუმის, ელიზავეტოპოლის, გურიის, ფოთის, სამტრედიის, რაჭის, ხაშურის, ბორჯომის, სილნაღისა და დუშეთის ორგანიზაციებიდან. ყრილობის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებანი, მიმდინარე მომენტი და ტაქტიკის საკითხები, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რეორგანიზაცია, პროფესიული კავშირების შესახებ, ეროვნული საკითხი, გლეხთა მოძრაობის შესახებ, დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიებთან, მუშაობა ჯარისკაცთა შორის, სამხედრო-ტექნიკური საქმე, პარტიული ლიტერატურა და სხვ.[148] ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობამ ყველა ძირითად საკითხზე იგივე დადგენილება მიიღო, რაც რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ. ბოლშევიკთა მიერ განზრახული რევანში არ შედგა.

საინტერესოა, რომ ყრილობაზე ქუთაისელმა დელეგატებმა (მენშევიკებმა) წამოაყენეს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნა, რამაც ბოლშევიკი დელეგატების დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია.[149]

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორაგანიზაციების IV ყრილობა დამთავრდა მენშევიკური და ბოლშევიკური ფრაქციების ფორმალური გაერთიანებით. არჩეული იქნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი ცხრა წევრისა და ხუთი კანდიდატის შემადგენლობით. კომიტეტის წევრთა უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ.[150]

რსდმპ კავკასიის კავშირის დაშლითა და რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის შექმნით ბოლშევიკებმა დათმეს ყოველგვარი პოზიცია საქართველოში. არც ერთი კომიტეტი 1907 წლიდან 1921 წლამდე საქართველოში ბოლშევიკთა ხელში აღარ გადასულა. 1907 წლიდან იოსებ სტალინი საქართველოში აღარ მოღვაწეობს, ფილიპე მახარაძეც ხანგრძლივი ვადით ტოვებდა ხოლმე საქართველოს. ასე რომ, ქართველი ბოლშევიკები ფაქტობრივად ლიდერის გარეშე დარჩნენ. ამან და კიდევ სხვა მიზეზებმა განაპირობეს ბოლშევიკების გავლენის მინიმუმამდე შემცირება საქართველოს მუშათა კლასში. მთელ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას სათავეში ედგნენ ქართველი მენშევიკები: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი და სხვები. ქართველ მენშევიკთა პოპულარობას საზოგადოების ფართო ფენებში განსაკუთრებით შეუწყო ხელი მათმა წარმატებამ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში და სანგრძლივი დროის განმავლობაში სათათბიროებში მოღვაწეობამ. 1906 წლის მარტ-აპრილში ჩატარდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. სულ საქართველოდან სათათბიროში აირჩიეს 8 დეპუტატი. მათ შორის 5 სოციალ-დემოკრატი იყო. კერძოდ, სათათბიროს დეპუტატები გახდნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, სერგო ჯაფარიძე, ივანე გომართელი და სვიმონ წერეთელი. სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად არჩეულ იქნა ნ. ჟორდანია. უფრო მეტი წარმატებები იქნა მოპოვებული მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგად. მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ჩატარდა 1907 წლის იანვარ-თებერვალში. საქართველოდან სათათბიროში 8 დეპუტატი აირჩიეს, რვავე დეპუტატი სოციალ-დემოკრატი იყო. ამჯერად დეპუტატები გახდნენ: ირაკლი წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე, ჭოლა ლომთათიძე, კონსტანტინე კანდელაკი, ნიკოლოზ კაციაშვილი, გერასიმე მახარაძე, სეერიან ჯულელი და არშაკ ზურაბოვი. სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად არჩეულ იქნა ირ. წერეთელი. მასთან ერთად ფრაქციის ლიდერის როლში გამოდიოდა ა. ჯაფარიძე. ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, მათი ბრძოლა დემოკრატიისა და სოციალური თანასწორობისათვის, გაბედული გამოსვლები შავრაზმელური ძალების წინააღმდეგ განუზრელად ზრდიდა ქართული სოციალ-დემოკრატების ავტორიტეტს მთელს იმპერიაში.

თბილისელმა ბოლშევიკებმა იოსებ სტალინის ინიციატივით, 1907 წლის დამდეგს, მას შემდეგ, რაც პარტიულ ფორუმებზე ბრძოლა წააგეს, შექმნეს თავიანთი დამოუკიდებელი ცენტრი. ამ ცენტრის შექმნა რსდმპ

წესდებით ან რაიმე საგანგებო დადგენილებით არ იყო გათვალისწინებული. ამ ორგანოს კონსპირაციული მოსაზრებით უწოდეს „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო“. ბიუროს შემადგენლობაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი, პ. ჯაფარიძე, ვ. ნანეიშვილი, მ. დავითაშვილი, ს. სპანდარიანი, ზ. ჩოდრიშვილი და სხვ.[151] „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო“ ვერ გახდა პარტიული მუშაობის ცენტრი, პოპულარობა ვერ მოიპოვა მუშებში და ი. სტალინის თბილისიდან გადასვლის შემდეგ პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა.

რსდმპ IV (გაერთიანებელ) ყრილობაზე მარცხის შემდეგ ბოლშევიკები ვ. ლენინის მეთაურობით მოითხოვდნენ პარტიის მორიგი V ყრილობის მოწვევას. ყრილობის დელეგატების არჩევნებმა საქართველოში კარგად აჩვენა ძალთა თანაფარდობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში. არჩევნები ქართველი მენშევიკების სრული უპირატესობით დამთავრდა.

რსდმპ V (ლონდონის) ყრილობა მიმდინარეობდა 1907 წლის 30 აპრილიდან 19 მაისამდე (13 მაისიდან 1 ივნისამდე). ყრილობას ესწრებოდა 303 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 39 დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის 150 ათასი წევრისაგან. გადამწყვეტი ხმით დელეგატთა 177 დელეგატი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან იყო (89 ბოლშევიკი და 88 მენშევიკი), 45 — პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიიდან, 26 — ლატვიის სოციალ-დემოკრატიიდან, 55 — ბუნდიდან. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო რსდმპ 100, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის — 8, ლატვიის სოციალ-დემოკრატიის — 7, ბუნდის — 30 ორგანიზაცია, სულ 145 პარტიული ორაგანიზაცია.[152] საქართველოდან დელეგატები არჩეულ იქნა თბილისის, გურიის, ჭუთაისის, ბათუმის, სამეგრელოს, ფოთის, თელავის და ბორჩალოს ორგანიზაციებიდან. სულ არჩეულ იქნა 28 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 10 დელეგატი სათათბირო ხმით. გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატებიდან 26 მენშევიკი იყო, 2 — ბოლშევიკი, სათათბირო ხმის მქონე დელეგატთაგან — 7 მენშევიკი და 3 — ბოლშევიკი. გადამწყვეტი ხმით ყრილობას ესწრებოდნენ თბილისის ორგანიზაციიდან მხოლოდ მენშევიკები: ვ. მგელაძე (ტრია), ს. ბარსოკაძე (ტოკარევი), გრიგორიევი, პ. წულაია (დეპო), ნ. რამიშვილი (ბორცოვი), ა. ვარსკი (ადოლფი), გ. ერაძე (ბრადინი), გ. პლეხანოვი, ნ. ჟორდანია (კოსტროვი), ა. ჭიაბრიშვილი (ჭრელი); გურიის ორგანიზაციიდან — მხოლოდ მენშევიკები: ვ. ჯიბუტი (ვარდენი), ა. წითლიძე (შუბინი), რ. ჩიხლაძე (ალექსიძე), ა. პოტრესოვი (სტაროვერი), ბ. ლომთათიძე (ჰასანი), ს. პაიჭაძე (კრეპკი), პ. აქსელროდი, ვ. კროხმალი (ზაგორსკი), ნიკოლაევი; ჭუთაისის ორგანიზაციიდან

მხოლოდ მენშევიკები: კიკვიძე (ჭალარა), მ. ნინიძე (ლეონიდე), გ. ლორთქიფანიძე (სპირიდონოვი); ბათუმის ორგანიზაციიდან მენშევიკი ბ. ნიკოლაევსკი (გოლოსოვი); სამტრედიის ორგანიზაციიდან მენშევიკი კ. ჩაჩავა (კოლხიდელი); ფოთის ორგანიზაციიდან მენშევიკი გრ. ურატაძე (ვანო); თელავის ორგანიზაციიდან: ბოლშევიკები ს. შაუმიანი (სურენინი) და ა. კახოიანი (ბორჩალინსკი). სათათბირო ხმით ყრილობას ესწრებოდნენ: თბილისის ორგანიზაციიდან ბოლშევიკი ი. ჯუღაშვილი (ივანოვიჩი); ბორჩალოს ორგანიზაციიდან: ბოლშევიკები მ. ცხაკაია (ბარსოვი) და ა. გორკი, მენშევიკები ლ. ბრონშტეინი (ტროცკი) და ოსიპ პეტერბურგსკი; მეორე საბელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან: ირ. წერეთელი, ა. კანდელაკი, ა. ჯაფარიძე, ს. ჯუღელი, გ. მახარაძე. გარდა ამისა, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი დელეგატები გადამწყვეტი ხმით: ბაქოს ორგანიზაციიდან მენშევიკი ის. რამიშვილი (ბერიევი), მოსკოვის ორგანიზაციიდან: მენშევიკი ი. ხუნდაძე (ალექსეი), ტაგანროგის ორგანიზაციიდან მენშევიკი სოხაძე (ლეონოვი).[153]

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის ანგარიში; დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარტიებთან; სახელმწიფო სათათბირო; მუშათა ყრილობა და უპარტიო მუშათა ორგანიზაციები; პროფესიული კავშირები და პარტია; პარტიზანული გამოსვლები; უმუშევრობა; ეკონომიური კრიზისები და ლოკაუტი; მუშაობა არმიაში, ორგანიზაციული საკითხები და სხვ.[154]

ყრილობის პირველსავე სხდომაზე აირჩიეს სამანდატო კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის იყვნენ გრ. ლორთქიფანიძე (სპირიდონოვი) და ნ. რამიშვილი (ბორცოვი).[155]

რსდმპ V ყრილობამ უკვე დღის წესრიგის დამტკიცებისას დაუშვა სერიოზული შეცდომა, როცა დებატების გარეშე დღის წესრიგიდან ამოიღეს ეროვნული საკითხი.[156] ასეთი მოქმედება მიუტევებელი იყო, მით უფრო, რომ ამ პერიოდისათვის ძალზე გამწვავდა ეროვნული საკითხი რუსეთის იმპერიაში. ეროვნული საკითხის ყურადღების გარეშე დატოვება ხაზს უსვამდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობის — ბოლშევიზმისა და მენშევიზმის — ბუნებას.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის ანგარიში ყრილობას წარუდგინა ი. ცეტერბაუმმა (ლ. მარტოვმა). თანამოხსენებებით გამოვიდნენ ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი) და რ. რეიხნი (აბრამოვიჩი).[157] სა-

---

* ოსიპ პეტერბურგსკი პროვოკატორი აღმოჩნდა.

მივე მოხსენება, ფრაქციულობის მიუხედავად, გაწეული მუშაობის ღრმა და სერიოზულ ანალიზს იძლეოდა. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო გამართულ კამათში ქართველი დელეგატებიდან პირველი გამოვიდა ნ. ჟორდანია (კოსტროვი). მისი სიტყვა არ გამოირჩეოდა რაიმე სიახლით. ნ. ჟორდანია ძირითადად შეეხო მენშევიკებისა და ბოლშევიკების ურთიერთობას საანგარიშო პერიოდში. იგივე ითქმის ნ.რამიშვილზეც, იმ განსხვავებით, რომ მან მართალია მოკლედ, მაგრამ დასაბუთებულად ამხილა ვ. ლენინის (ბოლშევიზმის) ტაქტიკური ხაზი ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლაში.[158]

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ანგარიში — მოხსენებით გამოვიდა ირაკლი წერეთელი. მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სულ ჰყავდა 54 წევრი გადამწყვეტი ხმით, ხოლო 11 წევრი — სათათბირო ხმით. 54 გადამწყვეტი ხმიდან 33 ხმა ეკუთვნოდა მენშევიკებს, 15 — ბოლშევიკებს, 3 ხმა ემხრობოდა მენშევიკებს, 3 — ბოლშევიკებს.[159] თავისი მოხსენების დასაწყისშივე ირ. წერეთელმა აღნიშნა: „სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკა განისაზღვრება იმ ამოცანებით, რომლითაც განისაზღვრება მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანები იმ ისტორიულ პერიოდში, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით. ამ ტაქტიკას საფუძვლად უდევს ის ისტორიული გამოცდილება, რომელიც შეძენილია პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლის არენაზე ჩვენზე ადრე გამოსული ჩვენი დასავლეთ ევროპელი ძმების სისხლით“.[160] რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები ირ. წერეთელმა ასე განსაზღვრა: „რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები ამჟამად წარმოადგენენ იმ ამოცანების სინთეზს, რომლებიც ხორციელდებოდა დასავლეთ ევროპელი პროლეტარიატის მიერ წინა ორ რევოლუციურ ეპოქაში — საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და 48 წლის რევოლუციის დროს. ჩვენმა ტაქტიკამ უნდა შეაერთოს ორი საწინააღმდეგო ტაქტიკა, რომელთაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ატარებდა ცხოვრებაში პროლეტარიატი ამ ორი რევოლუციის დროს“.[161] შემდეგ ირ. წერეთელმა გააანალიზა 1789 წლისა და 1848 წლის რევოლუციების გამოცდილება და აღნიშნა, რომ რუსეთის პროლეტარიატმა უნდა გაითვალისწინოს ორივე რევოლუციის გამოცდილება, ამავე დროს „ნათლად შეიგნოს თავისი საბოლოო ამოცანა, სოციალისტური გადატრიალების ამოცანა“.[162]

ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ყრილობამ ოთხი მოხსენება მოისმინა. მოხსენებით გამოვიდნენ ვ. ლენინი, ა. პიკერი (მარტინოვი), რ. ლუქსემბურგი და რ. რეიჰნი (აბრამოვიჩი).[163]

ქართველ დელეგატებს მოხსენებათა გამო გამართულ საკმაოდ ცხარე კამათში მონაწილეობა არ მიუღიათ. ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის პროექტი ყრილობას წარუდგინა ლ. როზენფელდმა (კამენევმა). სულ კი შეტანილ იქნა რეზოლუციის სამი პროექტი. ქართველ დელეგატებს არც რეზოლუციების პროექტების განხილვაში მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა კენჭისყრის დროს ბოლშევიკური რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. საბოლოოდ, იმის გამო, რომ ხმების დიდი უმრავლესობა ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტმა მიიღო, ყრილობამ მხოლოდ მისი განხილვა განაგრძო. ბოლშევიკების მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ: სოხაძე, ა. ჯაფარიძე, ირ. წერეთელი, ნ. რამიშვილი, ნ. ჟორდანია.[164]

დელეგატმა სოხაძემ კადეტებისადმი ბოლშევიკების აშკარად აგრესიული დამოკიდებულების საპასუხოდ ყრილობაზე განაცხადა: „ჩვენ ვადასტურებთ იმ ფაქტს, რომ კადეტები მხარს უჭერენ მონარქიას, მაგრამ არ შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, რომ მათ საბოლოოდ აქციეს ზურგი რევოლუციას“.[165] კადეტებისადმი ბოლშევიკების არასწორი დამოკიდებულების წინააღმდეგ ირ. წერეთელმა ყრილობაზე განაცხადა: „აქ რამდენიმე არსებითი შესწორების შეტანა უომედლა. ალექსინსკი ამბობდა: ჩვენ არ ვსაყვედურობთ კონსტიტუციურ დემოკრატებს იმის გამო, რომ ისინი არ გადიან ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებიდან, მაგრამ მივუთითებთ იმასზე, რომ კონსტიტუციურ-დემოკრატების იდეალებიც კი არ გადიან ამ საზღვრებს იქით. მაგრამ კადეტების პარტია რომ აშკარა ბურჟუაზიულ პოლიტიკას ატარებს და სოციალისტ-რევოლუციონერთა და ტრუდოვიკთა მსგავსად ფრაზეოლოგიით არ ინიღბება, ეს ხომ მხოლოდ მისი დადებითი მხარეა. და თუ აქ ისევ აღიმართება ხელების მთელი ტყე ჩვენი შესწორების წინააღმდეგ, ეს იქნება უხეირო ხარკი ესეროვშინისადმი“.[166]

ქართველ დელეგატებს მონაწილეობა არ მიუღიათ ისეთი საკითხების განხილვაში, როგორიცაა სახელმწიფო სათათბირო, პარტიზანული გამოსვლები და პროფესიული მოძრაობა.

ყრილობის ოცდამეთხუთმეტე სხდომაზე გამოცხადდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არჩევნების შედეგები. არჩევნებში მონაწილე დელეგატებს ჰქონდათ 293 ხმა. ცენტრალურ კომიტეტში არჩევნების დროს ხმები ასე განაწილდა: ა. ს. პიკერი (მარტინოვი) — 150 ხმა, ნ. ნ. ჟორდანია (კოსტროვი) — 150 ხმა, კ. ხ. დანიშევსკი (გერმანი) — 149 ხმა, ა. ი. გუსევი (ნიკიფორი) — 148 ხმა, ი. ა. ისაევი (მიხაილი) — 148 ხმა, ნ. ა. როჟკოვი (ვიაჩესლავი) — 146 ხმა, ი. ფ. დუბროვსკი (ინოკენტი) — 145 ხმა, ჯ. ს. ვარსკი (ადოლფი) — 145 ხმა, ი. ა. თეოდოროვიჩი (პანოვი) — 144 ხმა, ვ. პ. ნოგინი (ვერშინინი) — 144 ხმა, ი. დ. ლენცმანი

(გრიკე) — 144 ხმა, ფ. ე. ძერჟინსკი (დომანსკი) — 144 ხმა, ა. ბუშევიცი (რიბაკი) — 144 ხმა, გ. ე. რადომისლსკი (ზინოვიევი) — 143 ხმა. არჩეულად ჩაითვალა პირველი 9 კანდიდატი (ა. ს. ვარსკის ჩათვლით). დაისვა საკითხი, თუ როგორ გადაეწყვიტათ იმ 5 კანდიდატის ბედი, რომელთაც მიიღეს თითოეულმა 144 ხმა. საბოლოოდ, ხელახალი კენჭისყრის დროს, რომელშიც მონაწილეობდა 37 დელეგატი, 5 კანდიდატიდან ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს: ი. ა. თეოდოროვიჩი, ვ. პ. ნოგინი და ფ. ე. ძერჟინსკი.[167]

რსდმპ V (ლონდონის) ყრილობა არ გამოირჩეოდა ქართველი სოციალ-დემოკრატების დიდი აქტივობით. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ირ. წერეთელი შეადგენდა, რომელიც ყრილობაზე წარმოდგა როგორც მენშევიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი თეორეტიკოსი. მის სახელს უკავშირდება კარგად გააზრებული და დასაბუთებული ბრძოლა ბოლშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის წინააღმდეგ.

* * *

ქართველ საზოგადოებას უკვე კარგა ხანია აინტერესებს ერთი მეტად საჭირბოროტო პრობლემა. ესაა ქართველი სოციალ-დემოკრატების კავშირი ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან. ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანია, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მონაწილეობის მტკიცება ყოველთვის პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა და არა ჭეშმარიტების დადგენას.

უფრო კონკრეტულად ჩვენი პოზიცია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საკითხისადმი ასეთია:

1) ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, როგორც უმეტესი ნაწილი იმხანად და შემდგომშიც განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობებისა, ზედმიწევნით, ზუსტად, ყველა წესის დაცვით არის განხორციელებული.

2) დღეს ძალზე ჭირს დადგენა იმისა, ოფიციალური ძიება მკვლელობის უნაკლოდ ორგანიზებამ ჩააგდო მძიმე მდგომარეობაში, თუ სხვა რაიმე მოსაზრებით იყო გაპირობებული ძიების დაბალი პროფესიონალური დონე. ბევრი რამ, რისი დადგენა მხოლოდ იმთავითვე შეიძლებოდა, ძიებას არ დაუდგენია.

3) მკვლელობის ოფიციალური ძიება და სასამართლო პროცესი საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩატარდა ძალზე ნაჩქარევად. მხედველობაში არ ყოფილა მიღებული დიდი რაოდენობით საარქივო მასალა, რომელიც თბილისში იყო დაცული და მისი შესწავლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

4) ბოლო წლებში ილიას მკვლელობის საიდუმლოების ახსნა ძირითადად უკვე ცნობილი მასალების ახალი ინტერპრეტაციის გზით მიდის. დიდი რაოდენობით საარქივო მასალა კვლავ ვერ მოხვდა სამეცნიერო ბრუნვაში.

5) საარქივო მასალებზე მუშაობისას აშკარა ხდება ერთი რამ: მასალების ნაწილი განადგურებულია (გადამალულია), თანაც ეს გაკეთებულია ისეთი პროფესიონალის მიერ, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, რა უნდა მოესპო და რა დაეტოვებინა.

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საიდუმლოების გამოცნობა მოითხოვს პასუხს უამრავ კითხვაზე. საჭიროა ხანგრძლივი და დაძაბული შრომა, დიდი რაოდენობით საარქივო მასალის შესწავლა თბილისში, მოსკოვსა და კიდევ რამდენიმე ქალაქის არქივებში. ასეთ ვითარებაში ჩვენ დროსა და ენერგიას ვხარჯავთ უკვე ცნობილი მასალის საკუთარი პოზიციიდან კომენტირებაში, ერთმანეთს ვუმტკიცებთ იმას, რისი დამტკიცებაც ან არ შედის ისტორიკოსთა კომპეტენციაში, ან საერთოდ არ შეიძლება იმ მასალების ს: ფუძველზე, რომელიც დღეს სამეცნიერო მიმოქცევაშია.

* * *

1905-1907 წლების რევოლუცია დამარცხდა. რევოლუციის დამარცხება მრავალმა მიზეზმა განაპირობა. ამ მიზეზთა შორის უმთავრესი იყო იმ სოციალურ ძალთა სისუსტე, რომელთაც ქვეყნის განახლებისათვის ბრძოლის მისია იკისრეს. ნოე ჟორდანია წერდა: „რევოლუციის მთელი ტრაგიზმი მომდინარეობს ბურჟუაზიის განუვითარებლობის და მოუმზადებლობისაგან. ეს კლასი ვერ გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც ერთი შეკავშირებული მთელი და ვერ უხელმძღვანელა თავისსავე რევოლუციას. ამ აუცილებელ ნაკლულევანებას ჩვენ ვაკისებდით შემდეგი მოსაზრებით: რადგანაც პროლეტარიატის პოლიტიკური მოთხოვნილებები რამდენიმეთ ეთანხმება ბურჟუაზიის ინტერესებს, ამიტომ უკანასკნელი პირველს გაყვება ამ მოთხოვნილებათა განხორციელებამდისო. თეორიუ-

ლათ თუ გავშინჯავთ — ეს მართლაც ასე უნდა იყოს. ორივეს სურს პოლიტიკური თავისუფლება და სხვ., მარა პრაქტიკაში, მოძრაობაში, ეს ასე არ დარჩა და არც შეიძლება ასე იყოს".[168] როგორც ვხედავთ, რევოლუცია იმ ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა, რაც მის დაწყებამდე საკმაოდ ცხადად იწინასწარმეტყველა პ. სტრუვემ. რუსეთში არ აღმოჩნდა ის ორგანიზებული სოციალური ძალა, რომელიც რევოლუციას გამარჯვებამდე მიიყვანდა.

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების მიუხედავად, ხანგრძლივი სამოქალაქო ომიდან ქართული სოციალ-დემოკრატია გამოვიდა როგორც სერიოზული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა — ყველაზე გავლენიანი და ორგანიზებული პოლიტიკური ძალა საქართველოში.

თავი მეექვსე
ქართული სოციალ-დემოკრატია 1907-1917 წლებში

§1. ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რევოლუციის დამარცხების შემდგომ პერიოდში (1907-1914 წლები)

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში დაიწყო დიდი უთანხმოება პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. რუსეთის სოციალ-დემოკრატია, უკვე არა მენშევიზმისა და ბოლშევიზმის პრინციპით, გაიყო ოთხ ძირითად მიმდინარეობად: 1) ოტზოვისტები თვლიდნენ, რომ რევოლუციის დამარცხება დროებითია, რუსეთში კვლავ მომწიფდება და დაიწყება რევოლუცია, როგორც პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების ერთადერთი საშუალება. გამომდინარე აქედან, ოტზოვისტები აბსოლუტურად უარყოფდნენ ბრძოლის პარლამენტურ გზას, მოითხოვდნენ სახელმწიფო სათათბიროსადმი ბოიკოტის ტაქტიკის გატარებას, არალეგალური პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის გაგრძელებას და ამ გზით ახალი რევოლუციის მომზადებას. ამ მიმდინარეობის უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ, თუმცა იქ მენშევიკებიც საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. 2) ლიკვიდატორები მოითხოვდნენ 1905-1907 წლების რევოლუციის მონაპოვრის (სახელმწიფო სათათბირო, მუშათა კავშირები და სხვ.) განმტკიცებას — ბრძოლის პარლამენტური გზისათვის უპირატესობის მინიჭებას, არალეგალური, იატაკქვეშა მოღვაწეობის შეზღუდვას ან სულაც შეწერებას, ე. ი. არალეგალური პარტიული ორგანიზაციების ლიკვიდაციას, ბრძოლის ლეგალური საშუალებების გამოყენებას. ამ მიმდინარეობაში უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ, თუმცა მენშევიკთა ერთი ნაწილი გ. პლეხანოვის მეთაურობით ასევე პრინციპულად წინააღმდეგი იყო არალეგალური პარტიული ორგანიზაციების ლიკვიდაციისა და იბრძოდა მის შესანარჩუნებლად. 3) ცენტრიზმი თითქოს ფრაქციულობის წინააღმდეგ გამოდიოდა, თუმცა გარკვეული გამოკვეთილი პლატფორმა თვითონ ვერ შეიმუშავა. ფაქტობრივად, ცენტრიზმი თავდაპირველად, 1912 წლამდე, ლიკვიდატორობას უჭერდა მხარს, ხოლო შემდეგ თანდათან გაემიჯნა ამ მიმდინარეობას და ვ. ლენინის ტაქ-

ტიკურ ხაზს დაუჭირა მხარი. 4) ვ. ლენინი და მის გარშემო შემოკრებული ბოლშევიკები, ასევე მენშევიკთა ნაწილი (ე. წ. პარტიელი მენშევიკები) ფორმალურად მოითხოვდნენ ბრძოლის როგორც არალეგალური, ისე ლეგალური (პარლამენტური) ფორმების შეთავსებას, ე. ი. არალეგალური პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნებასაც აუცილებლად თვლიდნენ, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობასაც გამართლებულად მიიჩნევდნენ. სინამდვილეში კი ვ. ლენინი პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში მხოლოდ არალეგალური, იატაკქვეშა მოღვაწეობის ტაქტიკას ცნობდა, ხოლო პარლამენტური ბრძოლის გზას იგი მხოლოდ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე უჭერდა მხარს — რუსეთში პარლამენტური გზით სოციალ-დემოკრატიის საპროგრამო მოთხოვნების განხორციელება ვ. ლენინს არ სწამდა.

ამრიგად, რუსეთის სოციალ-დემოკრატია ფაქტობრივად ორ მიმდინარეობად გამოიყო. პირველი: ძირითადად ბოლშევიკები (ვ. ლენინი, ი. სტალინი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი და სხვ.) მომხრენი იყვნენ რევოლუციური ბრძოლების განახლების ტაქტიკისა. ისინი არ ცნობდნენ პარლამენტურ გზას; მეორე: ძირითადად მენშევიკები (ლ. მარტოვი, ირ. წერეთელი, ნ. ჩხეიძე და სხვ.) ბრძოლის პარლამენტურ ტაქტიკას უჭერდნენ მხარს, თუმცა რევოლუციური ბრძოლის გზასაც არ უარყოფდნენ და არც ახალ რევოლუციურ აფეთქებას გამორიცხავდნენ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ, ისევე როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ, რეაქციის წლებში მძიმე დარტყმა განიცადა. შემცირდა პარტიის წევრთა რიცხვი, ლიკვიდირებულ იქნა მთელი რიგი ორგანიზაციები. რსდმპ V ყრილობის პერიოდისათვის (1907 წლის მაისი) ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები 15.670 წევრს ითვლიდნენ, ხოლო 1908 წლის დამდეგისათვის — 14.100 წევრს. 8-9 თვის შემდეგ პარტიის წევრთა რიცხვი კიდევ 1570 კაცით შემცირდა. 1909 წელს ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში დაახლოებით 400 წევრი იყო, ფოთში — 500, ჭიათურაში, — 200, ხონში — 120, ტყიბულში — 100, ბათუმში — 1500, სამტრედიაში — 250, ყვირილაში (ზესტაფონში) — 200, გურიაში — 4 000, სოხუმში — 120 წევრი.[1] რევოლუციის დამარცხებას არ შეეძლებოდა არ გამოეწვია მებრძოლთა რიგებში რწმენის შერყევა, გარკვეულწილად შიშისა და პანიკის გრძნობა. განადგურებული ან სანახევროდ განადგურებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რუსეთში ფაქტობრივად ცნობილი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობის გარეშე დარჩნენ. თითქმის ყველა მენშევიკი და ბოლშევიკი ლიდერი ემიგრაციაში მოკალათდა და იქიდან ცდილობ-

და პარტიული მუშაობის ორგანიზებას. ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს): ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძეს, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს, ნოე რამიშვილს, აკაკი ჩხენკელს და სხვ. საქართველო არ დაუტოვებიათ. თუ ისინი მუდმივად სამშობლოში არ მოღვაწეობდნენ, დროდადრო ხანგრძლივი ვადით ჩამოდიოდნენ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობაში, რაც ხელს უწყობდა პარტიული ცხოვრების გამოცოცხლებას.

1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შექმნილ ვითარებას ნ. ჟორდანია ასე ახასიათებს: „თფილისში დამხვდა გაუტეხელი სული, პარტიის ფართო ორგანიზაციები, საზოგადოების აწეული და მხნე სულისკვეთება. არაეითარი შიში და დაბნეულობა“.[2]

1907 წლის 3 ივნისს მეორე სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის შემდეგ რეპრესიები პოლიტიკურ პარტიათა მიმართ სულ უფრო ძლიერდებოდა. 1907 წლის 4 დეკემბერს ღამით ჟანდარმერიამ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მრავალი მოღვაწე დააპატიმრა.[3] ამ დიდი ჩავარდნის შემდეგ 1908 წლის იანვრისათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაცია კვლავ ორად გაიყო — თბილისში ერთდროულად არსებობდა მენშევიკური და ბოლშევიკური კომიტეტები.[4] ქართველი მენშევიკები, განსხვავებით ლიკვიდატორებისაგან, 1907 წლის ბოლოდან და 1908 წლის დამდეგიდან უარს ამბობენ შეიარაღებული გამოსვლების ორგანიზებაზე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოღვაწეობას სახელმწიფო სათათბიროში. მესამე სახელმწიფო სათათბიროს წინასაარჩევნო კამპანია ქართველმა მენშევიკებმა წარმატებით ჩაატარეს. მესამე სახელმწიფო სათათბიროში, რომლის არჩევნები 1908 წელს გაიმართა, საქართველოდან სულ 3 დეპუტატი იქნა არჩეული, მათ შორის ორი სოციალ-დემოკრატი იყო. ამჯერად სათათბიროს დეპუტატები გახდნენ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე და ევგენი გეგეჭკორი. სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად არჩეულ იქნა ნ. ჩხეიძე. სახელმწიფო სათათბიროში მოღვაწეობის პარალელურად ქართველი მენშევიკები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ძლიერი არალეგალური პარტიული ორგანიზაციები, ხოლო სადაც ეს ორგანიზაცია განადგურებული იყო, მიმდინარეობდა მისი აღდგენა. ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი და სხვები სავსებით სწორად განუმარტავდნენ მუშებს, რომ რევოლუციის დამარცხების შემდეგ ცარიზმთან კონფრონტაცია (გაფიცვა, დემონსტრაცია, შეიარაღებული გამოსვლა და სხვ.) ახალი რეპრესიების საბაბად იქცეოდა, რაც დასუსტებდა ისედაც დასუსტებულ ორგანიზაციებს. ქართველი ბოლშევიკები ცდილობდნენ ზედმიწევნით, ზუსტად განეხორციელებინათ ვ. ლენინის ტაქტიკური ხაზი

— ბრძოლის პარლამენტური გზის ფაქტობრივი უგულებელყოფა, მზადება ახალი რევოლუციისათვის.[5] 1907 წლის ბოლოსა და 1908 წლის დამდეგისათვის ამ მიზნით თბილისში ენერგიულ მოღვაწეობას ეწეოდნენ: ფ. მახარაძე, ი. ინწკირველი, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ფილია, მ. ჩოდრიშვილი, ა. ოქუაშვილი, ა. დოლიძე, ს. თავდიშვილი. ამ პერიოდისათვის რსდმპ თბილისის ბოლშევიკურ კომიტეტს სათავეში ედგა „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს“ წევრი ვიქტორ ნანეიშვილი.[6] 1907 წლის ბოლოს რსდმპ თბილისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა ბულგარეთში 150000 მანეთად შეიძინა 60 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ათეული შაშხანა და რამდენიმე ასეული ათასი ვაზნა. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი ბოლშევიკი ტერორისტი და ექსპროპრიატორი ს. ტერ-პეტროსიანი (კამო). გემი, რომლითაც საქართველოში იარაღი მოჰქონდათ, ბლიერ ღელვაში მოჰყვა და ჩაიძირა.[7] იმხანად ქართველმა ბოლშევიკებმა იარაღი ვერ მიიღეს. სამაგიეროდ, დიდი მონდომებით შეუდგნენ საქართველოში სახელმწიფო სათათბიროსადმი ვ. ლენინის ტაქტიკური ხაზის გატარებას. 1908 წლის იანვარში რსდმპ თბილისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია „სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ“. რეზოლუცია ითვალისწინებდა „პოლიტიკური თავისუფლების პარლამენტური გზით მოპოვების შეუძლებლობის ხალხისათვის განმარტებას“.[8] რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „მესამე სახელმწიფო სათათბიროს წარმოშობა და შემადგენლობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ რუსეთი არსებული კრიზისიდან მშვიდობიანი გზით ვერ გამოვა“.[9] ფაქტობრივად ეს იყო პირდაპირი მოწოდება ხელისუფლებასთან შეიარაღებული კონფრონტაციისაკენ.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ აუცილებელი იყო შექმნილი სიტუაციის სწორი ანალიზი, ახალი ტაქტიკის შემუშავება. რსდმპ ყრილობის მოწვევა არარეალური ჩანდა. ასეთ ვითარებაში მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების ნიკოლოზ ჩხეიძისა და ევგენი გეგეჭკორის ინიციატივით გადაწყდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების V ყრილობის მოწვევა.[10] ყრილობის წინ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის მიმდინარეობდა დისკუსია ყრილობის დღის წესრიგთან დაკავშირებით. 1908 წლის 9 იანვრისათვის ყრილობის რეზოლუციების პროექტები მზად იყო. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დისკუსია დაემთავრებინათ 15 იანვრისათვის, ყრილობა კი გაეხსნათ 20 იანვარს. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად რსდმპ ცენტრალური კომიტეტიდან ჩამოვიდნენ: მენშევიკი ნოე ჟორდანია და ბოლშევიკი გერმანი (კ. ჰ. დანიშევსკი).[11]

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების V ყრილობა დაგეგმილზე ცოტა გვიან, 1908 წლის თებერვალში, შედგა. ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნა 15 მენშევიკი და 2 ბოლშევიკი. ორი ბოლშევიკიდან ერთი (თბილისის ორგანიზაციიდან) არჩეულ იქნა სათათბირო ხმით.[12] ყრილობის დაგეგმილებით დაწყების მიზეზი ის იყო, რომ 1908 წლის 25 იანვარს, ყრილობის გახსნის დღეს, ჟანდარმერიამ და ოხრანკამ ალყა შემოარტყა და გაჩხრიკა ო. ტერ-გრიგორიანც-პოპოვიანცის სახლი, სადაც მუშაობას შეუდგა ყრილობა. დელეგატებმა მოასწრეს მიმალვა, მაგრამ ჩხრეკის დროს ნაპოვნი დოკუმენტებით, ასევე ჟანდარმერიისა და ოხრანკის ხელთ არსებული სხვა მასალებით დგინდება, რომ ყრილობის გახსნის დღეს მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, სევერიან ჯუღელი, კონსტანტინე ჯაფარიძე, ფილიპე მახარაძე, არშაკ ზურაბოვი, სტეფანე შაუმიანი.[13] ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების V ყრილობამ მიიღო რეზოლუციები, რომლებიც მთლიანად გამომდინარეობდნენ მიმდინარე მომენტის მენშევიკური შეფასებიდან. ყრილობამ არასწორად მიიჩნია ის სტრატეგია და ტაქტიკა, რომელსაც ბოლშევიკები ატარებდნენ რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების V ყრილობამ აირჩია რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი, რომელიც თავისი შემადგენლობით მენშევიკური იყო.[14]

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების V ყრილობის შედეგები დიდი დარტყმა იყო ქართველი ბოლშევიკებისათვის. ამას დაერთო ისიც, რომ 1908 წლის დამდეგისათვის ბოლშევიკებს საქართველოში თავიანთი ბეჭდვითი ორგანო არ ჰქონდათ, მაშინ როცა ქართველი მენშევიკები სცემდნენ გაზეთებს: „აზრი“, „ალი“, „ახალი აზრი“, „დასაწყისი“, „ეკალი“, „იმედი“, „მერცხალი“, „ნაპერწკალი“, „შურდული“, „ცისარტყელა“, „ცისკარი“, „ცხოვრების სარკე“, „ხომალი“ და სხვ. 1908 წლის ივნისში თბილისში ბოლშევიკებმა მოახერხეს არალეგალური გაზეთის „ბრძოლის“ გამოცემა. გაზეთს რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის ნებართვის გარეშე სცემდა „თბილისის ბოლშევიკური ლიტერატურული ბიურო“ ქართულ და რუსულ ენებზე. ბოლშევიკებმა გაზეთ „ბრძოლის“ სულ ოთხი ნომერი გამოუშვეს. 1908 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში „ლიტერატურულმა ბიურომ“ მოახერხა არალეგალური სტამბის გამართვა, თუმცა მალე, 12 სექტემბერს, სტამბა ჩავარდა.[15] იმავე ხანებში სერიოზული დარტყმა განიცადეს ქართველმა მენშევიკებმაც. 1908 წლის

11 სექტემბერს თბილისში თავად ლევან რევაზის ძე ვახვახოვის პასპორტით დააკვეს არალეგალურად მცხოვრები ნოე ჟორდანია.[16]

1908 წლის შემოდგომაზე რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში გაძლიერებული მუშაობა მიმდინარეობდა რაიონული ორგანიზაციების აღდგენის მიზნით. მესამე რაიონიდან თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ კოლექტივში აირჩიეს მენშევიკი ლევან პაპიძე, მეოთხე რაიონიდან კი — მენშევიკი იოსებ მაჭავარიანი.[17] 1908 წლის 2 ოქტომბერს ვარლამ ჩოჩიაშვილის ბინაზე გაიმართა თბილისის ორგანიზაციის კრება, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. კრებას ესწრებოდნენ: ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძე, ლევან პაპიძე, სევერიან მახარაძე, ირაკლი მგალობლიშვილი, ივანე ბერიძე, ივანე კარგარეთელი, მინა ჭელიძე, არტემ დონდიევი (დონდიაშვილი), მიხეილ კაზაკოვი, ვარდამ ჩოჩიაშვილი, ალექსანდრე ბუროვი. კრებას მოხსენდა, რომ პირველი რაიონის ორგანიზაცია გადავიდა ბოლშევიკურ პლატფორმაზე. ბოლო დროს ჟანდარმერიისა და ოხრანკის მხრიდან რესპრესიების გაძლიერებასთან დაკავშირებით პირველი რაიონის ორგანიზაციამ დასვა საკითხი ტერორის განახლების შესახებ. მესამე რაიონის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაიონის ორგანიზაცია მხარს დაუჭერდა ტერორს, თუ სხვა რაიონის ორგანიზაციები თანხმობას განაცხადებდნენ. გადაწყდა მიემართათ ე. წ. „მუშათა ბიუროსათვის", რომელსაც უნდა გამოეყო ტერორისტები. ტერორისტული აქტების დაფინანსების მიზნით რაიონულ ორგანიზაციებს ყველა წევრისაგან უნდა შეეგროვებინათ სამ-სამი მანეთი.[18] პირველი რაიონის ორგანიზაციის ბოლშევიკებს ხელში გადასვლა და რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში ტერორის საკითხის ხელახლა დაყენება ბოლშევიკების წარმატების მაჩვენებელი იყო.

ქართველი მენშევიკები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში. ნოე ჟორდანია, რომელიც 1907 წელს რსდმპ V ყრილობაზე · ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს, ხანგრძლივი ვადით იმყოფებოდა ფინეთში, ქ. ტერიოკში, სადაც რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რეზიდენცია იყო იმხანად. აქედან იგი პარტიული დავალებებით ჩადიოდა პეტერბურგში.[19] რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდა ნოე რამიშვილი, ცოტა მოგვიანებით კი გრიგოლ ურატაძეც. ნ. რამიშვილი 1908 წლის, აგვისტოში დაესწრო რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენარულ სხდომებს, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობდა.[20]

საქართველოს მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციებს შორის დაპირისპირება კიდევ უფრო გაძლიერდა რსდმპ V სრულიად რუსეთის კონფერენციასთან დაკავშირებით. კონფერენციის დელეგატებად რსდმპ

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტმა აირჩია პ. აქსელროდი, თ. დანი და ნ. რამიშვილი, რითაც, რა თქმა უნდა, უკმაყოფილონი დარჩნენ ბოლშევიკები.[21]

რსდმპ V სრულიად რუსეთის კონფერენციაზე (1908 წ. დეკემბერი) მწვავე ფრაქციული ბრძოლები გაჩაღდა. იმის გამო, რომ მენშევიკები უმცირესობაში აღმოჩნდნენ, კონფერენციამ ბოლშევიკური რეზოლუციები მიიღო.[22] ვ. ლენინი ფორმალურად ბრძოლას აწარმოებდა ლიკვიდატორების წინააღმდეგ, სინამდვილეში კი ესწრაფოდა რევოლუციის შედეგებისა და მიმდინარე მომენტის ბოლშევიკური შეფასების დაკანონებას. რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი არ დაემორჩილა რსდმპ V სრულიად რუსეთის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. საოლქო კომიტეტმა კონფერენციის რეზოლუციებიც კი არ დაბეჭდა. სამაგიეროდ, თბილისელმა ბოლშევიკებმა რეზოლუციებიც დაბეჭდეს და მისი განხილვაც მოაწყვეს ორგანიზაციებში.[23]

1909 წელს ოდნავ არ შენელებულა ფრაქციული ბრძოლები. მენშევიკები და ბოლშევიკები ცდილობდნენ პოზიციების გამაგრებას რაიონულ ორგანიზაციებში. 1909 წლის 9 იანვარს გაიმართა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის პირველი და მესამე რაიონებიდან წარმომადგენლების არჩევა ხელმძღვანელ კოლექტივში. პირველი რაიონიდან არჩეულ იქნა მენშევიკი ზაქარია სულავა, მესამედან — მენშევიკი სარდიონ (მინა) ჭელიძე.[24] 1909 წლის ზაფხულში ფრაქციული ბრძოლები ახალი ძალით გაჩაღდა. რსდმპ თბილისის კომიტეტში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის გარკვევა რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტმა დაავალა სილიბისტრო ჯიბლაძეს. 1909 წლის ივლისის ბოლოს თუ აგვისტოს დამდეგს ს. ჯიბლაძემ საოლქო კომიტეტში წარადგინა მოხსენება. მოხსენებაში ს. ჯიბლაძე აღნიშნავდა: 1) რსდმპ თბილისის კომიტეტი გაყოფილი იყო ორ თითქმის თანაბარ ნაწილად (5 ბოლშევიკი, 4 მენშევიკი); 2) კომიტეტის არც ერთი ნაწილი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო უფლებამოსილად; 3) კომიტეტის დიდი ჯგუფის (ხუთკაციანი ჯგუფის) წინააღმდეგ, რომელიც თავს უწოდებდა რსდმპ თბილისის კომიტეტს, წამოყენებული იყო სერიოზული ბრალდებები. ერთი წევრი გაწვეული იყო, ორს გამოცხადებული ჰქონდა უნდობლობა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კომიტეტის ორივე წევრი, სულ მცირე, საქმის ბოლომდე გამოკვლევამდე ყველა საქმისაგან ჩამოცილებული უნდა ყოფილიყო; 4) კომიტეტში ერთობლივი მუშაობა ბოლშევიკთა ხუთკაციანმა ჯგუფმა 1909 წლის 25 ივნისს მიღებული სპეციალური რეზოლუციით უარყო; 5) რსდმპ თბილისის კომიტეტის უფლებამოსილების ვადა კარგა ხნის გასული იყო.[25] ს. ჯიბლაძის მოხსენების საფუძველზე

საოლქო კომიტეტმა დაადგინა: 1) რსდმპ თბილისის საოლქო კომიტეტი ცნობილ იქნას არარსებულად, 2) ჩამოერთვას კომიტეტის ბეჭედი და სხვა ქონება; 3) ჩატარდეს თბილისის კომიტეტის ახალი არჩევნები წესდების შესაბამისად.[26]

რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით 1909 წლის 10 სექტემბერს ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტმა მხოლოდ პარტიის წევრებისათვის გამოსცა შემდეგი შინაარსის პროკლამაცია: „პირველ რაიონში რეორგანიზაცია უკვე მთლიანად დამთავრებულია. რაიონული კომიტეტი შედგება 10 წარმომადგენლისაგან. არჩევნები მიმდინარეობდა საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით. ბოლშევიკებმა უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე. სხვა რაიონებში არჩევნები ჯერ კიდე არ დამთავრებულა. ამის გამო ჯერ-ჯერობით ლაპარაკი რაიმე კანონიერ თბილისის კომიტეტზე არ შეიძლება, როგორც ამას აკეთებენ ბოლშევიკები ამა წლის აგვისტოში თვითნებურად გამოშვებულ ფურცელში. ეს მტკნარი სიცრუეა, ისევე როგორც იმავე ფურცელშივე მოთხრობილი ბევრი სხვა რამეც. თბილისის კომიტეტის მთლიანი რეორგანიზაციისა და ფორმირების დამთავრების შესახებ გაცნობებთ თავის დროზე“.[27]

ქართველი მენშევიკების პოზიციების გაძლიერება, ბოლშევიკთა მარცხი თბილისში იმითაც იყო გაპირობებული, რომ ქართველ მენშევიკთა ლიდერები ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე რამიშვილი და სხვები აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიულ ცხოვრებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ 1909 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა ცნობილი მენშევიკი მენდელ დეიჩი.[28] ძალთა აშკარა უთანასწორობა, როგორც ჩანს, ცხადად იგრძნეს ქართველმა ბოლშევიკებმა. ბოლშევიკთა ძალების ორგანიზებისათვის 1909 წლის 18 ოქტომბერს ბაქოდან თბილისს გამოემგზავრა იოსებ სტალინი.[29] აღსანიშნავია, რომ როგორც მ. დეიჩის, ისე ი. სტალინის თბილისში ჩამოსვლა შეუმჩნეველად არ დარჩენია ჟანდარმერიასა და ოხრანკას.[30]

1909 წლის ოქტომბერში რსდმპ თბილისის კომიტეტის რეორგანიზაცია კვლავ გრძელდებოდა. 9 ოქტომბერს დანიშნული იყო საორგანიზაციო კომისიის სხდომა. სხდომა გადაიდო იმის გამო, რომ კომისიის წევრები, რომლებიც ამავე დროს მეექვსე რაიონის კომიტეტის წევრებიც იყვნენ, სასწრაფოდ გამოიძახეს რაიონული კომიტეტის სხდომაზე. რსდმპ თბილისის ორგანიზაციის მეექვსე რაიონის კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ: 1) მომხსენებელი, რომლის გვარი და სახელი, ასევე პარტიული ფსევდონიმი ოხრანკამ ვერ დაადგინა, 2) სელიო (ვინაობა უცნობია), 3) სეიდი ან სეითი (ვინაობა უცნობია, თუმცა სავარაუდოა, რომ ეს იყო

მენშევიკი სეით დევდარიანი — მ. ვ.), 4) ერმოლაი (ვინაობა უცნობია), 5) პიოტრი (ვინაობა უცნობია), 6) საშუალო ტანის 23-24 წლის ქართველი, რომლის ვინაობა და პარტიული ფსევდონიმი ოხრანკამ ვერ დაადგინა, 7) პეტრე ქართველი, რომლის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა (საკარაულოა, რომ ეს იყო ნოე რამიშვილი — მ. ვ.). სულ სხდომას ესწრებოდა 12 კაცი.[31] რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის წევრმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც აღნიშნა, რომ რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში საქსებით დამთავრებულია რეორგანიზაცია, გარდა მეხუთე რაიონისა, სადაც რეორგანიზაცია არ ჩატარებულა რადმენიმე უჯრედში. შემდეგ მომხსენებული შეეხო საოლქო კომიტეტის 1909 წლის 10 სექტემბერის პროკლამაციას და აღნიშნა, რომ საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად რსდმპ თბილისის კომიტეტი არ არსებულა, რის გამოც ბოლშევიკების მიერ რსდმპ თბილისის კომიტეტის სახელით გამოცებული ფურცელი არ შეიძლებოდა პარტიული დაწესებულების დოკუმენტად ჩათვლილიყო. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟერად თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით უახლოეს ხანებში მოხდებოდა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტების წარმომადგენლების შეკრება და რსდმპ თბილისის კომიტეტის ჩამოყალიბება. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არავითარ რსდმპ თბილისის ძველ კომიტეტს საოლქო კომიტეტი არ ცნობდა. სელიომ მხარი დაუჭირა მომხსენებელს. საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა ერმოლაიმ და კიდევ ერთმა დამსწრემ, რომლის გვარი და სახელი უცნობია. ორივე გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ისინი ბოლშევიკები არიან, ცნობენ მხოლოდ რსდმპ თბილისის ძველ კომიტეტს და შეასრულებენ მის დირექტივებს და მოთხოვნებს. ერმოლაიმ და მისმა თანამოაზრემ ისიც განაცხადეს, რომ თუ რსდმპ თბილისის ახალი კომიტეტის არჩევნები მაინც შედგა, ისინი ამ კომიტეტს არ ცნობენ. რსდმპ თბილისის ძველი და ახალი კომიტეტების კანონიერების შესახებ კრებაზე გაიმართა დებატები, რაც დამთავრდა იმით, რომ მენშევიკები (დამსწრეთა 3/4) არ ცნობდნენ რსდმპ თბილისის ძველ კომიტეტს, ხოლო ბოლშევიკები (დამსწრეთა 1/4), პირიქით, არ ცნობდნენ ახალ კომიტეტს.[32] ამავე კრებაზე გადაწყდა, რომ რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის დადგენილების თანახმად გამოეცათ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ჩატარებული რეორგანიზაციის ანგარიში. ბოლშევიკები აპირებდნენ საკუთარი ანგარიშის გამოცემას.[33]

რეორგანიზაციის დასასრულისათვის (1909 წ. ოქტომბერი) თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მესამე, მეოთხე და მეექვსე

რაიონებში უმრავლესობა ბოლშევიკებს ჰქონდათ, პირველ, მეორე და მეხუთე რაიონებში — მენშევიკებს. პირველ, მეორე და მეხუთე რაიონებში ბოლშევიკური უჯრედი საერთოდ არ არსებობდა. გაურკვეველი ვითარება იყო მეშვიდე რაიონში.[34] ერთი შეხედვით, თბილისში მენშევიკთა და ბოლშევიკთა ძალები გათანასწორდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. პირველი რაიონი (დიდუბე), ასევე მეორე რაიონი (ვაგზალი და ნაძალადევი) იყო ის რაიონები, სადაც ძირითადად თავმოყრილი იყო თბილისის მუშათა კლასი. აქ იყო განლაგებული ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, თბილისის სარკინიგზო დეპო, აქვე ცხოვრობდა მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში მომუშავეთა დიდი უმრავლესობა. ბოლშევიკებს მიჰყვებოდა ჩუღურეთის (მესამე), ცენტრალური (მეოთხე) და ავლაბრის (მეექვსე) რაიონები, სადაც ძირითადად წვრილი საწარმოები იყო განლაგებული, თანაც მუშათა უმრავლესობა არაქართველი ეროვნებისა იყო. ამრიგად, მენშევიკებს მხარს უჭერდა ქალაქის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბირთვი.

თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში 1909 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე (აგვისტო-სექტემბერი-ოქტომბერი) ჩატარებულმა რეორგანიზაციამ მართალია განამტკიცა მენშევიკთა პოზიციები, მაგრამ ფრაქციული ბრძოლები მაინც ვერ მოსპო.

1909 წლის 17 ოქტომბერს თბილისში შედგა რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის წევრების კრება. კრებას ესწრებოდნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე (მენშევიკი), დიმიტრი გურგენიძე (მენშევიკი), გიორგი მათიაშვილი (მენშევიკი), არჩილ ცერცვაძე (მენშევიკი), ლევან ღონღაძე (ბოლშევიკი), თბილისის ტრამვაის კონდუქტორების წარმომადგენელი (მენშევიკი), რომლის ვინაობა ოხრანკამ ვერ დაადგინა, სეით რაზმაძე (მენშევიკი), ვლასა მგელაძე (მენშევიკი).[35] კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) პროვოკატორ ლავრენტი პავლენკოვის შესახებ; 2) გადასახლებაში (ციმბირში) მყოფი ისიდორე რამიშვილისათვის დახმარების გაწევის შესახებ; 3) სამსახურიდან დათხოვილი ტრამვაის თხუთმეტი მუშის შესახებ; 4) სოციალ-დემოკრატიული წევრების მუშაობის შესახებ, რომელთაც ბოლო ხანებში შეასუსტეს მუშაობა; 5) ლევან ღონღაძის განცხადება პარტიული გადასახადის არასწორად აკრეფის შესახებ. მართალია, ლ. პავლენკოვის პროვოკატორობა ფაქტებით არ დადასტურდა, მაგრამ კრებამ ამ უკანასკნელს წინადადება მისცა ან თავი დაენებებინა მოღალატური საქმიანობისათვის, ან დაეტოვებინა თბილისი. კრებამ დაადგინა ის. რამიშვილისათვის აღმოეჩინათ ფულადი დახმარება (30 მანეთი). ამავე დროს გადაწყდა მესამე სახელმწიფოს სათათბიროს წევრის ნ. ჩხეიძის მეშვეობით აღძრუ-

ლიყო საკითხი ის. რამიშვილის ციმბირიდან ასტრახანის გუბერნიაში გადმოყვანის შესახებ. საოლქო კომიტეტმა გადაწყვიტა მზარი დაეჭირა მუშების დათხოვნასთან დაკავშირებით ტრამვაის მუშების მომავალი გაფიცვისათვის. კრებამ აუცილებლად მიიჩნია სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობის განახლება, მაგრამ იმის გამო, რომ იმ დღეს საოლქო კომიტეტი სრული შემადგენლობით არ იყო შეკრებილი, საკითხის საბოლოო განხილვა გადაიდო. ლ. ღონღაძის განცხადებასთან დაკავშირებით საოლქო კომიტეტის კრებამ აღნიშნა, რომ პარტიული გადასახადის აღრიცხვაში დაშვებული შეცდომები გამოსწორდება, ხოლო მომავალში აღრიცხვა წესის მიხედვით იქნება წარმოებული.[36]

რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის 1909 წლის 17 ოქტომბრის კრების მასალები, ასევე იმავე პერიოდის სხვა დოკუმენტები მოწმობენ, რომ თბილისში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები წელში გაიმართნენ. პარტიულ მუშაობაში წამყვან როლს მენშევიკები ასრულებდნენ, ბოლშევიკების გავლენა გაცილებით უმნიშვნელო იყო. საზოგადოების თვალში ბოლშევიკთა ავტორიტეტის დაცემას დიდად შეუწყო ხელი 1909 წელს რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში გახმაურებულმა ამბავმა, რომელიც 1907 წელს თბილისში, ერევნის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციას უკავშირდებოდა. დღემდე მეტად მწირი და სამეცნიერო ლიტერატურით უეჭველად იყო მიჩნეული, რომ 1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევნის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) იოსებ სტალინის საერთო ხელმძღვანელობით ს. ტერ-პეტროსიანმა (კამომ) მოახდინა ექსპროპრიაცია — გაიტაცა დიდი რაოდენობის ფული (250 000 მანეთი). გატაცებული თანხის ნაწილი მალე ვ. ლენინმა მიიღო. ამ ამბავმა მაშინვე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ორი წლის შემდეგ, 1909 წელს, ჟენევაში თბილისში გატაცებული ფულის დახურდავებისას დაიკავეს ბოლშევიკი მ. ლიტვინოვი. ამ ფაქტით უკვე უეჭველად დადასტურდა, თუ ვის ხმარდებოდა გატაცებული ფული. ბოლშევიკები არ დაიბნენ, საქმეს პოლიტიკური ხასიათი მისცეს და მ. ლიტვინოვი, როგორც პოლიტიკური, კიდეც იხსნეს სასჯელისაგან. მიუხედავად ამისა, თვით ფაქტი ძალზე უტეხდა სახელს ბოლშევიკებს არა მარტო რუსეთში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. მთელს ევროპაში გავრცელდა ხმა ბოლშევიკთა ყაჩაღური ქმედების შესახებ, შეშფოთდნენ მეორე ინტერნაციონალშიც. გადაწყდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევა და სასკანდალო ისტორიისათვის წერტილის დასმა. ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე მიიწვიეს ნოე ჟორდანიაც, რომელიც თავის მემუარებში აღნიშნავს: „პარიჟში უკვე დამხვდა ც. კომ. მთელი შემადგენლობა: ოთხი მენშევიკი (ჩემიანათ)

და ოთხი ბოლშევიკი, სამი პოლონელი სოციალ-დემოკრატი (ტიშკო, ვარშავსკი და ძერჟინსკი), ერთი ლატიში, სულ 15 კაცამდე. ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით შეშინდენ, ყველა მოთხოვნილებაზე თანხმობა განაცხადეს, ამათ შორის მთავარი იყო თფილისის ასიგნაციების წარმოდგენა და დაწვა. ამას ხელი მოაწერეს, მაგრამ შემდეგში არც ერთი დაპირება არ შეასრულეს, ფული არ წარმოადგინეს, არ დაწვეს და ჩუმჩუმათ ასაღებდენ".[37] რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სხდომის შედეგებით უკმაყოფილო გ. პლეხანოვს ნ. ჟორდანიასათვის უთქვამს: „ბოლშევიკები პარტიიდან უნდა გაგეძევებიათ, ჩვენი პრესტიჟი მხოლოდ ამით ამაღლდებოდა, ისინი ფულს არ დაწვავენ".[38]

როგორც ბოლო ხანებში პროფესორ ვ. გურულის მიერ აღმოჩენილი საარქივო დოკუმენტებით გახდა ცნობილი, არც იოსებ ჯუღაშვილი და არც სიმონ ტერ-პეტროსიანი (კამო) თბილისში ერევნის მოედანზე ფულის გატაცებაში არ მონაწილეობდნენ. ფული სოციალისტ-რევოლუციონერებმა გაიტაცეს. კამოს ესერები მხოლოდ ამის შემდეგ დაუკავშირდნენ, რადგან გატაცებული ფული თბილისიდან ვერ გაიტანეს. ესერების თხოვნით ფული თბილისიდან საზღვარგარეთ კამომ გაიტანა, მაგრამ ესერებს კი არ მიუტანა, არამედ ვ. ლენინს. ასე აღმოჩნდა თბილისში გატაცებული ფული ბოლშევიკების ხელში.[39]

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთში ოთხი-ხუთი წელი მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის დაცემა შეინიშნებოდა. იგივე მდგომარეობა იყო საქართველოში. მომდევნო ხანებში რევოლუციური მოძრაობა თანდათან ძალას იკრებს. რუსეთში დიდი გამოხმაურება ჰპოვა 1912 წლის აპრილ-მაისში ლენის ოქროს საბადოებზე გაფიცული მუშების დახვრეტამ. 1913 წლის 5 ივნისს დაიწყო ჭიათურის მანგანუმის მაღაროების მუშების გაფიცვა, რომელიც 56 დღე გაგრძელდა. ხშირი იყო გაფიცვები ბათუმსა და ფოთში. 1913 წლის 17 სექტემბერს დაიწყო გაფიცვები ფოთისა და საჭილაოს ხე-ტყის სახერხ ქარხნებში, რომელიც 25 ოქტომბრამდე გრძელდებოდა. 1913 წელს რამდენიმე გაფიცვა მოხდა ბათუმის ნავთობის ქარხანასა და სტამბებში. სულ 1913 წელს საქართველოში გაფიცული იყო 15 ათასზე მეტი კაცი.[40]

1910 წელს თბილისელმა ბოლშევიკებმა კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა განიცადეს. გაზაფხულზე დაპატიმრებულ იქნა რსდმპ თბილისის ბოლშევიკური კომიტეტისა და რაიონული ორგანიზაციების ბევრი პარტიული მუშაკი, რამაც ძლიერ დაასუსტა ბოლშევიკთა ძალები. ბოლშევიკთათვის ამ მძიმე ვითარებაში 1910 წლის ივნისსა და ივლისში თბილისში მოეწყო მენშევიკთა და ბოლშევიკთა გაერთიანებული კრებები, რომელთა მიზანი იყო ერთიანი ორგანიზაციების აღდგენა. ფრაქციული

უთანხმოების დაძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა.[41] 1910 წლის 16 სექტემბერს თბილისში, რაფიელ ჩიხლაძის ბინაზე, გაიმართა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კრება, რომელმაც აირჩია რსდმპ თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა.[42] კომიტეტის წევრად არჩეული იქნა გრიგოლ ურატაძე, რომელიც ამ პერიოდიდან აქტიურად მოღვაწეობდა თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, ხშირად იყო მისი წარმომადგენელი სხვადასხვა პარტიულ ფორუმზე.[43] 1910 წლის ოქტომბრიდან, კაპრის პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ბრუნდება ნოე რამიშვილი.[44] რაც შეეხება ქართველ ბოლშევიკებს, მათ ამ პერიოდიდან (1910 წ.) თბილისში ფაქტობრივად კომიტეტი ველარ ალაგდგინეს და ამ მდგომარეობაში დარჩნენ კარგა ხანს. 1911 წლის თებერვალ-მარტში თბილისში ბოლშევიკური ორგანიზაციის აღდგენის ცდა მარცხით დამთავრდა. 1912 წლის დამდეგისათვის ბოლშევიკებმა მოახერხეს მხოლოდ „რსდმპ თბილისის ჯგუფის“ შექმნა.[45] საქმეს ვერ უშველა ვერც რსდმპ თბილისის არალეგალური ორგანიზაციის აღმდგენი თბილისის ბოლშევიკური ჯგუფის მოღვაწეობამაც.[46] დიდი მცდელობის მიუხედავად, ბოლშევიკები წელში ველარ გაიმართდნენ. ვითარება ოდნავ გაუმჯობესდა რსდმპ VI (პრაღის) კონფერენციის წინ თბილისში ს. ორჯონიკიძის ჩამოსვლის შემდეგ. ს. ორჯონიკიძემ კავკასიაში ბოლშევიკების პოზიციის გაძლიერების მიზნით შექმნა სამხარეო ორგანიზაცია — რსდმპ კავკასიის საოლქო ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. ორჯონიკიძე, ს. სპანდარიანი, ე. სტასოვა, ს. შაუმიანი, ვ. შვეიცერი და სხვ.[47] ქართველ ბოლშევიკთა რიგების განმტკიცება მაინც არ მოხერხდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1911 წლის სექტემბრის დამლევსა და ოქტომბრის დამდეგს მოწვეულ რუსეთის ორგანიზაციული კომისიის დამფუძნებელ თათბირზე საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების სახელით გამოვიდა სომეხი ს. სპანდარიანი, ხოლო თათბირის მიერ შექმნილ რუსეთის ორგანიზაციულ კომისიაში თბილისელი ბოლშევიკების წარმომადგენლად შეყვანილი იქნა იგივე ს. სპანდარიანი.[48]

რსდმპ VI (პრაღის) კონფერენციის წინ ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში ს. ორჯონიკიძის მოღვაწეობას კონკრეტული მიზანი ჰქონდა — ვ. ლენინს სურდა კავკასიიდან კორფერენციაზე მისთვის სასურველი დელეგატები აერჩიათ. ამ დავალებას ს. ორჯონიკიძემ კარგად გაართვა თავი. ქართველ მენშევიკთა ბოიკოტის პირობებში ს. ორჯონიკიძემ ჩაატარა თბილისელი ბოლშევიკების ე. წ. კონფერენცია და რსდმპ მომავალ კონფერენციაზე დელეგატად თავისი თავი აარჩევინა. ბაქოდან დელეგატად ს. შაუმიანი აირჩიეს.[49] რსდმპ VI (პრაღის) კონფერენცია 1912 წლის იანვარში გაიმართა პრაღაში. კონფერენცია, უპირველეს ყო-

ლისა, იმით არის აღსანიშნავი, რომ აქ მოხდა ბოლშევიკური ფრაქციის ცალკე პარტიად გაფორმება. კონფერენციამ მენშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის კრიტიკის ნიშნით ჩაიარა. ყველა გადაწყვეტილება მილებულ იქნა იმ შეხედულებებიდან გამომდინარე, რომელსაც მენშევიზმთან ბრძოლაში უკანასკნელ წლებში (1907-1911 წწ.) იცავდა ი. ლენინი. ვ. ლენინის ინიციატივით ლიკვიდატორები, რომლებიც შემოკრებილნი იყვნენ ჟურნალების „ნაშა ზარიასა“ და „დელო ჟიზნის“ გარშემო, ე. ი. ფაქტობრივად ლიკვიდატორების ბირითადი ინტელექტუალური ბირთვი, პარტიიდან გარიცხეს, ხოლო პარტიის უმთავრეს ამოცანად იმ ეტაპზე ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდა.[50]

ქართველმა მენშევიკებმა, როგორც აღვნიშნეთ, ბოიკოტი გამოუცხადეს სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევის მიზნით ს. ორჯონიკიძის მიერ გაწეულ საქმიანობას. საქართველოში ს. ორჯონიკიძის მოღვაწეობა, კონფერენციის დელეგატების არჩევნები მთლიანად რსდმპ წესდების დარღვევით მიმდინარეობდა. კონფერენციისათვის მზადების პერიოდში შექმნილი ყველა საგანგებო ორგანო არაკანონიერი იყო. სრულიად განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობდა საქართველოში მზადება სრულიად რუსეთის მენშევიკთა პარტიული კონფერენციისათვის. რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციებიდან კონფერენციის დელეგატების არჩევნები 1911 წლის ზაფხულში გაიმართა სამხარეო კონფერენციაზე, რომელიც ბაკურიანში მიმდინარეობდა. დელეგატად თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან არჩეული იქნა გრიგოლ ურატაძე. სრულიად რუსეთის მენშევიკთა პარტიული კონფერენცია, რომლის მუშაობაში გრ. ურატაძეც მონაწილეობდა, გაიმართა საფრანგეთში 1912 წლის თებერვალში.[51] კონფერენციაზე მოხდა მენშევიკთა ცალკე პოლიტიკურ პარტიად გაფორმება.

მენშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრის საქმეში დიდი როლი შეასრულა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) კონფერენციამ, რომელიც 1912 წლის აგვისტოში გაიმართა ვენაში. კონფერენციას დაესწრნენ ცნობილი მენშევიკები: ბორუხ-პინხუს (პავლე) აქსელროდი, ლეიბა (ლევ) ბრონშტეინი (ტროცკი), მიხეილ გოლდმანი, ბორის გოლდმანი, ვლადიმერ მედემი, ანდრეი პოტრესოვი, რაფაილ რეიხნი, მოსე ურიცკი, იული ცედერბაუმი (მარტოვი), ანის ანსონი და სხვ. საქართველოდან კონფერენციის დელეგატები იყვნენ ვლასა მგელაძე და გრიგოლ ურატაძე.[52] რსდმპ(მ) 1912 წლის აგვიტოს (ვენის) კონფერენცია ლ. ტროცკის ინიციატივით იყო მოწვეული. ვერ კიდევ 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ გ. პლეხანოვმა სავსებით სწორად დაინახა, რომ ბოლშევიკების ყოფნა რსდმპ რიგებში

საშიში იყო. ბოლშევიზმი რუსეთის მთელ სოციალ-დემოკრატიას გადაგვარებით ემუქრებოდა. გ. პლეხანოვმა ბევრჯერ დააყენა საკითხი პარტიიდან ბოლშევიკების გარიცხვის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. ამ საკითხში მერყევი პოზიცია დაიკავეს ცნობილმა მენშევიკებმა ნ. ჟორდანიამ, ლ. მარტოვმა და სხვებმა. 1912 წლის აგვისტოში ლ. ტროცკის ინიციატივით მოწვეული კონფერენციის მიზანი იყო ბოლშევიკების მოკვეთა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან და მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შეკავშირება რუსული მენშევიზმის პლატფორმაზე. ამრიგად, ლ. ტროცკიმ სცადა გ. პლეხანოვის იდეის ხორცშესხმა. ვენის კონფერენცია ამ მხრივ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან ზუსტი კვალიფიკაცია მისცა ბოლშევიზმის სტრატეგიასა და ტაქტიკას. ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები გრ. ურატაძე და ვ. მგელაძე. სამწუხაროდ, რსდმპ (ბ) 1912 წლის აგვისტოს კონფერენციის იდეურმა და ორგანიზაციულმა პლატფორმამ დიდხანს ვერ იარსება, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. 1914 წლიდან, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში იდეების გადაფასება მოხდა, ვენის კონფერენციის გადაწყვეტილებანიც დავიწყებას მიეცა. მიუხედავად ამისა, მენშევიკების 1912 წლის თებერვლისა და აგვისტოს კონფერენციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ორმა კონფერენციამ მკვეთრი ზღვარი გაავლო მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, რუსეთისა და ევროპის საზოგადოებისათვის ნათელი გახადა ის განსხვავება, რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამ ორ მიმდინარეობას შორის არსებობდა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში.

1912 წლის ზაფხულში ჩატარდა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ფართო წინააარჩევნო კამპანიის მიუხედავად, დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს. საქართველოდან არჩეული 3 დეპუტატიდან მხოლოდ ერთი — ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იყო სოციალ-დემოკრატი. სამაგიეროდ, სოციალ-დემოკრატებმა კიდევ ერთი ადგილი მიიღეს 1915 წელს. საქმე იმაში იყო, რომ გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს წევრი სოციალისტ-ფედერალისტი ვ. გელოვანი. გამოკლებული დეპუტატის ადგილი ისევ საქართველოდან უნდა შევსებულიყო. გამართულ არჩევნებში გაიმარჯვა აკაკი ჩხენკელმა. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად არჩეულ იქნა ნ. ჩხეიძე.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორად გაყოფის შემდეგ ამ მოვლენისადმი თავისი დამოკიდებულება გამოხატა რსდმპ სო-

ციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების სამხარეო პარტიულმა ორგანიზაციამ. 1913 წლის აგვისტოში გაიმართა რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) ორგანიზაციების კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდა პარტიის 1150 წევრიდან არჩეული დელეგატები. სამი ორგანიზაციიდან (სულ 200 წევრი) არჩეული დელეგატები შემთხვევითი მიზეზის გამო კონფერენციას ვერ დაესწრნენ. კონფერენციამ განიხილა უმნიშვნელოვანესი საკითხები. მიღებული იქნა შემდეგი რეზოლუციები: „პარტიული მუშაობის შესახებ", „სახელმწიფო სათათბირო", „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ", „არენდატორების შესახებ", „დროებით ვალდებული გლეხების შესახებ", „წვრილ მიწათმოქმედთა შორის მუშაობის შესახებ", „ხიზნების შესახებ", „პროფესიული კავშირების შესახებ", „კოოპერატივების შესახებ", „ლეგალურ დაწესებულებებში მუშაობის შესახებ" და სხვ.[53]

კონფერენციამ კრიტიკულად გაანალიზა წინა წლებში გაწეული მუშაობა და გარკვევით მიუთითა, რომ პარტიული მუშაობა ვერ იდგა საჭირო სიმაღლეზე. რეზოლუციაში „პარტიული მუშაობის შესახებ" ვკითხულობთ: „კონფერენცია აღიარებს, რომ ადგილობრივი ორგანიზაცია უპირატესად წვრილმანი საქმეებით არის დაკავებული, ბევრ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას კი სტოვებს საჭირო პასუხის გარეშე".[54] კონფერენციის აზრით, პარტიის მოღვაწეობა როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ პირობებში ატარებდა „ნაკლებად ორგანიზებულ და უდისციპლინო ხასიათს".[55] ითვალისწინებდა რა სოციალ-დემოკრატიული მუშაობის სირთულეებს, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, კონფერენცია ადგილობრივ ორგანიზაციებს სთავაზობდა: „სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით შეექმნათ განსაკუთრებული ავტონომიური კომისიები (სათათბიროსი, ლიტერატურული, კოოპერატიული, პროფესიონალური, სადაზღვევო, აგრარული და სხვ.) და მასში სამუშაოდ მიეზიდათ, როგორც პარტიის წევრები, ისე მნიშვნელოვანი კადრები თანამგრძნობთა რიგებიდან, რომლებიც დაემორჩილებოდნენ მის დირექტივებს".[56] ამ გზით, კონფერენციის დელეგატების აზრით, შესაძლებელი გახდებოდა სოციალ-დემოკრატების მიერ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მიმართ საკუთარი პოზიციის შემუშავება და ამ პოზიციის პროპაგანდა მასებში.[57]

ძალზე მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხი. კონფერენცია თვლიდა, რომ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ სახელმწიფო სათათბიროსა და სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობას. კონფერენციის დადგენილებით, ყველა ორგანიზაციაში უნდა

შექმნილიყო „სათათბირო კომისია“, რომლის მიზანი იქნებოდა: „1) პარტიის წევრებისა და მოსახლეობის უფრო ფართო მასებისათვის ზეპირი აგიტაციისა და შესაბამისი ლიტერატურის გავრცელების გზით სახელმწიფო სათათბიროსა და მისი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მუშაობის მნიშვნელოვანი მხარეების გაცნობა; 2) ხელისუფლების უკანონო მოქმედების შესახებ ყველა ფაქტის შეკრება, სისტემატიზირება და მისი გადაგზავნა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვის დასმის მიზნით, ასევე მასალების შეგროვება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის კანონპროექტების შეტანის მიზნით; 3) დახმარების აღმოჩენა სოციალ-დემოკრატი დეპუტატებისათვის საარჩევნო ოლქების შემოვლის დროს“.[58] კონფერენციამ მიუთითა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ზოგიერთ შეცდომაზე, თუმცა მთლიანად მაღალი შეფასება მისცა მის მოღვაწეობას. რეზოლუციაში „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ“ აღნიშნულია: „მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია რუსეთის პროლეტარიატის ღირსეული საპარლამენტო წარმომდგენელია. მისი მოღვაწეობა შეესაბამებოდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს“.[59] საინტერესოა რეზოლუციის ის ნაწილი, რომელიც მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის უთანხმოების დაძლევას ეძღვნებოდა. კონფერენციის აზრით, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები ვალდებულნი იყვნენ ხელი შეეწყოთ ფრაქციული ბრძოლებით გათიშულ პარტიაში ერთიანობის დამკვიდრებისათვის, რადგან განსეთქილება პარტიაში „წინ ეღობებოდა პროლეტარული ძალების დარაზმვას და ხელს უშლიდა როგორც მთლიანად პარტიის მუშაობას, ისე კერძოდ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას“.[60]

კონფერენციამ დიდი დაინტერესება გამოიჩინა გლეხობის მდგომარეობით. ამ საკითხზე რამდენიმე რეზოლუცია იქნა მიღებული. ყველა რეზოლუცია პროგრესული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების დამკვიდრებას ისახავდა მიზნად.[61] ცალკე უნდა შევჩერდეთ „ხიზნების შესახებ“ რეზოლუციაზე, რომელიც ითხოვდა „ხიზნური ურთიერთობის შეწყვეტას“,[62] ე. ი. ხიზნების (ძირითადად შიდა ქართლის ოსების, ქვემო ქართლის მაჰმადიანი მოსახლეობის და სხვ.) გათანაბრებას ქართველ გლეხობასთან, რაც ქართულ მიწაზე უცხოტომელთა დამკვიდრებას უწყობდა ხელს და ამდენად, ართულებდა ისედაც რთულ დემოგრაფიულ სიტუაციას.

ეროვნულ მოძრაობასთან კონფრონტაციის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი რეზოლუცია „ლეგალურ დაწესებულებებში მუშაობის შესახებ“. რეზოლუციაში ვკითხულობთ: „კონფერენცია ადგენს, რომ ქართული ნა-

ციონალური პრესა, თავის თავს რომ სოციალ-ფედერალისტურს უწოდებს, ეყრდნობა მემამულეებს, თავის გარშემო თავს უყრის ქართველი ერის ყველა რეაქციულ ელემენტს, სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში მიმართავს უკიდურეს შავრაზმელურ ხერხებს, ყოველივე ამით გამოდის საერთო-რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ".[63] სინამდვილეში ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები, მართალია, ცხარე პოლემიკას აწარმოებდენ სოციალ-დემოკრატებთან, მაგრამ თავისი დროშის ქვეშ ნამდვილად არ რაზმავდნენ ერის რეაქციულ ნაწილს. ამ პარტიაში მრავალი პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენტი მოღვაწეობდა, რომელთათვისაც სოციალიზმის იდეალები სულაც არ იყო მეორეხარისხოვანი. მიუხედავად ამისა, რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ სოციალისტ-ფედერალისტებთან სოციალ-დემოკრატების ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობას კონფერენცია თვლიდა „პარტიის წევრისათვის აბსოლუტურად დაუშვებლად".[64]

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) ორგანიზაციების კონფერენციამ მოგვცა ბოლშევიკთა სამოქმედო პროგრამის საფუძვლიანი კრიტიკა, დაასაბუთა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების პარლამენტური გზის მიზანშეწონილობა, განსაზღვრა სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მოქმედების ძირითადი მიმართულებანი, შეიმუშავა გლეხთა ინტერესების დაცვის ფართო პროგრამა. ამავე დროს კონფერენციამ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებთან კომპრომისული შეთანხმების გზების ძიების ნაცვლად კონფრონტაციის ტაქტიკა არჩია, რაც ვნებდა ეროვნულ მოძრაობას.

პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში სოციალ-დემოკრატიული მუშაობა მთელს რუსეთში, როგორც ველიკოროსიაში, ისე კოლონიურ მხარეებში, ჩამკვდარი იყო. რუსეთის სოციალ-დემოკრატია ძირითადად ემიგრაციაში მოღვაწეობდა, გამონაკლისს შეადგენდა სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. ამ ფონზე ძალზე აქტიური ჩანდა ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობა. ნოე ჟორდანია იგონებს: „ამ დროს ჩვენში გამოდიოდა ყოველდღიური სოც.-დემ. გაზეთი, ორგანიზაციები მუშაობდენ, ყოველივე თავის ადგილზე იდგა, მიუხედავად მრავალნაირი რეპრესიებისა. საქართველო წარმოადგენდა ამ მხრით იოაზისს. კავკასიის სხვა კუთხეებში, მხოლო ბაქოში იყო ორგანიზაცია და ისიც სულს ღაფავდა."[65]

§2. ქართული სოციალ-დემოკრატია და ეროვნული საკითხი

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობა ეროვნულ საკითხში ძველ პოზიციაზე რჩებოდა. ვითარება იცვლება 1908 წლიდან, როცა ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ მიმდინარეობაში დიდი უთანხმოება დაიწყო ეროვნული საკითხის გამო. ამ უთანხმოებას თავისი ეტაპები ჰქონდა: იგი 1908 წლიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე და გარკვეული აზრით თვით 1918 წლის 26 მაისამდე გრძელდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უთანხმოება ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ მიმდინარეობაში ეროვნულ საკითხში ქართველ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის არსებული დაპირისპირების ფონზე ვითარდებოდა და ძალზე ართულებდა პრობლემის არსში გარკვევას. თუ უთანხმოებას ქართველ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ფაქტობრივად დოგმატური ხასიათი ჰქონდა და იგი ეროვნულ საკითხში რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებული უთანხმოების გამოხატულებას წარმოადგენდა, უთანხმოება თვით ქართველ მენშევიკებს შორის არ იყო დოგმატური ხასიათისა. ეს უთანხმოება უნდა განვიხილოთ როგორც ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შემადგენელი ნაწილი. ქართველი ბოლშევიკებისათვის ეროვნულ საკითხში ამოსავალი იყო ი. სტალინის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (1913 წ.), ვ. ლენინის „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“ (1913 წ.) და „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ (1914 წ.). რუს მენშევიკებს ეროვნულ საკითხში აღიარებული ავტორიტეტი არ ჰყოლიათ, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ ქართველი მენშევიკები. სწორედ ამიტომ ქართველი მენშევიკები ეყრდნობოდნენ რ. შპრინგერის, ო. ბაუერის, კ. კაუცკის ნაშრომებს, თუმცა ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი და სხვები ნაკლებად იზღუდებოდნენ ხსენებული ავტორების ნაშრომებში წამოყენებული დებულებებით, მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველოში ეროვნული საკითხის გადაჭრის გზებს ეძიებდნენ. ამ შემთხვევაში მათ ევროპის ქვეყნების მხოლოდ გამოცდილება აინტერესებდათ.

1907 წელს გამოიცა ირაკლი წერეთლის მცირე ფორმატის წიგნი „ისტორიული წერილები“.[66] წიგნაში განზოგადებულია წინა წლებში ავტორის მიერ ეროვნულ საკითხზე გამოთქმული შეხედულებანი. ცნობილია, თუ რა დიდი შემართებით ებრძოდა ირაკლი წერეთელი გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე არჩილ ჯორჯაძეს, ქართულ სოციალისტ-ფედერალის-

ტებს, საერთო ნიადაგის თეორიას. ირ. წერეთელს პოზიცია არც შემდეგ წლებში შეუცვლია. თუ ნ. ჟორდანია საქართველოს ავტონომიის იდეის და საერთოდ ა. ჯორჯაძის შეხედულებების კრიტიკას მაინც ზომიერების ფარგლებში აწარმოებდა, ირ. წერეთელი აშკარად აგდებით ეკიდება საქართველოს ავტონომიის იდეას, უფრო ზუსტად, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების შეხედულებას საქართველოს ავტონომიაზე. მოვიტანთ რამდენიმე ამონაწერს ირაკლი წერეთლის „ისტორიული წერილებიდან“:

1) „ასეთი გახლავთ ჩვენი ინტელიგენციის (იგულისხმება ფედერალისტი ინტელიგენტები — მ. ვ.) განვითარების უკანასკნელ საფეხური.

ჩვენ განვიხილეთ ამ განვითარების მოკლე, მაგრამ ბრწყინვალე ისტორია. ვნახეთ, რა დიდი ჭაპან წყვეტა განიცადა ინტელიგენციამ; მან ფეოდალური სახე ბურჟუაზიულათ იცვალა, ბურჟუაზიული სოციალისტურათ, მაგრამ ყველა ამ ცვლილებაში, საერთო არეც დარეჩიდან ერთი „წმიდათა წმიდა“ რაინდულათ, შეუბღალავათ გამოიტანა. ეს მისი მუდმივი, შეუდრეკელი ლტოლვილება იყო და არის ლტოლვილება ეროვნული ავტონომიისადმი“;

2) „რას წარმოადგენს ეს ნანატრი ავტონომია? არის ეს მოთხოვნა ყველა რუსეთში მცხოვრებ ერის სრულ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ გათანასწორებისა? მოთხოვნა ყველა ერისათვის (და მაშასადამე ქართველისათვისაც) სამშობლო ენის თავისუფლათ ხმარების უფლებისა ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამოსამართლო დაწესებულებებში, და სამშობლო ენაზე განათლების მიღების უფლებისა? არა. ეს მოთხოვნილებები, რომლების დაუკმაყოფილებლად ხალხის შეუფერხებელი განვითარება მართლა შეუძლებელი არის, ჩვენ სწორეთ იმ სოც.-დემოკრატიის პროგრამიდან ამოვიწერეთ, რომელსაც ქართველი ნაციონალისტები (ფედერალისტები — მ. ვ.) ისეთის გაშმაგებით ებრძვიან ეროვნულ ავტონომიის სახელით“;

3) „ფედერალისტების ავტონომია სულ სხვა მიზნისათვის არის დანიშნული. „საქართველო ქართველებისათვის“ — აი მოკლეთ მათი ეროვნული მოთხოვნილების შინაარსი. ისტორიულ საქართველოს საზღვრებში, სადაც ქართველებში 20% მეტი არა ქართველი არის არეული, მათ სურთ ქართული ენა, ქართული სამართალი, ქართული კანონი გაამეფონ ყველა მცხოვრებლებისათვის. ეროვნული თანასწორობა კი არა, ეროვნული პირველობა სურთ მათ ქართველებისათვის საქართველოს საზღვრებში“.[67]

ზემოთ მოტანილი ამონაწერებიდან აშკარაა, რომ ირაკლი წერეთელი კოსმოპოლიტიზმის ტყვეობაშია, ეროვნულ ნიჰილიზმში იგი ნოე ჟორდანიაზე გაცილებით შორს მიდის.

კიდეე უფრო შორის შეტოპა ირ. წერეთელმა გაზეთ „ცხოვრების სარკეში“ გამოქვეყნებულ წერილში. ირ. წერეთელი აღნიშნავს: „საქართველოს ნაციონალური ავტონომია, რა გინდ დემოკრატიული იყოს, იგი წარმოადგენს ქართულ ნაციონალიზმის დიდებულ გამარჯვებას და ამიერკავკასიის ერთა შორის ნაციონალური ბრძოლის დაკანონებას“.[68] სხვა წერილში ირ. წერეთელი აღნიშნავს, რომ სოციალისტ-ფედერალისტების მიერ ავტონომიის იდეის წამოყენება იგივეა, რაც მისწარფება „ქართველობის გაბატონებულ კლასების მმართველ კლასად გამოცხადება, ხოლო ამ კლასების პრინციპი კი სხვა ნაციის წინააღმდეგ გალაშქრება, სხვა მასზე უფრო სუსტი ნაციის დევნა“.[69] თუმცა ირ. წერეთელი დეკლარაციული განცხადებებით კმაყოფილდება და ფაქტობრივად არაფერს არ ამტკიცებს, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა — ირ. წერეთელი გამოხატავდა ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობის შეხედულებას. მალე ნოე ჟორდანიამაც მკვეთრად გამოკვეთილი უარყოფითი პოზიცია დაიკავა საქართველოს ავტონომიის იდეის მიმართ. თუ 1904 წელსა და შემდეგ 1905-1907 წლებში ნ. ჟორდანია ავტონომიის იდეის კრიტიკისას გარკვეულ ზომიერებას იცავდა, 1908 წლიდან მან, შეიძლება ითქვას, ზომიერების გრძნობა დაჰკარგა. 1908 წელს გამოქვეყნდა ნ. ჟორდანიას წერილები სათაურით „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, რომელიც იმავე წელს ცალკე გამოცემად გამოვიდა.[70] ნ. ჟორდანია ნაშრომის დასაწყისშივე კატეგორიულად აცხადებს: „არც ერთ ხალხს ისე ნაკლებათ არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ ხალხს“.[71] უფრო მეტიც, როგორც ნ. ჟორდანია წერს, XX საუკუნის დამდეგს ქართველმა ინტელიგენციამ სცადა ეროვნული გრძნობის შეტანა ქართველ ხალხში, მაგრამ ამაოდ: „ნაციონალური დროშა ხალხმა ერთი დაკვრით უარყო და მის ალაგას ააფრიალა ინტერნაციონალური დროშა“.[72] ნ. ჟორდანიას აზრით, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ვერ გახდა პოპულარული სოციალისტ-ფედერალისტების (ა. ჯორჯაძე) მიერ წამოყენებული საქართველოს ავტონომიის იდეა: „ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინეთ, და რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდო — ის მაინც მას ხონჩიანა შორს აგდებს. საქართველოს ავტონომიაში ხალხმა დაინახა იგივე ანტირუსული და ანტისომხური მიმდინარეობა, რომელიც წინეთაც იყო ჩვენში და რაც მან კაი ხანია დაგმო“.[73] ეხება რა საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყებას, ნ. ჟორდანია წერს: „ის ქართული ნაციონალიზმი, რომელიც აშენებულია წარსულის ქებაზე და აწყმოს ძაგებაზე მომდინარეობს დაცემული ფეოდალებისაგან, ეს ამათი იდეოლოგია იყო გასული საუკუნის პირველ მეოთხედში. ეს მაშინდელი

მებრძოლი ნაციონალიზმი შემდეგ ჩამოქვეითდა ლიტერატურულ ნაციონალიზმამდის".[74] ნ. ჟორდანიას ვერც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არსებობა წარმოუდგენია ცალკე: „კავკასიაში, ამ მრავალ ეროვნებათა ქვეყანაში, უნდა იყოს ერთი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაცია, მეტი გზა არ არის".[75] ნაშრომის ბოლოს ნ. ჟორდანია დასკვნის: „ნაციონალური ენა და კულტურა ამიერ-კავკასიის ყველა ერთა თანხმობით და ერთი-მეორის დახმარებით — აი, ჩვენი ხალხის დღევანდელი ნაციონალური თვითგამორკვევა".[76] როგორც ვხედავთ, ნაშრომში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი" ნოე ჟორდანიამ თვითონვე უარყო ის იდეები, რომელთაც იგი 1892-1903 წლებში იცავდა. უფრო მეტიც, ასე ძლიერად ეროვნული ნიჰილიზმი არ იგრძნობოდა არც 1904 წელს დაწერილ ნ. ჟორდანიას ცნობილ ნაშრომში „ქართველი ნაციონალისტები" და არც 1905-1907 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

ნ. ჟორდანიას ნაშრომმა „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი" სავსებით სამართლიანად აღაშფოთა ქართული საზოგადოებრიობა, თვით ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორისაც კი დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ნოე ჟორდანის შეხედულებანი აშკარად დაგმო ვლადიმერ დარჩიაშვილმა. ნ. ჟორდანია წერს: „როცა მე „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმის" პირველი თავი გავაგზავნე რედაქციაში დასაბეჭდათ, მე წინ და წინ ვიცოდი, რომ ლ. დ-ლი მისი თანახმა არ იქნებოდა. არ იქნებოდა იმიტომ, რომ მე წერილში ნაციონალიზმს ვგმობდი, ხოლო ის კი ამის დიდი მოტრფიალეა. როცა წერილი შენიშვნით გამოუშვა, დიდად გამიკვირდა, ვინაიდან მას ამის უფლება არ ჰქონდა... ლ. დ. რედაქციაში, სადაც ბევრი სხვებიც იყვნენ, მომტკიცებდა მე და სხვებს — რედაქციის მუშაკთ, წერილში ნაციონალური გრძნობა სასაცილოდაა აგებული, მე ნაცია არ მწამს და სხვა ასეთი".[77] როგორც ირკვევა, ორი ცნობილი სოციალ-დემოკრატის ნ. ჟორდანიასა და ვლ. დარჩიაშვილის უთანხმოებას შემთხვევითი ხასიათი არ ჰქონია. ჯერ კიდევ ნ. ჟორდანიას ნაშრომის — „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი"[78] — გამოქვეყნებამდე, ვლ. დარჩიაშვილს განზრახული ჰქონია თავისი აზრი გამოეთქვა ეროვნული საკითხის შესახებ, მაგრამ სანამ რაიმეს გამოქვეყნებას მოასწრებდა, მანამ დაიბეჭდა ნ. ჟორდანის ნაშრომი. სწორედ ამიტომ ვლ. დარჩიაშვილს საკუთარი პოზიცია ნ. ჟორდანიას ნაშრომისათვის დართული სარედაქციო შენიშვნაში გამოუთქვამს.[79] ეს შენიშვნა კი მეტად პრინციპულ ხასიათს ატარებდა. ვლ. დარჩიაშვილის აზრით, ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საკითხში რუსი სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ: „ან-ი (ნ. ჟორდანია — მ. ვ.) ერთმა ჯგუფმა იმ თავითვე ხელში აიტაცა საგოგმანებლად, მაგრამ შებოჭა გულუბრყვილო კოსმოპოლი-

ტიზმის არტახებითა".[80] ვლ. დარჩიაშვილის პირდაპირმა, მიკიბ-მოკიბვის გარეშე გაკეთებულმა შენიშვნამ ნ. ჟორდანის აღშფოთება გამოიწვია. მან შეურაცხყოფად მიიღო რუსი სოციალ-დემოკრატების გავლენის შესახებ ბრალდება.[81] ნ. ჟორდანიასა და ვლ. დარჩიაშვილის პოლემიკა იმის მანიშნებელი იყო, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ეროვნული საკითხის ირგვლივ დიდი უთანხმოება დაიწყო. როცა ენებათა ღელვა ჩაცხრა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ნ. ჟორდანია მომხდარის შესახებ თავის მემუარებში აღნიშნავდა: „ამ ხანაში (1908 წ. — მ. ვ.) მოგვევლინა ოპოზიცია მარჯვნიდან ლ. დარჩიაშვილის მეთაურობით და გამოსცეს ჟურნალი „ალიონი". ამათი მიზანი იყო ნაციონალური საკითხის წინ წამოწევა. მიზანი ჩინებული, მაგრამ საშუალება უვარგისი. მათ ასეთი პროპაგანდა უნდა ეწარმოებინათ პარტიის შიგნიდანვე, ისინი კი გაიდენ გარეთ, მოგვადგენ გარედან. ვერაფერი ნაყოფი ვერ მიიღეს".[82] ვლ. დარჩიაშვილის ოპოზიციის შეფასებაში ქართველი მენშევიკები და ბოლშევიკები თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ფ. მახარაძე ასეთ შეფასებას აძლევს ვლ. დარჩიაშვილის შესედულებებს: „ლადო დარჩიაშვილის მთავარი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრას კაპიტალისტურ ხანაში პირველ ადგილს უთმობდა. შემცდარი იყო იგი იმაშიც, როცა ფიქრობდა, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრის ნიადაგზე თითქო შესაძლებელი ყოფილიყოს ცალკე განსაკუთრებული მიმდინარეობის შექმნა მარქსიზმში. და სწორედ ასეთი იყო მისი ცდა „ალიონის" გამოცემით".[83] ვლ. დარჩიაშვილის ოპოზიციის შეფასებაში აშკარად ცდებოდნენ როგორც ქართველი მენშევიკები (ნ. ჟორდანია), ისე ქართველი ბოლშევიკები (ფ. მახარაძე). ვლ. დარჩიაშვილის ოპოზიცია და ჟურნალ „ალიონის" დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. პირველად შეირყა მონოპოლია ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ეროვნული საკითხის გააზრებაზე, პირველად გახდა სერიოზული კრიტიკის საგანი რსდმპ პროგრამის მიხედვით შემუშავებული ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკები, ბოლშევიკები) ეროვნული პროგრამა.[84]

ჟურნალი „ალიონი" 1908 წლის 11 მაისს გამოვიდა. ჟურნალის პირველსავე ნომრის სარედაქციო წერილში აღნიშნულია: „ჩვენ შეურიგებელი მტერი ვართ იმ ხელოვნურ პირობების, რომელნიც ჰბჭნიან ერთგვარ იდეურ მონასტერს, რომლის ზღუდეთა შორის სჭკნება შემოქმედებითი ნიჭი, კვდება თავისუფალი აზრი და გაბედული ინიციატივა. ერთი სიტყვით, ჩვენ ვდგევართ კრიტიკის ნიადაგზე... კარგად გვესმის, რომ ჩვენი ასეთი პოზიცია ძალიან არ მოეწონებათ იმ პირებს, რომელთაც საბოლოოდ შეუსისხლხორცებიათ აზროვნების ძველი ფორმები და მოქმედების

ძველი წეს-რიგი. ეს პირნი ჩვენს წინააღმდეგ მოურიდებლად ამხედრდებიან კიდეც“.[85] სარედაქციო წერილის ბოლოს პირდაპირაა მითითებული, თუ რის კრიტიკას აპირებდა ახლად გამოცემული ჟურნალი და მისი იდეური ხელმძღვანელი. რედაქცია საზოგადოებას ჰპირდებოდა, რომ ჟურნალი „მთელი მნიშვნელობით წამოუყენებს შესასწავლად და გადასაჭრელად იმ საკითხს, რომელიც მუშათა პარტიაში დღემდის ერთიანად დაჩრდილული და გვერდზედ მიგდებული იყო. ჩვენ ვამბობთ ნაციონალურ პრობლემაზე. ეს საჭირ-ბოროტო საკითხი არის. ეს პრობლემა კი ჩვენში თითქმის დღემდის შეუსწავლელია. და, რა თქმა უნდა, მისი გადაჭრაც პარტიის მიერ ვერ იქნებოდა სათანადო. დროა ეს დეფექტიც თავიდან მოვიშოროთ და მით უზრუნველვყოთ მუშათა საქმის ზრდა-განვითარება და ძლევა-მოსილება“.[86] ამრიგად, ქართული სოციალ-დემოკრატიაში ეროვნული საკითხის ძველ, ტრადიციულ გაგებას დაუპირისპირდა ახალი გაგება, რომელიც რსდმპ პროგრამას დროშად არ თელიდა და ცდილობდა ეროვნულ საკითხში ახალი პროგრამის შემუშავებას.

ნოე ჟორდანიასა და ვლადიმერ დარჩიაშვილის პოლემიკა ჯერ კიდევ ძალას იკრებდა, როცა ეროვნული პრობლემის შესახებ წერილების გამოქვეყნება დაიწყო აკაკი ჩხენკელმა. აკ. ჩხენკელმა მთელ რიგ საკითხებში არ გაიზიარა ნ. ჟორდანიას პოზიცია, თუმცა მისი შეხედულებანი ვლ. დარჩიაშვილისათვისაც მიუღებელი აღმოჩნდა.[87] აკ. ჩხენკელის წერილებმა, ა. ჯორჯაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, თვალსაჩინო გახადა „ის დიდი რყევა და გამოურკვეველობა“, რომელიც იმ ხანად სუფევდა ქართულ სოციალ-დემოკრატიაში. აკ. ჩხენკელმა „ის სამსახური გაუწია ეროვნულ პრობლემის გამორკვევის საქმეს, რომ ძირი გამოუთხარა ს.-დემოკრატიულ ეროვნულ პროგრამას“. უფრო ზუსტად, აკ. ჩხენკელის დიდი დამსახურება ისაა, რომ „მან შეუძლებლად სცნო ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის დაარსება“,[88] რითაც იგი დაუპირისპირდა ნ. ჟორდანიას. აკ. ჩხენკელი თვლიდა, რომ საქართველოში ისე მსჯელობდნენ ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობისა და ავტონომიის შესახებ, რომ არც ერთზე სწორი წარმოდგენა არ ჰქონდათ: „ხოლო არავინ იტეხს თავს იმაზე, თუ რას წარმოადგენს თვითეული მათგანი საქართველოს კულტურულ პირობებში. ჩვენ სახეში გვაქვს წვრილი, საშუალო, მოზრდილი თვითმმართველი ერთეული, როგორიც არის თემი, მაზრა და ოლქი. ს.-ფედერალისტი რომ ვინმემ აიძულოს გამოთქვას მისი გადაჭრილი შეხედულება ამ ხსენებულ ერთეულზე, იგი უეჭველად აკუთვნებს უკანასკნელთ მრავალ ისეთ ფუნქციებს, რომელთაც აუცილებლად გულისხმობს აგრეთვე საოლქო ფართო თვითმმართველობა. მეორეს მხრივ, ს.-დემოკრატს რომ ვინმე დაწვრილებით ალაპარაკებდეს იმავე თემაზე,

იგი უეჭველად აკუთვნებს ხსენებულ ეთრეულებს ბევრ ისეთ ფუნქციებს, რომელთაც გულისხმობს აგრეთვე ავტონომია“.[89] ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის იდეისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება აკ. ჩხენკელმა ასე გამოხატა: „როდის დავეკითხეთ ამიერკავკასიის ხალხებს, სურთ თუ არა მათ დაექვემდებარონ საოლქო დემოკრატიულ კრებას და მის აღმასრულებელ ორგანოს... სანამ ამიერკავკასიის ყველა ხალხნი არ მიეკედლებიან საოლქო თვითმმართველობას, მანამ უკანასკნელი სახვალიო გეგმათ იქნება და არა სადღეისოდ. საჭიროა გადაჭრით ითქვას ეს“.[90] აკ. ჩხენკელს სწამდა, რომ „სოციალ-დემოკრატია, რაც უფრო მეტს დაუახლოვდება ცხოვრების სიღრმეს, მით უფრო ნათლად დაინახავს ამიერ-კავკასიის ხალხების ერთი მეორისაგან ღრმა განსხვავებას და მათგან შემდგარ საოლქო თვითმართველობის უდროობას“.[91] აკ. ჩხენკელს ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის წინააღმდეგ ასეთი არგუმენტიც მოჰყავს: „როგორ გინდათ შეაგუოთ მწყემსის, კაჟიან თოფით მონადირის, მექარავნის, სირაჯის, მევახშის, კაპიტალისტის, პროლეტარის, მიწის მუშის, ბეგის, ფაფანაკიან თავად-აზნაურის, მოლასი, ტერტერასი, ზუცესის და ინტელიგენტის წარმომადგენელნი, თუ ისინი ამავე დროს სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ“.[92] აკ. ჩხენკელის აზრით, „ამიერკავკასიის საოლქო სეიმი სამწუხაროდ დღეობით „ბაბილონის გოდოლი“ გამოდგება, სადაც შეულღი თვით საქმეთ იქცევა და მოღვაწეობა არარად“.[93] რაც შეეხება ქართველ ერს, აკ. ჩხენკელს ეჭვიც კი არ ეპარება, რომ მისთვის ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობა მიუღებელი იქნება: „ქართველი ერისათვის პირდაპირ საზარალო და უხერხული იქნება, თუ სწავლა-განათლება, კულტურის დარგი საოლქო სეიმს მიენდო... ქართველებისათვის გაცილებით უკეთესია ხსენებული დარგი საიმპერიო პარლამენტს დაეკისროს, ვინემ საოლქო სეიმს. რატომ? იმიტომ, რომ მოშორებული ცენტრალიზმი გაცილებით ნაკლებ ზიანს მიაყენებდა მათ ეროვნულ აღორძინებას, ვინემ მახლობელი ცენტრალიზმი“.[94]

აკაკი ჩხენკელის წერილების საერთო აზრი ის იყო, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია ეროვნულ საკითხში სწორ გზაზე არ იდგა, მაგრამ ამაში აკ. ჩხენკელი დამნაშავედ სოციალ-დემოკრატებს კი არ თვლიდა, არამედ იდეურ მოწინააღმდეგეებს, სხვა პოლიტიკურ პარტიებს. ერთ-ერთ წერილში აკ. ჩხენკელი აღნიშნავს: „ნაციონალისტებმა ჩვენც გვავნეს რამდენადმე, რადგან ისინი ნაციონალიზმის ფორმით ათასგვარ მტკნარ უაზრობას სჩმახავენ, და ისიც მუდამ ს.-დემოკრატიის წინააღმდეგ. ჩვენ თითქო აღარ გვეხერხებოდა ნაციონალიზმზე დაკვირვება იმდენად, რამდენადაც იგი შეიცავს ფრიად სერიოზულ თანამედროვე კითხვას“.[95] თუ ერთის მხრივ აკ. ჩხენკელი მიუღებლად მიიჩნევს ამიერკავ-

კასიის საოლქო ავტონომიას, მეორე მხრივ მას ასევე მიულებლად მიაჩნია საქართველოს ავტონომიის იმ ფორმით განხორციელება, როგორც ეს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს (ა. ჯორჯაძე) წარმოედგინათ. აკ. ჩხენკელს სოციალისტ-ფედერალისტთა ავტონომიის იდეა არ მოსწონს იმიტომ, რომ „ფედერალისტთა ავტონომიური საქართველო უაღრესად ცალკე სახელმწიფოა".[96] საქართველოს ავტონომიის აკ. ჩხენკელისეული გეგმა კი, როგორც თვითონ ამბობს, „სავსებით დაფუძნებულია საიმპერიო, სახელმწიფურ, მოქალაქეობრივ კანონებზე, იგი უაღრესად თვითმართველია და პირველ ყოვლისა ასრულებს საიმპერიო კანონებს".[97] აკ. ჩხენკელი ხაზს უსვამს, რომ „საქართველოს ერთეულსაც ავტონომია დაეძახება, მაგრამ იგი არამც და არამც არ არის ფედერალისტების ავტონომია".[98] როგორც ვხედავთ, აკაკი ჩხენკელი რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს შეზღუდული ავტონომიის მომხრეა.

ამრიგად, 1908 წლისათვის ნოე ჟორდანია მთელი კატეგორიულობით აყენებდა საოლქო თვითმართველობის (ამიერკავკასიის საოლქო ავტონომიის) იდეას. ასევე კატეგორიულად აკაკი ჩხენკელი მიულებლად მიიჩნევდა ამიერკავკასიის საოლქო ავტონომიას და მის ნაცვლად საქართველოს შეზღუდული ავტონომიის იდეას უჭერდა მხარს.

ნოე ჟორდანიასა და აკაკი ჩხენკელის იდეები, ისევე როგორც რსდმპ ეროვნული პროგრამა, მიულებლად მიაჩნდა ვლადიმერ დარჩიაშვილს. ვლ. დარჩიაშვილმა სავსებით სწორად შენიშნა, რომ აკ. ჩხენკელის შეზღუდული ეტონომია (უაღრესად თვითმარველი ავტონომია) სინამდვილეში არის არა ავტონომია, არამედ ადგილობრივი თვითმართველობა. ვლ. დარჩიაშვილის აზრით, ავტონომიის ცნება გაცილებით მეტს გულისხმობდა, ვიდრე ეს აკ. ჩხენკელს წარმოედგინა: „ავტონომია უეჭველად პოლიტიკურია, ადგილობრივი თვითმართველობა კი უეჭველად ადმინისტრაციულია... ავტონომიას მინიჭებული აქვს თვითარსება სახელმწიფოს უფლება, ე. ი. კანონმდებლობა... ხოლო საკუთარი კანონები თავის თავად იგულისხმებს საკუთარ სასამართლოს და მართველობას, ასე რომ ავტონომიას აქვს სახელმწიფო უფლების ყველა ფუნქციები და ყველა ორგანოები, და აი ამიტომაც სახელმწიფო ძნელად გასარჩევი ხდება ავტონომიისაგან. აქ არსებითი განსხვავება წაშლილია".[99] აკ. ჩხენკელი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მის მიერ შემოთავაზებული ავტონომია დემოკრატიულ პრინციპებზე იქნებოდა დამყარებული. ვლ. დარჩიაშვილს კი დიდად არაფრად მიაჩნდა საქართველოს ადმინისტრაციული თვითმმართველობის (ავტონომიის) მოხელეების არჩევის უფლების დაკანონება: „რას აქნევთ არჩეულ მოხელეებს, თუ კი თვით საქმის დაწყება, გაძღოლა, მიმართულება და ხასიათი დამოკიდებულია უცხო, გარეშე

ცენტრზე, რომლის განუწყვეტელი ზრუნვაა თავის საწველ ფურად გიყოლიოთ.“[100] ვლ. დარჩიაშვილი ჯერ კიდევ ჟურნალ „ალიონის“ პერიოდიდან, ისევე როგორც შემდეგ გაზეთ „ჩვენი კვალის“ ფურცლებზე, გამოდიოდა საერთოდ ყოველგვარი ცენტრიზმის წინააღმდეგ რუსეთის სახელმწიფოებრივ მოწყობაში. გამომდინარე აქედან, იგი მხარს უჭერდა როგორც საქართველოს, ისე კავკასიის ავტონომიას, წინააღმდეგი იყო თვითმმართველობისა, რაგინდ ფართო უფლებებიც არ უნდა ჰქონოდა მას: „ნაცვლად საოლქო თვით-მართველობისა, რომელიც იგულისხმებს მხოლოდ ფართო ადმინისტრაციულ თვითმართველობას, ჩვენ ვთხოულობთ ავტონომიას, რომელიც იგულისხმებს განსაზღვრულ პოლიტიკურ თვითმართველობას. დიახ, ჩვენ ვალიარებთ კავკასიის ავტონომიის საჭიროებას“.[101] კავკასიის ავტონომიის განხორციელება აღვილი არ იყო. მას მთელი რიგი ხელისშემშლელი პირობები ელობებოდა წინ, საჭირო იყო ბევრი საკითხის პრაქტიკულად სწორად გადაჭრა. ვლადიმერ დარჩიაშვილი ამასაც ითვალისწინებდა: „ნაცია, რომელსაც არ მოეპოვება ერთიანი ტერიტორია, არამედ გაფანტულია მთელ ამ მხარეში (მაგალითად, სომხობა), ტერიტორიის მიუხედავად შეადგენს ერთს ნაციონალურ ერთეულს, რომლის ყველა ნაციონალურ-კულტურულ საქმეების შესახებ კანონმდებელია მისი საკუთარი ნაციონალური საბჭო. ხოლო ის ნაცია, რომელსაც ხსენებული ტერიტორია მოეპოვება (მაგ., ქართველობა), შეადგენს ცალკე თვითმართველ კანტონს — ერთ ნაციონალურ ტერიტორიალურ ერთეულს“.[102] ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვლადიმერ დარჩიაშვილი მომხრე იყო როგორც კულტურული ავტონომიისა, ისე ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისა. კონკრეტულად, ვლ. დარჩიაშვილის აზრით, საქართველოს უნდა მინიჭებოდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. საქართველოს ავტონომიის საკითხს რომ ეხებოდა, ვლ. დარჩიაშვილი წერდა: „საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია უნდა გავრცელდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, ყველა სოციალ-კულტურულ საქმეებზე“.[103] საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი ხალხი ცხოვრობდა. როგორი უნდა ყოფილიყო მათი უფლებანი? ამ პრობლემის გადაჭრის გზას ვლ. დარჩიაშვილი ასე სახავს: „ქართული პარლამენტის დადგენილებანი (კანონები) სულიერ კულტურის საკითხების შესახებ, რა თქმა უნდა, არ გავრცელდება იმ არა ქართველებზე, რომელნიც შევლენ თავთავიანთ ნაციონალურ ორგანიზაციებში (ნაციონალ-კულტურულ ავტონომიებში)“.[104] საერთოდ, ვლ. დარჩიაშვილს სჯეროდა, რომ „ნაციონალურ-კულტურული ავტონომია და კანტონური მოწყობილება კავკასიაში საუკეთესოდ სწყვეტს ნაციონალურ საკითხს“.[105] უფრო კონკრეტულად ამ სა-

კითხის შესახებ, სამწუხაროდ, არც ვლ. დარჩიაშვილს და არც გაზეთ „ჩვენ კვალს“ არაფერი შემოუთავაზებიათ.

ვლადიმერ დარჩიაშვილი უაღრესად საინტერესო მოვლენაა ქართული სოციალ-დემოკრატიის, საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.[106] მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ დარჩიაშვილი იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა პირველი თაობის წარმომადგენელი, მესამე დასის ერთ-ერთი დამფუძნებელი, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი, სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა და პარტიათა წინააღმდეგ უშეღავათო მებრძოლი, მას ეყო მოქალაქეობრივი გამბედაობა უარეყო ვიწრო პარტიული მოსაზრებანი და პირველად დაერღვია ეროვნული საკითხის ირგვლივ ქართულ სოციალ-დემოკრატიაში გამეფებული სიმყუდროვე, სავსაროდ, უკომპრომისოდ გაეკრიტიკებინა რსდმპ ეროვნული პროგრამა, ქართველი სოციალ-დემოკრატების (ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი) შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე. ყოველივე ეს ვლ. დარჩიაშვილმა გააკეთა ისე, რომ რსდმპ გასვლის მიუხედავად, სიკვდილამდე ერთგული დარჩა სოციალ-დემოკრატიის იდეალებისა. იგი სხვა პოლიტიკურ პარტიას არ მიჰკედლებია, თავს მუდამ სოციალ-დემოკრატად თვლიდა. ერთ-ერთ ნაშრომში ვლადიმერ დარჩიაშვილი წერდა: „დღესაც თუ მაგალითად მოხდებოდა მთელი რეჟიმის რესტავრაცია და აფეთქდებოდა სახალხო მოძრაობა, ჩვენ უმალვე თავს გავანებებდით დაწყებულ საქმეს, იქით გადავდებდით ყოველგვარ უთანხმოებას ნაციონალურ საკითხში და ერთსულოვნად შევდგებოდით როგორც ადგილობრივ, ისე მთელ რუსეთის ამხანაგებთან“.[107]

ქართულ სოციალ-დემოკრატიას რომ არ გაერიყა ვლადიმერ დარჩიაშვილი, ყურად ეღო მისი შეხედულებანი, განსაკუთრებით ეროვნული საკითხის პრიმატისა სოციალურთან შედარებით, ასევე რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის აუცილებელი დეცენტრალიზაციის შესახებ (კავკასიის ავტონომია, საქართველოს ავტონომია), ნაწილობრივ მაინც შენელდებოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის კონფრონტაცია ეროვნულ მოძრაობასთან. ეს კი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გამთლიანების საქმეში. სამწუხაროდ, ქართული სოციალ-დემოკრატია ამ გზით არ წავიდა. ჯერ-ჯერობით ქართული სოციალ-დემოკრატიის მთავარ იდეოლოგად, მათ შორის ეროვნულ საკითხშიც, ნოე ჟორდანია რჩებოდა.

1908 წლიდან დაწყებული ნოე ჟორდანია ძალზე დიდ ყურადღებას უთმობს ეროვნულ საკითხს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე იგი აქვეყნებს მრავალ ნაშრომს, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერე-

სოა: „სადაო კითხვები“ (1908 წ.),[108] „კიდევ სადაო კითხვები“ (1908 წ.),[109] „ძველი და ახალი“ (1912 წ.),[110] „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ (1913 წ.).[111]

ნოე ჟორდანიას ამ ნაშრომების: „სადაო კითხვები“, „კიდევ სადაო კითხვები“ და „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ — შეფასებისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: პირველი. ამ ნაშრომებში, განსხვავებით 1908 წელს გამოქვეყნებული ნაშრომისაგან „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, ნ. ჟორდანია არ თვლის, რომ ნაციონალიზმი უცხო და მიუღებელია ქართველი ხალხისათვის, პირიქით, იგი ცდილობს გაარკვიოს, როდის დაიწყო და რა ეტაპები გაიარა ეროვნულმა მოძრაობამ; მეორე. ნ. ჟორდანიას აბსოლუტურად მიუღებლად მიაჩნია არჩილ ჯორჯაძის მიერ წამოყენებული საქართველოს ავტონომიისა და საერთო ნიადაგის იდეა, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების მიერ ეროვნული საკითხის დაყენება და მისი გადაჭრის გზები; მესამე. ნ. ჟორდანიას საერთოდ მიუღებლად მიაჩნია საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა და მხარს უჭერს კავკასიის* ავტონომიას.

ნოე ჟორდანია, მის მიერვე წინათ გამოთქმული შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ნაშრომში „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ ამტკიცებს, რომ აუცილებელია ეროვნულ საკითხზე ფართო პროგრამის შემუშავება: „ნაციონალური კითხვის გამორკვევა და მისი დაწვრილებით გათვალისწინება მიუცილებელი საჭიროებაა ჩვენებურ პოლიტიკურ მოღვაწისათვის. ეს ერთი შეხედვით სადაო არ კი უნდა იყოს. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. მთელი რიგი ჩვენი თანამოაზრეთა არ იზიარებს ამ შეხედულებას და იცავს ძველ საერთო დეკლარაციული ხასიათის ფორმულებს აღძრულ კითხვაზე. ამ საერთო ფორმულების გარკვევა, მათში განსაზღვრული შინაარსის ჩადება და ადგილობრივ პირობათა მიხედვით პრაქტიკაში გატარება, ეს ბევრს ნაადრევად მიაჩნია. ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულება მეტად შემცდარია და იმავე დროს მავნებელიცაა.“[112] ნ. ჟორდანია არ ეთანხმება ი. სტალინს ეროვნული საკითხის ცალკე დაყენების მიზანშეუწონლობაში და იქვე იძლევა ვ. ლენინისა და ი. სტალინის შეხედულებათა დასაბუთებულ კრიტიკას. ნ. ჟორდანია წერს: „ამბობენ, რა საჭიროა ნაციონალური კითხვის წამოყენება, როცა მისი ცალკე გადაწყვეტა არ შეიძლება, ის ერთი რგოლია საერთო დემოკრატიული მოთხოვნილების და როცა დემოკრატიული წყობილება დამყარდება, ამით თავის-თავათ ნა-

---

* ნ. ჟორდანია 1914 წლამდე დაწერილ თითქმის ყველა ნაშრომში ხმარობს ხან „კავკასიას“, ხან „ამიერკავკასიას“. ამ ცნებებს ურევენ ვლ. დარჩიაშვილიც და აკ. ჩხენკელიც. იქ, სადაც ეს ავტორები ხმარობენ „კავკასიას“, ხშირად ეგულისხმება „ამიერკავკასია“ და პირიქით.

ციონალური კითხვაც გადაიჭრებაო. ეს ერთიანათ ძველი ბოლშევიკური აზროვნებაა და გასაკვირალი არ არის, როცა ახლა იმას იმეორებენ იმავე მიმართულების ძველი მიმდევრები. მარა მათ ავიწყდებათ შემდეგი: რატომ იგივე არ შეიძლება ითქვას სიტყვის თავისუფლებაზე? და საზოგადოთ რა საჭიროა სხვა და სხვა პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება, როცა ყველა ეს გადაწყდება დემოკრატიული წყობილების მოპოებით?“[113] როგორც ვხედავთ, ნ. ჟორდანია ძალზე დამაჯერებლად და ეფექტურად ამხელს ეროვნული და სოციალური საკითხის თანაფარდობის შესახებ ვ. ლენინისა და ი. სტალინის მტკიცებას — ეროვნული საკითხი სოციალურის გადაჭრით მოგვარდებაო. ნ. ჟორდანია ეროვნულ საკითხს არ უკავშირებს დემოკრატიული მოთხოვნებისათვის ბრძოლის შედეგებს. ნებსით თუ უნებლიეთ ამით ნ. ჟორდანია ვლ. დარჩიაშვილის მიერ ხუთი წლის წინათ გამოთქმულ შეხედულებას ეთანხმება.

ნოე ჟორდანია ეროვნულ საკითხს ზოგადად, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიული (მარქსისტული) მსოფლმხედველობის შუქზე განმარტავს, ეროვნულ საკითხს კლასობრივთან (სოციალურთან) შედარებით მაინც მეორადად თვლის: „საზოგადოების განსხეთქილების დედა-ბოძი ეკონომიური ხასიათისაა. კლასობრივი განსხვავება და ბრძოლა ამ ნიადაგზე მუშავდება და წარმოებს. ეს საზოგადოების ძირითადი კითხვის გადაჭრაა, მარა ამ მთავარ მოვლენას ზედ ერთვის და ხშირად ერთიანათ ფარავს სხვა უფრო ზერელე მოვლენანი, რომელთაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ ძირითად მოვლენასთან. ერთ დროს ასეთი იყო კითხვა რელიგიური“.[114] ნოე ჟორდანიას აზრით, თანამედროვე ეპოქაში რელიგიის ადგილი ეროვნულმა საკითხმა დაიკავა: „და აი დღეს, როცა რელიგიური კითხვა ჩამოშორდა სოციალურს და განმარტოვდა, მისი ალაგი დაიჭირა ნაციონალურმა კითხვამ. ახლა ეს კითხვა ხვევს ბურუსში კლასთა განსხვავებას, ფარავს ეკონომიურ ანტაგონიზმს“.[115] ამ დებულებით ნ. ჟორდანია, სამწუხაროდ, მთლიანად დაეთანხმა ვ. ლენინისა და ი. სტალინის შეხედულებას. სამაგიეროდ, ნ. ჟორდანია არ დაეთანხმა ი. სტალინს, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყებას კაპიტალიზმს კი არ უკავშირებს, არამედ გაცილებით ადრეულ პერიოდს — XIX საუკუნის პირველ მეოთხედს და ამრიგად, ამ პერიოდის აჯანყებებს (მთიულეთის, კახეთის, იმერეთის) განიხილავს როგორც ეროვნულ და არა სოციალურ მოძრაობას: „ამ მხრით რომ გავსინჯოთ ჩვენი ნაციონალური კითხვის ისტორია, დავინახავთ შემდეგს. პირველათ ეს კითხვა დადგა მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში. რუსის მთავრობის შემოსვლა და ბიუროკრატიული რეჟიმის შემოღება საზარალო შეიქნა ქართველ მოხელეთათვის, რომელთა ფეოდალური თანამდებობა გაუქმდა. მმართველ წრეებმა უცებ

დაკარგეს წინანდელი გავლენა და პატივი. მეორე მხრით ახალ მოხელეთა ბოროტ-მოქმედებამ და გაუმაძღარმა მექრთამეობამ შეავიწროვა გლეხობა და ასე მომზადდა ნიადაგი მასიური სურვილის გამოსაცხადებლათ. იწყება მთელი რიგი ნაციონალური აჯანყებებისა და მოთხოვნილებებისა".[116]

1913 წელს ნოე ჟორდანია უცვლელად იმეორებს 1908 წელს გამოთქმულ აზრს საქართველოს ავტონომიის შესახებ: „საქართველოს გამოყოფა ამიერკავკასიიდან და მისი ავტონომიურ ერთეულათ გამოცხადება ხატავს ძველ ისტორიულ საქართველოს ურთიერთობას და არა ახალს თანამედროვე მდგომარეობას".[117] საქართველოს ავტონომიის მთავარ ხელისშემშლელ პირობად ნ. ჟორდანია კავკასიის ერთიანი ეკონომიური ორგანიზმის დარღვევის შეუძლებლობას მიიჩნევს. ეკამათება რა თავის ოპონენტებს, ნ. ჟორდანია აღნიშნავს: „მეტყვიან: ავტონომიური საქართველო შექმნის საქართველოსაგან ერთ ეკონომიურ ორგანიზმსო, ე. ი. პოლიტიკური წყობილება გამოუცვლის ქვეყანას საალებ-მიცემო კალაპოტსო. ეს ერთობ პოლიტიკის ზედმეტი შეფასებაა, მისი მნიშვნელობის გაზვიადებაა".[118] ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების (რ. შპრინგერი, ო. ბაუერი) კვალობაზე ნ. ჟორდანია თვლიდა, რომ იმ ხანად რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ერებისათვის ეროვნული საკითხის გადაჭრის გზაზე აუცილებელი ნაბიჯი იყო ე. წ. კულტურულ-ეროვნული ავტონომია, რაც თუ არ მოსპობდა, შეასუსტებდა მაინც ეროვნულ ჩაგვრას.[119]

ვ. ლენინი და ი. სტალინი ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული ჩაგვრა რუსეთში მოისპობა მაშინვე, როგორც კი დემოკრატიული წყობილება დამყარდებაო. ამის მაგალითად ისინი ამერიკის შეერთებული შტატებისა და შვეიცარიის მრავალეროვან სახელმწიფოებს ასახელებდნენ. ნ. ჟორდანიამ სწორად შეაფასა ამ მტკიცების მთელი სოციალური დემაგოგია: „სტალინი ამბობს: აი დემოკრატიული შვეიცარია და ამერიკა, აქ ხომ არ არის ნაციონალური ბრძოლაო. ეს მართალია, მარა ამის მიზეზია არა მათი წყობილება, არამედ გაცილებით უფრო ღრმა გარემოება. აქ ასეთი ბრძოლა არ იყო მაშინაც, როცა დემოკრატიის ნასახიც კი არ იყო, როცა ამერიკას ინგლისი ფლობდა თავისი არისტოკრატიული წყობილებით, როცა შვეიცარიაში ოლიგარხია ბატონობდა თავისი შეუზღუდველი ბატონობით. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ცხადია: ორივე ქვეყანაში თავმოყრილი ისეთი ერები, რომელთა დედა ერნი სხვაგან ცხოვრობენ, შეადგენენ დიდ სახელმწიფოებს, ქმნიან იქ თავის ნაციონალურ კულტურას და მერე უზიარებენ მათ მონათესავე ნაწილებს".[120] ნ. ჟორდანია ი. სტალინის შეხედულებას ასეთ კომენტარს უკეთებს: „დავეთანხმოთ ერთ წუთს სტალინს და ვიკითხოთ: ამერიკული წყობილება ეგება ვერ დავიარსეთ, მაშინ ერებმა ჭამოს ერთმანეთი? ავსტრიელნი არ ფიქრობენ ამერიკული წყობი-

ლების შემოღებას ახლო მომავალში, მარა ნაციონალური ბრძოლის შესუსტებას მაინც ცდილობენ. ჩვენი ავტორი კი მათ ანუგეშებს: კულტურული ავტონომია უტოპიაა, შემოიღეთ დემოკრატიული წყობილებაო. მარა ეს რომ უფრო შეტი უტოპია იყოს, ვინემ პირველი, მაშინ? მაშინ სტალინი იტყვის: მით უარესი თქვენთვის, დეე ჭამონ ნაციებმა ერთმანეთიო! კაი ნუგეშია და კაი გადაწყვეტა კითხვის!"[121] ასე შესანიშნავად ამხილა ნ. ჟორდანიამ ბოლშევიკების ეროვნული პროგრამა, კერძოდ პროგრამის ის ნაწილი, რომელიც ეროვნული საკითხის გადაჭრის გზებს ეხებოდა.

ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საკითხზე საკუთარი შეხედულებანი მოკლედ, მაგრამ პროგრამულად ჩამოაყალიბა 1912 წელს გაზეთ „ჩვენ ცხოვრებაში" დაბეჭდილ ნაშრომში „ძველი და ახალი", რომელიც იმავე წელს ცალკე გამოცემებად გამოვიდა ქუთაისში ქართულ ენაზე, ხოლო ბაქოში — რუსულად.

ნოე ჟორდანია საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას ნაციონალისტურ უწოდებს და აცხადებს: „ჩვენ თავიდანვე კავკასიის თვითმართველ ერთეულის ნიადაგზე დავდექით და ყოველივე კუთხური გამოცალკევება უარვყავით. ჩვენ დღესაც ამ აზრს ვადგევართ და რაც დრო მიდის, მას მეტი საფუძველი ეძლევა".[122] საქართველოს ავტონომიის განხორციელება ნ. ჟორდანიას იმიტომ მიაჩნდა შეუძლებლად, რომ „საქართველო აღარ წარმოადგენს ერთ ეკონომიურ ერთეულს, ის მჭიდროთ დაკავშირებულია კავკასიის სხვა კუთხეებთან".[123] უფრო მეტიც, ნ. ჟორდანია მთელი კატეგორიულობით ამტკიცებდა: „ქართველობა, რომ რაიმე მანქანებით თავის საკუთარ საზღვრებში მოემწყვდეს — ერთ წელიწადსაც თავს ვერ დაირჩენს. ქართველ ხალხს აღარ ყოფნის თავისი ტერიტორია და ის მიდის სხვადასხვა მხარეს თავის სარჩენათ".[124] აქედან გამომდინარეობდა შემდეგი დასკვნაც: „კავკასიის ეკონომიური განვითარება ხდება და უნდა მოხდეს ადგილობრივი ერების ერთ ულელში შებმით, მათი საერთო ძალ-ღონით და ერთიმეორის დახმარებით, მათი იურიდიული კალაპოტი უნდა იყოს ერთი, ყველასათვის ერთნაირათ სავალდებულო და ხელის შემწყობი".[125] რუსეთის დეცენტრალიზაცია ნ. ჟორდანიას თვით რუსეთისა და მასში შემავალი ერების განვითარების აუცილებელი პირობა ჰგონია: „რუსეთის ეკონომიური განვითარება უეჭველად მოითხოვს დეცენტრალიზაციას, ე. ი. შექმნას ფართე თვითმართველ ტერიტორიებისა და მათთვის ჩაბარებას ყველა ადგილობრივ საქმეების. ფინლანდია რომ პეტერბურგიდან ყოფილიყო დამოკიდებული თავის შინაგან საქმეებში — განა ასეთ მაღალ კულტურას მიაღწევდა?"[126]

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აკ. ჩხენკელმა მიუღებლად მიიჩნია სოციალისტ-ფედერალისტების მიერ წამოყენებული საქართველოს ავტონომიის იდეის განხორციელება იმის გამო, რომ იგი ძალზე ფართო ხასიათისა იყო. თვითონ აკ. ჩხენკელის მიერ შემოთავაზებული ავტონომია, მისივე თქმით, გაცილებით შეზღუდული და აქედან გამომდინარე, უფრო მისაღები იყო. პოლემიკაში ჩაერია ვლ. დარჩიაშვილი, რომელმაც ფაქტობრივად ა. ჯორჯაძისა და ფედერალისტების მხარე დაიჭირა, ე. ი. წამოაყენა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა უაღრესად ფართო გაგებით. ნ. ჟორდანია, რომელიც უარყოფითად უყურებდა საქართველოს ავტონომიის იდეას, მხარს უჭერდა კავკასიის (ამიერკავკასიის) ავტონომიას, უფრო ზუსტად, საოლქო თვითმმართველობას. ნ. ჟორდანია ძალზე ერიდებოდა სიტყვა „ავტონომიის“ ხმარებასაც კი. იგი, როგორც ჩანს, საკმაო განსხვავებასაც ხედავდა „ავტონომიასა“ და „თვითმართველობას“ შორის. ნ. ჟორდანიას კავკასიის საოლქო თვითმმართველობის კომპეტენციაზე თავისი წარმოდგენა ჰქონდა: „კავკასიის ცენტრის საქმეა ადგილობრივი კანონმდებლობა, ე. ი. გამოცემა ისეთი კანონების, რომელთა საგანი იქნება ადგილობრივი ტერიტორიის გამოყენება, მისი მოვლა-პატრონობა და ქვეყნის ნივთიერი აყვავება“.[127] რაც შეეხება რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას, მისი კომპეტენცია ნ. ჟორდანიას ასე წარმოედგინა: „რუსეთის ცენტრის საქმეა სამოქალაქო და სისხლის სამართლის დებულებათა შემუშავება და ერთი უფლებრივი ნორმის შექმნა რუსეთის ყველა მოქალაქისათვის“.[128]

კავკასია, რომლის საოლქო თვითმართველობასაც ნოე ჟორდანია ითხოვდა, არ წარმოადგენდა ეთნიკურად ერთგვაროვან მხარეს, რაც დიდ სირთულეებს უქმნიდა საოლქო თვითმართველობის განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა, დგებოდა კომპეტენციის საკითხი. ნ. ჟორდანია აღნიშნავს: „ჩვენი მიზანია კავკასია თუ ამიერ-კავკასია გამოცხადდეს ისეთ თვითმართველ ერთეულათ, სადაც ყველა ადგილობრივი საერთო ხასიათის კითხვები წყდება ყველა ერთ საერთო წარმომადგენლობით, ხოლო თვითოეული ერის ნაციონალური კითხვები — თვითოეული ერის წარმომადგენლობით“.[129] ნ. ჟორდანია საგანგებოდ ეხება ენის საკითხს და აღნიშნავს: „ყველა სფეროში ადამიანის ბუნებრივი ენაა — დედა-ენა. ყოველნაირი ძალდატანება ამ მხრით სჩაგრავს არა მარტო დედა ენას, არამედ ფართე მასის მრავალნაირ ინტერესებს“.[130] საკმაოდ სწორად დაასკვნის ნ. ჟორდანია, რომ „ენის კითხვასთან შეკავშირებულია აგრეთვე მართლმსაჯულება“, ხოლო „ქართული მართლმსაჯულება მოითხოვს ქართულ იურისპუდენციას“.[131] ეს კი იმ დროისათვის ძალზე პროგრესული მოთხოვნა იყო.

და ბოლოს, ნოე ჟორდანია ათეისტია, მაგრამ აუცილებლად თელის ეკლესიის დაცვას: „რაკი ეკლესია არსებობს, ის შეიწროვებას და დევნას ალარ უნდა განიცდიდეს“.[132]

ასეთი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ეროვნული პროგრამა 1907-1914 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობის (ნ. ჟორდანია, ვლ. დარჩიაშვილი, აკ. ჩხენკელი) ეროვნულ პროგრამას მთელ რიგ პროგრესულ დასკვნებთან ერთად აშკარად ეტყობოდა ზოგიერთი შეზღუდულობა, კერძოდ დაპირისპირება ეროვნულ მოძრაობასთან, მთლიანობაში ალებული, რუსეთის იმპერიის მასშტაბით, რუს მენშევიკთა და ბოლშევიკთა შეხედულებებთან მიმართებაში, ქართველი მენშევიკების ეროვნული პროგრამა უცილობლად პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

* * *

ასეთი იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობის ძირითადი მომენტები რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე (1907-1914 წწ.). ეს იყო უაღრესად რთული და ამავე დროს საინტერესო პერიოდი ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. ამ პერიოდში მოხდა მკვეთრი ზღვარის გავლება ქართული სოციალ-დემოკრატიის ორ მიმდინარეობას — მენშევიკურ და ბოლშევიკურ მიმდინარეობას შორის. ბოლშევიკების 1912 წლის იანვრის (პრალის) პარტიულმა კონფერენციამ და მენშევიკების 1912 წლის აგვისტოს (ვენის) პარტიულმა კონფერენციამ ნათელი გახადა, რომ მენშევიზმისა და ბოლშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის შერიგება შეუძლებელი იყო, ყოველგვარ გაერთიანებას ზერელე და ფორმალური ხასიათი ექნებოდა. კიდევ უფრო ღრმა იყო უთანხმოება ქართველ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის. უმთავრესი ამ უთანხმოებაში ის იყო, რომ ქართველი მენშევიკები სულ უფრო დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ეროვნული საკითხით, სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობდნენ არა ზოგადსაკაცობრიო საკითხებს, არა სოციალიზმის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლას, არამედ კონკრეტულად საქართველოს, ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობა ეროვნული პროგრამის შემუშავების დროს ერთ აზრამდე ვერ მივიდა, მთლიანობაში ალებული, მისი ცნობილი წარმომადგენლების (ნ. ჟორდა-

ნია, ვლ. დარჩიაშვილი, აკ. ჩხენკელი) სახით იგი დიდად უწყობდა ხელს საქართველოს გადარჩენის გზების ძიებას.

§3. ქართული სოციალ-დემოკრატია პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914-1917 წწ.).

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ძირეულად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა განლაგება მეომარ ქვეყნებში და მათ შორის რუსეთშიც. რუსეთის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ გამოხატა დამოკიდებულება დაწყებული ომისადმი. რუსი ბოლშევიკები აშკარად პორაჟენცულ პლატფორმაზე დადგნენ — გერმანიის მიერ რუსეთის დამარცხებას ქვეყანაში რევოლუციის დაწყება უნდა მოჰყოლოდა, — ასეთი იყო ბოლშევიკური პლატფორმის არსი. რუსი მენშევიკებიც, ომის პირველ ხანებში, თუმცა არა აშკარად, მაგრამ მაინც პორაჟენცულ განწყობილებას ამჟღავნებდნენ. ცოტა მოგვიანებით მენშევიკებმა ობორონცობას დაუჭირეს მხარი — სამშობლოს დაცვა და ომის გამარჯვებამდე მიყვანა აღიარეს პარტიის მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად. ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ მიმდინარეობაში ომისადმი დამოკიდებულების საკითხმა დიდი პოლემიკა გამოიწვია. ამ პრობლემის მიმართ ერთიანი პოზიციის შემუშავების მიზნით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები მას შემდეგ, რაც 1914 წლის აგვისტოში ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა ნოე ჟორდანია. 1914 წლის აგვისტოში თბილისში გაიმართა რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტისა და რსდმპ თბილისის კომიტეტის გაერთიანებული სხდომა. სხდომის მონაწილეთა აზრი ორად გაიყო. ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და სხვები თვლიდნენ, რომ გერმანიის გამარჯვება საფრანგეთზე ნიშნავდა პროგრესის გამარჯვებას რეაქციაზე. ამრიგად, ქართველი სოციალ-დემოკრატების ნაწილი გერმანოფილურ პოზიციაზე დადგა, გერმანიის გამარჯვებას უკავშირებდა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლას. ქართველი სოციალ-დემოკრატების მეორე ნაწილი ნოე ჟორდანიას მეთაურობით თვლიდა, რომ სოციალიზმისა და დემოკრატიის ინტერესებიდან გამომდინარე სასურველი იყო როგორც გერმანიის, ისე რუსეთის დამარცხება. სხდომის უმრავლესობამ არ გაიზიარა ნ. ჟორდანიას შეხედულება. ხანგრძლივი დისკუსიის მიუხედავად, საერთო პლატფორმის შემუშავება არ მოხერხდა.[133]

ომისადმი დამოკიდებულების გარკვევა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ 1914 წლის აგვისტოს ბოლოს ბაკურიანში გაიმართა თბილისის, ბაქოს, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ჭიათურის, გურიის, სამეგრელოს, სამტრედიისა და ხაშურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლების კონფერენცია. სხვა საკითხებთან ერთად კონფერენციაზე იმსჯელეს ომისადმი დამოკიდებულების შესახებ. მიღწეულ შეთანხმებაში აღნიშნული იყო შემდეგი: „ომი სრულებითაც არ შეადგენს რუსეთის დემოკრატიის ინტერესებს, იგი დაიწყო რევოლუციის აჩრდილით შეშინებულმა მეფის მთავრობამ, რათა ამ გზით აიცილოს ხალხის რისხვა თავიდან. ამ მიზნით ის ღვრის ხალხის სისხლს და ხარჯავს ხალხის ქონებას. ამიტომ ხალხმა ომს ომი გამოუცხადოს და მიზნათ თვითმპყრობელობის დაცემა უნდა დაისახოს და სხვა“.[134] ქართველი ერის ამოცანები კონფერენციამ ასე განსაზღვრა: „არ დაეკერებია მას არც ერთი მებრძოლი მხარის დაპირება განთავისუფლების შესახებ, არ მიეღო ომში არავის სასარგებლოთ მონაწილეობა და დაეცვა სასტიკი ნეიტრალიტეტი“.[135] ბაკურიანში გამართული კონფერენციის შემდეგ ომისადმი დამოკიდებულების ტაქტიკა კვლავ დაადასტურა 1914 წლის ნოემბერში თბილისში გამართულმა თათბირმა. ეს საკითხი იხილებოდა 1914 წელსვე ქუთაისში, გურიაში და სხვა ადგილებში გამართულ თათბირებზე.[136]

ნოე ჟორდანიამ სცადა თავისი ანტიგერმანული შეხედულებების პროპაგანდა პრესაში. გამოქვეყნდა კიდეც მისი წერილები სათაურით „ომი და ზავი“, რომელსაც მაშინვე პოლემიკაც მოჰყვა.[137] მალე ნ. ჟორდანიას წერილები სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთებმა აღარ დაბეჭდეს. ამის საპასუხოდ ნ. ჟორდანიას მომხრეებმა გრ. ურატაძის მეთაურობით ქუთაისში გამოსცეს გაზეთ „ახალი კვალის“ რამდენიმე ნომერი. რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტმა გაზეთ „ახალი კვალის“ გამოცემა აკრძალა. გაზეთის აკრძალვის შემდეგ პოლემიკაც შეწყდა. ნ. ჟორდანია უმრავლესობის ნებას დაემორჩილა.[138]

ომის პირობებში ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობის ტაქტიკა ნათლად გამოიკვეთა მიხაკო წერეთელსა და ნოე ჟორდანის შორის 1914 წელს გამართული მოლაპარაკების დროს. მ. წერეთელმა გერმანიაში დაარსებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სახელით ნ. ჟორდანიას შესთავაზა გერმანია-ოსმალეთის დახმარებით საქართველოს განთავისუფლებისათვის საერთო მოქმედების დაწყება. ნ. ჟორდანია იგონებს: „მე კატეგორიული უარი უთხარი ასეთი მუშაობის დაშვებაზე. ავუხსენი: ჩვენ ომს არ ვაწარმოებთ, არც ერთ კოალიციაში არ ვიმყოფებით“.[139] ნ. ჟორდანიას არც ის დაუმალავს, რომ

ქართულ სოციალ-დემოკრატიაში და საერთოდ საქართველოში გერმანოფილური განწყობილება სჭარბობდა, „მაგრამ აჯანყების მომხრე მათგან არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს."[140] იმ პერიოდში ნ. ჟორდანიას მტკიცედ სწამდა, რომ „საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ (საქართველოს განთავისუფლება — მ. ვ.) და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ ემუქრებოდა. ყოველნაირი ავანტურა, საეგებიო ნაბიჯები ჩვენი მუშაობიდან უნდა ყოფილიყო ამოგდებული".[141] ნ. ჟორდანიას პოზიცია გაპირობებული იყო იმითაც, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიაში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების გზების შესახებ სერიოზულ მსჯელობას იმ დროისათვის ადგილი არ ჰქონია: „ამ დროს დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ ჩვენ კიდევ არ გვქონდა პარტიული აზრი, საერთო გადაწყვეტილება".[142]

1915 წლისათვის ნოე ჟორდანიამ კიდევ ერთხელ გარკვევით დაადასტურა, რომ იგი საქართველოს ბედს არ უკავშირებდა გერმანიის მიერ რუსეთის დამარცხებას. ბოლშევიკებმა ნ. ჟორდანიას ეს პოზიცია ობორონცობად მონათლეს და მას ბრალი დასდეს რუსეთის იმპერიალიზმის ინტერესების დაცვაში. 1915 წელს პარიზში რუსულ ენაზე გამოვიდა სტატიების კრებული „ომი". კრებულში გ. ვ. პლეხანოვისა და გ. ა. ალექსინსკის სტატიების გვერდით დაიბეჭდა ცნობილი ქართველი მენშევიკის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის (კ. კახელის) სტატია „ომი და კავკასიის სოციალ-დემოკრატია". კ. ანდრონიკაშვილი იცავდა ნ. ჟორდანიას შეხედულებებს ომის შესახებ. ნ. ჟორდანიასა და კ. ანდრონიკაშვილის წერილებმა რუსი ბოლშევიკების და კერძოდ ვ. ლენინის დიდი აღშფოთება გამოიწვიეს.[143] ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობის დამოკიდებულება ომისადმი იცვლება 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ.

მთელ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას საქართველოსა და მთელი კავკასიის მასშტაბით პირველი მსოფლიო ომის წლებში ხელმძღვანელობდა რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი. საქართველოში აქტიურ პარტიულ საქმიანობას ეწეოდნენ ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, გრიგოლ ურატაძე და სხვები. ომის დაწყების შემდეგ პარტიული მუშაობის გააქტიურება სცადეს ქართველმა ბოლშევიკებმა. 1915 წლის ივლისის ბოლოსათვის მათ მოახერხეს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრის აღდგენა.[144] 1915 წლის 4 ოქტომბერს ბაქოში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირი. თათბირს დაესწრნენ ბაქოს, თბილისისა და ქუთაისის ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირმა ორი დღე იმუშავა. არ-

ჩეულ იქნა რსდმპ კავკასიის ბიურო — კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელი ცენტრი. ბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, ი. ფიოლეტოვი და სხვები.[143]

ქართველ ბოლშევიკებს, ისევე როგორც 1907-1914 წლებში, მსოფლიო ომის პერიოდშიც დამოუკიდებელი, უფრო მეტიც, რუსი ბოლშევიკებისაგან ოდნავ განსხვავებული სტრატეგია და ტაქტიკაც კი არ ჰქონიათ. ისინი მხოლოდ ვ. ლენინის შეხედულებების პროპაგანდით კმაყოფილდებოდნენ, მთელი ძალებით ცდილობდნენ ნოე ჟორდანიასა და მისი თანამოაზრეების ბლოკირებას. ქართველ ბოლშევიკთა ძალები იმდენად სუსტი იყო, რომ მათ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს, თითქმის ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

პირველი მსოფლიო ომის წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიის შენშევიკური მიმდინარეობის მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხმა. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი მთელი სისრულით დაისვა 1916 წელს, რაც გაპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: პირველი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების გზების ძიება, ერთი აზრი კი ამ საკითხის შესაბებ არ არსებობდა; მეორე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვ. ვილსონის 1916 წლის 21 დეკემბრის დეკლარაციამ, რომლის ერთი მუხლიც ჩაგრულ ერთა განთავისუფლებას მოითხოვდა, დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ სოციალ-დემოკრატთა პოზიციის განსაზღვრა. ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთი ჯგუფი ნოე რამიშვილის ხელმძღვანელობით თვლიდა, რომ უკვე დადგა დრო სოციალ-დემოკრატიულ პრესაში დაწყებულიყო პროპაგანდა საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. ნ. რამიშვილის შეხედულებას არ იზიარებდა ნოე ჟორდანია, რომელიც მის თანამოაზრეებთან ერთად თვლიდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი საიდუმლოდ უნდა შენახულიყო პარტიის შიგნით, რადგან მისი საჯარო პროპაგანდა ომის პირობებში რუსეთის მხრიდან საპასუხო რეაქციას გამოიწვევდა.[146] საკითხი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, სწორედ ამიტომ 1916 წლის დეკემბერში თბილისში გაიმართა საგანგებო შეკრება, რომელსაც დაესწრნენ ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატები: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, სილიბიტრო ჯიბლაძე და სხვები.[147] შეკრებაზე თავიანთი პოზიციები წარმოადგინეს ნოე რამიშვილმა და ნოე ჟორდანიამ. ნ. ჟორდანია არ დაეთანხმა ნ. რამიშვილს და თავისი გამოსვლისას დაასკვნა: „დამოუკიდებლობის პრინციპულათ წინააღმდეგი არც ერთი არ ვართ და ვერ ვიქნებით, საქმეა

მხოლოდ დროსა და პირობებში, ჩემის აზრით ჯერ ამის მომენტი არ დამდგარა და აჩქარებით შეიძლება ერს ვნება მოვუტანოთ“.[148] იმის გამო, რომ საკითხი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, გადაწყდა საბოლოო აზრის შესამუშავებლად საგანგებო კონფერენციის მოწვევა. თბილისის შეკრების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ქართო პარტიულ მასაში იქნა გადატანილი. დაიწყო ქართულ სოციალ-დემოკრატიაში არსებული ორი შეხედულების (ნ. ჟორდანიასი და ნ. რამიშვილისა) პროპაგანდა.[149]

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისადმი მიძღვნილი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია გაიმართა ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთის საზოგადოების სოფელ ჯონჯუათში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა თითქმის ყველა ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი. კონფერენცია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დადებითად შეხვდა. იმის გამო, რომ საკითხი ძალზე რთული და საფრთხილო იყო, გადაწყდა: საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი საფუძვლიანად შეესწავლათ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საგანგებო კონფერენციაზე გაეტანათ.[150] სოფ. ჯონჯუათის კონფერენციის შესახებ ნ. ჟორდანია იგონებს: „დიდი დავა არ ყოფილა, მთავარ საკითხზედ საერთო აზრი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ, თუ დადგა საამისო პირობები, ე. ი. რუსის ჯარი დასტოვებს ჩვენს ქვეყანას. ამ შემთხვევაში ჩვენი აქტი არც კი ჩაითვლება ვინმეს ღალატათ, პირიქით, ეს იქნება თავის დაცვის საშუალება და მებრძოლი ბანაკიდან განზე გადგომა. შეიძლება ბოლოსდაბოლოს რუსმა გაიმარჯვოს და დაბრუნდეს, ჩვენ მას მოღალატეთ, მტრის ბანაკში გადასულათ არ დაგვხვდებით“.[151] კონფერენციის მონაწილეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მხოლოდ კონფერენციის გადაწყვეტილების პროპაგანდის საკითხმა. ნ. ჟორდანია აღიშნავს: „დავა გამოიწვია მხოლოდ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებამ. ნ. რამიშვილი იცავდა მის გატანას პარტიის ფართე წრეებში და გავრცელებას. მე წინა ალუდექი ამ წინადადებას და მოვითხოვდი მის საიდუმლოთ შენახვას და მისით ხელმძღვანელობას შესაფერ მომენტში. ჩემი მოსაზრების საფუძველი იყო იგივე შიში, ვაი თუ მთავრობამ ღალატი შეგვწამოს და ხალხი დაარბიონ. რა ფორმითაც არ უნდა გადაგვეტანა ჩვენი რეზოლუცია ხალხში — ის იქნებოდა გაგებული ერთნაირათ: სოც.-დემ. პარტია გადაუდგა რუსეთს და მიემხრო გერმანიის კოალიციას. ეს ჩვენ ჩამოგვაცლიდა ყველა არაქართველ ელემენტს, ჩამოაგდებდა ეროვნულ შუალს ჩვენს რიგებში და ამავე დროს გამოიწვევდა მთავრობის რეპრესიებს ქართველების წინააღმდეგ არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე ჯარისკაცთა შორის

ფრონტზე".[152] ნ. ჟორდანიას მოსაზრებას მხარი არ დაუჭირეს ნ. რამიშვილმა და ნ. ხომერიკმა. ნ. ჟორდანია არ უარყოფს, რომ ნ. რამიშვილსა და ნ. ხომერიკს სერიოზული არგუმენტები ჰქონდათ: „ორივე ნოეს, ქონდათ, რასაკვირველია, ყურადსაღები არგუმენტები. მათი აზრით ყოველივე რეზოლუცია, რასაც მსვლელობას არ მივცემდით, მიუღებელია, ცარიელი სიტყვებია და მებრძოლ პარტიას ეს არ ეკადრებაო. თუ ხალხი არ იქნება მომზადებული, როგორ შეგვეძლება ვისარგებლოთ შესაფერი მომენტით, ვინ გამოგვყვება, დავრჩებით მარტო და პარტიასაც დავანგრევთ და სხვ."[153] საბოლოოდ მიღწეულ იქნა კომპრომისი: კონფერენციის გადაწყვეტილება საიდუმლოდ ყოფილიყო დაცული, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება მისი რეალიზაციის გზების შესახებ მომავალ კონფერენციას გამოეტანა.[154] მორიგი კონფერენციის მოწვევა აღარ გახდა საჭირო. 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში ცარიზმი დაემხო და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაც სხვა პირობებში გაგრძელდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინა ხანებში ნოე ჟორდანია ბეერს მუშაობდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე. ამ მუშაობის შედეგები თავმოყრილია მის ნაშრომში „ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში", რომელიც რევოლუციამდე იქნა დასრულებული და იხილებოდა კიდევ სხვადასხვა პარტიულ ფორუმზე, ხოლო რევოლუციის შემდეგ — 1917 წლის ოქტომბერში — თეზისების სახით მოხსენდა ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების VI ყრილობას.[155]

ნოე ჟორდანიას ნაშრომი „ნაციონალური კითხვა ამიერ-კავკასიაში" ერთგვარად ავკამებს ავტორის ნაფიქრალს ეროვნულ საკითხზე. ნ. ჟორდანია, არ ემიჯნება რა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეას, იმ ეტაპზე, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ ავტონომიისათვის ბრძოლას. ნ. ჟორდანიასათვის ამიერკავკასიის ავტონომიის რეალობად ქცევა ორი საკითხის გარკვევას მოითხოვდა: პირველი, რუსეთის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის მოწყობა და მეორე, ამიერკავკასიის ავტონომიურ ერთეულში შემავალი ერების მოწყობა ავტონომიის შიგნით. აღსანიშნავია, რომ პირველი საკითხი (რუსეთის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის მოწყობა) ნ. ჟორდანიას დაწვრილებით არ განუხილავს, არ დაუკონკრეტებია. რაც შეეხება მეორე საკითხს (ამიერკავკასიის ავტონომიაში შემავალი ერების მოწყობა), იგი ვრცლად არის წარმოდგენილი ნაშრომში. ნ. ჟორდანიასათვის ამოსავალი დებულებებია: 1) „ეროვნებათა მშვიდობიანი გამიჯვნა უნდა ეთანხმებოდეს ეკონომიურ მსვლელობას. არ არის მისაღები ისეთი წყობილება, რომელიც აღვივებს ერთა შეტაკებას, ან ანელებს მოქალაქეობრივ წინ-მსვლე-

ლობას“; 2) „დემოკრატიისათვის მისაღებია ისეთი ნაციონალური ურთიერთობა, რომელიც ეთანხმება როგორც ნაციონალური უმრავლესობის, ისე უმცირესობის ინტერესებს“; 3) „ადგილობრივი ნაციონალური კალაპოტის გამომუშავება უნდა მოხდეს დაინტერესებულ ერთა საერთო კრებაზე. რასაკვირველია, მას წინ მიუძღვის კერძო-კერძო თათბირები, მარა სავალდებულო, საკონსტიტუციო აქტები დგება მხოლოდ ერთად, საერთო თანხმობით“; 4) „ამიერ-კავკასიის ერთა ინტერესები მოითხოვს ადგილობრივ ერთა დამოკიდებულების გამომუშავება ეკუთვნოდეს საერთო ცენტრს, რომელიც ნაციათა შეთანხმებით ადგენს ძირითად აქტებს შინაური ურთიერთობისას“; 5) „ამიერ-კავკასიის პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა აშენდეს ორნაირათ: თანახმათ სააღებ-მიცემო ინტერესებისა და ერთა თანასწორობისა, ე. ი. ეკონომიურათ და ნაციონალურათ“; 6) „მართველობა, საჯარო უფლების ორგანიზაცია შეუძლებელია გარეშე ტერიტორიისა. ნაციონალური მართველობის დაწესება თხოულობს ნაციონალურ ტერიტორიას. ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის მთელი ნაციის უთუოდ ერთ მთელ ტერიტორიაზე ბინადრობა: საკმარისია ნაციის ერთ ნაწილს ჰქონდეს ფეხი მოკიდებული საკუთარ მიწა-წყალზე, რომ იქიდან იჩქეფოს ნაციონალურმა ცხოვრებამ და აპოზიციის გაბნეული, სხვა ერებში შერეული ნაწილები“; 7) „დღევანდელი ადმინისტრაციული საზღვრები (რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფა — მ. ვ.) საჭიროებულო არ არის არც ნაციონალური და არც ინტერნაციონალური ტერიტორიებისათვის“; 8) „ჩვენ ვთხოულობთ კანტონალურ წყობილებას, რომელთა ცხრა მეათედი თუ ცოტა ნაკლები იქნება ნაციონალური, ხოლო დანარჩენი ინტერნაციონალური“; 9) ჩვენ, რასაკვირველია, არ ვთხოულობთ თვითოეული ეროვნული ტერიტორია უეჭველათ ერთ თვითმართველ კანტონს წარმოადგენდეს. შესაძლებელია ის რამდენიმე კანტონათაც გაიყოს, როგორც ეს შვეიცარიაშია“; 10) „ჩვენი გეგმა წააგავს შვეიცარიის მართველობის სისტემას, გარდა ფედერაციისა. ფედერაცია ნიშნავს დამოუკიდებელ ერთეულთა ნებაყოფლობით შეერთებას; ამ გზით შედგა შვეიცარიის ფედერაცია. ჩვენში კი ასეთი დამოუკიდებელი ერთეულნი არ არსებობენ, მაშასადამე, საგანი ფედერაციისა არ მოიძებნება“; 11) „მთელი მხარე დაიყოფა კანტონებად, მეტ-ნაკლები სიერცით, ხოლო ერთნაირი კომპეტენციით. შერეულ კანტონში ხდება მართველობის გაყოფა: ტერიტორიალური საქმეები რჩება საერთო მართველობას, ხოლო კულტურული ბარდება ნაციონალურ საბჭოს“.[156] ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების მიხედვით, ამიერკავკასიის ავტონომიურ ერთეულის მოწყობა ნოე ჟორდანიას სავსებით რეალურ საქმედ მიაჩნდა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ ეთავსებოდა ერთმანეთს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აუცილებლობა, რასაც ნ. ჟორდანია სოფელ ჯონჯუათის კონფერენციაზე იცავდა და რუსეთის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის შექმნის აუცილებლობის აღიარება? ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის, ნოე ჟორდანიასათვის ამიერკავკასიის ავტონომიის იდეა წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას წინ ეღობებოდა რუსეთის უზარმაზარი იმპერიის სასიცოცხლო დაინტერესება საქართველოს შენარჩუნებით. ურთულესი პრობლემა იყო ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს ეთნიკური სიჭრელე, რაც ართულებდა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიალურ გამიჯვნას იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის იმპერიის ფაქტორი მოიხსნებოდა. ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები თავიდან ვერ იქნებოდა აუცილებული როგორც კი ამიერკავკასიის ხალხებში სახელმწიფოებრივი საზღვრების დადგენა დღის წესრიგში დადგებოდა. ნოე ჟორდანიას ეს ორი ფაქტორი (რუსეთის იმპერიის დაინტერესება საქართველოთი და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ეთნიკური სიჭრელე) აიძულებდა თავი შეეკავებინა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნისაგან მიმდინარე შსოფლიო ომის პირობებში და წამოეყენებინა გაცილებით ზომიერი მოთხოვნა — რუსეთის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ავტონომია. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ საფუძველი დაუდასტურა ნოე ჟორდანიას ეროვნული პროგრამის სისწორე.

* * *

1907-1917 წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობა საფუძვლით კანონზომიერად იქცა ქვეყნის ყველაზე ძლიერ და ორგანიზებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად. სწორედ ამ პერიოდში მოემზადნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები იმ დიდი მისიის შესასრულებლად, რომელიც მათ წარმატებით განახორციელეს 1918 წლის 26 მაისს.

თავი მეშვიდე
ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1918 წლებში

§1. ქართული სოციალ-დემოკრატია 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა პოლიტიკური ვითარება როგორც საკუთრივ რუსეთში, ისე განაპირა მხარეებში, მათ შორის კავკასიაშიც. დაინგრა უზარმაზარი იმპერია. დაპყრობილი (კოლონიური) ხალხების ეროვნული მოძრაობა ახალ სტადიაში შევიდა. გამონაკლისს არ წარმოადგენდა საქართველოც. საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები და მიმდინარეობანი ერის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში აღმოჩნდნენ. დადგა დრო, როცა ყოველ პოლიტიკურ პარტიას მიეცა საშუალება ქმედითი მონაწილეობა მიეღო ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებისათვის ბრძოლაში. პოლიტიკური პარტიები და მიმდინარეობები პოლემიკიდან და დისკუსიიდან პრაქტიკულ საქმიანობაზე უნდა გადასულიყვნენ — რეალობად ექციათ მრავალი წლის ნაფიქრალ-ნააზრევი. რუსეთის იმპერიის აღსასრულისათვის საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან და მიმდინარეობებიდან ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალას საქართველოს სოციალ-დემოკრატიის შენშევიკური მიმდინარეობა წარმოადგენდა. ეს ნათლად დადასტურდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდგომი მოვლენათა განვითარებით.

რუსეთში რევოლუციის გამარჯვების (27 თებერვალი), დროებითი მთავრობის შექმნისა (2 მარტი) და იმპერატორ ნიკოლოზ II-ის გადადგომის (3 მარტი) ამბავს კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაცია საიდუმლოდ ინახავდა. მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსის გენერალ ალექსეევისაგან 1917 წლის 28 თებერვალს მიიღო ტელეგრამა პეტროგრადში მომხდარი ამბების შესახებ. 28 თებერვალს კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწის გენერალ ორლოვის ხელმოწერით კავკასიის გუბერნატორებს დაეგზავნათ ტელეგრამა, რომელშიც მოქმედების გეგმა ასე იყო განსაზღვრული: „სიმშვიდის შენარჩუნება იმ დღის მოლოდინში, რო-

დესაც რუსეთში სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა აღდგებოდა".[1] თუმცა პეტროგრადში მიმდინარე მოვლენების დამალვა შეუძლებელი გახდა. რევოლუციის გამარჯვების ამბავი პეტროგრადიდან თბილისში კონსპირაციული წესით გადმოსცეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა კარლო ჩხეიძემ და გოგიტა ფალავამ. ტელეგრამა ასეთი შინაარსისა იყო „მთავრობაძე გარდაიცვალა, აცნობეთ ნათესავებს და ნაცნობებს".[2] 4 მარტიდან საქართველოს პრესაში დაიწყო რუსეთის რევოლუციის ამბების ფართოდ გაშუქება.

1917 წლის 4 მარტს გაზეთ „თანამედროვე აზრის" ცნობით, თბილისში დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ გამართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის აღმსრულებელი ჩოლოყაშვილი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი ნიჟარაძე, თბილისის ქალაქის თავი ხატისოვი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი. დიდი მთავარი, შეეხო რა ვითარებას კავკასიაში, ბრძანებდა: „ბაქოსა და თბილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს ... იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც კავკასიაში დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა".[3] სიმშვიდე კავკასიაში და კერძოდ თბილისში დიდხანს არ გაგრძელებულა. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თბილისიდან გაწვეულ იქნა. გუბერნატორები და მაზრის უფროსები იძულებულნი გახდნენ გადამდგარიყვნენ, ძველი ადმინისტრაცია მოიშალა. ხელისუფლებას ახალი ორგანოები — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოები დაეპატრონენ.

1917 წლის 2 მარტს ქართველი ბოლშევიკები ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით შეეცადნენ თბილისში მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნას და ძალაუფლების ხელში აღებას. ამ მიზნით მათ ქართველი მენშევიკებისაგან ფარულად მოიწვიეს კრება. კრების შესახებ სრულიად შემთხვევით გაიგო ნ. ჟორდანიამ. ფ. მახარაძემ თბილისელი მუშების კრებას მოუწოდა დაუყოვნებლივ აერჩიათ მუშათა დეპუტატების საბჭო. კრებაზე ბოლშევიკების ტაქტიკის დასაბუთებული კრიტიკით გამოვიდა ნოე ჟორდანია. მოგვიანებით ნ. ჟორდანია იგონებდა: „ავიღე სიტყვა და განვუმარტე კრებას რას ნიშნავს მუშათა საბჭო და ვინ არის მისი ამრჩეველი. აქ კი შემთხვევით მოსული თუ მოყვანილი ხალხია, მუშათა კლასს არ აურჩევია, არავინ გამოუგზავნია და ასეთ პირობებში მისი სახელით არჩევა რაიმე ორგანოსი, იქნება უზურპაცია მისი უფლების და სხვ. და სხვ. გაიმართა კამათი. აშკარა იყო ერთი მუჭა ბოლშევიკების ჩაწყობილი ამბავი, რომ ამით ხელში ჩაეგდოთ საბჭოს სახელი და ის თავზე მოეხვია ხალხისათვის. ეს საძაგელი შეთქმულება გამომჟღავნდა, დამსწრე მუშებმა

ხმა ამოიღეს, დაგმეს ეს კრება და მისი მომწვევიც, გადააყენეს ფილიპე, აირჩიეს თავის წრიდან პრეზიდიუმი. მიიღეს ჩემი წინადადება — არჩეულ იქნა საორგანიზაციო, საინიციატივო კომისია მუშათა საბჭოს არჩევის მოსაწყობათ".[4] რამდენიმე დღეში თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნები დამთავრდა. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია, მდივნად გიორგი ცინცაძე. იმავდროულად თბილისში შეიქმნა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის თავმჯდომარედ, ნოე ჟორდანიას წინადადებით, არჩეულ იქნა ესერი ჯარისკაცი ვერეშჩაკი. მას შემდეგ, რაც თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები გაერთიანდნენ, ვერეშჩაკი გახდა ნოე ჟორდანიას მოადგილე. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს მოღვაწეობაში გადამწყვეტ როლს ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) თამაშობდნენ.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭომ შექმნილ სიტუაციაში თავისი დანიშნულება ასე განმარტა:

1. „თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო თავის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას და აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა ყველა კონტრრევოლუციურ ძალებთან.

2. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მიისწრაფვის წარმართოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენები, ხელი შეუწყოს ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას ადგილობრივ, თვალყური ადევნოს მისი წარმომადგენლობის მოქმედებას და სრული დემოკრატიის დამყარების მიზნით მოახდინოს რევოლუციური ზეგაელენა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებაზე".[5]

1917 წლის 6 მარტს თბილისის მუშათა დეპუტატთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის სათათბიროსთან თანასწორი წარმომადგენლობის საფუძველზე, ქალაქის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით შემდგარიყო ადგილობრივი ხელისუფლება. 6 მარტსავე თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, სოციალ-დემოკრატების, სოციალის-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების, სოციალისტ-რევოლუციონერების, დაშნაკების, პროგრესისტების, ვაჭარ-მრეწველთა კავშირის, ამიერკავკასიის სამომხმარებლო საზოგადოების კავშირის წარმომადგენლებისაგან არჩეული იქნა თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 15 კაცის შემადგენლობით. აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნა კომისრები: ნ. ჟორდანია, ა. ხატისოვი და პოდპორუჩიკი პოპოვი. თბილისის ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნის შესახებ ა. ხატისოვმა ტელეგრაფით აცნობა ამიერკავკასიის ქალაქებს: „თბილისში საბოლოდ ჩამოყალიბდა აღმასრუ-

ლებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან მუშათა დეპუტატების საბჭოს, სათათბიროს, ხმოსნების, პროგრესული და დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, და ხელთ აღიო ადმინისტრაციული ფუნქციები. კომისრებად დანიშნული არიან... ნ. ჟორდანია, ქალაქისთავი ხატისოვი და ოფიცერი პოპოვი".[6]

თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა მარტო თბილისსა და საქართველოს, არამედ პირველ ხანებში მთელი ამიერკავკასიის მასშტაბითაც ახორციელებდა ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციას.

* * *

შექმნის დღიდან თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო (თავმჯდომარე ნოე ჟორდანია) როგორც თბილისის, ისე საქართველოს მასშტაბით ფლობდა რეალურ ძალაუფლებას. იმავდროულად რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის მიზნით შექმნა საგანგებო ორგანო — „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი),[7] რომლის შემადგენლობაში შევიდნენ კადეტები ბ. ხარლამოვი (თავმჯდომარე) და მ. პაპავჯანოვი, მუსავატი ნ. ჯაფაროვი, სოციალისტ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო სოციალ-დემოკრატმა აკ. ჩხენკელმა შეცვალა. „ოზაკომი" იყო ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უმაღლესი ორგანო და რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში.

1917 წლის 10 მარტს თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა „ოზაკომის" საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი „შემადგენლობა თავისი უმრავლესობით არ წარმოადგენს კავკასიის დემოკრატიის ინტერესების გამომხატველს".[8] აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ოზაკომის საკითხი განსახილველად გადასცემოდა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს საერთო კრებას.[9] ოზაკომის მოღვაწეობის კრიტიკით გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა". გაზეთის აზრით, ოზაკომმა არა თუ ხელუხლებელი დატოვა მეფის დროინდელი დაწესებულებები, არამედ ძველ ბიუროკრატიულ მექანიზმს კიდეც ახალი დაუმატა და საქმე არივ-დარია.[10] აშკარა გახდა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და ოზაკომის დაპირისპირება. შექმნილი სიტუაციის შესახებ ნ. ჟორდანია იგონებს: „თბილისში რამდენიმე დღეში დაირღვა მთელი პოლიციური ძალა, ჯარი-გარნიზონი გადაუდგა ძველ მთავრობას და ახალსაც შორიდან უყურებდა. ქალაქი დარჩა უპატ-

რონოთ, „ოზაკომი“ ჰაერში გამოკიდებულათ. ყოველი მხრიდან მომართავდენ ალმასკომს — დაეპატრონეთ ხელისუფლებასო“.[11] ასეთ ვითარებაში, თუ საქმე სამოქალაქო ომამდე არ მივიდა, ეს პირველ რიგში ქართველი სოციალ-დემოკრატების და კერძოდ მათი ლიდერის ნოე ჟორდანიას დამსახურება იყო. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) შეძლეს წინ აღდგმოდნენ ბოლშევიკთა ექსტრემიზს, თავიდან აიცილეს მოვლენათა ესკალაცია. ყოველივე ამაში დიდი როლი ითამაშა საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ.

თუ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების სამოღვაწეო პროგრამა ძირითადად სოციალურ-სახელმწიფოებრივი იყო, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უმთავრესად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკითხებით იყო დაკავებული. მიუხედავად ამისა, ამ ორ ორგანოს შორის მკვეთრი დაპირისპირება არ მომხდარა — მათი საერთო მიზანი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა იყო. საბჭოები, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში არ წარმოადგენდა მხოლოდ მუშებისა და გლეხების რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს, მისი სოციალური ბაზა გაცილებით ფართო იყო, ხოლო სამოღვაწეო პროგრამა — დემოკრატიული. საბჭოები საქართველოში არ მიისწრაფოდნენ ძალაუფლების დაპყრობისაკენ. თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ისინი 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის მონაპოვართა დაცვასა და განმტკიცებას თვლიდნენ. საბჭოების როლის ამგვარი გაგების შემუშავებაში დიდი როლი შეასრულეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ნოე ჟორდანიამ, აკაკი ჩხენკელმა, ნოე რამიშვილმა და სხვებმა. სწორედ ქართველი სოციალ-დემოკრატების დამსახურება იყო ის, რომ საქართველოში საბჭოებმა ერის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში დგომის პრეტენზია არ განაცხადეს და ეს ფუნქცია უმტკივნეულოდ დაუთმეს საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს, რომელმაც საბოლოოდ თავის თავზე აიღო როგორც სოციალურ-სახელმწიფოებრივი პრობლემების, ისე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრა. თუ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო და შემდეგ მისი მემკვიდრე საქართველოს ეროვნული საბჭო ჭეშმარიტ საერთო ქართულ, საერთო ეროვნულ ორგანოდ იქცა, ამაშიც გადამწყვეტი როლი ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეასრულეს. მათ ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში, ხოლო შემდეგ ეროვნულ საბჭოში არ დაუშვეს არც ზედმეტი „სოციალიზაცია“ და არც ზედმეტი „ნაციონალიზაცია“. ამის მიღწევა იმ ურთულეს ეპოქაში ადვილი არ იყო.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო შეიქმნა 1917 წლის აპრილის პირველ რიცხვებში. საქართველოს პოლიტიკურ პარტია-

თა პირველ კრებას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პარტიათა შეთანხმებას და შექმნა ინტერპარტიული საბჭო, დაესწრნენ სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენლები.[12] ინტერპარტიული საბჭო თავის პირველსავე სხდომაზე შეუდგა ეროვნული საკითხის განხილვას. საკითხი სიდიდისა და სირთულის გამო, ორ ნაწილად გაიყო: საქართველოს ტერიტორია და ეროვნული სეიმის კომპეტენცია. ინტერპარტიული საბჭოს პირველ სხდომაზე იმსჯელეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის შესახებ. საქართველოს საზღვრები თუმცა დაწვრილებით (კონკრეტულად) არ მოუხაზავთ, მაგრამ პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ტერიტორია იყოფოდა ორ ნაწილად: უდავო და სადავო ტერიტორიად. უდავო ტერიტორიად მიჩნეულ იქნა ის ტერიტორია, სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენდა, ხოლო სადავო ტერიტორიად აღიარეს პერიფერიები, ანუ ის რაიონები, სადაც ქართველები უმრავლესობას არ შეადგენდნენ. შეთანხმდნენ იმაზეც, რომ სადავო ტერიტორიის ბედი რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყვეტილიყო. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი მოსახლეობის უმრავლესობას არაქართველები შეადგენდნენ, თბილისის უდავო ტერიტორიის საზღვრებში იქნა შეტანილი. მართალია, ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე საქართველოს ტერიტორიის შესახებ საკმაოდ ვრცლად იმსჯელეს, მაგრამ გადაწყდა საკითხს კვლავ დაბრუნებოდნენ.[13]

ეროვნული საკითხის განხილვა გაგრძელდა ინტერპარტიული საბჭოს მეორე სხდომაზე 1917 წლის 16 აპრილს. სხდომას დაესწრნენ სოციალ-დემოკრატებიდან: აკ. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი, გ. ფალავა, გრ. გიორგაძე, პ. საყვარელიძე; ეროვნულ-დემოკრატებიდან: გ. გვაზავა, გ. ჟურული, დ. ვაჩნაძე, გ. ვეშაპიძე (ვეშაპელი), სპ. კედია, ბ. ასათიანი; სოციალისტ-ფედერალისტებიდან: გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, ი. ბარათაშვილი, ს. მდივანი, ს. ფირცხალავა, ს. დადიანი, შ. მესხიშვილი. კრებას აგრეთვე დაესწრნენ მ. მაჩაბელი და ვ. თუმანიშვილი. ინტერპარტიული საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა აკ. ჩხენკელი, მდივნობდა პ. საყვარელიძე. როგორც პირველ სხდომაზე, ისე მეორეზეც მომხსენებელი იყო აკაკი ჩხენკელი. შეეხო რა ეროვნული სეიმის (პარლამენტის) კომპეტენციის საკითხს, აკ. ჩხენკელმა აღნიშნა, რომ იმისათვის, რათა კამათი ნაყოფიერი იყოს, განსახილველი საკითხი შეიძლებოდა გაყოფილიყო ნაწილებად: 1) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის კომპეტენცია; 2) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დამოკიდებულება ამიერკავკასიაში არსებულ სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან; 3) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დამოკიდებულება რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან.[14] კამათის დროს გაირკვა, რომ რუსეთის

ცენტრალურ ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხში გამოიკვეთა ორი შეხედულება — უნიტარული და ფედერაციული. სოციალ-დემოკრატების პოზიცია წარმოადგინა ნოე რამიშვილმა, რომელმაც სხდომის დასასრულს განაცხადა: „ვერ გამიგია, რათ ელიან ნაკლებს ფედერატიულ წყობილების დროს, ან რატომ უნდა მოვითხოვოთ მეტი უნიტარული რესპუბლიკის დროს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რუსეთი ფედერაციამდე არ მივა. ეს იქნებოდა შეუძლებელი. ჩვენს კითხვას სამი რამ ახასიათებს: სამართალი, მართვა-გამგეობა და კანონმდებლობა. სასამართლო ადგილობრივია, მოსამართლენი არჩეული და არა დანიშნული. საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება, რაღა თქმა უნდა. როგორც პრინციპი კი უნდა იყოს ბრალდებულის ენის ხმარება, როგორც ეს განვითარებულ დემოკრატიაშია. მართვა-გამგეობა ადგილობრივ პირების ხელშია. არის სასოფლო თვითმმართველობა, სამაზრო და კანტონური გამგეობა. ცენტრი ანხორციელებს კანონებს ადგილობრივი პირების საშუალებით. უმთავრესია კანონმდებლობა. ეროვნულ-დემოკრატებმა წინათ სთქვეს ცენტრს მხოლოდ ჯარის, ფლოტის და სხვ. საქმე უნდა ეკითხებოდესო. ჩვენ გამბობთ: ცენტრის ხელში უნდა იყოს უმთავრესი კანონების გამოცემა, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, სოციალური კანონმდებლობა, სავაჭრო პოლიტიკა და სხვ. ფედერაცია რუსეთში, როგორც ვთქვით, არ მოეწყობა. ფედერაცია სადაც არის, იქაც იზღუდება. იქნება ფართო დეცენტრალიზაცია. თვით ფინლანდიაში ისმება კითხვა სავაჭრო და საბაჟო კედლების მოსპობის შესახებ. საქართველო სამეურნეო ქვეყანაა. აქ უნდა იყოს სხვანაირი სახელმწიფო, როგორც ფინლანდია. ეს იქმნება უფრო ადგილობრივი ეროვნული თვითმართველობა. ჩვენ აქ სხვა ერებთან შეუთანხმებლად ვერ ვიმოქმედებთ. მეზობლებთან დამოკიდებულებას განსაზღვრული ფორმა უნდა მიეცეს. ამიერ-კავკასიის .სეიმი აუცილებლად საჭირო იქმნება. ზოგიერთი კითხვები (გზა, არხი და სხვ.) ერთად გადასაწყვეტი ეჩნებათ აქაურ ერებს. სეიმი უთუოდ საჭიროა, თუნდაც მისი სესიები შეზღუდული და ხანმოკლე იყოს. კულტურული კითხვები ნაციონალური ერთეულის ხელში გადავა ერთიანად“.[13] საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ საბოლოოდ ერთიანი აზრი ვერ შეიმუშავა — ფედერალიზმსა და უნიტარიზმს შორის არჩევანი ვერ გაეკეთა. უდავო იყო მხოლოდ ერთი რამ: ინტერპარტიულ საბჭოში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა არ წამოუყენებიათ.

* * *

1917 წლის თებერვალ-მარტის რეოლუციის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატია ორგანიზაციულად შედიოდა რსდმპ ამიერკავკასიის მუშათა ორგანიზაციების საოლქო ორგანიზაციაში, რომელსაც სათავეში ედგა საოლქო კომიტეტი. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მენშევიკურ პლატფორმაზე იდგნენ, რუსი მენშევიკების მსგავსად, მხარი დაუჭირეს რუსეთის დროებით მთავრობას, ძირითადად მიიღეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) 1917 წლის აპრილის კონფერენციის პოლიტიკური პლატფორმა. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მიზნად დაისახეს რუსეთის რევოლუციის იდეების დამკვიდრებისათვის ბრძოლა. იმ ურთულეს ეპოქაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული საკითხის გადაჭრას ახალი ვითარების შესაბამისად, ეროვნული პროგრამის შემუშავებას. ეროვნულმა საკითხმა უმთავრესი ადგილი დაიკავა რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების VI ყრილობის მუშაობაში, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში შედგა თბილისში. ყრილობაზე ეროვნული საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ნოე ჟორდანია. იმხანად ეჭვს არ იწვევდა, რომ ამიერკავკასია რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო ავტონომიური (ფედერაციული) ერთეულის უფლებით. ნოე ჟორდანიას აზრით, ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხის გადაჭრის ერთადერთი გზა შემდეგში მდგომარეობდა: „ეროვნული საკითხის გადაჭრა ამიერ-კავკასიაში შესაძლებელია მხოლოდ ამიერ-კავკასიის საზომით, ე. ი. ამიერ-კავკასიის ყველა ერებმა უნდა გამოიმუშავონ ერთი საერთო ნაციონალური პროგრამა. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი თანამედროვე ბურჟუაზიულ ფარგლებში მინიმუმამდე შევამციროთ ეროვნებათა შორის არსებული უკმაყოფილება და შუღლი, რომელიც ხელს უწყობს პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნების დაბნელებას და ასაზრდოებს ყოველგვარ ნაციონალურ მიმართულებას“.[16] ნოე ჟორდანია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიის სამი უმთავრესი ერის — ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობის მოგვარებას: „ამიერ-კავკასიაში მოსახლეობს სამი .უმთავრესი ერი: ქართველები, სომხები და თათრები. თვითეულ ამ ერს ამიერ-კავკასიაში უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, ე. ი. მჭიდროთ დასახლებულია განსაზღვრულ სივრცეზე. ამ ფაქტის გამო, რეალურ მოსახლეობას პრინციპის ძალით, მთელი ამიერ-კავკასია ეროვნების მხრივ წარმოადგენს სამ ეროვნულ ოლქს: ქართულს, სომხურს და თათრულს“.[17] ამასთან ერთად, ნოე ჟორდანია აღიარებდა ამიერ-

კავკასიისათვის დამახასიათებელ თავისუბურებას: „ისტორიული გადასახლება-გადმოსახლება, თანამედროვე გაცვლა-გამოცვლა იწვევს ეროვნულ საზღვრების შეცვლას და აგრეთვე ხელს უწყობს ეროვნული ოაზისების წარმოშობას. ეროვნული ოლქების ასეთი შეცვლა და ეროვნული ოაზისების ამიერ-კავკასიაში ფაქტია".[18] გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ნოე ჟორდანია ალიარებდა, რომ ეროვნული საკითხი ამიერკავკასიაში უნდა გადაიჭრას ტერიტორიალურ და კულტურულ პრინციპების მიხედვით: „თვითეულ ეროვნულ ოლქს, რომელიც მჭიდროთ არის დასახლებული განსაზღვრული ერით, კულტურულათ უნდა შეუკავშირდეს ეროვნული ოაზისები".[19] ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხის გადაჭრის ზოგადი პრინციპები ნოე ჟორდანიას ასე წარმოედგინა: „თვითეულ ნაციონალურ ერთეულს ეძლევა თვითმართველობის უფლება, ე. ი. ადგილობრივ ორგანოების შექმნის უფლება, რომლებსაც სახელმწიფო აკისრებს სახელმწიფო მართველობის განსაზღვრულ საქმეების განხორციელებას და რომლებსაც მართვა-გამგეობის უფლება აქვთ სახელმწიფოს დავალებით. სახელმწიფო მართველობის ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ სახელმწიფობისაგან დაკისრებული საჯარო უფლებრივი ინტერესები, და ამ სფეროში იგი ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით ანხორციელებს მართვა-გამგეობის ფუნქციებს, მაგრამ არა საკუთარ დამოუკიდებელ მართველობის უფლებით, როგორც ეს ხდება სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოს დავალებით".[20] რუსეთის სახელმწიფოს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების, ამიერკავკასიის ავტონომიური (ფედერაციული) ერთეულისა და ეროვნული (ქართული, სომხური და აზერბაიჯანული) თვითმართველობის კომპეტენციის საკითხზე ნოე ჟორდანია საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება. ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების კომპეტენციას მისი აზრით უნდა მიეკუთვნებოდეს:

„1) მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის უფლება სამოქალაქო, სავაჭრო, სათამასუქო, საკრედიტო და სისხლის სამართლის სფეროში;

2) ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის უფლება;

3) ზემოთდასახელებულ ზოგად რესპუბლიკურ საკითხების შესახებ კანონების ახსნა-განმარტების უფლება;

4) ძირითად, მუშათა და აგრარულ კანონმდელობის უფლება;

5) საერთო გადასახადების სისტემის, საზომისა და წონის დაწესების უფლება;

6) ფულის მოჭრისა და ქაღალდის ფულის გამოცემის უფლება;

7) ომის გამოცხადების და ზავის შეკვრის უფლება;

8) საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება;

9) ჩილიციისა და ფლოტის მოწყობა და მათი გამგებლობა;

10) ზოგად-სახელმწიფო და სტრატეგიული მნიშვნელობის რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი და ამ დარგების საერთო წესების დამყარება;

11) გადასახადების საერთო სისტემით აკრეფილი ფინანსები საერთო შედის რესპუბლიკის ხაზინაში:

12) იმ ხარჯების დაფარვა, რომელიც გამოწვეულია თვითმართველობის ორგანოების მიერ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეების შესრულებით".[21]

ნოე ჟორდანია დაწვრილებით ჩამოთვლის ეროვნული თვითმართველობის კომპეტენციაში შემავალ უფლებებს. მეტი სიცხადისათვის ნ. ჟორდანიას თეზისებს მოვიტანთ უცვლელად:

„თვითმართველობა განაგებს

1) ყველა ადგილობრივ ეროვნულ-კულტურულ საქმეებს;

2) ეროვნულ სკოლას; იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოყოფილია ეკლესიისაგან. პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება სავალდებულოა;

3) სახლხო ჯანმრთელობა და საბითლო საქმე;

4) ადგილობრივი მნიშვნელობის ყველანაირი მიმოსვლის საშუალებები;

5) ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი;

6) ადგილობრივი სასოფლო-მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა;

7) ადგილობრივი მუშათა და აგრარული კანონმდებლობა, როგორც ძირითად რესპუბლიკანურ უფლების ამ სფეროში განვითარება;

8) სასამართლო, თვით უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე;

9) ადმინისტრაციულ და სამეურნეო ერთეულების ორგანიზაცია;

10) სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო, საეკლესიო, საკაბინეთო და კერძო მემამულეთა (დაწესებული ნორმების ზევით) მიწების ექსპლოატაცია თვითმართველობის საზღვრებში;

11) იმ წარმოებათა მუნიციპალიზაცია, რომელთაც თვითმართველობისათვის საერთო სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ;

12) ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ თვითმართველობის მცხოვრებლებზე ხარჯის გაწერის და საშუალებათა გამოძებნა;

13) საკანონმდებლო თაოსნობის უფლება იმ საკითხებში, რომლებიც შეადგენს ცენტრის კომპეტენციას;

14) უმცირესობის ეროვნულ-კულტურული თვითმართველობის უფლება უზრუნველყოფილი უნდა იქმნეს, — ამ უმცირესობისათვის საჯარო-უფლებრივ ხასიათის კულტურულ დაწესებულებათა მოწყობის უფლების მონიჭებით და ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმართველობასთან კულტურულ კავშირის დაწესებით;

15) შერეულ თვითმართველობებში თვითეულ ეროვნებას სრული თვითმართველობა ეძლევა ეროვნულ-კულტურულ საქმეებში და ამ სფეროში იგი უკავშირდება თავის ეროვნულ თვითმართველობას;

16) თვითმართველობა სარგებლობს იურიდიული პირის ყოველი უფლებით;

17) ამიერ-კავკასიის საერთო საკითხებს არჩევს ამიერ-კავკასიის საბჭო, რომელსაც ირჩევენ ამიერ-კავკასიის ყველა თვითმართველობათა წარმომადგენლები ოთხფორმულიანი საარჩევნო წესით;

18) თვითმართველობათა საზღვრები ამა თუ იმ ეროვნების რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყდეს; ეროვნულ საზღვრების შესაცვლელათ უნდა მოხდეს რეფერენდუმი იმ ადგილებში, რომელთა საზღვრების გამორკვევაც იწვევს დავას;

19) შერეული ქალაქის თვითმართველობამ უნდა უზრუნველ ჰყოს ამ ქალაქებში თვითეულ ეროვნების კულტურულ-ეროვნული ცხოვრება.

20) ტერიტორიალურ თვითმართველობა, დასახლებული, მაგ., ქართველებით, იწოდება „საქართველოს თვითმართველობათ“;

21) თვითეული თვითმართველობის თვითმართველი ერის კონსტიტუცია, როგორც ნაწილი დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციისა, ვერ შეიცვლება ჩვეულებრივი კანონმდებლობითი წესით“.[22]

ნოე ჟორდანის მიერ წარმოდგენილი ქართველი სოციალ-დემოკრატების ეროვნულ პროგრამას ბადალი არ მოეპოვებოდა არა მარტო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიაში, არამედ მთელს რუსეთში. როგორც ყოველი პროგრამა, ეს პროგრამაც არ იყო იდეალური, მაგრამ იგი ითვალისწინებდა ყველაფერს, რისი მიღწევაც იმ ურთულეს პერიოდში შეიძლებოდა ქართველი ერის მიერ. ნოე ჟორდანიამ შეძლო ისეთი ეროვნული პროგრამის შემუშავება, რომლის ცხოვრებაში გატარებითაც რეალური საფუძველი შეექმნებოდა ეროვნული საკითხის გადაჭრას ამიერკავკასიაში. სწორედ ამიტომ რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების VI ყრილობამ ეროვნული საკითხის შესახებ მიღებულ რეზოლუციას საფუძვლად ნოე ჟორდანიას თეზისები დაუდო. ყრილობის აზრით, ეროვნული თვითმართველობის უფლებებს განეკუთვნებოდა:

„1) ცენტრალური პარლამენტისა და მართველობის მიერ გამოცემულ კანონებისა და განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება;

2) ყველა ადგილობრივი ეროვნულ-კულტურული საქმეები;

3) ეროვნული სკოლები (იმ პირობით, რომ სკოლა ჩამოშორებული უნდა იყოს ეკლესიისაგან და დაწესებული იყოს სახელმწიფოს მიერ სავალდებულო პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება);

4) სახალხო ჯანმრთელობა და საბეითლო საქმე;

5) ადგილობრივი მნიშვნელობის ყველანაირი მიმოსვლის საშუალებანი;

6) ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი;

7) ადგილობრივ სასოფლო მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა;

8) ადგილობრივი მუშათა და აგრარული კანონმდებლობა, როგორც შედეგი ძირითად რესპუბლიკანურ უფლების განვითარებისა ამ სფეროში;

9) სასამართლო, თვით უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე;

10) ადმინისტრაციულ და სამეურნეო ერთეულების ორგანიზაცია;

11) სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო, საკაბინეთო, საეკლესიო და კერძო მემამულეთა (დაწესებულ ნორმებს ზევით) მიწების ექსპლოატაცია თვითმართველობის საზღვრებში;

12) იმ წარმოებათა მუნიციპალიზაცია, რომლებსაც თვითმართველობისათვის საერთო სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ;

13) ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ თვითმართველობის მცხოვრებლებზე ხარჯის გაწერის წესისა და საშუალებათა გამოძებნა;

14) საკანონმდებლო თაოსნობის უფლება იმ სფეროში, რომელიც შეადგენს ცენტრის კომპეტენციას;

15) ამიერ-კავკასიის საერთო საკითხების გარჩევა ყველა თვითმართველობათა წარმომადგენლობისაგან შემდგარ ამიერ-კავკასიის საბჭოს მიერ;

16) თვითეულ თვითმართველ ერთეულის კონსტიტუცია, როგორც ნაწილი რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციისა, ვერ შეიცვალება ჩვეულებრივ კანონმდებლობის წესით“.[23]

აღსანიშნავია, რომ ყრილობამ აუცილებლად მიიჩნია „კონსტიტუციაში შეტანილ იქნას ძირითადი კანონი, რომელიც აუქმებს ცალკე ეროვნებათა პრივილეგიებს, რანაირიც უნდა იყვნენ ისინი, და ეროვნულ უმცირესობათა ყოველგვარ შეზღუდვას“.[24]

ზემოთ განხილული ეროვნული პროგრამის მიღებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ რუსეთში ბოლშევიკებმა განახორციელეს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება.

* * *

1917 წლის 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებისთანავე ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიები გაემიჯნენ საბჭოთა რუსეთს. 1917 წლის 25 ოქტომბერსვე ამიერკავკასიის ჯარისკაცთა დეპუტატთა საშხარეო საბჭომ მიიღო მიმართვა არმიისადმი, რომელშიც აშკარად დაგმო ბოლშევიკური გადატრიალება და არმიას სიმშვიდის დაცვისაკენ მოუწოდა.[25] 25 ოქტომბრის გადატრიალება მეორე დღესვე — 26 ოქტომბერს დაგმო კავკასიის არმიის საარმიო კომიტეტმა. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის მთავრობად კავკასიის არმია ცნობდა დროებით მთავრობას. ამავე დროს, საარმიო კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევდა დამფუძნებელი კრების მოწვევას.[26] 1917 წლის 26 ოქტომბერს ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების საშხარეო ცენტრმა და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი რეზოლუცია, რომელშიც ასევე მკაცრად იყო დაგმობილი ბოლშევიკური გადატრიალება.[27] 25 ოქტომბერს რუსეთში განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება კვლავ დაგმო ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრმა 1917 წლის 3 ნოემბერს მიღებულ რეზოლუციაში.[28] 1917 წლის 25 ოქტომბერის ასე დაუყოვნებელი და ერთსულოვანი დაგმობა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სოციალ-დემოკრატების დიდი დამსახურება იყო. განსაკუთრებით დიდი იყო ამ საქმეში ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, ევგენი გეგეჭკორის წვლილი.

ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა სწრაფად მიიღეს ზომები ხელისუფლების ორგანიზების მიზნით. 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში, სახალხო სახლის შენობაში კავკასიის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის ინიციატივით გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა ამიერკავკასიაში ხელისუფლების ორგანოს შექმნის საკითხი. პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების გარდა თათბირს ესწრებოდნენ: ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის,

კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქის სათათბიროს, კავკასიის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის, ოზაკომის, ასევე პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირს ასევე ესწრებოდნენ: კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი, არმიის შტაბის უფროსი გენერალი ლებედინსკი, არმიის შტაბის გენერალ-კვარტირმაისტერი გენერალი ლევანდოვსკი, კავკასიის არმიის შტაბში მოვლინებული ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო აგენტები, ამერიკის შეერთებული შტატების კონსული სტივენსი და სხვ. სულ თათბირს დაესწრო დაახლოებით 400 კაცი. თათბირი გახსნა მისმა თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა. ქართველმა სოციალ-დემოკრატმა აღნიშნა, რომ კავკასიის დემოკრატია თავის მოქმედებას ყოველთვის უთანხმებდა რუსეთის დემოკრატიის პოზიციას. ე. გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ პეტროგრადის ამბების შემდგომი ორი კვირის მანძილზე ამიერკავკასია მოწყდა ცენტრს, რამაც აუცილებელი გახადა ახალი ვითარების შესაბამისი სამოქმედო პროგრამის შემუშავება. ევგენი გეგეჭკორმა ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის დამოკიდებულებას რუსეთზე ფინანსური, სასურსათო და სხვა თვალსაზრისით. შემდგომ თავმჯდომარემ თათბირს შესთავაზა მოესმინათ ამიერკავკასიის ჯარისკაცთა დეპუტატთა სამხარეო საბჭოს თავმჯდომარის დ. დონსკოის გამოსვლა, რომელსაც უნდა წარმოედგინა მოსაზრება ამიერკავკასიაში ხელისუფლების ორგანიზების შესახებ. თავის გამოსვლაში დ. დონსკოიმ აღნიშნა, რომ ამიერკავკასიაში ხელისუფლების სამხარეო ორგანოს შექმნა აუცილებელია იმ ანარქიის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მოსალოდნელია ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში. ხელისუფლების რეგიონალურ ორგანოს უნდა ემოქმედა ცენტრალური რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენამდე ან დამფუძნებელი კრების გახსნამდე.[29] 1917 წლის 15 ნოემბერს თავისი ფუნქციების შესრულებას შეუდგა ხელისუფლების ახალი ორგანო — ამიერკავკასიის კომისარიატი. შექმნის მომენტისათვის ამიერკავკაიის კომისარიატის პერსონალური შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: ე. გეგეჭკორი — ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, შრომისა და საგარეო ურთიერთობის საქმეთა სამინისტროების კომისარი, აკ. ჩხენკელი — შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარი, დ. დონსკოი — სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი, ხ. კარჩიკიანი — ფინანსთა სამინისტროს კომისარი, შ. ალექსიშვილი-შესხიშვილი — სახალხო განათლებისა და იუსტიციის სამინისტროთა კომისარი, მ. ჯაფაროვი — ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეთა სამინისტროს კომისარი, ხ. მელიქ-ასლანოვი — გზათა სამინისტროს კომისარი, ა. ნერუჩევი — მიწათმოქმედების საქ-

მეთა სამინისტროს კომისარი, გ. ტერ-გაზარაინი — სასურსათო საქმეთა სამინისტროს კომისარი, ა. ოგანჯანიანი — საზოგადოებრივი მზრუნველობის საქმეთა სამინისტროს კომისარი, ხ.-ბ. ხას-მამედოვი — სახელმწიფო კონტროლის საქმეთა კომისარი.[30]

1917 წლის 18 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა მიიღო პირველი დეკლარაცია „ამიერკავკასიის ხალხებს", რომლითაც კვლავ გარკვევით გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს. ამიერკავკასიის კომისარიატი თავის ამოცანად თვლიდა რუსეთში კანონიერი ცენტრალური ხელისუფლების აღდგენამდე უზრუნველეყო რეგიონში რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მონაპოვართა დაცვა და მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილება.[31] ამიერკავკასიაში ქართველი სოციალ-დემოკრატების ევგენი გეგეჭკორისა და აკაკი ჩხენკელის მიერ ყველაზე პასუხსაგები თანამდებობების დაკავება კანონზომიერი მოვლენა იყო. ქართული სოციალ-დემოკრატია სამართლიანად იყო მიჩნეული წამყვან პოლიტიკურ ძალად მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით.

* * *

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მოღვაწეობის უმთავრესი შედეგი იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა თბილისში. ეროვნულმა ყრილობამ მუშაობა დაიწყო მას შემდეგ, რაც რუსეთში ბოლშევიკების მიერ განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება უკვე მომხდარი იყო, ხოლო ამიერკავკასიის კომისარიატი უკვე ფუნქციონირებდა, როგორც საბჭოთა რუსეთისაგან გამიჯნული სამხარეო ხელისუფლების ორგანო.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას ესწრებოდა 324 დელეგატი გადამწყვეტი, ხოლო 19 დელეგატი სათათბირო ხმით. 324 დელეგატიდან პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელი იყო 67 დელეგატი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების — 15, ქალაქების თვითმართველობების — 33, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების — 89, ქართული ჯარის — 20, კოოპერატივების — 8, მასწავლებელთა კავშირის — 9, ქართული პრესის — 9, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების — 35, ვაჭრობა-მრეწველობისა და ბანკების — 26, თავად-აზნაურობის — 20, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ქართული საზოგადოებების — 6, საქართველოს საკათალიკოსო სა-

ჭოსი — 1, სხვადასხვა დაწესებულებათა — 8, ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ კათოლიკეთა — 7, საქართველოში მცხოვრები ებრაელების — 3, აფხაზებისა — 2. ყრილობას დაესწრო საქართველოს კათალიკოსი კირიონ II, უცხო სახელმწიფოთა და მეზობელი ერების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის კომისარიატი სრული შემადგენლობით, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი და სხვ.[32]

ყრილობა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სახელით გახსნა აკაკი ჩხენკელმა. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია. 20 ნოემბერს ყრილობაზე ინტერპარტიული საბჭოს დავალებით მოხსენებით გამოვიდა ნოე ჟორდანია. მოხსენების თემა იყო „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა". წინასწარ, რეზოლუციის შემუშავების მიზნით ყრილობამ გამოჰყო ეროვნულ-პოლიტიკური სექცია, რომელშიც შევიდნენ: სოციალ-დემოკრატები: ნ. ჟორდანია, გრ. გიორგაძე, ვ. ჯუღელი, გრ. ურატაძე, კ. გვარჯალაძე, მ. კლიმიაშვილი, გ. ფალავა, დ. ონიაშვილი; სოციალისტ-ფედერალისტები: გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, გრ. გველესიანი, იას. ბაქრაძე, ი. ფანცხავა, ს. ფირცხალავა, დ. უზნაძე, აკ. ფალავა; ალიონელები: პ. საყვარელიძე, დ. სულიაშვილი, ლ. შენგელაია, ნ. ქარცივაძე; სოციალისტ-რევოლუციონერები: ივ. გობეჩია, იოს. გობეჩია, პ. საბაშვილი; ეროვნულ-დემოკრატები: გ. გვაზავა, გრ. ვეშაპელი, ვას. წერეთელი, შ. ამირეჯიბი, ტ. ტაძიბე, ლ. ჯაფარიძე, დ. გურამიშვილი, ირ. ამირეჯიბი. სექციის თავმჯდომარედ ყრილობის მიერ არჩეულ იქნა ივ. გობეჩია, მდივნად — აკ. ფალავა.[33] სექციის სხდომაზე ნ. ჟორდანიამ შემდეგი შინაარსის რეზოლუციის პროექტი შეიტანა:

„1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე;

2. ქართველ დემოკრატიამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.

3. რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური რევოლუციური მთავრობა, ცნობილი მთელი რევოლუციური რუსეთის მიერ. ამ გარემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერკავკასიაც თავისი შინაური საქმეები თავისივე ძალ-ღონით მოაგვარონ და შესაფერი დაწესებულებანი შექმნან.

4. ყრილობა მხარს უჭერს ამიერ-კავკასიის ახლად შემდგარ მმართველობის დროებით ორგანოს „ამიერ-კავკასიის კომისარიატს".

5. ადგილობრივი მიმდინარე კითხვების სათანადო გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხდის ამიერ-კავკასიის წარმომადგენელთა კრების მოწვევას იმ დეპუტატებისაგან, რომელშიც ახლად ირჩევიან რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის. რიცხვი დეპუტატებისა უნდა იქმნას გამრავლებული თანახმად პროპორციულად მიღებული ხმებისა სხვადასხვა პარტიების მიერ.

6. ყრილობა საჭიროდ სცნობს ამიერ-კავკასიის სეიმში შესდგეს ქართველ დეპუტატებისაგან ქართული ეროვნული საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევათ, გასაძღოლათ და ცხოვრებაში გასატარებლად.

7. ყველა ამ ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. განსაკუთრებით საჭიროებანი კავკასიის ფრონტის შენახვისა, კითხვა ომისა და ზავისა, სასურსათო, ფინანსებისა და სხვ... ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას რუსეთის რევოლუციური მთავრობა და მოწვეული დამფუძნებელი კრება.

8. რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვთ შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისას, ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშუალებას თავისუფალ კულტურულ განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნებიან დაინტერესებულ მოსაზღვრე ერების თანხმობით. საქართველოში მომწყვდეული ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ ალიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერ-კავკასიის ერთა შორის საერთო ნაციონალური პლატფორმით დამფუძნებელი კრების წინაშე წარსადგომათ.

9. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდება და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდა, უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები, რომელიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წესწყობილებას, როგორც თვითოეულ ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულში, ისე მთელ ამიერ-კავკასიაში.

10. საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ზრუნვა და მისი მოწვევა ევალება ეროვნულ საბჭოს".[34]

ნოე ჟორდანის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი პოლიტიკური აზროვნების სიმწიფის მაჩვენებელი იყო. ნ. ჟორდანია შექმნილი სიტუაციის ღრმა. ანალიზისა და პერსპექტივის ხედვის უნა-

რით აშკარად გამოირჩეოდა მისი თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეებისაგან. ცხადი იყო, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა აღიარებული ლიდერი ერთადერთი კანდიდატი იყო ქართველი ერის პოლიტიკური ლიდერის პოსტზე.

ნოე ჟორდანიას მიერ შედგენილი რეზოლუციის პროექტში მოცემული დასკვნები შეუვალი აღმოჩნდა ოპონენტებისათვის. რომელი პოზიციიდან არ შეუტიეს როგორც მთლიანად რეზოლუციის პროექტს, ისე მის ცალკეულ მუხლებს, ოპონენტები საბოლოოდ იძულებულნი გახდნენ ელიარებინათ ნ. ჟორდანის დასკვნების სისწორე. თუ ეს დასკვნები ზოგჯერ ეროვნული თვალსაზრისით არასასურველი, არაიდეალური იყო, სამაგიეროდ მთლიანად სიტუაციის ობიექტური ანალიზიდან გამომდინარეობდა და ამდენად, რეალური იყო. სწორედ ასეთი შეფასება მიიღო რეზოლუციის პროექტმა ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომაზე. მცირე შესწორებებით ნოე ჟორდანიას მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი მიღებულ იქნა.[35] ყრილობა მთლიანად დაეთანხმა ეროვნულ-პოლიტიკური სექციის აზრს.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. ეროვნული საბჭოს შემადგენლობის პროექტი შეადგინა ნოე ჟორდანიამ. პროექტის შავ ვარიანტში ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები ასეთი თანმიმდევრობით არიან წარმოდგენილნი: სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია — 10 ადგილი (გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, შ. მესხიშვილი, ს. ფირცხალავა, დ. უზნაძე და სხვ.), რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია — 1 ადგილი (დ. ჩიქოვანი), სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია — 6 ადგილი (ვლ. გობეჩია, იოს. გობეჩია, ივ. გობეჩია, გრ. ნათაძე და სხვ.), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — 9 ადგილი (ნ. ნიკოლაძე, გ. ქიქოძე, გ. ჟურული, ს. კედია, გრ. ვეშაპელი, მ. მაჩაბელი და სხვ.), უპარტიონი — 2 ადგილი (კ. აფხაზი, კ. მაყაშვილი), „ალიონი“ — 4 ადგილი (პ. ქავთარაძე, ივ. გომართელი, პ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე). ყოველ პარტიას, ძირითადი წევრების გარდა, უნდა ჰყოლოდა ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ავტომატურად (სიაში დაცული თანმიმდევრობის მიხედვით) შეცვლიდნენ ეროვნული საბჭოს წევრებს.[36] ნ. ჟორდანიას პროექტის მიხედვით, ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საბჭოში 30 კაცით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. შემდეგ ნ. ჟორდანიას ეს რაოდენობა ორი კაცით შეუმცირებია. სოციალ-დემოკრატთა სიაში წარმოდგენილი იყო ყველა ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ალექ-

სანდრე ლომთათიძე, ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელი, დავით ონიაშვილი, ჰაიდარ აბაშიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე, ანდრია ჭიაბრიშვილი, გერასიმე მახარაძე, პეტრე გელეიშვილი, რაულენ არსენიძე, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვ. ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატების სიაში სოციალ-დემოკრატებიდან ნ. ჟორდანიას შეუტანია 30 კაცი: კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, სერგო ჯაფარიძე, ბიქტორ ჟღენტი, ვასილ წულაძე, ვლადიმერ ნინიძე, ვასილ ცაბაძე, გოგიტა ფალავა, გიორგი ცინცაძე და სხვ.[37] ნ. ჟორდანიას პროექტით, ეროვნულ საბჭოში 3 ადგილი უნდა ჰქონოდა სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარას), 2 ადგილი სოხუმის ოლქს (აფხაზეთს), ხოლო თითო ადგილი შიდა ქართლის ოსებს და ზაქათალის ოლქს (საინგილოს).[38] ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე წამოყენებული იქნა ნოე ჟორდანიას კანდიდატურა. ნ. ჟორდანიას პროექტით, საქართველოს ეროვნულ საბჭოს უნდა ჰქონოდა 13 სექცია (სამხედრო, საფინანსო, ქონებათა, სასკოლო, სამოსამართლეო, საერობო და გამოკვლის, საგარეო, სახალხო სამეურნეო, სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა, ჯანსაღობისა, სატეხნიკო, ხელოვნების, მზრუნველობის).[39]

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა ნოე ჟორდანიას პროექტში. საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველ შემადგენლობაში 28 სოციალ-დემოკრატი შევიდა, მაშინ როცა ეროვნული საბჭო სულ 66 წევრისაგან შედგებოდა. ყრილობამ დაამტკიცა ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატების სია 61 კაცის შემადგენლობით, მათ შორის 31 სოციალ-დემოკრატი იყო.[40] საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებსა და კანდიდატებს შორის ნოე ჟორდანიას ინიციატივით პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად შევიდნენ იმხანად და შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ნიკო ნიკოლაძე, კონსტანტინე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშვილი. მეცნიერები: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, პავლე ინგოროყვა... მწერლები: გრიგოლ რობაქიძე, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი... ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო იქცა ქართველი ერის ხელმძღვანელ ორგანოდ, რეალურ პოლიტიკურ ძალად.[41]

* * *

საქართველოს ეროვნული საბჭო იყო ქართველი ერის ერთადერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ნოე ჟორდანიასა და სხვა ქართველ სოციალ-დემოკრატების გონივრული პოლიტიკური კურსის წყალობით

ეროვნულ საბჭოს რაიმე სერიოზული კონფლიქტი არ ჰქონია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოებთან, ან ამიერკავკასიის კომისარიატთან და ამიერკავკასიის სეიმთან. ერთადერთი ძალა, რომელიც ეროვნულ საბჭოს მისი არჩევის დღიდანვე დაუპირისპირდა, იყო ქართველი ბოლშევიკები. მათ კი ზურგს უმაგრებდა საბჭოთა რუსეთი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციურმა სახელმწიფო გადატრიალებამ რთულ სიტუაციაში ჩააგდო საქართველო. არა მარტო ქართველი სოციალ-დემოკრატები, არამედ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ძალებიდან (სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვ.), გარდა ქართველი ბოლშევიკებისა, არც ერთი არ ცნობდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების კანონიერებას, ბოლშევიკების ხელისუფლებას არ სცნობდნენ ამიერკავკასიის კომისარიატი და საქართველოს ეროვნული საბჭო. სწორედ ამიტომ საქართველოს ეროვნული საბჭოს უპირველესი ამოცანა იყო იმ ურთულეს სიტუაციაში პოლიტიკური მოკავშირის პოვნა, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის თავიდან აცილება. ამ მიზნით 1917 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეხვდა თბილისში ჩამოსულ უცხოელ დიპლომატებს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ელჩებს. შეხვედრებში მონაწილეობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები: საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, ასევე აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, პავლე საყვარელიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ქარციკაძე, ალექსანდრე ფარნიაშვილი და ევგენი გეგეჭკორი. უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა: 1) ანტანტის ქვეყნებს აინტერესებდათ რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალის გამოყენება ამიერკავკასიაში თურქეთის შეტევის მოსაგერიებლად; 2) იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მობილიზაციას გამოაცხადებდა, ანტანტა მხოლოდ ფულითა და ინსტრუქციებით დახმარებას აფუთქვამდა, იარაღის მიწოდებაზე კი თავს იკავებდა; 3) ანტანტა ცნობდა რუსეთის დროებით მთავრობას, ხოლო საქართველოს განიხილავდა როგორც რუსეთის შემადგენელ ნაწილს; 4) ანტანტა ცნობდა ამიერკავკასიის კომისარიატს, ამიერკავკასია რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შემდეგ უნდა შესულიყო რუსეთის სახელმწიფოში როგორც ფედერაციული ერთეული.[42] ქართველმა პოლიტიკოსებმა ანტანტის წინაშე დააყენეს შემდეგი საკითხები: 1) საქართველო წინ აღუდგება თურქეთის აგრესიას, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ანტანტის მხრიდან დახმარება, უპირველეს ყოვლისა, იარაღით;

2) თურქეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში დაიცავს თუ არა ანტანტა საქართველოს; 3) ცნობენ თუ არა ანტანტის ქვეყნები საქართველოს როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს.[43] შეიძლება ითქვას, რომ 1917 წლის 8 დეკემბერს ანტანტის ქვეყნების დიპლომატებთან ქართველი პოლიტიკოსების შეხვედრით დაიწყო მიზანდასახული მოღვაწეობა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ალიარებისათვის. იმთავითვე ცხადი გახდა, რომ საქართველოს ბედით ანტანტა დაინტერესებული იყო იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა მისი გამოყენება რუსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ.

* * *

ქართველი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთში საბჭოთა წყობილება დიდხანს ვერ იბოგინებდა, ბოლოსდაბოლოს შესაძლებელი გახდებოდა დამფუძნებელი კრების მოწვევა და დემოკრატიული წყობილების დამყარება. 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს, რითაც ძლიერი დარტყმა მიაყენეს დემოკრატიულ ძალებს. ამის საპასუხოდ 1918 წლის 10(23) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი, რომლის თავმჯდომარედ ცნობილი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იქნა არჩეული. სეიმი ამიერკავკასიაში არჩეული დამფუძნებელი კრების დეპუტატებისაგან შედგებოდა. ამ აქტით ამიერკავკასიის კომისარიატმა ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან. ბოლშევიკური რეჟიმი რუსეთში ძალას იკრებდა. 1918 წლის მარტისათვის საბჭოთა ხელისუფლება გავრცელდა მთელს ველიკოროსიაზე და ყოფილი იმპერიის პერიფერიების დიდ ნაწილზე. საქართველოს მდგომარეობა კატასტროფულად გაუარესდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ზავი დადო. ზავის პირობებით, ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოლქები ფაქტობრივად თურქეთს მიეკუთვნა. თურქეთი მაშინვე შეუდგა მინიჭებული უფლებების რეალიზაციას. ამიერკავკასიის კომისარიატს თურქეთისათვის ტერიტორიების დათმობა არ სურდა, მაგრამ ომსაც ერიდებოდა. თურქეთთან ურთიერთობის მოგვარების მიზნით აკაკი ჩხენკელის მეთაურობით ტრაპიზონში გაემგზავრა სპეციალური დელეგაცია.[44] 1918 წლის 10(23) მარტს თურქეთმა კვლავ მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების გადაცემა, 11(24) მარტს ამიერკავკასიის სეიმმა უარყო თურქეთის მოთხოვ-

ნა. მდგომარეობა დღითი-დღე იძაბებოდა. 14(27) მარტს ტრაპიზონში გაიხსნა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო კონფერენცია. 16(29) მარტს თურქეთმა ისევ მოითხოვა ზემოთ ხსენებული სამი ოლქის გადაცემა, ხოლო 19 მარტს (1 აპრილს) მუსულმანთა შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს არტაანი. ომი თურქეთთან გარდაუვალი გახდა. საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს რეალური საფრთხე დაემუქრა: რუსეთმა და თურქეთმა აშკარად მტრული პოზიცია დაიკავეს, ხოლო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები ზღუდავდა გერმანიის აქტიურობას. მცირე დათმობები, რომელზეც აკაკი ჩხენკელი თურქეთის დელეგაციის დაყოლიებას ცდილობდა, აშკარად არ აკმაყოფილებდათ თურქებს. 1918 წლის 7(20) აპრილს თურქეთის დელეგაციის მეთაურმა რაუფ-ბეიმ აკაკი ჩხენკელს წარუდგინა ულტიმატუმი: 48 საათის განმავლობაში პასუხი გაეცა კითხვაზე — აღიარებდა თუ არა ამიერკავკასია ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს. აკაკი ჩხენკელი თავის მხრივ სთხოვდა ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს ევგენი გეგეჭკორს პირდაპირ დაესვა საკითხი სეიმის წინაშე: შესაძლებელი იყო თუ არა ბათუმის, ყარსისა და არტაანის დაცვა თურქეთისაგან. 8-9(21-22) აპრილს თურქეთის არმია შემოიჭრა ამიერკავკასიის საზღვრებში.[45] ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სეიმის ეს ისტორიული სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ კარლო ჩხეიძემ. დღის წესრიგში შეტანილი იყო სამი საკითხი: 1) ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, 2) საზავო დელეგაციის მოხსენება, 3) ამიერკავკასიის მთავრობის განცხადება ახალი ხელისუფლების ორგანიზების შესახებ. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სეიმის წევრი, სოციალ-დემოკრატი დ. ონიაშვილი. დ. ონიაშვილი მოკლედ შეეხო ამიერკავკასიის ხალხების — ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების — რუსულ ორიენტაციაზე დგომის ობიექტურ მიზეზებს, ერთობლივი რევოლუციური ბრძოლის ძირითად ასპექტებს. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ვითარება ძირეულად შეიცვალა. ამიერკავკასიის ხალხების წინაშე დადგა საკითხი: ამიერკავკასია ან უნდა გამოცხადებულიყო საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად, ე. ი. უნდა გამეორებულიყო ყველა ის საშინელება, რაც ხდებოდა რუსეთში, ან ამიერკავკასიას უნდა გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა და საკუთარი ძალებით დაეცვა იგი.[46] ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დადგენილება: „გამოცხადდეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა“.[47] ამიერკავკასიის სეიმმა იმავე სხდომაზე, მას შემდეგ, რაც მოისმინა საზავო დე-

ლეგაციის მოხსენება, მიიღო დადგენილება თურქეთთან მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.[48]

სეიმის დადგენილებით, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შექმნა დაევალა აკაკი ჩხენკელს. 1918 წლის 13(26) აპრილს აკ. ჩხენკელმა ამიერკავკასიის სეიმს დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა. სეიმმა უცვლელად დაამტკიცა აკ. ჩხენკელის პროექტი: აკ. ჩხენკელი — მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, ნ. რამიშვილი — შინაგან საქმეთა მინისტრი, ა. ხატისოვი — ფინანსთა მინისტრი, ხ.-ბ. მელიქ-ასლანოვი — გზათა მინისტრი, ფ.-ხ. ხოისკი — იუსტიციის მინისტრი, გრ. გიორგაძე — სამხედრო მინისტრი, ნ. ხომერიკი — მიწათმოქმედების მინისტრი, ნ.-ბ. უსუბბეკოვი — სახალხო განათლების მინისტრი, მ. გაჯინსკი — ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, ა. სააკიანი — სასურსათო საქმეთა მინისტრი, რ. კაჩაზნუნი — სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი, ა. ერზინკიანი — შრომის მინისტრი, ი.-ბ. ჰაიდაროვი — სახელმწიფო კონტროლიორი.[49] ამრიგად, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული მთავრობის შემადგენლობაში წამყვანი პოსტები დაიკავეს.

ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შექმნის დღიდან ღრღნიდა წინააღმდეგობანი. როგორც კი დაისვა საკითხი სამოკავშირეო სახელმწიფოს შიგნით ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნისა, აშკარა გახდა, რომ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები საზღვრების დადგენისას წარმოქმნილ პრობლემებს ვერ გადაჭრიდნენ, ვერ შეთანხმდებოდნენ. იმთავითვე ნათელი გახდა, რომ სამივე ერის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვერ შეთანხმდებოდა ვერც საგარეო პოლიტიკური კურსის საკითხშიც: ქართველები გერმანოფილური, სომხები ანგლოფილური, ხოლო აზერბაიჯანელები თურქოფილური საგარეო პოლიტიკური კურსის მიმდევრები იყვნენ. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ რელიგიურ ფაქტორს, ცხადი გახდება ახლად შექმნილი სახელმწიფოს სისუსტე, მისი უპერსპექტივობა. ამიერკავკასიის სამი ყველაზე მრავალრიცხოვარი ერის — ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ინტერესთა დაპირისპირებულობამ აშკარად იჩინა თავი ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავების პროცესში. ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 13(26) აპრილს მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებასთან ერთად დაამტკიცა აკაკი ჩხენკელის მიერ წარდგენილი სამთავრობო დეკლარაციაც, რომელიც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებას ითვალისწინებდა. კონსტიტუციის შემუშავების საქმეს დიდი ყურადღებით მოეკიდა საქართველოს ეროვნუ-

ლი საბჭო. მიღწეული შეთანხმების მიხედვით ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიაში უნდა შესულიყო ხუთ-ხუთი კაცი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოებიდან.[50] 1918 წლის 2 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიის ქართველ წევრებად დაამტკიცა: გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, შ. მესხიშვილი, რ. არსენიძე, ი. გობეჩია.[51] 1918 წლის 9 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის პარალელურად შეემუშავებინათ საქართველოს კონსტიტუცია.[52] 12 მაისს გადაწყდა, რომ მოხსენებას საქართველოს კონსტიტუციის შესახებ ეროვნულ საბჭოს წარუდგენდა სოციალ-დემოკრატი სერგო ჯაფარიძე.[53] 1918 წლის მაისის შუა რიცხვებში საქართველოს ეროვნულ საბჭოში ცხარე დებატები მიმდინარეობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის კონსტიტუციების თაობაზე. სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და ეროვნულ-დემოკრატები ვერ შეთანხმდნენ ბევრ პრინციპულ საკითხზე. დიდი დავა გამოიწვია საკითხმა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საბოლოოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკა: ფედერაციული თუ კონფედერაციული სახელმწიფო. სოციალისტური ორიენტაციის პარტიები ფედერაციის მომხრენი იყვნენ, ეროვნულ-დემოკრატები კი კონფედერაციას უჭერდნენ მხარს. პოლემიკის დროს აშკარა გახდა, რომ ეროვნულ-დემოკრატებს საბოლოოდ არც კონფედერაცია აკმაყოფილებდათ, ისინი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს აყენებდნენ. თუ ეროვნულ-დემოკრატები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეაზე უარს იტყოდნენ, მაშინ მხოლოდ კონფედერაციას დაუჭერდნენ მხარს, ფედერაციული სახელმწიფოს იდეა მათთვის ყველა შემთხვევაში მიუღებელი იყო. სოციალ-დემოკრატები, რომელთაც მხარს უჭერდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები, ფედერაციას მიიჩნევდნენ ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების სამოკავშირეო სახელმწიფოს ერთადერთ ფორმად. კიდევ უფრო დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისია — აშკარად გამოიკვეთა თურქოფილთა ჰეგემონისტური მისწრაფებები. ამიერკავკასიის და საქართველოს კონსტიტუციების შემუშავება შეუძლებელი შეიქმნა.[54] ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის უპერსპექტივობის ფონზე სულ უფრო რეალური ხდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი.

§2. ქართული სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა უაღრესად რთულ ვითარებაში. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით — ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნით (1918 წლის 9(22) აპრილი) ვერ მოგვარდა ურთიერთობა თურქეთთან. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, იმავე სხდომაზე სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება თურქეთთან ახალი საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.[55] 1918 წლის 23 აპრილს აკაკი ჩხენკელმა ვეჰიბ-ფაშას სთხოვა შეეჩერებინა საომარი ოპერაციები. 24 აპრილს ვეჰიბ-ფაშამ აკ. ჩხენკელს აცნობა, რომ მან გასცა განკარგულება საომარი ოპერაციების შეჩერების შესახებ,[56] თუმცა 1918 წლის 23 აპრილიდან 3 მაისამდე თურქებმა განახორციელეს შეტევითი ოპერაციები: შეიჭრნენ ყარსში და წინ წაიწიეს გუმბრისაკენ (ალექსანდროპოლისაკენ). აკ. ჩხენკელის პროტესტს თურქებმა ანგარიში არ გაუწიეს. ვეჰიბ-ფაშამ აკ. ჩხენკელს აცნობა, რომ თურქეთმა აღიარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ახალი საზავო მოლაპარაკება ბათუმში გაიმართებოდა. ვეჰიბ-ფაშამ 3 მაისს აკ. ჩხეკნელს ისიც აცნობა, რომ თურქეთის ჯარი გავიდოდა ოზურგეთიდან და 1877 წლის საზღვარზე გაჩერდებოდა.[57] ასეთ ვითარებაში 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური აკაკი ჩხენკელი იყო. ასეთ ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში მომზადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ბათუმის საზავო კონფერენციის მუშაობის პერიოდში აშკარა გახდა, რომ თურქეთი და საბჭოთა რუსეთი ერთიანი ფრონტით გამოდიოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამ რთულ სიტუაციაში აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოში სულ უფრო აშკარად ვლინდებოდა თურქოფილური მისწრაფებანი. საქართველოს ერთადერთ შესაძლო მოკავშირედ შეიძლებოდა მხოლოდ გერმანია გამხდარიყო. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა კონტაქტი დაამყარა გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელთან კაიზერთან და საქართველოში მცხოვრები გერმანელების ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებთან. მოლაპარაკებას აწარმოებდა გ. გვაზავა. 1918 წლის 14 მაისს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას, რომელიც გ. ლასხიშვილის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ესწრებოდნენ: გ. გვაზავა, ვლ. გობეჩია, გრ. ვეშაპელი, ნ. ხომერიკი, პ. საყვარელიძე, გრ. რცხილაძე, ს. ჯიბლაძე, დ. ნახუცრიშვილი (მდივანი). სხდომას დაესწრნენ აგრეთვე შ. მესხიშვილი, გ. ქიქოძე და ბ. პაპავა.[58] გ. გვაზავას ინფორმაციის შემდეგ აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ბათუმში აკაკი ჩხენკელისათვის „ცნობად და სახელმძღვანელოდ“ გაეგზავნათ შემდეგი დადგენილება:

„1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს გენერალ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხების, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს მიიღოს სათანადო ღონისძიება, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილო-კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილი იქნას გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეების, რაც შეიძლება მალე სამშობლოში სამხედრო წესით დაბრუნებას.

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დასტოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაურ წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად“.[59]

თურქეთის დიპლომატია ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა უაღრესად ხელსაყრელი ვითარება. 1918 წლის 14 მაისს თურქეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ხალილ-ბეიმ მოითხოვა ამიერკავკასიის რკინიგზით თურქთა ჯარების გაშვება. 15 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა პროტესტი განუცხადა თურქეთის დელეგაციას ამიერკავკასიის რკინიგზით ჯარების გაშვების მოთხოვნის თაობაზე. ამის საპასუხოდ თურქეთის ჯარები ალექსანდროპოლისაკენ დაიძრნენ. თურქთა მოქმედების გამო აკაკი ჩხენკელმა პროესტით მიმართა თურქეთის მოკავშირეს გერმანიას. 16-17 მაისს გერმანიის წარმომადგენელმა ბათუმის საზავო კონფერენციაზე გენერალმა ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს, რომ მან მიიღო ზომები თურქთა შეტევის შესაჩერებლად. მიუხედავად ამისა, თურქეთის ჯარების შეტევა არ შეჩერებულა. პირიქით, თურქები

უკვე იმაზე მეტ ტერტორიულ დათმობებს ითხოვდნენ, ვიდრე ამას ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება ითვალისწინებდა.[60]

ასეთ რთულ ვითარებაში 1918 წლის 16 მაისს საღამოს 7 საათზე შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანია (თავმჯდომარე), გ. ლასხიშვილი, ნ. ხომერიკი, გ. გვაზავა, გრ. ვეშაპელი, ჰ. აბაშიძე, პ. საყვარელიძე, ვლ. გოჩებია, კ. მესხი, დ. ნახუცრიშვილი (მდივანი). სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ იას. ლორთქიფანიძე და შ. მესხიშვილი.[61] საკითხი, რომელიც აღმასრულებელ კომიტეტს უნდა განეხილა, ასე იყო ფორმულირებული: „წინადადება პ. საყვარელიძისა, რომ მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოამზადოს ყველანაირი ნიადაგი“.[62] აღმასკომის სხდომამ ხსენებული კომისიის პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრა მიანდო ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილსა და გრ. ვეშაპელს, რომელთა რეკომენდაციის შემდეგ კომისია დამტკიცდა ასეთი შემადგენლობით: ნ. რამიშვილი, დ. ვაჩნაძე და შ. მესხიშვილი.[63] მეორე დღეს, 17 მაისს კვლავ შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ამჯერად სხდომას ესწრებოდნენ გრ. ვეშაპელი, კ. მესხი, პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა, დ. ნახუცრიშვილი (მდივანი). თუ ვინ თამჯდომარეობდა სხდომას, ოქმში დაფიქსირებული არ არის. გარდა ზემოთ ხსენებულთა, აღმასკომის სხდომას დაესწრნენ დ. ვაჩნაძე, შ. მესხიშვილი, გენერალი ვ. გაბაშვილი, პოლკოვნიკი ვ. კარგარეთელი და პოდპოლკოვნიკი ა. ზაქარიაძე.[64] დღის წესრიგში იდგა საკითხი: „მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სამთა კომისიის მოქმედების შესახებ“.[65] სამთა კომისიამ გადასაწყვეტად წარმოადგინა ორი საკითხი: 1. „ქ. თბილისის დაცვა ვის ჩაჰბარდეს, 2. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხელმძღვანელი ორგანო“.[66] პირველ სხდომაზე აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა:

„1. უნდა გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები ქ. თბილისში.

2. თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს გენერალი ახმეტელი, მის თანაშემწედ პოლკ. ნაქერალიძე, რომელთაც უნდა იმუშაონ ქართული კორპუსის უფროსის გენ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით“.[67]

მეორე საკითხზე ასეთი დადგენილება იქნა მიღებული: „ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება იგივე კომისია და მოქმედებს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით“.[68]

საქართველოს ეროვნული საბჭოს ენერგიული მოღვაწეობა საქმეს ვერ შველიდა. მოვლენები საქართველოსათვის მეტად არახელსაყრელად ვითარდებოდა. თურქეთის მხარდაჭერის მიზნით რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა პროტესტით მიმართა გერმანიის მთავრობას ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობასთან ურთიერთობას რატომ ამყარებთო. რუსეთის მხარდაჭერით წაქეზებულმა თურქებმა 1918 წლის 18 მაისს დაიკავეს ალექსანდროპოლი და გზა ითხოვეს ჯულფისაკენ. აკაკი ჩხენკელი იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ მოთხოვნას, მაგრამ იმავდროულად მოითხოვა გარანტიები მოსახლეობის დასაცავად. 19 მაისს აკ. ჩხენკელმა აცნობა გერმანიის დელეგაციის მეთაურს გენერალ ფონ ლოსოვს, რომ რუსეთის ჩარევა ამიერკავკასიის საქმეებში მიუღებელია. ფონ ლოსოვმა ამიერკავკასიის დელეგაციას დახმარება და შუამდგომლობა აღუთქვა თურქეთთან საზავო მოლაპარაკებაში. მიუხედავად ამისა, 20 მაისს თურქებს შეტევა არ შეუწერებიათ. თურქეთის ჯარები ლორესა და თბილისისაკენ მიიწევდნენ. ვითარება ძალზე გართულდა მას შემდეგ, რაც 24 მაისს თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ხალილ-ბეიმ უარყო გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარის გენერალ ფონ ლოსოვის შუამავლობა საზავო მოლაპარაკებაში.[69]

1918 წლის 24 მაისს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. გადაწყდა, 26 მაისს მოეწვიათ ეროვნული საბჭოს სხდომა. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ განსაზღვრა საკითხები, რომელიც ეროვნული საბჭოს სხდომას უნდა განეხილა 1918 წლის 26 მაისს. შემუშავებული იქნა დადგენილების პროექტი. მეტი სისრულისათვის ეს დოკუმენტი მოგვყავს მთლიანად:

„საბჭომ რა დადგენილებები მიიღოს 26 მაისის სხდომაზე:

1. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

2. კანონების შესახებ.

დროებით ძალაში დარჩეს ძველი კანონები და სეიმის დადგენილებანი.

3. ფინანსები:

ა) დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის ბეჭდვისა, სანამ შემუშავდება ჩვენი ფინანსური სისტემა.

ბ) ფინანსთა მინისტრი იქნება ქართველი. ექსპედიციაც მის განკარგულებაში იქნება. ის გაანაწილებს ფულის ნიშნებს პროვინციაში და მუზობლებისათვის, ნაციონალურ საბჭოებთან შეთანხმებით; ექსპედიციაში თათრებსა და სომხებს ეყოლებათ თითო წარმომადგენელი.

4. რკინის გზა:

ჩვენს ხელთ იქნება მთელი სამმართველო; რაც სადაო იქნება, გამოირკვევა შეთანხმებით.

5. ეროვნული საბჭო:

ა) აღმასრულებელი კომიტეტი უქმდება.

ბ) საბჭო ირჩევს თავის ახალ პრეზიდიუმს მეორე კრებაზე.

გ) დადასტურებულ იქნეს წევრთა და კანდიდატთა სია. საბჭოს რეორგანიზაციის საკითხი მიენდოს განსახილველად სამანდატო კომისიას, რომელსაც დაევალება საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა, სამანდატო კომისიის არჩევა.

6. დაარსდეს რვა სამინისტრო. საკონტროლო ორგანო ცალკე იქნება. უქმდება სასურსათო და მზრუნველობის სამინისტროები. შეერთებულია ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედების და შრომის სამინისტროები.

შემდეგი სამინისტროები იქნება:

1. შინაგან საქმეთა
2. საგარეო
3. სამხედრო
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
5. განათლების
6. მიწათმოქმედების და შრომისა
7. იუსტიციისა
8. გზათა.

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა:

1. თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა — ნოე რამიშვილი
2. საგარეო — აკაკი ჩხენკელი
3. სამხედრო — გრიგ. გიორგაძე
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის — გიორგი ჟურული
5. განათლების — გიორგი ლასხიშვილი
6. მიწათმოქმედების და შრომისა — ნოე ხომერიკი
7. იუსტიციისა — შალვა მესხიშვილი
8. გზათა — ივ. ლორთქიფანიძე.[70]

ძალზე დაძაბული გამოდგა 1918 წლის 25 მაისი — ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის ბოლოს წინა

დღე და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინა დღე. 25 მაისს ბათუმის კონფერენციაზე გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ გენერალმა ფონ ლოსოვმა განაცხადა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკას ვერ უშუამდგომლებდა თურქეთთან, რადგან ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლის გზაზეაო. გერმანიის პოზიციამ დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წლის 25 მაისს თბილისის საქალაქო თვითმართველობამ მოსახლეობას აცნობა, რომ თურქეთის ჯარების შემოტევამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა თბილისს. ქალაქის თვითმართველობამ მოსახლეობას მოუწოდა მზად ყოფილიყო საფრთხის მოსაგერიებლად.[71] იმავე დღეს, 25 მაისს, ღამის 11 საათზე ფრეილინის (დღევანდელი სულხან-საბას ქუჩაზე) №11 სახლში შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ამ ისტორიულ სხდომას დაესწრნენ: ნ. ჟორდანია (თავმჯდომარე), გ. ლასხიშვილი, პ. საყვარელიძე, კ. გვარჯალაძე, ნ. ხომერიკი, ალ. ლომთათიძე, ს. ჯიბლაძე, შ. მესხიშვილი, კ. მესხი, ნ. რამიშვილი, იას. ლორთქიფანიძე, გრ. ვეშაპელი, გ. ჟურული, ალ. ასათიანი, ი. მაჭავარიანი, დ. ვაჩნაძე, გ. გვაზავა, ირ. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ვ. გობეჩია, დ. ნასუცრიშვილი (მდივანი).[72]

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნახევარ საათს გაგრძელდა, თუმცა მან უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო.[73] საოქმო ჩანაწერის მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ სხდომის მიმდინარეობას:

„1. ნ. ჟორდანია აცნობს დამსწრეთ ა. ჩხენკელის დეპეშას და წერილს, სადაც იგი თხოულობდა დაჩქარებულ იქნას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან გვიანდება და აუცილებელი კია.

შემდეგ თავმჯდომარე განმარტავს, რომ სურვილი იყო ამაღამ ათ საათზე შეკრებილიყო სეიმი, რომელიც გამოაცხადებდა სეიმს დაშლილად და შემდეგ საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ სეიმის ზოგიერთმა ფრაქციებმა შეკრებაზე უარი თქვეს. მაგალითად, მუსავატმა განაცხადა, რომ მათ ჯერ არ განუხილავთ საკითხი და აზრი არ შეუმუშავებიათ, თუ ქართველებს სურთ დამოუკიდებლობის გამოცხადება, გამოაცხადონ, ჩვენ ხელს არ შევუშლით; სომხებმა განაცხადეს, რომ შესამუშავებელი აქვთ თავიანთი განცხადება და თხოულობენ გადაიდოს სეიმის სხდომა ხვალ დილით.

რადგანაც ჩვენ გვინდოდა მათთან თანხმობით საქმის გაკეთება, მაგრამ რადგან არ ხერხდება და არ სურთ, ჩვენ უნდა ცალკე ვიმსჯელოთ. სეიმის კრება დღეს არ მოხდება, დანიშნულია ხვალ დღის 12 საათზე.

სეიმის შემდეგ საბჭო სასახლეშივე გამოაცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას.

შემდეგ გაიმართა სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ როდის გამოცხადდეს დამოუკიდებლობა; რადგან ძალიან საჭიროა ამ აქტის გამოცხადება, რამდენიმე ორატორი იმ აზრისა იყო, რომ დღესვე გამოცხადებულიყო აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა.

მაგრამ ნ. ჟორდანიამ განმარტა, რომ დღევანდელი გამოცხადებით საქმე გართულდება, ვინაიდან სეიმი და მისი მთავრობა არსებობს, არ გაუქმებულა, მაშინ ორი მთავრობა იქნება, რაც შეუძლებელია. შეიძლება ზოგიერთმა წინააღმდეგობა გაგვიწიონ, დამოუკიდებელი საქართველო არ სცნონ, მათთან შეტაკება მოგვიხდება, ამიტომ გამოცხადება გადაიდოს სახვალიოთ.

რადგან შეთანხმება არ მოხდა ამ ორ ჯგუფს შორის, კენჭი ეყარა საკითხს: „საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ“.

პირველს მომხრე აღმოუჩნდა 6 ხმა

მეორეს ———— 4 ხმა.

გადაწყდა გამოცხადებულიყო დღესვე. ამის გამო ნ. ჟორდანიამ განაცხადა: რაკი დღესვე გამოცხადდება დამოუკიდებლობის აქტი, იგი პასუხისმგებლობას არ კისრულობს მოსალოდნელი შედეგებისას.

მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ არის და ვერ იქნება წაკითხული, რამაც გამოიწვია თავისთავად აქტის გამოცხადების გადადება სახვალიოთ.

ვინაიდან საქმე მაინც საშურია, ნ. რამიშვილის წინადადებით გადაწყდა: ხვალ 26 მაისს, დილით 10 საათზე მოხდეს სეიმის სხდომა, ხოლო 12 საათზე — საბჭოსი.[74]

იმავე სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის შესახებ. საოქმო ჩანაწერში ვკითხულობთ:

„VII. წაკითხულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, შემუშავებული კომისიის მიერ. ამ პროექტის გამო გაიმართა კამათი, რომელიც დასრულდა იმით, რომ პროექტი შესწორებულ იქნეს გამოთქმული აზრების თანახმად. შესწორება აქტის პროექტისა დაევალა ბ. ნ. ჟორდანიას“.[75]

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 1918 წლის 25 მაისის სხდომაზე ასევე იმსჯელა შემდეგ საკითხებზე: რა კანონებს უნდა ემოქმედა საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ფინანსთა სისტემა, რკინის გზა, ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია, საქართველოს მთავრობის სტრუქტურა, საქართველოს მინისტრ-

თა კაბინეტის პერსონალური შემადგენლობა. ამ საკითხებზე ძალაში დარჩა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 24 მაისს მიღებული გადაწყვეტილება.[76]

1918 წლის 26 მაისს, დილით, თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ხალილ-ბეიმ ამიერკავკასიის რესპუბლიკის დელეგაციას გადასცა ულტიმატუმი, რომელშიც წამოყენებული იყო შემდეგი მოთხოვნები: ახალი საზღვრების დადგენა, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე თურქეთის ჯარის თავისუფლად გადაადგილების უფლება, თურქეთისათვის სამხრეთ ამიერკავკასიაში თავისუფალი მოქმედების უფლების მინიჭება.[77] 26 მაისს ნაშუადღევის 3 საათზე შეიკრიბა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სეიმის ბოლო სხდომა. სეიმის სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა ირაკლი წერეთელმა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის საკითხს აყენებდა.[78] სეიმმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით (წინააღმდეგ ხმა მისცა 2 დეპუტატმა) მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს დაშლისა და თვით ამიერკავკასიის სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.[79] იმავე დღეს — 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ მსოფლიოს სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებს აცნობა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლისა და სეიმის მიერ უფლებამოსილების მოხსნის შესახებ.[80]

1918 წლის 26 მაისს ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, სადაც მანამდე მუშაობდა ამიერკავკასიის სეიმი, გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა.[81]

სხდომას ესწრებოდა ეროვნული საბჭოს 42 წევრი და 36 კანდიდატი. ეროვნული საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდი, გერმანიის მისიის ხელმძღვანელი გრაფ შულენბურგი გერმანელ ოფიცრებთან ერთად, ქართველი ოფიცრობა და სხვ. მოედანი სასახლის წინ, ასევე მიმდებარე ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. სასახლის თავზე აღმართული იყო ქართული ეროვნული დროშა, ხოლო დარბაზში პრეზიდიუმის მაგადის უკან კედელზე გამოფენილი იყო წითელი რევოლუციური და ქართული ეროვნული დროშა.[82]

საქართველოს ეროვნული საბჭოს ამ ისტორიულ სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, პრეზიდიუმში იყვნენ გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი და პავლე საყვარელიძე. მდივნობდა ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი.[83]

ეროვნული საბჭოს სხდომა გახსნა და პირველი სიტყვა წარმოთქვა ნოე ჟორდანიამ. ეს იყო დიდი პოლიტიკური ტაქტით, შესაშური შორსმჭვრეტელობით გამსჭვალული სიტყვა. ნოე ჟორდანიას გამოსვლაში იყო ასეთი სიტყვები:

„საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქარტეხილებიდან დაიფაროს თავი.

და როცა მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში“.[84]

სიტყვის დასრულების შემდეგ, 5 საათსა და 10 წუთზე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ეროვნული საბჭოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ დამოუკიდებლობის აქტი ფეხზე მდგომმა მოისმინა. აქტის ყოველი პუნქტის შემდეგ იმართებოდა ხანგრძლივი ოვაცია. ნოე ჟორდანიას წინადადებით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი სასახლის აივნიდან იქ შეკრებილი საზოგადოებისათვის წაიკითხა ილია ზურაბიშვილმა, რამაც აგრეთვე აპლოდისმენტები და ოვაცია გამოიწვია. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის რუსული თარგმანი ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიას წინადადებით წაიკითხა გრიგოლ ვეშაპელმა. ყოველივე ამის შემდეგ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს შესთავაზა დამოუკიდებლობის აქტის დამტკიცება. ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ყოველგვარი ცვლილების გარეშე ერთხმად დაამტკიცა.[85]

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის ტექსტი ნოე ჟორდანიამ შეადგინა, ყოველმხრივ უნაკლო დოკუმენტია. იგი პრეამბულისა და შვიდი პუნქტისაგან შედგება. აი ეს პუნქტებიც:

„I. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

II. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

III. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

IV. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

V. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორათ უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

VI. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

VII. დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".[86]

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დამტკიცების შემდეგ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა, რომელიც მოწონებული იყო ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1918 წლის 25 მაისს. ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა მთავრობის შემადგენლობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობა ასეთი შემადგენლობით დამტკიცდა:

1. ნოე რამიშვილი — მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი.

2. აკაკი ჩხენკელი — საგარეო საქმეთა მინისტრი.

3. გრიგოლ გიორგაძე — სამხედრო მინისტრი.

4. გიორგი ჟურული — ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი.

5. გიორგი ლასხიშვილი — სახალხო განათლების მინისტრი.

6. ნოე ხომერიკი — მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი.

7. შალვა მესხიშვილი — იუსტიციის მინისტრი.

8. ივანე ლორთქიფანიძე — გზათა მინისტრი.[87]

ამრიგად, მთავრობის თავმჯდომარე გახდა სოციალ-დემოკრატი, 8 მინისტრიდან 4 სოციალ-დემოკრატი იყო.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა დაიხურა ნაშუადღევის 5 საათსა და 55 წუთზე.[88] ეროვნული საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ, 1918 წლის 26 მაისსვე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს სახელმწიფოების მთავრობებს სპეციალური ტელეგრამით ამცნო პლანეტაზე ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაბადება.[89]

ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ბრწინვალედ აღასრულა თავისი მისია ერის წინაშე.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის (1892-1918 წწ.) შესწავლის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანების შედეგად 1892-1893 წლებში შეიქმნა პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი". „მესამე დასი" აღმოცენდა როგორც საერთო-ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია. „მესამე დასი" საზრდოობდა, ერთის მხრივ, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მდიდარი ტრადიციებით და, მეორე მხრივ, სოციალისტური დოქტრინით. „მესამე დასი" თავიდანვე დადგა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე. რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენა თავის მოლვაწეობის პირველ პერიოდში (1893-1897 წწ.) „მესამე დასს" ნაკლებად ემჩნეოდა.

2. „მესამე დასის" პროგრამა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათისა იყო და იგი ქართული სინამდვილის გარდაქმნის ისეთ გზებს სახავდა, რომელსაც ანალოგი მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამებში შეიძლება მოვუძებნოთ.

3. „მესამე დასი" სოციალურ რევოლუციას, როგორც პროგრესის მიღწევის საშუალებას, გამორიცხავდა. მესამე დასელები ბრძოლის პარლამენტურ გზას ალიარებდნენ, რაც დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიებთან იდეური კავშირის მაჩვენებელი იყო.

4. „მესამე დასის" ფართო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პლატფორმა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების გატარებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ეროვნული ინტერესების განუხრელ დაცვას.

5. 1892-1897 წლებში „მესამე დასი" და მთელი ქართული სოციალ-დემოკრატია აღმოცენდა და ვითარდებოდა როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიისაგან („შრომის გათავისუფლების" ჯგუფი, „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" და სხვ.) იდეურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი პოლიტიკური მიმდინარეობა.

6. „მესამე დასის" იდეური და ორგანიზაციული ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ეგნატე ნინოშვილმა, სილიბისტრო ჯიბლაძემ, ისიდორე რამიშვილმა, კარლო ჩხეიძემ, ვლადიმერ დარჩიაშვილმა, ფილიპე მახარაძემ. მესამე დასელთა აღიარებული ლიდერი ამ ორგანიზაციის არსებობის მთელს მანძილზე ნოე ჟორდანია იყო. მის სახელს

უკავშირდება „მესამე დასის“ პროგრამის შემუშავება და შემდგომი სრულყოფა.

7. „მესამე დასის“ მოღვაწეობის მეორე პერიოდში (1898-1903 წწ.) ორგანიზაციის წევრთა შორის იზრდება რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენა. მიუხედავად ამისა, მესამე დასელები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის მოძრაობაში (1900-1903 წწ.) არ მონაწილეობდნენ და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

8. „მესამე დასში“ არასოდეს ყოფილა ე. წ. „ლეგალურ-დემოკრატიული ფრთა“ (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი და სხვ.) და „არალეგალურ-რევოლუციური ფრთა“ (იოსებ ჯუღაშვილი, ვლადიმერ კეცხოველი, მიხა ცხაკაია და სხვ.). „მესამე დასი“ 1892-1897 წლებში იდეურად ერთიანი იყო. 1898-1903 წლებში ორგანიზაციის შიგნით ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მიმდინარეობა — დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეების დამცველნი (ნოე ჟორდანია, ვლადიმერ დარჩიაშვილი და სხვ.) და რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების გავლენის ქვეშ მყოფნი (ირაკლი წერეთელი, რაჟდენ არსენიძე და სხვ.). ამ დაპირისპირების „ლეგალიზმი“ და „არალეგალიზმი“ სულაც არ ელო საფუძვლად.

9. იოსებ ჯუღაშვილი, ვლადიმერ კეცხოველი, აბელ ენუქიძე და სხვები „მესამე დასში“ არასოდეს არ ყოფილან, მათ თავიდანვე (1901 წ.) ცალკე მიმდინარეობა შექმნეს და არ ცნობდნენ „მესამე დასის“ არც იდეურ და არც ორგანიზაციულ პლატფორმას.

10. ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილის მიმდინარეობებს შორის არსებული უთანხმოება მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის არსებული დაპირისპირებით არ ამოიწურებოდა. მისი უმთავრესი მიზეზი საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა იყო.

11. 1903 წლისათვის შექმნილ სიტუაციაში მესამე დასელებმა ვეღარ შეძლეს დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის შენარჩუნება. 1903 წლის მარტში მათ მონაწილეობა მიიღეს რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნაში, ხოლო შემდეგ რსდმპ II ყრილობის (1903 წლის ივლის-აგვისტო) მუშაობაში. ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ „მესამე დასმა“ — საერთო-ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ — არსებობა შეწყვიტა.

12. რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე მდგარი ქართველი სოციალ-დემოკრატების წარმატების მაუწყებელი იყო თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა (1901 წ.). მათი წარმატება კიდევ უფრო

განმტკიცდა თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების რსდმპ კომიტეტებად გამოცხადების შემდეგ (1901-1902 წწ.).

13. რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა (1903 წ. მარტი) და მასში რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტების, ხოლო შემდეგ რსდმპ გურიისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების გაერთიანება, ასევე რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციების განმტკიცების მაუწყებელი იყო.

14. ქართული სოციალ-დემოკრატიის შერწყმა რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან ამავე დროს ნიშნავდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ბუნებრივი განვითარების გზიდან გადახვევას, დასავლეთ ევროპულ პოლიტიკური ორიენტაციაზე უარის თქმას და რუსული ორიენტაციის გამარჯვებას.

15. მართალია, რსდმპ II ყრილობაზე (1903 წ.) ქართველმა დელეგატებმა ნოე ჟორდანიამ და დიომიდე თოფურიძემ ვერ დაიცვეს „მესამე დასის" საპროგრამო მოთხოვნები, მაგრამ სამაგიეროდ, ლირსეული ბრძოლა გაუმართეს ველიკოდერჟავულ მსოფლმხედველობაზე მდგარ რუსულ სოციალ-დემოკრატიას.

16. 1903-1904 წლები აღინიშნა ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური ევოლუციით. „მესამე დასის" საპროგრამო მოთხოვნები, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეები დავიწყებას მიეცა.

17. მართალია, 1903-1904 წლებში ქართული სოციალ-დემოკრატია მთლიანად დადგა რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე, მაგრამ იგი მაინც ორად გაყოფილი დარჩა. ამჯერად ამ გაყოფას მენშევიზმი და ბოლშევიზმი ედო საფუძვლად. დაიწყო ფრაქციული ბრძოლები.

18. 1903-1904 წლებში ფრაქციული ბრძოლები საქართველოში საერთოპარტიული დისკუსიის სგნად არ ქცეულა. პოლემიკა პარტიულ ელიტას არ გასცილებია, თუმცა იგი საერთოდ მწვავედ მიმდინარეობდა.

19. 1903-1904 წლებში, ისარგებლეს რა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მხარდაჭერით, საქართველოში მოღვაწე ბოლშევიკებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

20. 1904 წლისათვის ქართული სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილი მოღვაწეებს, პირველ რიგში ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილს, უკვე შექმნილი ჰქონდათ ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომები, რომლებიც მათ მყარად უმკვიდრებდა ადგილს რუსული სოციალ-დემოკრატიის ელიტაში.

21. 1905-1907 წლების რევოლუციის წინ ქართული სოციალ-დემოკრატია წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ მიმდინარეობას. მას ჰყავდა საქართველოსა და რუსეთში უკვე დიდი ავტორიტეტის მქონე ლიდერები: ნ. ჟორდანია, ი. ჯუღაშვილი, ს. ჯიბლაძე, ის. წამიშვილი,

კ. ჩხეიძე, ფ. მახარაძე, ვლ. დარჩიაშვილი, ირ. წერეთელი, ნ. რამიშვილი და სხვ.

22. მართალია, 1903-1904 წლებში ქართული სოციალ-დემოკრატია გადადის რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეურ და ორგანიზაციულ პლატფორმაზე, რაც „მესამე დასის" საპროგრამო მოთხოვნათა უგულებელყოფას ნიშნავდა, მიუხედავად ამისა, „მესამე დასის" საპროგრამო პრინციპები სამუდამოდ არ მისცემია დავიწყებას. ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები 1918-1921 წლებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პერიოდში წამოჭრილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისას.

23. ქართული სოციალ-დემოკრატიის 1892-1904 წლების ისტორიის შესწავლა გვარწმუნებს: ა) პოლიტიკური პარტიის, მიმდინარეობის მოღვაწეობა იმდენად არის ნაყოფიერი და პროგრესული, რამდენადაც იგი ალღოს ულებს, სწორად განსაზღვრავს ერისა და ქვეყნის წინაშე მდგარ სასიცოცხლო პრობლემებს, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საერთო კანონზომიერებებს, გარე სამყაროში მიმდინარე პროცესებს; ბ) სოციალისტური ორიენტაციის პოლიტიკური პარტიის, მიმდინარეობის ეროვნული პროგრამა, მით უმეტეს თუ ეს პარტია დაპყრობილი (კოლონიური) ერისაა, ეროვნულ მოძრაობასთან მიმართებაში უნდა იყოს უაღრესად ფრთხილი და ზომიერი, რადგან ნებისმიერი კონფლიქტი ამ ორ ძალას შორის უკიდურესად ძაბავს სიტუაციას საზოგადებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე და საბოლოოდ არახელსაყრელ პირობებს ქმნის როგორც ეროვნული მოძრაობის წინსვლისათვის, ისე სოციალისტური ორიენტაციის პარტიის მოღვაწეობისათვის; გ) დაპყრობილ ერების სოციალისტური ორიენტაციის პარტიის, მიმდინარეობის მოღვაწეობა მაშინ იქნება წარმატებული, თუ იგი სოციალისტური დოქტრინის პრინციპების ერთგულებას შეაზამებს, შეათავსებს ეროვნული მოძრაობის მიზნებთან. ეს მეტად ძნელი საქმეა, მას ხშირად ორნაირი დაბოლოება აქვს: ან ეროვნული მოძრაობის უგულებელყოფა და დაუსრულებელი კონფლიქტი მასთან, ან სოციალიზმის იდეებზე ხელის აღება. შუალედური გზის პოვნა ძნელია. საბედნიეროდ, 1892-1904 წლებში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ დაადასტურა, რომ მას ამ შუალედური გზის პოვნა ეწადა, ხოლო 1918-1921 წლებში ცხადი შეიქმნა, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ეს გზა იპოვა.

24. 1903-1904 წლებში ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობაში კოსმოპოლიტიზმის აშკარა გაძლიერება დამთავრდა იმით, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართული სოციალ-დემოკრატია მთლიანად კოსმოპოლიტიზმის ტყვეობაში აღმოჩნდა. ქართველი

სოციალ-დემოკრატები პრინციპულად დაუპირისპირდნენ ეროვნული ავტონომიის იდეას.

25. ქართულ სოციალ-დემოკრატიაში კოსმოპოლიტური აზროვნების გამარჯვებამ გამოიწვია ამ მიმდინარეობის მკვეთრი დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესთან და ეროვნულ-დემოკრატებთან, რამაც ძლიერ დაძაბა ვითარება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე და საბოლოო ჯამში დაასუსტა ქართული ეროვნული მოძრაობა.

26. 1905-1907 წლებში ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობა (მენშევიკები, ბოლშევიკები) დაპირისპირებული აღმოჩნდა სოციალისტური ორიენტაციის ძალებთან (სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ანარქისტები). ცხადია, ამ დაპირისპირების მიზეზი ეროვნული საკითხი არ ყოფილა. ამ შემთხვევაში დაპირისპირება სოციალიზმისა და მისი მიღწევის გზების სხვადასხვაგვარმა გაგებამ გამოიწვია. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების უთანხმოებას, მასში სოციალურ საკითხთან ერთად ეროვნულიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

27. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ვერც ერთ პოლიტიკურ ძალასთან ვერ შეკრა ბლოკი. ამის მიზეზი ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატებს არ სურდათ უარი ეთქვათ რსდმპ პროგრამის არც ერთ მოთხოვნაზე, ამასთან, მიუღებლად მიაჩნდათ სხვა პოლიტიკური პარტიების საპროგრამო მოთხოვნებიდან რაიმეს გაზიარება.

28. 1905-1907 წლების რევოლუციის დაწყებისთანავე, კერძოდ, რსდმპ III ყრილობის პერიოდიდან (1905 წ. გაზაფხული), ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური და ბოლშევიკური მიმდინარეობანი ისე მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ მათი იდეური გაერთიანება შეუძლებელი აღმოჩნდა. 1906 წლის იანვრიდან 1907 წლის დეკემბრამდე მენშევიკური და ბოლშევიკური კომიტეტების გაერთიანების მიუხედავად, არც იდეური და არც ორგანიზაციული უთანხმოება არ მოსპობილა, პირიქით, კიდევ უფრო გაღრმავდა.

29. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართული სოციალ-დემოკრატია წარმოადგენდა საქართველოში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალას, რომელიც რეალურ გავლენას ახდენდა მოვლენათა განვითარებაზე.

30. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში გამოვლინდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობის დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობანი. ეს განსაკუთრებით ცხადად წარმოჩნდა რსდმპ IV (გაერთიანებელი) და რსდმპ V ყრილობების მუშაობის დროს.

